

გუბაზ გოგატიშვილი

ფშაური ლექსიკა

I

თბილისი

2006

ნაშრომი ფართო პლანით შესრულებული ორიგინალური გამოკვლევაა, რომელშიც წარმოდგენილია ჰიპონიმიის პრინციპის მიხედვით გამოვლენილი კუთხური ლექსიკის მდიდარი საუნჯე – უხვი და საინტერესო ლექსიკურ-სემანტიკური დონის ფშაური დიალექტური მასალა. იგი ორი წიგნისაგან შედგება და მასში მოცემულია ფშაურ ლექსიკურ ერთეულთა კლასიფიკაცია, მათი სემანტიკურ მიმართებათა ანალიზი რეგიონურ მონაცემთა გათვალისწინებით.

კვლევის შედეგები ფასეულია როგორც ფილოლოგიური მეცნიერების, ასევე ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა თვალსაზრისითაც. ერთი მხრით, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში ჰუმანიტარული ფაკულტეტის სპეცკურსებსა და სპეცკურსებსა და სპეცსემინარებში დიალექტოლოგიისა და ქართული ენის კურსის შესწავლის დროს; ენათმეცნიერულ სპეციალობაზე კი – სტუდენტთა სადიპლომო, საკურსო თუ ენის ისტორიის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისათვის და, რაც მთავარია, ქართული დიალექტოლოგიური ატლასის შესაქმნელად.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ა. არაბული

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. გ. გოგოლაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. თ. უთურგაიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. კ. ჭრელაშვილი

ისტორიული ფხოვის სრული ლექსიკური პანორამის შესაქმნელად

ფშავისა და ფშაური კილოს მიმართ მკვლევართა დაუშრეტელ ინტერესს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება განაპირობებს:

1. ფშავი წარმოადგენს ისტორიული ფხოვის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს და ფშაურ ყოფასა და ეთნოგრაფიულ რეალიებში – შესაბამისად, ენობრივ მასალაში – რელიეფურად აისახება ის ვითარება, რომელიც დაახლოებით „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის ფეოდალური საქართველოსათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

2. ფშაური კილოს თავისებურებას განაპირობებს ისიც, რომ ფშავის ტერიტორია და, შესაბამისად, სამეურნეო და ყოფითი კულტურა, განფენილია მთისა და ბარის რეგიონებს შორის და ეს არის საფუძველი მისი ლექსიკის ორმხრივი შერევისა, ე. ი. გამდიდრებისა.

3. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ინტენსიურმა მიგრაციამ ბარის სხვადასხვა კუთხეთა მიმართულებით განაპირობა ფშაველთა განსახლება ძალზე ფართო არეალზე – დუშეთის, ერწო-თიანეთის, თელავის, დედოფლისწყაროს რაიონებში, რამაც ახალ და სისტემურ მიმართებათა თვალსაზრისით თავისებური დანაშრევები წარმოქმნა ისტორიულ ფშავში.

4. ისტორიულ ფხოვის წიაღში იშვა ვაჟა-ფშაველას პოეტური გენია და მისი მხატვრული და ენობრივი სამყარო ფშაურის დაუშრეტელმა ძუძუმ ასაზრდოვა. მხოლოდ ვაჟა-ფშაველას ფენომენიც კი საკმარისი მოტივი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ მისი მშობლიური ენობრივი წიაღი საგანგებო კვლევის საგანი შექმნილიყო.

როდესაც აკაკი შანიძემ ერთი საუკუნის წინ ისტორიული ფხოვის ფოლკლორული და ენობრივი სამყაროს შესწავლა დაიწყო, პირველივე სტუმრობისას უკვე ცნობილ პოეტს – დიდ ვაჟასაც შეხვდა. მაშინ იქ ერთი რუსი სტუდენტიც ყოფილა რაღაც საექსპედიციო განზრახვით. ვაჟას აკაკი შანიძესთან დაუჩივლია: ეს რუსები და სხვა უცხოელებიც რომ ინტერესდებიან ჩვენი მთის კუთხეებით, ჩვენებს რატომ არ აინტერესებთ? მაშინ – XX ს-ის დასაწყისში – მართლაც, მძაფრად აღიქმებოდა მთის რეგიონების „მიტოვებულობა“. მას შემდეგ საქართველოში, საბედნიეროდ, ეროვნული უნივერსიტეტი გაიხსნა და სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების ფართო ქსელი შეიქმნა. მან განაპირობა ქართველოლოგიის სწრაფი წინსვლა და მკვლევართა ყურადღება არც საქართველოს ეთნოგრაფიულ ერთეულებს, მათ შორის – ფშავს, მოჰკლებია. მარტო აკაკი შანიძისა და მისი მოწაფეების მემკვიდრეობა რად ღირს ამ მიმართულებით.

მაგრამ ვისაც მეცნიერული კვლევა-ძიების კანონზომიერებებში ჩაუხედავს და შემეცნებითი სამყაროს კოსმიური განვრცობის საიდუმლოს შეხებია, მისთვის მოულოდნელობა არ იქნება, რომ „სამკალი ფრიად არს“...

ფშაურის შესწავლის აღნიშნულ მემკვიდრეობაში თავის საპატიო ადგილს დაიჭერს ის საფუძვლიანი და მასშტაბური კვლევა, რომელიც ფშაურის ლექსიკას მიუძღვნა პროფ. გუბაზ

გოგატიშვილმა. მან მართლაც სამაგალითო ერთგულება გამოავლინა საკვლევი თემისა და პრობლემატიკის მიმართ, რასაც განგება აუცილებლად აჯილდოვებს ხოლმე საგანგებო შედეგით. სამ ათეულ წელზე მეტია მკვლევარი სოფელ-სოფელ, ოჯახ-ოჯახ და სიტყვა-სიტყვა აღწერს და გამოიძიებს იმ ენობრივ საგანძურს, რომელიც აღნიშნულ ისტორიული ფხოვიდან ერთ მძლავრ ვულკანად ამოფრქვეულა და მთელ აღმოსავლეთ საქართველოში გაბნეულა.

მეთოდურ საგანგებოდ გამოუძებნია ამ რთული ლექსიკური პანორამის კვლევისათვის – მასალის რეგიონულ-სემანტიკური ანალიზი. შეიძლება ითქვას, რომ დიალექტური ლექსიკის კვლევის თვალსაზრისით ფშაური ერთ-ერთი ყველაზე უფრო სკრუპულოზურად შესწავლილი კილო იქნება არა მხოლოდ ქართულ დიალექტებს შორის. ამ კომპლექსურ კვლევით პროცესს (ე. წ. ჰიპონიმიურ და სუბორდინაციულ მიმართებათა ანალიზს) დაქვემდებარებია როგორც დიალექტური ლექსიკის შიდა სემანტიკური მიმართებები, ისე დიალექტთაშორისი ლექსიკური საკითხები. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ლექსიკის კვლევა ყოფით რეალობასა და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მიკროკულტურასთან მიმართებით. ამ მრავალმხრივმა კვლევამ მაღალი შეფასება დაიმსახურა აღიარებულ ქართველოლოგთა მიერ.

ყველაზე არსებითი მაინც ის არის, რომ ნაშრომში წარმოდგენილია ფშაური დიალექტური ლექსიკის სრული დარგობრივი აღწერა, აქ ცალკე ჯგუფებს ქმნის საწესჩვეულებო ანუ კულტმსახურებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, სოციალურ ურთიერთობათა და ადამიანის ხასიათ-თვისებების აღმნიშვნელი, მიწათმოქმედების, მემინდვრობის, პურეულისა და მარცვლოვან-პარკოსან კულტურათა, თიბვისა და ბალახეულ მცენარეთა აღმნიშვნელი, მებოსტნეობა-მებაღეობის, შემისა და ცეცხლის, ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი, მეფრნველეობის, მეცხოველეობის, მშენებლობისა და ხის დამუშავების, ხალხური აქიმობა-მკურნალობისა და არაერთი დარგის ლექსიკა.

პროფ. გუბაზ გოგატიშვილის წინამდებარე მასშტაბური - ორტომიანი - მონოგრაფია დიალექტური ლექსიკოლოგიის სფეროში განუზომელ სამსახურს გაუწევს ქართველოლოგიის არაერთ სფეროს წარმომადგენელს, ის ღირსეულად დაუდგება გვერდით აკაკი შანიძის მონაპოვრებს ფშაური ფოლკლორისა და ლექსიკის სფეროში, „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონს“ და მათთან ერთად შექმნის მკვიდრ საფუძველს სრული ლექსიკონის შესადგენად.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ავთანდილ არაბული

I ნაწილი

ფშაური ლექსიკის რეგიონულ-სემანტიკური კლასიფიკაცია

I თავი – ნაშრომის ზოგადი დახასიათება და მისი სტრუქტურა

#5#

ფშავი საქართველოს მთის ძირძველი, განუყოფელი ნაწილია და უძველესი პერიოდიდან იგი ისეთსავე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს სამინაო თუ საგარეო ცხოვრებაში, როგორც ადმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი საერთოდ.

ფშაური, თავისთავადი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დიალექტი ქართული ენისა, საყურადღებოა დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა ფორმათწარმოების სტრუქტურული თავისებურებებითა და ძალზე მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკური ფონდით, რომელიც დღემდე არ ყოფილა მთლიანი მასშტაბით კვლევის ობიექტი.

ფშაური ფშავის მკვიდრთა მეტყველებაა, ერთ-ერთი უაღრესად თავისთავადი და საინტერესო დიალექტია ქართული ენისა და სხვა დიალექტთა შორის იგი ყურადღებას იქცევს ფორმათა თავისებური წარმოებითა და მდიდარი ლექსიკით.

ფშაური სხვა დიალექტებთან ერთად ქართული სალიტერატურო ენის მასაზრდოებელი, მისი ლექსიკური შედგენილობის დახვეწისა და განვითარება-გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

ფშავლები დუშეთისა და თიანეთის რაიონების გარდა ცხოვრობენ კახეთისა და ქართლის სხვადასხვა კუთხეშიც. ამიტომ ფშაველთა მეტყველება და, მით უმეტეს დარგობრივი ლექსიკა, ცხადია, ამჟღავნებს თავისებურებებს რეგიონების მიხედვით.

ცნობილია, რომ დიალექტური ლექსიკა სპეციალურ ლექსიკასთან ერთად საერთო-სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. დღეისათვის სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „ქართული ენის დიალექტების გრამატიკული წყობისა და ლექსიკური შედგენილობის საფუძვლიანი შესწავლა წარმოადგენს ქართული დიალექტოლოგიის მნიშვნელოვან და პირველხარისხოვან ამოცანას, რომლის განხორციელების გარეშე შეუძლებელია ქართული ენის ისტორიის რიგი საკითხების წარმატებით კვლევა“ (119, 12).

#6#

რაზიკაშვილების მადლთან იჯახის მშობლიური დიალექტის – ფშაურის ლექსიკა, შეიძლება ითქვას, კომპლექსურად ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი და საზოგადოებრიობას, მათ შორის მოსწავლეებს, სტუდენტობას და სპეციალისტ მეცნიერ მუშაკებს საშუალება არა აქვთ ამომწურავად წარმოიდგინონ მისი შინაგანი პროფილი და სემანტიკური მრავალფეროვნება. ამიტომაც ფშაური ლექსიკისა და სემანტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი ნებისმიერი გამოკვლევა ფასეულად უნდა მივიჩნიოთ,

რამდენადაც საქმე ეხება ქართული პოეტური გენიის – ვაჟა-ფშაველასა და ამ კუთხიდან გამოსული სხვა მწერლების მშობლიური დიალექტის ლექსიკის ამომწურავ, მართებულად აღქმასა და დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკურ ანალიზს.

უნდა ითქვას, რომ ფშაური დიალექტის ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური საფუძვლები რამდენადმე რყევას განიცდის სალიტერატურო ენისა და მომიჯნავე ბარის კილოების გავლენის შედეგად, რაც ხელს უწყობს თავისთავადი ფშაური ინოვაციების წარმოქმნასა და დამკვიდრებას. შეიძლება ერთსა და იმავე, ან ერთმანეთის მიმყოფ ფორმებშიც კი ორგანულად იყოს შერწყმული მთისა და ბარის კილოებისათვის დამახასიათებელი მოვლენები.

სამეურნეო ყოფის მრავალფეროვნებამ და ორიგინალურმა საწესჩვეულებო ტრადიციებმა განსაზღვრეს ფშაური ლექსიკური ფონდის სიმდიდრე და თვითმყოფადობა. მისი ყოველმხრივი ანალიზი, დარგობრივ-სემანტიკური და თემატიკური კლასიფიკაცია კი, რაც დღემდე არ არის ასახული სპეციალურ ლიტერატურაში, ძალზე მნიშვნელოვანია ისტორიული დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის, ასევე დიალექტოლოგიური ატლასის შექმნის თვალსაზრისით.

ფშაურს თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური და, აგრეთვე, ლექსიკური თავისებურებებით ერთგვარი შუალედური მდგომარეობა უკავია აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის დიალექტებს შორის და მრავალფეროვანი ლექსიკა აქვს, რაც სრულად არ არის შესწავლილ-გამოვლენილი ყველა კუთხის მონაცემთა გათვალისწინებით, ამიტომ ამ თავისთავადი დიალექტური ერთეულის ენობრივი ანალიზი სალიტერატურო ენისა და ქართული ენის სხვა კილო-თქმების – მთიულურის, ხევსურულის, თუშურისა და მოხეურის, აგრეთვე მისი მომიჯნავე ქართლურისა და კახურის მონაცემებთან

#7#

შეპირისპირებასაც გულისხმობს მსგავსება-განსხვავებების დასადგენად და მათ შორის ფშაურის ადგილის გამოსაკვთად. ამავე დროს მნიშვნელოვანია ხეობების, სოფლებისა თუ რაიონების მიხედვით გამოვლენილი და აღწერილი ყველა ის სპეციფიკური მოვლენა, რაც თვით ფშაურის ცალკეული რეგონებისათვის არის დამახასიათებელი.

ქართულო დიალექტოლოგიის უპირველესი ამოცანა დღევანდელ ეტაპზე – სოფელ-სოფელ ცოცხალ ენობრივ მეტყველებაზე დაკვირვებისა და გამოწვლილვითი ანალიზის შედეგად კილო-თქმათა მდიდარი ენობრივი საგანძურის შესწავლა ადგილებზე, ლექსიკურ ერთეულთა სრულყოფილი სემანტიკურ-სტრუქტურული დახასიათება რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით და იზოგლოსათა არეალების დადგენა – თანაბრად მნიშვნელოვანია ქართული ენის ყველა დიალექტისა და განსაკუთრებით ფშაურისათვის, რომელიც დიალექტური, თემური და ეთნოგრაფიული მიკროკულტურული ერთობის გამო გაცილებით მეტ ტერიტორიას მოიცავს, ვიდრე დღევანდელი გეოგრაფიული ფშავი. ამ საკითხების გადაჭრა ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული დიალექტოლოგიური ატლასის შექმნისა და, საერთოდ ისტორიულ-შედარებითი დიალექტოლოგიის განვითარების თვალსაზრისითაც.

წინამდებარე გამოკვლევა ავტორის მიერ ჩატარებული ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგია. ნაშრომი ფართო სპექტრის მომცველი გამოკვლევაა. სივრცეში განზომილების მიხედვით ლექსიკურ დონეზე მეტყველებრივი განსხვავებულობის წარმოჩენის მიზნით მასში პირველად არის მოცემული ადგილობრივ დიალექტურ ლექსემათა რეგიონულ-სემანტიკური სტრუქტურის ანალიზი, ჰიპონიმის პრინციპის მიხედვით გამოვლენილი და თემატიკურად კლასიფიცირებული საინტერესო დარგობრივი ლექსიკა.

შრომა მიზნად ისახავს ავტორის მიერ არაგვისა და ივრის ხეობის ფშავში წლების მანძილზე ჩატარებული სავლე მუშაობით გამოვლენილი დიალექტური ლექსიკური ერთეულების დამატებითი, დღემდე აღუწილავი მნიშვნელობების წარმოჩენას, იზოგლოსათა გავრცელების ძირითადი და ლატერალური არელების დადგენას, რაც მნიშვნელოვანია დიალექტური ლექსიკის ლოკალიზაციისა და, საერთოდ, დიალექტურ მოვლენათა არეალური შესწავლის თვალსაზრისით, რითაც განისაზღვრება თვით პრობლემისა და ნაშრომის აქტუალურობა.

#8#

გამკვლევის მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია რეგიონული მონაცემებისა და სიტყვათა ექსტენსიონალზე დამოკიდებული ჰიპონიმის პრინციპის მიხედვით აღწერილი მდიდარი ფშავური დარგობრივი ლექსიკა. ლექსიკური მასალა მეურნეობისა და ყოფაცხოვრების სხვადასხვა დარგს ეხება. ყოველი ლექსიკური ერთეული გამოვლენილია გამოწვლილვით, სოფელ-სოფელ შესწავლით დადასტურებული თავისებურებების საფუძველზე, სათანადო ფაქტებისა და პროცესების დაწვრილებითი და საფუძვლიანი აღწერით. ფშავის სხვადასხვა კუთხის მონაცემთა შედარება-შეჯერება ლექსიკური ერთეულების პარალელურ მნიშვნელობათა დადგენისა და სემანტიკური მრავალფეროვნების წარმოჩენის საშუალებას იძლევა. შედეგად ამისა, მნიშვნელობის ზედმიწევნით გარკვევისა და სემანტიკური ნაირგვარობის გათვალისწინებით გზადაგზა წარმოდგენილია კვლევა ცალკეულ ლექსემათა მნიშვნელობების დაზუსტების მიზნით, გამოვლენილია ქართული ლექსიკოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი მრავალი სიტყვა, რაც საინტერესოა როგორც ისტორიული ლექსიკოლოგიისა და ენის ისტორიის, ასევე საყოფაცხოვრებო კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც.

ნაშრომში, რამდენადაც ამის საშუალებას მოცულობა იძლეოდა, მოვლენები განხილულია სალიტერატურო ენასთან და ქართული ენის სხვა კილო-თქმების, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოების (ხევსურული, მთიულური, თუშური, მოხეური), ქართლისა და კახურის მონაცემებთან შეპირისპირებით – მსგავსება-განსხვავების დასადგენად და მათ შორის ფშავურის ადგილის გამოსაკვეთად. ამავე დროს ხეობების, სოფლებისა თუ რაიონების მიხედვით გამოვლენილი და აღწერილია ის სპეციფიკური მოვლენები რაც, ფშავურისათვის არის დამახასიათებელი.

რა თქმა უნდა, ამგვარ ნაშრომს სისრულის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს და არცა აქვს, რამდენადაც ლექსიკა ჩაკეტილი სისტემა არ არის, „იგი განუწყვეტლივ იცვლება დროში, იცვლება მისი კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულება“ (146, 234). ამიტომ ენობრივი

საუნჯის – კილოური მეტყველების აუწყავი მარაგის აბსოლუტური გამოვლენა-აღნუსხვა პრაქტიკულად მიუღწეველია.

დადგენილ ნორმათა შესაბამისობის დაცვის გამო, სამწუხაროდ, შრომის წარმოდგენილ ნაწილში ვერ მოხერხდა უშუალოდ ავტორის მიერ საველე მუშაობის დროს ჩაწერილი ტექსტების შეტანა.

#9#

ფშაური ლექსიკის ამომწურავი და სრული ანალიზი, აგრეთვე ფშაურ ლექსიკურ ერთეულთა კლასიფიკაცია და მათი ლოკალიზაცია რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით დღემდე არ გაგვაჩნია. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული პრობლემა არ არის გაშუქებული. საკითხის ამომწურავი სახით გადაწყვეტა კი ფრიად საშურია და მნიშვნელოვანი. ფშაური დიალექტის რეგიონული შესწავლის მნიშვნელობას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ მის გრამატიკულ წყობასა და ლექსიკაში გვხვდება არქაული მოვლენები თუ საინტერესო სიახლენი:

-ავ და -ამ თემისნიშნაან ზმნათა აწმყოს წარმოება: უწყვეტელსა და დონიანი ზმნების წყვეტილის მრ. რიცხვში -ეს, -ენ სუფიქსების არსებობა და მათი ურთიერთშენაცვლება: შჰამდ-ენ, მაჰმევედ-ეს, – დ(ნენ ყალიბის საპიროსპიროდ; ინ-ენიანი ვნებითის სიძველენი, სუბიექტის მრავლობითობის აღნიშვნა არქაულზ ნორმის მიხედვით, -ეს სუფიქსით უწყვეტელსა და გარდაუვალ ზმნათა წყვეტილში (იყვნ-ეს, იცოდ-ეს, გადმეფარნ-ეს, მაჰმევედ-ეს...); არქაული ფორმების აღნუსხვა ბრძანებითსა და კავშირებითი მეორეში და მათ გვერდით ახალი ფორმების გავრცელობაც. მაგალითად ეფიცებოდეს || ეფიცებოდენ, ტიროდეს || ტიროდენ, დამთვრალიყვენენ || დამთვრალიყვენეს და სხვ. კავშირებით მეორეში, მართალია, გაბატონებულია ა სუფიქსი, მაგრამ არქაულია -ე სუფიქსის გამოყენება -ენ და -ნ სუფიქსების მომდევნოდ: ვიყვენეთ, დავიხოცენეთ, ვეცენეთ... მნიშვნელოვანია სახელთა მრ. რიცხვის -ებ სუფიქსის მორფო-სინტაქსური ძალის გაფართოება დიალექტში როგორც ძველ ქართულთან, ასევე თანამედროვე ქართულთან მიმართებით. -ებ იძენს ძველი ქართულის -ენ || -ნ სუფიქსის ძალას: მთიბლ-ებ-ი დავჯოც-ნ-ე...), რომელთაც დიდი ღირებულება ენიჭებათ დიალექტთა ისტორიული განვითარებისა და სალიტერატურო ენასთან მათი მიმართების ზოგადი საკითხების გარკვევის თვალსაზრისით (დაწვრ. იხ.: 84, 146).

ფორმათწარმოების თავისებურებათა წარმოჩენა, წარმოქმნილ სიტყვათა სტრუქტურა და ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური მოდელების დადგენა, იზოგლოსათა არეალების გამოყოფა და ადგილობრივი ლექსიკის დარგობრივი კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ქართულ კილო-თქმათა ახალი ასპექტით შეჯერებასა და ქართველურ ენათა სტრუქტურის შესაბამის ელემენტებთან მათ მიმართებათა კომპლექსურ შესწავლას.

#10#

ბოლომდე გასაზიარებელი არ ჩანს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს დღევანდელ ფშავეში მხოლოდ ფშაური მეტყველების ასაკობრივი დიფერენციაცია შეინიშნებოდეს (176, 9). რასაკვირველია, მეტყველებაში ე.წ. „კუთხურობის“ ელემენტის მეტ-ნაკლები დაცულობა ცალკეულ ინდივიდთან, ზოგან წმინდა ლიტერატურულ ნორმათა სიჭარბის არსებობა გარდაუვალი პროცესია ნებისმიერი

დიალექტისათვის და იგი, შეიძლება ითქვას, უნივერსალურ მოვლენათა კატეგორიას ეკუთვნის კილო-თქმათა განვითარების ყოველ ეტაპზე, მაგრამ მთავარია მოვლენათა პირველადობა – მეორეულობის გათვალისწინება. უნდა გვახსოვდეს, რომ: ერთეული თავისებურებანი აბსტრაქციისა და განზოგადების საშუალებას ვერ მოგვცემს. მთავარია გამოკვეთა ტიპური თავისებურებისა, მოვლენათა ძირითადი მახასიათებლებისა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფშაურ ლექსიკურ ერთეულთა ფორმათწარმოების სტრუქტურულ თავისებურებათა, მათი სემანტიკური მრავალფეროვნების, დიალექტური ლექსიკის რეგიონული კლასიფიკაციისა და სადერივაციო აფიქსთა ფუნქციური სემანტიკის გამოკვეთისას. ა. შანიძე იმთავითვე, ჯერ კიდევ 1913 წ. შენიშნავდა განსხვავებულობას ფშავის ცალკეულ რეგიონებში მცხოვრებთა მეტყველებაში, რაზეც საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას (163, 7-8). ეგევე მოვლენა შენიშნება ამჟამადაც: „მართალია, ფშაური კილოკავებად არ იყოფა, მაგრამ ფშაური მეტყველება მაინც ყველგან ერთნაირად არაა წარმოდგენილი. საფუძვლიანად იგი უკანა (უკვენა) ფშავშია დაცული. ამას თვით ფშავლებიც გრძნობენ და ზედმიწევნით განარჩევენ კიდევ მეტყველების ნაირსახეობებს. ამ გარჩევის ერთ-ერთი გამოხატულებაა ირონიული დამოკიდებულება სსვა თემის წარმომადგენელთა მეტყველებისადმი. ჩარგლელის (მადაროსკარის თემი) ნათქვამია: „დასიცილი (= დაცინვა) იციან უკვენა ფშავში აქიურ სიტყვებზე“ (196, 242). აღსანიშნავია, რომ ზუსტად ამავე სიტყვებით გამოხატული იდენტური აზრი ჩვენ ივრის ხეობის ფშავში, სოფ. ჩაბანოშიაც დავადასტურეთ. ე. ი. განსხვავებულობა ფშავის ცალკეულ რეგიონებში მცხოვრებთა მეტყველებას შორის პირველად მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ფშაური მეტყველების #11#

ასაკობრივი დიფერენციაცია. ვფიქრობთ, მეორეული მოვლენაა და აღსანიშნავია, რომ იგი საერთოა ნებისმიერი დიალექტისათვის.

ფშაურ დიალექტურ გარემოზე დაკვირვება და რეგიონების მიხედვით მისი გამოწვლილვითი ანალიზი ამჟამადაც იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოიკვეთოს ამ დიალექტისათვის და მისი ამა თუ იმ ცალკეული არეალისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებანი. სწორედ თანამედროვე პერიოდისათვის ამ აქტუალურ საკითხზე ამახვილებდა ყურადღებას ა. შანიძე: „ახლა, როდესაც მთის კილოების შესახებ გარკვეული მუშაობაა ჩატარებული, სასურველია და საჭიროც, რომ თვითოეული კილო ცალ-ცალკე იქნეს უფრო დაწვრილებით შესწავლილი... რომ უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ თვითეული მათგანის შესახებ“ (167, 42).

ფშაური დიალექტის ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური საფუძვლები რამდენადმე რყევას განიცდის სალიტერატურო ენისა და მომიჯნავე ბარის კილოების გავლენის შედეგად, რაც ხელს უწყობს თავისთავადი ფშაური ინოვაციების წარმოქმნასა და დამკვიდრებას. შეიძლება ერთსა და იმავე, ან ერთმანეთის მომიჯნავე, მიმყოლ ფორმებში ორგანულად იყოს შერწყმული მთისა და ბარის კილოებისათვის დამახასიათებელი მოვლენები. მაგალითად:

ა) ჯ და ხ მორფემათა ხმარების წესი ხევსურულის გავლენის შედეგად უკანა ფშავის სოფლებში შედარებით მტკიცედაა დაცული, ხოლო მათი თავისუფალი მონაცვლეობა

გავრცელებულია ქართლის მომიჯნავე წინა ფშავისა და კახეთის მომიჯნავე ივრის ხეობის სოფლებში: რაჭუნი || რახუნი, ჩოჯა || ჩოხა, ხადურა || ჯადურა, კელი || ხელი, ჯუთულა || ხუთულა... ამ მონაცვლეობასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ჯ და ხ გრაფემების და ჯ და ხ ფონემების ურთიერთმიმართება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში (ხანმეტი და ჰამეტი ძეგლები) შეესაბამება ლიტერატურულ ნორმებს. სინას მრავალთავი (864 წ.) პირველი ძეგლია, სადაც პარალელური ფორმები დასტურდება: გულის ჯმის-ყოფა || გულისხმის-ყოფა. X-XV ს.ს. ძეგლებში მსგავსი შემთხვევები ხშირდება და გვაქვს როგორც მონაცვლეობა ჯ || ხ, ასევე პირიქით ხ || ჯ;

1. მოსალოდნელი ხ შეცვლილია გრაფემით: ჯედავთა (უდაბნოს მრავალთავი, IX-X ს.ს.), ოჯრიდენ (ოშკის ბიბლია, 978 წ., იერ, 5. 22); მოჰჰადეთ (იერუსალიმის ბიბლია, XI ს. იერ, 9, 17); აღჯუსება (-38, X ს., 213; -85, XIII ს., 334)...

#12#

2. ს არის დაწერილი მოსალოდნელი ჯ-ს ნაცვლად: საბრხეთაგან (ათონის მრ., X-XI ს.ს.), მოიხსენე (ოშკის მრავალთავი 1022-1025 წ.წ.), სიხშო (იერ -44, XII-XIII ს.ს.)..

გვხვდება კონტამინირებული ფორმები: ოჯრვანი (= მახვრალი) – სინა, -26, 954 წ.) და გარდამოხჭდა (ათონი -190, X ს.)

ეს მაგალითები წარმოგვიდგენენ (ჯ) : (ხ) ფონემატური ოპოზიციის ნეიტრალიზაციას, რომელიც IX ს. დასასრულიდან დაიწყო და ზოგ დიალექტში დასრულდა უკვე X-XII საუკუნეებში (დაწვრ. იხ.: 139, 100-128)].

ბ) იოტაციის პროცესის მომძლავრება ამავე რეგიონებთან მიახლოებისას მიცემითა და ნათესაობითი ხმოვანფუძიან სახელებთან ზმნის ენკლიტიკის შემთხვევებში, რაც ქართლ-კახური მოვლენაა: დედასა-ე გავ, მამასა-ე წერს (გარდამავალი საფეხურით: დედასა-ე ჰგავ, მამასა-ე სწერს...).

გ) S₂O₃ ირიბი ობიექტის აღსანიშნავად -ის გამოვლენა ჰ- || ს- ბგერათა პოზიციურ ვარიანტად მაშინ, როდესაც ისინი (ჰ- || ს-) პირის ნიშნებია დაბოლოებული ზმნისწინის მომდევნოდ გა-ს-დევს > გა-ე-დევს; მი-ს-დევს > მი-ე-დევს; და-ჰ-ყეფს > და-ე-ყეფს. გვხვდება გარდამავალ საფეხურად მიჩნეული ინოვაციებიც: გამოიყენება ჰ- || -ს პირის ნიშნებთან ერთად და ვიღებთ ჰ- || ს- (ზ-, შ-) კომპლექსით გამოხატულ გარდამავალ ბგერას, „რომელსაც შემართვა ჯ-სა აქვს, ხოლო დამართვა ჰ- ან ს-სი“ (196, 244). იოტაციის პროცესი ძლიერდება ქართლ-კახეთის რეგიონებთან მიახლოების პარალელურად;

დ) ხევსურეთის მომიჯნავე უკანა ფშავის სოფლებისათვის ძირითადი S₃ პირის ენ ბოლოსართის მზარდი ინტენსივობით შენაცვლება სამხრეთისაკენ სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ -ნენ დაბოლოებით;

ე) II ხოლმეობითის ფუნქციური გაფერმკრთალება და ნიველირება წინა ფშავის ქართლის მომიჯნავე და ივრის ხეობის ფშავის კახეთის მეზობელი რეგიონების სოფლებში;

ვ) აგრეთვე გარდაუვალი ზმნების მრ. რიცხვის S₃ პირის აღმნიშვნელი -ეს დაბოლოების გამოყენების ინტენსივობა და მისი თავისუფალი მონაცვლეობა -ენ

#13#

დაბოლოებასთან ნამყო დროის ფორმებში ხევისურეთთან მომიჯნავე უკანა ფშავის სოფლებში და ამ პროცესის შესუსტება უკანა ფშავიდან მოშორებით, ქართლ-კახეთთან მიმდებარე რეგიონებში მოსახლეთა მეტყველებაში და სხვ.;

ზ) ობიექტის მრავლობითობის -თ სუფიქსის წინ შემონახულია მესამე სუბიექტური პირის ნიშნები: -ს (მხოლოდითისა) და -ენ, -ნ (მრავლობითში) სამხრეთ რეგიონებში გამოყენების ინტენსივობის... შემცირებით გყავისთ, გიბავისთ, გიჭირსთ, გიკვირსთ, აგშურებიანთ, მოგიწყვანთ...

ფორმათწარმოების სტრუქტურულ მახასიათებელთაგან ფშაურში აღსანიშნავია, რომ მკვეთრად გამოხატული თავისებურებებით ხასიათდება სახელთა და ზმნურ ერთეულთა ფორმაცვალებადობა, ნაცვალსახელთა და ზმნიზედათა ფორმათწარმოება და ასევე სიტყვაწარმოება, სუფიქსთა დერივაციული ფუნქციის გამოკვეთა (შდრ. 84). საკითხის განხილვის საფუძველია დებულება, რომლის მიხედვითაც ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმაში ენობრივი ელემენტის დეტერმინაცია მისი ფუნქციური ღირებულებით ხერხდება, რასაც ფშაური დიალექტური მასალაც ადასტურებს.

ლექსიკის სფეროდან აღსანიშნავია:

დიალექტურად დიფერენცირებული ენის ლექსიკური შემადგენლობის დახვეწა-სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კილოური ლექსიკის რეგიონულ შესწავლას. ისტორიულ-შედარებითი დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის თვალსაზრისით სწორედ საველე მუშაობის შედეგად მოპოვებული ეს მასალაა საინტერესო, რადგან ჩვენი ეპოქის ნიშანდობლივი პროცესი – ურბანიზაციის მოძალემა მთას დღეს განსაკუთრებით დაეტყო და მთის კილოთა ფასეული, და მათ შორის ფშაური, ლექსიკური ერთეულების სემანტიკური მრავალფეროვნების გამოკვეთა რეგიონული მონაცემების გათვალისწინებით ამჟამად ძალზე ჭირს.

რამდენადაც ისტორიული დიალექტოლოგიისათვის აუცილებელია დიალექტურ ლექსიკურ მონაცემთა ქრონოლოგიური კორექტირებისა და სემანტიკური მრავალფეროვნების გათვალისწინება, ამდენად დიალექტური ლექსიკური ფონდის ცვლილებისა და შედარება-ურთიერთობის თვალსაზრისით სწორედ რეგიონული #14#

მონაცემების მიხედვით აღნუსხული ფშაური ლექსიკის ნიმუშები და ჩაწერილ-მოპოვებული მასალაა მნიშვნელოვანი. ამ მხრივ საყურადღებოა როგორც საკუთრივ ფშაური, ასევე დიალექტთშორისი სინონიმურად მონაცვლე და აგრეთვე სემანტიკურად ნაირგვარი ლექსიკური ერთეულები, რაც აღნიშნული დიალექტური ერთეულის არეალური შესწავლის მიზნით ჩატარებული საველე მუშაობის შედეგად გამოვლინდა. მათგან აღსანიშნავია საკითხი რეალიათა განმსაზღვრელი თავისებურებებისა და დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკის ურთიერთკავშირის შესახებ. ამ საკითხის შესწავლა-განხილვის შედეგად დასკვნის სახით იკვეთება აზრი, რომ მეტყველებრივი განსხვავებულობის საფუძველი სივრცული განზომილების ფარგლებში, ანუ რეგიონული თვალსაზრისით, მეტწილად ექსტრალინგვისტური ფაქტორებია (მოცემული არეალისათვის დამახასიათებელი კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო და იქ მცხოვრებთა ყოფიერების

ბუნებრივი და ისტორიული პირობები). შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ფაქტორების შედეგად წარმოიქმნება დიალექტურ ლექსიკაში შემავალი ის ფენა, რომელსაც ლოკალიზმები შეადგენენ.

ფშაური ლექსიკის რეგიონულ-სემანტიკური შესწავლის შედეგად გამოვლინდა აგრეთვე სემანტიკური თვალსაზრისით საინტერესო:

ა. სხვა დიალექტებთან ფორმითა და შინაარსით იდენტური (|| იგივეობრივი) ლექსიკური ერთეულები;

ბ. სხვა დიალექტებთან ფორმით იდენტური და მნიშვნელობით განსხვავებული ლექსიკური ერთეულები;

გ. სხვა დიალექტებით ფორმითა და შინაარსითაც განსხვავებული ლექსიკური ერთეულები.

წარმოდგენილი ლექსიკური მასალის სემანტიკური სტრუქტურის ანალიზი გვამღევეს საშუალებას დავასკვნათ, რომ სხვა დიალექტებთან ფორმითა და შინაარსით იგივეობრივი სიტყვები და გამოთქმები ძირითადად არქაული ხასიათისაა და ძველი ქართულიდან მომდინარეობს, ან მათი ნაწილი ამჟღავნებს შეხვედრებს უცხოურენოვან ლექსიკასთან.

ჩვენი აზრით, ესაა დიალექტური ლექსიკის შემადგენელი ის ძირითადი ნაწილი, რომელიც საერთოენობრივი სიტყვებით განისაზღვრება. ეს ლექსემები მეტწილად საერთო #15#

ენის კუთვნილებას წარმოადგენენ. ეს არის დიალექტებში შემორჩენილი ნამემკვიდრალი იმ უძველესი დროისა, როდესაც საერთოქართველური ენა ხასიათდებოდა უფრო მყარი ლექსიკური ფონდით და დიალექტური განსხვავებაც მინიმალური იყო.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა დიალექტებთან ფორმითა და შინაარსით იგივეობრივი სიტყვებისა და გამოთქმების ნაწილი ამჟღავნებს შესვედრებს უცხოურენოვან ლექსიკასთან; ამა თუ იმ დიალექტისათვის (ან დიალექტთა ჯგუფისათვის) დამახასიათებელი ლექსიკური ნასესხობანი კი დიალექტური ლექსიკის მეორე შემადგენელ ნაწილს შეადგენს (შდრ. 147, 189). ამდენად, ჩვენი აზრით, ნებისმიერ დიალექტში დადასტურებულ ლექსიკურ ნასესხობათა ანალიზი საინტერესოა როგორც ენის ისტორიის, ასევე ისტორიული ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით.

დიალექტური ლექსიკისა და საერთოენობრივი ლექსიკის ნამემკვიდრევი უძველესი დროის სიტყვების სხვა ენებთან ურთიერთმიმართების საკითხი შეიძლება ერთ სიბრტყეზე განვიხილოთ როგორც დიალექტურ, ასევე უცხოურენოვან ნასესხებ ლექსიკას საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდთან მიმართების თვალსაზრისით ერთგვაროვანი დამოკიდებულება ახასიათებთ: ნებისმიერი ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალებანი არიან წარმოქმნასთან, თხზვასა და სიტყვათა მნიშვნელობების ისტორიულ ცვალებადობასთან ერთად.

ფშაურ ლექსიკაში ასახულია დიალექტური ლექსიკის ყველა რკალი, როგორც ფორმობრივი, ასევე სემანტიკური თვალსაზრისით. ამ მხრივ აღსანიშნავია:

1. **ლექსიკური სინონიმია**, სინონიმურად მონაცვლე ლექსიკური ვარიანტების არსებობა თვით ფშაურში.

სინონიმურად მონაცვლე ლექსიკური ვარიანტების რეგიონული თვალსაზრისით განხილვისა და პარალელურ ერთეულთა თუ მოვლენათა გავრცელებულობის საზღვრების დასადგენად იზოგლოსათა ძირითადი და ლატერალური არეალების გამიჯვნის შედეგად იკვეთება სემანტიკური თვალსაზრისით საინტერესო სურათი ფშაური დიალექტური ლექსიკის მრავალფეროვნებისა უკანა ფშავის, წინა ფშავისა და ივრის ხეობის ფშავის მონაცემების მიხედვით კვლევის ამოცანების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ლექსიკური სინონიმია ფშაურში სადღეისოდ ძირითადად რეგიონულ დაყოფას დაქვემდებარებული და დაუქვემდებარებელი სინონიმურად მონაცვლე ვარიანტების არსებობით განისაზღვრება.

ა) მონაცვლე ლექსიკური ვარიანტები, რომელთა ლოკალიზაცია ხერხდება რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით, გავრცელების ტერიტორიის დადგენით;

ბ) თავისუფლად მენაცვლე ლექსიკური ვარიანტები, რომლებიც არ ექვემდებარება რეგიონულ დაყოფას და მათი ლოკალიზაცია არ ხერხდება მოცემულ ტერიტორიაზე სახელდების პარალელური ფორმების ერთდროულად დადასტურების გამო.

ძალზე საყურადღებოა დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური მრავალფეროვნება და ნაირგვარობა ფშაურში, რაც დიალექტურ სხვაობათა ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურისა და ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების ურთიერთმიმართებით განისაზღვრება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, როგორცაა რეგიონული მონაცემები – სიტყვის მნიშვნელობაში რეგიონული მმენტის გათვალისწინება (რაც სიტყვათა გეოგრაფიულ პროექციას ითვალისწინებს) და ეთნოგრაფიული არეალები.

ამ მიმართებით ფშაური ლექსიკური მასალა ძალზე მრავალფეროვანია და ენის ისტორიისა და შედარებით-ისტორიული დიალექტოლოგიის ინტერესებიდან გამომდინარე, შემდგომი გამოწვლილვითი საძიებო სამუშაოების ჩატარების უცილობელ წინაპირობას ქმნის.

ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური სტრუქტურის გამოკვეთა, ლექსიკური მნიშვნელობის სრულყოფილი კლასიფიკაცია და ამის შედეგად ლექსემათა სემანტიკური მოცემულობის დადგენა დაკავშირებულია სიტყვის, როგორც ენის ძირითადი ერთეულის, სპეციფიკასთან. ლექსიკური სისტემა ენისა სიტყვათა პოლისემანტურობას და ლექსემათა სემანტიკური მოცულობის ცვალებადობას ითვალისწინებს, რაც სხვადასხვა გარეგანი თუ შინაგანი ფაქტორების ზემოქმედებით განისაზღვრება.

ლინგვისტურ ფაქტორთაგან ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია:

ა) სიტყვათა მნიშვნელობების ქრონოლოგიური კორექტირება;

#17#

ბ) სიტყვის ინდივიდუალური სემანტიკით განპირობებული კონოტაცია;

გ) სემანტიკური ძვრები: პოლისემიური არის ცვალებადობა;

დ) რეინტერპრეტაცია.

აღნიშნული ლინგვისტური და ექსტრა ლინგვისტური ფაქტორების გათვალისწინება დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური მრავალფეროვნებისა და ნაირგვარობის

გამოვლენისა და ლექსიკური თვალსაზრისით მოცემული არეალის სრულყოფილი დიალექტოლოგიური დახასიათების წინაპირობაა.

ამ თვალსაზრისით შესწავლილი ფშაური ლექსიკიდან გამოიყოფა:

ა) ლექსიკონში შეტანილი და დახასიათებული სიტყვები, რომელთა დამატებითი, განსხვავებული მნიშვნელობანი გათვალისწინებული არ არის და, ამდენადვე, არც სიტყვის ლექსიკური ღირებულება და სემანტიკური პარალელებია სრულყოფილად წარმოდგენილი.

ბ) პოლისემანტიკური ლექსიკური ერთეულები მათი დამატებით, განსხვავებულ მნიშვნელობათა (სემანტიკური პარალელების) გავრცელების განმსაზღვრელი ტერიტორიის (დიალექტური არეალის) დადგენით;

გ) პოლისემანტიკური ლექსიკური ერთეულები რეგიონულ დაყოფას დაუქვემდებარებელი, თავისუფლად მონაცვლე დამატებითი, განსხვავებული მნიშვნელობებით (სემანტიკური პარალელებით);

დ) დღემდე აღუნუსხავი სიტყვები და იდიომური გამოთქმები, ან მათი დაუზუსტებელი მნიშვნელობანი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კილო-თქმათა მდიდარი ენობრივი საგანძურისა და ენის ისტორიის შესწავლისათვის.

საველე მუშაობის დროს მოპოვებული და აღნიშნული ფაქტორების მიხედვით კვალიფიცირებული ფშაური ლექსიკის საინტერესო ნიმუშებს, რომლებიც ნაშრომშია განხილული, ვასეული მნიშვნელობა ენიჭებათ ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა თხზულებებში დადასტურებულ ფშაურ ფორმათა მართებული გაგებისა და, საერთოდ, შედარებით-ისტორიული დიალექტოლოგიისა და ეროვნული ენის ლექსიკური ფონდის სრულყოფილად შესწავლის თვალსაზრისით.

#18#

დარგობრივი ლექსიკიდან აღსანიშნავია:

ა) თემატური რკალებისა და ჰიპონიმიის პრინციპის გამოვლენის მიხედვით აღწერილი ფშაური დარგობრივი ლექსიკა დღემდე შესწავლილი არ ყოფილა. იგი საერთოენობრივი ლექსიკური ფონდის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და განისაზღვრება ფშავის მრავალფეროვან მეურნეობრივ წარმოებასა და სამეურნეო ურთერთობებთან, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესსა და ყოფასთან დაკავშირებული სალექსიკონო მასალით, რაც გარკვეულწილად ხალხურ ქმნილებებსა და საკულტო რიტუალებისა და ჩვეულება-რწმენისადმი მიძღვნილ ლეგენდა-გადმოცემებშია ასახული;

ბ) დიალექტური ექსიკური ფონდის დროული გამოვლენა ფრიად საშურია, რადგან მეურნეობრივი ცხოვრების წესის ცვლილება-განვითარებისა და, საერთოდ, დიალექტურ თავისებურებათა ერთგვარი ნიველირების პროცესის გამო, რასაც მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტი განიცდის, კუთხური მეტყველების მრავალი თვალმარგალიტი ჩვენთვის თანდათან ხელმიუწვდომელი ხდება;

გ) ფშაური ლექსიკის სხვა დიალექტებთან შედარებით გამოიკვეთა, რომ იგი მდიდარია საკუთრივ ფშაური ლექსიკური ერთეულებით. ფშაური ლექსიკის სემანტიკურ სტრუქტურაში ამ მიმართებით გამოიყოფა სხვა დიალექტების ლექსიკასთან ა) ფორმითა და

შინაარსით იგივეობრივი, ბ) ფორმით ერთნაირი, შინაარსით განსხვავებული, გ) ფორმითა და შინაარსით განსხვავებული ერთეულები;

დ) ფშაური დარგობრივი ლექსიკის აღწერის საშუალებით ვლინდება ჰიპონიმის პრინციპი, რაც სიტყვათა ექსტენსიონალს უკავშირდება. ფშაურ ლექსიკაში, ისევე როგორც მის სტრუქტურაში, შემონახულია არქაიზმები. შესაბამის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინების საშუალებით გამოიყოფა ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არ გვხვდება სალიტერატურო ქართულში და ძველ ქართულ ლიტერატურულ ქმნილებათა კუთვნილებაა;

ე) ფშაური დარგობრივი ლექსიკა თემატიკურად მრავალფეროვანია და იგი მრავლად შეიცავს ლექსემებს, რომლებიც არ გვხვდებიან ქართული ენის: განმარტებით ლექსიკონში დღემდე გამოუქვეყნებლად ითვლებოდნენ ან განსხვავებული მნიშვნელობანი აქვთ; აგრეთვე იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა მნიშვნელობები საერთოდ უცნობია და, ასევე იმ სიტყვებს, რომლებსაც ქართული ენის სხვა კილოებს მიაკუთვნებდნენ;

#19#

ვ) ფშაური დარგობრივი ლექსიკა მოიცავს მრავალ საინტერესო ტერმინს, რომელთაც ფასეული მნიშვნელობა აქვთ ისტორიული ლექსიკოლოგიის, შედარებითი დიალექტოლოგიისა და ქართული ენის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით;

ზ) ქართული ენისა და დიალექტური ლექსიკის თავისებურებათა გამოვლენა-დადგენის თვალსაზრისით გარკვეული ღირებულება ენიჭება იმ ლექსიკური მასალის შესწავლას, რომელიც დაკავშირებულია ენობრივი კოლექტივის დანაწევრებასთან სქესისა და ასაკის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მასალა, ე. წ. „ბავშვის ენის“ სიტყვების სახით, წარმოდგენილია სემანტიკური ბუდეების მიხედვით განხილულ დარგობრივი ლექსიკის ყველა თავში შესაბამისი მოვლენებისა და საკითხების გაშუქების დროს, რაც საინტერესო „ლექსიკურ სპექტრს“ ასახავს საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდთან მიმართებით.

#20#

II თავი – ფშაური ლექსიკის რეგიონულ-სემანტიკური კლასიფიკაციის პრობლემა

§ 1. პრობლემის აქტუალურობა. დიალექტთა მონაცემების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ენის თეორიის მრავალთ მნიშვნელოვანი საკითხის სწორად გადაჭრა. დიალექტები მეტყველებაში მოქმედ კანონთა ყველაზე ნათლად გამოვლენის უმნიშვნელოვანესი სფეროა, ხოლო თვით მეტყველება ენისა და მისი ძირითადი კანონების რეალიზაციაა. ამიტომაც დიალექტთა შესწავლას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, „მათი შემდგომი, უფრო ჩალრმავებული კვლევა-ძიება ქართული ენათმეცნიერებისათვის აქტუალურ საქმედ ითვლება, განსაკუთრებით ქართული ენის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როდესაც სალიტერატურო ენის გავლენა დიალექტებზე გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე ყოფილა“ (119, 11).

ქართველი ერის კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების დონის განუხრელი ცვალებადობა ქართული ენის ლექსიკური მარაგის განუწყვეტელ ცვლილებებს იწვევს, რაც სისტემატურ დაკვირვებასა და შესწავლას მოითხოვს. ასევე ითქმის დიალექტური ლექსიკის შესახებაც.

დიალექტების შესწავლის მნიშვნელობას აძლიერებს ისიც, რომ მათ გრამატიკულ წყობასა და ლექსიკაში გვხვდება არქაული მოვლენები თუ საინტერესო სიახლენი, რომლებიც ჯერ კიდევ თავის დროზე ვერ გამოუვლენია ქართული მწერლობის უძველეს ძეგლთა ენას (223, 3) და რომელთაც დიდი ღირებულება ენიჭებათ დიალექტთა ისტორიული განვითარებისა და სალიტერატურო ენასთან მათი მიმართების ზოგადი საკითხების გარკვევის თვალსაზრისით.

დიალექტური ლექსიკის საფუძვლიანი შესწავლა, წარმოქმნილ სიტყვათა სტრუქტურა და ლექსიკურ ერთეულის სემანტიკური მოდელების დადგენა, იზოგლოსათა არელების გამოყოფა და ადგილობრივი ლექსიკის დარგობრივი კლასიფიკაცია, თავის მხრივ, ხელს უწყობს „ქართული კილო-თქმების ახალი ასპექტით შეჯერებასა და ქართველურ ენათა სტრუქტურის შესაბამის ელემენტებთან მათ მიმართებათა კომპლექსურ შესწავლას“ (160, 3).

დიალექტური ლექსიკა სალიტერატურო ენის განვითარება-გამდიდრების ძირითადი წყაროა. საერთო ენის ლექსიკური ფონდი დიალექტური ლექსიკით საზრდოობს და იგი #21#

სპეციალურ ლექსიკასთან ერთად საერთო-სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, ამიტომ სრულად უნდა გამოვლინდეს ქართული ენის ყველა დიალექტის ლექსიკური მონაცემები, კერძოდ, სამეურნეო საქმიანობასა და ყოფით მოვლენებთან დაკავშირებული ლექსიკა, რაც ამა თუ იმ დიალექტურ არეალში მცხოვრებ პირთა ყოველდღიურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

ცნობილია, რომ ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განუხრელი აღმავლობა დიალექტურ თავისებურებათა ნიველირების პროცესს უწყობს ხელს, რაც მეტად საშურს ხდის სათანადო დიალექტური მასალის სოფელ-სოფელ, გამოწვლილვით შეკრებას. ქართული დიალექტოლოგიის განვითარების ახლანდელ ეტაპზე აქტუალურ საკითხად რჩება დიალექტის სინქრონიული შესწავლა და დიალექტური მასალის შეკრება-ფიქსაცია (96, 184). „ამ მიმართულებით კვლევა-ძიება ისე უნდა წარიმართოს, რომ ქართული ენის ყველა კილო, კილოკავი, თქმა თუ ქცევა შესწავლილ იქნეს სრულად და ამომწურავად, როგორც ფონეტიკურად და გრამატიკულად, ისე ლექსიკურად. ეს საშუალებას მოგვცემს საბოლოოდ დავადგინოთ დიალექტთა და დიალექტურ მოვლენათა გავრცელების საზღვრები, გავმიჯნოთ დიალექტთა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები და გადავწყვიტოთ შედარებითი დიალექტოლოგიის აქტუალური საკითხები“ (119, 13).

ამ მხრივ ფშაური დიალექტის მონაცემებს ქართული ენის ფონეტიკური სისტემის გრამატიკული წყობისა და ლექსიკური შედგენილობის მრავალი საკითხის ისტორიულ ასპექტში კვლევა-ძიებისათვის ღირებული მნიშვნელობა აქვს.

ფშაური ლექსიკა მთლიანად ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი. მისი სრულად აღნუსხვა, ლექსიკურ ერთეულთა შეკრება-ფიქსაცია და ლოკალიზაცია ცალკეულ

რეგიონთა მიხედვით, აგრეთვე სემანტიკური სტრუქტურის დადგენა, იზოგლოსათა არეალების წარმოჩენა და ადგილობრივი ლექსიკის დარგობრივი კლასიფიკაცია, რაც დღემდე არ ყოფილა კვლევის ობიექტი, უდავოა, ხელს შეუწყობს ქართული ენის კილო-თქმების არეალურ შესწავლას, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული დიალექტოლოგიური ატლასის შექმნისა და საერთოდ ისტორიულ-შედარებითი დიალექტოლოგიის განვითარების თვალსაზრისით.

#22#

თვით პროფ. ა. შანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახლა, როდესაც მთის კილოების შესახებ გარკვეული მუშაობაა ჩატარებული, სასურველია და საჭიროც, რომ თვითეული კილო ცალკ-ცალკე იქნეს უფრო დაწვრილებით შესწავლილი და შემოწმებული ყველა მასალა, რაც გამოქვეყნებულია, და შეგროვილ იქნეს ახალი მასალა, რომ უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ თვითეული მათგანის შესახებ. ჯერ კიდევ შეიძლება მივუსწროთ და აღვწახოთ ხალხური სიტყვიერების მასალები და სიტყვები, რომლებიც ამ კილოების კუთვნილებას შეადგენს“ (167, 42).

ეს აზრი დიდ მეცნიერს ადრე არ გამოუთქვამს. საყურადღებოა, რომ იგი თხზულებათა ტომის ავტორისეულ წინასიტყვაში აქვს ჩამოყალიბებული 1978-83 წლებში და, ამდენად, აქტუალურია დღესაც.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ დიალექტური ლექსიკური საგანძურის რეგიონულად აღწერა და შემდგომ მისი ატლასზე აღბეჭდვა, ჩვენი აზრით, ქართული დიალექტოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია და ამ ამოცანის გადაჭრისათვის ფასეულია წინამდებარე გამოკვლევაში სათანადო (არეალური შესწავლის) მეთოდის მომარჯვებით გამოვლენილი ფშაური დიალექტის მონაცემები.

§ 2. გამოკვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის ობიექტი. გარემოს დიალექტურ მახასიათებელთაგან. გრამატიკული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ერთი მხრით, ხალხურ მეტყველებაში დამკვიდრებულ სინტაქსურ კონსტრუქციათა ანალიზი, მეორე მხრით, ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთმიმართებანი, დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა კვალიფიცირება რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით და ლექსემათა სემანტიკური ნიუანსების წარმოჩენა.

გრამატიკულ თუ ლექსიკურ თავისებურებათა ერთგვარ ნიველირებას, რაც გარდაუვალი პროცესია ნებისმიერი დიალექტისათვის, ფშაური კილოც განიცდის. მიუხედავად ამისა, იგი ინარჩუნებს დიალექტოლოგიური თვალსაზრისით მკაფიოდ გამოხატულ თავისებურებებს.

#23#

არსებული გამოკვლევებისა და მოპოვებული მასალის მიუხედავად, ფშაური დიალექტის ლექსიკის სრულთ მიმოხილვა ყველა კუთხის მონაცემთა საფუძველზე დღემდე არ გაგვაჩნია. არც სათანადო ტექსტებია საკმაო რაოდენობით გამოქვეყნებული. საკითხის გადაწყვეტა კი საშური და მნიშვნელოვანი.

ცნობილია, რომ დიალექტურად დიფერენცირებული ენის ლექსიკური შედგენილობის დახვეწა-სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიალექტურ ლექსიკას, სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთა ყოფით რიტუალებსა და სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ლექსიკის თანმიმდევრულად აღწერასა და გამოვლენას. ამ მმხრივ, სხვა დიალექტებთან ერთად, საყურადღებოა მონაცემები ფშაურისა, რომელიც მთის კილოთა ჯგუფს განეკუთვნება, მრავალფეროვანი ლექსიკა აქვს და ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებებით შუალედური მდგომარეობა უკავია აღმ. საქართველოს ბარისა და მთის დიალექტებს შორის (164, 11; 176, 3), რაც განისაზღვრება ფშაურ კილოზე მოლაპარაკე მოსახლეობის ერთ დროს გაძლიერებული მიგრაციით (რამაც ეთნოგრაფიული ფშავი გეოგრაფიულთან შედარებით ძალზე განავრცო) და მოძმე დიალექტების (ხევსურული, მთიულური, თუშური, მოხეური) ენობრივი ასიმილაციის გათვალისწინებით. სწორედ ბარისა და მთის დიალექტებთან კონტაქტმა და, რაც მთავარია, დიალექტური, თემური და ეთნოგრაფიული მიკროკულტურული ერთობის განვრცობამ შეუწყო ხელი ფშაურში როგორც ლექსიკურ, ასევე ფონოლოგიურ-მორფოლოგიურ ერთეულთა ინოვაციების მონაცვლე და ასევე პარალელური ვარიანტების განვითარებას. ამდენად, შედეგად ამისა, გამოიკვეთა სხვაობა ტერიტორიული მეტყველებრივი ნაირსახეობების სახით, ანუ განსხვავებულობა დიალექტსშიგნითა სივრცული განზომილების ფარგლებში, როგორც ენობრივი, ასევე ლექსიკურ-სემანტიკური დონის მიხედვით. ამიტომაც ფშაურ დიალექტზე უშუალო დაკვირვებათა შედეგად გაგვიჩნდა მოსაზრება, რომ იგი საინტერესოა როგორც ქრონოლოგიური ასევე სივრცული განზომილების, ანუ რეგიონული თვალსაზრისით, რაც ადგილზე მოპოვებული მდიდარი დიალექტური მასალით დადასტურდა.

გამოვლევის მიზანია ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების #24#

გათვალისწინებით ფშაური დიალექტური მასალის რეგიონულად შესწავლის საფუძველზე, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული დიალექტოლოგიის სადღეისო ამოცანაა, არაგვისა და ივრის ხეობების სოფელ-სოფელ და აგრეთვე გომბორსა და ქვემო ქედში კომპაქტურად მცხოვრებ ფშავლებში მოპოვებული და აღწერილი დიალექტური მასალის გამოყენების საშუალებით:

შემდგომისდაგვარად სრულად წარმოადგინოს კუთხური ლექსიკის საგანძური;
დიალექტურ ლექსემათა სრული პასპორტიზაციის მიზნით გამოავლინოს კუთხურ ლექსიკურ ერთეულთა დამატებითი მნიშვნელობანი და ამ გზით განსაზღვროს არაგვისა და ივრის ხეობის ფშაველთა მეტყველებაში დადასტურებული ლექსიკურ-სემანტიკური მიმართებანი, აგრეთვე დიალექტურ ლექსემათა, როგორც თავისუფლად მონაცვლე, ასევე რეგიონულ დაყოფას დაქვემდებარებული ლექსიკური ვარიანტები;

დაადგინოს ის ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებანი, ეთნიკური ფშავის ამა თუ იმ არეალში მცხოვრებთა მეტყველებისათვის რომ არის დამახასიათებელი;

გამოიკვეთოს ის, რაც ძირითადია საკვლევი დიალექტური ერთეულისათვის და რაც საერთოა მის მომიჯნავე დიალექტებთან.

შრომში გაანალიზებულია ეთნიკური ფშავის სხვადასხვა არეალში, კერძოდ, არაგვისა და ივრის ხეობათა ფშავურ სოფლებში, აგრეთვე გომბორსა და ქვემო ქედში ჩაწერილი დიალექტური მასალა, რომელიც მოპოვებულია ჩვენ მიერ სხვადასხვა დროს აღნიშნულ რეგიონებში ჩატარებული სავსე მუშაობისას.

§ 3. კვლევის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლენი. საკითხის კვლევისას ვხელმძღვანელობდით პრინციპით, რომ დიალექტთა შერევისა და მოცემული დიალექტის შიგნით ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის ხმარებლობის არეალისა და მისი სინონიმურად მონაცვლე ვარიანტების გავრცელების განმსაზღვრელი ტერიტორიების დასადგენად ენათმეცნიერული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იზოგლოსათა გამოყოფა-დადგენა, რაც საბოლოოდ დიალექტურ ლექსემათა გავრცელების ძირითად და ლატერალურ არეალებს მიჯნავს და დიალექტოლოგიური ატლასის შექმნის წინაპირობაა. ამ მხრივ საყურადღებო #25#

აღმოჩნდა არაგვისა და ივრის ხეობის ფშაველთა მეტყველებისათვის დამახასიათებელ დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა ლოკალიზაცია რეგიონული მონაცემების მიხედვით დადასტურებული სემანტიკური ნიუანსებისა და განსხვავებულ მნიშვნელობათა გათვალისწინებით, რაც მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი ფშავურ დარგობრივ ლექსიკაში და დღემდე არ ყოფილა ასახული სპეციალურ ლიტერატურაში.

ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები ამგვარად ყალიბდება:

– ტერიტორიული მეტყველებრივი ნაირსახეობების გამოვლენის თვალსაზრისით, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით, პირველად არის განხილული ფშავური ლექსიკა, მოცემულია ლექსიკურ-სემანტიკური დონის დიალექტურ სხვაობათა დახასიათება ჩვენთვის საინტერესო დიალექტურ გარემოში. ამ მიზნით:

– კლასიფიცირებულია სინონიმურად მონაცვლე ვარიანტები:

– ლექსიკურ მიმართებათა გასარკვევად და პარალელურ ერთეულთა თუ მოვლენათა გავრცელებულობის საზღვრების დასადგენად ნაშრომში ასევე პირველად არის მოცემული ფშავურ იზოგლოსათა ძირითადი და ლატერალური არეალების გამიჯვნის საკითხი, რაც ძირითადად უკანა ფშავის, წინა ფშავისა და ივრის ხეობის ფშავის მონაცემებს მოიცავს.

– პირველადაა წარმოდგენილი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზეგავლენით ჩამოყალიბებულ დიალექტურ-ლექსიკურ ერთეულთა მრავალფეროვნება და ნაირგვარობა; პოლისემანტურ ლექსიკურ ერთეულთა კლასიფიკაცია და ლოკალიზაცია. ამ მიზნით:

– მოცემულია სემანტიკური ანალიზი იმისთანა ლექსიკური ერთეულებისა, როგორცაა:

ა) ლექსიკონებში შეტანილი და დახასიათებული სიტყვები, რომელთა დამატებითი, განსხვავებული ფშავური მნიშვნელობანი დღემდე გათვალისწინებული არ იყო და, ამდენად, არც სიტყვის ლექსიკური ღირებულება, სემანტიკური პარალელები და მათი მოცულობანი იყო სრულყოფილად განსაზღვრული და წარმოდგენილი.

ბ) პოლისემანტური ლექსიკური ერთეულები მათი დამატებით, განსხვავებულ მნიშვნელობათა (სემანტიკური პარალელების) გავრცელების განმსაზღვრელი ტერიტორიული ზონის (დიალექტური არეალის) დადგენით;

#26#

გ) პოლისემანტური ლექსიკური ერთეულები რეგიონულ დაყოფას დაუქვემდებარებელი, თავისუფლად მონაცვლე დამატებითი, განსხვავებული მნიშვნელობებით (სემანტიკური პარალელებით).

– წარმოდგენილია ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი დღემდე აღუნუსხავი სიტყვებისა და იდიომური გამოთქმებისა.

– ნაშრომში სიტყვათა ექსტენსიონალზე დამყარებული ჰიპონიმის პრინციპის გამოყენებით პირველად არის აგრეთვე მოცემული თემატიკურად მრავალფეროვანი და ნაირგვარი სემანტიკური ელფერის მქონე ადგილობრივი ლექსიკის ამომწურავი დარგობრივი კლასიფიკაცია.

ფშაური დიალექტური ლექსიკა ამ კუთხით და ამგვარი სისრულით ჯერ შესწავლილი არ ყოფილა და ამ ხარვეზის შევსება, რასაც გამოკვლევა ითვალისწინებს, ჩვენი აზრით, მეცნიერულ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ.

ამასთან დაკავშირებით მიღებულია დასკვნები, რომ ტერიტორიული მეტყველებრივი განსხვავებულობა, ანუ მეყველებრივი განსხვავებულობა სივრცული განზომილების ფარგლებში, რაც თავის დროზე, ჯერ კიდევ 1913 წელს, ა. შანიძემ შენიშნა ფშავის სხვადასხვა თემის წარმომადგენელთა მეტყველებას შორის, დღესაც ნიშანდობლივია ფშაური დიალექტისათვის. ტერიტორიული მეტყველებრივი განსხვავებულობა კი, თავისი მხრით, გულისხმობს მორფონოლოგიურ და ლექსიკურ თავისებურებათა და ინოვაციათა არსებობას გავრცელების სხვადასხვა რეგიონს შორის. ეს, ჩანს, გამოწვეული უნდა იყოს ადგილობრივ მკვიდრთა მისწრაფებით თვით ერთი ეთნოსის შიგნით შიგადალექტური დიფერენციაციისა და ენობრივი თვითგამიჯვნის ტენდენციისადმი მეტყველების ამ ნაირსახეობებს დღესაც ზედმიწევნით კარგად განასხვავებენ უპირველესად თვით ადგილობრივი მკვიდრნი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თუ ფშავის არაგვის ქვემოწელში მდებარე სოფლების მცხოვრებთა მეტყველებას ქართლურის გავლენა ემჩნევა, მშობლიური კილო უფრო უკეთ აქვთ შემონახული განსაკუთრებით უკანა ფშავისა და წინა ფშავის რეგიონებში, ასევე ს. არტანსა და ს. გომბორში მცხოვრებ და ს. ქვემო ქედში კომპაქტურად დასახლებულ ფშავლებს.

#27#

§ 4. ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ფშაურ ლექსიკურ ერთეულთა არეალური კლასიფიკაცია და მათი სემანტიკურ მიმართებათა ანალიზი რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინების საფუძველზე დღემდე არ გაგვაჩნდა. ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომი ფართო პლანით შესრულებული გამოკვლევაა, რომელშიც წარმოდგენილია უხვი საინტერესო ლექსიკურ-სემანტიკური დონის დიალექტური მასალა მასში ასახულია ჰიპონიმის პრინციპის მიხედვით

გამოვლენილი კუთხური ლექსიკის მდიდარი საუნჯე, ლექსემათა და ინოვაციათა სემანტიკური და არეალური კლასიფიკაცია, სინონიმურად მონაცვლე ლექსიკური ვარიანტები, დადგენილია იზოგლოსათა ძირითადი და ლატერალური არეალები; სივრცული განზომილების ფარგლებში მეტყველებრივი განსხვავებულობის თვალსაზრისით პირველადაა შესწავლილი არაგვის (წინა ფშავი, უკანა ფშავი) და ივრის ხეობის დიალექტური ლექსიკა; გამოვლენილია მრავალი ახალი ლექსიკური ერთეული. ბევრ სიტყვას, სალიტერატურო ქართულში რომ გვხვდება ან არ გვხვდება, დამეზნილი აქვს ახალი მნიშვნელობები. მიღებული შედეგები კი მოცულობითი შესაძლებლობების პირობების გათვალისწინებით შეპირისპირებულია ქართული ენის მთისა და ბარის სხვა დიალექტების მონაცემებთან. ჩატარებული კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია როგორც ქართული სალიტერატურო ენისა და მისი დიალექტების ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების გამოწვლილვითი, სრული ანალიზის, ასევე ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც, ამიტომაც იგი თეორიულ მნიშვნელობას იძენს.

გამოკვლევაში წარმოდგენილი სიახლეები, შეიძლება ითქვას, ამდიდრებენ ქართულ კილოთმცოდნეობას კვლევის შედეგები ფასეულია, როგორც ფილოლოგიური მეცნიერების, ასევე ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა თვალსაზრისითაც.

თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად ნაშრომს აქვს პრაქტიკული ღირებულებაც. ერთი მხრით, ნაშრომში წარმოდგენილი ზოგადი თუ კერძობითი სახის დასკვნა-განზოგადებანი სასარგებლოა ფშავური დიალექტისა და მთის კილოების ამომწურავი შესწავლისათვის ამ თვალსაზრისით იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში ფილოლოგიის ფაკულტეტის სპეცკურსებსა და სპეცსემინარებში დიალექტოლოგიისა და ქართული ენის კურსის შესწავლის დროს.

#28#

ენათმეცნიერულ სპეციალობებზე კი –სტუდენტთა სადიპლომო, საკურსო თუ სამაგისტრო ნაშრომებში.

მეორე მხრით, მას ფასეული მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული ლექსიკოლოგიის, შედარებითი დიალექტოლოგიისა თუ ენის ისტორიის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისათვის, აგრეთვე ქართული დიალექტოლოგიური ატლასის შესაქმნელად.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს ლინგვისტებს, მწერლებს, დიალექტოლოგიის პრობლემებით დაინტერესებულ პირებს.

§ 5. კვლევის მეთოდები, საანალიზო მასალა და წყაროები, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. საკვლევი თემის ძირითადი საკითხის განსახილველად გამოყენებულია არეალური და სემანტიკური თვალსაზრისით დიალექტურ მოვლენათა სინქრონიული (აღწერითი) და ისტორიულ-შედარებითი შესწავლის მეთოდები სალიტერატურო ქართული ენის სისტემაში დამკვიდრებულ ელემენტებთან მიმართებით, რაც თავისთავად არ გამორიცხავს დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა და მოვლენათა დიაქრონიულ ინტერპრეტაციას, რამდენადაც „ენის ელემენტებისა და მიმართებების სინქრონიული აღწერის გარეშე ვერ მოხერხდება ენის მთლიანი დიაქრონიული აღწერა, ხოლო ენის

ელემენტთა მიმართებების სინქრონიული და დიაქრონიული აღწერა ჩვენ ერთიან პროცესად გვაქვს წარმოდგენილი“ (160, 3). ე. ი. სინქრონისტული პრინციპი ენაში მიმდინარე პროცესების უგულვებელყოფას არ გულისხმობს იმდენად, რამდენადაც ცვლილება ენის შინაგანი ბუნებით არის განსაზღვრული და ენის მკვლევარი ყოველთვის მიმდინარე ცვლილებების მოწმეა“ (210, 220). ამასთან ვითვალისწინებთ იმასაც, რომ „ენის მეცნიერული შესწავლა-გაგებისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ისეთ შედარებას, რომელიც შესადარებელ ენათა ისტორიის გარკვევას შეგვაძლებინებს: შედარება საშუალებაა, ისტორია კი მიზანია“ (160, 6).

საანალიზო მასალა და წყაროები. ლექსიკურ-სემანტიკურ თავისებურებათა ანალიზი ემყარება მოცემულ დიალექტურ გარემოში მცხოვრებთა მეტყველებაზე ავტორის უშუალო დაკვირვებებს, ფშავის, კახეთის, შირაქისა და თიანეთის რაიონის სოფლებში მოგზაურობის დროს და ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებების საშუალებით შეკრებილ ენათმეცნიერულად სანდო და ღირებულ ტექსტებს აგრეთვე ფშავურისადმი მიძღვნილ #29#

გამოკვლევებს და ტექსტებს (ვაჟა-ფშაველა, თ. რაზიკაშვილი, ი. ჭყონია, ა. შანიძე, ალ. ჭინჭარაული, ი. ქვიციანი, ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, შ. მიძიგური, გ. ცოცანიძე), რაც გარკვეულ ზოგად წარმოდგენას იძლევა ფშავური დიალექტის თავისებურებათა შესახებ.

ჩვენი მიზანი იყო ფშავური დიალექტის შესწავლა ყველა განზომილებით. ამიტომ 1972 წლიდან, წლების მანძილზე, ზამთარ-ზაფხულ სოფელ-სოფელ ვაგროვებით და აღწერებით საჭირო დიალექტოლოგიურ მასალას ეთნიკური ფშავის ყველა რეგიონში (შეკრებილია საყოფაცხოვრებო და სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების, ყოფითი მოვლენებისა თუ სამეურნეო საქმიანობის გამომხატველი სხვადასხვა ჟანრის მრავალფეროვანი ლექსიკური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ღირებულების მასალა).

მიუხედავად იმისა, რომ ეთნოგრაფიული ფშავის ყველა კუთხიდან სათანადო მასალა თანაბარი რაოდენობით არ არის წარმოდგენილი, აღწერული ტექსტები სრულად წარმოაჩენს ფშავური დიალექტის ენობრივ თავისებურებებს. ისინი პირველ რიგში დიალექტოლოგიური დანიშნულებისაა და შინაარსობრივად ნაირგვარია.

ტექსტებში არაერთგვარობა შეინიშნება: დიალექტური ფორმების პარალელურად გვხვდება ლიტერატურულიც. შეიძლება კაცს ეს ლაფსუსად მოეჩვენოს, მაგრამ ამას, როგორც ცნობილია, თავისი მიზეზი აქვს: ერთი და იგივე დიალექტური მოვლენა, რომ აღარაფერი ვთქვათ სოფლებსა და განსხვავებული სამეტყველო თვისებების მქონე მთქმელებზე, ზოგჯერ სხვადასხვა ვარიანტით იჩენს ხოლმე თავს თვით ერთისა და იმავე პირის მეტყველებაში; ანგარიშგასაწევია ისიც, რომ დღევანდელ ფშავში გამოკვეთილია ფშავური მეტყველების როგორც ასაკობრივი, ასევე ტერიტორიული დიფერენციაცია: მეტყველებაში ე. წ. „კუთხურობის“ ელემენტის მეტ-ნაკლები დაცულობა ცალკეულ ინდივიდთან და ტერიტორიული მეტყველებრივი ნაირსახეობების არსებობა, რასაც თვით ფშავლებიც კარგად გრძნობენ. ზოგან შეინიშნება წმინდა ლიტერატურულ ნორმათა სიჭარბეც, რაც ძირითადად უმცროსი თაობის მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი და თვალნათელი დადასტურებაა

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების მატერიალიზაციის ენაში, ხალხურ მეტყველებაში.

ჩვენ მიერ საველე მუშაობის დროს მოპოვებული ტექსტობრივი მასალის გარდა,
#30#

უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის, გამოვიყენეთ და პირადი მივლინებების დროს მოპოვებულ მასალასთან შევაჯერეთ თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის მიერ ჯერ კიდევ 1962 წ. ფშავში ჩატარებული დიალექტოლოგიური ექსპედიციის მასალაც, ასევე გამოყენებული გვაქვს ა. შანიძის მიერ სანიმუშოდ შედგენილი „მთის კილოთა ლექსიკონი“, რომელიც მდიდარ ფშაურ მონაცემებს შეიცავს და მის მიერვე შეკრებილი ფშაური ტექსტები, რომლებიც მკვლევრის თხზულებათა I ტომში გამოქვეყნდა (167, 274-476; 167, 61-171); ვაჟა-ფშაველას თხზულებები და ფოლკლორულ-ეთნოგრაფული ნაწერები (88; 89; 90; 91; 92), რამდენადაც მის მიერ გამოყენებულ „ფშაურ ფორმებს დიალექტოლოგიური მიზნით ჩაწერილი ტექსტების მნიშვნელობა ენიჭება“ (137, 252). გამოვიყენეთ აგრეთვე ბაჩანას (ნ. რაზიკაშვილის) თხზულებები, თ. რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი ფშაური ლექსები და მის მიერვე მოპოვებული და გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ფშაური სალექსიკონო მასალა (თ. რაზიკაშვილი, ქართული ენის საუნჯის მასალად, გაზ. „ივერია“, №№ 127-135, 138, 140, 142, 150, 151, 153, 155, 156, 157, 160, 161, 162, 166, 167, 168, 1900 წ.), რომელიც ნაწილობრივ შევიდა ილია ჭყონიას „სიტყვის კონაში“ (სპბ, 1910), და მთლიანად – ალ. ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა „სიტყვის კონაში“ (ტ. I, 1974, ტ. II, 1975; ტ. I-II, 1984). ამას გარდა, გამოყენებული გვაქვს ფშაური ტექსტობრივი მასალა ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიასა და ი. ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგიიდან“ (34), შ. ძიძიგურის „ქართული დიალექტოლოგიის მასალებიდან“ (178); ლ. ბოძაშვილის მიერ შედგენილ ყრუვ გიორგის „კავიებიდან“ (162) და სხვ.

ჩვენს მასალას შევაჯერეთ ასევე ალ. ჭინჭარაულის, ი. ქეშიკაშვილისა და გ. ცოცანიძის ფშაური ლექსიკის ნიმუშები, რაც მათ ცალკეულ გამოკვლევებსა და ნაშრომებში წარმოდგენილი (ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960; ალ. ჭინჭარაული, ფშაური სალექსიკონო მასალა, იკე, XVII, თბ., 1970, გვ. 348-357; ი. ქეშიკაშვილი, თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, თბ., 1969; მისივე; ღმერთები, მითები, რიტუალები, თბ., 1990; გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978 – (179; 180; 155; 157; 176); გავითვალისწინეთ აგრეთვე ფ. მაკალათიას და გ. ბედოშვილის ტოპონიმიკური
#31#

კვლევის მონაცემები (ფ. მაკალათია, ფშავის ტოპონიმიკა, I, თბ, 1976; გ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონომია, თბ., 1980). ს. და მ. მაკალათიების, ივ. ხორნაულის, ალ. ოჩიაურის, დ. ხიზანიშვილის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მონაპოვარი (ს. მაკალათია, ფშავი, 1934; მ. მაკალათია, მესაქონლეობა აღმ. საქართველოს მთიანეთში, თბ., 1985, ფშავ-ხევსურული პოეზია, ივ. ხორნაულის შედგენილი, ქს. სიხარულიძის შესავალი წერილითა და რედაქციით, თბ., 1949; ფშაური ლექსები, შეკრ. დ. ხიზანიშვილის მიერ, ტფ., 1887; ფშავ-ხევსურული პოეზია, ალ. ოჩიაურის მიერ შედგენილი, თბ., 1971) – (114; 113; 148; 149; 150).

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. ფშაველთა ყოფის შესასწავლად გარკვეული ღირებულებებისაა სხვადასხვა დროს პრესაში, სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ქართულ (და რუსულ) პერიოდიკაში დასტამბული და, აგრეთვე, ცალკე კრებულად გამოქვეყნებული ეკონომიკურ-ისტორიული და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ხასიათის სტატიები და ცალკეული ნაშრომები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „მასალები ფშავის ეთნოგრაფიული ექსპედიციისა“ (120), პ. იოსელიანის (207), დ. ბაქრაძის (197^ა), დ. სოსლანის (217), მ. მაჩაბლის (211), ნ. დინიკის (206), მ. კოვალევსკის (208, 210), დ. და ნ. ხიზანიშვილების (189, 190), გრ. აფშინაშვილის, იგივე „ფშავლიშვილის“ (11), ივ. ჯავახიშვილის, გ. ჩიტაიას (168, 169, 170, 171, 172), გ. თედორაძის (95^ა), ს. მაკალათიას (114), ე. ბარდაველიძის (17, 18, 19, 20, 21, 22), გ. ჯალაბაძის (193, 194, 195), ალ. ოჩიაურისა (128, 129) და თ. ოჩიაურის (131, 132), თ. მელიქიშვილის (122), ც. ბეზარაშვილის (29, 30), ს. ბედუკაძის (28), ლ. ბედუკიძის (28), ნ. ლოლობერიძის (161) გამოკვლევები. თუმცადა, უნდა ითქვას, რომ ფშაური კილოსათვის დამახასიათებელი ფაქტების მთელი სისრულით აღნუსხვისათვის აქ წარმოდგენილი მასალა, ბუნებრივია, არ არის სრულყოფილი და არც მთლიანად სანდოა, რადგან იგი დიალექტოლოგიური მიზნით არაა ჩაწერილი.

ენობრივი თვალსაზრისით პირველი უტყუარი ცნობები მთის კილოების (მათ შორის ფშაურისაც) ბუნებისა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ მოცემულია ა. შანიძის წერილში „отчет о летней командировке 1913 г. В Душетский уезды Тифлисской губернии для изучения груз. говоров“ (ИЯН, 1913); განხილულ მთის კილოთა ჯგუფს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოსაზრებით ავტორი ქართული ენის ფხოურ კილოს უწოდებს.

#32#

აღსანიშნავია 1915 წ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ „კრებულში“ გამოქვეყნებული მისივე „ქართული კილოები მთაში“, სადაც მთის სხვა დიალექტებთან ერთად ზოგადად ფშაურის თავისებურებებზეცაა მითითებული.

სხვათა შორის, მკვლევარი იმთავითვე შენიშნავდა, რომ მთის დიალექტთა ე. წ. „ფხოური ჯგუფის“ წევრთაგან „ფშაურს ცოტა მოშორებული ადგილი უჭირავს, რადგანაც დროთა განმავლობაში, ქართლ-კახეთის სიახლოვის გამო მას მეტი გავლენა დასტყობია ბარისა (164, 11).

მთის კილოთა და ფშაურის მონაცემები გამოიყენა ა. შანიძემ 1920 წ. გამოცემულ გამოკვლევაში: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, ხოლო მითითებანი ფშაურის ცალკეულ თავისებურებათა შესახებ მოცემულთა მისსავე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებშიაც“ (165). (იხ. ასევე „საანალიზო მასალა“).

სხვა დიალექტებთან ერთად ფშაურის ცალკეულ თავისებურებათა შესახებ ენათმეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო მონაცემები აქვთ წარმოდგენილი სამეცნიერო შრომებისა და გამოკვლევების სახით არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, თ. უთურგაიძეს, ი. ქავთარაძეს, ა. ლეკიაშვილს, თ. გოგოლაურს, ბ. ჯორბენაძეს.

კერძოდ, ძვირფას ცნობებსა და საფუძვლიან დასკვნებს გვაწვდის ფშაურ-ხევსურული ხოლმეობითის შესახებ (თუშურთან ერთად) არნ. ჩიქობავა წიგნში: „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, (1948, § 18, გვ. 80-90).

ფშაურ დიალექტს ადგილზე აკვორდებოდა ი. გიგინეიშვილი. ფშაურ მასალას იყენებს ავტორი წიგნში: „გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხის შესახებ“ (1975, გვ. 225 და შმდ).

ფშაურის რამდენიმე ტექსტი მოკლე მიმოხილვითა და ლექსიკონითურთ წარმოდგენილია ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურისა და ი. ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგიის“ I ტომში (34).

აღსანიშნავია 1941 წ. თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში გამოქვეყნებული ა. ლეკიაშვილის ნაშრომი „ივრისხეური ფშაური“ (110^ა), სადაც მოცემულია ივრის ხეობაში მცხოვრებ ფშაველთა მეტყველებაზე ავტორის უშუალო დაკვირვების შედეგები.

#33#

ფშაური დიალექტის მასალას იყენებს თ. უთურგაიძე ნაშრომებში: „თუშური კილო“ (143) და „ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება“ (144).

ფშაური მასალის მოხმობით ამ დიალექტური ერთეულის ძირითად ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებს მიმოიხილავს თ. გოგოლაური (85, 85^ა, 85^ბ).

ფშაურის შესახებ იმ დროისათვის არსებული გამოკვლევების მონაცემთა გამოყენების საფუძველზე ფშაური დიალექტის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სიტყვაწარმოების თავისებურებათა შესახებ ქართულო ენის სხვა დიალექტების მიმოხილვასთან ერთად საგანგებოდ მსჯელობს ბ. ჯორბენაძე თავის სოლიდურ ნაშრომში „ქართული დიალექტოლოგია“, I, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 1989 წელს (196, 241-251).

მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ ჩატარებული ფშაური დიალექტის ენობრივ თავისებურებათა გამოსავლენად ალ. ჭინჭარაულსა და გ. ცოცანიძეს, რომელმაც მონოგრაფიის სახით გამოაქვეყნა ამ დიალექტის ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი (გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978), ხოლო ალ. ჭინჭარაულმა ხევსურულის პარალელურად ფშაურისათვის დამახასიათებელი ცალკეული გრამატიკული მოვლენები საინტერესოდ წარმოადგინა თავის საფუძვლიან და ცნობილ ნაშრომში: „ხევსურულის თავისებურებანი“ (თბ., 1960).

ფშაური კილოს ენობრივ თავისებურებებს თავიანთ გამოკვლევებში ეხებიან აგრეთვე ავტორები: ივ. ქავთარაძე (151^ა), და გ. გოგოლაშვილი (86).

ფშაური დიალექტის შესახებ მსჯელობენ მკვლევრები, როდესაც ისინი ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა სამწერლო ენას მიმოიხილავენ. ამ მიმართებით აღსანიშნავია ივ. გიგინეიშვილის (35, 36, 37), მ. ალავეძის (3), ივ. იმნაიშვილის (104), შ. ძიმიგურის (177) გამოკვლევები, რომლებშიაც მოცემულია ვაჟა-ფშაველას სამწერლო ენის მიმართება როგორც ძველ და ახალ ქართულთან, ასევე ფშაურ დიალექტთანაც. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სახელოვანი მწერლის ენის პრობლემა არცთუ მართებული თვალსაზრისითაც იქნა

განხილული (ივ. გიგინეიშვილი). ამ საკითხთან დაკავშირებით თეზისების სახით აქვთ გადმოცემული მოსაზრებანი აგრეთვე ავტორებს: თ. მიქელაძეს (124), მ. გოგრიჭიანს (87), ა. #34#

იოსელიანს (105), გ. ტორაძეს (141). ქვემოქედელ და თიანეთელ ფშაველთა მეტყველებაზე დაკვირვების შედეგები თეზისების სახით აქვთ გამოქვეყნებული ა. ლომთაძეს (112), მ. გელიაშვილსა (33) და ლ. ჯღამაიას (197), ასევე ცალკეული სოფლების მეტყველების მონაცემთა მიხედვით ენობრივ თავისებურებებს თეზისების სახით სხვა ავტორებიც აშუქებენ (110, 142, 154, 156, 174, 175).

ფშაური დიალექტის ლექსიკური შედგენილობის შესწავლის დარგში განუზომელი მნიშვნელობისაა ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა ლექსიკის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები, ლექსიკოლოგიური შრომები და ლექსიკონები: ა. შანიძის მიერ ვაჟა-ფშაველას ნაწერების მიხედვით შედგენილი „ვაჟა-ფშაველას ლექსიკონი“, რომელიც ერთვის პოეტის თხზულებათა ტომეულს 1922 წლიდან; საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მის მიერვე შედგენილი უნიკალური „მთის კილოთა ლექსიკონი“ (167), სადაც ფშაური ლექსიკის თავანკარა ნიმუშებიც არის აღნუსხული. მკვლევრის მიერ სხვადასხვა რეგიონში მოპოვებულ მასალას, რაც მოქმედ-ინფორმატორთა ცნობებს ეყრდნობა და ერთობლივად ასახავს მთის ექვსი კილოს ლექსიკურ მონაცემებს, ლექსიკონის სახე 1976 წელს მიუღია და ამჟამად ა. შანიძის თხზულებათა I ტომშია შესული (გვ. 274-477); აღსანიშნავია აგრეთვე ალ. ჭინჭარაულის „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“ (193), რომელსაც წინ უძღვის სოლიდური ენობრივი მიმოხილვა, მისივე: „ფშაური სალექსიკონო მასალა“ (იკე, XVII, თბ., 1970, გვ. 384-357), ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ტექსტის დადგენისათვის“ (თბ., 1977); ივ. ქეშიკაშვილის – „თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა“ თბ., 1969; მისივე: „ღმერთები, მითები, რიტუალები“, თბ., 1990; ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თ. რაზიკაშვილის მიერ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ფშაურის სალექსიკონო მასალა და სხვ. (იხ. წინ, საანალიზო მასალა). უნდა აღინიშნოს აგრეთვე ივ. ხორნაულის მიერ შეკრებილი ფშაური სალექსიკონო მასალა, რომელიც ახლახან გ. ხორნაულმა გამოსცა (გ. ხორნაული, „ფშაური ლექსიკონი“ თბ., 2000, გვ. 323 (191). ფშაურის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ თუ ლექსიკურ თავისებურებებს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში არაერთი გამოკვლევა მიუძღვენით ჩვენც (იხ. გ. გოგატიშვილი, 38-84; 202-205).

#35#

III თავი – ფშაური დიალექტური გარემო და კილოურ სხვაობათა ლექსიკურ-სემანტიკური მიმართებანი

ენა შედეგის სახით მოცემული შემოქმედებითი აქტია, რომელიც თავის თავში ენობრივი სტანდარტების გვერდით გულისხმობს მუდმივ ცვლილებათა, ახალი გამომსახველობითი საშუალებების (ინოვაციების) წარმოქმნა-განვითარების გარკვეული

კანონზომიერებების არსებობას (ფ. სოსიური, ვ. ჰუმბოლდტი – 218, 205), რაც ენის გავრცელების ტერიტორიაზე სხვადასხვა ინტენსივობით ხორციელდება და როგორც ქრონოლოგიური, ასევე სივრცული განზომილების ფარგლებში (ე. ი. ტერიტორიულ დიალექტებსა და მის სახესხვაობებში) გამოიხატება. თავის მხრივ, „ენაში ცვლილებების იმთავითვე მოცემული იმპულსი ყველაზე ხელშესახებ გამოხატულებას პოულობს ტერიტორიულ, ეთნიკურ, სოციალურ თუ პროფესიულ ჯგუფებში წარმოქმნილი მეტყველებრივი ნაირსახეობების სახით, თუმცა საფუძველს იღებს იდიოლექტში (ცალკეულ პიროვნებათა მეტყველებაში)“ (192).

სწორედ ქრონოლოგიური კორექტირების შედეგად წარმოქმნილი და სივრცული განზომილების ფარგლებში სხვადასხვა ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური (შინაგანი თუ გარეგანი) ფაქტორების ზეგავლენით ჩამოყალიბებული იდიოლექტური ინოვაციების მოჭარბებაა ცვლილებათა და მეტყველებრივ ნაირსახეობათა მუდმივი წარმოქმნადობის წინაპირობა, მოქმედება, რაც განვითარების მოცემულ ეტაპზე შედეგის სახით ყალიბდება და თავის მხრივ შემდგომი მოქმედებითი ციკლის წარმოშობას გულისხმობს ენობრივი თუ მეტყველებრივი მოცემულობის (|| რეალობის) მომდევნო ეტაპზე, ეს კი მეტყველებრივი ცვალებადობის წარმოქმნისა და ნაირსახეობების მუდმივი განვითარების საფუძველია, რითაც განისაზღვრება ნებისმიერი დიალექტური გარემო. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ დიალექტური გარემო ის არეალია, სადაც ვრცელდება მოცემული დიალექტისათვის დამახასიათებელი მეტყველებრივი თავისებურებანი, თავის თავში გრამატიკულ და ლექსიკურ დონეზე მუდმივ ევოლუციას რომ გულისხმობს როგორც ქრონოლოგიური, ასევე სივრცული განზომილების თვალსაზრისით.

#36#

მეტყველებრივი ცვლილებები, როგორც აღვნიშნეთ, გამოწვეულია ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, როგორცაა: გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული გარემო – რეგიონული მონაცემები, რაც სიტყვათა გეოგრაფიულ პროექციას ითვალისწინებს და ეთნოგრაფიული არეალები. ცვლილებები იმგვარად ვითარდება, რომ ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენით ერთი ეთნოსის ფარგლებში მეტყველებრივი განსხვავებულობისადმი სწრაფვა და შემდგომ ეტაპზე ორი (ან მეტი) დიალექტის (კილოკავის) განვითარება საკმაოდ ხშირი მოვლენაა. ცნობილია, რომ დასაშვებია პირიქითი მოვლენაც: ორი ეთნოსისათვის გამაერთიანებელი შეიძლება აღმოჩნდეს ერთი დიალექტური მეტყველება. მაგალითად, მისაღები უნდა იყოს განსაზღვრა, რომ დღეისათვის გეოგრაფიული თვალსაზრისით ფშავი სამად განიყოფება: 1. **წინა ფშავი**, რომელიც გუდრუხიდან ორწყალამდე ვრცელდება, 2. **უკანა** (უკვენა) ფშავი, ორწყლიდან კავკასიონის მთავარ ქედამდე (თუშეთ-ქისტეთის საზღვრებამდე), 3. **ივრის ხეობის ფშავი** – ივრის (ზემო წელში მდებარე სოფლებით).

ფშაური, მართალია, ფშავის მკვიდრთა მეტყველებაა, მაგრამ მეტყველებრივი თვალსაზრისით ფშაურის გავრცელებულობის შესახებ როდესაც ვმსჯელობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი გავრცელების არე, ე. ი. ფშაური დიალექტური გარემო სცილდება

ზემოდასახელებული ტერიტორიის (გეოგრაფიული ფშავის) ფარგლებს. ფშაური მოსახლეობა მდ. არაგვის ხეობის გარდა დღეს ივრის (შუა და ქვემო წელი), ილტოსა და ალაზნის ხეობებში ცხოვრობს. ფშავლები თვით თიანეთსა და მის ახლომდებარე სოფლებში (ჯიჯეთი, ვერხველი, წიკვლიანთკარი, ზარიძეები, ღვინიაანები, ჭურჭელაურები, ჩაბანო...), ერწოში, ახმეტის რაიონში (პანკისის ხეობა), გომბორსა და შირაქში (ს. ქვემო ქედი) სახლობენ. ამრიგად, ეთნოგრაფიული ფშავი და ფშაური დიალექტური გარემო დიალექტური, თემური და ეთნოგრაფიული მიკროკულტურული ერთობის გამო გაცილებით მეტ ტერიტორიას მოიცავს, ვიდრე გეოგრაფიული ფშავია.

ამ ფაქტს გარკვეული ისტორიული თუ სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები აქვს. ცნობილია, რომ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მეტნაკლებად იცვლებოდა საქართველოს მთის ბართან ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი, მაგრამ უცვლელი იყო ის, რომ ამ #37#

ურთიერთობას ორივე მხარისათვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისევე როგორც ძველი საქართველოს, ფშავის ეკონომიკაც მნიშვნელოვანწილად ემყარებოდა მთისა და ბარის მჭიდრო ეკონომიურ კავშირურთიერთობას. ეს გარემოება მთას აიძულებდა საიმედო პარტნიორი ყოფილიყო ბარისა და გამსულიყო კიდევ ამ ურთიერთობის ინტერესების დამცველად, რაც კონკრეტული ისტორიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებითაც დასტურდება. ფშავის ბუნებრივი პირობების აღწერის დროს ვ. ბატონიშვილი ამგვარი კავშირ-ურთიერთობის შესახებაც აღნიშნავს „ფრიად მაგარ არს ქვეყანა ესე და უბრძოლველი მთითა და კლდითა და ტყითა. ამისათვის იმყოფებიან მშვიდად და სიმწირისათვის მონებენ, ვისაც უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდან“ (94, 93).

ასევე ცნობილია, რომ მთა ბარის მოსახლეობის თავშესაფარიც იყო გაჭირვების პერიოდში და ამავე დროს ბარის მოსახლეობის უშრეტ სარეზერვო ფონდსაც წარმოადგენდა. აღმ. საქართველოს, განსაკუთრებით კახეთის, ბარის მოსახლეობა თავის დანაკლისს ხომ მთის მოსახლეობის ხარჯზე ივსებდა! ნამატი მოსახლეობის ახალ საცხოვრებელ ადგილზე მთიდან ბარად ჩამოსახლებას ტოპონიმიკური და ეთნოგრაფიული ფაქტებიც ადასტურებენ. მთისა და ბარის მოსახლეობის სწორედ ამგვარი ტალღისებური და ამავე დროს სინქრონიული მიგრაცია განსაზღვრავდა, ჩვენი აზრით, მათი როგორც ფიზიკური გადარჩენის, ასევე ეკონომიური განვითარების საფუძველს.

„მთის მოსახლეობის მთისძირას და ბარად ჩამოსახლების პროცესმა ინტენსიური ხასიათი მიიღო საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ახლადჩამოსახლებული ფშაური მოსახლეობა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საკმაოდ მრავალრიცხოვნად არის წარმოდგენილი მდ. ივრის, ილტოსა და ალაზნის სათავეებში და ზემო წელზე, განსაკუთრებით გომბორსა, ერწო-თიანეთსა და შირაქში“ (19,21).

ფშავის ძირძველ, ისტორიულ ტერიტორიას მდ. ფშავის არაგვის ხეობა შეადგენს, რომელიც იწყება ჟინვალთან და აღწევს კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: „ხოლო მზღვრის ფშავს: აღმოსავლით მთა კავკასიიდან ჩამოსული: სამხრით, მთა ამას და თიანეთს შორის. ჩრდილო კავკასი ამასა და ღლიღეს შორისი. დასავლით მთა კავკასიიდან ჩამოსულთ სამხრით ამასა და ხევსურთ შორის“ (94, 93).

#38#

ფშაური მეტყველება მის ყველა რეგიონში ერთნაირად არ არის წარმოდგენილი. ისტორიული ვითარების გამო (ქართლ-კახეთთან სიახლოვე და გვიან პერიოდში გახშირებული კონტაქტები) ივრის ხეობაში, დაბა თიანეთის ახლომდებარე ფშაურ სოფლებში მცხოვრებ პირთა მეტყველება მდიდარია ოდიოლექტებით და ენობრივი თვალსაზრისით (გრამატიკულ და ლექსიკურ დონეზე) ქართლურთან და კახურთან მომეტებულ სიახლოვეს ამჟღავნებს (ან ამ სიახლოვის წინა პირობას ქმნის), მაგრამ დიალექტური, თემური და ეთნოგრაფიული მიკროკულტურული ერთობის ფაქტორის მიხედვით არაგვისხეური და ივრისხეური ფშაური ერთ დიალექტად ერთიანდება¹ (მდრ.: ზემოიმერული და ქვემოიმერული ეთნიკურმა ფაქტორმა გააერთიანა, თორემ ქვემოიმერული ენობრივად, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული. „ზემოგურულთან ან ლეჩხუმურთან უფრო ახლოს დგას ვიდრე ზემოიმერულთან“ (97, 200-201; 196, 32).

არსებითად ასევე, ოღონდ განსხვავებულობის თვალსაზრისით უფრო ხელშესახებად დაისმის საკითხი ქართლურის ან თუნდაც კახურის მიმართ. „ამ ორი დიალექტისათვის მაინც თემური და ეთნოგრაფიული მიკროკულტურული ერთობის ფაქტორი აღმოჩნდა განმსაზღვრელი, თორემ შიგაენობრივი დიფერენციაცია, ჩანს, უფრო მეტია, ვინემ ოდენ კილოკავური სხვაობა (ჩრდილო ქართლური და ბორჯომის ხეობის ქართლური, გარეკახური და ქიზიყური)“ (196, 32).

ეს პროცესი, რასაკვირველია, თავს იჩენს დიალექტთა ინტენსიური ურთიერთშეხების რეგიონებში. ასე ხვდება ერთმანეთს, მაგალითად, ქართლურ-ზემოიმერული მეტყველება სურამის ქედის კალთებზე. ქართლურ-მთიულური და ქართლურ-ფშაური არაგვის ხეობაში, ასევე გარეკახურ-ფშაური ივრის ხეობაში. ყოველივე ზემოაღნიშნული, ე. ი. დიალექტთა ურთიერთშეგავლენის შემთხვევები, დასაშვებია პროცესია ნებისმიერი ენისათვის.

ურთიერთშეგავლენასთან ერთად მომიჯნავე დიალექტებში და აგრეთვე თვით ერთ დიალექტურ გარემოში სშირად თავს იჩენს მეტყველებრივი ურთიერთგამოჯვნის აშკარად

#39#

გამოხატული ტენდენციაც, რაც ფშაურ დიალექტურ გარემოში თავის დროზე კარგად შენიშნა ა. შანიძემ. მან იმთავითვე, ჯერ კიდევ 1913 წელს, აღნუსხა განსხვავებულობა ფშავის ცალკეულ რეგიონებში მცხოვრებ სხვადასხვა თემის წარმომადგენელთა მეტყველებაში, რაზეც საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება მის მიერვე შედგენილ მივლინების ანგარიშში, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერმა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის განყოფილებას წარუდგინა (163; 165, 7-12).

გასაზიარებელი არ ჩანს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს დღევანდელ ფშავში მხოლოდ ფშაური მეტყველების ასაკობრივი დიფერენციაცია შეინიშნებოდეს (176, 9). რასაკვირველია, უკვე საკმაოდ განსხვავებული ფშაურით მეტყველებს განსაკუთრებით კახეთისა და შირაქის, ასევე არაგვის და ივრის ხეობის

¹ აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართლური სუპერსტრატული დანაშრევი შეიმჩნევა ასევე არაგვის ხეობის ფშავის სამხრეთ რეგიონში მცხოვრებთა მეტყველებაში.

ფშაველთა ახალგაზრდა თაობა. მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ უარვეყოთ მეტყველებრივი განსხვავებულობის არსებობა ფშაურ დიალექტურ გარემოში, თვით ფშაურის გავრცელების სხვადასხვა რეგიონს შორის. დავსჯერდეთ მხოლოდ იმის კონსტატაციას, რომ დღევანდელ ფშაურ მეტყველებაში სხვაობა შეინიშნება მხოლოდ ასაკობრივი დიფერენციაციის მიხედვით? მეტყველებაში ე.წ. „კუთხურობის“ ელემენტის მეტ-ნაკლები დაცულობა ცალკეულ ინდივიდთან, ზოგან კი ლიტერატურულ ნორმათა სიჭარბის არსებობა, გარდაუვალი პროცესია ნებისმიერი დიალექტისათვის და იგი, შეიძლება ითქვას, დიალექტოლოგიური უნივერსალია. უნივერსალურ მოვლენათა კატეგორიას ეკუთვნის კილო-თქმათა განვითარების ყოველ ეტაპზე. მაგრამ მთავარია მოვლენათა პირველადობა-მეორეულობის გათვალისწინება. უნდა გვახსოვდეს, რომ: ერთეული თავისებურებანი აბსტრაქციისა და განზოგადების საშუალებას ვერ მოგვცემს. მთავარია გამოკვეთა ტიპობრივი თავისებურებებისა, მოვლენათა ძირითადი მახასიათებლებისა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსიკურ ერთეულთა რეგიონული კლასიფიკაციისა და სემანტიკური მრავალფეროვნების გამოკვეთისას. საქმე ის არის, რომ ეთნოგრაფიული ფშავი, როგორც ითქვას, მეტ ტერიტორიას მოიცავს გეოგრაფიულთან შედარებით, და, ამიტომაც, საშურია საკუთრივ დიალექტისეული (დიალექტის შიგნითა) ლექსიკურ-გრამატიკული #40#

პარალელების, სხვაობებისა თუ ინოვაციების გამოვლენა-ფიქსაცია, ეს კი იზოგლოსათა არელების დადგენასა და გამოჯენას გულისხმობს, რაც დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს (სწორედ ამით განისაზღვრება ფშაური მეტყველებრივი დიფერენციაციის სიძნელენი, რაზედაც ადრევე მიუთითებდა ა. შანიძე ზემოხსენებული მივლინების ანგარიშში).

მრავალი წლის მანძილზე ჩატარებული საველე მუშაობის დროს ფშაური მეტყველების შესწავლის შედეგად, რა თქმა უნდა, გამოიკვეთა სხვაობა ასაკობრივი – ქრონოლოგიური განზომილების, ანუ ინფორმატორთა ასაკის მიხედვით, რაც პარალელურ ფორმათა დამამკვიდრებელ და საბოლოოდ დიალექტური მერყეობის გამომწვევი იდიოლექტური ინოვაციების მოჭარბებით აიხსნება მომავალი თაობის მეტყველებაში. ამ დროს ხდება დიალექტურ ნორმათა რღვევა-ცვალებადობა და პარალელურ ფორმათაგან ახლად შემოსულის დამკვიდრება, რაც ნებისმიერი დიალექტური ერთეულისათვის (მათ შორის ფშაურისთვისაც) არის დამახასიათებელი. ასაკობრივ განსხვავებულობას კარგად გრძნობს თვით ადგილობრივი მკვიდრი ფშაველი: „დასიცილს დაწყებენ ძველ ნაუბარსა, არაად არი გამოსადეგი“ (ს. მიგრიაულთა). მაგრამ, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ასევე გამოიკვეთება სხვაობა დიალექტსშიგნითა ტერიტორიული მეტყველებრივი ნაირსახეობების სახით, ე.ი. რეგიონული მონაცემების მიხედვით, როგორც სტრუქტურულ, ასევე ლექსიკურ დონეზე. ამიტომაც ფშაურ დიალექტზე უშუალო დაკვირვებათა შედეგად გაგვიჩნდა მოსაზრება, რომ იგი საინტერესოა როგორც ქრონოლოგიური, ასევე სივრცული განზომილების, ანუ რეგიონული თვალსაზრისით. ეს კი ხაზგასასმელია, რადგანაც აღნიშნული დიალექტური ერთეული ამ თვალსაზრისით არ ყოფილა სპეციალური დაკვირვების საგნად ქცეული. ამ პრობლემაზე ყურადღება ჩვენ ჯერ კიდევ 70-80-იანი წლებიდან გავამახვილეთ და სხვადასხვა დროს პერიოდულ ორგანოებში

გამოქვეყნებული გამოკვლევების სახით გამოვთქვით ჩვენი შეხედულებანი (იხ. გ. გოგატიშვილი, 38-84; 202-205).

აღნიშნული ტერიტორიული მეტყველებრივი განსხვავებულობა სივრცული #41#

განზომილების ფარგლებში, რაც თავის დროზე ჯერ კიდევ ა. შანიძემ შენიშნა, როგორც ითქვა, დღესაც ნიშანდობლივია ფშაური დიალექტისათვის. ამ თვალსაზრისს იზიარებს ბ. ჯორბენაძეც: „მართალია, ფშაური კილოკავებად არ იყოფა, მაგრამ ფშაური მეტყველება მაინც ყველგან ერთნაირად არაა წარმოდგენილი. საფუძვლიანად იგი უკანა (უკვენა) ფშავშია დაცული. ამას თვით ფშავლებიც გრძნობენ და ზედმიწევნით განარჩევენ კიდევ მეტყველებრივ ნაირსახეობებს“ (196, 242).

აღსანიშნავია. რომ მეტყველებრივი განსხვავებულობისადმი მათი დამოკიდებულება არა ინტუიციური და ინერციულია, არამედ შეგნებულია, რაც გამოიხატება ადგილობრივ მკვიდრთა მისწრაფებით თვით ეთნოსის შიგნით დიალექტური დიფერენციაციისა და ენობრივი თვითგამიჯვნის ტენდენციისადმი. ეს კი, თავის მხრივ, განამტკიცებს ერთი ეთნოსის ფარგლებში კილოკავურ სხვაობათა წარმონაქმნებს და, ამავე დროს, აფერხებს მათი ნიველირების პროცესს. ამას ხელს უწყობს ეთნიკური ფშავის გაცილებით მეტი ტერიტორიული განვრცობა გეოგრაფიულთან შედარებით, რასაც დიალექტური თვითგამიჯვნის ტენდენციასთან მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აი, როგორ რეალისტურად გამოხატავს ჩარგლელი ფშაველი (მალაროსკარის თემი) თავის პოზიციას ამ ფაქტისადმი (ჩარგალი ტერიტორიულად წინა ფშავს ეკუთვნის): „დასიცილი (= დაციწვა) იციან უკვენა ფშავში აქაურ სიტყვებზე“, – აღნიშნავს იგი (34, 127).

აღსანიშნავია, რომ ზუსტად იმავე სიტყვებით გამოხატული იდენტური აზრი ჩვენ ივრის ხეობის ფშავში, სოფ. ჩაბანოშიაც დავადასტურებო. ე. ი. ჩანს, რომ განსხვავებულობა ფშავის ცალკეულ რეგიონებში მცხოვრებთა მეტყველებას შორის ფშაური დიალექტური გარემოსათვის პირველად მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ფშაური მეტყველების ასაკობრივი დიფერენციაცია მეორეული მოვლენაა და, ამასთან, იგი ზოგადი, საერთო მახასიათებელია ნებისმიერი დიალექტისათვის.

უნდა ითქვას ისიც, რომ ფშაურისა და ხევსურულის გარდა, დიალექტთა ურთიერთგამიჯვნისა და ტერიტორიული დიფერენციაციის ტენდენცია ხელშესახებად იჩენს თავს ზემო და ქვემო იმერულის, ზემო და ქვემო გურულის, მესხურისა თუ ჯავახურის და ზოგი სხვა დიალექტისა თუ კილოკავის ურთიერთობისას. დიალექტური მასალის შესწავლა- #42#

ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ეს ტენდენცია ფონეტიკურ-მორფოლოგიურ და ლექსიკურ დონეზე გამოიხატება, ერთი მხრით, არაგვისა და, მეორე მხრით, ივრის ხეობის ფშაველთა მეტყველებაში, რაც ლექსიკურ თუ გრამატიკულ იზოგლოსათა სიმრავლეს ქმნის. ფონეტიკურ-მორფოლოგიურ დონეზე, როგორც ამას ადრე აღვნიშნავდით (84, 40-54; 107; 109), ამ მხრივ საყურადღებოა:

ა) კ და ხ მორფემათა ხმარების წესი ხევსურულის გავლენის შედეგად უკანა ფშავის სოფლებში შედარებით მტკიცედაა დაცული, ხოლო მათი თავისუფალი მონაცვლეობა

გავრცელებულია ქართლის მომიჯნავე წინა ფშავისა და კახეთის მომიჯნავე ივრის ხეობის სოფლებში: რაჭუნი || რახუნი, ჩოჯა || ჩოხა, ხადურა || ჯადურა, ჯელი || ხელი, ჯუთულა || ხუთულა... ეს მაგალითები წარმოადგენენ [ჯ] : [ხ] ფონემატური ოპოზიციის ნეიტრალიზაციის პროცესს, რომელიც IX ს. დასაწყისიდან დაიწყო და ზოგ დიალექტში დასრულდა უკვე X-XII საუკუნეებში.

ბ) იოტაციის პროცესის მომძლავრება ამავე რეგიონებთან მიახლოებისას მიცემითა და ნათესაობითი ხმოვანფუძიან სახელებთან ზმნის ენკლიტიკის შემთხვევებში, რაც ქართლ-კახური მოვლენაა: დედასა – ძგავ, მამასა – ძწერს (გარდამავალი საფეხურით: დედასა – ძჰგავ, მამასა – ძსწერს...).

გ) ხევსურეთის მომიჯნავე უკანა ფშავში მცხოვრებთა მეტყველებისათვის დამახასიათებელ S₃ პირის -ენ (-ეს) ბოლოსართის სამხრეთი მიმართულებით, არაგვის ქვემო წელში, ქართლის მომიჯნავე სოფლების მკვიდრთა მეტყველებაში მზარდი ინტენსიურობით ენაცვლება სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელი -ნენ დაბოლოება.

დ) ძველი ქართულის მსგავსად, ხევსურულისათვის „მესამე პირის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი დაბოლოება, აწმყოსა და მყოფადის გარდა, არის ყველგან და ყოველთვის - ეს“ (164, 13-23; 179, 118). დღევანდელ ფშავურ დიალექტში ეს მოვლენა, მართალია, არ გვხვდება „ყველგან და ყოველთვის“, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უკანა ფშაველთა მეტყველებაში საკმაოდ არის გაბატონებული მრავლობითობის გამოხატვა S₃ პირში – ეს სუფიქსის საშუალებით და ზოგან სისტემური ხასიათიც აქვს (სოფ. უძილაურთა, ცაბაურთა, ვაკისოფელი, გოგოლაურთა, მათურა, აჯადი...). უკანა ფშავი ამ იზოგლოსასათვის გავრცელების ძირითად არეალად უნდა მივიჩნიოთ.

#43#

#43#

სუბიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად არქაული ნორმის მიხედვით III პირის ზმნებში – ენ-ის ნაცვლად – ეს სუფიქსი გვხვდება უწყვეტელსა და გარდაუვალ ზმნათა წყვეტილში (გარდაუვ.: ბალებ იყვნეს; ქისტებ წავიდეს, გამასცილდეს,... ვერ მეეწივნეს ბეწინიასა; მიბრუნდეს ისრივა... გაიარეს, გამსცილდეს; ფშავლები გადავიდეს და დაიფიცნეს; მძლივაც დეესწვრნეს; აჯადის გორს ამეეფარნეს; თავად კი დაიქცნეს; ზოგები წინ ჩასხდეს (34; 139, 140, 144, 137, 138); ახალ-უხლებ ვითამ იყვნეს (ს. მუქო); მეხატობებ იყვნეს (ს. გოგოლაურთა); შდრ. ასევე: იცოდეს, გამეეფარნეს... გარდამ.: მაჭმევდეს, დაძკრავდეს, მაიშჭრიდეს... -ეს ფორმანტი, ჩვენი აზრით, ხევსურულის მსგავსად, თავდაპირველია და ძირითადი იგი, როგორც ამას აღნიშნავს ივ. იმნაიშვილი (104), „ძველი ქართულიდან მომდინარეობს“ და -ეს სუფიქსი ზოგჯერ III სერიაშიც ენაცვლება -ენ-ს: ბალებ იყვნეს, აყრილიყვნეს, დამთვრალიყვნენ და გადაიდგომნიყვნეს. ე ბალებ აყრილიყვნენ ვაშლზედა (ს. უძილაურთა). -ენ დაბოლოება კი, რომლის გამოყენების არეც ასევე ფართოა, მისგან მიღებულად უნდა მივიჩნიოთ და გვხვდება იქაც, სადაც ნ-ენ იყო მოსალოდნელი (ძირითადად უწყვეტელსა და წყვეტილში): ხატზე ეფუცებოდენ ერთურთსა; წავიდენ შინა; მექორწილენი დაშიდენ (34; 140, 141, 142). შდრ. ასევე: ემზადებოდენ, იბანდენ, ტიროდენ, გაანათებდენ, შადრიდენ, ჩამოიდენ...). ნ-ენ უცხო უნდა იყოს ფშავურისათვის და იშვიათადაც

გამოიყენება (ქართლის მოსაზღვრე სოფლებში). თუკი სადმე გვხვდება, სალიტერატურო ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

როგორია ვაჟა-ფშაველას არჩევანი? ივ. იმნაიშვილის დაკვირვებით, იგი ძველი ქართული დ-ეს დაბოლოებაზე ხელს იღებს, მას აქვს მხოლოდ და მხოლოდ დ-ენ ყალიბი (104, 120) და მგოსანიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ამ პრინციპს იცავს: აქებდენ, აღებდენ, აღავლავდენ, დარბოდენ, დამადგებოდენ, მოკელაობდენ, მოცვივდენ, მივიდენ... -ეს დაბოლოების გამოყენება გაცილებით მცირდება ქართლ-კახეთის მოსაზღვრე არაგვისა და ივრის ხეობის სოფლებში. ეს რეგიონი ამ იზოგლოსას გამოყენების ლატერალურ არეალად უნდა მივიჩნიოთ.

#44#

ე) უნდა ითქვას აგრეთვე ნათესაობითი ბრუნვის კონსონანტური ელემენტის დაკარგვისა და S_2O_3 ირ. პირის ნიშნების იოტაციის პროცესის შესახებ, რაც თანდათან ძლიერდება ქართლ-კახეთის მიჯნასთან მიახლოების მიხედვით და მაქსიმუმს აღწევს ამ მოსაზღვრე რეგიონებში მცხოვრებთა მეტყველებაში.

ნათესაობითი ბრუნვის თანხმონითი ელემენტის დაკარგვა ხდება მაშინ, როდესაც საზღვრული არ დგას ნათესაობით ბრუნვაში და ამ დროს აკუსტიკური შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს იგი კვალს ტოვებს ძალზე დასუსტებული დ-ს სახით: ხაჭოფ ხინკლებს ცხვირ ჩაუჩუტეთ; ბექიფ თავს დაეყარა; ხომიფ ძირს ჩამოიარე; ოქროფ ბაღლი მყავ; თათრებიფ ძროხებ სადამ გადაფყვება... ცხადია, დ აქ ს-ს ალოფონია.

ფშაური იმ დიალექტთა ჯგუფს ეკუთვნის (კახური, თუშური, მთიულური), სადაც ზმნაში დაცულია S_2O_3 პირის ნიშნები. ფონეტიკური გარემოს გათვალისწინებით S_2O_3 ქართლურში, კახურში, ქიზიყურსა და ფშაურში მატერიალურად წარმოდგენილია ერთი და იმავე პრეფიქსებით, ოღონდ განსხვავებული ინდივიდუალური ვარიანტების სახით სხვადასხვა ბგერებთან მეზობლობის დროს. S_2O_3 პირის ნიშნები ცალკეული არეალების მიხედვით ფშაურში დასტურდება ჰ-, ს-, დ-, ფჰ-, დს-, ო ალომორფთა პოზიციური ვარიანტების და მათი ფონეტიკური სახესხვაობების სახით: ზ- || ფზ-, შ- || ფშ-.

S_2O_3 ირ. პირის ნიშანთა იოტაციის პროცესი ფშაურში რეგიონულ მონაცემთა მიხედვით ამგვარად წარმოგვიდგება:

I. ხმოვნების წინ - ო

II. წინაენისმიერი (დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ) ხშულების წინ: ს-, დ-, დს-. ამ დროს ხელსაყრელ ფონოლოგიურ გარემოში გვხვდება ს- ალომორფის ფონეტიკური სახესხვაობები, რომელთა კლასიფიკაცია ხერხდება ცალკეულ რეგიონთა მიხედვით:

ა) უკანა ფშავისა და არაგვის ხეობის ფშავის (წინა ფშავის) ჩრდილო ნაწილში: ს > ზ (დ, ძ ბგერების წინ: და -ზ-დგმენ, მა-ზ-დის, და-ზ-დიხარ, ა-ზ-ძრახდი, ზ-ძახ...); ს > შ (ჭ, ჩ ბგერების წინ: შ-ჭამ, შ-ჩივი, შ-ჩემობ, შ-ჩეჩავ, შ-ჩუმათობ...).

ბ) ქართლის მოსაზღვრე წინა ფშავის სამხრეთ ნაწილში: ს- > დს- > ფზ- (დ, ძ ბგერების წინ: და-ფზ-დგნენ, მა-ფზ-დის, გადაფზ-დიხარ, და-ფზ-დიხარ, კიოთ ა-ფზ-ძრახდი, რადა-ფზ-ძახ?...); ს > დს > ფშ (ჭ, ჩ ბგერების წინ: არა-დს-ცემო, რასა-დს-ჩადი, რასა-ფშ-ჭამ: კიოთა-ფშ-ჩეჩავ, რადა-ფშ-ჩივი?...).

#45#

გ) ივრის ხეობისა და ქართლის მოსაზღვრე წინა ფშავის სოფლებში (ჩეკურაანთგორი, ველეხი, ზარბიძეები, ტუშურები, ჩაბანო, ჯიჯეთი, გუდრუხი, თვალივი, ნემიხი, სწროფავი): ს > მს || მშ > მ (გამა-ხ-დის, გამა-დ-გომია, მა-მ-დიხარ, მა-მ-დის, ა-მ-ძრახდი, რასა-მ-ძახ?...); ს > მს || მშ > მ (რასა-მ-ჭამ, ნუ-მ-ჩეჩავ! რასა-მ-ჩივი?...).

დ) ძალზე იშვიათია ხ-, მხ- ვარიანტები, რაც უკანა ფშავის ცალკეული სოფლებიდან გამოსულ მოხუცთა მეტყველებას თუ შემოუნახავს და ხევსურულისა და თუშურის გავლენით უნდა აიხსნას: გამახ-ყვა დედაი, მი-ხ-ყვება გარაი, ა-ხ-ყარეს იარალი, ქისტებსა – მხ-ჯოცდენ, ბალღა-მხ-ყვანდა...)

III. ბაგისმიერი ბ, ფ, ჰ, უკანაენისმიერი ხშულების გ, ქ, კ და ყ ბგერების წინ გვხვდება ჰ-, მჰ-, მ- . ამათგან მჟღერი ბ, გ ბგერების წინ, როგორც წესი, გვაქვს მ (რასა-მ-გვეიხარ, გამა-მ-ბადავს, გა-მ-ბედა, შე-მ-ბედა, მ-ბერდები, და-მ-ბერდები, მა-მ-გვანდა...), ხოლო ფ, ჰ, ქ, კ, ყ, ჯ- ს წინ დასტურდება ჰ-, ან უმეტესად იჰ- (ჰ-პარვენ, მა-მჰ-კალ, მა-მჰ-პარვენ, მა-მჰ-ქონდა, მა-მჰ-ფიქრდა, მასა-მჰ-კლებავ, ჩა-ჰ-ქოლავდეს, ქოთმათობა-მჰ-ყავ, მანდა-მჰ-ჯელვენ...).

IV. სონორებისა და სპირანტების წინ (ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ, მ, ნ, რ, ლ) დასტურდება მხოლოდ მ (გა-მ-ლალვენ, შა-მ-ნანდა, და-მ-ლევენ, და-მ-რჩომიან, მა-მ-შორდება, რა-მ-ნახე? რასა-მ-ზიხარ? მაგა-მს-მართებს, მანდავა-მ-რეცხს...).

საოცარი ნიშნად მ ყველა ნაჩვენებ პოზიციურ სიტუაციაში გვხვდება. იგი ენაცვლება ჰ- ან ს- პრეფიქსს იმ დროს, როცა ზმნა პრევერბიანია. მ- პრეფიქსად გვევლინება უზმნისწინო ფორმებშიც. ამ დროს ხმოვნით დაბოლოებული წინამავალი სიტყვა ზმნასთან ერთად ქმნის ერთ რიტმიკულ ერთეულს და მათ შორის პაუზა ვირტუალურია; გამოითქმის წინა სიტყვის ბოლოკიდურ ხმოვანთან ერთად, როგორც დიფთონგის დამავალი წევრი (არა-მ სცემო, რასა-მ სჩადი! რასა-მ შჰამ!). ამ პოზიციებში ჩვენი აზრით, მ II სუბიექტური პირის ნიშანია. მ- დართულ ალომორფთა გამოყენება უფრო ინტენსიურია და იოტაციის პროცესი მატულობს ბარის დიალექტებთან სიახლოვისას, ჩრდ. ქართლის მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრებთა #46#

მეტყველებაში, როგორც არაგვის ხეობის, ისე ივრის ხეობის ფშავში. ჩანს, ამ მოვლენის განვითარებისათვის ხელი უნდა შეეწყოს ქართლურსა და კახურს. იგივე მოვლენა დადასტურებულია ქართლურში, კახურში, ინგილოურსა და ფერეიდნულში, მთის სხვა კილოებისაგან განსხვავებით, მთიულურსა და ფშაურში. ქსნისა და არაგვის ხეობის მთიულურის მსგავსად, იგი მიიღება სპირანტის დასუსტების შედეგად და ქმნის ალომორფებს: მ-, მს-, მზ-, მშ-, მჰ-. მ- გვხვდება იმ დროსაც, როცა იგი III ირიბ ობიექტური პირის ნიშანი კი არ არის, არამედ გვაქვს მიცემითბრუნვიანი ბრუნვაცვალებადი ობიექტი (ვისაც დეწევა, გადსრესავს). დაწვრილებით ზმნურ ფორმათა წარმოების შესახებ რეგიონული მონაცემების მიხედვით იხ. (84, 42-54).

ვ) ობიექტის მრავლობითობის -თ სუფიქსის წინ შემონახულია მესამე სუბიექტური პირის ნიშნები: -ს (მხოლობითსა) და -ენ, -ნ (მრავლობითში) სამხრეთ რეგიონებში

გამოყენების ინტენსივობის შემცირებით: გყავისთ, გიბავისთ, გიჭირსთ, გიკვირსთ, აგშურეიანთ, გელექსებიათ, უნდა მოგიწყვანთ...).

იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე ლექსიკური დიფერენციაციის შესახებ ფშაურის გავრცელების სხვადასხვა რეგიონს შორის, რაც ფშაური დიალექტური გარემოს ასევე ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ამდენად გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა შეკრება-ფიქსაციას და მათ ლოკალიზაციას ცალკეულ რეგიონთა მიხედვით

* * *

წარმოდგენილი ანალიზი ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთიმარბეებისა მოცემულ დიალექტურ გარემოში მცხოვრებთა მეტყველებაზე ავტორის უშუალო დაკვირვებას ემყარება. ამ მიზნით გამოყენებულია სამეცნიერო მივლინებების დროს შეკრებილი სანდო და ღირებული მასალა, აგრეთვე ფშაურისადმი მიძღვნილი გამოკვლევები და ტექსტები, რაც ძირითად წარმოდგენას იძლევა ფშაური დიალექტის ჩვენთვის საინტერესო თავისებურებათა შესახებ.

ამა თუ იმ ლექსიკური მოვლენის სხვადასხვაგვარად გამოხატვის მიზეზად დიალექტის შიგნით მისი დიფერენციაცია, რეგიონული მომენტი, თაობათა მეტყველების განსხვავებულობა, ინდივიდუალური მოვლენები ან სხვა ფაქტორების მოქმედება უნდა მივიჩნიოთ.

#47#

ტიპობრივ თავისებურებათა გამოსაკვეთად მთავარია მათი სისტემატიზაცია, რაც განზოგადოების საშუალებას მოგვცემს და არა ერთეული თავისებურებანი, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც გრამატიკულ თავისებურებათა დადგენის თვალსაზრისით, ასევე დიალექტური ლექსიკის რეგიონული კვალიფიკაციისა და სიტყვათა სემანტიკური მრავალფეროვნების გამოვლენისას მათი არეალური შესწავლის დროს.

რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით ფშაურ „ლექსემათა კლასიფიკაციისა და ლოკალიზაციის პრობლემა სიტყვათა გეოგრაფიულ პროექციას უკავშირდება (გ. ბოგატოვა, ვ. დერიაგინი, გ. რომანოვა)“ და მისი გადაჭრა ემყარება: 1) ფშაურ იზოგლოსათა, ე. ი. ლექსიკურ ერთეულთა გავრცელების ძირითადი და ლატერალური არეალების დადგენის აუცილებლობას და, 2) აგრეთვე, ამასთან დაკავშირებულ ლექსიკურ-სემანტიკური დონის დიალექტურ სხვაობათა გამოვლენა-ანალიზს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა როგორც დიალექტსშიგნითა, საკუთრივ მოცემული დიალექტისეული, ასევე დიალექტთაშორისი, საზიარო ლექსიკური მასალის სემანტიკური სტრუქტურა, რაც, საერთოდ, მრავალფეროვანია (216, 214-230).

საზიარო მასალის სემანტიკური სტრუქტურის კვლევა სხვა დიალექტებსა თუ ძველ ქართულთან მიმართებით საგულისხმო მასალას იძლევა ქართული ენის ისტორიისათვის. ამგვარი ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურის მქონე დიალექტური სხვაობანი ნაშრომში გზადაგზა, თავ-თავის ადგილასაა განხილული ფშაური დარგობრივი ლექსიკის აღწერის დროს.

მოცემული დიალექტური გარემოს ლექსიკურ თავისებურებათა განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აგრეთვე კუთხური მეტყველების ნორმათა შესაბამისად სახეცვლილი ინოვაციები და ენობრივი არქაიზმი. დიალექტურ ლექსიკაში მეტ-ნაკლებად შემონახულია ძველი ქართულის ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა რეფლექსები, უძველესი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც საერთო ენაში სსვადასხვა გარეგანი თუ შინაგანი ფაქტორების გავლენის შედეგად დაკარგულია.

#48#

IV თავი - რეალიათა განმსაზღვრელი თავისებურებანი და დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკა

ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით ლექსემათა გამოვლენა-აღნუსხვა შესაძლებლობას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ დიალექტიზმების გავრცელების არეალები და შესაბამისად მოვახდინოთ დიალექტური ლექსიკის კლასიფიცირება და ლოკალიზაცია. ეს კი, თავის მხრივ, სიტყვათა გეოგრაფიულ პროექციასა და ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებას გულისხმობს. სამართლიანად არის აღნიშნული, რომ „ისტორიული ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიული მუშაობის უმთავრეს ასპექტად ამჟამად სიტყვის ისტორიაში და მის ლექსიკურ დახასიათებაში რეგიონული მომენტის ასახვა-გათვალისწინება უნდა იქნეს მიჩნეული“ (198, 32). ამით გვეძლევა საშუალება, რომ განვსაზღვროთ იზოგლოსათა ანუ ლექსიკურ ერთეულთა გავრცელების ძირითადი და ლატერალური არეალები და დავადგინოთ მათი სემანტიკური მოცულობის ცვალებადობა თვით ერთი დიალექტის შიგნით. კუთხური ლექსიკის ამგვარი შესწავლის შედეგად ხერხდება სიტყვათა სრული პასპორტიზაცია, განსხვავებულ მნიშვნელობათა და ასევე ახალი ლექსემების გამოვლენა, მაგალითად, ფშავის პირობებში რამდენიმე სახის სახვნელია გავრცელებული. სავლელ მუშაობის დროს საკითხის შესწავლამ დაადასტურა, რომ მათი გამოყენება-გავრცელების რეალიებს ნიადაგის თავისებურება და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო განსაზღვრავს, რაც, თავისთავად, სახნავთა სახელდების პრინციპებს განაპირობებს და სინონიმურად მონაცვლე ვარიანტებს ქმნის რეგიონების მიხედვით. უკანა ფშავში, შუაფხოს ზემოთ, ხევსურული საკვეთლიანი სახვნელის მოდერნიზებული ფორმა გამოიყენება, – **აჩაჩად** სახელდებული, ხოლო სპეციალურ ლიტერატურაში ე. წ. „ფშაურ გუთნად“ მიჩნეული სახვნელი კი **საყვერე გუთნის** || **ყვეარი გუთნის** სახელით არის ცნობილი და ფშავის დაბლობ ზონაში შემავალი მიწების დასამუშავებლად გამოიყენებოდა. ამათგან პირველის გამოყენება ხევსურეთის ანალოგიური, მიწათმოქმედებისათვის რთული გეოგრაფიული გარემო-პირობებით უნდა აიხსნას: (სახნავ-სათესი მიწები მკვეთრად დაფერდებულია და **საყვერე გუთნის** (ე. წ. „ფშაური გუთნის“) გამოიყენება ჭირს. აღსანიშნავია, რომ საბას განმარტებითაც **აჩაჩი** უღელი ხარის სახვნელია.

#49#

ამრიგად, აჩაჩა და საყვერე გუთანი (ხმალათი) ტიპოლოგიურად ერთი რიგის სახენელებია, სხვადასხვა ბუნებრივ გარემოთა შესაბამისად დამუშავებული ყვეარი ორულლიანი, ე. ი. ოთხხარიანი გუთანია, იყო სამულელიც. ტერმინი აჩაჩა აჩეჩვიდან უნდა მომდინარეობდეს (გ. ჩიტაია).

ამგვარი გეოგრაფიული გარემო-პირობებით განსაზღვრული ჩანს ისეთი ტერმინების გაჩენა ფშაურში, როგორცაა: ღარის წისქვილი, კოდის წისქვილი, წისქვილა (პატარა წისქვილი) და მისი სინონიმური ვარიანტი ჭურულა. ესენია უკანა ფშავის ბუნებრივი პირობებისათვის გათვალისწინებული მცირე მუშა-ქვით გამართული წყალწისქვილის სახეები, რომელთაც ზოგადად ბუჭულა || ბუჭურა ეწოდება. მათ უპირისპირდება ხანიერი (დიდი) კალოს მქონე დოლაბ წისქვილი, რომელიც წინა ფშავსა და ივრის ხეობის ბარის ზონის სოფლებში დასტურდება. რეგიონულ მონაცემებზე ყურადღების გამახვილებას მიგვანიშნებს ის ფაქტიც, რომ წისქვილის ამგებ პირს უკანა ფშავში მეწისქვილე ეწოდება, ივრის ხეობის ფშავში კი მეწისქვილე მინდის ამღები პირია.

ამრიგად, სიტყვის მნიშვნელობათა კავშირს რეალიათა განმსაზღვრელ თავისებურებებთან განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება დიალექტური ლექსიკის ამომწურავი შესწავლისა და კუთხური სიტყვის სრულყოფილი სემანტიკური დახასიათებისათვის, მისი დამატებით, განსხვავებულ მნიშვნელობათა გამოვლენისა და სემანტიკური მრავალფეროვნების წარმოჩენისათვის (ო. მორახოვსკაია, დ. შმელიოვი, ი. ლისტროვა, თ. კოპოტკოვა).

ასევე უნდა ითქვას პურეულის მოყვანასთან დაკავშირებული ზოგიერთი პროცესის სახელდების პრინციპის განსაზღვრისა და ამ გზით მიღებული განსხვავებული ლექსემების გამოყენება-გავრცელების შესახებაც. მათი წარმოშობა-ჩამოყალიბება, როგორც ცნების გამომხატველი ენობრივი ერთეულებისა, სწორედ მოცემული რეგიონისათვის დამახასიათებელი ბუნებრივ-გეოგრაფიული (კლიმატური) გარემოთი არის მოტივირებული. მაგალითად, ყანის მკისა და ძნების აგება-გადაგების პროცესი ფშავის სხვადასხვა რეგიონში ერთმანეთისაგან განსხვავდება. უკიდურესი მაღალმთიანი რელიეფისა და ტენიანი კლიმატის მქონე სოფლებში მომკილი ყანის დამუშავება ტექნოლოგიური თვალსაზრისით #50#

უფრო რთულია, დამატებით პროცედურებს მოითხოვს, რაც თავისთავად სახელდების ვარიანტულობასა და მრავალფეროვნებას განსაზღვრავს. აქ ყანა მკის დროსაც ხშირად ნესტიანია, ამიტომ მომკის შემდეგ მისი გამოშრობის დაჩქარების მიზნით საჭირო ხდება დამატებითი ნაგებობა-გროვების გამოყენება, როგორცაა მელეური და რეულა, წერასთან, ხადურასა (|| ჯადურა, ჯანდოურა) და ჯუთულასთან (|| ხუთულა) ერთად.

ამ შემთხვევაში ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი გამოწვეული ტექნოლოგიური მრავალფეროვნება რეალიზდება ენობრივ პლანში: ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვა დაიქვემდებარებს უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვას და ამ გზით წარმოიქმნება სუბორდინაციული მიმართება კლასსა (სემანტიკური ველი) და მის წევრებს შორის (ლექსიკური ერთეულები). მაგალითად, შდრ., ერთი მხრით, „ძნა“ (კლასი) და, მეორე მხრით, ფშაურ დარგობრივ ლექსიკაში

დადასტურებული მისი ჰიპონიმიური მიმართებანი: **ხადურა** || **ჯადურა** || **ჯანდოურა**, **რეულა**, **წერა** (ორფეკაის წერა, სამფეკაის წერა), **მელეური**, **ხუთულა** || **ჯუთულა**.

რეულა არაგვის ხეობის ფშავში წყობის გარეშე ხუთი ან მეტი **ხადურისაგან** აგებული ძნების გროვაა, შიგ ჰაერმა რომ გაუაროს და გამოშრეს. **რეულა** იგივე წერაა, ნაწყობობით, ე.ი. წყობის მიხედვით აგებამდე. წყობით აგების შემდეგ, როდესაც თავთავი ერთად მოიყრის თავს, **რეულა** იქნება **წერა**. ძნათა ოდენობით **რეულა** და **წერა** 5-6 **ჯადურას** შეიცავენ. ამიტომ **რეულა**, ისევე როგორც მოცულობით მასზე დიდი **მელეური**, არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს **ჯადურასთან** ძნათა ოდენობის მიხედვით, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი (ს. მაკალათია) მიიჩნევს (114, 36). ივრის ხეობის ფშავში **რეულა** სხვა ფარაში შერეული, უპატრონო, ჩამორჩენილი ცხვარია.

მელეური სპეციალურ ლიტერატურაში (გ. ჯალაბაძე) **ხადურას** || **ჯადურას** || **ჯანდოურას** შესატყვისად არის მიჩნეული, რაც არამართებულია (194, 32). **მელეური** || **მელეული** ფეტვის ძნეული, ჩერგილია. ფეტვის ძნა მელეურად იდგმება (ქეგლ). საველე მუშაობის დროს მოპოვებული დარგობრივი ლექსიკის ნიმუშები ამ ლექსიკური ერთეულის სრულფასოვანი დეტერმინაციის საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ **მელეური** არ იდგმება და არც **ხადურას** || **ჯადურას** || **ჯანდოურას** შესატყვისია (გ.გ.). **მელეური ხუთულას** || **ჯუთულას** ასაგებად მიზიდულ-მიქუჩებული ძნებია: „მოვაქუჩებთ, ერთი **ჯუთულა** გამუა, **მელეურს** ვიტყვით“ (ს. უძილაურთა). მისი მთიულური სინონიმია **მელაური** (ლ. კაიშაური). **მელეური** აგების შემდეგ **ჯუთულა** იქნება, ე.ი. **მელეური** ძნათა ოდენობით (თავისი მოცულობით) **ჯუთულას** შესატყვისია, და არა **ჯადურასი**! სიტყვა **მელეური** ჩვენ სხვა მნიშვნელობითაც დავადასტურეთ: „ყანას რო ნიაგ ალყევს, იმაზედ ვიტყვით, **მელეურია**“ (ს. უძილაურთა, თ. ლოსეურაშვილი). შდრ. ბაჩანა: **მელეური** ყანის ან ბალახის ნიაგზედ ღელვან: ყანას **მელეური** მისდევსო, **მელეური** აგრეთვე ოლეს ან ტბის ლიკლიკია, ტალღებსაცა ჰქვიან („ივერია“, 1887, №207).

ფშაური ლექსიკის არეალური შესწავლის, სტატიკური ანალიზისა და ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკურ ბუდეებად კლასიფიკაციის შედეგად ფშავში სურდოს აღმნიშვნელი სამი ლექსემა დავადასტურეთ: **ხამაზდი** || **ხამადი** || **ხამანდი**. ერთი შეხედვით, ამ ლექსიკურ ერთეულთა განსხვავებულობის საფუძვლად მარტივი ფონეტიკური მოვლენები შეიძლება იქნეს მიჩნეული, მაგრამ რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული კანონზომიერება: **ხამაზდი**, როგორც სურდოს აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული, იზოგლოსაა, რომლის გავრცელების ძირითად არეალად ხევსურეთი და, აგრეთვე, მისი მომიჯნავე უკანაფშავი უნდა მივიჩნიოთ, ხოლო **ხამანდი** იმავე მნიშვნელობით დასტურდება ივრის ხეობის ფშავში, რაც მისი გავრცელების ძირითადი არეალია; **ხამადი**-სათვის ორივე რეგიონი ლატერალურ არეალად გამოიკვეთა, ძირითად არეალად კი წინა ფშავი განისაზღვრა (შდრ. მთიულ: ხამარდი – 106, 249).

ამდენად, აღნიშნული ლექსიკური ერთეულის რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინება არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ვაჟა-ფშაველას თხზულებებში დაცული ფორმა „ხამანდი“ გამომცემელთა მიერ გრაფიკულ ნიადაგზე დაშვებული შეცდომის შედეგად მივიჩნიოთ, როგორც ამას ა. ჭინჭარაული თვლის (181, 51). საქმე ის არის, რომ **ხამანდი** ||

ხამადი სურდოს აღმნიშვნელი საკუთრივ ფშაური ფორმებია ხევსურული **ხამაზდის** პარალელურად და მათი გამოყენება სავსებით კანონზომიერად შეეძლო თავისი მშობლიური კუთხისა და მეტყველების შესანიშნავ მცოდნე დიდ მგოსანს. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს ა. #52#

შანიძის მიერ შედგენილი „მთის კილოთა ლექსიკონი“, სადაც მითითებულია: **ხამაზდი** – მთ., **ხამანდი** ფშ. – სურდო.

აღსანიშნავია, **ხამაზდი** სურდოს მნიშვნელობით აღნუსხული აქვს თ. რაზიკაშვილსაც, შემდგომ ი. ჭყონიას (გაზ. „ივერია“, №157, 1900) და გ. ხორნაულს (191, 305).

ძნების აგება-გადაგების პროცესების განსხვავებულობასთან ერთად ფშავის სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებულმა განსხვავებულმა გეოგრაფიულ-კლიმატურმა პირობებმა გამოიწვია თიბვასთან დაკავშირებული ბალახის გამოშრობა-განიავევის ტექნოლოგიური პროცესების ნაირგვარობა, რამაც წარმოშვა თიბვისა და ბალახის აღება-შენახვასთან დაკავშირებულ სემანტიკურ ველში შემავალი სპეციალური დიალექტური ლექსემების მრავალფეროვნება, როგორც ამ კუთხის რეგიონების, ასევე სიტყვათა მნიშვნელობებისა და სახელდების პრინციპების გათვალისწინებით. ე. ი. ამჯერადაც ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავალფეროვნების მატერიალიზაცია მოხდა როგორც სამეურნეო საქმიანობის დანაწევრებაში, ასევე ამ საქმიანობის გამომხატველ ენობრივ პლანში: მაგალითად, ფშავის მაღალმთიან და ტენიან ზონაში გათიბულ ბალახს, დანესტიანების თავიდან ასაცილებლად როგორც წესი, **გვერდს უცვლიან** || **გვერდს უქცევენ**... ასეთ თივას **გვერდქეული** ეწოდება. მისი ახვეტისას იტყვიან, „**გვერდქევეით მოხვეტეო**“. ამგვარად ახვეტით თივას **გვერდქევეით ახვეტილი** ეწოდება.

მშრალი კლიმატის მქონე ბარის ზონაში ეს პროცესი უფლებელყოფილია და ამიტომაც ამ სფეროში დასაქმებულთა მეტყველებისათვის აღნიშნული ტექნოლოგიის ამსახველი ტერმინოლოგია მათთვის არცთუ ნაცნობია.

ან კიდევ: გათიბულ ბალახს ფშავში ჯერ **ახახწირებენ** || **ახაწირებენ** – ერთ ზოლად ააქუჩებენ, შემდეგ მას **აბულულავებენ** || **დააბულულავებენ** ბულულეზად. აბულულავებულ და **კაწირებად მიხვეტილ-მიქუჩებულ** თივას (იქ, სადაც ხშირი წვიმების საშიშროებაა და თივა ძნელად შრება) **კირჩხებად**, ან (სადაც მშრალი კლიმატია) **თივებად** აგებენ. **კირჩხა** || **კირჩხალი** და **თივა** ერთმანეთის ტოლი მომცრო ნაგები ბულულეზია, ოღონდ **თივა** სარზე არ არის აგებული, **კირჩხა** || **კირჩხალი** კი კაპიან სარზე – **კირჩხაზეა** აგებული ტენიან ზონაში ნათიბი #53#

ბალახის კარგად გამოშრობის მიზნით. ადრე მას **ჯიჯრიბაჯი** ეწოდებოდა. კირჩხაზე ჯოყვიან შამბს, ტენიან ადგილებში მოთიბულ **ჯოყარ ბალახს** აგებდნენ, კარგად რომ გამოშრალიყო. **კირჩხა** თივის ზვინის ტოტებიანი სარის მნიშვნელობით თუმშურ დიალექტშიც დასტურდება (159, 276). **კაპიანი კირჩხა** კარგია, თივა მჭიდრო შრეებად არ იგება, კავები აკავებს, დატკეპნის შესაძლებლობას არ აძლევს თივას, ფენა-ფენად აჩერებს და უფრო მშრალად იქნება, არ **ჩაიტყლაპება**, არ დალპება.

არეალურ-სტატისტიკური მეთოდით ფშაური დარგობრივი ლექსიკის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ „კირჩხა“, როგორც ლექსემა და როგორც თიბვის პროცესთან

დაკავშირებული სამეურნეო მოხმარების (დანიშნულების) საგანი, უცხოა მშრალი კლიმატის მქონე ფშავის დაბლობი ზონის მცხოვრებთათვის. ასევე უცნობია მის გამოყენებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია: **კირჩხიან ძირი, კირჩხაის თავი, კირჩხაის ნაძირა** (უკანა ფშავი) || **ნაძირალი, ნაკირჩხალი** (ივრის ხ. ფშავი).

რეალიათა განმსაზღვრელი თავისებურებებისა და დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკის შესახებ მსჯელობისას დასკვნის სახით იკვეთება აზრი, რომ მეტყველებრივი განსხვავებულობის საფუძველი სივრცული განზომილები ფარგლებში, ანუ რეგიონული თვალსაზრისით, მეტწილად ექსტრალინგვისტური ფაქტორებია (მოცემული არეალისათვის დამახასიათებელი კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო და მის მცხოვრებთა ყოფიერების ბუნებრივი და ისტორიული პირობები). შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ფაქტორების შედეგად წარმოიქმნება დიალექტურ ლექსიკაში შემავალი ის ფენა, რომელსაც ლოკალიზმები შეადგენენ.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, ლოკალიზმი არის ახალი, დიალექტის წიაღში შექმნილი სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც გავრცელების არეალის მიხედვით სათანადო კუთხისა და მის მცხოვრებთა ყოფიერების ბუნებრივსა და ისტორიულ პირობებს ანახავს (შდრ. 147, 180).

ლოკალიზმები, ჩვენი აზრით, სიტყვის იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე, დიალექტური ლექსიკური ფონდის შემადგენელი ყველაზე დინამიური ფენაა და მისი გამდიდრების აქტიურ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ.

#54#

V თავი – სხვა დიალექტებთან ფორმითა და შინაარსით იგივეობრივი სიტყვები და გამოთქმები

ამგვარი სიტყვები და გამოთქმები სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ ფონეტიკური სახესხვაობით არის დამოწმებული და მიჩნეულია სხვა კუთხის კუთვნილებად, სინამდვილეში კი იმავე მნიშვნელობით ფშაურშიც გვხვდება. მათი სრული გამოვლენა-აღწერა შესაძლებლობას მოგვცემს სხვადასხვა არალინგვისტური ფაქტორის გათვალისწინებით ზუსტად განვსაზღვროთ დიალექტიზმების გავრცელების არეალები და შესაბამისად მოვახდინოთ დიალექტური ლექსიკის კლასიფიცირება და ლოკალიზაცია, ასევე განვსაზღვროთ ლექსემათა ადგილი დიალექტური ლექსიკის ფონდში:

ადგილის ათეგრება (ფშ., ხევს.) – ერთი ადგილის ამოჩემებაა.

ავადობა (მთიულ.) – დაავადებაა, ფშაურშიც ავადმყოფობას ნიშნავს.

ავქაში (თუშ., ფშ.) – ქათმის ძვალი, რომელსაც სანაძლეოდ გასტეხენ ხოლმე (167, 277).

ალატი (მთიულ., მოხ., თუშ., ხევს.) – საფეკილე ხის ყუთი, რომელშიც ახლად დაფქული ფეკილი ჩადის. ამავე მნიშვნელობით დასტურდება იგი ფშაურშიც.

ალატთ ფიცრები || **მკლავები** იხ. საბუდარი.

არზანი (ქართლ., ქიზიყ., მთიულ., ფშ.) – „დიდი, ზომაზე კიდე დიდი თოვლი“ (ს. აჯადი). დიდი თოვლი რომ მოვა, იტყვიან: „არზან ჩამოყარაო“ (შდრ. ძვ. ქართული **არზანიგი** – ღირსი, ღირსეული, ჯეროვანი. „არა **არზანიგი** ყოფილ იყო იგი ამას“ – იოანე მოსხი, „ლიმონარი“).

არხილი (მოხ., ქსნის ხეობ., მთიულ.) – გაყინული თოვლი, რომელზედაც სიარული შეიძლება: „**არხილ** ის არი, მარტო თოვლს რო გაახმობს“. ამ დროს იტყვიან, „თოვლი გააარხილაო“, ე. ი. თოვლი ზემოდან მოყინაო (შდრ. საბა: არხილი – თხელი ბზარი). „ფეკს უშვებსო“, – იტყვიან შემხვალ თოვლზე თუ კაცი შიგ ეფლობა, ვერ იმაგრებს. როცა არხილია, მაშინ „ფეკს არ უშვებს“.

აჭროლებული მთიულურშია გავრცელებული. ასევე დადასტურდა ფშავშიც: ალაგ-ალაგ გამშრალ თოვლს ნიშნავს. ასეთ დროს იტყვიან: „თოვლი აჭროლდაო“.

ბთა (< ფთა < ფრთა) აღნუსხულია ქიზიყურში. წისქვილის ფირფიტაა, რომელსაც წყალი სცემს და ბორბალს ატრიალებს (159, 542). ამავე მნიშვნელობით დასტურდება ფშაურშიც.

#55#

ბორბოწია ხევსურულში ქარბორბალას ნიშნავს (178^ა, 206), იგივე მნიშვნელობა აქვს ფშაურშიც. **ბორბოწიაობა** კი ერთ ადგილზე ტრიალს ნიშნავს.

ბოწკინტი (< **ბომკინტი**) – ხევს., ქართლ., მთიულ., (159, 85) – 1. პატარა ბომი; 2. ნაყოფით დახუნძლული ტოტის შესაყენებელი სარის სიმსხო პატარა ორკაპა ბომი, ტოტი რომ არ ჩამოიმტვრეს; ამავე მნიშვნელობით დასტურდება ფშაურშიც. იყენებენ, აგრეთვე ბომად სარუეში წყლის გადმოსაყვანად და გამზადებულ ღარბერის გასამაგრებლად.

გადაგონთებული მოხეურში გამოჩერჩეტებული, გამოყრუებულია, ასევეა ფშაურშიც. **გარევა** – მთიულურის გარდა, ფშაურშიც გვხვდება და წყალში ფეხით გაღმა გასვლაა. „გაურიო“, – იტყვიან ამ დროს.

გაცხრილვა || **დაცხრილვა** მარცვლეულის (ჯოვის) ცხრილში გატარებაა. სპეციალურ ლიტერატურაში ფიქსირებულია ამ სიტყვის ქართლური ვარიანტი: **მოცხრილვა**. **მოცხრილვა** ფშაურში გაქცევას, მოკურცხლვას ნიშნავს (155, 77).

გულნი – ხის ნახევარკალისებრი „სოლები“, რომლებითაც ამოვსებულია ძირის წისქვილში ღერძის ირგვლივ ადგილი – **საღერძე**, რათა მარცვალი არ ჩაცვივდეს წყალში, „წისქვილს გულთ არ გეედიხოს“. ამავე მნიშვნელობით დასტურდება ხევსურულში (179, 209).

დაიამლა (< ამლა) – აფხაზურისა და ხევსურულის გარდა, ფშაურშიც გვხვდება და დამშევას ნიშნავს (179, 283).

დამბრმალი (მთიულ., გუდამაყრ.) დაბრმავებულია. „დაბრმაო“, – ფშავში იტყვიან, კაცი რომ დაბრმავდება. ასეთი ადამიანი დამბრალია (შდრ. საბა: დაბრმობილი – ბრმადქმნილი).

დართვა (მთიულ.) შეშის შეკეთება, დამატებაა, ასევეა ფშაურშიც.

დაროქვა ფშაურად დალექვაა, **დაროქვილი** კი დანალექია. **როქვი** თუშურშიც ასევე დანალექს აღნიშნავს.

დარობვა (ზ. აჭარ.) სიმინდის, ხორბლის მსხვილად დაფქვაა. ამავე მნიშვნელობით ფშაურში გამოიყენება **დარობვა** || **დაროჯვა** || **დაღერღვა**, რაც ცუდად და მსხვილად დაფქვის ეპითეტებია.

დაქანება || **ქანაობა** (მთიულ., ფშ.) – ყინულზე სრიალი და დასხლტომაა. ყინულზე დასხლტომას **მოცქრომას** არ უწოდებენ: „**მოცქრომა** ის არი, ფეკ რო გადაგიცდება“ (ს. ელიაგზა).

#56#

დაცხავება (თუშ.) – რამის გახვრეტაა ბევრგან ისე, რომ ცხავს დაემსგავსოს (159, 196). **დაცხაული** კი ფიქსირებულია, როგორც (მთიულ.): ძალიან გაცვეთილი, გაცრეცილი, აღსანიშნავია, რომ ორივე ლექსიკური ერთეული ფშავშიც არს გავრცელებული. მნიშვნელობის იდენტურობის გარდა, რაც ა. შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონშიც“ დასტურდება, **დაცხავება** აღნიშნავს აგრეთვე საფქვავე მარცვლეულის (|| **ჯოვის**) ცხავში გატარებას, რაც ლექსიკონებში აღუნუსხავია, ხოლო **დაცხაული** მთიულურში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა, ფშაურში დაცხავებულს, მრავალგან გახვრეტილ საგანს აღნიშნავს, ამასთანავე, ცხავში გატარებული მარცვლეულის აღმნიშვნელიცაა, ე. ი. პოლისემანტურია.

დრემლა მთიულურში მოხეურსა და ფშაურში „ცხვრის კურკლი“, იგივე „ქურთია“. ამავე მნიშვნელობით აღნუსხულია ბოლნისის რაიონის ს. ხატისოფელში (ნ. სააკ., 2004, 39). ოდნავი ფონეტიკური სახესხვაობით „დემრა“ გვხვდება გუდამაყრულში (ა. შან., 1984, 316).

ეხი (ხევს., თუშ., ფშ.) – გამოქვაბული კლდეში: „წამოხურვილ კლდეზე ვიტყვი“ (შდრ. საბა: **ეხი** – კლდე გამონახეთქი ქვაბივით). შდრ.. ნახ.: ჰმეხ.

ზნევა ქიზიყურსა და მთიულურში ვნების, ზარალის, ზიანის მიყენებას ნიშნავს. „არც რას არა ზნევს“-ო, – იციან ფშავში ამა თუ იმ სამკურნალო მცენარეზე. **უზნევარი**ო, – იტყვიან, როცა მაწყინარი არ არის (შდრ. მთიულ.: **მაზნევარი** – მაწყინარი).

ზოვი (მთიულ., გუდამაყრ., ფშ.) – ზვავი.

თართი (მთიულ., მოხ.) – სუსტი, შეუძლო, უღონოა (159, 244), ასევეა ფშაურშიც.

თოჯი – წისქვილის ბორბლის ღერძის თავზე ზემოდან დამაგრებული რკინა, რომელიც ზევითა წისქვილის **სათოჯეშია** ჩასმული და ატრიალებს მას. ქართლურის გარდა, ამავე მნიშვნელობით დასტურდება ფშაურში და მთის სხვა დიალექტებში.

კაკდები (მთიულ., ფშ.) – შინ ნაკეთები ხის ციგურები.

კატაფმატა ქართლურსა და კახურში ქაცვის სახელია, ამავე მნიშვნელობით დასტურდება ფშაურშიც.

კელობა ფშაურად ოდნავ კოჭლობაა, იმავე მნიშვნელობით დასტურდება მთიულურსა (106, 143) და მოხეურში (153, 406); ასევეა ფიქსირებული „სიტყვის კონაშიც“ (127, 164). თუ #57#

გავითვალისწინებთ მის ძველ ქართულ (**მკელობელი** – „კოჭლი“), მეგრულ (**კილი**, **კილობუა** – „ნაკლი“, ი. ყიფშიძე) და სვანურ (**ლიკლი** – „კლება“, **იკლი** – „კოჭლობს“, **მგკლი** – „კოჭლი“) ვარიანტებს, -**კელ** ფუძე საერთოქართველურ ოდენობად ივარაუდება.

კლდისვაშლა (იმერ., გურ.) სამკურნალო მცენარეა, იგივე კლდისდუმა, ფშავშიც ამავე სახელწოდებით დასტურდება.

კოდი (ქართლ., ქიზიყ., ხევს., მთიულ., ფშ., გუდამაყრ., თუშ., მოხ., იმერ., ზ. აჭარ.) პოლისემანტური ლექსიკური ერთეულია (159, 297). ძირითადად იგი აღნიშნავს: 1. დიდ კასრს; გულგამოთლილი მორისაგან გაკეთებულ ძირიან ჭურჭელს ფქვილის, მარცვლეულის, კარაქისა და სხვ. პროდუქტების შესანახად; 2. მარცვლეულის საწყაო ერთეულია; 3. ქიზიყურში კოდს ფუტკრის გეჯადაც (სკად) იყენებენ. ასევეა ფშავშიც. არსებობს **უძირო კოდიც**, რომელსაც წყაროზე ჩადგამენ ხოლმე წყლის დასაგუბებლად. ამ სახის კოდს ფშავში იყენებენ ღარის დანიშნულებით, საღვარეში წისქვილისათვის წყლის მისაშვებად და მას **ღარის კოდი** ეწოდება.

კოდის წისქვილი ფშავში ისეთი წისქვილია, რომელსაც ღარად კოდი აქვს ჩადგმული. დასტურდება მისი გურული და იმერული მნიშვნელობანი: ერთთვლიანი პატარა წისქვილი, ღარის ქვემოთ ჩადგმული აქვს ხის კოდი, სადაც წყალი ღარიდანვე ეცემა ბორბალს და ატრიალებს; ღარის ნაცვლად ძალზე დაქანებული ქვის ან ხის მილი აქვს, წყალი ცოტა უნდება (159, 297).

კოპი (ქართლ., მთიულ., ქიზიყ.) – ქალამნის ამოსასხმელი თასმა, წვრილად დაჭრილი ტყავია. ამავე მნიშვნელობისაა ფშავურშიც.

კოჭი (თუშ.) – ქუსლი; (ხევს.): პირუტყვის კოჭი, ხმარობენ სათამაშოდ. ამავე მნიშვნელობით დასტურდება ფშავურში: „კომახში მოთავსებულია **კოჭი**, კოჭასთან არი პატარა წვრილი ძვლები – ღილეები“ (ს. ჩარგალი). ამასთან, ფშავურსა და ხევსურულშიც (179, 208) აქვს დამატებითი მნიშვნელობა, წისქვილის ბორბლის შემადგენელი ნაწილია.

ლაჩქიმი (ქსნის ხეობა, მთიულ.) ფშავურშიც დასტურდება და ციგას აღნიშნავს, მისი ივრისხეული ვარიანტია **გელმანა**.

ნემსულა ფშავურში „თესლიდან უმცირეს ამონაყარს აღნიშნავს. ამავე მნიშვნელობით არის აღნუსხული ქვემო ქართლში: **ნემსულა** (ს. წერაქვი) || **ნაჩქიფი** (დიდი დმანისი) || **ალო** (ს. მამულო) – ნ. სააკაძე, 2004, 39).

#58#

ოდოში ქვემოქართლურში „შემოუსვლელი ყანის“ მნიშვნელობით დასტურდება (ნ. სააკ., 2004). ამავე მნიშვნელობით გვხვდება თუშურსა და ფშავურში (დლ., 1984, 425).

პლახი დახეთქილი ნალოა, დიდი ნაპობი შეშაა. ამავე მნიშვნელობით გვხვდება კახურში, მოხეურსა და მთიულურში (შდრ. რუს.: плаха).

საკევი (მთიულ.) – შაკივი. ფშავში ამავე მნიშვნელობით გვხვდება **საკევის ქარი**.

სამალდე (კახ., ქართლ., ფშ.) წვრილად დაგრებილი თოკია.

სარუე (ხევს.) – წისქვილის წყლის არხი. ასევეა ფშავურშიც: **სარუე** არხია, რომელშიც წისქვილის მამოძრავებელი წისქვილის წყალი მოედინება.

სახიჩრიანი (მთიულ.) – მახინჯი, ხინჯიანი. ასევეა ფშავურშიც იმის აღსანიშნავად, კაცი რომ დამახინჯდება,

სისხა (არაგვის ხ. ფშ.) || **წიტა** (ივრის ხ. ფშ.) – დიზინტერიაა, სისხლზე გასვლაა (ასევეა ფშავურსა და ქიზიყურში). **წიტა** (ფშ., ქიზიყ., მთიულ.) – ცხვრის სენი, ფაღარათობაა.

სრავალი. ფშავში უმაღლესი ხარისხის პურად მიჩნეულია **წმინდა პური** || **წმინდის პური**: „ნოყიერია, მაწივრობა აქვ“ (ს. კუდო). (წმინდა ყველაზე კარგი ხორბალია, – გ. გ.) იგი ორნაირია: **დიკის პური** – საგაზაფხულო ხორბლის პური და **ანეულის პური** საშემოდგომო ხორბლის პური. მას მრავალი ეწოდება. „სრავალი ძლიერ ტურფა და ძვირფასია. წმინდა პურსაც კი ეძახიან **სრავალს**“ (ბაჩანა, „ივერია“, 1887, №207). **სრავალი** || **სრევალი** ხევისურულში, თუშურში, მოხეურსა და მთიულეთ-გუდამაყრულშიც დასტურდება და გასახმობად გაფენილ მარცვლეულს (პურის ან სიმინდის მარცვალს) ეწოდება. **სრევალი** მთიულეთ-გუდამაყრულში თვალ-მარგალიტსაც ნიშნავს (121, 499). ეს ლექსემა ძვ. ქართულშიც დასტურდება და საერთოენობრივი არქაული ლექსიკური ფონდის კუთვნილება ჩანს. სულხან-საბას მიხედვით: „**სრავალი** – საფენი ხვარბალი“.

ქარაშოთი (ფშ., გურ.) – უცბად ამოვარდნილი ქარი, წვიმანარევი ქარი.

ქარაფი (ხევს., ფშ.) – დიდი ციცაბო კლდე (შდრ. საბა: **ქარაფი** – დიდი კლდე).

ქრიჯა || **ქრიჯაი** (ფშ., ხევს., თუშ.) – ალატიდან ფქვილის ამოსაღები ნიჩაბი, ჩამჩა.

#59#

ღაცა || **ღაცალა** (მთიულ.) გამხდარი, გაყვითლებულია, ფშავშიც დასტურდება. **ღაცა** ივრისხეულ ფშაურში დაჩიავებულ-დაგვალულს ნიშნავს. ცხოველზე, მაგ. გო.ჭზეც, ითქმის.

ყიათი || **ყიამათი** || **ყიმიათი** || **ყინიათი** || **ყინიათობა** || **პირტუქსი** – ძალიან რომ ცივა. შდრ: **ყიამეთი** (გურ., იმერ., ქიზიყ.) – სიცივე, ყინვიანი ამინდი. **ყიამეთი** (იმერხეულ.) – მეორედ მოსვლა, აღდგომა. გადატანით, დიდ ამბავს ნიშნავს.

ყანდი (ქართლ., რაჭ., ფშ.) – ზადი, სიდამპლე ხისა.

ყაპყატო || **ყაპყადო** (თუშ., ფშ.) ტკეჩი, კასრების შესაკრავი ხის ლატანი, სალტეა; ხის მუხრუჭი ან ცხრილის მოსაქსოვად დათლილი ხის წკეპლები (თ. რაზიკ., „ივერია“, №150, 1900; ი. ჭყონ.).

ყივილი (ხევს.) – როცა წისქვილს საფქვავე შემოაკლდება და ქვა ცარიელი ბრუნავს, იმაზე იტყვიან (179, 209). ასევეა ფშაურში. ამ დროს წისქვილი შეიძლება „გახურდეს და გასქდეს“.

ყული ქიზიყურში (გადატ.) ძვლების ტკივილია. **ყულია** ფშავშიც დასტურდება ოდნავ განსხვავებული სემანტიკური ელფერით. გაყინული ხელები სითბოში რომ მოხვდება, იტყვიან: „**ყულიად შამივიდა** || **ყულია** ან **ტკივილაი შამივიდაო ჯელჩია**“. „ყულიაი ყუოდაო“, დაათირებენ ამ დროს ბალღსა“ (შდრ. საბა: ყუვილი – ძვალთ ნელად ტკივილი).

ჩიხრიხი თოკის საგრეხი ხელსაწყო სახელია ფშაურსა და თუშურში.

ცხრო (თუშ.) კანკალი, ცახცახია (პ. ხუბ.); **ცხრო**, **ცხროება** || **ცხრუება** ფშავშიც ამავე მნიშვნელობით დასტურდება. „**ცხროება შამიჯდაო**“, – იტყვიან კანკალის ავარდნის დროს.

წიტა (ფშ., ქიზიყ., მთიულ.) – ცხვრის სენი, ფაღარათობა.

ხირხატი, გარდა ფშაურისა, გვხვდება ქიზიყურში, შიგნ. კახეთში, ქართლსა (ლლ., 1984, 775) და ქვემოქართლურში (ნ. სააკ., 2004, 39) და აღნიშნავს „სახნავად უვარგის, უნაყოფო ადგილს“.

ხორდი მთიულურში ისეთ ყინვაზე ითქმის, რომელიც წყლებს ყინავს. **ხვარდი** ფშაურში კი წყალში არეულ ყინულის ნაჭრებს, ე. ი. თოშს ეწოდება. **ხორდი** საბასთან იგივე **ხორგია** – წყალთყინული, დიდი მონატეხი.

ჯვიმური გადმოზრუნებული პირამიდისებურად შეკრული ძაბრისმაგვარი ხის ყუთია, რომელშიც საფქვავე იყრება. ქართლში, რაჭაში და ზ. აჭარაში ამავე მნიშვნელობით დასტურდება **ხვიმირი**, შდრ. ასევე: (მთიულ., მოხ.); **ჯვიმირი** (ხევს.); **ჯუმბური** (თუმ); **ჯვიმბური** (167, 470) და სხვ.

წარმოდგენილი ლექსიკური მასალის სემანტიკური სტრუქტურის ანალიზი გვამღევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სხვა დიალექტებთან ფორმითა და შინაარსით იგივეობრივი სიტყვები და გამოთქმები ძირითადად არქაული ხასიათისაა და ძველი ქართულიდან მომდინარეობს, ან მათი ნაწილი ამჟღავნებს შეხვედრებს უცხოენოვან ლექსიკასთან.

ჩვენი აზრით, ესაა დიალექტური ლექსიკის შემადგენელი ის ძირითადი ნაწილი, რომელიც საერთოენობრივი სიტყვებით განისაზღვრება. ეს ლექსემები მეტწილად საერთო ენის კუთვნილებას წარმოადგენენ. ეს არის დიალექტებში შემორჩენილი ნამემკვიდრალი იმ უძველესი დროისა, „როდესაც დიალექტური განსხვავება მინიმალური იყო და საერთოქართველური ენა წარმოდგენილი იყო მეტნაკლებად მყარი ლექსიკური ფონდით... აქ შემოდის ყველა სხვა საერთოქართველური სიტყვა, რომელიც კი დიალექტებში გვხვდება“ (შდრ.: 147, 188).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ აღმ. საქართველოს მთის კილოებმა უფრო უკეთ დაიცვეს და შეინარჩუნეს არქაულობა ლექსიკაში, ვიდრე ბარის კილოებმა. ამიტომ, რომ ძველ ქართულში ცნობილი ბევრი სიტყვა ამ დიალექტებზე მოსაუბრეთა ენაში დღესაც გამოიყენება და მათ მნიშვნელოვანი ადგილი ამ კუთხეებიდან გამოსულ მწერალთა თხზულებებშიც დაიმკვიდრეს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა დიალექტებთან ფორმითა და შინაარსით იგივეობრივი სიტყვებისა და გამოთქმის ნაწილი ამჟღავნებს შეხვედრებს უცხოენოვან ლექსიკასთან; ამა თუ იმ დიალექტისათვის (ან დიალექტთა ჯგუფისათვის) დამახასიათებელი ლექსიკური ნასესხობანი კი დიალექტური ლექსიკის მეორე შემადგენელ ნაწილს შეადგენს (შდრ. 147, 189). ამდენად, ჩვენი აზრით, ნებისმიერ დიალექტში დადასტურებულ ლექსიკურ ნასესხობათა ანალიზი საინტერესოა როგორც ენის ისტორიის, ასევე ისტორიული ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით (ლექსიკური სინონიმისა და ლექსიკურ ნასესხობათა შესახებ II წიგნში ვისაუბრებთ).

#61#

**VI თავი – სხვა დიალექტებთან ფორმით იდენტური
და მნიშვნელობით განსხვავებული დიალექტური
ლექსიკური ერთეულები**

ამგვარი ლექსემები ლექსიკურ თავისებურებათა და სემანტიკურ ინოვაციათა საინტერესო სურათს ქმნიან ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია:

ა) ლექსიკონებში შეტანილი და დახასიათებული დიალექტური სიტყვები, რომელთა განსხვავებული ფშაური მნიშვნელობანი სხვა დიალექტებში დადასტურებულ მნიშვნელობებთან ერთად აღნუსხული და კვალიფიცირებულია:

აფალი (ქართლ.) – ქონება, შეძლებ; **აფალი** (ფშ.) – ამბავი, თავგადასავალი.

ანგარი (ლექს.) – ეკლის ღობე, მცენარეთა საფარი; **ანგარი** (იმერ.) – ეზოს ან ყანის საზღვარზე არსებული ბუნებრივი ან ხელოვნური ზღუდე; **ანგარი** (ფშ.) – გაუმადლარი, ხარბი.

არშავიანი (მთიულ., გუდამაყ.) – თოფი თუთიის ტყვიებით; **არშავიანი** (ხევს., ფშ.) – შაშხანის ეპითეტი.

ბაგა (ქიზიყ.) – ქვევრის პირის გარშემო გაკეთებული მოქვაბული (ს. მენტემ.); **ბაგა** (კახ.) – წისქვილის ზედა ქვის გარშემო ხის ან რკინის რკალი, რომ ფქვილი არ გაიბნეს (არ. მარტირ., გრ. იმნაიშვ.); **ბაგა** (ქართლ.) – ახალგაზრდა, ახალჩაყრილი ვენახი (შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., ქეგლ); **ბაგა** (ქართლ., ქიზიყ., ფშ., თუშ., გურ.) – გადაფიცრული ან მოწნულ-გადაღობილი ადგილი ბოსელში (გომში, გომურში), ბაკში ან ეზოში საქონლისათვის საკვების ჩასაყრელად (შდრ.: საბა, ნ. ჩუბ. დ. ჩუბ., ქეგლ).

ბარდი (იმერ., რაჭ., გურ., აჭარ.) – ვაზის, კვახის და მისთანათა ღეროები და ფოთლები (ვ. ბერ., დიალექტ., 681); ეკლიანი მცენარე, ეკალ-ბარდი (ა. ლლ.); მაცვალი (ა. მაყ.); **ბარდი** (ფშ.) – თოვლის გროვა, თოვლის საფარი, დადებული თოვლი.

ბაწარი (რაჭ., გუდამაყრ., იმერ.) – წვრილი თოკი, თოკი; **ბაწარი** (ხევს.) – თასმა ჯღანისა (ა. შან.), **ბაწარი** (აჭარ.) – გზა, ბილიკი, საცალფეხო გზა ბაწარი (ლექს.) – გადატ.: კაკლის ხის ყვავილი (მ. ალავე.); **ბაწარი** (თუშ., ფშ., კახ., ქიზიყ., ჯავახ., ინგილ.) – შინ დართული მატყლის ძაფი, მკედი, ძაფი საწინდედ (და არა: თოკი) (თ. უთურგ., ა. შან., ს. მენტემ., მ. ჯანაშ.).

#62#

ბედენი, ბედენა (ქიზიყ., ფშ., ხევს., მოხ., თუშ., გუდამაყრ.) – 1. ახალუხის წინა ფერდი ზედმოყოლებული თავისი კალთით (ს. მენტ.); 2. განსხვავება, სხვაობა; არ **აბედენებს** – არ არჩევს, ყურადღებას არ აქცევს; **ბედენად** – განსხვავებულად, სხვადასხვანაირად (ა. შან., თ. უთურგ., შ. ძიძ. დიალექტ., 571).

ბელელი (გურ., ზ. აჭარ.) – 1. საბოსტნე მიწა; 2. მცირე შენობა სანოვავის შესანახავად; 3. 22 საპალნე ახდილი ყავარი (ა. ლლ.); 4. **ბელელი ყავარი** (ზ. აჭარ.) – სამასი ცალი ყავარი, ყავრის საზომი ერთეული (შ. ნიჟარაძე), **ბელელი** (თუშ., ფშ.); 5. საზამთრო სახლი; 6. შენობა ხატში, სადაც ხატის პური, ლუდი და მისთ. ინახება (ვაჟა-ფშ. მც. ლექს.).

ბიგა (ფშ.) – წვრილი თავგი მინდვრისა და ტყისა, წვრილი ცხვირი აქვს (თ. რაზიკ., „ივერია“, №128, 1900). 2. **ბიგა, ბიგაი** (ფშ., ზ.-ქვ. იმერ., გურ., ლექს.); 1. ხის ნაჭერი, რამესთვის გასამაგრებლად შეყენებული (ი. ჭყონ., პ. ჯაჯან.); 2. ორ ან სამთითი ფიწალი (ა. ლლ. მ. ჩიქ., დიალექტ., 662); 3. ჯოხი (მეგრ., ჭან.) (ნ. მარი, ი. ყიფშ.).

ბითაო (მოხ.) - კარგი, ლამაზი; ბითაო (იმერ) – საქონლის ხორცის საუკეთესო ნაწილი, **ბითაო** (ფშ.) – კაცი, რომელსაც გვერდის ძვლები და წინმკერდი სულ ერთი ძვლისა აქვს (თ. რაზიკ., „ივერია“, №128, 1900; ი. ჭყონ.).

ბიშმა (ქართლ., ქიზიყ.) (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ., ს. მენტემ.) – ცხვრის ჩლიქების ავადმყოფობა, კოჭლობა, ჩლიქების დაწყლულება. ამავე მნიშვნელობით გვხვდება ფშაურშიც.

ბოკოლა (ზ. რაჭ.) – თივის პატარა ბულული (მ. რეხვ., ს. ჭიორა); **ბოკოლა** (ფშ., გუდამაყრ.) – მოკლე და სქელრქიანი საქონელი (ლ. ლეონ.).

ბორა (მთიულ.) – მცენარის ფოთოლი, რომელსაც ფორს ქვეშ უფენენ, კარგი ფორი გამოდის (ლ. კაიშ.); **ბორაჲ** (მოხ.) – მერინოსის ცხვარი (ო. ქაჯ.); **ბორა** (ფშ., ხევს., მოხ., ქართლ.) – ერთგვარი ძერაჲ, ძერის მსგავსი დიდი ფრინველი „ძერას ჰგავს, უდიდეა“, (საბა); დიდი ძერა – (დ. ჩუბ.).

ბოსლობა (რაჭ.) – წეს-ჩვეულება, რომელსაც ასრულებდნენ ზამთრის მიწურულს (ვ. ბერ., ქეგლ.); **ბოსლობა** (ფშ.) – დედათ წესის დრო (ვაჟა-ფშ., მც. ლექსიკ., ქეგლ).

#63#

ბლუნძვა (ქიზიყ.) – ცუდი შეკერილობის გამო ნაკერზე ნაოჭების ყრა (ს. მენტემ.); **ბუნჯღვა** (ფშ.) – **ბლუნძვა** (ფშ.) – კუმშვა, მოხრა (ი. ქეშიკ., გ. გოგატ).

გალა (კახ.) – საქონლის ნაკვალევი ბილიკი ტყეში ან მინდორში; **გალა** (გურ.) – ნელი, სუსტი, თხელი, ითქმის სითხეზე; **გალა ღვინო** – სუსტი, ნელი ღვინო, **გალა ჩაი** – თხელი, ღია ჩაი; **გალა** (ქიზიყ., კახ., მესხ., ფშ.) – დაწული ხახვი, ნიორი, ღოღო და სხვ., დაახლოებით სიგრძით 1-2 მეტრი სიგრძისა, დაკიდებულს საზამთროდ ინახავენ. სათვალავ ერთეულადაც არის გამოყენებული: იტყვიან ხოლმე – „ერთი გალა ნიორი“, „ორი გალა ხახვი“ და ა. შ.; **გალა** (ფშ.) – გალო, წვივის ძვალი (შდრ. ნახ.: **გოლა**, **გუოლა** – იდაყვი, მუხლი, მოსახვევი – 144, 64).

გარიალება (ქართლ., ფშ.) – მეწველი ცხვრის საბალახოზე გარეკვა დილით; **გარიალება** (გურ.) – 1. გინება, კიცხვა; 2. ხელის ან ფეხის ჩაკვრა რაიმე სითხეში (ს. ჟღ).

გარევ (თუშ.) – კვლავ, ისევ; და, მხოლოდ (თ. უთურგ.); **გარევ** (ფშ.) – უკან.

გაწინწილება (გურ.) – გაწვრილება; **გაწინწილება** (ფშ.) – წილ-წილად დაყოფა (ა. შან.).

გელა (ზ. იმერ., იმერ.) – ლურსმნის ამოსაღები რკინის ორკაპა ხელკეტი (ბ. წერეთ.);

გელა (ფშ.) – ელვარება, გაელვება (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.); **გელობა** (უკანა ფშ., ხევს.) – ლაპლაპი, ელვარება.

გვირილა (რაჭ., ლეჩხ.) თეთრი ქლიავის ჯიში (მ. ალაგ.); **გვირილა** (ფშ.) კვირია, ფრინველია (თ. რაზიკ., „ივერია“ № 129, 1900)

გლა (ფშ., ქართლ., მოხ., მესხ.) – ჩეჩქვა, ხეთქება; რტყმევა, თელვა; ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის მოჭირებით სხეულის დაბეგვა – დაზიანება.

გოხი (მოხ.) – ჭუჭყი (ო. ქაჯ.); **გოხი** (თუშ., ფშ.) – 1. დიდი ქვა, ლოდი; 2. სალესავი ქვა (ა. შან., თ. უთურგ., ი. ბუქურ.).

გურგულაი (გურ., ინგ.) – გრგვინვა, ქუხილი (ა. ღლ., 159, 165); **გურგულა** – პურის გული (თ. რაზიკ., „ივერია, №129, 1900).

დაყურსვა (გურ.) – ძალზე დატვირთვა; **დაყურსული** (გურ., იმერ., ლეჩხ.) – ნაყოფით ძალზე დატვირთული ტოტი (ა. ღლ.); დამძიმებული, დაწმენდილი (მ. ჩიქ.); **დაყურსვა** (ფშ.,

ქართლ.) – დადუმება, განაზვა. **დაყურსული** (ფშ.) – განაზული, გარინდული (ი. ქეშიკ., გ. გოგატ.).

დება-ა (თუშ. ფშ.) – მირტყმა; **მწარში ვიდევ** – მხარში მოვირტყი (თ. უთურგ., ი. ქეშიკ.); **დება** (ფშ.) – 1. პირუტყვისათვის თივის, ჩალის დაყრა; 2. ნაყოფის სხმა ხეხილზე.

დინდგელი (მთიულ., ფშ.) – ჯალის გამოწურვის შემდეგ დარჩენილი ნარჩენი (ლ. კაიშ., ი. ქეშიკ.); **დინდგელ** (ინგილ.) – ცხვირში გამხმარ-გამაგრებული ბოტოტი; **დინდგლიანი** – ბოტოტიანი (მ. ჯანაშ).

დურა (ხევს., ლეჩხ.) – ცხვრის ტყავის „საბანია“ ბეწვიანი მხრით იხურავენ (ალ. ჭინჭარ.); ცხვრის ან მგლის ტყავისაგან შეკერილი საზამთრო ტანსაცმელი (მ. ალავე.); **დურა** (მთიულ., გუდამაყრ.) – ფართო, დიდი (ე. ვირსალ.); **დურა** (ფშ.) – ცხვრის ტყავისგან შეკერილი უსახელოებო საცმელი, რომელსაც ქვეშსაგებადაც ხმარობენ (ი. ქეშიკ.). ამავე მნიშვნელობით დასტურდება ფშაურ დარგობრივ ლექსიკაში.

დურდო (ქართლ., ქიზიყ.) – ღვინის ან ძმრის დანალექი, გადატ. მღვრიე, სქელი ტალახის მსგავსი დანალექი ღვინისა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); **დურდო** (ფშ.) – მღვრიე, ჭუჭყიანი წყალი (ვაჟა-ფშ. მცირე ლექს., გ. გოგატ.).

თირება (იმერ.) – თითით ჩვენება (ვ. ბერ.); **თირება** (ფშ.) – დაჩუმება, დაწყნარება; „ათირებს“ – აჩუმებს, აშოშმინებს (ა. შან., ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ., გ. გოგატ.).

კათხა (ლეჩხ.) – რაგვებისაგან (გაუთლელი მორებისაგან) გაკეთებული დაბალი სახლი (მ. ჩიქოვანი); **კათხა** (გურ.) – შხამიანი გველი; **კათხა** (გურ., ლეჩხ., ხევს., ფშ.); ხის სასმისი, იგივე კოჩხა (დიალექტ., 677; ა. ჭინჭარ., 218; ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ., გ. გოგატ.).

კამპი (თუშ.) – გრძელი ჯოხი, თავში ორტოტა, იხმარება საბჯენად (პ. ხუბუტია); **კამპი** (ქიზიყ., ფშ.) – საკბენად გაწევა ცხენის მიერ. „**კამპვა** ცხენმა იცის, იკბინება“ (ს. გოგოლაურთა) (ს. მენტეშ., გ. გოგატ.).

კაპი (ფშ.) – ხის ტოტი (თ. რაზიკ., ი. ქეშიკ.); **კაპი** (აჭარ.) – საქონლის დასაბმელი მოღუნული ჯოხი; 2. კავიანი ჯოხი, რომელზედაც ასხამენ ყურძნის მტევნებს ზამთარში #65#

შესანახად; 3. საბლის შუა ადგილას გამობმული ხის რიკი, ტვირთის აკიდებისას თოკის გასაყრელად (შ. ნიჟარ.).

კაპარჭი (რაჭ.) – ისართა ქარქაში (შ. ძიძ., 207; შდრ.: საბა, ნ. ჩუბ. დ. ჩუბ., ქეგლ);

კაპარჭი (ფშ.) – ფუტკრის საშოვარი, ფეხებით რომ მოაქვს (თ. რაზიკ., „ივერია“, №192, 1900; ი. ჭყონ.).

კაჩა (ლეჩხ., მოხ., მთიულ.) – წვივი, კანჭი, (მ. ჩიქოვანი); ბარძაყი, ბარძაყის ძვალი (ო. ქაჯ.); წვივ-ბარძაყი, საქონლის ან ადამიანის ფეხი (ლ. კაიშ.), **კაჩა** (რაჭ., იმერ.) – კაჩხა, ოჯინჯალა, რომელზედაც ნაჭა (საქვაზე ჯაჭვი) ჰკიდია (ვ. ბერ.); შუაცეცხლზე დირედან ჩამოშვებული ხე, საქვაბე (პ. ჯაჯან).

კაწარი (ლეჩხ.) – ცეცხლისაგან გამავეებული ან შეწითლებული ადგილი კანზე (მ. ალავე.); **კაწარი** (ფშ.) – ბრჭყალი, ფრჩხილი.

კილო (რაჭ.) – მთის თვალუწვდენელი უღელტეხილი (შ. ძიძიგური); **კილო** (ხევს.) – 1. ადგილი, რომლითაც ისარი საბამს ებჯინება; 2. ხელსაყრელი დრო; 3. **კილოს მისვლა** –

უკანასკნელ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნა (ა. ჭიჭინ); **კილო** (ფშ.) – გუნება, ხასიათი; 2. ასაკი, დრო (ა. შან., ი. ქეშიკ.); **კილოიანი** – მოხერხებული.

კინწოლი (ფშ.) – 1. ნაპერწკალი; 2. წვეთი (თ. რაზიკ., „ივერია“, №132, 1900, ი. ჭყონ.); **კინწოლაცი** (თუშ.) – ძალიან პატარა, პაწაწკინტელა (თ. უთურგ).

კირწლი (იმერ., რაჭ.) – წირპლი თვალისა (ი. ქავთარ., მ. ალაგ.); **კირწლი** (ქართლ.) – ანაგული ძაფის წერტილოვანი ნაყარი ქსოვილზე (მ. მესხიშ.); **კირწლი** (მთიულ., ფშ.) – ჩეჩვის დროს საჩეჩელზე დარჩენილი ცუდი **ხარისხის მატყლი**.

კოკოშა (ხევს.) – ვერცხლის გრძელტარიანი სასმისი (ალ. ჭინჭარ.); **კოკოშა** (იმერ., ფშ.) – ღვინის ამოსაღები მცირე ხაპი (პ. ჯაჯან.), გრძელყუნწიანი გოგრის ერთი სახე, გულამოღებულს ხმარობენ წყლის ან ღვინის ამოსაღებად (ი. ქეშიკ.); **კოკოშა** (თუშ.) – აყირო, მცენარე (ა. მაყაშ.).

კონტი (მთიულ.) – უღელში გაყრილი მსხვილი ჯოხი ხარის შესაბმელად. მასზე გამობმულია წნელი, რითაც ხარი თივას ან შემას ეზიდება (ლ. კაიშ.); **კონტი** (ფშ.) – მოფიქრებული საპირისპირო ხერხი, ქცევა (ი. ქეშიკ.).

კოტა (გურ., ზ. აჭარ.) – სიმინდის ტარო (ს. ჟღ., ვ. ბერ., შ. ნიჟარ.); **კოტა** (ფშ.) – ქართული ხმლის ის ნაწილი, რომელიც ვადის ქვემოთ თიკებად გაშვერილია აქეთ-იქით (ა. შან., 159, 305); **კოტა** (ზ. იმერ., ზ. აჭარ.) – კედელზე ან სვეტზე მიკრული ქვის რიკი, საკიდლად (ბ. წერეთ., შ. ნიჟარ.), **კოტა** (ლექს.) – ყურებზე დასასობი ბოძი (მ. ალაგ.); **კოტა** (იმერ.) – ტახტი უნაგირისა (ქეგლ); **კოტა** (ინგილ.) – ჩვილთ უკანა ტანი (მ. ჯანაშ.); **კოტა** (რაჭ.) – უღლის შუაში ჩასმული რიკი (სულ ორია), რომელთა შორის ტყავის რგოლია ურმის ან მარხილის ხელის მოსაბმელად (დიალექტ., 685); **კოტა** (გურ., იმერ.) – ხის სოლი, რომელსაც ჭედენ ფიცრებში ფიცრის კედლების სწორად ასაყვანად (ს. ჟღ.); იატაკის და კედლის ფიცრებში ჩაყენებული რიკები სიმაგრისათვის (ვ. ბერ.).

კოტორი (მთიულ.) – პატარა მამული (ლ. კაიშ.); **კოტორი** (გურ.) – გაკოტრებული, კოტრი (ალ. ღლ.); **კოტორი** (ოკრიბ.) – ხის მრგვალი ნამორი (ვ. ბერ.); **კოტორი** (თუშ.) – ქადა (თ. უთურგ.), **კვერი** (ს. მაკალ.); **კოტორი** (ფშ.) – ნისლის გროვა, ღრუბლის ქულა; პურის პატარა ნატესი, ყუა (ვაჟა-ფშ., მც. ლექსიკ., გ. გოგატ.); **კოტორა** (ხევს.) – პატარა ყანა, ყანის მცირე მონაკვეთი (ა. ჭინჭარ., 196); **კოტორი** (აჭარ.) – თხემი, მწვერვალი (ი. მეგრელიძე), **კონწოლი** (შ. ნიჟარ.), **კოტორა-ცი** (თუშ.) – მიწის პატარა ნაკვეთი (თ. უთურგ.).

კოწიწი (ფშ.) – ცოდვილობა, წვალობა; **კოწიწი** (ქიზიყ.) – ჭურჭლის საწებავი ნივთიერება, რძე-კირის **კოწიწი** (ს. მენტეშ.); **კოწიწი** (იმერ.) – მობლაუჭება (ქეგლ).

კოწოლი (ფშ., ლექს.) – კორიანტელი (ი. ქეშიკ., ქეგლ., გ. გოგატ.) ცეცხლის ალი, ალით მოწვის შედეგად შეშავებული; **კოწოლი** (თუშ.) – 1. თმის ნაწვავი; 2. ცეცხლის ენა (თ. უთურგ.).

კუმეტი (ქართლ.) – ჯიუტი, გაუგონარი, შეუპოვარი (ი. ჭყონ.); **კუმეტი** (ფშ., ხევს.) – ახალი წლის მეორე დღე, ორი იანვარი (ა. შან.); **კუმეტი** (ფშ.) – კვიმატი, მარცხიანი (ა. შან.); **კუმეტი** (ქიზიყ., ქართლ., ფშ.) – ძალიან შავი, ძალიან ბნელი.

კუნელი (თუშ.) – დუდილისაგან წარმოშობილი ორთქლი (პ. ხუბ.); **კუნელი** (ფშ.) – კორიანტელი, მტვრის ბუქი (ი. ქეშიკ.).

მაზა (ქიზიყ., ფშ.) – სასურველი საქმელი, დესერტი (ს. მენტემ., ი. ქემიკ.); **მაზა** (ქართლ.) – სასიამოვნო, მოსაწონი, სასურველი, კარგი (ალ. ღლ.).

მოცხრილვა (ქართლ.) – გალენილი ხორბლის ცხრილში გატარება; **მოცხრილვა** (ფშ.) – გაქცევა, მოკურცხლვა.

#67#

ნაგალი (ფშ.) – 1. წყლისაგან გაცვეთილი კლდე, ადგილი (თ. რაზიკ., ი. ჭყონ.). 2. ნათელი, ე. ი. რომელიც, ან რაც თელეს (ა. შან.); **ნაგალი** (მოხ.) – ნატანჯი, ბევრი ჭირის მნახველი, გამობრძმედილი (ო. ქაჯ.).

ნათოსი (ხევს.) – ნამსხვრევი, ნაფლეთი (ა. შან.), ქვის უმცირესი ნამუსრევი (ა. ჭინჭარ.); **ნათოსი** (ფშ.) – 1. წყლისა და ზვავის მიერ ტყიდან გამოტანილი ნაგლეჯ-ნაგლეჯი და დამუშავებული შეშა; 2. ძველი ტანსაცმელი; „ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილ ტანსაცმელზე იტყვიან, – ჩამონათოსებულიაო“ (ს. მუქო).

ოლე (ფშ.) – ველებიანი ტყე (ა. შან.); **ოლე** (რაჭ.) – ეკალბარდიანი ბუჩქი; **ოლე** (ქიზიყ., ფშ.) – ჭაობიან ადგილში ტალახის გუბე ან ტალახის „მდინარე“ (ს. მენტემ.); ტბის ან მდინარის პირას დაგუბებული წყალი, გუბურებიანი ადგილი (ა. ჭინჭარ.); ტბის ლიკლიკი (თ. რაზიკ.). შდრ. ძვ. ქართ.: **ოლე-მ** || **ჰოლე-მ** – ბუჩქი; **ოლოვანი** – ბუჩქნარი (139^ა, 169).

რიკი (რაჭ., ქვ. იმერ.) – 1. მარხილის ნაწილი; 2. კიბის საფეხური (შ. ძიძიგ.); **რიკი** (ფშ., ქსნის ხეობ., მთიულ.) – ცხვრის კუდი; ცხვრის დუმის პატარა ძვალი (ვ. სომხიშვ., ლ. კაიშ.); **რიკი** (ქიზიყ.) – 1. უძუო ან უბალნო კუდი საქონლისა; 2. ყურძნის საწურ ნავში ტოპკირის ქვეშ ჩასაწყობი მოკლე მრგვალი ჯოხები (ს. მენტემ.); **რიკი** (ხევს.) – კრებითი სახელია, რამდენიმე რიკნა ერთად (ა. ჭინჭარ.).

სამხრე (გურ.) – გოდრის სახელურები მხრებზე მოსაკიდებლად, თოკის ან ტკეჩისა; **სამხრე** (ფშ.) – პერანგის საგულე.

საჩეკი (ფშ.) – საჩხრეკი, ნაღვერდლებისა და მუგუზლების მისაწევ-მოსაწევი, მოკაული ჯოხი (ვაჟა-ფშ. მც. ლექს). **საჩეკი** (ლექხ.) – ჯირკი ან დაბალი სამტოტა ძელი, რომელზედაც სარს, ჭიგოსა და მისთ. დაჩეკენ, წვერს წაუთლიან, წაუმახვავენ (მ. ალაგ.).

საციქველი (რაჭ., ზ. იმერ., გურ.) – მათხოვრის მისაცემი შემწეობა; მეალილოების ან მეჭონეების საჩუქარი; **საციქველი** (თუშ., ფშ., მესხ.) – ყოველდღიური სახმარი საოჯახო ინვენტარი: ტომარა, ჯამი, ხურჯინი და სხვ., მეზობლისაგან ნათხოვარი პირველი მოხმარების საოჯახო ნივთი.

ფარჩხვა (ფშ.) – გადაშლით გართხმა (ა. შან.); **ფარცხა** (ლექხ.) – ფარცხვა (მ. ჩიქოვ.).

#68#

ჭორღი (თუშ.) – წვრილი ქვა (პ. ხუბ.); **ჭორღი** (ხევს.) – გალენილ ხორბალში სარეველა მცენარეთა თესლის მინარევეები ერთად (ა. ჭინჭარ.); **ჭორღი** (ფშ.) – 1. უგულო, გაფუჭებული პურეულის მარცვალი; 2. გალენილი ხვავის ცხავ-ცხრილში გატარების შემდეგ დარჩენილი მარცვალი მინარევებითურთ.

ჭოჭყი (თუშ.) – კალთა (თ. უთურგ.); **ჭოჭყი** (ქართლ.) – თოვლის გადანარჩენისა და წვიმის შემდეგ დამდგარი ტალახი; 2. ხურდა ქვა (შ. ძიძიგ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); **ჭოჭყი** (ხევს., გუდამაყრ., მოხ.) – მოზვერი; ხბო ორ წლამდის (ო. ქაჯ.); **ჭოჭყი** (ფშ.) – კვებულა,

„გამოზამთრული“ ძროხა (მოზვერი ან დეკეული); **ჭოჭყი** (მთიულ., მოხ.) – კედელში სახმარი ღორღი, ასევე ფშაურშიც და ამდენად, იგი პოლისემიურია.

ხარო (გურ.) – ნალია, სასიმინდე (გ. შარაშ.); **ხარო** (ყიზლ.-მოზდ.) – სკივრი ხორბლის შესანახად (დიალექტ, 603); **ხარო** (ქართლ., ქიზიყ., მესხ., თიან., ყიზლ.-მოზდ.) – დიდი ღრმა ორმო, პურის ორმო (შ. ძიძიგ., ნ .კეცხ., პ. ხუბ, ალ. ღლ., დიალექტ.). ამავე მნიშვნელობით გვხვდება ფშაურში და სხვ.

ბ) დიალექტური ლექსიკური ერთეულები, რომელთა განსხვავებული ფშაური მნიშვნელობანი ლექსიკონებში გათვალისწინებული არ არის. ასეთებია: **ბანდი**, **ბაქანი**, **გადამლიავება**, **გაღვერილი**, **დაჩვენება**, **დაშუშვა**, **დაცხავება**, **დაცხაული**, **დახელვა** || **დაკელვა**, **კალო**, **კაწახი**, **კვილი**, **კორა**, **მარკე**, **მაჭაჭა**, **მზორე**, **მორჩი**, **მელეური**, **ნაღერღლა**, და სხვ., მაგალითად:

ბანდი. სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია ამ ლექსიკური ერთეულის განსხვავებული სემანტიკური ვარიანტი, მისი ფშაური მნიშვნელობა კი აღუნუსხავია: **ბანდი** (ქართლ., მთიულ.) – საქონლის სენი, ფეხის გაკავება იცის; **ბანდი** (მთიულ.) – ნახველი; **ბანდი** (ზ. იმერ.) – ჩვარი, რომლითაც თიხის გამოუწვავ ნედლ ჭურჭელს ასწორებენ; **ბანდი** (გურ.) – ცუდი, უვარგისი; **ბანდი**, **ბანდები** ფშაურში: 1. ძარღვებს ნიშნავს. ადამიანი რომ დაიხუთება, იტყვის „დამხუთა, **ბანდებ** მტკივაო“. ამასთან, იგი გურულში დადასტურებული სემანტიკური ელფერითაც გვხვდება: ცუდ, უვარგის, საქმის შემაბრკოლებელ, თარს ადამიანს აღნიშნავს. ასეთი ადამიანი **საქმეს ვერ ახანებს**, **აბანდებს**, დროში აჭიანურებს. **დაბანდება** #69#

საქმის გაჭიანურებაა (იხ. „ადამიანის ხასიათ-თვისებების აღმნ. ლექსიკა“). 2. ქალამნის ამოსახმელი, ანუ ამოსაბანდავი (= ამოსახლართი) წვრილად დაჭრილი თასმებია, იგივე **საბანდი**, **კოპი**. ვაჟა-ფშაველასთან ეს ლექსიკური ერთეული გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება და 3. დოვლათს, ბარაქას აღნიშნავს: „ცხვარს დიდი მადლი აქვს, ბევრი **ბანდი** სცვივა; წელში ერთი ორადა ხდება, ორჯერ იპარსება, ახლა ყველი ვიანგარიშოთ, ხაჭო“ ... („ფშაველი და...“ VII).

ბაქანი საჩეჩლის ხის რკალია (ქსნის ხეობა. 159, 62) აღუნუსხავია ამ დიალექტური ლექსემის ფშაური მნიშვნელობა: წისქვილის ბორბლის ფთის (< ფრთის) შემადგენელი ნაწილი: „ფთას აქვს **ბაქანი** და **ყბა**, ხოლო ზურგის მხარეს სიმაგრისათვის აქვს გვერდი, წყალმა რომ არ გატეხოს და მალე არ დაილიოს“ (იხ. მეწისქვილეობის ლექსიკა).

გაგლა, **გლა** თუშურსა და ფშაურში გათელვა, გარეგვა, გათქერვა, ჩეჩქვა, ხეთქება; ამავე მნიშვნელობით დასტურდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც (მც. ლექს.) მოხეურსა და ქართლურში დანაყვა, დაცეხვა (ა. ღლ.), დაგლა (მთ.; მოხ, ხევს.) დაჟეჟვა, დანარცხება. **გლა** გულისა, გულის გაგლა ფშაურში დარდისაგან გულის შეწუხება, გულის გათელვა: „**დარდმა** გამიგალა გულიო“, – იტყვის შეწუხებული ადამიანი.

გადამლიავება. მთიულურში რაიმეს გაფლანგვას ან დაკარგვას ნიშნავს. ფშაურში მას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, „გადამლიავდაო“, – იტყვიან, ღობეს ან რაიმე დაბრკოლებას რომ გადაეღება კაცი. **მლივი**, საბას მიხედვით, გალეულს ნიშნავს.

გალვერილი განმარტებით ლექსიკონში კვალიფიცირებულია კუთხურ მონაცემთა მიხედვით და ლექსიკური მნიშვნელობა წარმოდგენილია ქიზიყური და იმერული მონაცემების თანახმად: 1. (ქიზ.) რასაც ნაზამთრი, მოთელილი მატყლი გააცალეს, – მატყლშემოცლილი. 2. (იმერ.) გამრუდებული, გალუნული. ანგარიშგასაწევია ამ ლექსემის სემანტიკური მრავალფეროვნება, რაც ფშაურ დიალექტურ გარემოში დასტურდება. **ღვერა** (არაგვისხ. ფშ.) || **ღორეულა** (ივრისხ. ფშ.) გრძელ, შვეულად ჩატანილ დამრეც ნათიბ ზოლს ეწოდება. **ღვერა** „მთიბლის მიერ ერთ გავლაზე ჩატანილი გრძელი შვეულის მსგავსი ტოტია“ (ალ. ღლონტი) ხევსურულში „გრძელ და შვეულად ჩატანილ ტოტს ღვერა-ს ეძახიან“ (ალ. ჭინჭარ.). **ღვერა** განსხვავებული მნიშვნელობითაც დავადასტურეთ: „როდესაც მთიბელი #70#

მეორე მხრიდან მოსდევს უკან და გათიბულ ნამხრეულს აყრის ზედვე მეორე მხრიდან, ის **ღვერაა**“ (ს. ჩაბანო). **ღვერა** აგრეთვე ხის სიგრძეზე გაცლილი კანია: „ხეს აძჰყრიან ქერქსა, სამი-ოთხი მეტრია, **მუშს** ვიტყვით, აახვევენ, ჩაძჰყრიან ჭაობში ერთი კვირა, დადგრებენ თოკსა. ეს არი **ღვერა**, ცაცხვს ეყრება კარგი“ (ს. ევჟენტი). **დაღვერილი** || **გალვერილი** კანგაცლილი, ქერქაცლილია ფშაურად, **ღვერა** || **გალვერვა** კი ბეწვის „ბალნის, ან კანის აყრა, გაცლაა **ერთ ზოლად!** ამ მნიშვნელობით ეს ლექსიკური ერთეული, ფშაურის გარდა, დასტურდება ხევსურულში, გარე კახურში (159, 587). ა. შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონის“ მიხედვით, **ღვერვა**, **გალვერვა** (ფშ., ხევს., თუშ.) ქერქის ან ბალნის გართმევა, გაყვლეფა, კანის გაძრობაა. სწორედ ერთ ზოლად კანის გაცლის მნიშვნელობა უნდა იყოს სახელდების პრინციპის განმსაზღვრელი, გრძელი, შვეულად ჩატანილი დამრეცი ნათიბი ზოლისათვისაც. ფაქტიურად ეს არის უთიბი ბალახის ჩაჭრა გრძელ ზოლად, უთიბ ბალახში შვეულად ჩატანილი პირველი ზოლი, რომელიც ხელუხლებელ მთლიან ბალახოვან ფართობს **ღვერავს**, ე. ი. ერთ ზოლად ბალახის გართმევაა ბალახოვან ფართობზე. კაცი რომ **ღვერას** ჩაიტანს, იტყვიან: „ნალვერ გადმააჩინაო“ (არაგვისხ. ფშ.) || „**ღორეულა გადმააჩინაო**“ (ივრისხ. ფშ.) || თვითონ მთიბელი იტყვის, „**ღვერა გავაგლეო**“ (არაგვისხ. ფშ.). || „**ღორეულა ჩავაგლეო**“ (ივრისხ. ფშ.). ამიტომ მართებული უნდა იყოს განსაზღვრა, რომ ღვერა არის მთიბლის მიერ დამრეცად ჩატანილი პირველი ზოლი, რომლითაც სათიბი გაიჭრა. პირველად გაჭრილ-გაკვალული ზოლის მნიშვნელობას უნდა შეიცავდეს აგრეთვე ჩვენ მიერ მოხეურში დადასტურებული გამოთქმა: „ნამქერს მივღვერავ“. **გალვერვა** ლ. რაზიკაშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობას გადატანითი მნიშვნელობით შემოუნახავს და გაყვლეფა-გატყავებას აღნიშნავს: „ზოგიერთი მოხელე ქედელეებს ყვლეფდა, ჰღვერავდა“ („დაგვიანებული პასუხი“).

დაშუშხვა (გურ.) – დასუსხვა, კანის დახეთქება სიცივისა ან ქარისაგან (გ. შარაშ.). სალიტერატურო ქართულის მიხედვით იგივეა, რაც დასუსხვა; ასევე ცხარე რამეთი პირის დაწვასაც ნიშნავს. გურულსა და სალიტერატურო ქართულში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა, **დაშუშხვა** ფშაურში დამაშხვას, ზოლებად დაჭრასაც ნიშნავს. #71#

დაცხავება, **დაცხაული**, **დაცხავება** (თუშ.) – რამის გახვრეტაა ბევრგან ისე, რომ ცხავს დაემსგავსოს (20, 196), **დაცხაული** კი ფიქსირებულია, როგორც (მთიულ.): ძალიან

გაცვეთილი, დაცრეცილი. აღსანიშნავია, რომ ორივე ლექსიკური ერთეული ფშავშიც არის გავრცელებული. **დაცხავება** ფშავურში პოლისემანტური ერთეულია და ზემოაღნიშნული თუშური მნიშვნელობის იდენტურობის გარდა, რაც ა. შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონშიც“ დასტურდება, აღნიშნავს აგრეთვე საფქვავე მარცვლეულის (**ჭოვის**) ცხავში გატარებას, რაც ლექსიკონებში აღუნუსხავია; ხოლო **დაცხაული**, მთიულეთში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა, ფშავში ასევე დაცხავებულს, მრავალგან გახვრეტილ საგანს აღნიშნავს. ამასთან, ცხავში გატარებული მარცვლეულის აღმნიშვნელიცაა, ე.ი. პოლისემანტურია.

დაჩვენება მოხეურში დასაკუთრებას აღნიშნავს. ამავე მნიშვნელობით გვხვდება ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში. განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მთიულურსა და ფშავურში: გზის ჩვენებას, მოულოდნელად ნახვას, სტუმრობას ნიშნავს (ნ. აგრეთვე VII თავი).

დახელვა, დაჯელვა (ბევრისა), **მოხელვა, მოჯელვა** (ერთისა) – პოვნას აღნიშნავს ფშავურში: „დავკელოთ ეგ ჯრუწუკეები“ (ს. გოგოლაურთა): „სამნივ საბძელში დაჯელენ“ (ს. კუდო). ამ სიტყვის ფშავური მნიშვნელობა ქეგლ-ში აღნუსხული არ არის და ამის გამო, მისი სემანტიკური კვალიფიკაციაც არასრულია. „**დახელვა** (ქიზ.): 1. ხანგრძლივად დაზელვა (ცომისა), 2. მოვლა-დამუშავება (ბოსტნისა, ვენახისა...), 3. ტყავის ერთი პირი დამუშავება.

ეჯიბი (არაბ.: ჰაჯიბ „მეფის მეკარე“, „კარისკაცი“). 1. ისტ. ერთ-ერთი დიდმოხელეთაგანი ქართველი მეფის (დიდებულის) სასახლეში, – მეკარე, მეფისადმი მთხოვნელთა სურვილის მომხსენებელი“ (ივ. ჯავახიშვილი). 2. ძვ. ეთნ. ქორწილში მეფის (ნეფის) პირველი, თავი მაყარი, – **მეჯვარე** (მეფეს სულ თან ახლავს, მისი სურვილის ამსრულებელია). ამრიგად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეჯიბი და მეჯვარე მნიშვნელობის მიხედვით გაიგივებულ, სინონიმურად მონაცვლე ლექსებშიც არის მიჩნეული, რაც არამართებულია.

ეჯიბი რაზიკაშვილების შემოქმედებით მემკვიდრეობაში დასტურდება და დღესაც აქტიური ლექსიკური ერთეულია ფშავურ დიალექტურ გარემოში. უკანაფშავის საკრებულოს #72#

შემავალ სოფლებში: აწადში, ელიაგზაში, ჯოშარაში, გოგოლაურთაში, შუაფხოსა და თხილიანაში მოპოვებული და მადაროსკარის საკრებულოს სოფლებში შემოწმებული ნათესაობისა და ადამიანის თვისებების აღმნიშვნელი დარგობრივი ლექსიკის ნიმუშებში დღესაც თვალნათლივ ჩანს **ეჯიბისა** და **მეჯვარის** შინაარსის გაგების განმასხვავებელი ელემენტები: „ქორწილში ნეფეს მოყვება ბიძაშვილი ან ბიძა, ან დედი-ძმიშვილი, – ეჯიბი, ეჯიბ-მეჯვარენი“. **ეჯიბი** უფრო ნეფეს აქცევდა ყურადღებას. „დედუფალს გაყვებოდა ძმის ცოლი ან ბიძაშვილის ცოლი – **მდადი**, ვინმე რძალი, ყისმათიან ქალი (ისითას აარჩევენ, რო მითამ იმის ყისმათზე იქნება ქალიცაო) და **ქალის ძმა** – დეიდაშვილი ან ბიძაშვილი, ახლო ნათესავი“. **ქალის ძმა** ქორწილის დროს პატარძალს პატრონობს, მის ინტერესებს იცავს. „ქალის მაყრებ რო არავის დეეჩაგრა, იმათთვინ ყურის მიმგდებელ **ქალი ძმა** იყო. **ქალის ძმა**დ დედოფლის ნათესავ უნდა ყოფილიყო, ახალგაზრდა. ნეფე აირჩევდა თავის ძმაკაცს ნათესავადა, **მეჯვარე**და. ის გააკეთებდა პატარა ხის ჯვარსა და გამაუძღვებოდა ნეფე-დედუფალსა. მემრე ბაღლს (ძირითადად ვაჟიშვილს, – გ. გ.) ანათლვინებდენ მეჯვარესა“.

„ეჯიბი, მეჯვარე და ქალის ძმა ყველაზე მეტსა ხარჯავდენ“.

ამრიგად, დამოწმებული რეგიონული მასალით ირკვევა, რომ ეჯიბი და მეჯვარე ფაქტობრივად სხვადასხვა ადამიანები და საქორწილო რიტუალის დროს ფუნქციური თვალსაზრისითაც განსხვავებული პირები არიან. ამასთან, მეჯვარეს ნეფე ერჩევს თავის ძმაცაცებისა და მეგობრების წრიდან, ხოლო ეჯიბი ნეფის ახლო ნათესავი, მისი ბიძაშვილი, ბიძა ან დედიძეა. ამასვე ადასტურებს ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ამოწერილი ტექსტობრივი მასალაც: „დედუფალს **მდადი** და მეფეს **ეჯიბი** ახლავ გვერდითა“ (ბაჩ., 475, 24), „უკან მისდევდეთ **ეჯიბი**, გვირგვინთ ტოტების ჭერთა“ (ვაჟა, ქეგლ) და ბოლოს: „ეჯიბთანა ზის მეჯვარე, ქალი ძმა – კიდევ მდადსთანა“ (ბაჩ., 475, 25).

ი. ქეშიკაშვილი მართებულად შენიშნავს, რომ ეჯიბი მეჯვარე არაა. „ეჯიბი“ მექორწინე ვაჟის ახლო ნათესავი თავმაცარია, რომლის მოვალეობაც ის არის, რომ მაყრებსაც და საერთოდ ქორწილსაც ყურადღებას. მიაქციოს“ (155, 61).

#73#

როგორც დავრწმუნდით, აღნიშნული ლექსიკური ერთეული ამ გაგებით ნათესაობის აღმნიშვნელ ფშაურ დარგობრივ ლექსიკაში ამჟამადაც დასტურდება არაგვის ხეობის რეგიონში. ცხადია, ამ შემთხვევაში სწორედ რეგიონული მონაცემების გაუთვალისწინებლობის შედეგი უნდა იყოს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამ სიტყვის სემანტიკური გაბუნდოვნება.

თავწყალი – თავწყალს გაადენს – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით – გააწყობს, მოახერხებს, გახდება რასმე; **თავწყალს გაართმევს** იგივეა, რაც **თავწყალს გაადენს**: „დაწუხებული გრძნობებსა ველარ **ვართმევდი თავწყალსა**“ (ბაჩ., 101, 5). დამოწმებული ტექსტობრივი მასალით ჩვენთვის საინტერესო ლექსიკური ერთეული განმარტებით ლექსიკონში კვალიფიცირებული მნიშვნელობით ვერ გაიაზრება, მოცემული წინადადება აზრობრივად გაუმართავი გამოდის. მართებული წაკითხვა გვექნება, თუ **თავწყალს** მივიჩნევთ **თავგზად**, ისევე, როგორც ეს რეგიონული მონაცემების მიხედვით გვაქვს: ფშაურ დიალექტში დასტურდება და ჩანს, ამავე გაგებით აქვს გამოყენებული ბაჩანასაც. შდრ.: „თავგზიან კაცებ ვინც იყვნენ და თავწყალი ჰქონდათ, იმას აირჩევდენ ვაჟის დედ-მამანი (მაყრადა)“ (იხ. სოციალურ ურთიერთობათა და ადამიანის თვისებების ლექსიკა).

კალო. ლექსიკონებში მითითებულია მისი ქიზიყური და გურული მნიშვნელობანი. ფშაური შინაარსი კი, რაც თავისთავად საყურადღებოა ამ ლექსემის პოლისემანტურობის გამო, გათვალისწინებული არ არის. 1. მიგვანიშნებს ძნის რაოდენობას: „წმინდის, ქერისა და „ტრუპკის“ კალო 120 ნაწყობია, ე.ი. 140 ძნა (იხ.: „მემინდვრეობის, პურეულისა და მარცვლოვან-პარკოსან კულტურათა ლექსიკა“; 2. სახნავი მიწის ფართობის საზომია. ფშავეში საჯნაურის სიდიდეს მასში მოწეული პურეულისაგან რამდენი კალოც გამოვა, იმის მიხედვით საზღვრავენ; 3. წისქვილის ქვის სიგანეა, რადიუსით ცენტრიდან. წისქვილის ქვის სიდიდეს კალოს სიდიდით ახასიათებენ: „დოლაზ წისქვილი ხანიერია, დიდ კალო აქვის“. პატარა, **ბუჭულა** წისქვილის კალო მტკაველნახევარი, მტკაველი და ერთი გოჯია. დოლაზ

წისქვილის კალო ორი, ორმეტკაველ-ნახევარია; 4. ძნის გასალეწი, მოსწორებული მრგვალი ადგილი. ამავე მნიშვნელობით აქვს დადასტურებული სულხან-საბა ორბელიანსა და ნ.

#74#

ჩუბინაშვილს. ფშავში იციან **საფრის კალო** და **ველის კალო**. საფრის კალოს გადახურვილი კალოც ეწოდება. სალექნად ჩვეულებრივ იყენებენ მოსუფთავებულნიადაგან **მიწის კალოს**. იციან სიპებით მოფენილი **სიპის კალოც**; 5. ივრისხეურ ფშაურში დასტურდება ამ ლექსემის ქიზიყური მნიშვნელობაც: **კალო** – მოსაზელად მომზადებული ლამკირი ან ხრეში. ლამკირს, ხრემს ან საჭურჭლე მიწას მრგვალად დაყრიან, გულს გადაუშლიან, წყალს დაასხამენ და გადაზელენ; 6. მცენარის ძირის გარშემო იციან მიწის **მოკალოება** – ჯამივით ან ფილივით მოკეთება, რომ მცენარეს წყალი დაუგროვდეს და ფესვებში წაუვიდეს (ს. მენთემ., 200); 7. **მოკალოება** ფშაურში ზოგადად მიწის მოსწორება-მოსუფთავებასაც ნიშნავს, ხოლო **კალოობა** ლექნაა.

კაწახი. „კაწახ“ ფუძე ინგილოურში უმწიფარ ხილს, კოწმახს აღნიშნავს (მ. ჯანაშ.); **კაწახი** ხევსურულსა და ფშაურში ამ მნიშვნელობასთან ერთად განსხვავებული სემანტიკის მქონეა: 1. მცენარეა ერთგვარი (ა. ჭინჭარ.); 2. წენგო, კაკლის ნაჭუჭის გარეთა მხარეა.

კვილი. მთიულურში თივის პატარა ზვინია (ლ. კაიშაური). აღუნუსხავია მისი ფშაური მნიშვნელობა: წისქვილის ღერძის „განტოტვილ-გაკუთხვილი“ დაბოლოება ბუდეში უძრავად გაჩერების მიზნით (იხ. მეწისქვილეობის ლექსიკა).

კორა არაგვის ხეობის ფშავში უღლის სამაგრია, საულლეს ამაგრებს უღელზე და აქეთ-იქით აღარ უშვებს; ივრის ხეობის ფშავში მას **ქორაკი** ეწოდება, ხოლო **კორა** მოჭრილი ბელტების გროვია, რომელსაც მდინარის წყლის ნაკადის გადაგდების დროს აგებენ და ერთგვარი სიმაგრეა, წყლის ნაკადის ჩამკეტის მნიშვნელობით იხმარება. ჩანს, ეს ლექსიკური ერთეული ფშაურში ზოგადი მნიშვნელობით ჩაკეტვა-დაკეტვას, სიმაგრეს უნდა აღნიშნავდეს. „**კორა** კარის საკეტია ხისი“ (ს. მაღარო). ამ მნიშვნელობით ეს ერთეული ქიზიყურშიც დასტურდება. **კორა**, თ. რაზიკაშვილის განმარტებით, თოფის გასახედი სანიშნებელია (234, №132). კახურში, ქიზიყურსა და რაჭულში იგი განსხვავებული მნიშვნელობითაც დასტურდება (159, 302).

კოჭი || **კოჭა**. ლექსიკონებში ფიქსირებულია ამ სიტყვის თუშური (ქუსლი) და ხევსურული (პირუტყვის კოჭი, ხმარობენ სათამაშოდ) მნიშვნელობანი. ფშაურში აქვს დამატებითი მნიშვნელობაც, წისქვილის ბორბლის შემადგენელი ნაწილია. იგი ჩასმულია #75#

კაჭკაჭაში, რომელიც ფარცხის ხეში გაკეთებულ ბუდეშია ჩადებული. კოჭს ივრის ხეობის ფშავლები **ასტამსაც** უწოდებენ (შდრ. კახ.: **ადტამი**). ეს ლექსემა ამავე მნიშვნელობით ხევსურულშიც არის დადასტურებული (179, 108).

ლიტაო უტოტო და უშტოო, სწორად აზრდილი მაღალი ხეა. ამ მნიშვნელობით დასტურდება იგი ფშაურ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსა და ქიზიყურში (159, 333). ლეჩხუმურში იგი სალ, ფრიალო, შიშველ კლდეს აღნიშნავს (პ., 83). (გადატ.) იგი სწორი, ვერტიკალურია; ამავე დროს მაღალ, აშოლტილ, მოხდენილ ადამიანზეც ითქმის. სრულყოფილი ლექსიკური დეტერმინაციისათვის საინტერესოა ამ სიტყვის განსხვავებული

მნიშვნელობანი, ფშაურში რომ გვხვდება: (გადატ.) იგი უმწეო, უიარაღოს და აგრეთვე მარტოხელას, ღარიბ-ღატაკს, უცოლშვილოს აღნიშნავს. ამგვარი სემანტიკური ელფერით აქვს გამოყენებული ეს ლექსემა ვაჟა-ფშაველას, ბაჩანასა და თ. რაზიკაშვილსაც (93, 69); **ლიტა**, **ლიტოკი** თივის უტოტო სარუკაა (იხ. თიბვის ლექსიკა).

მარკე (ფშ.) – 1. ავი; 2. მძიმე ავადმყოფი. **მარკეობა** – ავადმყოფობა, ცუდად ყოფნა. **მარკედ** – ცუდად, ძალიან ცუდად, მძიმედ. **მარკედ ყოფნა** – უარესად, მძიმედ გახდომა, ავად ყოფნა. ავადმყოფის მდგომარეობის ან ჭრილობის გაუარესების დროს ამბობენ: „**გაუმარკედა**, **გაუმარკდა**, **უფრო მარკედ** (უარესად) არიო“. **მარკე** თუშურში, მოხეურსა და მთიულურში ავს, ანჩხლს, კაპასს აღნიშნავს. იგივე ლექსიკური ერთეული ხევსურულსა და მთიულურში მარცხი, ცუდი საქმეა.

მაჭაჭა ფშაურში მეჭეჭია. გუდამაყრულში, მთიულურსა და იმერულ დიალექტებში ცხენის ფეხის ავადმყოფობაა; რაჭ.: ვირის ტერფა, მცენარე.

მზორე, იგივე **მზურე**, მთიულურში მზისგულზე მდებარე ადგილი, მზისპირია. ამ ლექსიკურ ერთეულს ფშაურში განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: **მზურეს**, **მზორეს** ფშავლები აყროლებულზე იტყვიან (ფუნაზეც ამბობენ). იხ. აგრეთვე, **წყაროთამზურისპირზითი** („ფშაური ლექსიკა II“, I ნაწ., IV თავი).

მიგლა თავისა. დადასტურებულია ამ ლექსემის ქიზიყური მნიშვნელობა (159, 362). იმავე მნიშვნელობით გვხვდება ფშაურში: რაზედმე თავის მირტყმა, მიხლევინებაა. აქვს გადატანითი მნიშვნელობაც და საქმეზე თავის შეკვდომას ნიშნავს.

#76#

მელეური – იხ. IV თავი.

მორჩი (ლექხ., აჭარ.) – მეორადი თიბვა (173^ა), მეორედ მონათიბავია (195^ა); ფშაურში ეს ლექსიკური ერთეული დანატოვარს, შთამომავალს ნიშნავს.

ნაგალი. ფშაურის გარდა, იგი დასტურდება მოხეურში („ნატანჯი, ბევრი ჭირის მნახველი, გამობრძმედილი“); ქიზიყურში: „ჩალაბულა, ნალეწი ნამჯა, შამბი და მისთ.“; თიანურში: „გახურებული რკინის ფერფლი“ (ქეგლ); ქვემოქართლურში: „უსუფთაო, მინარევებიანი ფქვილი“. ამასთანავე **ნაგალი** ფშაურში შიგადიალექტური სემანტიკური ნიუანსების შემცველი ლექსემაა. გამოყენებული აქვს ვაჟა-ფშაველას, ხოლო განმარტებული – ა. შანიძეს: „ნათელი, ე. ი. რომელიც გათელეს“. განსხვავებული მნიშვნელობით წარმოგვიდგინა იგი თ. რაზიკაშვილმა და შემდგომ ი. ჭყონიამ: „წყლისაგან გაცვეთილი კლდე, დაგლილი“ („ივერია“, №134, 1900); გ. ხორნაულის მიხედვით, **ნაგალია** „ზვავისაგან ჩამოთელილ-ჩამოლეწილი ტყე; ჩამონგრეული, ჩამოთხრილი, ხეები და გორები“ (191^ა, 167). ზემოაღნიშნული მნიშვნელობის გარდა, იგი ივრისხეურ ფშაურში დადასტურებული „**ნავლი**“-ს და არაგვისხეური ფშაური „**დაკვლი**“-ს – სინონიმია: ნავლი || დაკვლი – ნაცარი, ფერფლი. **ნაგალი** არა მარტო გახურებული რკინის, არამედ ფქვილის ფერფლიცაა (ე.ი. ზოგადად ფერფლის აღმნიშვნელია), რაც მეწისქვილეობის ლექსიკაში დასტურდება: საფქვავი რომ გამოილევა, იტყვიან, **ნაგალი გადმოდისო** || **ჩამოდისო**. „**ნაგალი** იგივე ფერფლი (ფერფლი – გ.გ.) დაკვლია“ (ს. შუაფხო). **ნაგალი** ზედმეტად ნახმარ-გაცვეთილზეც ითქმის. ამრიგად, ფშაურში **ნაგალი** პოლისემანტიკური ლექსიკური ერთეულია.

ნაველობი – სპეციალურ ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც ცელით თიბვისას ერთჯერად გატანილი სვის სიგანე: „(ცელო), შენს **ნაველობზე** ირემსაც გაფრენა უჭირდებოდეს“ (ბაჩ., 22, 8). ამ განმარტებით, მოცემული ლექსემა კონტექსტთან რამდენადმე შეუსაბამოა: ცელით თიბვისას ერთჯერად გატანილი სვის სიგანეზე გაფრენა (გადახტომა, – გ.გ.) ირემს არ უნდა გაუჭირდეს, რაც, ალბათ, ბაჩანასაც კარგად მოეხსენებოდა. ეს ლექსემა წარმოდგენილი მნიშვნელობით არაგვის ხეობის ფშავში საველე მუშაობის დროს ჩვენ ვერ #77#

დავადასტურეთ აღნიშნულ შინაარსს გამოხატავს ფარდი (იხ. თიბვის ლექსიკა), **ფარდის გატანა** (თიბვის დროს), ან **სვე, სვის გატანა** (მკის დროს).

ნაველობი ფშავში განსხვავებული მნიშვნელობით დასტურდება, რაც, ჩვენი აზრით, ბაჩანას ზემოდამოწმებულ საილუსტრაციო მასალას შეესატყვისება და კონტექსტის მართებულ აღქმასაც უწყობს ხელს: **ნაველობი** ცელით თიბვისას ერთ ჯერად გატანილი სვის სიგანედ კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ **ნაველობია** მთლიანი ვაკე ადგილის – ველის ის მონაკვეთი, სადაც ცელით ნათიბია; „**ნაველობი** ცელით ნათიბი ადგილია ველად“ (ს. აჯადი), ე. ი. ცელით ნამოქმედარია ველად. გამრჯე, ძლიერი მთიბელი **თიბვას აჯანებს** და, ამდენად, მის მიერ ველზე, სწორ ადგილზე, **ნათიბი – ნაველობი** შესაბამისად დიდი ზომისაა, ამიტომაც ნაველობის სიდიდე მთიბელის უნარის, მისი გამძლეობისა და გარჯის მახასიათებელია და ამავე დროს პიროვნების (მთიბელის) ვაჟკაცობის ეპითეტადაც გამოიყენება: „შენს **ნაველობზე** ირემსაც გაფრენა უჭირდებოდეს“.

თუ ვივარაუდებთ, რომ **ნა-ველ-ობ-ი** ისეთივე მიმდებარე ფორმაა, როგორც ფშ. ნა-დედ-ობ-ი, ნა-მმ-ობ-ი, ნა-შვილ-ობ-ი, ნა-შარ-ობ-ი (დედობილი, მმობილი, შვილობილი), მაშინ უნდა დავუშვათ **ველობს** ზმნური ფორმის არსებობაც, რადგან გვაქვს **შვილობს**, **დედობს**, **შარაობს** და ა. შ. მართლაც, წისქვილის გამართვასთან დაკავშირებულ ფშაურ დარგობრივ ლექსიკაში დასტურდება ფორმა **ველობა**: „წისქვილის ყელი თუ შუაში არა აქვ, მაშინ ზეითა წისქვილი ველობას იწყებს, ყიელაობს, ველობს. **ველობა** ის არი, ზეითა წისქვილი რო გადავ-გადმუა“ (ს. მუქო). **ველობა** ფშაურში პოლისემიური ერთეულია, ზემოაღნიშნულის გარდა, აქვს სხვა მნიშვნელობებიც: 1. საომრად, სათარეშოდ ან კიდევ სანადიროდ წასვლა (რაზ.-ჭყ., ა. შან.); 2. სხვადასხვა მიზნით დიდი ხნით სახლის გარეთ, ტყე-ველად ყოფნა, თენება-დაღამება; 3. ველად მუშაობაცაა, მაგალითად, თიბვა, გათიბული ბალახის ახვეტა და სხვ .

აღნიშნული ლექსემა თუშურ დიალექტში დასტურდება და ლაშქრობა-დარბევის მიზნით ველად გასვლას, ველად მოქმედებას ნიშნავს (178^ა, 217). ამრიგად, თუშ. **ველობა** თუ ველად მოქმედებაა, მნიშვნელობით მასთან ახლოს ჩანს ჩვენ მიერ დამოწმებული ფშაური ნაველობი: ცელით ნამოქმედარი ველად.

#78#

ნადერღალა ხევსურულში პურის ნამუსრევია (ალ. ჭინჭარაული), ფშაური დამატებითი მნიშვნელობანი კი აღუნუსხავია. ფშაურში იგი პოლისემანტური ერთეულია: 1. ძალზე მსხვილად ნაფეკავი, **სადერღელში** || **სანახორხლში** (წისქვილის ქვის პირის ადგილი)

გადასული და იქ დაგლეჯილ-დაკუწული მარცვლის ნაკუწებია, იგივე **ნახორხალი** || **მაჯორჯალი**; 2. ხმელი ხის წვრილი ნაკუწია.

ნაწვერალი (ქართლ.) – ბალახის ან ქერის ნათესი ადგილი (ე. ბაბუნ. 159, 416); ფშაურში **ნაწვერალი** პოლისემიური ერთეულია: 1. უკანა ფშაურის მიხედვით, ტყის გაკაფვის დროს დარჩენილი ხის ნაჭერ-ნაფოტებია. **ნაწვერალს** ხის წვრილი ტოტების შემსაც უწოდებენ; 2. ივრის ხეობის ფშავში **ნაწვერალი** მკის შემდეგ დარჩენილ ღეროებს ეწოდება. შდრ.: „წული არს ყანის ძირი ვიდრე კუვლამდე“ (საბა).

სამართი. ფიქსირებულია ამ სიტყვის იმერული და მოხეური მნიშვნელობანი (159, 467): 1. ბზის ჯოხი ტყავის პირის გასასწორებლად, მეუნაგირენი ხმარობენ; 2. ცულის, ნამგლისა და მისთ. გამოსაპირავი რკინის იარაღი. აღუნუსხავია ამ ერთეულის დამატებითი, ფშაური მნიშვნელობა, რაც მეწისქვილეობის ლექსიკაშია შემონახული: **სამართი** ჯოხია, რომელსაც წისქვილის მფქვავე პირების – ძირის პირების ზუსტად დამუშავებისათვის იყენებენ სამართით მოკოდულობის სიზუსტესაც ზომავენ.

საპირობე ძირის წისქვილის (ქვის) მფქველი პირის კიდეა, სადაც საფქვავე **პირობად** (საბოლოოდ დაფქულად, გადმოსასვლელად გამზადებულად) იქცევა. ძირის ქვას საკოდელათი შეუკეჭნავენ, შეუთლიან ხოლმე, რასაც **საპირობის მოჭრა** ეწოდება. შემდეგ ფქვილი ალატში გადმოედინება **პირობის გადმოსასვლელით** || **საპირობით**. ე. ი. საპირობე ალატში ფქვილის გამოსასვლელიცაა, იგივე **პირობის გადმოსასვლელია**, მისი კახური სინონიმია **საპირობელი** (159, 472).

ფარტენა (ფშ.; მთიულ., გუდამაყრ.) – მეორედ გადაჩეჩილი მატყლის ქულაა, (ან „მესამედ დაჩეჩვის შემდეგ მიღებული ქულა“ – ლ. კაიშაური), დასართავად გამზადებული. „**ფარტენისო, დაფარტენაო**“, – მაშინაც იტყვიან, ბევრი თოვლი რომ მოდის და ხშირი და მსხვილი ფიფქი ცვივა.

#79#

კსენი რძესა და რძის პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ძირითადი ლექსემაა. **კსენი** ხბოს მოგებიდან ორი დღის შემდეგ მონაწველი „წშირი“ რძეა, რომელიც სქელია და ადუღების შემდეგ ყველად იკვრება. მოხეურსა და მთიულურში იგი კვეთს, დვრიტასაც ნიშნავს. საბას მიხედვით, **კსენი** არის „პირველი ნაწოვნი რძე“. ამ ლექსიკური ერთეულის მთიულური და მოხეური მნიშვნელობანი „ყველის კვეთი“ განსხვავდება ფშაური და ძველი ქართული მნიშვნელობისაგან, მაგრამ საერთო მაინც აქვთ სემანტიკური თვალსაზრისით: დვრიტა ადუღებს რძეს, პირველნაწოვი რძეც პირველ სამ დღეს სქელია, შედედებული (ლ. კაიშ.). ფშაურის მიხედვით კი ამ ლექსემის სემანტიკური მნიშვნელობის აღმატებითი ხარისხია ხაზგასმული: იგი იმდენად სქელია, რომ „ყველად იკვრება“. ე. ი. ხაზგასმულად გამოხატავს შეკვრა-შკავშირების, შეერთების მნიშვნელობას. ჩვენი აზრით, იგი ამავე დროს ხსნას, გახსნასაც აღნიშნავს და ამდენად, ეს ლექსიკური ერთეული ერთდროულად გამოხატავს საპირისპირო მნიშვნელობის შემცველ ცნებებს, რაც ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემებით დასტურდება: **კსენი** სხვა სამყაროსთან კავშირის გახსნაა: როდესაც ჭიპლარს წყდება ხბო (ასევე ბავშვიც), ამავე დროს იგი იწყებს სამყაროსთან კავშირს, ანუ თავის ხსნას სხვა საკვების საშუალებით. რაც მან პირველად

მიიღო ბუნებისაგან, სრულიად განსხვავებული შემადგენლობის რძე, კავშირია, შეერთების საშუალებაა სამყაროსთან. ე. ი. ეს იგივეა, რაც სამყაროსთან გახსნა, საკვების გახსნა, შდრ.: გან-ვს-ნ-ა, ვს-ნ-ილ-ი – საკვების გახსნა.

ამ ლექსიკური ერთეულისა და -ვს-/-ვშ- ძირების შესახებ სხვადასხვა დროს საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ნ. მარს, არნ. ჩიქობავას, გ. კლიმოვს, ალ. ჭინჭარაულს, გ. კარტოზიას, ო. თედეევს, აღნუსხულია იგი ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც“.

ო. თედეევი მას ოსურ ნასესხობად მიიჩნევს: „ოსურში კუჭს axsaen ეწოდება: axsaen < axsyn არის „შედედება“, „აჭრა“, სადაც ა ისტორიულად პრევერბია. ამრიგად, (a)axsaen „მკვეთი“, „შემდედებელია“ და, ავტორის აზრით, ვხენ < ოს. xsaen და, ჩანს, კახურში, მთიულურსა და მოხეურში ოსურის ძველი; უპრევერბო ფორმაა დაცული.

ალ. ჭინჭარაულის აზრით, „ვსენ-ს მონათესავე ენებში შესატყვისი არ მოეპოვება“.

#81#

მკვლევარი ამ ლექსემას ზმნურ ვსენ- / -ვს- ფუძეს. (ვ-ვსენ) უკავშირებს, რომელიც თავის მხრივ, -ვს-/-ვშ- ძირიდან (ვსვა || ვშვა) მოდის. ავტორის აზრით, ვსენ ისეთი სემანტიკის მქონე სიტყვებს მიეკუთვნება, რომელიც დაპირისპირებულ ცნებებს, ერთი მხრით, გაჭრას, გაყოფას, გაკვეთას, და, მეორე მხრით, შედედებას, შეკვეთას, შეერთებას გამოხატავენ. მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ ძველად -ვს- ძირს უნდა გადმოეცა გახსნისა და შეკვრის შინაარსი“ (180^ა, 64). ალ. ჭინჭარაული არ იზიარებს არნ. ჩიქობავას და გ. კლიმოვის ვარაუდს ქართული -ვს- ძირისა და მეგრულ-ლაზური -სხ- || -ცხ- შესატყვისობის თაობაზე იმ მოსაზრებით, რომ -ვს- (-ხს-) ძირი ზანურისათვის უცხოა, იგი მხოლოდ ნაწარმოებ სიტყვებში დასტურდება (შდრ., ქართ: **სა-ვს-არ-ი** ლაზ. **მე-ცხვ-ერ-ი** || **მე-მ-ცხ-ულ-ი** || **მე-ნ-ცხ-ულ-ი**; მეგრ.: **სა-რ-სხ-ალ-ი**), სადაც ნასესხებია წარმოების ქართული ყალიბი.

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა გ. კარტოზიას მოსაზრება, რომლის მიხედვითა რ-სხ- || რ-ცხ- მეგრულში და მ-ცხ-ვ ლაზურში ზმნურ ფორმებსაც ადასტურებს „შეერთების“ მნიშვნელობით. ზანური შესატყვისი ეძებნება ზმნურ -ვსენ- || -ვსნ- და სახელურ -ვსენ- ფუძეებს. და აქაც ქართულ -ვს- შესატყვისად მეგრულში -სხ- ლაზურში კი -ცხ- გვაქვს. ქართული ვსენ- || ვსნ- ზმნური ფუძის შესატყვისი უნდა იყოს მეგრ. -სხუნ- და ლაზ. -ცხუნ- || რომელთაც „რჩევის“ მნიშვნელობა აქვთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ლაზურში ძე- || ე- ზმნისწინით ხმარებისას – ცხუნ- ფუძეს „ახსნის“ მნიშვნელობა აქვს ქართული -ვს- ძირის ძველი შინაარსის დარად, რაც უეჭველს ხდის მის კავშირს ქართულის -ვსენ- || -ვსნ- ფუძესთან. ავტორის დასკვნით, „მეგრულ-ლაზური სხუნ- || -ცხუნ- მომდინარეობს გახმოვანების ნოლ-საფეხურის – ვსენ- ფუძისაგან. მარცვლოვანმა ნ სონანტმა კოლხურში ვოკალიზაციის შედეგად უ ხმოვანი განავითარა“.

ვსენ- || ხსენ- ლექსემის კოლხურ შესატყვისად ნ. მარს „ლაზურის ლექსიკონში“ **ცხონი** აქვს დადასტურებული“ (210^ა, 215). გ. კარტოზიას აზრით, -ვს- აქაც კანონზომიერი მონაცვლეობაა -ვს- და -ცხ- კომპლექსებისა. „რაც შეეხება ხმოვანთა შესატყვისობას, ქართ. ე და ზან. ო ისეთსავე თანაფარდობით არიან წარმოდგენილნი, როგორიცაა ქართ. **მწყერ** და

მეგრ. ჭყორ: ქართ. ტრედ და მეგრ. ტოროჯ || ლაზ. ტოროჯ; ქართ: ღერღედ- და მეგრ. ღორღონჯ || ლაზ. ღორღოჯ ფუძეთა შემთხვევაში (106, 63-83).

#81#

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ე ასეთ შემთხვევაში მეორეულად არის მიჩნეული ა ხმოვნისაგან მიღებულად (121, 265-276). მწყერ – მწყარ, ტრედ – ტრად და ა. შ. ამის შესაბამისად -**ჯსენ**- მიჩნეულია **ჯსან**- არქეტიპისაგან მიღებულად (გ. კარტოზია). აღნიშნული კი გვაფიქრებინებს ოსური axsyn შედედება, აჭრა) > axsæn და ქართული **ჯსან** არქეტიპის იდენტურობას, რაც, თავის მხრივ, არ გამორიცხავს საპირისპირო მიმართებასაც: ქართული ნასესხობის დაშვებას ოსურში. ეს კი, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს, რადგან სემანტიკური თვალსაზრისით, ამ ვარაუდის შესაძლებლობის დაშვებას ლექსემის ჩვენ მიერ წარმოდგენილი და ზემოგანხილული ფშაური მნიშვნელობაც განსაზღვრავს და სხვ.

#82#

VII თავი – დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური ნაირგვარობა

ფშაური ლექსიკის თანამიმდევრულად აღწერისა და სრულფასოვანი შესწავლის, ლექსიკურ ერთეულთა ეტიმოლოგიზაციის, სემანტიკური მხარეების გამოვლენისა და ფორმათწარმოების სტრუქტურულ თავისებურებათა სრულყოფილი დადგენის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის არეალურ შესწავლას და რეგიონულ დახასიათებას, რაც, როგორც აღინიშნა, თავისთავად სიტყვათა გეოგრაფიულ პროექციას ითვალისწინებს და, ამასთანავე, დიალექტოლოგიური ატლასის შექმნის წინაპირობაა.

არეალთა გამოვლენისა და ინტერპრეტაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიალექტური მასალის სტატისტიკური და ლინგვოგეოგრაფიული ანალიზის ურთიერთკავშირს, მოვლენებისა და გადასაჭრელი საკითხებისადმი კომპლექსურ მიდგომას (215, 72).

დიალექტურ მოვლენათა სტატისტიკური და ლინგვოგეოგრაფიული მახასიათებლების შეპირისპირება საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ არეალთა უფრო ობიექტური და დასაბუთებული ინტერპრეტაცია. „ამგვარი შეპირისპირება ლინგვოგეოგრაფიული და სტატისტიკური ანალიზის შედეგების შემოწმებისა და სინქრონიული თუ დიაქრონიული ასპექტით სათანადო დასკვნების მიღების საფუძველია“ (201, 72).

ამა თუ იმ მეტყველებისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ლექსემათა და, საერთოდ, კუთხური ლექსიკის ეტიმოლოგიური თვალსაზრისით შესწავლას სხვადასხვა მიზანი აქვს: მოცემული დიალექტის ცალკეულ, ე.წ. „ბნელ“, სიტყვათა განმარტებიდან დიალექტური ლექსიკის სხვადასხვა გენეტიკური პლასტების ურთიერთმიმართების ამომწურავ დახასიათებამდე“ (201, 256).

მართებულად არის შენიშნული, რომ „თავის მხრივ წმინდა ლინგვისტური მონაცემები ზოგიერთ ისეთ არალინგვისტურ (ექსტრალინგვისტურ) ფაქტორებზე მსჯელობის საშუალებას იძლევა, როგორცაა ისტორიული ურთიერთმიმართებანი გარკვეულ ენობრივ ერთეულთა მატარებლებს შორის“ (201^ა, 457).

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის აზრით, ლინგვისტურ მონაცემთა მიხედვით გარკვეულ ენათა მატარებლების ისტორიული არსებობის ექსტრალინგვისტური ფაქტორების #83#

რეკონსტრუქციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი დიალექტების ლექსიკის სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს, რაც ძირითადად ასახავს ამ დიალექტებზე მეტყველთა ისტორიული არსებობის ყველა ძირითად მომენტს (როგორცაა ფაუნა, ფლორა, გეოგრაფიული და დიალექტური გარემო, კლიმატი, მატერიალური და სულიერი კულტურა). გარკვეული ენის დიალექტთა ლექსემების სემანტიკური რეკონსტრუქცია იძლევა იმის საშუალებას (აუცილებელი მინიმუმისა და ფრაგმენტულობის გათვალისწინებით მაინც) წარმოვიდგინოთ ზოგადი სურათი მონათესავე დიალექტებზე მეტყველთა ისტორიული არსებობის ძირითადი მომენტებისა (201^ა, 457).

დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობების სრულყოფილი გამოვლენა-შესწავლისათვის რეგიონული მონაცემებისა და ეთნოგრაფიული არელების გათვალისწინების გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვის მნიშვნელობათა ცვლის ფაქტორს, რაც ენის ისტორიული განვითარებით განისაზღვრება.

ცნობილია, რომ ენის ისტორიული განვითარების პერიოდში სიტყვის მნიშვნელობამ, მისმა კავშირმა სხვა სიტყვებთან და ფუნქციურ-სტილურმა დანიშნულებამ შეიძლება განიცადოს არსებითი ცვლილებანი, კერძოდ, არსებობის მანძილზე ზოგიერთი სიტყვა იძენს გადატანით მნიშვნელობებს, განიცდის სემანტიკურ ძვრებს და სხვა ცვლილებებს.

ბევრი მშვენიერი სიტყვა და გამოთქმა დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლევა, ან იკარგება ამა თუ იმ სიტყვის ნიუანსი, ახალი ელფერი და დანიშნულება ეძლევა მას, ხოლო ზოგიერთი ძველი ფორმა, ძველი ლექსიკა რამდენადმე იჩქმალება, უცხო ხდება.

საერთოდ, ლექსიკურ-სემანტიკური დონის დიალექტურ სხვაობათა სტრუქტურული თავისებურებანი დაკავშირებულია სიტყვის, როგორც ენის ძირითადი ერთეულის, სპეციფიკასთან“ (216, 213).

„სიტყვათა სემანტიკური ცვალებადობა ახალ სიტყვათა ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალებაა“ (218^ა, 84). სიტყვის მნიშვნელობათა კავშირს რეალიათა განმსაზღვრელ თავისებურებებთან დიალექტური ლექსიკის ამომწურავი შესწავლისა და კუთხური სიტყვის სრულყოფილი სემანტიკური დახასიათებისათვის, მისი დამატებით, განსხვავებულ მნიშვნელობათა გამოვლენისა და სემანტიკური მრავალფეროვნების წარმოჩენისათვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს (214,130; 212; 213, 518; 226, 240; 210^ა; 210^ბ; 210^გ; 219). #84#

კუთხური ლექსიკის ამგვარად შესწავლის შედეგად საშუალება გვეძლევა გამოვიკვლიოთ დიალექტურ სხვაობათა ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურა: სიტყვათა პოლისემანტურობა, რაც სხვადასხვა გარეგანი თუ შინაგანი (ექსტრალინგვისტური და

ლინგვისტური) ფაქტორის ზემოქმედების შედეგად სემანტიკური მოცულობის ცვალებადობას ითვალისწინებს, როგორცაა:

ა) სიტყვათა მნიშვნელობების ქრონოლოგიური კორექტირება, რაც ენის ისტორიული განვითარებით განისაზღვრება და სემანტიკურ მრავალფეროვნებას ითვალისწინებს;

ბ) სიტყვის ინდივიდუალური სემანტიკით განპირობებული კონოტაცია – სიტყვის დამატებითი მნიშვნელობა, ანუ მისი თანმხლები სემანტიკური და სტილისტური ელფერი, რომელიც ავსებს მის ძირითად მნიშვნელობას და თავს იჩენს სინტაქსური ნორმით დასაშვები მოდელის ფარგლებში;

გ) სემანტიკური ძვრები: პოლისემიურობის არის ცვალებადობა (სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება ან დავიწროება);

დ) რეინტერპრეტაცია – სიტყვის სემანტიკის ინფორმატორისეული ორიგინალური გააზრება, სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა, რაც რეალური კონტექსტით, სიტუაციით ირკვევა.

ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან ერთად (როგორცაა: გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული გარემო – რეგიონული მონაცემები და ეთნოგრაფიული არეალები) ზემოაღნიშნული ლინგვისტური ფაქტორების გათვალისწინება ლექსიკური თვალსაზრისით მოცემული არეალის სრულყოფილი დიალექტოლოგიური დახასიათების წინაპირობაა. ამ მომენტების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ლექსიკურ-სემანტიკური დონის დიალექტურ სხვაობათა კლასიფიკაცია: სემანტიკურად განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულთა გამოვლენა ჩვენთვის საინტერესო დიალექტურ გარემოში, მათი დამატებითი მნიშვნელობების აღნუსხვა, სემანტიკური ღირებულების სრულყოფილი ასახვა და ასევე იზოგლოსათა ძირითადი და ლატერალური არეალების დადგენ, რასაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს დიალექტურ თუ საერთოენობრივ ლექსიკონებში ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის სრულყოფილი პასპორტიზაციისა და სიტყვის ღირებულების სრული #95#

წარმოდგენისათვის, ე. ი. მისი სრულყოფილი ლექსიკური კვალიფიკაციისათვის. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ზემოხსენებულ ფაქტორთა გათვალისწინებით აღნუსხული ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემები.

ლექსიკური დიალექტიზმების სემანტიკური განვითარების არცოდნას მკითხველი ხშირად გაუგებრობამდე მიყავს, რაც საბოლოოდ ტექსტით გადმოცემული აზრის არამართებული აღქმით მთავრდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ სიტყვამ ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე განიცადა სემანტიკური ცვლილება და მისი ამჟამინდელი მნიშვნელობა (თანამედროვე ენასა და დიალექტებში) განსხვავებულია წინა პერიოდში ფიქსირებული მნიშვნელობისაგან, ან იმით, რომ იმთავითვე არ იყო სწორად განსაზღვრული მისი სრულყოფილი სემანტიკური დახასიათება.

VIII თავი – ლექსიკური დიალექტიზმების სემანტიკურ მოცულობათა განსაზღვრისათვის

ლექსიკური სისტემა ენისა სიტყვათა მნიშვნელობების ქრონოლოგიურ კორექტირებასა და სემანტიკურ მრავალფეროვნებას ითვალისწინებს რაც ლექსიკურ - სემანტიკური დონის სხვაობათა ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად უნდა იქნეს მიჩნეული სიტყვის მნიშვნელობაში რეგიონული მომენტის გათვალისწინებასა და ეთნოგრაფიულ არეალთან (ე.ი. არალინგვისტურ ფაქტორებთან) ერთად. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სიტყვის, როგორც ენის ერთეულის, ლექსიკური ღირებულების სრულყოფილი დადგენა და დეტერმინაცია, ამომწურავად განვმარტოთ მრავალი იშვიათი სიტყვა და იდიომური ერთეული, რაც კუთხური თუ საერთოენობრივი ლექსიკის მდიდარ ფონდს შეადგენს, ბევრი მათგანის სემანტიკური მრავალფეროვნება კი ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოვლენილ-დადგენილი აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებლობის გამო და, ამდენად არც სათანადოდ არის კვალიფიცირებული.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დიალექტურ და საერთო სალიტერატურო ქართულის ლექსიკას ენობრივი თვალსაზრისით ორ, ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნულ ფონდად არ მივიჩნევთ. მიგვაჩნია, რომ სიტყვის სრულყოფილი სემანტიკური მოცულობის გამოვლენა-დადგენისათვის მნიშვნელოვანია დიალექტური ლექსიკის მონაცემების გათვალისწინება და სიტყვის მნიშვნელობათა კავშირის დადგენა რეალიათა განმსაზღვრელ თავისებურებებთან. დადგენილია, რომ სიტყვა ყველაზე ცვალებადი ერთეულია ენისა. ცვლილება ეხება როგორც გარეგან, ფორმოზრივ, ასევე შინაგან-შინაარსობრივ, სემანტიკურ მხარეს. ამიტომ, სიტყვის დახასიათება საყურადღებოა როგორც ფორმატსაწარმოებელ სტრუქტურულ ელემენტთა შესწავლის, ასევე სემანტიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

სიტყვის მნიშვნელობას, რაც შემდგომ ცნების სახით აისახება, მართალია, საგანი განსაზღვრავს, მაგრამ სემანტიკური კვლევისას ანგარიში უნდა გაეწიოს სხვა ფაქტორებსაც, ვფიქრობთ, რომ ლექსიკური ფონდის სრულყოფილი შესწავლა შესაბამის საზოგადოებასთან, შესაბამის ენობრივ კოლექტივთან მისი მიმართების, ანუ ურთიერთდამოკიდებულების #87#

გათვალისწინებისა და რეალიათა განმსაზღვრელ თავისებურებებთან სიტყვის მნიშვნელობათა კავშირის აღიარების გარეშე, მხოლოდ ცალკეულ სიტყვათა სემანტიკური დახასიათების (ე. ი. მხოლოდ საგნობრივი მიმართების) დონეზე, არასრული, განყენებული იქნება.

პირიქით, საგნობრივ მიმართების მიხედვით ჩამოყალიბებული სიტყვის აზრობრივი შესაძლებლობა ის საწყისი მონაცემია, რომელიც შემდეგ განსხვავებული სემანტიკური ნაირგვარობის პოტენციური გამოვლინებით რეალიზდება „მომხმარებლის“, ანუ შესაბამისი ენობრივი კოლექტივის მიერ ისტორიულად შემუშავებულ ენობრივ ნორმათა შესატყვისად.

ამ დროს უნდა გვახსოვდეს, რომ:

დიალექტურ ლექსემათა მოცულობის სრულყოფილი გამოვლენისა და ანალიზისათვის სიტყვის მნიშვნელობის განმსაზღვრელი ლინგვისტური ფაქტორების მონაცემების გათვალისწინებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი არაენობრივი სიტუაციებისა და რეალიების გათვალისწინებას, როგორცაა გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული გარემო – რეგიონულ-კლიმატური მონაცემები და ეთნოგრაფიულ-ყოფითი არეალები. ამ მომენტების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება სიტყვის ლექსიკური ღირებულების სრული გამოვლენა, ლექსემათა სემანტიკური ღირებულების სრულყოფილი ასახვა თვით დიალექტის შიგნით, რასაც, საბოლოოდ ფასეული მნიშვნელობა აქვს დიალექტური თუ საერთოენობრივ ლექსიკონებში ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის სრულყოფილი პასპორტიზაციის, ანუ სიტყვის ლექსიკური ღირებულების სრული წარმოდგენის – მისი სრულყოფილი ლექსიკური კვალიფიკაციის თვალსაზრისით.

შეიძლება ითქვას, რომ დიალექტურ ერთეულთა მნიშვნელობების სრულყოფილი გამოვლენა-შესწავლისათვის რეგიონული მონაცემებისა და ეთნოგრაფიული არეალების გათვალისწინება მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია. ეს მით უფრო აქტუალურია დიალექტთა შესწავლის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ლექსემათა არეალის შესწავლისა და ინტერპრეტაციის დროს განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება დიალექტური მასალის სტატისტიკური და ლინგვო-გეოგრაფიული ანალიზის ურთიერთკავშირს, მოვლენებისა და გადასაჭრელი საკითხებისადმი კომპლექსურ მიდგომას (215, 72).

#88#

დიალექტური ლექსიკის თანმიმდევრულად აღწერისა და სრულფასოვანი შესწავლის, ლექსიკურ ერთეულთა ეტიმოლოგიზაციისა და სემანტიკური მხარეების გამოვლენის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის არეალურ შესწავლას და რეგიონულ დახასიათებას, რაც თავისთავად სიტყვათა გეოგრაფიულ პროექციას ითვალისწინებს (ბოგატოვა, დერიაგინი, რომანოვა 198, 31-42) და, ამასთანავე, დიალექტოლოგიური ატლასის შექმნის წინაპირობაა.

დიალექტური ატლასისათვის შეგროვებული მასალა სხვადასხვა დიალექტის სინქრონიულ-შეპირისპირებითი აღწერის საფუძველია, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია ენის ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით. ატლასით წარმოდგენილი თანამედროვე დიალექტების მონაცემები მოიცავენ მთლიან დიალექტურ კონტინუუმს, ე. ი. აქვთ უწყვეტობის თვისება, გვამღევენ ენობრივი სისტემის მდგომარეობის სინქრონიულ ჭრილს, ენობრივ მოვლენათა ტერიტორიული ვარირების გათვალისწინებით (შდრ. 199).

ამ მიმართულებით ჩატარებულ გამოკვლევათა ვარიანტულობა ამ დროს განისაზღვრება არა მარტო მასალის სხვადასხვა მოცულობით და ხასიათით, არამედ ეტიმოლოგიური ანალიზის განსხვავებული ასპექტებით (ლინგვოგეოგრაფიული, სიტყვაწარმოებით-მორფონოლოგიური, სემანტიკური); (შდრ. 219, 12-17).

ამა თუ იმ მეტყველებისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ლექსემათა და, საერთოდ, კუთხური ლექსიკის ეტიმოლოგიური თუ სემანტიკური თვალსაზრისით შესწავლას სხვადასხვა მიზანი აქვს: „მოცემული დიალექტის ცალკეულ ე. წ. „ბნელ“, სიტყვათა

განმარტებიდან დიალექტური ლექსიკის სხვადასხვა გენეტიკური პლასტების ურთიერთმიმართების ამომწურავ დახასიათებამდე (201, 256).

კუთხური ლექსიკის ამგვარად შესწავლის შედეგად საშუალება გვეძლევა გამოვიკვლიოთ დიალექტურ სხვაობათა ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურა, განვსაზღვროთ სიტყვათა პოლისემანტიკურობა, რაც სხვადასხვა გარეგანი თუ შინაგანი (ექსტრალინგვისტური თუ ლინგვისტური) ფაქტორის ზემოქმედების შედეგად სემანტიკური მოცულობის ცვალებადობას ითვალისწინებს.

#89#

ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ სადღეისოდ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული აზრი იმის შესახებაც, რომ სიტყვის მნიშვნელობათა კავშირს რეალიათა განმსაზღვრელ თავისებურებებთან დიალექტური ლექსიკის ამომწურავი შესწავლისა და კუთხური სიტყვის სრულყოფილი სემანტიკური დახასიათებისათვის, მისი დამატებით, განსხვავებულ მნიშვნელობათა გამოვლენისა და სემანტიკური მრავალფეროვნების წარმოჩენისათვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს (შდრ.: 214, 130; 212; 213; 226; 210^ა; 210^ბ; 219), რასაც საგანგებოდ აღვნიშნავდით (84^ა, 190-194).

დიალექტური ლექსიკის განხილვის შედეგად ჩვენ მიერ სადღეისოდ მოპოვებული მასალის ანალიზის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სრულყოფილი სემანტიკური კლასიფიკაცია გულისხმობს სიტყვის წმინდა აზრობრივი, საგნობრივი მიმართების ჩამოყალიბებული შესაძლებლობების რეალიზების გამოკვლევას სხვადასხვა შემთხვევაში შესაბამის ენობრივ კოლექტივთან მიმართების მიხედვით სათანადო საზოგადოების მიერ გარკვეული ისტორიული პირობებისა და ყოფითი მოვლენების შესაბამისად გამომუშავებულ ენობრივ ჩვეულებათა ფონზე. ეს კი თავისთავად ითვალისწინებს სიტყვის სრულყოფილი, ამომწურავი სემანტიკური პასპორტიზაციისა და კლასიფიკაციის მიზნით მისი წარმომავლობის კავშირისა და მიმართების დადგენის აუცილებლობას დიალექტურ .ლექსიკასთან, სემანტიკური ტრანსფორმაციის გამოკვეთას, ასევე სიტყვის მნიშვნელობათა კავშირის გათვალისწინებას რეალიათა განმსაზღვრელ თავისებურებებთან.

თავის მხრივ, სიტყვის მნიშვნელობათა კავშირის დადგენა რეალიათა განმსაზღვრელ თავისებურებებთან ხელს უწყობს დიალექტური ლექსიკის ყველაზე დინამიური ფენების – ლოკალიზმებისა და სემანტიკური დიალექტიზმების – გამოვლენას. ეს ორი ფენა დიალექტური ლექსიკისა, ჩვენი აზრით, მეტყველების განსხვავებულობის საფუძველია ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე სივრცული განზომილების მიხედვით, ანუ რეგიონული თვალსაზრისით. მისი გამომწვევი მიზეზები კი მეტწილად ექსტრალინგვისტური ფაქტორებია: მოცემული არეალისათვის დამახასიათებელი კლიმატურ-გეოგრაფიული

#90#

გარემო და მის მცხოვრებთა ყოფიერების განმსაზღვრელი ბუნებრივი და ისტორიული პირობები. უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ ფაქტორების შედეგად წარმოიქმნება დიალექტური ლექსიკური ფონდის შემადგენელი ზემოაღნიშნული ორი ძირითადი ფენა – ლოკალიზმები და სემანტიკური დიალექტიზმები.

ლოკალიზმები, ჩვენი აზრით, სიტყვის იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე, დიალექტური ლექსიკური ფონდის შემადგენელი ყველაზე დინამიური ფენაა და მისი გამდიდრების ერთ-ერთ აქტიურ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ (შდრ: 84^ბ, 190-194).

მისი არსის დეფინიციის გამოკვეთისას უნდა გვახსოვდეს, რომ ლოკალიზმი არის ახალი, დიალექტის წიაღში შექმნილი სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც გავრცელების არეალის მიხედვით სათანადო კუთხისა და მის მცხოვრებთა ყოფიერების ბუნებრივსა და ისტორიულ პირობებს ასასავს (შდრ.: 147, 180).

დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობების სრულყოფილი გამოვლენა-შესწავლისათვის რეგიონული მონაცემებისა და ეთნოგრაფიული არეალების გათვალისწინების გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სიტყვის მნიშვნელობათა ცვლის ფაქტორს, რაც ენის ისტორიული განვითარებით განისაზღვრება.

კუთხური ლექსიკის ამგვარად შესწავლის შედეგად საშუალება გვეძლევა გამოვიკვლიოთ დიალექტურ სხვაობათა ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურა, კერძოდ, სიტყვათა პოლისემანტურობა, რაც სემანტიკური მოცულობის ცვალებადობას ემყარება.

ცნობილია, რომ ენის ისტორიული განვითარების პერიოდში სიტყვის მნიშვნელობამ, მისმა კავშირმა სხვა სიტყვებთან და ფუნქციურ-სტილურმა დანიშნულებამ შეიძლება განიცადოს არსებითი ცვლილებანი, კერძოდ, არსებობის მანძილზე ზოგიერთი სიტყვა იძენს გადატანით მნიშვნელობებს, განიცდის სემანტიკურ ცვლილებებს, რაც სხვადასხვა გარეგანი თუ შინაგანი (ექსტრალინგვისტური თუ ლინგვისტური) ფაქტორის ზემოქმედების შედეგად სემანტიკური მოცულობის ცვალებადობას ითვს, ისწინებს, როგორცაა: ა) სიტყვათა მნიშვნელობების ქრონოლოგიური კორექტირება; ბ) სიტყვის ინდივიდუალური სემანტიკით #91#

განპირობებული კონოტაცია; გ) სემანტიკური ძვრები: პოლისემიურობის არის ცვალებადობა (სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება ან დავიწროება); დ) რეინტერპრეტაცია – სიტყვის სემანტიკის ინფორმატორისეული ორიგინალური გააზრება, სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა, რაც რეალური კონტექსტით, სიტუაციით ირკვევა.

„თავის მხრივ წმინდა ლინგვისტური მონაცემები ზოგიერთ ისეთ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე მსჯელობის საშუალებას იძლევა, როგორცაა ისტორიული ურთიერთმიმართებანი გარკვეულ ენობრივ ერთეულთა მატარებლებს შორის“ (201^ბ, 457).

ბევრი მშვენიერი სიტყვა და გამოთქმა დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლევა, ან იკარგება ამა თუ იმ სიტყვის ნიუანსი, ახალი ელფერი და დანიშნულება ეძლევა მას, ხოლო ზოგიერთი ძველი ფორმა, ძველი ლექსიკა რამდენადმე იჩქმალება, უცხო ხდება.

საერთოდ, აღიარებულა, რომ „სიტყვათა სემანტიკური ცვალებადობა ახალ სიტყვათა ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალებაა“ (218, 84) და „ლექსიკურ-სემანტიკური დონის დიალექტურ სხვაობათა სტრუქტურული თავისებურებანი დაკავშირებულია სიტყვის, როგორც ენის ძირითადი ერთეულის სპეციფიკასთან“ (217, 213).

ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან ერთად (როგორცაა გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული გარემო – რეგიონული მონაცემები და ეთნოგრაფიული არეალები)

ზემოაღნიშნული ლინგვისტური ფაქტორების გათვალისწინება ლექსიკური თვალსაზრისით მოცემული არეალის სრულყოფილი დიალექტოლოგიური დახასიათების წინაპირობაა. ამ მომენტების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ლექსიკურ-სემანტიკური დონის დიალექტურ სხვაობათა კლასიფიკაცია: სემანტიკურად განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულთა გამოვლენა ჩვენთვის საინტერესო დიალექტურ გარემოში, მათი დამატებითი მნიშვნელობების აღნუსხვა, სემანტიკური ღირებულების სრულყოფილი ასახვა და ასევე იზოგლოსათა ძირითადი და ლატერალური არეალების დადგენა, რასაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს დიალექტურ თუ საერთოენობრივ ლექსიკონებში ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის სრულყოფილი პასპორტიზაციისა და სიტყვის სემანტიკური ღირებულების სრული წარმოდგენისათვის ე. ი. მისი სრულყოფილი ლექსიკური კვალიფიკაციისათვის. ამ #92#

თვალსაზრისით აღსანიშნავია ზემოხსენებულ ფაქტორთა გათვალისწინებით აღნუსხული ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემები.

უნდა ითქვას, რომ სალიტერატურო ენის ლექსიკურ ფონდში შემავალი ბევრი ლექსემის სემანტიკური ტრანსფორმაცია დიალექტებში, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ სრულად არ არის დადგენილი და არც სათანადოდ არის კვალიფიცირებული. ამავე დროს სრულად არ არის გამოვლენილი დიალექტური ლექსიკური ფონდის კუთვნილ სიტყვათა კილოური მნიშვნელობანი და, ამდენად, პასპორტიზაციის დროს არ არის წარმოდგენილი მათი სრული სემანტიკური მოცულობანი.

საქმე ის არის, სემანტიკური დახასიათებისას გამოვიკვლიოთ და დავადგინოთ, როგორ არის სიტყვის აზრობრივი შესაძლებლობები რეალიზებული სხვადასხვა შემთხვევაში სათანადო საზოგადოების მიერ ისტორიული პირობებისა თუ ყოფითი მოვლენების შესაბამისად გამომუშავებულ ენობრივ ჩვეულებათა ფონზე. ეს კი იმასაც გულისხმობს, რომ სიტყვის სრულყოფილი სემანტიკური კლასიფიკაციისათვის ანგარიში გავუწიოთ მის წარმომავლობას, კავშირს სპეციალურ ან დიალექტურ ლექსიკასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარკვევა-დადგენის საშუალება გვეძლევა იმ შემთხვევაში, თუ სიტყვის მნიშვნელობას განვიხილავთ მეტყველების აზრობრივად დასრულებულ მონაკვეთში – სხვადასხვა კონტექსტში, მასზე უფრო ფართო ლინგვისტური მონაცემების – კონსიტუაციის გათვალისწინებით. სპეციალურ ლიტერატურაში სწორედ კონტექსტია აღიარებული მასში შემავალი სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობის განმსაზღვრელად. სიტყვის ან „რომელიმე ლინგვისტური ფორმის მნიშვნელობა განისაზღვრება მის მოხმარებათა (კონტექსტთა) ერთობლიობით“ (შდრ.: 227; 206^ა; 147, 247). კონტექსტი გვაგებინებს, რა საგანთან არის აზრობრივად დაკავშირებული მოცემული სიტყვა, მაგრამ უშუალოდ კონტექსტი ვერ განსაზღვრავს მასში შემავალი სიტყვის მნიშვნელობას, მის საგნობრივ მიმართებას. საქმე ის არის, რომ სიტყვის მნიშვნელობას რეალურად აზუსტებს სიტუაცია, ხოლო სიტყვიერი კონტექსტი ამას ახერხებს იმდენად, რამდენადაც იგი #93#

მკითხველს მეხსიერებაში აღუდგენს იმ რეალურ სიტუაციას, იმ სათანადო რეალურ კონტექსტს, სადაც ამ სიტყვით აღნიშნული საგანი ან მოვლენა არსებობს.

ყურადსაღებია, რომ მონოსემიური სიტყვა აზრობრივად ერთ საგანთან ავლენს მიმართებას, ამიტომაც იგი ერთი რეალური კონტექსტის მიხედვით რეალიზდება, ერთი საგნობრივი მიმართება აქვს, მაშინ როდესაც პოლისემიური სიტყვა საგანთა რამდენიმე კლასთან ავლენს მიმართებას და, ამდენად იგი კონტექსტთა სხვადასხვა ჯგუფით, განსხვავებული სიტყვების (კონსიტუაციების) მეშვეობით რეალიზდება აზრობრივად. რომელიმე სხვა საგანთან საგნობრივ მიმართების მქონე სიტყვამ უნდა გაარკვიოს, შესაბამის კონკრეტულ შემთხვევაში რომელ საგანთან ივარაუდება მოცემული პოლისემიური სიტყვის მიმართება შესაბამის კონტექსტში კონსიტუაციის გათვალისწინებით.

შინაარსობრივად სიტყვების ერთმანეთთან მორგება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რეალურ ვითარებას ასახავს კომუნიკაციის საგანი. ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ „სიტყვიერი კონტექსტის უკან დგას რეალური კონტექსტი, ობიექტური ვითარება, სიტუაცია. საბოლოო ანგარიშში აი, ეს რეალური კონტექსტი განსაზღვრავს მოცემული სიტყვის ამა თუ იმ სიტყვასთან დაკავშირების, „მორგების უნარს“ (147, 249). სიტყვიერი კონტექსტი უნდა ჩავთვალოთ სიტყვათა ისეთ დაკავშირებად, რომელიც განპირობებულია ამ სიტყვების სიახლოვით გამოხატულ საგნებთან ან მოვლენებთან კონტექსტი კი არ განსაზღვრავს მასში შემავალი ჩვენთვის საინტერესო სიტყვის მნიშვნელობას, არამედ კონსიტუაციაში შემავალი ზოგიერთი (ვთქვათ „საკვანძო“) სიტყვა (ერთი და იმავე მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებთან შეკავშირების სისტემატურობაში) მოგვაგონებს და გაგვაცნობიერებინებს იმ რეალურ გარემოს, სადაც შეიძლება გამოიყენებოდეს საანალიზო სიტყვა. მაგ., (ფშ.) „კალო“ პოლისემიურ სიტყვად ჩამოყალიბდება, ერთმანეთისაგან გამიჯნული მნიშვნელობები გაუჩნდება, თუ სიტუაციათა რეგულარობის ხარისხი შეეცვლება, რეგულარულად გამეორებადი სხვადასხვა გარემო, ანუ ვითარება შეექმნება. ეს ძირითადად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელ „საკვანძო“ სიტყვასთან ჩამოუყალიბდება მას რეგულარულად

#94#
გამეორებადი სიტუაცია: კონსიტუაციაში შემავალი „საკვანძო“ სიტყვების მეშვეობით ლექსემა „კალო“ ფშაურში შეიძლება ერთმანეთისაგან გამიჯნული რამდენიმე მნიშვნელობით შეგვსვდეს:

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონებში მითითებულია მისი ქიზიყური და გურული მნიშვნელობანი. ფშაური შინაარსი კი, რაც თავისთავად საყურადღებოა ამ ლექსემის პოლისემანტურობის გამო, გათვალისწინებული არ არის.

„კალო“ ფშაურში დიფერენცირებული სემანტიკური ღირებულების დიალექტურ ლექსემად წარმოგვიდგება, თუ „საკვანძო“ სიტყვებად ჩამოუყალიბდება: 1. გაულეწავი პურეულის ღეროების გარკვეული ოდენობა; 2. სახნავი მიწის ფართობი, ე.წ. საჯნაური; 3. წისქვილის ქვის ფართობი, მისი საგანი; 4. მნის გასალეწი მოსწორებული მრგვალი ადგილი; 5. ასაზელად მომზადებული, ჯამივით გულამოღებული ლამ-კირი ან ხრეში; 6. ხის (ბუჩქის) ძირის გარშემო ჯამივით გულამოღრმავებული ადგილი; და თითოეულ მათგანთან შეექმნება რეგულარულად გამეორებადი სიტუაცია.

ამ სიტუაციებში ლექსემა „კალო“:

1. მიგვანიშნებს ძნის რაოდენობას, თუ მას „საკვანძო“ სიტყვად გაუღეწავი მარცვლელის ღეროების გარკვეული რაოდენობა ჩამოუყალიბდება და მათთან შეექმნება რეგულარულად გამეორებადი სიტუაცია. მაგ. „წმინდის“, ქერისა და „ტრუპკის“ კალო 120 ნაწყოებს, ანუ 240 ძნას მოიცავს.

2. სახნავი მიწის ფართობის საზომია. ამ დროს რეგულარულად გამეორებადი ვითარება მიწის ფართობს აღნიშნავს და საკვანძო სიტყვად **საჯნაური** გამოიკვეთება. ფშავში საჯნაურის სიდიდეს მასში მოწეული ჰურეულისაგან რამდენი კალოც გამოვა, მისი მიხედვით საზღვრავენ: „სამი კალო საჯნაური მოვჯანი“ (ს. კუდო).

3. წისქვილის ქვის სიგანეა, რადიუსით ცენტრიდან (ამ შემთხვევაში **კალო**-ს რეგულარულად გამეორებადი სიტუაცია საკვანძო სიტყვად გამოყენებულ **წისქვილის ქვა**-სთან ჩამოუყალიბდება). წისქვილის ქვის სიდიდეს კალოს სიდიდით ახასიათებენ; „დოლაბ წისქვილი ხანიერია, **დიდ კალო** აქვის“ (ს. მუქო). პატარა, **ბუჭულა წისქვილის კალო** მტკაველნახევარი, მტკაველი და ერთი გოჯია. დოლაბ წიქვილის კალო კი ორი, ორ მტკაველნახევარია.

#95#

4. ძნის გასალეწი, მოსწორებული მრგვალი ადგილია. ამ შემთხვევაში კონსიტუაციაში შემავალ საკვანძო სიტყვად „ადგილი“ ჩამოყალიბდება და საანალიზო ლექსემას მასთან შეექმნება რეგულარულად გამეორებადი სიტუაცია. სწორედ ამ მნიშვნელობით აქვს კვალიფიცირებული სიტყვა „კალო: სულხან-საბა ორბელიანსა და ნ. ჩუბინაშვილს ფშავში გავრცელებული მოსწორებული მრგვალი ადგილის, ანუ **კალოს**, ნაირსახეობანია: **საფრის კალო** ანუ **გადახურვილი კალო** და **ველის კალო**. სალექსად ჩვეულებრივ იყენებენ მოსუფთავებულნიადაგიან **მიწის კალოს**. იციან სიპებით მიფენილი სიპის კალოც. მოკალოება ფშაურში ზოგადად მიწის მოსწორება-მოსუფთავებასაც ნიშნავს, სოლო **კალოობა** ლეწვაა.

5. „კალოს წყალი დაუმატეთ ბალღებო!“ (ს. გომეწარი) – ამ სიტუაციაში კალო ასაზელად მომზადებული ლამ-კირი ან ხრეშია.

6. ჩვენთვის საინტერესო ლექსემას ზოგჯერ შეიძლება საკვანძო სიტყვად „ხე“ ან რომელიმე სხვა სახის მცენარე ჩამოუყალიბდეს და მასთან შეექმნას რეგულარულად გამეორებადი სიტუაცია. მაგალითად, „ბერდო, ხეს **კალო** გაუკეთე!“ (ს. ჟებოტა). ამ შემთხვევაში „კალო“ ხის ძირის გარშემო ჯამივით გულამოდრმავებული ადგილია.

ამდენად, ლექსიკური სისტემა ენისა ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენის შედეგად ლექსემათა სემანტიკური მოცულობის მუდმივ ცვალებადობას განიცდის, რაც თავისთავად სიტყვათა მნიშვნელობების ქრონოლოგიურ კორექტირებასა და სემანტიკურ მრავალფეროვნებას ითვალისწინებს სიტყვის მნიშვნელობაში რეგიონული მომენტის გათვალისწინებასა და ეთნოგრაფიულ არეალთან ერთად. რამდენადაც ისტორიული დიალექტოლოგია წარმოუდგენელია დიალექტურ ლექსიკურ მონაცემთა ქრონოლოგიური კორექტირებისა და სემანტიკური მრავალფეროვნების გათვალისწინების გარეშე, იმდენად დიალექტური ლექსიკური ფონდის ცვლილებისა და შედარება-ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა სწორედ

რეგიონული მონაცემების მიხედვით აღნუსხული ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემები.

საერთოდ, დიალექტურ მოვლენათა არეალური შესწავლისადმი არასათანადო ყურადღებითა და ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობაში დიალექტურ, რეგიონულ #96#

მონაცემთა და ეთნოგრაფიული გარემოს, აგრეთვე სიტყვის მნიშვნელობის ისტორიული ცვალებადობის ფაქტორის, ე. ი. ქრონოლოგიური მომენტის, გაუთვალისწინებლობის შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული დღემდე შემორჩენილი ლექსიკურ-სემანტიკური უზუსტობანი, ამა თუ იმ კუთხიდან გამოსულ მწერალთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში დადასტურებული ზოგიერთი დიალექტური ლექსიკური ერთეულის განმარტებას რომ ახლავს თან.

(შდრ.: მეძღვნე || მეზღვნე, მონაწევე || სანაწეო; ასევე მზორე, იგივე მზურე მთიულურში და წყაროთა მზურისპირზითი (ფშ.). (84^ა, 76-77).

ასევე საინტერესოა გამიჯნულ მნიშვნელობათა ჩამოყალიბება ფშაური სიტყვისა „დაკელვა“, რაც დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელ „საკვანძო“ სიტყვასთან ჩამოუყალიბდება მას რეგულარულად გამეორებადი სიტუაცია, ანუ რეგულარულად გამეორებადი ვითარება (შდრ.: 84^ა, 73-74).

გამოკვლევაში მოკლედ წარმოდგენილია ამ თვალსაზრისით საინტერესო ფშაური ლოკალიზმებისა და სემანტიკური დიალექტიზმების ნიმუშები მოცულობითი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სხვადასხვა „საკვანძო“ სიტყვასთან ჩამოყალიბებული გამეორებადი სიტუაციის მიხედვით (ამ შემთხვევაში „საკვანძო“ სიტყვები იქნება: **ლუდი**, **კარაქი**, **მამალი ბატკანი**). განსხვავებულ მნიშვნელობათა მქონე პოლისემიურ სიტყვად წარმოგვიდგება აგრეთვე **ნათავარი**: **ნათავარი** – 1. ახლად დაყენებული დასაკურთხი ლუდი, იგივე **საფურის თავი**. 2. ახლად მოგებული ძროხის რძისაგან გაზაფხულზე პირველად შედღვებილი კარაქი, რომელსაც ცალკე ინახავენ, შემდეგ მისგან ხაჭში წასაღებ ქაღებს ამზადებენ; 3. დოლის დასაწყისში პირველად მოგებული მამალი ბატკანი, **დოლის ნათავარი**, რომელსაც შემდეგ სალოცავში შეწირავენ.

განსხვავებულ „საკვანძო“ სიტყვებთან ჩამოყალიბებული რეგულარულად გამეორებადი სიტუაციის მიხედვით ასევე სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე კუთხურ ლექსემად ჩამოყალიბდება აგრეთვე „გალაღვა“.

გალაღვა ზოგადად პირუტყვის გარეკვას ნიშნავს. **გალაღვა** (|| დალაღვა) ასევე ხვნის დროს ხარის შესვენებიდან შესვენებამდე დროის მონაკვეთია და უდრის ერთ **დღიურს**. **დღიური** კი მიწის შედარებითი საზომი ერთეულიც არის და გულისხმობს ამ დროში მოხნულ ფართობს. ხარებს ჩვეულებრივ ოთხჯერ ასვენებენ, ე. ი. ერთი **დღიური** სახნავი **ოთხ გალაღვას** უდრის. მისი სინონიმებია აგრეთვე **სასვენნი**, **დარეკვა** (იხ. მიწათმოქმედების ლექსიკა).

ყანის საზომ ერთეულად **სასვენსაც** ხმარობენ. გალაღვის მსგავსად, ერთი **სასვენია** მიწის ნაკვეთი, რომელსაც ხვნის დაწყებიდან შესვენებამდე მოხნავს გუთნის დედა. პირველი

შესვენებისას იტყვიან: „ერთი სასვენი მოვჯანი“, მეორე შესვენებისას – **ორი სასვენი**ო და ა. შ. სასვენების რაოდენობა ყანის (საჯნაურის) სიდიდეზეა დამოკიდებული.

სასვენის ნაცვლად **დარეკვასაც** ხმარობენ: „ერთი დარეკვა მოვჯანი“, **ორ დარეკვა** და ა. შ. ხვნის დროს სახნავი მიწის უფრო მცირე საზომი ერთეულია **ფარცხი**. ამ თვალსაზრისით „საკვანძო“ სიტყვებთან ჩამოყალიბებული გამეორებადი სიტუაციის თვალსაზრისით საინტერესო დიალექტური ლექსემებია: **საბელი, მჯარი, გადაშლა, შუბისტარი** და სხვ.

საბელი. მიწის საზომ ერთეულად უკანა ფშავში **საბელს** იყენებდნენ და იგი ათ საჟენს უდრიდა: „საბელს ვემახით, თოკ იციან, იმითა ვზომდით (ს. უძილაურთა). ერთი საბელი იყო 10 **მჯარი**, 12 მეტრი. ერთ **საბელში** ექვსი გადაშლაა. „გადაშლა ერთი კვადრატული საბელია. საბელს თივის საწყაოდაც იყენებდნენ: „ტვირთ რო დავიწყვათ ან თივა შავკონოთ, ხუთ მჯარ საბელ უნდა იყვას“ (ს. თხილიანა) „საკვანძო“ სიტყვად **საბელს** დროც ჩამოუყალიბდება და მას განსხვავებულ სემანტიკურ ელფერს ანიჭებს. უკანაფშავში დროსაც საბლით ზომავენ: „ორ საბელიდა ჩაუდიოდა მხესაო“ (ს. თხილიანა). ივრისხეობის ფშავში დროის ერთეულად **შუბისტარი** გამოიყენებოდა. იგი იყო ზომა მზის ცაზე დგომის წერტილიდან მისი ჩასვლის წერტილამდე. „ორ შუბისტარიდა უკლავ მზის ჩასვლასაო, – იცოდინ“ (ს. კუდო).

ამრიგად, პოლისემიურობის წარმომშობი სიტყვის აზრობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებისათვის აუცილებელი ჩანს სიტყვის მნიშვნელობათა კავშირის დადგენა რეალიათა განმსაზღვრელ თავისებურებებთან, როგორცაა რეგიონული მონაცემები და #98#

ეთნოგრაფიული არეალები. სწორედ ეს ფაქტორები უნდა მივიჩნიოთ დიალექტური ლექსიკის ძირითადი ბირთვის – **ლოკალიზმების, სემანტიკური დიალექტიზმებისა და ლექსიკური დიალექტიზმების** წარმოქმნის წინაპირობად. ჩვენ მიერ აღნუსხული ფშავური დარგობრივი ლექსიკის მიხედვით, მსგავს პოლისემიურ ლექსიკურ ერთეულებად გაიაზრება: **გაღვერილი, გეჯა, დალევა, დაშუშვა, დაცხავება, დაცხავებული, ირაო, კვილი, კორა, ლიტა, ლიტაო, მზორე, მჯარი, ნაგალი, ნაღერღალა, ნაწვერალი, ჟამი, სამართი, სამტრეულა, საღორე, საწისქვილო, ფარცხი, ღვერა, შოლტი, შხაპანი, ჯვიმური** და მრავალი სხვ.

#99#

IX თავი – სემანტიკური დიალექტიზმები, ანუ ლექსიკურ ერთეულთა დამატებითი, კილოური (კუთხური) მნიშვნელობები

ლექსიკური დიალექტიზმებისა და საერთო ენის ლექსიკური ფონდის ურთიერთმიმართების საკითხების ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა ძალზე აქტუალური და საინტერესოა.

სალიტერატურო ქართულში ლექსიკური დიალექტიზმების შესწავლას არაერთი მკვლევრის ყურადღება დაუმსახურებია და მრავალი ნაშრომიც აქვს მიძღვნილი. სავარა(და, რომ ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც ინტენსიურად გაგრძელდება.

ლექსიკური სისტემა ენისა სიტყვათა მნიშვნელობების ქრონოლოგიურ კორექტირებასა და სემანტიკურ მრავალფეროვნებას ითვალისწინებს, რაც ლექსიკურ-სემანტიკური დონის სხვაობათა ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად უნდა იქნეს მიჩნეული სიტყვის მნიშვნელობაში რეგიონული მომენტის გათვალისწინებასა და ეთნოგრაფიულ არეალთან (ე. ი. არალინგვისტურ ფაქტორებთან ერთად), ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სიტყვის, როგორც ენის ერთეულის, ლექსიკური ღირებულების სრულყოფილი დადგენა და დეტერმინაცია, ამომწურავად განვმარტოთ მრავალი იშვიათი სიტყვა და იდიომური ერთეული, რაც კუთხური თუ საერთოენობრივი ლექსიკის მდიდარ ფონდს შეადგენს.

„როდესაც ვსწავლობთ საერთო ენასთან დიალექტური ლექსიკის ურთიერთობას, მიზანშეწონილია, უწინარეს ვოფლისა, გამოცალკევდეს ის სიტყვები, რომლებიც საერთოენობრივი ლექსიკისაგან ფონეტიკურად და გრამატიკულად განსხვავდებიან“ (147, 191). უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ კილოსათვის დამახასიათებელი ეს თავისებურებანი საერთო ენის სიტყვაწარმოებითა და ფონეტიკურ სტრუქტურასთან ქვესისტემური ხასიათის რეგულარულ დაპირისპირებას ქმნიან. ამ სხვაობათა შესწავლა, ცხადია. ლექსიკოლოგიის სფეროს არ განეკუთვნება (შდრ. ფშ.: **დეერია, დააქუჩა, წაუღავის, დაანარჩომა, გომურშიით, ბანზებით, ქალაქით, გაუკეთებავ...**) და როგორც წესი, არც დიალექტურ ლექსიკონებშია რეგისტრირებული.

გასათვალისწინებელია ისეთი კუთხური სიტყვებიც, რომლებიც საერთოენობრივთან შედარებით არასისტემურ, არარეგულარული ხასიათის ფონეტიკურ-გრამატიკულ სხვაობა-#100#

დაპირისპირებას ავლენენ. ისინი ცალკეულ ფაქტებად აღიქმებიან და დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიის მონაპოვარნი არიან (შდრ.: 147, 192).

ზოგადი თვალსაზრისით, როდესაც საერთოენობრივ ლექსიკაში დიალექტიზმების შესახებ ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვივარაუდოთ საკუთრივ **ლექსიკური დიალექტიზმები**, ანუ დიალექტური სიტყვები. დიალექტურ სიტყვებს, ანუ **ლექსიკურ დიალექტიზმებს**, სამწერლო ქართულის ლექსიკასთან შეპირისპირებითი განხილვისას ორ ჯგუფად ყოფენ. ესენია: 1. სამწერლო ქართულ ენაში დამკვიდრებული სიტყვების დუბლეტები; და 2. შეუნაცვლებელი სიტყვები, რომელთაც სალიტერატურო ენაში სინონიმები არ მოეპოვებათ (შდრ.: 147, 189).

თავის მხრივ, შეუნაცვლებელი სიტყვები ორ ჯგუფად იყოფა:

ა) სალიტერატურო ენაში უკვე შესული და მწერალთა მიერ თავიანთ ნაწერებში გამოყენებული სიტყვები (სხვა საკითხია, რამდენად მართებულად არის გაგებული ზოგიერთი მათგანის მნიშვნელობა): **აზარი, ამდგვალვა, აწურწუტებული, ბრეშა, გარეც, ზალტი, კავატი, კირჩხალი, კოტორა, კოწოლი, ლიტაო, ნაგალი, ნათოსი, ნაფთევი, ნოყლა, ონჩარი, ფანჩო** და სხვ.

ბ) სიტყვები, რომლებიც ლიტერატურულ ნაწარმოებებში არ არის დადასტურებული: ალაჩოყი, ანჩხარი, აპატინა, აპატიტენა, ბეტერი, ბილჩი, ბოკო, ბოკოლა, გაბოტიტენა, გაწიმწული, გაწინწილება, გულერძი, დაროქვა, თაგამი, თითქვნილა, კაწოწი, კირცხება, მენამუშლე, მიფიშფიშება, მოზარდი, მოყრილა, პოწოლკავი, რქადოჯა, რიჭრიჭი, საგოგავი, საყოლი, უდუმალაი, ქოლა, ჩახვრეშილი, ჩინჩხვარი, ძუძუფონა, წაწარაქი, ხაწირი, ჯელგამყოლი...

საერთოენობრივი ლექსიკური ფონდისა და დიალექტიზმების ურთიერთმიმართების საკითხებზე მსჯელობისას უნდა გამოვყოთ ე.წ. **სემანტიკური დიალექტიზმები** – საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვათა დიალექტური მნიშვნელობანი.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „სემანტიკურ დიალექტიზმებსა და საკუთრივ ლექსიკურ დიალექტიზმთა შორის მიჯნა ძნელი დასადგენია. ყოველ შემთხვევაში, მათ შორის თავსდება ის სიტყვები, რომლებიც წარმოებით, აგებულებით #101#

საერთოენობრივ ფაქტებს მიეკუთვნებიან, მნიშვნელობა კი დიალექტური აქვთ, მაგრამ ამასთანავე მონოსემიურნი არიან: დიალექტში დადასტურებული სპეციალური მნიშვნელობის გვერდით მათ არ მოეპოვებათ საერთოენობრივი მნიშვნელობა“ (147, 193).

ამ გარდამავალი ჯგუფისათვის, ჩვენი აზრით, ძირითადი მახასიათებელია მნიშვნელობის სპეციალიზაცია, მისი კონკრეტული გამოვლენა ამა თუ იმ კონსიტუაციაში, ამიტომ არცთუ იშვიათად ჭირს იმის დადგენა, თუ სად უნდა მოხდეს მათი კლასიფიკაცია – საკუთრივ ლექსიკურ დიალექტიზმებში, თუ – სემანტიკურში.

უნდა ითქვას, რომ სალიტერატურო ენის ლექსიკურ ფონდში შემავალი ბევრი ლექსემის სემანტიკური ტრანსფორმაცია დიალექტებში, რაც დიალექტურ ლექსიკაში რეალიზდება, ჯერ კიდევ სრულიად არ არის დადგენილი და არც სათანადოდ არის კვალიფიცირებული. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსიკონებში შეტანილი და დახასიათებული სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის კუთვნილი ის სიტყვები, რომელთა დამატებითი, კუთხური (კილოური) მნიშვნელობანი მათი პასპორტიზაციის დროს გათვალისწინებული არ არის და, ამდენად, არც სიტყვის ლექსიკური ღირებულება და სემანტიკური პარალელებია სრულყოფილად წარმოდგენილი, ე. ი. არ არის აღნუსხული საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვათა დიალექტური მნიშვნელობანი – სემანტიკური დიალექტიზმები. „პარალელურ ფშაურ მნიშვნელობათა მიხედვით, ამ მხრივ აღსანიშნავია:

ამოვლა. აღუნუსხავია ამ ლექსიკური ერთეულის დამატებითი, ფშაური მნიშვნელობა. „ამაიარაო“ – იტყვიან, კაცს ომ სული ამოუვა. ე. ი. საიქიოს გაემგზავრაო „ამაჯდენ სულნი, სული დალია, ამოხირხილავდა და ამაიარაო“ (ს. შუაფხო).

ახალი (არაგვის ხ.) იგივე **ნოყლა** (ივრის ხ.) – ნორჩი ბალახი. ამასთანავე, **ახალი** ფშაურში იგივეა, რაც აპატინა || აპატიტენა – პირუტყვის ნედლი ტყავი.

ბანდი. სპეციალურ ლიტერატურაში რეგისტრირებულია ამ ლექსიკური ერთეულის განსხვავებული სემანტიკური ვარიანტები, მისი ფშაური მნიშვნელობა კი აღუნუსხავია:

ბანდი (ქართლ., მთიულ.) – საქონლის სენი, ფეხის გაკავება იცის; **ბანდი** (მთიულ.) – ნახველი;

ბანდი (ზ. იმერ) – ჩვარი, რომლითაც თიხის გამოუწვავ ნედლ ჭურჭელს ასწორებენ; **ბანდი** (გურ.) – ცუდი, უვარგისი; **ბანდი, ბანდები** ფშაურში განსხვავებული სემანტიკური #102#

ღირებულებების მქონე ლექსიკური ერთეულია. 1. ძარღვებს ნიშნავს. ადამიანი რომ დაიხუთება, იტყვის: „**დამხუთა, ბანდებ მტკივაო**“. ამასთან, იგი გურულში დადასტურებული სემანტიკური ელფერთაც გვხვდება; 2. აღნიშნავს თარსს, საქმის შემაბრკოლებელ ადამიანს, **საქმეს რომ ვერ ახანებს. დაბანდება** საქმის მოუმთავრებლობა, გაჭიანურება; **აბანდებსო**, – იტყვიან ასეთ ადამიანზე. 3. ქალამნის ამოსასხმელი წვრილად დაჭრილი თასმებია, იგივე **საბანდი**, ანუ **კობი**. 4. (გადატ.) ბარაქა, დოვლათი, პირუტყვის ნაწარმი, სუ(რ)სათი.

ბარდი თანამედრივე სალიტერატურო ქართულ ენაში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება, ფიქსირებულია განმარტებით ლექსიკონშიც, ოღონდ არ არის გათვალისწინებული ფშაურის მონაცემები და, ამდენად, არც სიტყვის ლექსიკური ღირებულებაა სრულყოფილად წარმოდგენილი: **ბარდი** 1. ბუჩქების ან ბალახეული მცენარის ერთმანეთში გართხმულ-გადახლართული ღეროები რთული ფუძის შემადგენელი ნაწილი: **ეკალ-ბარდი**. ფშაურში **ბარდი** იგივე **ბარდანია**. რაც ხის ტოტზე დადებულ თოვლს ნიშნავს.

ბაქანი. სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული მნიშვნელობის გარდა, აქვს განსხვავებულიც: საჩეჩლის ხის რკალი (ქსნის ხეობა, 159, 62). აღნიშნული ლექსემა ფშაურში წისქვილის ბორბლის ფთის (< ფრთის) შემადგენელი ნაწილია: ფრთას აქვს **ბაქანი** და **ყბა**, ხოლო ზურგის მხარეს სიმაგრისათვის აქვს **გვერდი**, წყალმა რომ არ გატეხოს და მალე არ დაილიოს.

ბ(რ)დღვინვა სალიტერატურო ქართულში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა (გამწარებული მხეცის ღრიალი), ფშაურში ბრწყინვა, პრიალი, ლაპლაპია.

ბიგა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, „რისიმე გასამაგრებლად შეყენებული კეტი ან ძელი, ბოძია“, ამ სიტყვის ლექსიკური ღირებულების გამოსაკვეთად საინტერესოა რეგიონული მონაცემებიც: ბაჩანას მიხედვით, **ბიგა** „წვრილი მინდვრისა და ტყის თაგვია“. დიალექტური ლექსიკური მნიშვნელობა ამ სიტყვისა განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილი არ არის.

გაბმა. სალიტერატურო ქართულ ენაში ამ სიტყვას მრავალი მნიშვნელობა აქვს, რაც აღნუსხულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: 1. ორ მოპირდაპირე მხარეს შორის #103#

მიმაგრება, მიბმა (თოკისა, ძაფისა და მისთ.); 2. (გადატ.) რისამე დაწყება (წამოწყება) და დიდხანს გაგრძელება, არ შეწყვეტა, – გაჩაღება; ზედ მიყოლებით რისამე კეთება; 3. (გადატ.) ჩაბმა, ჩარევა, გარევა, გახლართვა; 4. იგივეა, რაც შებმა. **გაბმა** ფშაურში გამოკიდებას, გამოდევნებას ნიშნავს.

გაგდება 1. იძულებით (გარეთ) გაყვანა, – გაძევება, განდევნა (შიგნიდან გარეთ); 2. გაძევება, დათხოვნა, გარიცხვა; 3. გასროლა (თოფისა და სხვ.); 4. ხელის გაშვება, დაგდება.

ამ სიტყვის სემანტიკური მრავალფეროვნების გამოვლენას კიდევ უფრო უწყობს ხელს რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინება. ფშაურში **გაგდება** ნიშნავს: 1. გაჩენას, დაბადებას,

შობას; 2. გაყრას, შერჭობას: „პაპოძიკ გაუგდე მჯარსა“ (ს. ჩალაჭევა). **გაგდებული** კი 1. გაჩენილი, დაბადებული, ნაშობია; 2. გაყრილი, შერჭობილია.

გადაფარებული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ზევიდან გაშლით დაფარებული, გადაფენილი, გადახურულია. ამავე დროს ეს ლექსიკური ერთეული იმასაც აღნიშნავს, რასაც ან ვისაც გადააფარეს, – გადახურული. საინტერესოა ამ სიტყვის ფაკულტატიური მნიშვნელობა, რაც ფშაურ დიალექტში დასტურდება: **გადაფარებული** გადავლის, გადალახვის შემდეგ რაიმესადმი მოფარებულია.

გადაფრენა ფრენა-ფრენით გადაადგილება-გადასვლაა. ფშაურში ამ ერთეულს დამატებითი მნიშვნელობაც აქვს. **გადაფრენა** გადახტომას აღნიშნავს, რაიმე დაბრკოლებას რომ გადაევლება კაცი და გადალახავს. მაშინ იტყვიან – „გადაფრინდაო“.

გადაწყვეტა. ამ ლექსიკურ ერთეულს ფშაურში განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: კაცი რომ გადაბმით ახველებს, იტყვიან: „**გადაუწყვიტა ხველამაო, გადაცივდაო**“. სინონიმური მონაცვლე ვარიანტების სახით საინტერესოა **გადაწყვეტილი** – ავადმყოფობისაგან დაუძღურებული ადამიანი, იგივე **მოღებული**.

გაზი. სალიტერატურო ქართულში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა, ფშაურში იგი კლანჭი, ბრჭყალია.

გაზიდვა ზოგადად სახელია **გაზიდავს** ზმნის მოქმედებისა. **საქმის გაზიდვა** ფშაურში ჩხირკედელაობას, მუდმივ საქმიანობას ნიშნავს. **გაზიდება, ზიდილი** კი გაწევაა, დაკავებულის მცდელობაა გაშვებისათვის. იმავე ძირისეული სიტყვა **გაზიდულობა** – ფშაურში 1. საქმიანობით დატვირთვა, ფუსფუსი, გაწამაწიაა; 2. წეწვა-გლეჯას, გაწევა-გამოწევისაგან აღნიშნავს: „იყო დიდი **გაზიდულობა**, თვალების ტრეხა“ (ს. გოგოლაურთა). #104#

გამოგნება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კვალიფიცირებულია, როგორც სახელი „გამოგნებს“ ზმნის მოქმედებისა, – გზის გამოკვლევა. ფშაურში **გამოგნება** გონზე მოსვლა, გამორკვევაა.

გამოზ(რ)და გაწვრთნა, გაწაფვაა. ეს სიტყვა ფშაურში რამდენადე აბსტრაგირებულია, მნიშვნელობა აქვს გაფართოებული და მისი თანდებულიანი მიცემითის ფორმა დროის გარემოების გამომხატველია; **გამოზ(რ)დაში** ნიშნავს ბავშვობასა და ახალგზრდობაში; „ჩემ გამოზრდაში კარგადიად ყოფილან“ (ს. გოგოლაურთა); „მაგიდ **გამოზდაში** იცოდინან ესეები“ (ს. აჯადი).

გამომავალი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით შიგნიდან გარეთ მომავალი, გამომდინარეა. ფასეულია ამ ლექსემის რეგიონული მნიშვნელობა, რაც ფშავში დასტურდება. **გამამავალი** ფშაურში ღირსეული, იმედის მომცემი, ყოჩაღი და მარჯვე ადამიანი, ბავშვია. **კელგამამავალი** ის არის, ვისაც ხელის გამოღება, მარჯვე შრომა შეუძლია

გამორევა სახელია გამოურევს, გამოერევა ზმნათა მოქმედებისა – „შერევა“. ზმნური ფორმა ამ ლექსიკური ერთეულისა რეგიონული მონაცემების მიხედვით აღნუსხულ დამატებით მნიშვნელობებსაც შეიცავს: 1. უეცრად შევარდნა, დარევაა „ძალი **გამოერია** ხბოებსა“ (ს. კუდო); 2. გამოვარდნა – გამოქცევა: „მე გზა გამეხსნა... და იმ წამს **გამოვერივე**

გარეთა“ (ბაჩ. 526, 25); 3. წყალში გამოსვლა, გასვლა – **გარევაა** (იხ. ბუნების მოვლენების ლექსიკა).

გამოსეული ვნ. გვარის მიმღეობაა წარსული დროისა და ნიშნავს, ვინც ან რაც გამოუსიეს ან გამოესია, გამოსული და მისეული, ვინც ხშირად შემოესევა ხოლმე. აღნიშნული ლექსიკური ერთეულის უფრო ნათელი სემანტიკური გააზრების საშუალებას გვაძლევს საილუსტრაციოდ დართული მასალა თვით ვაჟა-ფშაველას თხზულებიდან: „იცი-კი, რომელია ჩვენთვის უფრო **გამოსეული** და უფრო საშიში მტერი და ან რა ჰქვია?“ ცხადია, **გამოსეული** აქ, ისევე როგორც ბაჩანას შემოქმედებაში და ფშაურში საერთოდ, გადაკიდებულს ნიშნავს: **გამოსეული** მყავ ქოჩათ პავლეს მონაგრობა“ (ს. თხილიანა).

გამოქცეული – ამ სიტყვის სრული პასპორტიზაციისათვის საყურადღებოა მისი ფშაური მნიშვნელობა. **გამოქცეული** თხის ტყავისაგან მოქსოვილი ტომარაა (ბაღნიტ გარეთ გადმობრუნებული, „კუთხეები ერთმანერთშივ აქვის“ (ს. ელიაგზა).

#105#

გართვა განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით იგივეა, რაც გართობა, – მოწყენილობის, უსიამოვნო ფიქრების გაფანტვა, დროის გატარება, მოლხენა, თავის შექცევა, გამხიარულება. ბაჩანას თხზულებებსა და ფშაურში დასტურდება ამ ლექსიკური ერთეულის ომონიმური ფორმაც: **გართვა** (დართვა) მოწყობას, გაწყობა-გამზადებას ნიშნავს: „მეცხვარემ სტვირი ამოიღო, სახკვიარები დაუშინჯა, გაურთო“ (155, 49).

გატყდომა ფშაურში დაძაბუნებას, შედრკომას, დამორჩილებას ნიშნავს; ამავე დროს, დამალულის გამხელა, აღიარება, გამოტყდომაა, ქმნის იდიომურ გამოთქმასაც: „ხმა გატყდება“ იგივეა, რაც ხმა გავარდება.

გასახურავი. „რა სიტუაციაც არ უნდა ყოფილიყო სიკვდილიანობის დროს, მიცვალებული ერთი ღამე მაინც უნდა დარჩენილიყო თავის სახლში. მას აფარებდნენ ნაყიდ თეთრ ან ჭრელ ქსოვილს, ან სახლში მოქსოვილ შალს, რასაც **გასახურავი** ეწოდება.

გაუკვერავი მიმღეობაა უარყ. და იგივეა, რაც არ (ვერ) გაკვერილა, გამოუჭედი (ქეგლ). ფშაურში **გაუკვერავი** გაუკვაღავი, გზადაუდებელია: „ქენჩახ სავალ არა აქვ. გაუკვერავია“ (ს. ჩალაჭევი).

გაღება განმარტებით ლექსიკონში ორი სემანტიკური ბუდით არის წარმოდგენილი.

გაღება – 1. დახურულის, დაკეტილის გახსნა; 2. (გადატ.) გახსნა, გამართვა, მოწყობა (სახელოსნოსი და მისთ.); **გაღება** – გადახდა, მიცემა, გაცემა. **გემოს გაღება** – ძვ. გემოს გაგება, გასინჯვა. ფშაურში გვაქვს ასევე **გზის გაღება**, რაც სწრაფად წასვლას, გზის გაგნებას, გზის პოვნას ნიშნავს. (იხ. „ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა“).

გაღვერილი განმარტებით ლექსიკონში კვალიფიცირებულია რეგიონულ მონაცემთა მიხედვით და ლექსიკური მნიშვნელობა წარმოდგენილია ქიზიყური და იმერული მონაცემების თანახმად: 1. (ქიზ.) რასაც ნაზამთრი, მოთელილი მატყლი გააცალეს, – მატყლშემოცლილი. 2. (იმერ.) გამრუდებული, გაღუნული. აღნიშნულ მნიშვნელობათა გარდა ფასეულია ამ ლექსემის სემანტიკური მრავალფეროვნება, რაც ფშაურ დიალექტურ გარემოში დასტურდება: იხ: გაღვერვა, ღვერა, ღვერვა.

#106#

გაჩოფურავება ფშაურში გახდომას, დაპატარავებას ნიშნავს. განმარტებით ლექსიკონში კი ამ სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრისას არ არის გათვალისწინებული რეგიონული მონაცემები და აღნუსხულია მისი საერთო-ენობრივი მნიშვნელობა: **გაჩოფურავდება** – ჩოფურა, ნაყვავილარი გახდება. ნაყვავილარი სახე ანუ გაჩოფურავებული, ფშაურად **ყვავილის მოჭკრეთილია**.

გაწურვა განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, მოჭკრით, დაწნებით, დაგრებით წვენის, სითხის გამოდენა, გამოცლაა; აგრეთვე გასაწმენდად საწურავში (ფილტრში) რაიმე სითხის გატარებაა. ფშაურში ამ სიტყვას განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: გაწურვა, გასვლა, დამთავრება: „მელა მალევე გაიწურა“ (ს. თხილიანა). ამავე მნიშვნელობით აქვს გამოყენებული ბაჩანასა და ლ. რაზიკაშვილს: „ზედაც დაზამთრდა, დათოვლა, მთამ ქუდი დაიხურაო, მერე ოხერი მძლივს-როსმე გავიდა, გაიწურაო“ (26, 163).

გახიდვა სალიტერატურო ქართულის მიხედვით, რაიმეს გარდიგარდმო გადებაა; ამავე მნიშვნელობით არის ფიქსირებული განმარტებით ლექსიკონში. სემანტიკური მრავალფეროვნება ამ სიტყვისა ფშაურ დიალექტს შემოუნახავს. აღნიშნული მნიშვნელობის გარდა, **გახიდვა** ფშაურში გაჯიუტებას, თავისი ნათქვამის არგადათქმას ნიშნავს. ამავე გაგებით გვხვდება ეს სიტყვა თედო და ნიკო რაზიკაშვილების შემოქმედებაშიც.

გვირგვინი. 1. „ზეით წისქვილს (წისქვილის ზემოთა ქვას, – გ.გ.) აქვ წისქვილის ყელი“ – ნახვრეტი, რომელშიც მარცვალი ჩადის, ყელს ირგვლივ აქვს **გვირგვინი**. 2. ხატის სახურავი „სიპით შართულია“. ზემოთ აქვს „სათაური – სიპზედა ძე ქვის გუმბათი, გურგვალი და მაღალი“. მას **გვირგვინსაც** ეძახიან. არის აგრეთვე ბელის გვირგვინი. 3. „გვირგვინი ქობისადაც იციან. ვედრასაც აქვის გურგლად შამოვლებული სარტყელივითა“ (ს. შუაფხო). 4. „წინათ ეკლესიაშიც იყო ოქროს წყალში გავლებული მძივები და ძაფები, რაღაც ერთურთზე გაკეთებულო კოხტად. **გვირგვინს** ამასაც ძახნილან. ვისაც ჯვარს დაიწერდა, იმას დაძხურავდა მღვდელი“ (ს. მუქო, ს. ჯოშარა).

გვირილა . გვირილა უკანა ფშავში ღიღილოს (*Centaurea depressa* MB) და გვირილას *ромашка-Pyretum*) გაგებით არ იხმარება. ამ უკანასკნელის დიალექტური სინონიმია **საგვირვინო ბალახი**, რაც სულ არ არის აღნუსხული ისევე, როგორც ყაყაჩოს დიალექტური #107#

სინონიმები: **წითელკაბა** (ს. აჯადი) და **დედუფალა** (ს. უძილაურთა), ან **ბუმბლა** ბალახ. **გველაძუა ბალახი**, **დათვის ცვერცი** – ცვალეზადი ცვერცელას (*vicia varia* bils) ერთ-ერთი სახეობა და სხვ. **გვირილა** უკანა ფშავში მსუსხავბუსუსებთან ბალახია, რომელიც ადვილად და მყარად ეკრობა საგნებს. **გვირილა** ფშაურში ფრინველის სახელიცაა.

გლა ხლა, მიხეთქება (ქეგლ). ამას გარდა ფშაურში (გადატ.) გულის კვლა, ბრაზით ავსებაა: „ემაგის რატრატი გულს მიგლის“ (ს. გოგოლაურთა), აგრეთვე მიღებ-მოდებას. უთავბოლოდ სიარულს ნიშნავს: „რას-რა ეგლებიო“, – ეტყვიან ადამიანს, რომელიც უთავბოლოდ დადის.

გნება სალიტერატურო ქართულის მიხედვით იგივეა, რაც მიგნება (ქეგლ). ფშაურ დიალექტში ეს ლექსიკური ერთეული გუნებას, ხასიათს, შეგნებას, გონს აღნიშნავს: „მაგის

გნება აღარა მაქვ“ (ს. შუაფხო). ამ მნიშვნელობით ეს ერთეული ბაჩანასთანაც დასტურდება (26, 111, 25).

გულთგაცევენა, გულის გამაგრება. ძირის წისქვილში, ღერძის ირგვლივ ადგილი – **საღერძე** ამოვსებულია ხის ორი ნახევარკალისებური სოლით, რათა მარცვალი არ დაცვივდეს წყალში, „წისქვილს გულთ არ გეედინოს“. როცა ღერძსა და გულს შორის თანდათან ადგილი მაინც რჩება და მარცვალი იპნევა საღვარეში, ამას **გულთგაცევენას** ეძახიან. ასეთი წისქვილი **გულგაცევილია**. გულის ზომაზე დაყენებას, შიგ რომ ღერძი თავისუფლად მოძრაობდეს და არც მარცვალი გაატაროს, **გულის გამაგრება** ეწოდება.

გულჩავარდნილი იგივეა, ვისაც (ან რასაც) გულმკერდი აქვს ჩავარდნილი, ჩაწეული, შეზნექილი (ქეგლ). ფშაურ დიალექტს შემონახული აქვს ამ სიტყვის დამატებითი, განსხვავებული მნიშვნელობა: **გულჩავარდნილი** გულჩათხრობილი, დაღონებულია: „გულჩავარდნილი რასამ ვიყავ“ (ს. აჯადი). იმავე მნიშვნელობით გვხვდება ეს ლექსიკური ერთეული ბაჩანასთან: „მემრე აღარც-ვის უნახავს ნანება ...გაცივებული იყო სულ **გულჩავარდნილი**, მუხლებში გაცივებული“ (ბაჩ., 435, 16).

დაზნედა სალიტერატურო ქართულში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა, ფშაურში განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს, წვიმის მიერ ცეცხლის ჩაქრობაა.

#108#

დაბრუნებული ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა, ფშაურში წინმოხრილრქიან საქონელს აღნიშნავს.

დაბრუნვილი ვნებითი გვარის მიმღეობაა ნამყო დროისა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ფშაურია და იგივეა, რაც დაბრუნებული; ასევე ბაჩანასთან: „(საღირი) **დაბრუნვილ** ბიჭებს ეტყოდა სიტყვასა აღერსიანსა“ (26, 19). ამ მნიშვნელობის გარდა, **დაბრუნვილი** ფშაურში ეპითეტია უმწეო, ძლიერ ხანდაზმული, ასაკოვანი ადამიანისა, სიბერისაკენ, უძლურებისაკენ რომ დაბრუნდება, როგორც ბავშვობაში იყო (იხ. ადამიანის თვისებების ლექსიკა).

დაბრძანება – დასმა, დაჯდომა, დასხდომაა. ფშაურში მნათობის (მზის) ჩასვლასაც ნიშნავს, ასევე ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა თხზულებებშიც.

დადგომა სალიტერატურო ქართულში პოლისემანტურია: 1. ზეამართა და გაჩერება, ადგილის გადაუნაცვლებლად ფეხზე გაჩერება, მოსვლა და გაჩერება; 2. დარჩენა, გაჩერება (სადმე); 3. მოქმედების (მუშაობის...) შეწყვეტა, მოძრაობის (სვლის...) შეჩერება, – გაჩერება; 4. ბინად გაჩერება, ბინის დადება, ჩამოხტომა, დაბინავება; დასახლება, დასადგურება; 5. დაწყება, მოსვლა (წელიწადის დროისა, ხანისა... დღესასწაულისა...); 6. რაიმე მუშაობის დაწყება, რაიმე საქმისათვის ხელის მოკიდებას. ფშაურში ამ ლექსიკურ ერთეულს განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს, იგი თვალ-ყურის დევნებას, ყარაულობას ნიშნავს: „დაუდგა ი ბალდი საქონელსა“ (ს. შუაფხო).

დადევნა განმარტებით ლექსიკონში კვალიფიცირებულია, როგორც დევნით გაყოლება (დასაწევად), უკან გაყოლა, გა(მო)კიდება, გამოდგომა. ფშაურში ჩნევა-ს, ქონება-ს ნიშნავს: „ჯანით და ღონით სავსე ხარ, დაგდევისვაჟკაცის იერი“ (ბაჩ., 458, 24); „დაგდევის მგლისფერი, ბუთლაო“ (ს. კანატია).

დანელება – 1. დაღუპვა, დაქცევა; 2. ცეცხლის ჩაქრობა ან განელება წყლით; 3. ფუტკრის დახოცვა (ფუტკრის დანელება).

დართვა. ეს ლექსიკური ერთეული სალიტერატურო ქართულის მიხედვით „დასძენს“ ზმნის მნიშვნელობით გამოიყენება, ფშაურში იგი განსხვავებული სემანტიკური ნიუანსის მატარებელია: 1. ცეცხლზე შეშის დამატებას, შეკეთებას ნიშნავს. ამ მნიშვნელობით იგი მთიულურშიც გვხვდება (შდრ.: 106, 201). ძვ. ქართულში **დართვა** დამატება, დაფარებაა (138^ა, 67); 2. მოწყობა-გალამაზებას, შეკეთებას აღნიშნავს და 3. ბალახის ძოვნით პირუტყვის გაშლა, #109#

შეფენაა ფერდობზე (155, 56). დართული დასაწვავად დადებული, დამატებული, შეკეთებულია. დასტურდება ამ სიტყვის ომონიმური ფორმებიც: **დართული** – 1. მორთულ-მოკაზმული, გამოწყობილი (ერთზე მეტი). 2. შეფენილი ცხვარი, ძროხა, ხბო (ბევრი), ხოლო **შერთვა** საბძლის ან რაიმე ნაგებობის სახურავზე ყარტის (ჭვავის გაულეწავი ძნის კონის) შემატებაა, ყარტით გადახურვაა საერთოდ. ამგვარად ყარტით გაწყობილი სახურავი კი **შართულია**. შდრ. ძვ. ქართ.: **დართვამ** – დახურვა; **სართული** – სახურავი, ჭერი, ბინა (138^ა, 186).

დატრიალება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **ტრიალით ამოდრავებას**, დაბრუნებას ნიშნავს. (გადატ.) ფულის დატრიალება, ფულის გაშვება, მიმოქცევაში მისი დაბანდება, ხოლო ბედის (წაღმა-უკულმა) **დატრიალება** – ბედის, ხვედრის წაღმა (უკულმა) შეცვლა, წასვლაა. ამასთანავე, **დატრიალება** ფშაურში გულდასმით საქმიანობა, საქმის გულიანად და საგულდაგულოდ კეთებაა. „დაუტრიალდა ბიძაის კაცი ჩლიქმბულსა“ (ს. ქალილო).

დაფერება – ნ. ფერება.

დაფოლება, ჩაფოლება დაწუნებაა, არადჩაგდება (მთ., მოხ., ჯევს., თუშ.) მსგავსად. **დაფოლებული** დაწუნებული, დამცირებულია.

დაღადვრა (ღადრვა) ფხაჭვა და კაწრვაა. დაკაწრული – **დაფხაჭული, დაღადრულია**. **დაღადვრა** გურულში კეცზე ნაღვერდლის დაყრაა მჭადის გამოსაცხობად.

დაღირება დაღერება, მოღერება; დამიზნებაა სალიტერატურო ქართულის მიხედვით. ფშაურ დიალექტში განსხვავებული მნიშვნელობითაც დასტურდება: ღირსების მომატებას, ღირსეულად გახდომას ნიშნავს: „ბიძაის კაცსა უჯობნავ, სახელი **დაუღირდება**“ (ს. გომეწარი).

დაღონებული დანადვლიანებული, დამწუხრებული, დამმარებული, ნადვლიანია. „ამ სიტყვას დიაცები მთაში „ბეჩავის“ სინონიმად ხმარობენ“ (ბაჩ., 135, 19).

დაღუპვა 1. ბოლოს მოღება, მოსპობა, განადგურება; დაქცევა, სიკვდილია (რაიმე უბედური შემთხვევის გამო); ჩაძირვაა (გემისა...) ან ჩამოვარდნაა (თვითმფრინავისა); 2. განსაცდელში ჩაგდება ან ჩავარდნა, გაწირვა, გაუბედურებაა. **დაღუპვა** ფშაურში დაკარგვას, დამალვას, თვალს მოფარებას ნიშნავს: „სად-რა **დაიღუპა** ჩემ კაცი, დაყურსდა“ (ს. კუდო). #110#

დაყენება პოლისემანტური ლექსიკური ერთეულია: 1. გაჩერება, შეჩერება, შეკავებაა; 2. დანიშვნა, რაიმე მოვალეობის დაკისრება, მიჩენა (მცველად, დარაჯად...); 3. საცხოვრებლად ბინის მიცემა (ვინმესათვის); 4. სათანადო წესით მიღება, დამზადება ღვინისა; 5. ჯეროვნად

წარმართვა (მუშაობისა); მოწყობა, მოწესრიგება, მოგვარება (საქმისა); 6. დასმა, აღძვრა კითხვისა (საკითხისა...); 7. ტექ. დადგომა, მოწყობა; აღმართვა. **დაყენება** ფშაურში იგივეა, რაც ატეხა, დატრიალება: „ცოდვა-ბრალი დააყენა გარამა“ (ს. გოგოლაურთა). შდრ: „აკენესდებოდა და ისეთს ცოდვა-ბრალს დააყენებდა“ (ზაჩ., 111, 20).

დაყუდებული პოლისემანტიური სიტყვაა და ფშაურში (გადატ.) ძალიან დაცვრებულ ადგილს ნიშნავს.

დაშუშვა, დაშუშავს სალიტერატურო ქართულის მიხედვით იგივეა, რაც დასუსხვა; აგრეთვე ცხარე რამეთი პირის დაწვასაც ნიშნავს, საინტერესოა აღნიშნული ლექსემის დიალექტური მნიშვნელობა: **დაშუშვა** ფშაურად დაშაშვას, ზოლებად გაჭრასაც ნიშნავს.

დაჩვენება – გზის ჩვენება, მონახულება, სტუმრობა, მოულოდნელად წვევა: „იქ სადამ **დავეჩვენები** ქოჩათ ჰავლესა, ბალღებსა“ (ს. თხილიანა).

დაძალვა დაძლევა, მორევა, ჯობნაა. ფშაურად ენერგიის ჭარბად გაღების გამო შრომის უნარის დაკარგვა, დასუსტება, დაუძლეურობა, შეიძლება **დაიძალოს** ხარი, კამეჩი, ცხენი, ზაქი, კურატი და ა. შ. „ფილავ, ლეგა დაჩხვერილია, ცანდი მიუგდე, არ დაიძალოს!“ (ს. მუქო).

დაწყდომა – 1. გაწყდომა (ბევრისა ან ბევრგან) **მოწყდომა**, აწყდომა ბევრი რისამე; 2. დახოცვა (დაღლისაგან, შიმშილისაგან). ფშაურში **დაწყდომა** (თავზე) დაცემას, დატყდომას ნიშნავს (ალალმა) დაიქშუვლა და ელვასავით **დააწყდა** თავზე ნიბლიას (თ. მოთხ., 7, 20).

დახელვა, დაკელვა (ბევრისა), **მოხელვა, მოკელვა** (ერთისა) – პოვნას აღნიშნავს ფშაურში: „**დავკელოთ** ეგ ჯრუწუკეები“ (ს. გოგოლაურთა); „სამნივ საბრძელში დავკელენ“ (ს. კუდო). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ამ სიტყვის ფშაური მნიშვნელობა აღნუსხული არ არის და ამდენად, რეგიონული მონაცემების გაუთვალისწინებლობის გამო ლექსიკური ერთეულის სემანტიკური კვალიფიკაციაც არასრულია: „**დახელვა** (ქიზ.): 1. ხანგრძლივად დახელვა (ცომისა), 2. მოვლა-დამუშავება (ბოსტნისა, ვენახისა...); 3. ტყავის ერთი პირი დამუშავება.

#111#

ენის ამოდგმა საერთოენობრივი მნიშვნელობის გარდა, ფშაურში განსხვავებული სემანტიკური ელფერის მატარებელია: თამამი, უზრდელური, ზედმეტი ლაპარაკია.

ვარია. ამ ლექსემას სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული მნიშვნელობისაგან განსხვავებული სემანტიკური ღირებულება აქვს ქართული ენის დიალექტებში. ქართულურ, ხევსურულ, მოხეურ, ფშაურ, გუდამაყრულ და ზემო აჭარულ კილოებში **ვარია** რძის სადღვებელია, რძის სადღვები თოკებზე დაკიდებული მოგრძო და ვიწრო კასრია, ორმხრივ დახურული და შუაზე მცირე ნახვრეტიანი.

თავისუფალი. უბატკნო ფარა თავისუფალია.

თავმოსაპარსიო მიცვალებულის „ორმოცზე“ დასაკლავი ცხვარია, რათა მგლოვიარე ჭირისუფლებმა პირი დაიპარსონ.

თავწყალი – თავწყალს გაადენს – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით – გააწყობს, მოახერხებს, გახდება რასმე; თავწყალს გაართმევს იგივეა, რაც თავწყალს გაადენს: „დაწყუხებული გრძნობებსა ვედარ ვართმევდი თავწყალსა“ (ზაჩ., 101, 5). დამოწმებული ტექსტობრივი მასალით ჩვენთვის საინტერესო ლექსიკური ერთეული

განმარტებით ლექსიკონში კვალიფიცირებული მნიშვნელობით ვერ გაიაზრება, მოცემული წინადადება აზრობრივად გაუმართავი გამოდის. მართებული წაკითხვა გვექნება, თუ თავწყალს მივიჩნევთ თავგზად, ისევე, როგორც ეს რეგიონული მონაცემების მიხედვით გვაქვს: ფშაურ დიალექტში დასტურდება და ჩანს, ამავე გაგებით აქვს გამოყენებული ბაჩანასაც. შდრ: „თავგზიან კაცებ ვინც იყვნენ და თავწყალი ჰქონდათ, იმას აირჩევდენ ვაჟის დედ-მამანი (მაცრადა)“ (იხ. სოციალურ ურთიერთობათა და ადამიანის თვისებების ლექსიკა).

თაკილი სალიტერატურო ქართულში სამარცხვინოდ საწყენად შეუფერებლად მიჩნევა, უკადრისობაა. ფშაურში ეს სიტყვა მორიდებას, პატიოსნებას ნიშნავს. ამავე მნიშვნელობით აქვს გამოყენებული ბაჩანასაც: „აღარც გული მაქვს, აღარც ჭკვა, აღარც **თაკილი** სადმეა“ (155, 63).

ინჩი || **ენჩი** – განმარტებით ლექსიკონში არის კვალიფიცირებული: ინჩი (სომხ. ინჩ). ძვ. საუბრ.: **რამე**. ამავე დროს ფშაური ლექსიკის აქტიურ ფონდში შემავალი ლექსიკური ერთეულიცაა, ვარიანტული სახით დადასტურებული: **ინჩი** || **ენჩი** და გვხვდება ამ კუთხიდან #112#

გამოსულ მწერალთა თხზულებებშიც. საქმე ის არის, რომ აღნიშნული ლექსიკური ერთეული რაზიკაშვილების თხზულებებში, ისევე, როგორც ფშაურში საერთოდ, განსხვავებული სემანტიკური ელფერის მქონეა და, ამდენად, სხვა მნიშვნელობის გამოხატველია: გაგების უნარს, შეგნებას ნიშნავს, რასაც ადასტურებს თვით განმარტებით ლექსიკონში დამოწმებული ვაჟა-ფშაველას თხზულებიდან ამოწერილი საილუსტრაციო მასალა: „მუცელა მდუმარებდა, არ ეწადა თავის სახელის გამომჟღავნება, და არც იმდენი **ინჩი** (გაგების უნარი, შეგნება, და არა: რამე, - გ.გ.) ჰქონდა თავში, მოეგონა რამ სხვა სახელი“.

თუ აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს განმარტებითი ლექსიკონისეული კვალიფიკაციით გავიაზრებთ, მაშინ წინადადება სტილურად (და ასევე აზრობრივადაც) საკმაოდ გაუმართავი იქნება, ორი „რამე“-ს უმართებულო სიხშირით გამოყენების გამო, რაც, სიტყვის ისეთ მესაიდუმლეს, როგორც ლ. რაზიკაშვილი იყო, ბუნებრივია, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. ეს რომ ასეა, ამას ბაჩანას შემოქმედებითი მემკვიდრეობაც ადასტურებს: „ვისაც რომ **ინჩიც** არა აქვს ერთურთის სამსახურისა“ (ბაჩ., 219, 30). ცხადია, **ინჩი** აქ გაგების უნარს, შეგნებას აღნიშნავს, რაც მართებულად არის შენიშნული (155, 66).

აღნიშნული ლექსიკური ერთეულის ამგვარ გააზრებას მხარს უჭერს რეგიონული მონაცემები. უფრო მეტიც, ფშაურში **ინჩი** || **ენჩი** არა მარტო გაგების უნარი და შეგნებაა, არამედ კაცს რომ რაიმეს თავი აღარა აქვს, იმასაც ნიშნავს. ჩანს, აქ სიტყვის მნიშვნელობის ერთგვარ გაფართოებასთან უნდა გვექონდეს საქმე, რასაც ადასტურებს ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემები. მაგალითად, **ენჩი** ფშაურში საერთოდ გაუგებარ ადამიანს ეწოდება, ხოლო **უინჩო** მოუქნელ-მოუხერხებელი და გაუგებარი კაცია (იხ. „ადამიანის თვისებების აღმნიშვნელი ლექსიკა“). შდრ. ასევე ჩვენ მიერ მოპოვებული ფშაური მასალა: „მაგის **ინჩი** აღარა მაქვ“ (ს. გოგოლაურთა); „აღარ შამიძლავ, **ენჩი** არა მაქვ“ (ს აჯადი); „ეგეებ აღარ მაქსონ, ჩემ დროთას **ენჩი** აღარა აქვ“ (ს. ელიაგზა); „გოძია გადაუგონთებულიდაა, **ენჩ** აღარ აქვის“ (ს. ლიშო).

კანკატელა. ფშაურში ეს სიტყვა ძალზედ გამხდარი, გალეული, ძვალზე დამდგარი ადამიანის ან ცხოველის აღსანიშნავად გამოიყენება.

კალათა ფშაურში პოლისემიური სიტყვაა. შეიცავს დამატებით მნიშვნელობებს: 1. #113#

წვრილი წკეპლებისაგან მოწნული ყუთია, მაღლა დაკიდებული, რომელშიც დარეცხილ ჯამ-ჭურჭელს ინახავენ გაშრობის მიზნით; 2. შავი ქსოვილისაგან შეკერილი და მოქარგული სახელსაქმო აზგაა ქალებისა. მასში საქსოვი ნართი და წინდის ჩხირები (საქსოვი ჩხირები) აქვთ, მარცხენა ხელზე წამოცმულს ყოველთვის თან დაატარებენ და შეუსვენებლივ ქსოვენ ყველგან, გზად მიმავალნიც კი.

კამარა – 1. წარბებზემოთ ადგილი შუბლზე; ა. შანიძის მიხედვით, ის ადგილი, სადაც წარბებია ამოსულო (ცოტა ზემოთაც); 2. აკვნის თავი, მაღლითა მომრგვალებული ხე, რომლითაც არწევენ, ზედ სათამაშოებს კიდებენ და ბავშვისთვის სიმყუდროვის შექმნის მიზნით ხშირად ზემოდან ქსოვილსაც კი გადააფარებენ.

კოპი სალიტერატურო ქართულ ენაში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა, ფშაურში იგი ლექსიკური დიალექტიზმია, რომელიც ქართლური, მთიულური და ქიზიყური მნიშვნელობების მსგავსად, ქალამნის ამოსასხმელი თასმა, წვრილად დაჭრილი ტყავია.

კუნელი ფშაურში: 1. წვრილი ნაყოფის მომცემი ერთგვარი მცენარე, ხე-ბუჩქია; 2. „კორიანტელია, ქარით აყენებული მტვერი ან თოვლი“ (ა. შან); 3. ისეთ ბოლსაც უწოდებენ, ძნელად რომ იშლება.

კაწრვა, გაკაწრვა, გამოკაწრვა ფშაურში იგივეა, რაც „ხრუწვა“ – ქურდობა, პარვა, გაქურდვა, გამოსუფთავება (გადატი) გამოფხეკა, გამოფხაჭვაა: „ისე გაქურდეს, რომ გამოკაწრეს იქაურობა“ (ა. შან.). **კაწარი** ფშაურში ბრჭყალი, ფრჩხილებია, ამდენად **კაწრვა, გაკაწრვა, გამოკაწრვა** ფრჩხილებით, კლანჭებით ან რაიმე წვეტიანი მაგარი საგნით ფხაჭვნაცაა.

მამრი. საერთოენობრივი მნიშვნელობის გარდა, ამ ლექსემის ფშაური სემანტიკა განსხვავებულია. **მამრი!** იგივეა, რაც: „მომშორდი, მომერიდე, წადი აქედან!“.

მაშხალა თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში იგივეა, რაც ჩირაღდანი, შუშხუნა. ამავე მნიშვნელობით არის კვალიფიცირებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც, არ არის გათვალისწინებული მისი დამატებითი, ფშაურ დიალექტში დადასტურებული მნიშვნელობა: **მაშხალა** სადგამიანი ხის ჯვრისებური ნაკეთობაა, რომელსაც საქორწინო სუფრაზე ნეფე-დედოფლის წინ დგამენ და მასზე ჩამოკიდებული ან ასხმულია სხვადასხვა ტკბილეული. მისი სინონიმური ვარიანტია **ჩირაღდანი**, რომელიც

#114#

ივრის ხეობის ფშავში დასტურდება: „ერთ-ერთი ახალგაზრდა, ბიჭის ნათესავი ქალი, რომენიც თავ-მოთავე იქნებოდა ნეფის მწრიდანა, გააკეთებდა **მაშხალას**, იმაზე დაკიდებდა რავი, რაღას არა, და იმას მიართომდა ნეფე-დედოფალსა“ (ს. გოგოლაურთა, ს. მუქო).

მეწისქვილე ივრის ხეობის ფშავსა და ნაწილობრივ წინა ფშავში (იქ, სადაც დიდი „დოლაბ წისქვილები“ გვხვდება) წისქვილის მეთვალყურე და ფქვის პროცესის

წარმართავია, მინდის ამღები პიროვნებაა; უკანა ფშავში კი **მეწისქვილე** ის პირია, ვინც წისქვილის გამართვაზე მუშაობს.

მიდგომა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით იქით ან გვერდზე დადგომა, მოწვევა; იქით, რამესთან ახლოს დადგომა. ფშავურში ამ ლექსიკურ ერთეულს დამატებითი მნიშვნელობაც აქვს: **მიდგომა** საქმიანობის დაწყება, საქმის შედგომა: „საციქველთ უნდა მივუდგე“ (ს. გოგოლაურთა); ამავე მნიშვნელობით გვხვდება ეს ლექსემა ბაჩანასთანაც: „ძროხას რომ გავშლი, განეე, ქოხს-საქმეს უნდა მივუდე“ (ბაჩ., 500, 7). ფშაველი არ იტყვის საქმეს უნდა **შევეუდგეო**, ვინაიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზმნისწინის მიერ მიმართულების გამოხატვის ფუნქციას.

მიჩენა სახელია „მიუჩენს“ ზმნის მოქმედებისა (ქეგლ). ფშავურში განსხვავებული გაგება აქვს: **მიჩენა** ფშავურად მისვლა, გამოცხადება. ამავე მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა ბაჩანას შემოქმედებით შემკვიდრობაშიც: „და თავის ნანდაურ ქალსა მალ-მალ **მიუჩნდა** სახლშია“ (ბაჩ., 420, 4). **ჩამოჩნდაო**, იტყვიან, ზემოდან რომ რამე გამოჩნდება.

მოგდება – სარუეში წისქვილის წყლის გამოყვანა-მიშვებაა. ამგვარი წყალი **მოგდებულია**. სპეც. ლიტერატურაში დადასტურებულია ამ სიტყვის გურ., იმერ., ლეჩხ. მნიშვნელობანი: 1. მოხურვა კარისა; 2. პირუტყვისაგან ვადაზე ადრე მოგება ნაშიერისა, მკვდარი ან ცოცხალ-მკვდარი პირუტყვის (ხბო, კვიცი, ბატკანი, თიკანი) შობა დროზე ან ნაადრევად; მკვდრად ან ცოცხალ-მკვდრად შობილი.

მოგონება – გონზე, გრძნობაზე, ჯანზე მოსვლა, იგივე **მოგონწრება**, საქმისათვის თავის მობმაა.

მოყრა – 1. გარკვეულ ასაკამდე მისვლა: „ბეწინა ჩემ დროთა მაიყარა (ს. მუქო). 2. საარაყე ბოზალუყზე ფქვილის მოყრა და საარაყის ხელმეორედ ჩაყენება, რასაც **მოყრილა**, **მოყრილაი** ეწოდება.

#115#

მოკიდება. სალიტერატურო ქართულში რეგისტრირებული მნიშვნელობების მიხედვით: 1. აკიდება, წამოკიდება; 2. ხელის მოვლება; 3. რაიმეს დამატება (მაგ., ფქვილისა), რაიმეთი განელება-შეზავება; 4. ცეცხლის მოკიდება; 5. რაიმეს (მაგ., ოჯახის) შექმნა. მისი ფშავური სემანტიკური დიალექტიზმები, ანუ დიალექტური მნიშვნელობანია: ა) მორტყმა, მოხვედრება; ბ) გუთნის კვალში ჩასმა; გ) ზურგზე ჯოხის გადაჭერა, დარტყმა; დ) შებმა.

მოფთილაგება მატყლის ჩეჩვის დროს ხელისგულისოდენა ფთილების გაკეთებაა, დამატებითი მნიშვნელობაც აქვს: „დიდი მტყელ-მტყელი თოვლი რო ჩამოდის, მოუფთილავაო“, – იტყვიან.

მოხედვა. მომაკვდავის ან მძიმე ავადმყოფის მომჯობინებაზე ამბობენ, „**მაიხედაო**“.

მტკივანი ძირდიდა, იგივე პირქვეთია.

მჭამელი || **მჭამელა** ავადმყოფობაა, იგივე კანის კიბოა, რომელიც თანდათან ფართოვდება, საღ უჯრედებს აზიანებს და შეიძლება ადამიანს სხეულის ის ნაწილიც „მოაჭამოს, რაზედაც არის გაჩენილი. „შაფხვდებოდა კაცსა, სუ დაფლუჯდა, სუ შეჭამდა ხორცსა“ (ს. მუქო).

ნაველობი – იხ. VI თავი.

ნამგალა შავი, კლდის მერცხალია, რომელიც წივის. ფშაური მნიშვნელობით, **ნამგალა** შეამხანაგებული მეზობელი მწყემსია (რაზ. ჭყ. ა. შან.). იხ. აგრეთვე, მესაქონლეობის ლექსიკა.

ნიორწყალი. ამ სიტყვის ფშავში დადასტურებული სემანტიკური დიალექტიზმია **ნიორის სუპი:** დანაყილ ნიორს წყალში მოადუღებენ, კვერცხს დაუმატებენ და ერბოთი შეაზავებენ. შეიძლება ცოტა ფქვილიც მოუკიდონ.

სათაური || სათაურა. თანამედროვე ქართულ ენაში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა, ამ სიტყვას აქვს განსხვავებული სემანტიკური ელფერიც: 1. ფშაურში იგი ძნის ან თივის ზვინის, ან ხატის სახურავის წვერია: ხატის სახურავი „სიპით შართულია“, ზემოთ აქვს **სათაური** – სიპზედა ძე გუმბათი, გურგვალი და მაღალია“. მას **გვირგვინსაც** ემახიან. 2. აგების ბოლოს ძნას თავს წაუმახვილებენ, თავს მოუწვევრავენ, ანუ თავს მუადგამენ || მოადგამენ || **სამყურათი მოასათაურებენ** (ს. შუაფხო, ს თხილიანა), თივის პატარა ბულულას (კონას) – #116#

ჭურჩალას || ჭურჩალას და სიპს ადებენ, რასაც **სათაურა** ჰქვია ამ პროცესს **თივის დაყრასაც** უწოდებენ.

სათითე – 1. ხის სათითეები, რომლებსაც მარცხენა ხელის ბოლო ორ თითზე წამოიცვამენ ხოლმე მკის დროს; 2. მარჯვენა ხელის ოთხ თითზე წამოსაცემელი, თუთისისაგან ჩამოსხმული ნაწიბურიანი რგოლები, ჩხუბის დროს იყენებენ (იგივე „ბოქსი“).

სამკლავე – იდაყვიდან მაჯამდე ასაკვრელი ფოლადის ფარი, ამოღარული, ფარად სახმარი ფარიკაობასა და ომში (რაზ.-ჭყ. ა. შან.); მკის დროს მარჯვენა მკლავზე შემოსარტყმელი შალის სახელო, რომელიც ყანის ფხისაგან იცავს ტანსაცმელს.

სამძიმარი (|| **თიხის სამძიმარი**). განმარტებით ლექსიკონში რეგისტრირებული კლასიფიკაციის გარდა, ფშაურში მას დამატებითი მნიშვნელობაც აქვს: ხანგრძლივი მუშაობით გაღუულ, ე. ი. თხელ, წისქვილის ქვას ამძიმებენ – შავ თიხას ადებენ: „ჩაძვრეტენ, პატარა რკინებს ჩაძსჩრიან, მემრე დადებენ. შავ თიხას და ის იჭერს, ამძიმებს“, რასაც **სამძიმარს** (|| **თიხის სამძიმარს**) უწოდებენ. **სამძიმარი** ხახმატის ჯვარის (წმინდა გიორგის) ერთ-ერთი დობილთაგანიცაა (93, 236).

საპირობე ძირის წისქვილის (ქვის) მფქველი პირის კიდეა, სადაც საფქვავე **პირობად** (საბოლოოდ დაფქულად, გადმოსასვლელად გამზადებულად) იქცევა. ძირის ქვას საკოდელათი შეუკეკნავენ, შეუთლიან ხოლმე, რასაც **საპირობის მოჭრა** ეწოდება. შემდეგ ფქვილი ალატში გადმოედინება **პირობის გადმოსასვლელით** || **საპირობით**. ე. ი. საპირობე (2), ალატში ფქვილის გამოსასვლელიცაა, იგივე **პირობის გადმოსასვლელია**, მისი კახური სინონიმია საპირობელი (159, 472).

საპურე ფშაურში ხორბლის, პურეულის შესანახი გოდრებია; 2. ცომის მოსაზელი ვარცლია, რომელშიც გამომცხვარ პურსაც ინახავენ; 3. პურის შესანახი პატარა კიღობანი.

სარი – 1. წვრილი და გრძელი ჯოხები, რომელსაც „სარი ლობიოს“ ასახვევად იყენებენ; 2. მაღალი, უტოტო გრძელი ბოძი, რომელზედაც დიდ თივის ზვინს აგებენ სახლის ან საბძელ-გომურის სიახლოვეს. „**სარში**“ დაახლოებით ათი-თხუთმეტი „**თივა**“ ან „**კირჩხა**“ ჩადის. „**კირჩხა**“ მოკლედ ტოტებშეჭრილი სარია, რომელზედაც იოლად გამომშრობის მიზნით აგებენ ჩრდილ და გაყამირებულ ადგილებში ნათიბს, შამზნარს. „**კირჩხა**“ ზოგადად

#117#

ჩამოსაკიდი ტოტებიანი ბოძია, რაზედაც შეიძლება ხარისხა გაიდოს (ნ. აგრეთვე IV თავი).

სამძალე. სალიტერატურო ქართულში რეგისტრირებული მნიშვნელობის გარდა, ამ ლექსემის ფშავში დადასტურებული სემანტიკური დიალექტიზმებია: 1. ადგილი, საიდანაც საქონლის კუდი იწყება, 2. საქონლის დაკვლა-აკაფვის შემდეგ ხანჯლის პატრონისათვის მისაცემი ხორცის კარგი ნაჭერი, ხანჯლის ქირა.

სამირე სემანტიკური დიალექტიზმია: 1. ბაგაზე გირკლის შესაბმელი წნელი, თოკი, ან ჯაჭვია; 2. კოდის ძირის გასაწყობი მრგვლად გამოჭრილი ფიცარი; 3. პანტა-მაჟალო, მცენარე, რაზეც უნდა ამყნონ.

სახსენებელი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მიხედვით: 1. ვინც ან რაც უნდა ახსენონ, – მოსახსენიებელი, მოსაგონებელია; 2. სახელი; ხსოვნა, მოგონებაა. ფშაურში ამ სიტყვას დამატებითი სემანტიკური ელფერიც აქვს: შთამომავლობას, ჯიშს აღნიშნავს და ამ გაგებით აქვს გამოყენებული ბაჩანასაც: „და დალოცვილ ღმერთს მითომა კიდეც არ გაუხარდება, თუ მაგათ სახსენებელი ერთიან ამოვარდება“ (ბაჩ., 235, 1).

სვილისფერი || **სვილისფერა** პირდაპირი გაგების გარდა, რაც მკრთალს, შავგვრემანს ნიშნავს, **სვილისფერა** ფშავში ვაჟკაცის გულადობის, ვაჟკაცობის დამახასიათებელი ეპითეტია, მამაცი გმირის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. ეს ლექსიკური ერთეული ამ მნიშვნელობით აქვთ გამოყენებული ამ კუთხიდან გამოსულ მწერლებს ბაჩანას, თედო და ლუკა რაზიკაშვილებს (179, 246; 155, 87).

სურნელი – სუფთა, წმინდა წყალსაც აღნიშნავს (შდრ. საბა: **სურნელი** – მხალნი სუნნელნი შენაყილნი).

ტლიკინი – სალიტერატურო ქართულში რეგისტრირებული მნიშვნელობის გარდა, ფშაურში გადაბოტებით, დიდი ნაბიჯებით სიარულია.

ტუსვა – იგივე **შეტუსვა**, **წატუსვა**; ფშაურში ამ ლექსემას განსხვავებულ მნიშვნელობანი აქვს: 1. ძლიერი ყინვისაგან კანის მოყინვა; 2. წმინდად, გულდაგულ თიბვა.

ფარტენა მეორედ გადაჩეჩილი მატყლის ქულაა, დასართავად გამზადებული.

ფარტისო, **დაფარტნაო**, მაშინაც იტყვიან, ბევრი თოვლი რომ მოდის და ხშირი და მსხვილი ფიფქი ცვივა.

#118#

ფერება ჩვეულებრივ აღერსს, მოფერებას აღნიშნავს და აგრეთვე „მეფერის“ ზმნის სახელადი ფორმაა ქართულში (ქეგლ). ამას გარდა, **ფერება** || **დაფერება** ფშაურში დამსგავსებას აღნიშნავს: „ემავის **ფერაია** ჩემ ჩობარკანაიცა“ (ს. ვერხველი); „ჩემ ქალა **მამაის ქალია**, მამას დეეფერა“ (ს. აფშო); „ჩვენ არა **გვფერის** ქოთობა“ (ს. გომეწარი).

ღილი, **ღილები**, **ღილ-კილო** საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდში რეგისტრირებული მნიშვნელობის შესაბამისია ქართულურ-ფშაური **ღილ-კილო** – ღილი და ღილის გასაზნევი. ამასთანავე, ფშაურში, გვხვდება დამატებითი მნიშვნელობითაც: „კომახში მოთავსებულა **კოჭი**, **კოჭასთან** არი პატარა ძვლები – **ღილები**“ (ს. ჩარგალი); ტანსაცმლის საკინძეზე ერთ მხარეს მიმაგრებული ძაფის ნასკვები – **ღილები**, **ღილკვანძები**, რომლებსაც შატათი (მარყუჟი) ებმის საკინძის მეორე მხარეს დამაგრებული ფერადი ან შავი ბაწრები (ერთად

ეწოდებათ ღილ-შატა); **ღილბევრნი** – **ღილბერნი** სპილენძისაგან შეკერილი ხატის დიდი სალუდე ქვაბები.

ლოჯი. ამ ლექსიკურ ერთეულს ფშაურში განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: წისქვილის მფქვავ პირებზე ზედმეტად მაღალ, ამობურცულ ადგილებს **ლოჯები** ეწოდება.

შამოხვეწილი ის არის, ვინც შემოიხვეწა, თავი შეაფარა, შემოსახლდა. ფშაური მნიშვნელობით: **ხვეწანით** (ხოწით) დამუშავებული ხის ჭურჭელია.

შეფერება – სალიტერატურო ქართულში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა, ფშაურში სამაგიეროს გადახდა, მიზღვაა: „ზიძაის კაცო, ბასარა რო დაგეტიოს, – შაგიფერებს“ (ს. ჯოშარა).

ჩამოყრა საქონლის მთიდან ჩამოდენა, ჩამორეკვაა. **ჩამოჯდომა**, ჩვეულებრივ, მცირე ხნით დაჯდომაა; ფშაური დამატებითი მნიშვნელობით, ადიდებული მდინარის დაპატარავებაა,

ჩანგალი ფშაურში 1. ნაგაზი ძაღლის ყელზე შემოსარტყმელი რკინის ბასრწვეტებიანი სარტყელია, რაც მას იცავს მგელთან ან ძაღლთან შეტაკების დროს ყელში წვდომისაგან; 2. გრძელ ჯოხზე დამაგრებული ბასრკაუჭიანი იარაღი ორაგულის დასაჭერად.

ჩიხი ზომაზე მეტად აღერებული, აყვირებული ბალახია, რომელიც მდარე ხარისხისაა.

წვივისაკრავი ფშაურში მოსული თოვლის რაოდენობას აღნიშნავს, სიდიდის მიხედვით წვივებამდე რომ სწვდება კაცს. მოსული თოვლი შეიძლება იყოს აგრეთვე #119#

ფეკსგადმამავალი – ფეხის ტერფს რომ ფარავს. მუხლს ზემოთ თუ არის თოვლი, იტყვიან: „მუჯლს **ამაყრიდა**, იმხელა თოვლ მოიდაო“.

კელი – 1. მომკილი ყანის ორ-ორ ძნიანი ან სამ-სამ ძნიანი ნაწყობი; 2. ხის ქერქგამრობილი კანები, რომლებსაც ნახევარ მეტრ სიგრძეზე კეცავენ და შუაზე კრავენ მუშის დამზადების დროს.

ჯანღი და **ბურუსი** ლექსიკონში კვალიფიცირებულია, როგორც ნისლი. ფშაურში **ჯანღი** ტენიან ნისლს ეწოდება, **ბურუსი** მშრალი ნისლია, ხოლო „**წიწამურ** ის არი, რო დარია, მაგრამ ნისლივით მოსჩანს არემარეზე. **წიწამური** დარში იცის, არსად ღურბელი არ არი და ბოლივითა სჩან“ (ს. შუაფხო). შდრ. საბა: „**წირი** არს ვაკოვანთა შინა არა რა მყოფსავით რამე ჩენა მხედვარეობასა შინა“ (127, 451). „**წარ** მცირედ რამ წაზიდული“ (127, 443). ი. ჭყონიას დამოწმებით, იმერულში **წიწამური** წრიაპის, მთებში სასიარულო რკინის ფეხსაცმლის აღმნიშვნელია და სხვ.

#120#

**თავი X – პოლისემანტიური ლექსიკური ერთეულები
სემანტიკური პარალელების გავრცელების განმსაზღვ-
რელი ტერიტორიის (დიალექტური არეალის) დადგენით**

ნებისმიერი ენის ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაციისათვის არ კმარა ლექსემათა წმინდა სემანტიკური ასპექტით განხილვა. ქართული ენის (ისევე როგორც სხვა ენების) ლექსიკური ფონდის, ასევე დიალექტური ლექსიკის ღრმად და სრულად შესწავლა-აღწერა და დახასიათება შესაძლებელია შესაბამის საზოგადოებასთან მისი მიმართების განხილვით. სპეციალურ ლიტერატურაში ამ სახის განხილვა ცნობილია, როგორც საკითხისადმი „პრაგმატული მიდგომა“, „პრაგმატული ასპექტი“, ან თუნდაც „პრაგმატული ანალიზი“.

ამგვარი კუთხით, ე. ი. „ქართულენობრივ კოლექტივთან მიმართებაში დახასიათება სასარგებლო უნდა იყოს ცალკე სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის შესწავლის დროსაც“ (147, 246).

ენის ლექსიკური ფონდის სემანტიკური სტრუქტურის სრულყოფილი შესწავლა, ჩვენი აზრით, გულისხმობს როგორც ამ კუთხით ლექსიკის დახასიათებას შესაბამის ენობრივ კოლექტივთან ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით, თემატიკურად შემოფარგლული ჯგუფების მიხედვით, ასევე ცალკეულ სიტყვათა სემანტიკურ დახასიათებას მხოლოდ საგნობრივი მიმართების მიხედვით, რამდენადაც სიტყვის მნიშვნელობას (რაც ცნების სახით აისახება), საგანი განსაზღვრავს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ცალკე სიტყვის სემანტიკურ (ე. ი. მხოლოდ საგნობრივი მიმართების მიხედვით) დახასიათება გვაძლევს ინფორმაციას სიტყვის მხოლოდ წმინდა აზრობრივ შესაძლებლობათა შესახებ“ (147, 261), ე. ი. განყენებულად.

საქმე ის არის, სემანტიკური დახასიათებისას გამოვიკვლიოთ და დავადგინოთ, როგორ არის ეს შესაძლებლობები რეალიზებული სხვადასხვა შემთხვევაში სათანადო საზოგადოების მიერ ისტორიული პირობებისა თუ ყოფითი მოვლენების შესაბამისად გამომუშავებულ ენობრივ ჩვეულებათა ფორზე. ეს კი იმასას გულისხმობს, რომ სიტყვის სრულყოფილი სემანტიკური კლასიფიკაციისათვის ანგარიში გავუწიოთ მის წარმომავლობას, კავშირ სპეციალურ ან დიალექტურ ლექსიკასთან.

#121#

ყოველივე ზემოაღნიშნული გარკვევა-დადგენის საშუალება გვეძლევა იმ შემთხვევაში, თუ სიტყვის მნიშვნელობას განვიხილავთ მეტყველების აზრობრივად დასრულებულ მონაკვეთში – სხვადასხვა კონტექსტში, მასზე უფრო ფართო ლინგვისტური მონაცემების – კონსიტუაციის გათვალისწინებით. სპეციალურ ლიტერატურაში სწორედ კონტექსტია აღიარებული მასში შემავალი სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობის განმსაზღვრელად. სიტყვის ან „რომელიმე ლინგვისტური ფორმის მნიშვნელობა განისაზღვრება მის მოხმარებათა (კონტექსტთა) ერთობლიობით“ (შდრ. 227^ა; 228^ა; 147, 247). კონტექსტი გვაგებინებს, რა საგანთან არის აზრობრივად დაკავშირებული მოცემული სიტყვა, მაგრამ უშუალოდ კონტექსტი ვერ განსაზღვრავს ამ კონტექსტში შემავალი სიტყვის

მნიშვნელობას, საგნობრივ მიმართებას. საქმე ის არის, რომ სიტყვის მნიშვნელობას ნამდვილად აზუსტებს სიტუაცია, ხოლო სიტყვიერი კონტექსტი ამას ახერხებს იმდენად, რამდენადაც იგი მკითხველს მეხსიერებაში აღუდგენს იმ რეალურ სიტუაციას, იმ სათანადო რეალურ კონტექსტს, სადაც ამ სიტყვით აღნიშნული საგანი ან მოვლენა არსებობს.

ყურადსაღებია, რომ მონოსემიური სიტყვა აზრობრივად ერთ საგანთან ავლენს მიმართებას, ამიტომაც იგი ერთი რეალური კონტექსტის მიხედვით რეალიზდება, ერთი საგნობრივი მიმართება აქვს, მაშინ როდესაც პოლისემიური სიტყვა საგანთა რამდენიმე კლასთან ავლენს მიმართებას და, ამდენად, იგი კონტექსტთა სხვადასხვა ჯგუფით, განსხვავებული სიტყვების (კონსიტუაციების) მეშვეობით რეალიზდება აზრობრივად. რომელიმე სხვა საგანთან საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვამ უნდა გაარკვიოს, შესაბამის კონკრეტულ შემთხვევაში რომელ საგანთან ივარაუდება მოცემული პოლისემიური სიტყვის მიმართება შესაბამის კონტექსტში კონსიტუაციის გათვალისწინებით „სიტყვის მნიშვნელობას ნამდვილად (resp. რეალურად) აზუსტებს სიტუაცია, ხოლო სიტყვიერი კონტექსტი ამ როლს ასრულებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ახერხებს მსმენელს (მკითხველს) გაახსენოს, აღუდგინოს მეხსიერებაში სათანადო სიტუაცია, სათანადო რეალური კონტექსტი, სადაც ამ სიტყვით აღნიშნული საგანი (მოვლენა) არსებობს“ (147, 249). #122#

შინაარსობრივად სიტყვების ერთმანეთთან მორგება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რეალურ ვითარებას ასახავს კომუნიკაციის საგანი. ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ „სიტყვიერი კონტექსტის უკან დგას რეალური კონტექსტი, ობიექტური ვითარება, სიტუაცია. საბოლოო ანგარიშში აი, ეს რეალური კონტექსტი განსაზღვრავს მოცემული სიტყვის ამა თუ იმ სიტყვასთან დაკავშირების, „მორგების“ უნარს“ (იქვე). სიტყვიერი კონტექსტი უნდა ჩავთვალოთ სიტყვათა ისეთ დაკავშირებად, რომელიც განპირობებულია ამ სიტყვების გამოხატულ საგნებთან და მოვლენებთან სიახლოვით. კონტექსტი კი არ განსაზღვრავს მასში შემავალი ჩვენთვის.საინტერესო სიტყვის მნიშვნელობას, არამედ კონსიტუაციაში შემავალი ზოგიერთი (ვთქვათ, „საკვანძო“) სიტყვა (ერთი და იმავე მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებთან შეკავშირების სისტემატურობაში). მოგვაგონებს და გაგვაცნობიერებინებს იმ რეალურ გარემოს, სადაც შეიძლება გამოიყენებოდეს საანალიზო სიტყვა. მაგ. (ფშ.) „დაჯელვა“ პოლისემიურ სიტყვად ჩამოყალიბდება, ერთმანეთისაგან გამიჯნული მნიშვნელობები გაუჩნდება, თუ სიტუაციათა რეგულარობის ხარისხი შეეცვლება. რეგულარულად გამეორებადი სხვადასხვა გარემო, ანუ ვითარება შეექმნება. ეს ძირითადად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელ საკვანძო სიტყვასთან ჩამოყალიბდება მას რეგულარულად გამეორებადი სიტუაცია: 1. „ბევრი დაჯელვა უნდა სახინკლე ცომსა“ (ს. თხილიანა); 2. „ბოსტან დაჯელე, დედაის ქალავ!“ (ს. შუაფხო).

საკვანძო სიტყვებთან სინტაქსური კავშირით შექმნილი გამეორებადი სიტუაციის მიხედვით, პირველ შემთხვევაში **დაჯელვა** ცომის მოზელაა, ხოლო მეორე შემთხვევაში – ბოსტნის მოვლა-დამუშავება. თუ საკვანძო სიტყვად „ტყავი“ გამოიკვეთება, მაშინ გაიმიჯნება ამ ლექსემის III მნიშვნელობა: ტყავის ერთი პირი დამუშავება (მაგალითად, „ტყავი დაჯელოთ!“). ხოლო კონსიტუაციაში: „**დაჯელოთ ეგ ჯრუჭუკეები**“ (ს. გოგოლაურთა),

აღნიშნული ლექსემის მნიშვნელობა იქნება პოვნა (კრუწუკა ფშაურში ქურდბაცაცაა, – გ.გ.). შდრ. ასევე გამიჯნულ მნიშვნელობათა ჩამოყალიბება სიტყვისა „კალო“; კონსიტუაციაში შემავალი „საკვანძო“ სიტყვების მეშვეობით ლექსემა „კალო“ ფშაურში შეიძლება ერთმანეთისაგან გამიჯნული რამდენიმე მნიშვნელობით შეგვხვდეს: 1. „**დოლაზ წისქვილი** #123#

ხანიერია, დიდ კალო აქვის“. ამ სიტუაციაში კალო წისქვილის ქვის სიგანეა; 2. „**კალოს წყალი** დაუმატეთ, ბალღებო!“. აქ კალო მოსაზრებად მომზადებული ლამ-კირი ან ხრემია; 3. „**ბერდო, ხეს კალო** გაუკეთე!“ „კალო“ აქ ნიშნავს ხის ძირის გარშემო მიწის ჯამივით ან ფილივით მოკეთებას, მცენარეს წყალი რომ დაუგროვდეს და ფესვებში წაუვიდეს (შდრ. ასევე **ბაქანი, გულჩავარდნილი, მოკიდება** და სხვ. (იხ. IX თავი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, ჩვენთვის საინტერესო პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობათა გამიჯვნის საბოლოო მიზეზი და საფუძველი რეალურ სიტუაციებში, კონკრეტულ ვითარებაში და ამ სიტუაციათა რეგულარობის ხარისხში უნდა ვეძიოთ. იმ შემთხვევაში, როდესაც სიტუაცია (რეალური კონტექსტი) რეგულარულად გამეორებადი ვითარება. ანუ გარკვეულად მყარი გარემოა, მაშინ მოცემული სიტყვა სისტემურად, რეგულარულად გამოიყენება სათანადო საგნის აღსანიშნავად და მისათითებლად, ე.ი. ამ საგნის სახელად იქცევა, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ სიტყვის რეგულარულად გამოყენება განსხვავებულ მყარ გარემოში (სიტუაციაში) გარკვეული დროის შემდეგ ამ სიტყვის ახალ მნიშვნელობად რეალიზდება.

ამდენად, რეალური ვითარების (მყარი გარემოს) გამომხატველია ე. წ. „რეალური ეონტექსტი: სიტუაცია (კონსიტუაცია), რომელიც შეიძლება შეიცვალოს ექსტრალინგვისტური ფაქტორების (რეგიონული მომენტი, ბუნებრივ-კლიმატური გეოგრაფიული, ისტორიულ-ეკონომიკური პირობები და ყოფითი გარემო) შეცვლით. საბოლოოდ ეს ცვალებადობა ენობრივ პლანში სიტყვათა განშტოებული მნიშვნელობების წარმოქმნა-დამკვიდრებით გამოიხატება.

რეგულარულად გამეორებადი ვითარება ხასიათდება მოცემულ გარემოში მცხოვრებ მოსაქმეთა განსხვავებული საქმიანობით (პროფესიით), სხვადასხვა სოციალური მდგომარეობით, რაც მათ შორის მეტყველებრივი თავისებურებების წარმოშობა-დამკვიდრებით ვლინდება. ამ განსხვავების საფუძველი, სხვა ფაქტორებთან ერთად, არის ის სიტყვები, რომლებსაც სპეციალური მნიშვნელობები მიუღიათ. ამ სიტყვების #124#

გამოხატულების სფეროს კი პროფესიული, სოციალური ლექსიკა, ანუ სპეციალური ენა და დიალექტი წარმოადგენს. ისინი, თავის მხრივ, პოლისემიის წყაროდ ითვლებიან. „სიტყვა პოლისემიური გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი (სპეციალური და დიალექტური ლექსიკის სფეროდან – გ.გ.). საერთო ენას დაუბრუნდება და განშტოებული მნიშვნელობები თავს მოიყრიან“ (147, 253). მაგალითად, ფშაურ დიალექტურ გარემოში „**ბაქანი**“, „**გული**“, „**კალათა**“, „**პირობა**“, „**ყელი**“, „**კელი (ხელი)**“ სიტყვებმა კუთხურ დარგობრივ (სპეციალურ) ლექსიკაში შეიძინეს სპეციალური მნიშვნელობანი, შემდეგ ეს მნიშვნელობანი საერთო ენაში შევიდა და, ბოლოს ამავე სიტყვებით სპეციალურად

გამოცემულ საერთოენობრივი მნიშვნელობის გვერდით პარალელური ღირებულების მქონედ იქცა სპეციალური მნიშვნელობა.

ამრიგად, პოლისემიის წარმოქმნის წინაპირობა სიტყვის რეგულარული გამოყენებაა მყარ გარემოში (სიტუაციაში), რაც სიტყვის ახალ განშტოებულ მნიშვნელობად რეალიზდება სპეციალურ ენაში. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური ენის ლექსიკასთან ერთად პოლისემიის წარმოქმნის წყაროა აგრეთვე დიალექტებიდან მომდინარე მნიშვნელობათა მნიშვნელოვანი თავმოყრაც. ამ მხრივ გამონაკლისს არც ფშაური დიალექტი წარმოადგენს. შდრ. მაგ. ლექსემები: **კალო, ბაწარი, გვირგვინი, დართვა, შოლტი** და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართულის საერთოენობრივ ლექსიკაში პოლისემიურობა შედეგია დიალექტურ (მათ შორის ფშაურ) მნიშვნელობათა თავმოყრისა (შდრ. **კალო, გვირგვინი, მიდგომა** და სხვ. (ნ. IX თავი). ამის შედეგად, როგორც ვხედავთ, სალიტერატურო ქართულის ლექსიკაში თანაარსებობის უფლება თანდათან მოიპოვა დიალექტებში დიფერენცირებულმა სიტყვის მნიშვნელობებმა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პოლისემიურ სიტყვებში ძირითადად თავს იჩენს დიალექტური, სპეციალური ენებისა და საერთოენობრივ მნიშვნელობათა შეხამება, რაც შედეგია ლექსიკისა და განსხვავებულ ენობრივ კოლექტივთა (ჯგუფების) ურთიერთობისა.

როგორც წარმოჩინდა, ამგვარად ჩამოყალიბებული ურთიერთობის შედეგები ფშაურ ლექსიკაშიც იჩენს თავს. კვლევის ამოცანების შესაბამისად პოლისემანტური ლექსიკური #125#

ერთეულების კლასიფიკაცია ნაშრომში წარმოდგენილია არეალური თვალსაზრისით – რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით. ამ კუთხით დიალექტურ ლექსემათა ანალიზის შედეგად ფშაურში გამოიყოფა პოლისემიურ სიტყვათა ორი ჯგუფი: 1. პოლისემანტური ლექსიკური ერთეულები, რეგიონულ დაყოფას დაქვემდებარებული სემანტიკური პარალელებით და 2. პოლისემანტური ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არ ექვემდებარებიან რეგიონულ დაყოფას (იხ. აგრეთვე ცხრილი № 2).

კაკაჩუნა (არაგვის ხ. ფშ.) – რკინის (ან ხის) მოკაული საგანი, კერის საჩხრეკი; ივრის ხეობის ფშავში **კაკაჩუნა** კავია, რომლითაც მქსოველი „ფარდაგის ქსოვის დროს გარას ადსწევს და დადსწევს“. უკანა ფშავში მას **გარაის საყვანელას** უწოდებენ.

კომიჭა || **კუმშა** ივრის ხეობის ფშავში თოვლის გუნდაა, მისი არაგვისხეური ფშაური სინონიმია **ბურკვა**, ხოლო **კომიჭა** არაგვისხეურ ფშაურში გორახის მნიშვნელობით დასტურდება.

კორა არაგვის ხეობის ფშავში უღლის სამაგრია, საუღლეს ამაგრებს უღელზე და აქეთ-იქით აღარ უშვებს; ივრის ხეობის ფშავში მას **ქორაკი** ეწოდება, ხოლო **კორა** მოჭრილი ბელტების გროვაა, რომელსაც მდინარის წყლის ნაკადის გადაგდების დროს აგებენ და ერთგვარი სიმაგრეა, წყლის ნაკადის ჩამკეტის მნიშვნელობით იხმარება. ჩანს, ეს ლექსიკური ერთეული ფშაურში ზოგადი მნიშვნელობით ჩაკეტვა-დაკეტვას, სიმაგრეს უნდა აღნიშნავდეს. „**კორა** კარის საკეტია ხისი: (ამ მნიშვნელობით ეს ერთეული ქიზიყურშიც დასტურდება). **კორა**, თ. რაზიკაშვილის განმარტებით, თოფის გასახედი სანიშნებელია (134,

№132). კახურში. ქიზიყურსა და რაჭულში იგი განსხვავებული მნიშვნელობითაც დასტურდება (159, 161).

მეწისქვილე ივრის ხეობის ფშავსა და ნაწილობრივ წინა ფშავში (იქ, სადაც „დოლაბ წისქვილები“ გვხვდება) წისქვილის მეთვალყურე და ფქვის პროცესის წარმმართავია, მინდის ამღები პიროვნებაა, უკანა ფშავში კი **მეწისქვილე** ის პირია, ვინც წისქვილის გამართვაზე მუშაობს.

ნამზვლევი – 1. მეწყერი: „**ნამზვლევის**“ იმას ვეძახით, ხე-მიწა რომ მოდის (ს. კუჭქვა, ს. მიგრიაულთა); 2. ივრის ხეობის ფშავში „**ნამზვლევი** ის ადგილია, საიდანაც მეწყერი მომსწყდება“ (ს. ჩაბანო).

#126#

ნამპალი. „გაბუსნავებული“ მამულის „გატეხისას“ ბალახი ქვეშ ყვება, „ჩაბრუნდება“ და შემდეგ წელს მეორედ რომ მოიხვება, ასეთ ნაბუსნავარ მამულს უკანა ფშავში **ნამპალს** უწოდებენ, „მეორე წლისად არი კარგი“ (ს. თხილიანა) ივრის ხეობის ფშავში აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს განსხვავებული სემანტიკური ელფერიც ახლავს: „ტყეში დატეხილ ხეები რო ლპება, **ნამპალს** იმასაც ვეძახით“ (ს. ლიშო).

ნაწვერალი – უკანა ფშავში **ნაწვერალი** ტყის გაკაფვის დროს დარჩენილი ხის ნაჭერ-ნაფოტებია. **ნაწვერალს** ხის წვრილი ტოტების შემასაც უწოდებენ: „შეშაა რო გაკაფთ, იმას ვეძახით **ნაწვერალსა**“ (ს. უძილაურთა). 2. ივრის ხეობის ფშავში **ნაწვერალი** მკის შემდეგ დარჩენილ ღეროებს ეწოდება (ნაწვერალი < ნაწულარი < წული). შდრ. საბა: „წული“ არს ყანის ძირი ვიდრე ჯულამდე“ (127, 453) (იხ. მიწათმოქმედებისა და პურეულის ლექსიკა).

რეულა არაგვის ხეობის ფშავში წყობის გარეშე ხუთი ან მეტი ხადურისაგან აგებული ძნების გროვია, შიგ ჰაერმა რომ გაუაროს და გამოშრეს. **რეულა** ძნათა ოდენობით იგივე წერაა, ნაწყობობით აგებამდე. წყობით აგების შემდეგ **რეულა** იქნება წერა. ძნათა ოდენობით **რეულა** და წერა 5-6 ჯადურას შეიცავენ. ამიტომ **რეულა** არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს ჯადურასთან ძნათა ოდენობის მიხედვით, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს (114, 36). ივრის ხეობის ფშავში **რეულა** ის არის, უპატრონო, ჩამორჩენილი ცხვარი სხვა ფარას რომ შეერევა.

სამარგელი ყანაში შერეული სარეველაა (ს. შუაფხო). **სამარგელს** ივრის ხეობის ფშავში უწოდებენ ბალახის სამარგლ იარაღს, რომელსაც ბარის პირივით პირი აქვს.

სამბო. 1. სამბოს ეტყვიან, ამაიყაყვრაო, დაუყაყვრდაო, **სამბო გამოიდაო**. **სამბო** წინაც იცოდენ, რო გამოუა რაღაცა. **სამბოდ** რაღაცა აქვ და რავი, რა არიო. **სამბო** ეს არი, კანუწა რომ გამუა მუწუკებივით, ავადობის სახელია. **სამბო** გამოუთიდა ჯელზედაო, მუკლზედაო, ძველ ქართულია. **სამბო** ეხლა ათასნაირია: აქა **ტამტს** იტყვიან ერთსა. **ტამტი** გამაუთიდა, დახავდა, გაუსქდა, კელი ან მუკლი დაუპირაო, გამაუპირაო“ (ს. მუქო); 2. სამბოს ივრის ხეობის ფშავში უწოდებენ კავიან ჯოხს, რომელზეც ქვაბებს ან სათლებს კიდებენ. მოხეურში **სამბო** ძირმაგარას მნიშვნელობით დასტურდება (153; 151, 310).

#127#

ტამფანდურა სალიტერატურო ქართულში დადასტურებული მნიშვნელობით, ლხინი, ცეკვა-თამაშია. ფშაურში მხიარული, უდარდელი, დროსტარების მოყვარული ადამიანია.

ფარცხი სათესი იარაღია, თესლს ფარავს. ივრის ხეობის ფშავში **ფარცხი** წისქვილის ამწევ-დამწევ მოწყობილობასაც ჰქვია, რომელზეც ბორბალი დგას და საღვარეშია მოთავსებული.

ფხანწალი (არაგვის ხ., ფშ.). ძალიან გვერდული, მიუვალი ადგილები, ძემვნარ-კლდეებია. „იქ ვერსაით გადსთიბს კაცი, არ გამოდის, კლდენია. ალაგ-ალაგ თუ სადმე ეკვრის ბატარა ბორტეები“ (ს. გოგოლაურთა). **ფხანწალი** ივრისხეურ ფშავში ჩამორეცხილი, მიუვალი ადგილია; მისი სინონიმია **ჩამოდვარწყლული**.

ღირება რაიმეს მოღერება, დაღირებაა. ფშავში **ღირება** არის დაპირება, უცებ რაიმე გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ აღარ შესრულება.

ყავარი არაგვის ხეობის ფშავში არის მკლავის სიმსხო გრძელი ხე (ლატანი), რომლითაც ღობავენ სათივეს და ძროხების სადგომებად, ბაკებად იყენებენ ზაფხულში. **ყავარი** თხელი და ვიწრო ფიცრით გადახურვის სახეობაცაა ივრისხეურ ფშავში. (შდრ. საბა: **ყავარი** – თხელი და ვიწრო ფიცარი; ინგილ: ყავარ – ლერწამი; თურქ.: kaval; **გამყავრებული** „კარგა მოსული“, მსხვილლეროიანი ყანა ან ბალახია (ს. ვაკისოფელი).

ყრანტი || **ყრანჭო** იგივე ყანყრატოა; ამასთან, კახურის მსგავსად (159, 614), **ყრანტი** ივრის ხეობის ფშავში ძალიან ბებერ, სიბერით გადაყრუებულ ადმიანზეც ითქმის.

#128#

თავი XI – პოლისემანტური ლექსიკური ერთეულები რეგიონულ დაყოფას დაუქვემდებარებელი თავისუფლად მონაცვლე სემანტიკური პარალელებით

აზადი (**აზატი**) ფშავში ხევსურულის მსგავსად, თავისუფალს ნიშნავს. ამ მნიშვნელობით აქვს იგი გამოყენებული ბაჩანას (155, 29). შდრ. საბა: „**აზატი** სომხურია, თავისუფალს ნიშნავს“ (127, 21). ფშავში, თუშურის მსგავსად, მისი ომონიმური ფორმა მშრალ, არამეწველ ცხვარს, ცხვრის ფარასაც აღნიშნავს, რაც დარგობრივი ლექსიკის ნიმუშებში გვაქვს აღნიშნული. ბაჩანას ეს ლექსიკური ერთეული ამ გაგებითაც აქვს ნახმარი: „ამ დროს მათა წვეროებზედა მეცხვარე **აზადს** აბრუნებს (ბაჩ., 490, 8).

აზარი, **აზარის ათავება** სიკვდილის მოწვევაა. „დაზარალდება რითიმე, მოუკვდება ვინმე დაიცარება, დავარდება უკენ, მაშინ ვიტყვი: „**აზარი აუთავდაო**“ (167, 278). „**აზარს** შეადგენს ასი წმინდა, ჩლიქაპობილი ნადირი, კურდღელი, მელი, მგელი და დათვი არ ითვლებიან“ (ვაჟა-ფშაველა). „**აზარს ათავებს** – ას წმინდა ნადირს მოკლავს (ყოველი **აზარი ათავების** შემდეგ მონადირემ თოფი მიწაში უნდა დაფლას სამი დღით)“ (93, 27-33).

ალაღებული – 1. გაამაყებული, ამპარტავანი, გადიდკაცებული, ყველასთვის თავის გადამმეტებელი; 2. ადიდებული მდინარე, იგივე **ალოლოფქრებული**.

ალახლახება – 1. ზორბა ფრინველის მოუქნელად, ტლანქად აფრენა; 2. მსუქანი და ახმახი კაცის უშნოდ ცეკვა.

ალოლოფქრება მომეტებული და ჩქარ-ჩქარა ლაპარაკია, **აჩიჩქავება** „წყალზეც ვიტყვით, რო ისე მოიძლოდა, რო ლაშშია სუ აი, **ლოლოფქარ მამყარაო**, ალოლოფქრდა მდინარეო – ძალიან ადიდდაო“ (ს. თხილიანა). **ალოლოფქრებული** ადიდებულია; იმ ადამიანზეც იტყვიან, სულმოუთქმელად რომ ლაპარაკობს და დორბლებს ყრის.

ამანთ გადასვლა || **ალმანთ გადასვლა** – 1. ძალზე ხნიერი, ხანსგასული ადამიანი; 2. ძლიერ მთვრალი, გონდაკარგვამდე მისული ადამიანი: „გომია **ამანათ არი** გადასული“ (ს. ლიშო).

ანჩხარი ის არი, ზამთარში, სიცივის დროს, საქონელს ან ცხვარს დასველებულ ბეწვზე ყინული რომ დაეკიდება; ყინვის დროს წყლის ზედაპირზე გაჩენილი თხელი, სიფრიფანა ყინული.

#129#

ანჯაჯიანი – 1. უხასიათო, მოუხეშავი და გაუთლელი ადამიანი; 2. ხორკლიანი, უსწორმასწორო ზედაპირის მქონე;

ასტამი – 1. ცეცხლის ასაღები და გამოსაცხობ პურზე დასაყრელი რკინის პატარა ნიჩაბი; 2. სკიდან ჩარჩოების ამოსაწევი ხელსაწყო-იარაღი (გ. ხორნ.).

აფუება – ძლიერი ყინვის დროს მდინარის ყინულით მიხერგვა და წყლის გადმოსვლა კალაპოტიდან; 2. გადიდკაცება, გამდიდრება და ამით გაამყება; 3. სწრაფად გამრავლება; 4. (გადატ.): ადამიანის მეტისმეტად გასუქება.

აფრობა – აყოლება, რაიმეთი გატაცება, რაიმე გრძნობა რომ დაიპყრობს კაცს: „ვახტანგ ოცნებამ აიფრო“ (შუაფხო); დაბრიყვება, დამორჩილება, აკლება-დაპყრობა: „გარამ **აიფრო** მტერია“ (ს. მუქო).

აღვარებული – 1. ადიდებული და ძალზე მღვრიე, მიწა რომ მოაქვს ისეთი წყალი, უფრო ხევი; 2. ძალზე გაბრაზებული და აღელვებული ადამიანი.

აყინჩული – 1. მსუყე საჭმლის ჭამისაგან გულასუყეებული; 2. ბევრი სმისგან გატანჯული.

აშურმა – 1. ვერცხლის სამკაულებიანი სარტყლის ნაწილები, თასმები, სამხრეები, მკერდზე და ბეჭებზე გადაჯვარედინებული და ბოლოებით ქამარში ჩაბმული; 2. ბალთიანი შესაკრავები; მოქარგული საკინძეები.

აგაბაცად, აგაბეცად – 1. ბარბაცით სიარული; 2. არევით ლაპარაკი; 3. აქა-იქ.

ახაცვა თოვლზე მზიან ამინდში თვალების მოჭრა; ამგვარ ამინდში კუჭის გასაწმენდად სკიდან გამოფრენილი ფუტკრების თოვლზე დაცვენაცაა.

ახორხილი საჩქაროდ და ცუდად აყვანილი კედელია; უწესრიგოდ ერთმანეთზე მიყრილი, აკოკოლავებული რაიმეცაა.

ახულება – 1. ბავშვის ხელში აყვანა და მკერდზე მიხუტება; ხუხულის, სახელდახელო თავშესაფრის დადგმა.

აჯდომა – 1. სადმე ან რაიმეზე ასვლა; 2. **აჯდომა თავისათვის** აუტანელი ტკივილი; 3. **თავგონის აჯდომა** – თავბრუს დახვევა, გაბრაზება, გადაღლა.

აჯილლა დაუკოდავი ცხენია სამი წლის შემდეგ; (გადატ.) გარყვნილი, ძალზე მოურიდებელი და გათამამებული ქალი.

#130#

ბაკლა ცერცვის შექამანდია; მოხარშული სიმინდის მარცვალისაა, რომელსაც ზოგჯერ ნიგვზითაც აზავენ.

ბალღობა ფშურში ბავშვობაა: „**ბალღობას** ვიცოდით ესეები“ (ს. კვერნაულა); „ჩემ **ბალღობაში** მეკირცხებოდენ“ (ს. გოგოლაურთა); ბევრ ბავშვზეც იტყვიან: „**ბალღობა** ჯრუჭუკაობს“ (ს. ელიაგზა); **ბალღობა** ფშავში უჭკუობასაც აღნიშნავს.

ბანდი – იხ. (IX თავი).

ბანთვერი დათვის ბოკვერია; თამამად გაზრდილზე, ტანიანსა და ჯანიანზეც იტყვიან.

ბ(რ)დღვინვა – იხ. (IX თავი).

ბედბოლო ბედისაგან ნარგებია; ერთადერთი შვილის აღმნიშვნელი ეპითეტიცაა.

ბიბინი – 1. ქარის ხმიანობა; 2. ქარისაგან ამოდრავებული ბალახის, ყანის ან ტყის რწევა და ხმიანობა; 3. ცხოველთა ჯოგის ან ცხვრის ფარის ფეხის ხმა.

ბინა – 1. ზაფხულში ღამღამობით ცხვრის გასაჩერებელი, სადგომი ადგილი; 3. ის ადგილი, სადაც საგზაო ბარგიანი კაცი დაიდებს ბინას ღამისთევისას (სახლში თუ სხვაგან).

ბიჭა (მოხ., კნინ.-მოფერ.) ბიჭი; აბრეშუმის ჭიის თესლიდან გამოსული პირველი ჭია; დოლის დამვრამდე მოგებული ბატკანი, ადრეულა ბატკანი, რომელიც გაზაფხულზე კარგად მოლონიერებულია. (ამავე მნიშვნელობით დასტურდება ფშურშიც. იგივეა, რაც გურ. ნაბატკვრა).

ბირდგნიალი – 1. თოფის სროლის ხმა, თოფის დაქუხება; 2. გაქცეულთა ფეხის ხმა, მოურიდებლად სირბილის დროს გამოცემული ხმაური.

ბოლოქანქარა – 1. წყლის პირებზე მორაული მონაცრისფრო შავგულა ჩიტი, წკანწკატა, იგივე საწნაურა (ხვნის დროსაც დაფრინავს ახლომახლო); 2. (გადატ.) უსაქმური ქალი, რომელსაც სოფელ-სოფელ მეზობელ-ნათესავებში უყვარს სიარული.

ბოტი – 1. დაუკოდავი მამალი თხა; 2. (გადატ.) ქალების მოყვარულ, ვაჟკაც კაცზეც იტყვიან.

ბოტიტანა ფშურში დიდს, ზორბას, ღონიერს აღნიშნავს (134, № 128). ამ სიტყვის ლექსიკური ღირებულების სრულყოფილი დეტერმინაციის საშუალებას გვაძლევს ფშურ #131#

დარგობრივ ლექსიკაში დადასტურებული მისი დამატებითი მნიშვნელობანი: **ბოტიტანეები** ანუ **ხიდის ბოტიტანეები** ეწოდება იმ ხეებს, რაზედაც ხიდი დგას; **ბოტიტანა** სახლის სახურავსაც აქვს საყრდენად; ვინც სხვის საქმეში ერევა და ყოყოჩობს, იმ კაცზეც იტყვიან, რასა-მ **ბოტიტნობო**; **გაბოტიტნებული** განზე გაწეულ ფეხებზე მდგარი კაცია, გალაჯული გაბოტილია.

ბოდრა – 1. დიდი ბანჯგვლიანი მამალი ძაღლია; 2. გადატ. თმაწვერიანი ძლიერი ვაჟკაცი.

ბრეშა ბღვერა, მრისხანე გამომეტყველება; ხარი როცა ხართან საჭიდრად ემზადება, **ბრეშას** იწყებს (159, 88).

ბურახი „ხშირი, კაცზე მაღალი, ბოდოხი ბალახია, შიგ რო გეჩაროს კაცი, ვედარ ამოჯდება, იჭერს“ (ს. გოგოლაურთა); აგრეთვე ადგილია მთის ფერდობში, სადაც იზრდება ჭყიმისებური, მაცვლისებური ბალახი.

ბუგრი მკბენარია; სიმრავლესაც აღნიშნავს: „ტყის ნადირნ რო იყოს ბევრნი, ვიტყვიტ: „ტყის ნადირნია **ბუგრად** გამოსულნიო“ (ს. შუაფხო).

ბუნაგი ჭურჭელი ზოგადად. უფრო ისეთი, რაც წყალს ან ხორბალს დაიჭერს. განსაკუთრებით, რაც ადგილიდან არ იძვრის (ა. შან.); დათვის სორო, დარანი, სადაც ის ზამთრის ძილისთვის შედის.

ბურკვა თოვლის გუნდა, თოვლის დაგუნდავება; გადატ. **ბურკვა, შაბურკული** დაბალი და მსუქანი ადამიანია (ივრის ხეობის ფშავში თოვლის გუნდას **კომიჭას** || **კუმშას** უწოდებენ). კაცი რომ ბევრს იცვამს, „იბურკვება, იბურჩნებაო“, – იტყვიან.

ბურჯღუმი – 1. მსხვილი და ბევრი ნაპერწკალი მუგუზიდან ერთად აყრილი; 2. ტყუპად გამობმული რამდენიმე თხილი (ან სხვა ხილი) ერთად. **ბურჯღუმით სრევა** ნაპერწკალთ ყრათ.

ბუწუწი – ბეწვი (ა. შან). აწეწილ-დაუვარცხნელი მეჩხერი თმები გოგონასი; გადატ. ლამაზბეწვიანი ძროხა.

ბღღემა ხმამაღლა ყვირილია; ასევე საჩხუბრად გაწევა. „იბღღემა, იბწწევა, იზიდებაო“, – იტყვიან ამ დროს.

გაბენდგრებული – 1. გადახურებული ღუმელი; 2. ძლიერ აღელვებული, აალებული ადამიანი.

გაბუჭებულებული – 1. დაბურული, ნისლიანი ამინდი; 2. ხელფეხდაბუჭებული.

#132#

გაბუჭება – 1. აბოლება, გაბოლება; 2. ტრაბახი, კვებნა.

გაგვა – 1. ამოწყვეტა, გაწყვეტა, გადაშენება: „გაიგავნენ ბუთლანნი“ (ს. კუდო); 2. გაწმენდა, გასუფთავება.

გაგლა, გლა თუშურსა და ფშაურში გათელვა, გარეგვა, გათქელვა, ჩეჩქვა, ხეთქება; ამავე მნიშვნელობით დასტურდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც (მც. ლექს). მოხეურსა და ქართლურში დანაყვა, დაცეხვა (ა. ლლ.). **დაგლა** (მთ.; მოხ., ხევს.) დაჟეჟვა, დანარცხება. **გლა გულისა, გულის გაგლა** ფშაურში დარდისაგან გულის შეწუხება, გულის გათელვა: „დარდმა გამიგალა გულიო“, – იტყვის შეწუხებული ადამიანი.

გადალევა – 1. ძალიან დაბლაგვება, დაჩლუნგება; 2. გადავარდნა, გადაჩეხა, დაღუპვა: „ჯონგა კლდეთ **გადაილია** ცაბაურთასა“ (ს. ჩალაჯევა).

გალაჯვა, გადალაკული – 1. გადარეული, ჭკუიდან შეშლილი (ა. შან.); 2. გათელვა.

გადაწვერწაღმართება თავით გადავარდნაა. (გადატ): ხასიათი რომ შეეცვლება ადამიანს, მაშინაც იტყვიან.

გაზანგული შავგვრემანი ადამიანია; ჭუჭყიან ადამიანზეც ითქმის.

გაზვევა – 1. გატკეპნა, დატკეპნა; 2. გატყეპა, ცემა.

გაზი იხ. (IX თავი).

გალალვა ზოგადად პირუტყვის გარეკვას ნიშნავს. **გალალვა** (|| **დალალვა**) ხვნის დროს ხარის შესვენებიდან შესვენებამდე დროის მონაკვეთია. იგი მიწის შედარებითი საზომი ერთეულიც არის და გულისხმობს ამ დროში მოხნულ ფართობს. ხარებს ჩვეულებრივ ოთხჯერ ასვენებენ, ე. ი. ერთი დღიური სახნავი **ოთხ გალალვას** უდრის. სინონიმებია: **სასვენი, დარეკვა** (იხ. მიწათმოქმედების ლექსიკა). ხვნის დროს სახნავი მიწის უფრო მცირე საზომი ერთეულია **ფარცხი**.

გამომჭრელი – 1. კარის გამომკეტავი, გამომხურავი; 2. (გადატ.) ოჯახის ამომგდები, დამლუპავი (191, 52).

გამოპირვა – 1. სამეურნეო იარაღებისათვის რკინის პირის გამოთხელება, გამოკვერვაა; 2. ჩირქიანი სიმსივნის, მუწუკის, ძირმაგარას გამოხეთქვა, ჩირქის გამოსვლა.

გამორევა, გარევა – იხ. (IX თავი).

#133#

გამორჩეული ფშაურში ყველაზე უარესს, დაბეჩავებულსა და გამოკლებულს, უარყოფითი თვისებებით სხვებისაგან გამოყოფილს ნიშნავს. დასტურდება ამ სიტყვის დამატებითი მნიშვნელობაც. იგი მკვდრის, მომკვდარის აღსანიშნავად გამოიყენება, ტოლებს მოცილებულს, დაღუპულს აღნიშნავს: „ძმაო, უდროოდ **გამორჩეულო**“ (ს. გომეწარი).

გამოჯილაგება – 1. ღამის სიბნელეში მუგუზლის სროლა (ნადირისათვის); 2. გამობრწყინება, გამოელვება, გამოქროლება (191, 53).

გამოჯრა – 1. კარის გამოხურვაა; 2. (გადატ.) კარის გამოჯრა – ოჯახის ამოწყვეტა.

გამსივარი – 1. გასიებული, დასიებული, რაც სივდება; 2. გაბერილი, გაბლენძილი; 3. ზედმეტად გასუქებული.

განარდიშება – 1. გახალისება, გაჩვევა, გულის მიცემა; 2. ვინმეს დაბრიყვება, დაჩაგვრა; 3. გადიდგულება, სხვების არაფრად ჩაგდება.

გარესამხარი, გარესამხრობა – სახლის გარეთ, უსახლკაროდ ცხოვრება ცხვარში, ძროხაში, ღორში ან სალაშქროდ (თ. რაზიკ., ი. ჭყონ., ა. შან). სახლის გარეთ საჭმელი (მწყემსის, მოჯამაგირის, მონადირის და სხვ.).

გართხმა – 1. ნედლი ტყავის გასაშრობად გაჭიმვა; 2. საქონელს ან ცხვარს ყინულზე ან სველ ადგილზე ფეხები რომ განზე მოუცურდება და წაიქცევა.

გასადევარი – 1. საქონელი, ცხვარ-ძროხა, სამწყემსო; 2. სოფლის საქონლის სამოვარი ადგილი.

გასენვა – 1. დაავადმყოფება, დასნეულება; 2. სიტყვით ან ქცევით ვინმესთვის გულის მოკვლა.

გასერვა – 1. ზედაპირულად გაჭრა; 2. ხევისბრის მიერ ქადის ჯვარედინად გაჭრა ხატში. მეოთხედს (ნაოთხალს) ხევისბერი იტოვებს.

გასული – 1. ცნობილი, სახელგანთქმული კაცი; 2. ყაჩაღად გავარდნილი, ტყეში გასული კაცი.

გატყდომა ფშაურში დამაბუნებას, შედრკომას, დამორჩილებას ნიშნავს; ამავე დროს, დამალულის გამხელა, აღიარება, გამოტყდომა; ქმნის იდიომურ გამოთქმასაც: **ხმა გატყდება** იგივეა, რაც ხმა გავარდება.

#134#

გატყრუშვა დაშუშხვა: „ჭინჭარმა ხო არ გაგტყუშა“ (ს. თხილიანა). **გატყრუშვას** ნაღვერდალზე სიმინდის ტაროს გახუხვაზე იტყვიან არაგვის ხეობის ფშავში.

გაფხროკებული სიცივისაგან გამხმარ-გაფიჩხებულია; გამხდარ ადამიანზე იტყვიან.

გაღვერილი იხ. ღვერა.

გაცალჯერება – 1. გვიან შემოდგომით საქონლის თითოჯერ წველაზე გადასვლა; 2. გაზაფხულზე საქონლის გადაყვანა თითოჯერ (მხოლოდ სადამოს) კვებაზე.

გახანება – 1. საქმის სწრაფად და კარგად კეთება; 2. გზის ჩქარა, სწრაფად გავლა; 3. „გახანებაო“, – მიესალმებიან საქმეში მყოფ, მოსაქმე ადამიანს, საქმის სწრაფად დასრულებას უსურვებენ.

გაჯდომა – 1. წყალს გაღმა გასვლა; 2. ხიდზე გასვლა; 3. ჩხუბის ატეხა.

გახიდვა გაჯიუტებაა; გარდიგარდმო დგომასაც ნიშნავს.

გაქვილი – 1. ცხავეში გატარებული მოხარშული ტყემალი და სხვ.; 2. ფრინველისაგან გაკენკილი ტარო, თავთავი და სხვ.; 3. აბურძგნული, გაწეწილი.

გერში – 1. დაკარგული საქონლის ნიშანი (ტყავი, სისხლი და სხვ.); 2. ტყეში ფუტკრის სამყოფ ადგილთან ახლოს ზამთარში ნაპოვნი მკვდარი ფუტკრები.

გეჯა – 1. შუაზე გაპოხილი და გულამოდებული ხე, რომელშიც ძველად ფუტკრები ჰყავდათ; 2. ასეთივე ხის ჭურჭელი ღორის ან ძაღლისათვის სალაფავის ჩასასხმელად; 3. არყის გამოსახდელი მოწყობილობის ნაწილი, რომელშიც მილი (ლულა) გადის; 4. გულამოჭრილი დიდი მორი, წყაროსათვის შედგმული, იგივე **ისარნა**.

გვირგვინი 1. „ზეით წისქვილს (წისქვილის ზემოთა ქვას, – გ.გ.) აქვ წისქვილის ყელი“ – ნახვრეტი, რომელშიც მარცვალი ჩადის. ყელს ირგვლივ აქვს **გვირგვინი**. 2. ხატის სახურავი „სიპით შართულია“. ზემოთ აქვს „სათაური – სიპზედა ძე ქვის გუმბათი, გურგვალი და მაღალია“. მას **გვირგვინსაც** ეძახიან. არის აგრეთვე ბელლის **გვირგვინი**. 3. „გვირგვინი“ ქობისადაც იციან. ვედრასაც აქვის გურგლად შამოვლებული სარტყელივითა“ (ს. შუაფხო). 4. „წინათ ეკლესიაშიც იყო ოქროს წყალში გავლებული მძივები და ძაფები, რაღაც ერთურთზე გაკეთებული კოხტად. **გვირგვინს** ამასაც ძახნილან. ვისაც ჯვარს დააწერდა, იმას დაძხურავდა მღვდელი“ (ს. მუქო, ს. კოშარა).

#136#

გოგა – 1. მთვარისა და მზის ირგვლივ გაჩენილი ფერადი, ცისარტყელისებური წრე ოდნავ ღრუბლიან ამინდში; 2. საახალწლოდ გამომცხვარი სამეკველეო ქადის კვერი, რომელსაც ხონჩით მიაგებებენ კარზე მომდგარ მეკვლეს(იხ. საწესჩვეულებო ლექსიკა).

გომი – 1. მუცელი; 2. ბოსელი.

გონს ჩავარდნა – 1. გონს მოსვლა, აზრზე მოსვლა; 2. ბავშვის წამოზრდა, ჭკულის მომატება.

გრილი – 1. ჩრდილი, ჩერო; 2. ოდნავ ცივ ამინდზე ითქმის.

გრილო – 1. ჩრდილი, ჩერო; 2. გამომეტყველება, გამოხედვა, გარეგნობა, ქცევა. „ვატყობ **გრილოშია**, ნახირს წასვლა არა სწადის ჭრელასა“ (ს. კანატი).

გუგუჭრელა – 1. სპირალისებურად ნაქარგი ან ამოჭრილი ხეზე; 2. ბედისკვერების დასაჭრელელებელი ხის თარგი; 3. კონდახმოჭრელელებული ლამაზი თოფის ეპითეტი (191, 66).

დაბნედა – იხ. (IX თავი).

დაბურკვა – 1. ბევრის ჩაცმა ტანზე, შემოჭუჭკვა; 2. თოვლის გუნდების გაკეთება.

დაბუსუნებული – 1. დანგრევის პირას მისული ძველი ნაგებობა; 2. წყენით დამუნჯებული, გაბუტული.

დაბლუნძვილი – 1. ნემს-ძაფით უშნოდ ნაკერი; 2. დახუთული, მოძრაობა რომ უჭირს; 3. მობუზული, მოკუზული.

დაგანება – 1. საჩხუბრად, საბრძოლველად, დასარტყმელად გაწევა; 2. **დაგანება** – დაღირებას, დამიზნებასაც ნიშნავს: („ივანე, ბაღლებ ქურულაობენ, ერთურთს არ დეეგანენ“ (ს. ჯოშარა)); 3. პირდაპირ მოხვედრება, შეთავსება; 4. ბილიკზე ან გზაზე სწორად გავლა.

დათხევა (თხევა) უცებ დამალვა, გაუჩინარება, გადაკარგვა; პირღებინებაზეც იტყვიან: „პავლესას გომიამ ათხია“ (ს. ლიშო).

დაიყარა – 1. სუნი იკრა, სუნი აიღო (ძაღლმა ნადირის); 2. დააქცია, დააფრთხო, წინ გაირეკა; 3. გაიძრო, გაიხადა ტანსაცმელი (191, 73).

დაკეჭნა – 1. ხის კანზე რაიმე ბასრი იარაღით დამჩნევა, დასერვა; 2. ხანჯლით მსუბუქი ჭრილობების მიყენება.

#136#

დაკვერვა – 1. ჩაქუჩით რაიმეს დაჭედება; 2. ცხვრის განერბვა, დამაკება.

დაკვლევა, კვლევა ფშაურში შეხედვას, ცქერას ნიშნავს: „რო დაიელნებს, **დაკვლიე**, ნათელო“ (ს. გოგოლაურთა). ეს სიტყვა კვალის მოძებნას, ჩხრეკასაც აღნიშნავს და ამავე მნიშვნელობით დასტურდება რაზიკამვილების თხზულებებში.

დაკნელება გაწყვეტა, გაქრობა, დაკნინება. ქათამი რომ კვერცხის დებას შეწყვეტს, **დაკნელდა || მიდგაო** – იციან. ფუტკარზეც იტყვიან, „დაკნელდაო“, როდესაც წყალს ასხამენ დახოცვის მიზნით. ცეცხლის ჩაქრობაზეც იტყვიან, – „ჩამოკნელდა, დაკნელდაო“.

დალევა – 1. გათავება, მოსპობა, დაღუპვა, გაწყვეტა; 2. დროის გასვლა; 3. იარაღის დაბლაგვება, გაფუჭება; 4. (ჭირნახულის) გაფუჭება, წახდენა, შეჭმა; 5. ზვავის ან წყლის მეწყერის მიერ მოტაცება. ამ მნიშვნელობებით დასტურდება ეს ლექსიკური ერთეული ფშავიდან გამოსულ მწერალთა თხზულებებშიც (155, 55; 93, 114). იგივე სიტყვა გვხვდება საუბრის დროს ან გამონათქვამებში დაცულ სიტყვათა შეერთებებში: **ღივად დალევა** დედაბუდიანად მოსპობა, ნაშიერის ამოგდება: **ღივად დალუულზე** ვიცით, – „ჭაჭანღივდაურჩომელიაო“ (ს. აჯადი); **ხანის დალევა** დიდი ხნით დაყოვნება. შდრ.: „ბევრი არ მიცდავ, ვინც მსურდა, აღარა ხანი დალია“ (ბაჩ., 26, 25); **ხმის დალევა** ხმის ჩაწყვეტა. შდრ. ასევე: ამ სიტყვის ძირისაგან ნაწარმოები წარმოქმნილი სიტყვები: **სა-ლევ-ი** საქონლის გადასავარდნი, დასაღუპი, ციცაბო კლდის პირი; **სა-ლევ-ელი** ზამთრისათვის შენახული სურსათი, ის, რაც უნდა შეიჭამოს; **დალუული, გალუული** – გაცვეთილი, დაპატარავებული, ხმარებისაგან ყავლგასულია. **მოლუული** ქათამია, რომელიც კვერცხს უკვე აღარა დებს.

დალდე – 1. კლდეში შეხუნეილი ადგილი, სადაც ნადირი დაწევა ან თოვლი შერჩება. ამ მნიშვნელობით აქვს დადასტურებული ა. შანიძეს (167, 278) და ასევე ფიქსირებული

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც; იგივე ლექსიკური ერთეული ჩვენ უფრო განსხვავებული სემანტიკური ელფერით აღვნიშნეთ: 2. „**დალდე** გორებსა და ბორცვებს შუა მოთავსებული დაბლობი, მოხერხებული ადგილია“ (ს. გომბორი). ი. ქეშიკაშვილის #137#

განმარტებით, „დალდე სერებს ან მთა-გორებს შორის მოქცეული ჩადაბლებული ადგილი, ტაფობია“ (155, 55).

დამბრუნე – 1. ჩიხრიხის ან სხვა რაიმეს დამტრიალებელი; 2. უკან მობრუნებული ან მომბრუნებელი.

დამორვა – 1. დიდი ხის მორებად დაჭრა; 2. ცხვრის დასერვის სახეობა, ცხვრისთვის სერის დაღება.

დამორილი – 1. ფიცრის ზომაზე მორებად დახერხილი ხე; 2. გარკვეული სახის სერდადებული ცხვარი.

დამუკლისკვერავება – 1. მუხლის თავებზე დაცემა, დაჩოქება (ადამიანის ან ცხოველისა); 2. მამაკაცის დაწოლა ქალთან.

დამ(რ)ჩალი – 1. მისდაუნებურად დაორსულებული; 2. დარჩენილი.

დამცდარი – 1. ვინც ვერა ცხონდა; 2. შემცდარი.

დამწვარი – 1. ძუნწი, წუწურაქი; 2. საბრალო, საცოდავი.

დანელება – 1. დაღუპვა, დაქცევა; 2. ცეცხლის ჩაქრობა ან განელება წყლით; 3. ფუტკრის დახოცვა (ფუტკრის დანელება).

დართვა. იხ. (IX თავი).

დარიალება იხ. რიალი.

დაროქვა – იხ. (IX თავი).

დასერვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სამი მნიშვნელობით არის დაფიქსირებული: 1. მჭრელი იარაღით რისამე ზედაპირის (კანის, საქონლის ტყავის, ხორცის...) ზოლებად ოდნავ დაჭრა, დაშაშვრა, კანის **დასერვა**. 2. (გადატ.) კვალის დაჩნევა ზოლებად, – **დაღარვა**. 3. **სერის**, ნიშნის დაღება ყურზე (ცხვრისა და სხვ.). აღნიშნულთან ერთად, ფშაურში ამ ლექსიკურ ერთეულს დამატებითი მნიშვნელობაც აქვს, ვაჟის მიერ ქალის დანიშნავს ნიშნავს.

დასხლეტა – 1. გასროლა; 2. ფარას რომ ჩამორჩება და დაიკარგება ცხვარი ან ძროხა; 3. ადგილიდან უცბად მოწყვეტა, გაქცევა; 4. ფეხის დაცურება, დასხლტომა.

დასხლეტილი მიმღეობური ფორმაა და 1. თითის გამოკვრით გასროლილს (ჩახმახი, ისარი, შურდული...) აღნიშნავს; 2. ამავე დროს ნახირს ან ფარას ჩამორჩენილ და ჩამოცილებულ, დაკარგულ ცხვარს ან ძროხას მიგვანიშნებს. ეს ერთეული პოლისემიურია და, ამასთანავე, ადგილიდან უცბად მოწყვეტილის, გაქცეულის მნიშვნელობით დასტურდება ფშაურში.

#138#

დატყრუშვა – 1. დასუსტვა (ჭინჭრისაგან); 2. ნედლი ხე რომ ცეცხლზე ტყრციალს მოიღებს (ა. შან.); 3. სიმინდის ტაროს შეწვა; 4. (გადატ.) მიტყეპვა.

დაფერება – იხ. (IX თავი).

დაფოლება, ჩაფოლება – დაწუნება (რაზ., ჭყ., ა. შან.); წუნის დადება, ნაკლის აღმოჩენა;
2. მატყლის პირველი დაჩეჩვა ფოლებად.

დაფოშოტებული – 1. დაფუტუროებული, შეუმჩნევლად ღპობაშეპარული ხე; 2. მალლიდან ოდნავ შეყინული და ქვეშ მხვალი თოვლი.

დაღვერილი იხ. ღვერა.

დაღირება – 1. მოღერება (მუშტის, იარაღის...); 2. დაპირება, განზრახვა.

დაყუნთული || **დაყუნთებული** ჩაცვუცული ადამიანია; დასკუპებული, წამომჯდარი მალლი, ტურა, ბაყაყი და მისთანანი.

დაყურება – 1. გაგონება, მოსმენა, ყურის გდება; 2. საქონლის მიხედვა გომურში (თივის დაყრა, თვალის შევლება).

დაშაული – 1. დაშავებული, დაზარალებული, 2. გაშავებული, გამუქებული.

დაცარვა – 1. დაგრეხილი თოკის, ბაწრის უკუღმა გრეხით დაშლა, გაფუჭება; 2. საქმის უკუღმა წასვლა, ჩაფუშვა, დათარსვა.

დაცხავება, დაცხაული. დაცხავება (თუმ.) – რამის გახვრეტა ბევრგან ისე, რომ ცხავს დაემსგავსოს (20, 196), **დაცხაული** კი ფიქსირებულია, როგორც (მთიულ.): ძალიან გაცვეთილი, დაცრეცილი. აღსანიშნავია, რომ ორივე ლექსიკური ერთეული ფშავშიც არის გავრცელებული. **დაცხავება** ფშაურში პოლისემანტური ერთეულია და ზემოაღნიშნული (თუმ.) მნიშვნელობის იდენტურობის გარდა, რაც ა. შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონშიც“ დასტურდება, აღნიშნავს აგრეთვე საფქვავე მარცვლეულის (ჭოვის) ცხავში გატარებას, რაც ლექსიკონებში აღუნუსხავია; ხოლო **დაცხაული**, მთიულეთში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა, ფშავში ასევე დაცხავებულს, მრავალგან გახვრეტილ საგანს აღნიშნავს. ამასთან, ცხავში გატარებული მარცვლეულის აღმნიშვნელიცაა, ე. ი. ეგეც პოლისემანტურია.

დაწარწული გაფანტული, გაშლილი, მაგ., დატოტვილ-წყლიანი მდინარეა.

დაწარწული აგრეთვე დაფლეთილი, დახეულია: „**დაწარწულ** სეტკა უჭერავ ე ბალღსა“ (ს. გომბორი).

დაწკეპვა, გამოწკეპვა – 1. ნამგლის, ცულის ან ცელის პირის გამართვა; 2. შოლტით ცემა (ა. შან.).

დაჭეხება ფშაურში ძლიერი ცეცხლის დანთებას, აპრიალებას ნიშნავს. **დაჭეხნება** იგივე დაჭექება, მკვეთრი, ძლიერი ხმის გამოცემა. აღნიშნული ლექსიკური ერთეული ამ მნიშვნელობით დასტურდება ჩვენთვის საინტერესო დიალექტური გარემოდან გამოსულ მწერალთა თხზულებებშიც.

დაჭრეხილი – 1. დაგრეხილი, უსწორმასწორო (ხე, ქვა და სხვ.); 2. ხუჭუჭი, დახუჭუჭებული.

დახუთვა – 1. სახსრების ტკივილი, მოძრაობის გაძნელება; 2. თავისი კუთვნილის არ მიცემა, დაკავება.

დაკეშვილი – 1. დაჩაგრული, დაზარალებული; 2. დაბალი, სიგანეზე წასული მსხვილი კაცი.

დედისდა – 1. დეიდა; 2. ქალის სახელი.

დიაკონა – 1. ყვავილოვანი მცენარე; 2. კაცის სახელი;

დიდობა – 1. ამაყოფა, თავმოწონება, ყოყოჩობა; 2. დიდი თანამდებობის მთავრობის კაცობა (მოჩვენებით) – (191, 91).

დურდო – 1. გამდნარი კარაქის ნარჩენი; თხლე, რისიმე ნარჩენი, ნალექი; მღვრიე, ჭუჭყიანი სითხე; 2. ერთურთში არეული ორნაირი ან სამნაირი საჭმელი შინაურთათვის (ბავშვებს და სტუმრებს არ აჭმევენ).

დუსთვა – 1. დახვეული ძონძებისა და ძველმანების (დუსთის) შეტენვა რამეში; 2. ბევრი რამის ჩაცმა ტანზე, როგა ადამიანი დუსთს დაემსგავსება.

დღვება – 1. წინასწარ ამჟავებული, **შესადღვებად მოსული** რძის დამუშავება თიხისაგან გაკეთებული სადღვებლით, ჩხუტ-ბარნელათი, ან ვარიით, მისგან კარაქისა და დოს (ჩუმის-ჩუმა) მიღების მიზნით, რომელსაც შემდეგ ნელ ცეცხლზე მოახაჭობენ; 2. ჩაწიწილავების მიზნით კვერცხზე კრუხის ჯდომა. კვერცხი რომ ჩაწიწილავდეს. კრუხმა უნდა **დღვიბოს**. კვერცხზე მჯდარ კრუხზე იტყვიან, – „დღვებსო“.

ერთპირად – 1. ერთხმად, ერთსულოვნად; 2. მუდამ, გამუდმებით.

ემშაკცხენა – 1. ერთგვარი დიდი მწერი, გრძელი წვრილი ტანი აქვს, ოთხი – ფრთა; 2. ველოსიპედი.

#140#

ველობა იხ. (VI თავი, ნაველობი).

ვეძა – 1. მჟავე წყალი (ა. შან.); რკინის შემცველი მინერალური წყალი; მარილიანი, მლაშე (საჭმელი).

ზადი – 1. სისნეულე ორგანიზმში; 2. წუნი, ნაკლი, გულნაკლულობა.

ზავთი, ზავთიანი – 1. შიშის ზარი, შიშის ზარის დამცემი, მრისხანე შესახედაობისა; 2. ომახიანი, ძლიერი, რიხიანი, უმაღლ რომ დაიმორჩილებს და თავის ერთგულად გაიხდის კაცს, გავლენის მქონე.

ზავის მიცემა – 1. შერიგება, დაზავება; 2. მოწინააღმდეგის შეშინება და დაყოლიება უჩხუბრად.

ზაზიდაყა – 1. ბურბუმელა; 2. ერთგვარი ბალახი.

ზალა – 1. წაკა, ყველის მარილწყალი; 2. შრატში ან წყალში ჩაფხვნილი ხაჭო, „შენელებული ყინჭორათი (ვიფკოლათი) ან მჟავიანათი“ (ს. უძილაურთა) (იგივე ხაჭოწყალა, – გ.გ.); 3. საჭმელად წამოსხმული წაკა. ზალა განსხვავებული მნიშვნელობითაც დასტურდება: „წყალი და სისხლი მუწუკიდან გამოსული“. **ზალა-წყალა** მუწუკიდან ან ნაჭრევიდან გამოსული სისხლნარევი ჩირქია. „ზარ-წყალი, ეს არის, რაც გაფუჭებული სისხლია, ცოტა ურევა სისხლი, მურღვა არი“ (ს. მუქო).

ზალტი, ზალტე – რკინის სალტე; თ. რაზიკაშვილის მიხედვით, ცხრილის მოსაქსოვად დათლილი წვეკლებია („ივერია“, №, 150. 1900) გ. ხორნაულს აღნიშნული აქვს მისი დამატებითი მნიშვნელობა: „თითბრის, ვერცხლის სამაჯური“.

ზაპზაპა – 1. ძალზე მსუქანი ადამიანი, სიარულისას სხეულის ნაწილები რომ უთამაშებს; 2. ჭაობიანი ადგილი, ზედაპირის ქერქი ზედ დადგომისას რომ ზანზარებს.

ზარფუში – 1. საარაყე ქვაბის ხუფი; 2. (გადატ.) თავის ქალა.

ზეზერ – 1. შედარებით ზევით, უფრო მაღლა, მთებისაკენ; 2. ზედაპირულად, თავზე, მაღლიდან.

ზეზეურობა – 1. ზედაპირულად ხვნა, გუთანი რომ ღრმად არ ჩადის; 2. საქმის ზერელედ, უგულისყუროდ კეთება.

ზევა – 1. ბანზე დაყრილი მიწის ტკეპვნა საზვეპელათი; 2. ჯოხით ცემა, მაგრად ცემა.

ზუზვა-წუწვა – 1. სიხარბე, წუწუნი; 2. მოზუზვა, საცოდავი სახის მიღება, თავის საწყლად მოჩვენება;

#141#

ზძე – 1. აძევს, აძევს (ფერი): „პავლეც, რა ფერ მაძე, რა ფერ მაძე? (ს გოგოლაურთა); 2. ვალის, ვალდებულების ქონა.

თავანკარა – 1. სუფთა, კარგი ხარისხის ხორბალი, ფქვილი; კარგი ხარისხის მატყლი, რომელსაც **ნაგულა** არა აქვს.

თათნად – 1. მზად ყოფნა; 2. ერთბაშად.

თვალი – 1. საგრეხელას შუაში ამოღებული გული; 2. წისქვილის მუშა მანქანის ნაწილი.

თვალის ცემა – 1. გათვალვა, თვალი რომ ავნებს კაცს; 2. თვალის ჩაკვრა.

თინთქელა – 1. სამუშაო (სამეურნეო) იარაღის ხმარებით ან დამწვრობის შედეგად ხელეზე ამოზურცული კანი; 2. საშარდე ბუშტი.

თხორის გულა – 1. თხორის გულად შეკრული ძაფი, რომელზეც შემდეგ ნართი იხვევა; 2. პატარა და მრგვალი ნივთი.

ილეთიანი – 1. კარგი ნაქსოვ-ნაქარგი; 2. კარგი აღნაგობის კაცი.

ირაო. ფშავში **სათიბე** ის ადგილია, სადაც თიბავენ, იგივე სათიბი. ყველა მოსახლეს **საკუთარი სათიბე** აქვს. **საკუთარ სათიბეს** გარდა ფშავში გვხვდება **უპატრონო სათიბე**. მას არაგვის ხეობის ფშავში **ირაო**, ხოლო ივრის ხეობის ფშავში **ნაოხრალი** ეწოდება. ასეთ სათიბს „ვინც უნდა, ის გასთიბს“ და მას **სანადელო, სანადელოდ დამრჩალი** ეწოდება: „**ირაო** მთაზე ან სამოვარზე **სანადელოსაც** ვიტყვით“ (ს. აჯადი). უპატრონო სახნავ-სათიბს ზოგადად **საონავრო** ეწოდება, რომელიც დასწრებაზე იხვნება ან ითიბება. სახელდების მოტივი დაკავშირებული უნდა იყოს **ონა, ონარ, ონავარ** სინონიმურ ერთეულებთან, რაც მიტაცება-დარბევას აღნიშნავს. შდრ. საბა: **ონავარი** – „ფუტკართ მეკობრეობა“; **დაონავრება** – „გამარცვა, დარბევა, აოხრება“ (ამირანდარეჯანიანი, 406); შდრ. ასევე ნ. ჩუბინაშვილი: **ონავარი, მონავარი** – დიდი ფუტკარი, მეკობრე, მტაცებელი (171, 323). ქიზიყურში **ონა** ერთგვარი მტაცებელი ფრინველის (თუ დიდი ფუტკრის, – გ.გ.) აღმნიშვნელია: „ონასავით დაეცა გზირი და ააფორიაქა სოფელი“ (123, ს. მენთ., ქიზ.). **ონა** ფშაურში ძალმომრეობას აღნიშნავს, ხოლო **ონარი** ხრიკი, ხერხი, მოხერხებული საქმეა. ამ მნიშვნელობით გვხვდება ეს ლექსიკური ერთეულები ვაჟა-ფშაველსათან და ბაჩანასთან (159, 427).

#142#

ამრიგად, უკანა ფშავის მონაცემების მიხედვით, **ირაო** უპატრონო მთა, სამოვარი ან სათიბია, იგივე **სანადელო, სანადელოდ დამრჩალი**. მისი ივრისხეური ფშაური სინონიმია **ნაოხრალი**, ხოლო უპატრონო სახნავ-სათიბის ზოგადი აღმნიშვნელია **საონავრო**.

ირაო პოლისემიური ერთეულია: 1. უპატრონო მთა, საძოვარი ან სათიბი; 2. უცხო, უპატრონო ცხენი ან საქონელი (ა. შან.); 3. უცაბედი: „ერთ ირაოდ“ – უცაბედად, უცბად (შდრ. 191, 114).

ისარნა, სარნა – 1. დიდი გეჯა, რომელიც სოფელში ან სოფელთან ახლოს წყაროს წყალს აქვს შედგმული სარეცხისათვის ან საქონლის სასმელად წყლის დაგროვების მიზნით; 2. სისწვენის დასაყენებელი ჭურჭელი ლუდის დუღების დროს (უმთავრესად ხატებში, ან ხატებთან ახლოს. ის. „მემინდვრეობის, პურეულისა და მარცვლოვან-პარკოსან კულტურათა ლექსიკა“; „ლუდ-არაყის დამზადება“).

კავი – 1. სახლის ან საბძლის სახურავის თავზე დაკრული ძელი, ძელები, რაზედაც ქართულ კრამიტს აწყობენ ან ყარტს აკრავენ; 2. შვინდის კავიანი ჯოხი, რომელსაც მთიდან ჩამოსათრევი თივის „თივებად“ შესაკონად იყენებენ“.

კავკავი – 1. ინდაურების ხმიანობა ან მათი ხმიანობის მსგავსი ქოთქოთი; 2. სიცივისაგან კანკალი.

კაკაჩუნა – 1. ცეცხლისაგან კეცის გამოსაღები მოკაული ხე (რაზ., ჭყ., ა. შან.) ან რკინა (უმეტესად), ბუხარში მუგუზლების საჩხრეკი; 2. ქსლის ასაწევ-დასაწევი, იგივე **გარაის საყვანელა**.

კაკნატელა – იხ. (IX თავი).

კალათა – ის. (IX თავი).

კამარა – იხ. (IX თავი).

კალო 1. მიგვანიშნებს ძნის რაოდენობას: „წმინდის“, ქერისა და „ტრუპკის“ კალო 120 ნაწყობია, ე. ი. 240 ძნა; 2. სახნავი მიწის ფართობის საზომია. საჯნაურის სიდიდეს მასში მოწეული პურეულისაგან რამდენი **კალოც** გამოვა, იმის მიხედვით საზღვრავენ; 3. წისქვილის ქვის სიგანეა, რადიუსით ცენტრიდან; 4. ძნის გასალეწი მოსწორებული მრგვალი ადგილი. ამავე მნიშვნელობით აქვს დადასტურებული სულხან-საბა ორბელიანსა და ნ. ჩუბინაშვილს (127, 242). ფშავში იციან **საფრის კალო** და **ველის კალო**. **საფრის კალოს გადახურვილი კალოც** ეწოდება. სალექად ჩვეულებრივ იყენებენ მოსუფთავებულნიადაგან მიწიან კალოს. იციან #143#

სიპის კალოც – სიპებით მოფენილი (იხ. მემინდვრეობისა და პურეულის ლექსიკა). 5. ივრისხეურ ფშაურში დასტურდება ამ ლექსემის ქიზიყური მნიშვნელობაც: **კალო** – მოსაზელად მომზადებული ლამ-კირი ან ხრეში. ლამკირს, ხრემს ან საჭურჭლე მიწას მრგვალად დაყრიან, გულს გადაუშლიან, წყალს დაასხამენ და გადაზელენ. 6. მცენარის ძირის გარშემო იციან მიწის **მოკალოება** – ჯამივით ან ფილივით მოკეთება, რომ მცენარეს წყალი დაუგროვდეს და ფესვებში წაუვიდეს (შდრ. ქიზიყ.). 7. **მოკალოება** ზოგადად მიწის მოსწორება-მოსუფთავებასაც ნიშნავს.

კარგაფარჩებული – 1. კარდია სახლი, ღიად დატოვებული კარი, 2. უკაცო, მტრისაგან დაუცველი, გავერანებული ოჯახი.

კარგუნახავი – 1. გაუთხოვარი ან დასაქორწინებელი, ცხოვრებისათვის ჯერ კიდევ მოუმზადებელი პირი; 2. წყევლაა, „ღმერთმა კარგი არ განახოს“.

კაპარჭი, კაპარჭის მიკვრა. კაპარჭი „ფუტკრის საშოვარია, ფეხებით რომ მოაქვს“ (134, № 132). ე. ი. ყვავილის მტვერი, რომელსაც ფუტკარი უკანა ფეხებზე იკრავს და მისგან შემდეგ ფიჭას აკეთებს. გადატ. მნიშვნელობით გამონათქვამში: **კაპარჭის მიკვრა** გამორჩენა, გამოძალვით გამდიდრება, გასუქებაა (შდრ. საბა: **კაპარჭი** – ისართ ქარქაში). „კაპარჭს იკრავსო“, – იტყვიან კაცზე, სხვისგან გამორჩენთ, გამოძალვით რომ მდიდრდება.

კაჩაფსლიანი – 1. ვისაც შარდის შეუკავებლობა ჭირს; 2. (გადატ.) **ლაჩარი**, ძალზე მშიშარა, გაუბედავი.

კაწრვა, გაკაწრვა, გამოკაწრვა – იხ. (IX თავი).

კეკა – 1. კენკვა; 2. ფრინველთაგან თავის ბუმბულში ქექვა.

კეტრიანი – 1. ვისაც კეტრი, ქეცი აქვს; თავზე მუწუკებიანი; 2. გადატ: ისეთი ნაყოფი, რომელსაც ჭორფლივით აყრია და კანი გაფუჭებული, შემხმარი აქვს. **კეტრი** სატკბური, მუწუკებია თავზე (134, №132).

კვებულა – 1. ერთი წლის დეკეული, რომელიც ერთ ზამთარს უკვე გაიკვება; 2. კაცის დამამცირებელი ზედმეტი სახელია.

კვერი ფშაურში თუშურის მსგავსად ჩაქუჩს ნიშნავს. **კვერი** ამავე დროს ყველის ან ხაჭოს გაწურული, მრგვალად და ოდნავ ბრტყლად შეკუმშული მასაა, რომელსაც ძობანში ახმობენ. მუჯლის **კვერი** მუხლის თავია.

#144#

კვლევა იხ. დაკვლევა.

კვრივი – მიუვალ-მიუდგომელი ადგილი, კლდე; 2. ხატის ადგილი, სადაც გავლა ან შესვლა არ შეიძლება.

კილო, კილოს ყოფნა, კილოს მიდგომა || კილოს მისვლა. ხევსურების მსგავსად, ფშავლებისათვის **კილო** არის რაიმე თვალსაზრისით ხელსაყრელი დრო (ამა თუ იმ პირისათვის): „აღარა ვარ იმ კილოსა, ლურჯამ ჩამიკინკილოსა“ (ს. თხილიანა). „ემაგ **კილოსა** ვარ“ (ს. უძილაურთა). კაი **კილოს შექმნა** კარგ ხასიათზე დადგომა, მოლონიერებაა. „კილოს არი მიმდგარიო“, იტყვიან ავადობისაგან დასუსტებულ ადამიანზე, გასათხოვარ ან დასანიშნზე, ე. ი. დრომოსულზეც იტყვიან ივრის ხეობის ფშავში: „**კილოს არი მიმდგარიო || მისულიო**“. იმ ადგილს, „სადაც ისარს ფთეები აქვ მიბმული, **ისრის კილო** ჰქვია“ (ს. თხილიანა). **კილოიანი** მოხერხებული, ყოველგვარი საქმის მომგვარებელია.

კირკილა – 1. ხის მერქნის ჭია; 2. პატარა ტანის ავი კაცის ზედმეტი სახელი, თიკუნნი.

კირკინა – 1. „კრიკინა, ზღვამლი, გარეული ვაზი“ (ა. შან.); 2. სუსტი და ბეჩავი, უვარგისი, უმწეო კაცის ეპითეტი.

კომიჭა – 1. გუნდა (თოვლისა, მიწის) – (თ.რაზ., ი. ჭყ.); გორახი (ა. შან.); 2. პურში, ფაფაში შეყოლილი, შეკრული ფქვილი: იგივე მურკლი (იხ. „პურეული პროდუქტების ლექსიკა“).

კორა – იხ. (IX თავი).

კოტორი – 1. პურის ნატეხი, ყუა; 2. ნისლის ან ღრუბლის ქულა; გროვა; 3. სახნავ-სათესი მიწის ან ყანის პატარა ნაწილი.

კოჭი – საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა, ფშაურსა და ხევსურულშიც (179, 208) აქვს დამატებითი მნიშვნელობა, წისქვილის ბორბლის შემადგენელი ნაწილია.

კოჭუკულმართი – 1. ეშმაკი; 2. (გადატ.) ცუდ, ბოროტ, ეშმაკ ადამიანზეც იტყვიან.

კრიახი – 1. ქათმის გაბმული კაკანი, კვერცხის დადების შემდეგ; 2. ქვიანი, ხრიოკი გორი ან მაღლობი ადგილი, იგივე **დაკრიახული**.

კუდი – 1. მდინარის, ხეობის სათავე; **სამხრის კუდი** – ჭამა სამხარსა და ვახშამს შუა; **ნემსის კუდი** – ნემსს რომ ძაფი შერჩება კერვის ან ქსოვის შემდეგ (ა. შან.).

#145#

კუდიხრილა – 1. კაუჭებიანი ორნამენტია ქსოვისა, იყენებენ ხურჯინებსა და ხალიჩებზე; 2. ეშმაკი, ცელქი, გაიძვერა, ქვეშქვეშა.

კუდურა – 1. თავკომბალა (რაზ, ჭყ.); 2. წუნწუხის თეთრკუდიანი მატლები.

კუთვნილი – 1. თავისიანი, ახლო ნათესავი; 2. იმ ქალზეც იტყვიან, ვისთანაც სქესობრივი კავშირი არ ეკრძალება კაცს.

კუკური – 1. კვირტი, კოკორი; 2. წვეთი.

კულა – 1. ქვისგან აშენებული ბოდის მსგავსი ოთხკუთხი კედელი, რომელიც იმაგრებს სახლს, ბურჯი (ა. შან.); 2. სახლის მაღლა კედლებზე აქეთ-იქით ამოშენებული ოთხკუთხი სვეტები, რომელზეც გადებულია სახურავის თავი, თავხე; 3. ჯირკვა, ჩადგმული, ძლიერი და ამტანი ადამიანი.

კუნელი – იხ. (IX თავი).

კუნტულა – 1. უკუდო, კუდმოკლე ცხვარი (რაზ., ჭყ.); 2. მოკლე ტანისამოსიანი (ა. შან.), ბოლოშემოგლეჯილტანსაცმლიანი.

კუჭალა || კუჭალი – 1. ქადის ოთხკუთხედი კვერი (ხატობაში წასადები), ოთხივე მხრიდან შემოკვეცილ შემოკუნჭული და მოჭრელებული; 2. ცალგვერდულად მოხვეული ხინკალი; 3. საბატიბუტე წვეტიანი სიმინდი (მოხალულიც).

კუჭულა – 1. მთის ან კლდის წვერი; თივის ზვინის წვერი; 2. ადგილი თავის სულ ზედა ნაწილში, **ნათქემსა** და **ხოფას** (ე. ი. თხემსა და კეფას) შორის, იქ, სადაც საზამთროს ჭიპივით შიშველი წერტილია. სწორედ ეს არის **კუჭულა || საკუჭულე**.

ლაგაზა, ლაგაზი – 1. ძალიან ავი, ძნელად დასამორჩილებელი ჯიუტი ძაღლი; 2. კაცის სახელი, თიკუნი.

ლარი – 1. სიმი (ჩონგურისა); 2. კედლის აყვანის ან ხერხვის დროს გამოყენებული ძაფი; 3. მშვილდის გასაბმელი; 4. ფარის გადასაკიდებელი.

ლაჩაყბანი – 1. ყბები და ყბის ძვლები ერთად; 2. კაჟიან თოფზე კაჟის სამაგრი ადგილი.

ლაწვარა – 1. ცალხელა ან ცაცია ადამიანი; 2. ასეთი კაცის ზედმეტი სახელი.

ლებვა – 1. ნართის შეღებვა ლებში, კლდის შამბში. ლებავს ლურჯად, მოშავფროდ; 2. შეღებვის წინ ნართის მჭავაში ამოვლება.

#147#

ლეგა, ლეგნა – 1 რუხი, მონაცრისფრო; 2. კაცის სახელია.

ლეგოხა – 1. ლეგა, მოშავფრო ჩოხიანი; 2. მგლის ეპითეტი.

ლევა – 1. ჟღერა, ხოცვა, გათავება, მოსპობა; 2. ფუჭება, წახდენა (ჭირნახულისა და მისთ); 3. იარაღის დაბლაგვება. **გონის ლევა** – შეწუხება, შეღონება; **დღეჟამის ლევა** დროის კვლა: „ნუ დღეჟამლეულობო“, – ეტყვიან კაცს, რომელიც დროს აცდენს. ნ. კიდევ **დალევა**.

ლექსობა – 1. ლექსის გამოთქმა, ვინმეს გალექსება; 2. ლექსის დამღერება ფანდურზე; 3. კაფიაობა.

ლევილი – 1. საქსოვი ხელსაწყოს (ყდანის) თავსა და ბოლოში გაყრილი ჯოხი, რომელზეც ქსელია დახვეული; 2. კოჭის კაპებზე ჩამოცმული ჯოხი; 3. მარხილში გაყრილი ჯოხი; 4. გუთნის მხარში გაგდებული (გაყრილი) ჩხირი, „გუთნის მხარი“ (ა. შან.).

ლიპი ყინული, მოყინული ადგილია ზოგადად; სალ, გლუვ კლდეზეც ითქმის: „გლუვი კლდე, გალესილი კლდე“ (ა. შან.); სველ კლდეზე და ატალახებულ მიწაზეც იტყვიან, – „ლიპიაო“. წყლის ფსკერის ქვებიცაა ზედ მოდებული ლიპრით.

ლიტაო უტოტო და უშტოო, სწორად აზრდილი მაღალი ხეა. ამ მნიშვნელობით დასტურდება იგი ფშაურ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსა და ქიზიყურში (159, 333). ლეჩხუმში იგი სალ, ფრიალო, შიშველ კლდეს აღნიშნავს (71, 83). (გადატ.) იგი სწორი, ვერტიკალურია; ამავე დროს მაღალ, აშოლტილ, მოხდენილ ადამიანზეც ითქმის. სრულყოფილი ლექსიკური დეტერმინაციისათვის საინტერესოა ამ სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობანი, ფშაურში რომ გვხვდება: (გადატ.) იგი უმწეოს, უიარაღოს და აგრეთვე ცარიელს, მარტოხელას, უქონელს, ღარიბ-ღატაკს, უცოლშვილოს აღნიშნავს. ამგვარი სემანტიკური ელფერით აქვს გამოყენებული ეს ლექსემა ვაჟა-ფშაველას, ბაჩანასა და თ. რაზიკაშვილსაც (93, 69); **ლიტა**, **ლიტოვი** თივის უტოტო სარუკაა (იხ. თიბვის ლექსიკა).

ლიტრა – 1. თიხის პატარა ჭურჭელი, კოკურა; 2. ხისაგან გამოთლილი მცირე კასრივით საწყაო (ხორბლის, სიმინდის, ლობიოს, კაკლის და მისთ.) ოთხკილოგრამიანი.

ლიშანი – 1. ნიშანი, მიზანი, სამიზნე; 2. ნიშნობა, დანიშვნა; 3. წინათგრძნობა, სხეულის რომელიმე ნაწილით ნაკარნახევი; **ლიშნის დაჭერა** – მთხოვნელების მიერ ქალის მშობლების დათანხმება.

#147#

ლიხი განსხვავებული მნიშვნელობებით დასტურდება მთის დიალექტებში. ფშაურშიც იგი პოლისემანტურია: ა) მდიდარი, მსხვილფეხა ბალახია; ბ) ნამიანი, ნამდადებული, სველი, დანესტიანებული ბალახია, ადამიანს რომ ასველებს; გ) შამხნარის გამხმარი ღეროები, ხმელბალახია; დ) გამხმარი მცენარის ღეროა, მილივით, რომლითაც წყალს სვამენ ხოლმე (167, 351; 159, 333; 191, 135). (შდრ. საბა: **ლიხი** – ფრიად მაღალი შამში). სველი, დანესტიანებული და მაღალი, მდიდარი ბალახის მნიშვნელობით ეს ლექსიკური ერთეული ჩვენც დავადასტურეთ არაგვის ხეობის ფშავში. ეს რეგიონი, განსაკუთრებით უკანა ფშავი, მისთვის გავრცელების ძირითადი არეალი უნდა იყოს.

ლოლოფქარი, **ლოლოფქრობა**. მომეტებული, სწრაფი და ჩქარ-ჩქარა ლაპარაკია. „კაც **ლოლოფქრობს**, რო აჩიქავდება, ჩქარ-ჩქარა რო ლაპარაკობს. წყალზეც ვიტყვი, რო ისე მოდიოდა, რო ლაშშია სუ აი **ლოლოფქარ მამაყარაო**. **ალოლოფქრდა** მდინარეო – ძალიან ადიდდაო“ (ს. თხილიანა).

ლუგუმი – 1. უგემური, უმარილო საჭმელი; 2. ულაზათო, უგერგილო და უმაღლო კაცზეც იტყვიან.

ლულა – 1. არაყის სახდელ გეჯაში გაყრილი მილი, რომელშიც ორთქლი არაყად გარდაიქმნება, თუ მილი ცივ წყალშია და მაცივრის მაგივრობას წევს; 2. ვარიის ან სადღვებლის ნახვრეტი, ჰაერის საქცევი.

ლუჭად – 1. წყვილად; 2. ერთბაშად, ჯგუფურად.

მამრი – იხ. (IX თავი).

მამუა – 1. ხასიათით მამის მსგავსი, მამსავით ცუდი ზნის; 2. ხარი ბავშვის ენაზე.

მანა – 1. ლასტისა და გოდრის მთავარი ჩხირები, რომლებზედაც წნელს წნავენ; 2. ჯინჯიბაჭზე უფრო მცირე მარგილი, რომელსაც ტყრუშული ლობისათვის (და სხვ. მისთ.) იყენებენ.

მანძილა – 1. მუშაობაში გამოწრთობილი დიდი და ძლიერი ხარი; 2. დიდრქიანი და ძლიერი ხარჯიხვი; 3. (გადატ.) ძლიერი, შეუდრეკელი კაცი.

მარღვიელი – 1. ცუდი ენის პატრონი, გესლიანი, ენის მიმტან-მომტანი; 2. ქვეწარმავალი, გველი.

მარღი – 1. თვალის გუგაში გაჩენილი თეთრი წერტილი, ლიბრი, ლიბრგადაკრული ცხენი, საქონელი და ადამიანიც; 2. ჭრელი თვალები; 3. ასეთი თვალების მქონე კაცის სახელია.

#148#

მარჯეკალი – 1. მაჭანკალი, შუაკაცი; 2. ერთ-ერთი **მაცართაგანი**, ვინც ოჯახიდან წაყვანის წინ დამალულ საპატარძლოს მოძებნის და გამოიყვანს.

მაღალა – 1. მთაში მდებარე სახნავ-სათესები; 2. ფეხიანი და მაღალი ვერცხლის თასები ხატში.

მბილობი – 1. გამოხრილი უძვლო, რბილი ხორცი; 2. გატეხილი, ხშირად ნახნავი მამული.

მზღავანი – 1. ზოგადად პირუტყვის სახელია, რაც ბღავის; 2. გაწყვეტილი ცხვრიდან დარჩენილი ერთი, ხმის გამომცემი, წესის დამყენებელი; 3. კაცის ზედმეტი სახელი.

მელეური სპეციალურ ლიტერატურაში **ხადურას** || **ჯადურას** || **ჯანდოურას** შესატყვისად არის მიჩნეული (194, 32). **მელეული** || **მელეური** – ფეტვის ძნეული, ჩერგილი, ფეტვის ძნა მელეურად იდგმება (ქეგლ). საველე მუშაობის დროს მოპოვებული დარგობრივი ლექსიკის ნიმუშები ამ ლექსიკური ერთეულის სრულფასოვანი დეტერმინაციის საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ **მელეური** არ იდგმება და არც **ხადურას** || **ჯადურას** || **ჯანდოურას** შესატყვისია (გ. გ.). **მელეური ხუთულას** || **ჯუთულას** ასაგებად მიზიდულ მოქუჩებულის ძნებია: „მოვაქუჩებთ, ერთ ჯუთულა გამუა, მელეურს ვიტყვით“ (ს. უძილაურთა). მისი მთიულური სინონიმია **მელაური** (167, 384). **მელეური** აგების შემდეგ **ჯუთულა** იქნება, ე.ი. **მელეური** ძნათა ოდენობით (თვისი მოცულობით) ჯუთულას შესატყვისია, და არა ჯადურასი. სიტყვა **მელეური** ჩვენ სხვა მნიშვნელობითაც დავადასტურეთ: „ყანას რო ნიავ ალყევს, იმაზედ ვიტყვით, **მელეურია**“ (ს. უძილაურთა, თ. დოსეურაშვილი). შდრ. ბაჩანა: **მელეური**

ყანის ან ბალახის ნიაჭზედ ღელვას: „ყანას **მელეური** მისდევსო“. **მელეური** აგრევე ოლეს ან ტბის ლიკლიკია. ტალღებსაცა ჰქვიან („ივერია“ 1887, № 207).

მეშველი – 1. მშველელი, დამხმარე, დამხსნელი; 2. მოჩხუბართა გამშველებელი.

მეხვეწური – 1. ხატში მისული მლოცავი; 2. ეშმაკი, ავი სული.

მისამპირი – 1. შესადარებელი, მსგავსი; 2. ახლობელი, ნათესავი (191, 150).

#149#

მიწლიკონა – 1. მწერია ერთგვარი, რომ იპოვონ, მიწა უნდა გათხარონ და ჩაფლან (რაზ., ჭყ., ა. შან.) ყვითელი, ბუსუსებიანი მუხლუხო; მისი ნახვა ცუდის მომასწავებელია, ამიტომ კლავენ; 2. კანჭმალა და კანჭებშიშველი გოგონა.

მიწრიელი – 1. ავი სული, ეშმაკი (ა. შან.), ბნელეთის მოციქული); 2. ქვეშქვეშა, გაიძვერა, ფლიდი ადამიანი.

მიჯარება – 1. მიახლოება, მივარდნაა. 2. ჩასასვლელად, ჩასვლის დროს მზე რომ მთებს მიუახლოვდება, იმაზეც იტყვიან.

მკლე – 1. ნაკლები, ნაკლული (მაგ. მოსავალი, ა. შან.); 2. თვალში სინათლემოკლებული დაბრმავების პირას მყოფი.

მკლავი – 1. სხეულის ნაწილი; 2. დუქარდის სახელური.

მოგონება – 1. გახსენება; 2. უარყოფით ნაწილაკთან: რომ არ მოელის: „არ მომგონდება შენგანა“, ე.ი. შენგან არ მოველიო; 3. გრძნობაზე, გონზე მოსვლა.

მოკიდება – იხ. (IX თავი).

მოკოდვა – 1. წისქვილის ქვის მოკორტნა, რკინის საკოდელათი; 2. ხისთვის ქერქის ირგვლივ შემოკეჭნა და შემოცლა მისი გახმობის მიზნით.

მოკანძლული – 1. ფერშეცვლილი ხორცია, რომელსაც მოხარშვა აკლია, „არ არის გამღრძალი“, ე.ი. უმია; 2. მოკანძლული (დაბლუნძვილი) – წელში მოხრილ ან ავადმყოფობისაგან დასუსტებულ ადამიანზეც იტყვიან.

მოლაღვა – 1. მოგერება. „მოილაღავ“ – მოიგერებ ძაღლს (ა. შან.); 2. მორეკვა, მოყვანა (ბევრის) საქონლის, ადამიანების.

მომრჩალი – 1. დამთავრებული, დასრულებული; 2. განკურნებული, გამოჯანმრთელებული, მორჩენილი.

მომსწვრალი – 1. მომსწრე, შემსწრე, მოწმე, მნახველი; 2. მოსწრებული, წამოზრდილი, მხარში ამომდგარი.

მონა – 1. ხატისათვის თავშეწირული ადამიანი, ღვთის გლახა; 2. ავი, ფიცხი, გაუტეხელი, გულბოროტი; 3. ცუდი, უვარგისი (191, 155).

მონაგარი – 1. შრომით ნაშოვნი, შეძენილი; 2. შვილი, შთამომავალი.

მონავალი – 1. ვინც მოდიოდა; 2. ფუტკრის ერთი (უცხო) ოჯახის თავდასხმა მეორეზე. სინონიმი: ქურდობა; 3. ნახირიდან მოშორებით, გარე-გერე, თავისთვის მავალ პირუტყვსაც ეწოდება, რომელიც ბინაში დაბრუნებასაც კი ერიდება.

#150#

მონეკრება – 1. ნეკრით კვება საქონლისა, ნეკრის ჭმევა ადრე გაზაფხულზე; 2. ადამიანის დანაყრება, ოდნავ გაძლომა.

მოსხლეტა – 1. ძუძუდან მოშორება, აღარ მოწოვება (ითქმისადამიანზე და პირუტყვზე); 2. რამეს უცხად, მყისიერად ჩადენა (სიტყვას მოსხლეტს, თოფს, ცხენს მოსხლეტს და ა. შ.).

მოფოცხვა, მოცხრილვა – 1. გაქცევა, მოძუძგვა; 2. დაფარცხვა, ცხრილში გატარება.

მოქონილი – 1. რასაც ქონი აქვს გასმული, ქონიანი, 2. რაც მოაქვს, მოტანილი, მონატანი: „ვილაის მოქონილ ზედეშესა სმენ“ (ს. მუქო).

მოქცევა, მოქცეულობა – 1. კილო (ა. შან.); 2. მობრუნება, შემობრუნება, მოხვევა; 3. ფანდურის ხმიანობაში ან სიმღერაში ტონალობის ცვლა; 4. ქათმების მიერ კვერცხის დების დაწყება; 5. ბარგაკიდებული ცხენისათვის ბარგის ცალ მხარეს გადაძლევა; 6. შეკაზმულობის გვერდზე გადაცურება, მოძრაობა.

მოყრა – 1. გარკვეულ ასაკამდე მისვლა: „ბეწინა ჩემ დროთა მაიყრა“ (ს. მუქო); ჯაფა, არაქათის გამოცლა, გადაღლა: „თიბათვეს საქმემ მამიყრა“ (ს. გომეწარი); 3. ბოზალუყზე ფქვილის ან ფორის მოყრა და საარაყის ხელმეორედ ჩაყენება. ამგვარ საარაყეს **მოყრილა**, **მოყრილი** ეწოდება.

მოცალე – 1. ჯერ მოგებული რომ არა ჰყავს, ისეთი საფურე; 2. „მოცალეს ბერწზეც ვიტყვით“ (ს. ინო).

მოწილენი – 1. ერთ დიდ ოჯახად მცხოვრები ძმების და ბიძაშვილების ცოლები ერთმანეთის მიმართ; 2. ის, ვისაც ვინმესთან რაიმეში წილი აქვს.

მოწკეპ(ვა) – 1. ცემა, წკეპლით ცემა, გაწკეპლვა; 2. ცელის მსუბუქად გამოწკეპა; პირის გასწორება გრდემლზე.

მოხვდომა – 1. შევარდნა, შერევა (საქმის); 2. მოხვედრა, მორტყმა.

მოკლექა – 1. მოტეხა (პურის, ყველის); 2. ხილის მოწყვეტა.

მოჯარება – 1. მოახლოება; 2. საქმის დაბოლოებამდე მიყვანა; 3. ირგვლივ შემოვლება; შემოწყობა.

მურკლი – 1. ქიზიყურ-ინგილოურის მსგავსად, ცომში ან ფაფაში გაუქნელი ფქვილის პატარა კუმშა, გუნდა (შდრ. საბა: „ნოტიოში შეკუმშვილი“, 127, 229); **მურკლი**, **ფაფის მურკლი** (გადატ.) ცუდი აღნაგობისა და თვისებების მქონე, ფორმადაკარგული ადამიანის ეპითეტია. #151#

მყეფარი – 1. ძაღლი, ოთხფეკი იგივე (ა. შან.), მეცხვარული ძაღლი; 2. პირი, რომელიც ქორწილში შემოწირულობებს იღებს, წინ უწყობს ნეფე-პატარძალს და თან ხუმრობს, ხალხს აცინებს.

მშრეტელა – 1. მოსავლის მომსპობი სარეველა ბალახი; 2. საქონლის ავადობაა, რძეს უშრობს.

მცქვრევა – 1. მსუბუქად, ოდნავ მოყრა, მობნევა; 2. მოსულელო ყოფაქცევისა, აცაბაცა, დაულაგებლად ლაპარაკი.

მწუადი – 1. გამოჭრილი რბილი ხორცი; 2. შამფურით ცეცხლზე (ნაღვერდალზე) შემწვარი რბილი ხორცი.

მწური – 1. საქონლის შარდისა და ნაკელის ნარევი, რომელიც გროვდება საქონლის სადგომში, **სამწურეში**; 2. წუმპე, ტალახიანი ბინძური გუბე.

მწყვდევა – 1. ქვეშ მოქცევა, ქვეშ ამოღება, დატანა; 2. ნაადრევი თოვლისაგან მთებში გადასასვლელების ჩაკეტვა და მგზავრთა შეფერხება.

მხვევარა – 1. ამხვევი მცენარენი (რაზიკ., ჭყონ., ა. შან.), მაგალითად, ფათალო და სხვ.; 2. კერვის სახეობაა ერთგვარი.

მხვივანი – 1. ქარის ხვივილი (ა. შან.), ხმაური; ის, რაც ხვივილის ხმას გამოსცემს; 2. ის, რაც ძალიან მრავლდება, ბევრდება; 3. ვინც სწრაფად მდიდრდება, გამდიდრებული; იგივე გამხვივნებული.

მჯარი – 1. ადამიანის ხელის ან პირუტყვის წინა კიდურის ნაწილი იდაყვიდან (მუხლიდან) ბეჭამდე; 2. ზომის ერთეული, ორივე გაშლილი ხელის, მკლავის სიგრძე. – მჯარ-კვერიანი „არწივის ჯიშია, მხრებზე თეთრი „კვერები“ აქვს, მეტად მეომარი არწივია“ (ა. შან.), ვაჟკაცის ეპითეტია.

ნაბოტარი – 1. დანაკოდი თხა (ა. შან.); 2. დიდხანს ბოტად, დაუკოდავად ნამყოფი თხა; 3. მაღალი, დიდი კაცის ან დიდი ცხოველის მიერ დატოვებული შორიშორს გადაბიჯებული კვალი.

ნაგალი პოლისემანტური ერთეულია, როგორც ფშაურში, ასევე დიალექტთშორისი მნიშვნელობის მიხედვითაც (159, 401). აღნუსხული აქვს თ. რაზიკაშვილს; წყლისაგან გაცვეთილი კლდე, **დაგლილი** (თ. რაზიკ., „ივერია“, № 134, 1900; ი. ჭყონ.); შემონახული აქვს #152#

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას **გაგლილის**, **გათელილის** მნიშვნელობით (93, 210). ქეგლ-ის მიხედვით. გვხვდება თიანურში და გახურებული რკინის ფერფლს ნიშნავს; მოხეურში ნახმარ-ნამუშევარს (ურემს და სხვ., მაგ., იარაღს) აღნიშნავს. ამავე დიალექტში იგი ნატანჯის, ბევრი ჭირის მნახველის, გამობრძმედილის მნიშვნელობითაც დასტურდება (შ. ძიძიგ., ო. ქაჯ.) **ნაგალი** ქიზიყურში ჩალაბულა, ნალეწი ნამჯა, ნალეწი შამბი და მისთანანია (სტ. მენტეშ.). ქვემოქართლურში **ნაგალი** უსუფთაო, მინარევებიანი ფქვილია (ნ. სააკ.). აღსანიშნავია, რომ ფშაურში **ნაგალი**, ისევე როგორც **დაკვლი**, მარტო ნამწვის ფერფლს კი არ აღნიშნავს, არამედ ზოგადად ფერფლის აღმნიშვნელია, რაც მეწისქვილეობის ლექსიკაში დასტურდება: „საფქავი რო გამოილევა, იტყვიან, **ნაგალი გადმოდისო** || **ნაგალი ჩამოდისო**. **ნაგალი** ფირფლი (იგივე ფერფლი, – გ.გ.) დაკვლია“ (ს. შუაფხო).

ნაგუბარი – 1. წყალი, რომელიც დაგუბებული იყო; 2. შეკავებული გრძნობები, ბოდმა; 3. შეკავებული ხალხი, ჯგრო, ფარა; ჯოგი; 4. ადგილი, სადაც გუბე იდგა.

ნაგულა – 1. საჩეჩელში დარჩენილი დაბალი ხარისხის მატყლი იგივე კვირტი; 2. ხელმეორედ გადაჩეჩვის შემდეგ მიღებული მატყლი; 3. სათესლე კარტოფილი თუ მსხვილია, მას სქლად გათლიან და ამ ნაფცქვენებს ჩათესავენ, ხოლო რაც გადათლილი რჩება საჭმელად, ის **ნაგულაა** (191, 167).

ნათავარი – 1. ახლად დაყენებული დასაკურთხი ლუდი, **საფუერის თავი**; 2. ახლად მოგებული ძროხის რძისგან გაზაფხულზე პირველად შედღვებილი კარაქი, რომელსაც ცალკე ინახავენ, შემდეგ მისგან ხატში წასაღებ ქადებს ამზადებენ; 3. დოლის დასაწყისში პირველად მოგებული მამალი ბატკანი, **დოლის ნათავარი**, რომელსაც შემდეგ სალოცავში შეწირავენ.

ნათლვა – 1. კვირა-უქმის გატეხვისათვის საკლავის დაკვლა და სანთლის ანთება პატიებისათვის უფლის წინაშე – **შაბათის, უქმის მონათლვა**) . 2. ხევისბრის, მოწმინდრის მიერ ხელ-მხრის ნათლვა საკლავით, თუ უწმინდურ ადგილას მოუხდებოდა შესვლა.

ნათოსი წყლისა და ზვავის მიერ ტყიდან გამოტანილი ნაგლეჯ-ნაგლეჯი და დამუშავებული შეშაა. ნათოსს ძველ ტანსაცმელსაც უწოდებენ. ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილ ტანსაცმელზე იტყვიან, **ჩამონათოსებულიაო**.

#153#

ნალახი || **ნალაჯი** – 1. უწმინდური ადგილი, სადაც დედათწესიან ქალებს უხდებოდა ყოფნა, ან სიარული; 2. მებოსლე ქალის ნადგომი, ნავალი ან მისი ხელმონაკიდი პირადი ნივთები.

ნამზვლევი || **ნამზღვლევი** || **ნამჟღვლევი** – ნამეწყრალი; ის ადგილი, საიდანაც მეწყერი მოწყდება; ამავე დროს: გამოსაქანებლად დაპირებული მიწა. „იმას ვემახით, ხე-მიწა რო მოდის“ (ს. კუჭეჭა, ს. მიგრიაულთა). მისი უკანაფშაური სინონიმია **ნამთხრევი**.

ნამთხრევი – 1. ზვავის გამოქანების შემდეგ დარჩენილი ადგილი; 2. მეწყერი, ავდრის ან ღვარისაგან ჩამოშლილ-ჩამორეცხილი მიწა ან ბექობი.

ნამცვრევი – 1. ბალახზე დადებული ნამი ან ნამივით მოპკურებული წყალი; 2. თხლად, მსუბუქად, ოდნავ მოყრილი რამე, თუნდაც მარილი; 3. უჭკუოდ, უთავბოლოდ ნალაპარაკები.

ნამწყრალევი – 1. რაღაცაზე შემომწყრალი, ადრინდელ ნათქვამზე გაბუტული, გულში წყენაჩადებული; 2. გამწყრალ გულზე უარყოფილი, უარნათქვამი რაღაც.

ნაოჯარი – 1. უპატრონოდ დარჩენილი ქონება, ნივთები; ამოწყვეტილი ოჯახის დანატოვარი საოჯახო ნივთები, სამეურნეო იარაღი, ავეჯი და სხვ.; 2. გაოხრებული, გაპარტახებული კარიმიდამო; ზოგჯერ ნასახლარზეც იტყვიან.

ნასისხარი – 1. ადგილი, სადაც სისხლი დაიღვარა, საკლავები დაიკლა, ან მოკლეს ვინმე; 2. ადგილ-მამული, რომელიც მოკლული კაცის სისხლის საფასურად არის მიღებულ-მიკუთვნებული.

ნასხეპი – 1. ხევისბრებისათვის კუთვნილი ხატში დაკლული ცხვრის მარჯვენა მხარე; 2. შუაზე, ხერხემლის გასწვრივ ჩაჭრილი საკლავის ნახევარი.

ნაფთული – იხ. („ფშაური ლექსიკა“ II; IV თავი).

ნაფთხობი – 1. ადგილი, სადაც ვიღაცამ უკვე ინადირა, ან ითევზავა და დააფრთხო ნადირი და თევზი; 2. მონადირეებისაგან ბევრჯერ დამფრთხალი, შეწუხებული ნადირი; 3. ცხვრის ბინის, თეოს ის მხარე, საიდანაც ნადირი მოდის, ცხვარი ფრთხება.

ნაფთევი – იხ. („ფშაური ლექსიკა“ II; IV თავი).

ნაღერღალა – 1. ხევისურეთში პურის ნამუსრევია (155, 215), ფშაური და დამატებითი მნიშვნელობანი კი აღუნუსხავია. ფშაურში იგი პოლისემანტური ერთეულია: 1. ძალზე

#154#

მსხვილად ნაფქვავი, **საღერღელში** || **სანახორხლემში** (წისქვილის ქვის პირის ადგილი) გადასული და იქ დაგლეჯლ-დაკუწული მარცვალია, იგივე **ნახორხალი** || **ნაჯორჯალი**; 2. ხმელი ხის წვრილი ნაკუწია. შდრ. აქვე: **ნაღერღალა** || **ნაღორღლიანი**.

ნაღვერა – 1. ერთ ციდა სიგანეზე დაჭრილი და ბეწვგაცლილი საქალმე ტყავები; 2. ქერქგაცლილი ხე; 3. მატყლგაცლილი ცხვრის ტყავი.

ნაღერღალა, ნაღორღლიანა – 1. ქვა-ღორღიანი ადგილი; 2. გაღორღილი მამული, საიდანაც ქვა-ღორღი გაზიდეს (191, 173).

ნაყრი – 1. ახალი წლის დილას მეკვლისათვის შეჭმეული ტკბილი ლუკმა; 2. დილის საკვები პირუტყვისა; 3. პირველად ბალახზე გასული საქონლისათვის დილა-სადამოს ცოტ-ცოტა თივის დაყრა.

ნაწვერალი – იხ. (X თავი).

ნოქვა – 1. მიხვეულ-მოხვეული გზა აღმართზე; **ნოქვა** ამავე დროს ნაქსოვი და ხის დაჭრელების სახეა (შდრ. საბა: **ნოქვი** – ძნელ სავალი გზა. 127, 261).

ოდოყერი, ოდოყლერი – 1. გამოუსვლელი, ჯერ ისევ ნედლი თავთავი; 2. კარგად გამოუცხობი, ცომცხვარი პური.

ოჩოპინტრე – 1. ნადირთა მფარველი ღვთაება, ნადირთ პატრონი; ტყის გამგებელი; 2. ტყიური, გაუთლელი და ხეპრე ადამიანი.

ოჯერი – 1. უპატრონო, პარტახი; 2. თავზეხელაღებული; 3. სანატრელი რამ; (გადატ.) ნატვრის გამომხატველი სიტყვა.

პარკა, ზოკო – 1. ღონისა და ქლიავის გადაგვარებული უმწიფარი ნაყოფი; 2. პატარა ტანის ჩანჩურა კაცი.

პირწალმა – 1. სწორედ, მართებულად; კარგად, საბედნიეროდ, კეთილად; 2. აღმოსავლეთისაკენ.

ჟამი – 1. დრო, ხანი; 2. გაუღიმარი, სახეჩამომტირალი, უშნო კაცი; 3. შავი ჭირი; 4. რთული ფუძის ან გამონათქვამის ნაწილი: მაგ.; **შავი ჟამი** უღირსი ადამიანის, ხოლო **ჟამკარარეული**, გადაყრუებული, ან ბინადრობამომილილი ადამიანის ეპითეტია.

ჟღრინვა – 1. გაბზარული.რაიმეს მიერ გამოცემული ხმა; 2. ჩახლეჩილი, ხრინწიან-ბრაზიანი ხმა.

რეულა მომკილი და ერთმანეთში არეული ყანის ნაგებობაა; ხუთი ან მეტი ხადურისაგან იგება წყობის გარეშე. „შიგ რო ჰაერმა გაუაროს“ (ს. უძილაურთა); უპატრონო, ჩამორჩენილი ცხვარი სხვა ფარას რომ შეერევა, ისიც **რეულაა**. რეულოდა კი ჩხუბი და აყალ-მაყალია.

#155#

რვალი – 1. სპილენძი, ბრინჯაო; 2. ბეგთარი, ტრავმისაგან ტანის დამცავი ჩასაცმელი.

რთხმა – 1. ნედლი ტყავის გაჭიმვა, გაკვრა; 2. ყინულზე ფეხების განზე გაყრით ჩაქცევა პირუტყვისა; 3. პირის ძალიან გაღება: „ნეტაი, რა ლაშთ ირთხამს პავლეი!“ (ს. შუაფხო).

რიალი (გარიალება, დარიალება) მეცხვარეების მიერ ცხვრის ფარის ხმაურითა და შემახილებით გარეკვა, გადასაყვანად. მომზადებაა ერთი ადგილიდან მეორეზე ისე, შემდეგ ცხვარი შეკრულად რომ მოჰყვება ფარის წინამძღოლ ვაცებს, ქეჩებს. სინონიმური ვარიანტია **გაქეჩვა**. **რიალი** ხმაური, აურზაური, ზრიალია (93, 226). ეს ლექსიკური ერთეული განსხვავებული მნიშვნელობითაც დასტურდება: **რიალი** – ზიანი, ნაწენები (134, №168). საბას

განმარტებით, რიალი ბოროტი მოქმედებაა (127, 283). **დარიალება** ფრინველთ ჰაერში ტრიალიცაა ხმაურით (155, 56).

როშა – 1. მსხვილად ფქვა; 2. სისულელის ლაპარაკი, საიდუმლოს გაცემა.

რქაჯანგანი – 1. დიდი ხნის ხარჯიხვი; 2. (გადატ.) ჭარმაგი, ძლიერი, მრავლის გადამტანი, მაგარი კაცი.

საბატკნე – 1. ფარეხში ან გომურში ბატკნებისთვის ცალკე გამოყოფილი ადგილი; 2. მთაში ბატკნებისათვის მოწყობილი საიალალო.

საბელი. მიწის საზომ ერთეულად უკანა ფშავში საბელს იყენებდნენ და იგი 10 საჟენს უდრიდა: „საბელს ვეძახით, თოკ იციან. იმითა ვზომდით (ს. უძილაურთა). შდრ. საბა: **საბელი** – „ზოგადი სახელი არს ყოვლთა შეგრეხილთა“. **საბელი** მიწის ფართობიც იყო. **ერთი საბელი** მიწის ის მონაკვეთია, რომელიც სიგრძით ექვს, ხოლო სიგანით ერთ საბელს (10 საჟენს) შეადგენდა. **საბელის** აღნიშნულ ზომას ასე გამოხატავდნენ: „ერთ საბელში ექვსი გადაშლაა. „გადაშლა ერთი კვადრატული საბელია, ე.ი. 10 საჟენი. საბლის კვადრატში ერთი გადაშლაა (194, 7). „მიწის საბლად 12 მჭრიანი საბელი იყო“. საბელს თივის საწყაოდაც იყენებდნენ: „ტვირთ რო დავიწყვათ ან თივა შავკონოთ, **ხუთ მჭარ საბელ** უნდა იყვას. საზიდიც თავად არი ე ხუთმჭრიანი **საბელი** (ს. თხილიანა). აღსანიშნავია, რომ უკანა ფშავში #156#

დროსაც **საბლით** ზომავენ: „ორ საბელიდა, ჩაუდიოდა მზესაო“. ივრისხეობის ფშავში დროის ერთეულად **შუბისტარი** გამოიყენებოდა.

საბოსლო – 1. სოფლისაგან მოშორებული ადგილი, სადაც თივას ამზადებენ, იქვე ბოსლები აქვთ და საქონელსაც კვებავენ; 2. ადგილი, სადაც პატარა ქოხებია მოწყობილი ქალების საბოსლოდ.

საბუდარი ადგილია, რაზედაც არის დასახლებული (უძრავად გაჭედილი) ძირის წისქვილი. **საბუდარი** კუთხად გათლილი ქვის ორი მორია, ერთმანეთთან **მკლავებით** || **ალატ** ფიცრებით დაკაშირებული; **საბუდარი** აგრეთვე წისქვილის შენობის იატაკი, ანუ ნიადაგია, რომელიც საღვარის თავზე გადებულ **საღვარეთ ხეებზეა** მოწყობილი. **საბუდარა** ასევე ქათმების ბუდეა, სადაც ისინი კვერცხს დებენ, წიწილებს ჩეკავენ.

საგანძური – 1. ხატის მამულების დამუშავების დროს მოწყობილი ნადისათვის თითოეულ კომლზე დაკისრებული სასმელი – ოთხ-ოთხი ლიტრი არაყი; 2. საკარმიდამო ნაკვეთი; 3. ხატის ვერცხლეული, თასები და სხვა ძვირფასი ნივთები (191, 191).

საგორავი – 1. ადგილი, სადაც ქვის გორვა იცის და პირუტყვს ხოცავს, ასევე საშიშია მგზავრთათვის; 2. კლდეზე გამავალი ბილიკების თავზე მტრის მოსასპობად მოწყობილი ჩამოსაშლელი ყორე (ძველად იცოდნენ); 3. ვიწრო და გრძელი ფარდაგი, წამოსაწოლად იყენებენ.

საგძლის დაგორება – 1. იმედების გაცრუება, გაწბილება; 2. საქმის ჩაშლა, მიზნის ვერ მიღწევა.

სადა – 1. სადმე; 2. სად; 3. როდისმე.

სადარო – 1. შესაფერისი; 2. გამოდარების ნიშანი, დარის მიმნიშნებელი რაიმე მოვლენა.

საზარე – 1. ნაგებობა ხატში, სადაც ზარი ჰკიდია, სამრეკლო; 2. ოთხ ბოძზე შედგმული მოწნული სათავსო სახლის სიახლოვეს, სადაც სიმინდის ტაროს ან სხვა რამე გამოსაშრობს ინახავენ.

საზარო – 1. საზარელი, საშინელი, დამთრგუნველი; 2. სამწელო საქმე, რომლის გაკეთებაც ეზარებათ, თავს არიდებენ.

სათაო – 1. სოფლის ან რაიმე ადგილის სათავე, ზემოთა მხარე; 2. ნადირობის შემდეგ, ნადავლის გაყოფის დროს, განსაკუთრებული გარჯისათვის მიცემული ჯილდო.

#157#

სათარი – 1. თივის ჩამოსათრევი უკაპო, ლულუტი ჯოხი: „წინა პირი დაჭედილი აქვ, უკან ტოტი აქვ, თოკი ჩაებმის და კავი უკეთდება“ (ს. ელიაგზა); 2. უღელი ხარის ან უღელი კამეჩის მიერ თრევით მოტანილი შეშა, მორი.

სათირები – 1. ვისაც დათირება (დაწყნარება, დაყვავება, გართობა) სჭირდება (ძირითადად ბავშვები); 2. სათამაშო, ან სხვა რაიმე ბავშვის მოსატყუებელი.

საიჯნო – 1. მამულის მოხვნისათვის გაღებული საფასური; 2. ერთი ხარის თხოვება ხვნის დროს ორი თითოხარიანი გლეხის შეამხანაგება და ხარის თხოვება მეორისათვის ხვნის დროს შესაწყვილებლად სანაცვლო მორიგებით. ამას **მონდავიც** ეწოდება. **მონდავნი** შეამხანაგებული გლეხებია.

საკიდვარი – 1. ტვირთი, ბარგი, რასაც ერთი ცხენი, ჯორი თუ ვირი აიკიდებს; 2. ადამიანის დანადგები ვალი, მისი მოვალეობა ოჯახისა და სოფლის წინაშე; ვალდებულება.

საკომი – 1. სახლის გვერდითა კედელში დატოვებული პატარა სარკმელი, საიდანაც სინათლე შემოდის და ბოლიც გადიოდა, იგივე **შუკუმი**; 2. საბძლიდან გომურში თივის ჩამოსაყრელი სარკმელი.

საკრეფი – 1. გუბის წყარო, საიდანაც წყალი კათხით არის ამოსაღები. ამოსაკრეფი; 2. მოსახლეობიდან ასაკრეფი გადასახადი.

საკუდური – 1. თივის უკან სათარზე მობმული და კავზე დამაგრებული თოკი (ა. შან.), იგივე **ჭრო**, რომლის თივაზე გადაკვრის შემდეგ რჩება მონარჩენი (საკუდური), რითაც იჭერენ შეკონილ „თივას“ გვერდობზე გატანისას და დაგორებისაგან იცავენ მას; 2. ცხენის საძუე, რომელიც იცავს უნაგირს წინ წაცურებისაგან. „საკუდურ მატარებელ ცხენზე არ ითქმის, მხოლოდ ჯორ-ვირზე და საპალნეზე“ (ს. მუქო).

სალეკო – 1. ლეკეთის მხარე ლეკეთის ადგილი, ლეკების სამოსახლო; 2. ლეკეთის მხარისაკენ მიმავალი გზა.

სამანი – 1. სოფლის ადგილების ან მამულების გამმიჯნავი მიწაში ჩადებული მაღალი და დიდი სიპი ქვები; 2. მოსისხლეთა შერიგების დროს ხევისბრის მიერ მიწაში ჩასმული გრძელი ქვა, რომელსაც ისევ ამოაგდებდნენ პირობის დარღვევისას; 3. ვინმეს მოკვეთის დროს ხატთან **სამანის ჩაგდება** – დიდი ქვის ჩასმა მიწაში; 4. **სამანის ჩასმა** მტერზე გამარჯვების ან სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად.

#158#

სამბური – 1. მშვილდის ლარი, მშვილდის ბაწარი (ა. შან.); 2. ქამარზე მისაბმელი თასმა რაიმეს ჩამოსაკიდებლად (მაგ. ხანჯლის და სხვ.); 3. რაიმეს დასაბმელი თოკი; თოკი რომელიც ცხენს ყოველთვის ყელზე აქვს.

სამკლავე – იხ. (IX თავი).

სამუკლე – 1. შალის მაღალყელიანი პაჭიჭები, რომელსაც დიდთოვლობაში შარვლის გარედან იცვამენ, მუხლის თავები და წვივები რომ არ დაუსველდეთ; 2. ლხინში ცეკვის შემდეგ ჯილდოდ მიძღვნილი ან მოპატიჟებისათვის სამადლობლოდ, საპატიოდ მირთმეული სასმისი, ყანწი.

სამყოფი – 1. ოჯახისათვის, ადამიანისათვის საკმარისი საკვები; 2. სახლი ან სახლის ის ნაწილი, სადაც ოჯახი ცხოვრობს; 3. „არ“ ნაწილაკთან წყევლა: „არსამყოფო“, – იტყვიან იმაზე, ვინც არ არის სიცოცხლის ღირსი.

სამმიმარი – იხ. (IX თავი).

სამჭრეულა – 1. ჩანთის, ტვირთის ასაკიდებლები; 2. დაჟეჟვისაგან დასაცავად მხარზე დასაფენი რამე; 3. იმ ზომის ხე, მხრით რომ წაიღებს კაცი; 4. ბეჭებზე და წელზე მოსათბუნებელი უსახელო ჩასაცმელი.

სანათა – 1. ღამით გასანათებელი; 2. ქალის სახელია.

სანატხრე დაზიანებული, გატეხილ-გაბზარული ჭურჭელია, რომლითაც აჭმევენ პირუტყვს (ძალს ან ღორს). (გადატ) „სანატხრედ არი გახდილიო, მიხრინებულიაო“ – იტყვიან ჯანგატეხილ ავადმყოფზე, რომელიც ვერ გადმოდის ლოგინიდან (ს. ჭიჩო).

სანაყრე – 1. საუბმე (ა. შან.); დილით ადრე, საუზმემდე სახლიდან გასვლის წინ, ორიოდ ლუკმით უცხად წახემსება; 2. ფუტკრის მართვის (მართვე), ნაყრის ასაკრეფი ხოკერი ან სხვა რამ.

სანელი – 1. მარილი; 2. ბექტქონდარა (ხინკლისა და ხორცეულის სანელებლად გამოყენებული); 3. ცხელი წყლის გასაგრილებელი (გასანელებელი) ცივი წყალი (191, 202).

საპურე – იხ. (IX თავი).

სარი – იხ. (IX თავი).

სარეკელა – 1. წისქვილის მოწყობილობის ის ნაწილი, რომელიც „ზეითა წისქვილის“ ქვაზე ხტუნავს და თავისი მოძრაობით ატოკებს ნაჭლიკას, საიდანაც მარცვალი ცვივა #159#

წისქვილის ყელში, გაბმით, შეუსვენებლივ და მონოტონურად მოლაპარაკე კაცზეც იტყვიან. მისი სინონიმური ვარიანტია საროტელა.

სარევი – 1. ადგილი ტყეში, სადაც მონადირეები მორეკვით ნადირობენ, როცა მრავლად არიან; 2. სპეციალურად გამოყოფილი ადგილი საქონლის საბალახოდ.

სარიდალი – 1. მოსარიდებელი, ცუდი ზნისა და ხასიათის ადამიანი; 2. გადამდები, ინფექციური ავადმყოფობა, სახადი.

სარქალი – 1. მწყემსების მიერ არჩეული პასუხისმგებელი პირი, თავკაცი, მწყემსების უფროსი; 2. რაიმე წამოწყებული საქმის ხელმძღვანელი, უფროსი (იხ. აგრეთვე „ფშაური ლექსიკა“, თავი III).

სარბეული – 1. სპილენძის მოთუთიებული ქვაბი ან ხის პატარა კასრი, რომელშიც რძის მოხდილ ნაღებს აგროვებენ შესადღვებად; ნაღების დასაყენებელი კასრი (ა. შან.); 2. ძროხის მოსაწველი ჭურჭელი: ხის პატარა კასრი, ტაგანი.

სასვენნი – 1. აღმართ ბილიკებზე შევაკებული ადგილები, შესასვენებლები; 2. ხარების შესასვენებელ დრომდე მოხნული მიწის ფართობი. მამული შეიძლება მოიხნას ერთ, ორ, სამ ან მეტ სასვენად.

სასკივარა – 1. ბალახი; 2. სტვირის ის ნაწილი, სადაც ჩაბერილი ჰაერი მუსიკალურ ბგერად იქცევა, სტვირის ენა; 3. ბალახის ღრუ ღეროსაგან თვითნაკეთი სტვირი.

სასწორჩარეჭანი – 1. ხისგან დამზადებული უღლიანი სასწორი; 2. სამვარსკვლავიანი თანავარსკვლაველი.

სატირელი – 1. მიცვალეზულის საწესხვეულებო მოსახსენიებელი რიგები; 2. წლისთავამდე მიცვალეზულის მოსახსენიებელი კუთხე, მოწყობილი ოჯახში, მის საწოლთან.

საქერივო – ქერივი ქალი სამ წელს ვერ გათხოვდებოდა, სანამ ქმრის რიგები არ მომთავრდებოდა. შემდეგ კი, თუ გათხოვებას დააპირებდა, ქმრეულებთან მიიყვანდა საკლავს და სუფრას გაამზადებდა უფლების გამოსათხოვად; 2. ქერივი ქალის შემრთველს, პირველი ქმრის ოჯახისათვის ხუთი ძროხა უნდა გადაეხადა (191, 209).

საქონი – საქონელი, მსხვილფეხა პირუტყვია; სახმარ ქონებად შესანახი ნივთი ან ნივთებია.

საქცევი – 1. ფანდურის ყელში ჩასმული წვრილი და გრძელი ხეები ტონალობის #160# საცვლელად დაკვრის დროს; 2. მოსაბრუნნი, მოსახვევი, ასაქცევი გზა; 3. გუთნის მოსაბრუნებელი ადგილი მამულის თავსა და ბოლოში; 4. ავადობა, რომელმაც შექცევა იცის.

საყარი – 1. ადგილი, სადაც ძროხა დაიგრილებს; 2. სასვარი, სალაფავი (ა. შან.); 3. შედარებით ვაკე და მოხერხებული ადგილები სამოვართან, სადაც მამლარი საქონელი ნაშუადღევს დაეყრება და ისვენებს.

საშეგარი – 1. წვრილი ჯოხი ქსელში, რომელიც „თითებზეა“ მიმაგრებული (ა. შან.); 2. ჩვეულებრივზე უფრო სქელი ნართი.

საცვეთი – 1. პაჭიჭებზე შემოსაკრავი ბაწრები, ან თასმები, წვივსაკრავები; 2. პაჭიჭები ან სხვა რამ, რაც გაცვეთისაგან იცავს შარვალს.

საცოხარი – 1. საცოხნელი, რაც მოვა საქონელმა; 2. იგივეა, რაც ნამცველობა, რაიმე პირის გასასველებელი.

სამვალე – იხ (IX თავი).

საწისქვილო ადგილია, სადაც წისქვილი უნდა აიგოს. ამ მნიშვნელობით ეს ლექსიკური ერთეული არაგვის ხეობის ფშავში დასტურდება. „საწისქვილო იმ ადგილზე უნდა იყოს, საიდანაც წყალი მოალის“ (ს. შუაფხო). „საწისქვილო ის არი, რომა წყალი საით მოალის“ (ს. მუქო). ისეთი საწისქვილო, სადაც წისქვილის წყალი საკმარისი რაოდენობით უდგება და თავლადად მამდინარეა, ღონიარ საწისქვილოა; 2. საწისქვილო წისქვილში წასადებად გამზადებული მარცვლეულის სახელიცაა.

საწმინდარი – პოლისემანტური ლექსიკური ერთეულია. მთიულურში იგი ხატობა-დღეობებისა და ქორწილისათვის შემონახულ ხორბალს აღნიშნავს. ფშაურში სატანსაცმლე ქსოვილის მოსაქსოვად დართული ძაფია მატყლისა, იგივე **სატოლე ნართი** (დიალექტ., 594). გ. ხორნაულის მიერ შედგენილი „ფშაური ლექსიკონისა“ და განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ფშაურში იგი წმინდად დაფქული ფქვილის მნიშვნელობის გამომხატველიცაა, რაც არამართებულია: ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემების მიხედვით, კარგი ხარისხის ხორბალს (დოლის ჰურს) ან მის ფქვილს ფშავეში **წმინდა** ეწოდება, **საწმინდარი** კი კარგი ხარისხის ხორბლის – **წმინდისათვის** განკუთვნილი სათესი ტერიტორია, ცხრილი ან ადგილია, სადაც **წმინდას** (ხორბალს) ან ფქვილს ინახავენ. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშიც:

#162#

„ფოთოლათ მერცხალაი ვარ, ურძნის ჯოხივით ლიტაო²,
მითხარი, ჩემო ძმობილო, რაის ამბავსა მკითხაო?
ორმოციანში³ ქერ მიყრავ, სამოციანში – **წმინდაო**,
კარზე წისქვილა მიბრუნავს, დაფვქვავ, რომენიც მინდაო!“

მარცვლეულის დასამუშავებლად ფშავეში იყენებენ სხვადასხვანაირ ცხრილს. მაგალითად, **სასვილე ცხრილი** განსხვავდება **საქერე** ცხრილისა და **საწმინდარი** (ანუ **სახორბლე**) **ცხრილისაგან**: სვილს **ტკიცე** ცხრილი უნდა, ქერს და წმინდას – **ფხალა** (ხალვათად ნაქსოვი). ასევეა **ცხავიც**.

საწოვარაი – 1. ხბოს პირზე ჩამოცმული წვეტიანი ჯოხები, რომლებიც ჩხვლეტენ ფურს, რის გამოც იგი არ აწოვებს (ა. შან.); 2. ბატკნების მოსაწოვებელი ცალკე ბაკი, გამოყოფილი ადგილი.

საწურა – 1. რძის გასაწური, საწურავი; 2. თოფის ლულის ყალიბის მქონე გახვრეტილი რკინა ან მილი, რომელშიც ასწორებენ სროლის დროს ოდნავ გაბერილ ჰილზებს.

საწვეტები – 1. უნაგირის კეხის უკან გამოზმული თასმები ნაბდისა თუ სხვა რამის დასაკრავად; 2. შოლტის ან მათრახის წვერში ჩაზმული თასმა, რომელიც შემოქნევის დროს ტყვრება. უფრო მეცხვარეები იყენებენ ცხვრის გასარეკად.

საღორე || **საღვარე** || **საღვარენი** (იხ. მეწისქვილეობის ლექსიკა) – ადგილი ღარების ბოლოს წისქვილის ქვეშ; ქვედა სართული წისქვილისა. არაგვის ხეობის ფშაურისაგან განსხვავებით, რამდენადაც ცნობილია, მთის კილოებში (179, 208; 151, 318; 106, 229) წისქვილის ქვედა სართულის სახელად (მათ შორის ივრისხეურ ფშაურშიც) საყოველთაოდ გავრცელებულია **საღორე**. ეს ლექსიკური ერთეული ამავე სახელწოდებით ვაჟა-ფშაველასაც აქვს გამოყენებული: „რაზე აშლიენებ და ანგრეინებ მა წისქვილ ქვეყანასი? – ეტყოდა ხშირად გამიხარდი, – ასკარტუნე ეხლა, მართე, შამვერ და გამოძვერ **საღორეში** (თხზ., ტ. III, თბ., 1961, გვ. 383). ამავე დიალექტში (იქ, სადაც მეღორეობას მისდევენ) **საღორე** ღორის სადგომის

² უტოტო; გადატ.: მარტოხელა, უმწეო და გამხდარი ადამიანი.

³ ორმოცკოდიანი გოდორი.

სახელწოდებაცაა, ე.ი. მოცემული სიტყვა პოლისემანტურია, იგივე ენობრივი მოვლენა შენიშნულია სხვა ენობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა მეტყველებაშიც. შდრ.: ოსური #161#

„ხდონ“, თურქ.: „დონლუზ“ (27, 226^ა). ღორის სადგომს არაგვის ხეობის ფშავშიც **საღორე** ჰქვია (თუმც მეღორეობას არცთუ მისდევენ), ოღონდ განსხვავებით სხვა დიალექტთაგან, წისქვილის ნაწილის აღსანიშნავად მას **საღვარე**, **საღვარენი** უპირისპირდება, რაც ზედმიწევნით განსაზღვრავს წისქვილის „საღორეს“ სახელწოდების მოტივს და ღვარის მოქმედების ადგილს მიგვანიშნებს.

საჯარე || **სახარე** – 1. ჭალაში ჩამოთრილი თივის დასაგულელებელი ადგილი ან მისკენ მისასვლელი ფართო ბილიკები, სადაც მარხილში ან ყალში შებმული ხარი მიუდგება; 2. მამალი ხბო, რომელიც ხარად უნდა გაზარდონ; 3. შეშაა, რასაც უღელი ხარი აითრევს.

საჯდური – 1. ყველი, ხაჭო, ერბო, თევზი და სხვ., რასაც შეატანს კაცი პურს. შდრ. **უჯდური** (ა. შან.) – სანელებელი.

საჯსარი – 1. სტიქიური მოვლენების დროს დაღუპული ადამიანის სულის დასახსნელი საკლავი, რომელიც მისი გარდაცვალების ადგილას უნდა დაიკლას, იგივე სულის **საჯსარი**; 2. რაიმეს გამოსასყიდი, დასახსნელი; 3. ცხოვრების შესაძლებლობა, მატერიალურ-ეკონომიკური საშუალება; 4. ადამიანის ან ცხოველის სხეულის კიდურები, სახსრები.

საჯერო – 1. მუდმივად, ყოველ ჭამაზე გამოსაყენებელი პროდუქტი, ძირითადად ნაკლებხარისხიანი ქერის პური; 2. ერთი ჭამისათვის, ერთ ჯერზე, სამყოფი პურის ფქვილი; 3. პირუტყვის ან ძაღლისათვის განკუთვნილი მდარე ხასიათის საკვები ან ფქვილი.

საჯოხე – 1. საჩუქარი, რომელიც მოჯამაგირე მწყემსს ეკუთვნის მყიდველისაგან ცხვრის გაყიდვის დროს (ა. შან.); 2. კუთვნილი ანაზღაურების გარდა, ცხვრის პატრონის მიერ მოჯამაგირისათვის საჩუქრად მიცემული ჭედილა, თვითონ მოჯამაგირის მიერ არჩეული.

სერა – 1. საქონლის ფაშვის ანამრობი ზედაპირი ან ბეწვგაცლილი ცხვრის ტყავი, რომელსაც სადღვებლის ან ქვევრის პირმოსაკრავად იყენებენ; კაცის სახელიცაა.

სერი – 1. დანიშვნის მიზნით სხვადასხვა ფორმით წაჭრილი ცხვრის ყური. ცხვრის ყურის სხვადასხვა ფორმით წაჭრა, დანიშვნა. ყოველ ფშაველ მწყემსს თავისი სერი აქვს სხვადასხვა სახელწოდებისა (ქდე, ფთე, დამორილი, დანისფხა, წინქდე და სხვ); 2. იერი, ჯიმ-
#163#

ჯილაგის მიმამსგავსებელი თვისებები, გარეგნობა; 3. გორის ან ქედის მთლიანი ჰორიზონტი, თხემი.

სვე, სვია – 1. (ყველგან მთაში) ფშალა, ლუდის დასადუღებლად იხმარება, ნ. ტკბილი (ა. შან.); ხვევებს და ტყის პირებში ველურად მზარდი თეთრი გირჩებივით ყვავილოვანი მცენარე, რომელსაც ლუდის ტკბილში (წვენში) ჩაყრიან დუდილის დროს (ამ დროს ლუდის წვენი სისწვენად გადაიქცევა), სიმწარესა და თრობას აძლევს; 2. თიბვის, მკის, თოხნის დროს გატანილი ერთი ზოლი, რომელიც მესვეურს გააქვს.

სინა – 1. თუჯი (ა. შან.); 2. სპილენძის მწვანე ჟანგი; „მოსი ნაო“, – იტყვიან ამგვარი ჟანგის გაჩენის დროს.

სიჩხინტე – იხ. („ფშაური ლექსიკა II“, IV თავი).

სიხიმსე – ენერგიულობა, ჯანმრთელობისა და სიძლიერის გამოვლინება; ჯანმრთელი და ძლიერი ორგანიზმი; 2. მუდმივი სქესობრივი ჟინი, აღზნებულობა, სქესობრივი სიძლიერის შეგრძნება.

სრელი, სრელები – 1. წინდისა და ხელთათმანისათვის შემოვლებული ჭრელი, ფერადი ძაფის ზოლი, ამგვარ წინდებს **სრელაიან წინდები** ეწოდება; 2. მამულებს შორის გამყოფ საზღვრებად დარჩენილი მოუხნავი კვლები, ზოლები.

სულის საჯსარი – იხ. საჯსარი.

სურიელი – 1. პირი, ვინმე, სულიერი; 2. ქვეწარმავალი (93, 250).

სწორი – 1. ზუსტად კვირის შემდგომი დღე; მომავალი კვირის შესაბამისი დღე); 2. ტოლი, თანასწორი.

სხვისაშვილი – 1. ცოლი, მეუღლე; 2. მოჯამაგირე.

ტაბლა – 1. პატარა და დაბალი, ხელით მისატან-მოსატანი სუფრა; მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად გაწყობილი სუფრა.

ტალი (თუმ., ხევს., მოხ.) – კაჟი (159, 506). **ტალი** ფშაურში წისქვილის ქვის მაგარი ადგილებია (საბასა და ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით კაჟი, საღრტილი).

ტალიკანა სიცივეში ახლად ჩაცმული ადამიანია; ტიტლიკანა, ნახევრად შიშველია; ღარიბ-ღატაკ, უქონელ ადამიანზეც იტყვიან.

ტანება – 1. (რთ. ფუძის ნაწილი, „ტან“ ძირის ზმნა: ახლავს, თანხლებს; ძვ. ქართ. მსგავსად, სულიერთან და უსულოსთან): **რა ძალა გეტანა** – ძალა გედგა; **კიოთ გეტანა ვინამ?** – გახლდა ვინმე? 2. ყოფნა შენთვის ეტანე! – შენთვის იყავი, ჭკვიანად იყავი.

#164#

ტარი – 1. მატყლის დასართავი თითისტარი; 2. რაიმეს სახელური.

ტარტლები, ტარტლიანი – წვირიანი, ტურტლიან-გაზინტლულია; **ტარტლები** ცხვრის კურკლიანი უვარგისი მატყლია; აგრეთვე ძალზე ჭუჭყიანი ძველმანია.

ტაშფანდურა – 1. ლხინი, ცეკვა-თამაში ფანდურის თანხლებით; 2. მხიარული, ქეიფისა და დროსტარების მოყვარული უდარდელი ადამიანი.

ტოლომანა – 1. ტომრისგან გაკეთებული საწვიმარი; 2. ფარაჯა, მაზარა.

ტორი – 1. საცემი რაიმე, მუშტი; მიტორვა – მიტყეპა (რაზ.-ჭყ., ა. შან.); დიდი მხეცის (დათვის, ლომის...) თათი, დიდი, ზორბა კაცის ხელი; 2. ოთხი წლითა და გარკვეული პირობით ცხვრის იჯარით გაცემა. ნ. აგრეთვე ტოტი.

ტორღალი – 1. უსაქმოდ აქეთ-იქით ყიალი, ხეტიალი; 2. გამოჩენის მიზნით ვინმეს მიყოლ-მოყოლა.

ტოტი – 1. ხელი; 2. პირუტყვის წინა კიდურები; 3. მდინარის განაყოფი.

ტრუკი – 1. ჩათქვირებული სახედარივით ახალგაზრდა; 2. ჩოჩორი.

ტუნტური – 1. უსაქმოდ აღმა-დაღმა სიარული; 2. უშნოდ, ბლაძუნ-ბლლატუნით სიარული; 3. იარაღის, თოფის გაუბედავად, უხეიროდ მოღერება.

ტუპკირი – 1. ბაკის შემოსაღობი ან საბატკნე-სახბოეს გადასაკედლაღვი წწელისაღან თხლად მოქსოღილი ლასტები; 2. ბაკის, ეზოს აწ „შემოხვეული“-ს (დაცული სათიბე) შესასღვლეღად გამოყენებული პატარა ლატნებში ჯოხებგაყრილი მსუბუქი კარი.

ტუსღა, მოტუსღა – იბ. (IX თაღი).

ტუტა – 1. ცხელი ნაცარი; 2. ლურჯად საღებაღი, სამღებრო მასალა, შემღგარი აღუღებული ნაცრისა, ლილისა და თავშაღა ბალახისაღან (უკანასკნელი შეიღღება არ ერიოს) (ა. შან.) იღივე ნაცარ-თღალი.

ტყავგარექღეღა – 1. ბეწგარეთ შეკერილი თხის ტყავის ტყაპუჭი; 2. წინაპართა მსგავსი კარგი ზნეობისა და თვისებების მქონე ვაჟკაცის ეპითეტი.

#165#

ტყრუშღა – 1. ჭინჭრით დასუსხღა; 2. ჭყინტი სიმინღის ტაროს შეწღა; 3. სიღის ძღიერად შემოკერა.

უგავის (ზმწ. ომოფორმა) – 1. მიუგავს (რაიმე); 2. უღია (მახე, ლეიბი, ფარაჯა...).

უღღა – 1. პატრონობს, უღღის (სახლს, ბავშვს, უმწეოს, საქონელს...); 2. რაიმეს ქონა (სასმღის, არაყის, ღვინის...)

უკეთნებს – 1. ცეცხლს შეშას უმატებს (შღრ. დართღა); 2. მოცადეობა, მცდეღობა: ყვეღა თავისას ცდიღობს.

უკვღო – 1. უღეოდ გარდაცვაღებული უქორწინებული კაცი, უბეღო (ა. შან.); 2. თავქარიანი, უუნარო, უსაქმური კაცი.

უქმური – 1. უღროღ დრო, გვიანი ღამე (191, 261); 2. აღი სული.

ურბეთი ვაჟის მიერ ცოღის თხოვისას ქაღის მშობღებისათვის მიცემული გარკვეული ღირებუღება, გამოსასყიღია (155, 90), იღივე **ურვაღი**. **ურბეთი** სახსარი, ტყვის გამოსახსნელი სასყიღელიცაა (34, 594).

ურჯუღი – 1. ბოროტი, დაუნღობელი, ურჩი აღამიანი; 2. ზეღმეტი სახელი კაცისა, ეპითეტი.

უსერდაღო – 1. უჯიშო, უჯიღაგო, წინაპრის არმყოღი კაცი, უთვისტომო; 2. უვარღისი არაფერში გამოსაღეღი აღამიანი.

უსურმაღი – 1. ისეთი ცხოვეღი აწ ფრინვეღი, რომღის ხორციც არ იჭმეღა (ძაღღი, კატა, მგელი, მეღა, ცხენი, ჯორი, ვირი, ყვავი, ყორანი); 2. ბინძური აღამიანი, რომელმაც ზიზღი არ იცის, ყვეღაფერს ჭამს (191, 232).

უქწელი – 1. უქმწელი, შეუძღლებელი, რაც არაღვის ჩაუღღენია; 2. ზარმაცი, მოუქწელი, არაფრის გამკვეთებელი, განძრეღა რომ ეზარება და ხელიღან არაფერი გამოსღის.

უშტარი – 1. ბრმა (ა. შან.); ორივე თღალით ბრმა, უსინათღო; 2. გონებრივად ბწელი, შეუღწებელი, აღღოს ვერ ამღები აღამიანი.

უღემს – 1. თღალის ცემა – თღალის ჩაკვრა, ჩაპაჭუნება; 2. ტორის ცემა. **ფეჯისცემა** – ფეხის ცემა, დაბაკუნება.

უცოღვო, უცოღვი – 1. შეუბრალებელი; რომ არ ეცოღება, ისეთი კაცი; 2. უცოღვეღ, ბრალი რომ არა აქვს, ისეთ აღამიანზეც იტყვიან.

უბე – 1. „დება“ ზმნა: უბევს, უდევს; აქვს; 2. უნდა: „შენ რაღა გიბე, პეტრევი!“ (ს. ელიაგზა).

#166#

უბუბური – 1. უბუბოდ, ანუ უდედოდ, დარჩენილი ბავშვი, ბატკანი ან ბოჩოლა; 2. ურძეო, ძუძუში რძის არ მქონებელი.

უწირავს (წირვა) – 1. უტოვებს (გაწირვა – დატოვება); 2. უგინებს, ულანძღავს, უდიერად მოიხსენიებს მიცვალებულს.

უკდება – 1. მიკვდება: უვარდება, თავს ესხმის; 2. უფუჭდება; 3. შვენის, უხდება.

ფარცხი სათესი იარაღია, მოხნულისა და დათესილის დასაფარცხი ხელსაწყო-იარაღი (იხ. ხვნა-თესვის ლექსიკა). ხვნის დროს სახნავი მიწის ფართობის საზომი ერთეულიცაა, უფრო მცირე, ვიდრე გალალვა (|| სასვენი || დარეკვა). როცა ხვნის დამთავრებას ვერ ასწრებენ და ცოტა ადგილი რჩებათ, იტყვიან: „1-2 ფარცხილა დაგვრჩაო“. **ფარცხი** ივრის ხეობის ფშავში განსხვავებული მნიშვნელობითაც დასტურდება: იგი არის საღვარეში მოთავსებული წისკვილის ამწევ-დამწევი მოწყობილობა, რომელზეც ბორბალი დგას და მისი საშუალებით იწევა „ზეითა წისკვილი“ სასურველი ხარისხის ფქვილის მისაღებად შედგება 3 მთავარი ნაწილისაგან: **ფარცხის ხე, სამაქნე ხე, მანქანათ გალი || სამა[ნ]ქანეთგალი**. მისი არაგვისხეური ფშაური სინონიმია **სამაქნენი < სამანქნენი**.

ფერდელა – 1. გვერდებთეთრი ძროხა, ცხოველი; 2. **ფერდელა ხინკალი** – უგულო, ცოტაგულიანი ხინკალი (191, 237).

ფეკად – 1. ხალხის ფეხზე დგომით ძლივს დატევენა, ჭედვა-ძებგვა; 2. ცოცხლად, დაუკლავად გაყიდვა საქონლისა; „ვაჭრებ იყვნეს, **ფეკად** მივეც საქონი“ (ს. არტანი).

ფეკთაჭირება – 1. ფეხების მიბჯენა; მაგრად დგომა; ფეხების ახლართვა; ფეხის წამოკვრა; 2. უკან დგომა, წინააღმდეგობის გაწევა; 3. ერთსა და მეტ შვილს რომ არ აჩენს ქალი (191, 237).

ფთე – 1. თბე, ფრთე (ა. შან.), ფრთა; 2. აჩაჩას ქვედა ნაწილის – ქუსლის ფრთები, რომლებიც კვალს აბრუნებენ; 3. წისკვილის ბორბლის ნაწილი (ფირფიტა), რაზედაც ღარიდან გამოქანებული წყალი ეცემა და ბორბალს ატრიალებს; 4 ცხვრის ნასერი, სერის სახეობა.

ფირქლი, გაფირქლება – 1. კანის ქერცლი; 2. თმის ქერტლი; 3. რაიმეს უმნიშვნელო, მათზე მცირე ნაწილი; გაფირქლება – ოდნავ შეთრობა, მცირედ შეზარხოშება „გამფირქლაო“, – იტყვის ამ დროს ოდნავ ნასვამი კაცი.

#167#

ფიტი – 1. უთაფლო, მშრალი ფიჭა; 2. მწერების მიერ ამოშენებული ერთგვარად ფიჭის მსგავსი ბუდეები; 3. (გადატ.) მყიფე, ადვილად მსხვრევადი, სიფრიფანა: „სახლი ვერ აგიშენებავ, ფიტი ვერ მოგიკრავისა“ (ს. კუჭეჭა). **ფიტის მიკრვა** (გადატ.) – მცირე რამის, მცირე საჯსარის დაგროვება, ეკონომიურად ოდნავ მოლონიერება.

ფლაკვი – 1. დახეული, ჭუჭყიანი ტანსაცმელი ან ქსოვილი; 2. ფეხების თრევით მოსიარულე ადამიანი, გაჭირვებით რომ დადის.

ფოშტა, ფოშტა ფიცარი – 1. ფოსტა; 2. მორის გვერდიდან პირველი ჩამონახერხი ფიცარი, იგივე **ნაგვერდალი** (ივრის ხ., ფშ.).

ფრაშუნი – 1. მამლის ფრთების ხმიანობა, როდესაც დედლებს ეტანება; 2. მამლაყინწობა, ქალებთან ფუჭი, მოჩვენებითი თავმოწონება.

ფუდული – 1. ტყუილი გარჯა, უშედეგო, ფუჭი შრომა; 2. გაყოფილი, ამპარტავნობა, ამპარტავანი; გაფუდულება – გაყოფა.

ფუნჯალი – 1. შავი ფერის კვამლი; 2. ძლიერი კვამლი, ბოლის კორიანტელი. „ფუნჯალ ადისო“, – იტყვიან ამ დროს (ს. კვერნაულა).

ფურ-კბუები – 1. ერთმანეთში არეული ძროხები და ხბოები; 2. (გადატ): ქალები და ბავშვები, დედა-შვილები (შდრ. 191, 241).

ფუტკულობა – 1. ფართხალი, ფართხალობა, მოჩვენებითი ფართხი-ფურთხი; 2. ფრინველთ ფართხუნი ქვიშაში ან ფხვიერ მიწაში.

ფუფქარი. „ცხელ ნაცარ-ნაღვერდალი არი ფუფქარი“ (ს. მუქო). კაცი რომ გაჯავრდება, იმაზეც იტყვიან, „დაფუფქრდა, ფუფქარ შეეყარა“.

ფშლეკა – 1. გაფშეკა, აპრება, აბზუება, აბზეკა; 2. ჭირვეულობა, თავის დაჭერა, თავის გადამეტება.

ფხრე – 1. ფარღალა (რაზ.-ჭვ., ა. შან.); 2. ღიად დარჩენილი კარი, ჭიშკარი; ღრიჭო, ძირგამოგლეჯილი ტომარა და სხვ.; 2. მშიშარა, ლაჩარი; „გაფხრევაო“, – იტყვიან ძლიერ შეშინებულზე.

ქალობილი – 1. შვილად მიღებული, ნაშვილები გოგონა, იგივე **ნაშვილობი**; 2. ქალური, კარგი ქალი, ჭკვიანი.

ქასური – 1. იარაღის (მათ შორის სამეურნეო დანიშნულების) უხეშად სალესი ქვა; 2. ტახის ის კბილი, რომელზეც ეშვს ილესავს.

ქობი – 1. დიდი ქვაბი; 2. გამოქვაბული, იგივე ეხი.

#168#

ქობული – 1. ბატკნის სადგომი (ა. შან.), ბოსელში ან ბაკში ლასტებით ბატკნებისათვის გამოყოფილი სპეციალური ადგილი; საზამთრო სამოვრებზე კი ცხვრის სადგომში ამოთხრილი, თივაჩაგებული ორმო, ხეხერა ბატკნის მოსათავსებლად; 2. ბატკანზე გადმოსამხობი სპეციალური გოდორი მის დასამწყვდევად,

ქობი - ი მთის სამოვარზე (საიალალოზე) მწყემს-მწველავების თავშესაფარი; 2. მშობიარე ქალისათვის სოფლის მოშორებით გაკეთებული სახელდახელო გადახურული თავშესაფარი.

ქუჩი წვრილღეროიანი წმინდა ბალახია მთისა, იზრდება კლდეებსა და ხრიოკ ადგილებში ამ მნიშვნელობით გვხვდება ეს ლექსიკური ერთეული მოხეურში, თუმურში და, აგრეთვე, რაზიკაშვილების თხზულებებში. დადასტურებულია განსხვავებული გაგებითაც:

ქუჩი – თავმეხვეული კომბოსტოს ფოთლებს შორის დარჩენილი ღია ადგილი (155, 94): „(ლოკოკინა) შიგ **ქუჩში** უძვრებოდა თავმეხვეულ სალათას და კომბოსტოს თავებს“ (თ. რაზიკ., მოთხ. 135, 19). ამ გაგებით აღნიშნული სიტყვა სავლელ მუშაობის დროს ჩვენ არ შეგვხვდებოდა.

ღარძლი – 1. უხეში მატყლის, ბალნის ან მათი ნარევისაგან დართული ძაფი; ასეთი ძაფისაგან მოქსოვილი ტანსაცმელი ან რაიმე.

ლაფლაფი – 1. ბებერი ძალღის ყეფა; 2. ხნიერი კაცის ხრინწიანი ლაპარაკი.

ლაჯლაჯი – 1. ბერი, ავ-ენა დედაკაცი (რაზიკ.-ჭყონ., ა. შან.); 2. გაუმართავი ენით ლაპარაკი; 3. უკბილო მოხუცისაგან მომბებურებელი ლაპარაკი.

ღვედი – 1. გამოყვანილი ტყავი და მისგან დამზადებული ქამარი, თასმა და მისთ. 2. ძარღვიანობა ცომის, ლუდის....; 2. მოქნილობა ადამიანისა და მოხერხებულობა.

ღვერა (არაგვის ხ., ფშ.) || ღორეულა (ივრის ხ., ფშ.) გრძელ, შვეულად ჩატანილ დამრეცი ნათიბ ზოლს ეწოდება. **ღვერა** „მთიბლის მიერ ერთ გავლაზე ჩატანილი გრძელი შვეულის მსგავსი ტოტია“ (159, 587). ხევსურულში „გრძელ და შვეულად ჩატანილ ტოტს ღვერას ეძახიან“ (179, 226). **ღვერა** განსხვავებული მნიშვნელობითაც დავადასტურეთ: „როდესაც მთიბელი მეორე მხრიდან მოსდევს უკან და გათიბულ ნამხრეულს აყრის ზედვე მეორე მხრიდან, ის ღვერაა“ (ს. ჩაბანო). **ღვერა** აგრეთვე ხის სიგრძეზე გაცლილი კანია „ხეს აძყყრთან #169#

ქერქსა, სამი-ოთხი მეტრია, მუშს⁴ ვიტყვით, დაახვევენ, ჩააძყყრთან ჭაობში ერთი კვირა დააგრეხენ თოკსა. ეს არი **ღვერა**. ცაცხვს ეყრება კარგი“ (ს. ევჟენტი). **დაღვერილი** კანგაცლილი, ქერქგაცლილია ფშაურად. **ღვერა** || **გაღვერვა** კი ფცქენა, ბეწვის „ბალნის, ან კანის აყრა, გაცლაა ერთ ზოლად⁵. ამ მნიშვნელობით ეს ლექსიკური ერთეული, ფშაურის გარდა, დასტურდება ხევსურულში, გარე კახურში (159, 587). **გაღვერვა** ზ. იმერულში გამრუდება, გალუნვაა (159, 141). სწორედ ერთ ზოლად კანის გაცლის მნიშვნელობა უნდა იყოს სახელდების პრინციპის განმსაზღვრელი გრძელი, შვეულად ჩატანილი დამრეცი ნათიბი ზოლისთვისაც. ფაქტიურად ეს არის უთიბი ბალახის ჩაჭრა გრძელ ზოლად, უთიბ ბალახში შვეულად ჩატანილი **პირველი ზოლი**, რომელიც ხელუხლებელ მთლიან ბალახოვან ფართობს ღვერავს. ე. ი. ერთ ზოლად ბალახის გართმევაა ბალახოვან ფართობზე. კაცი რომ **ღვერას** ჩაიტანს, იტყვიან: **ნაღვერ გადმაჩინაო** (არაგვის ხ. ფშ.) || **ღორეულა გადმაჩინაო** (ივრის ხ. ფშ.). თვითონ მთიბელი იტყვის, **ღვერა გაგავლეო** (არაგვის ხ. ფშ.) || **ღორეულა ჩაგავლეო** (ივრის ხ. ფშ.). ამიტომ მართებული უნდა იყოს განსაზღვრა, რომ **ღვერა** არის მთიბელის მიერ დამრეცად ჩატანილი პირველი ზოლი, რომლიდანაც ნამხრევებს იწყებენ. ე.ი. პირველი ზოლი, რომლითაც სათიბი გაიჭრა. პირველად გაჭრილ-გაკვალული ზოლის მნიშვნელობას უნდა შეიცავდეს აგრეთვე ჩვენ მიერ მოხეურში დადასტურებული გამოთქმა: „ნამქერს მივღვერავ“.

ღვლიაპები – 1. ჩიტის ახლადგამოჩეკილი შეუბუმბლავი ბარტყები; 2. ზედიზედ ერთმანეთის მოყოლებით გაჩენილი მცირეწლოვანი და-ძმანი.

ღირება, დაღირება – იხ. (IX თავი).

ღილი – იხ. (IX თავი).

⁴ მუში – ცაცხვის ქერქი, შიგნითა კანი, თელისა – ლაფანი. თ. რაზიკაშვილი, „ივერია, № 133, 1900 სამუშაო ცაცხვის ტოტია მუშის გასახდელად (319-367).

⁵ ღვერვა, გაღვერვა (ფშ., კვეს., თუშ.) – ქერქისა ან ბალნის გართმევა, გაყვლეფა, კანის გაძრობა (167, 425).

ღლეტა – 1. შეცდენა, გაუპატიურება; 2. მოტყუებით რაიმეს გამორჩენა, რაიმეს დაცინცვლა. **მოღლეტილი** – დამცინცლავი, თაღლითია.

ღონღილი – 1. გაჭირვებით, დუხჭირით ცხოვრება; ცოდვა-ჭირით ყოფნა; 2. მოშვებულად ყოფნა, დუნედ საქმის კეთება, მძიმედ სიარული.

#170#

ღრუვი – 1. ღრუ, ფულურო, გამოფულუროებული; 2. ადამიანის ორგანიზმის მკერდის ღრუ და შიგნეულობის სათავსი – მუცლის ღრუ – ერთად.

ღული – 1. ნამგლის ყელი, ტართან შეერთების ადგილი; 2. დაკბილული, ხერხივით პირიანი ნამგალი (იხ. მემინდვრობისა და პურეულის ლექსიკა).

ღულით მკა – 1. უსათითოდ მკა (რაზიკ.-ჭყონ, ა შან.); დაკბილული ნამგლით მკა.

ყაყვა, ამოყაყვა (ყაყვრა, ამოყაყვრა) მუწუკის ამოწევა, მომწიფება, ჩირქოვანი თავის გაკეთება, რომელშიაც **ზალა**, ზარწყალია ჩამდგარი. „რო **ამაყვაყვება** (< **ამაყვაყვება** < **ამაყაყვრება**), იმაში დადგება წყალი, მიზეზი რაღაცა. ამოყაყვას იმას ვეძახით, რო ამოალის სამბო“ (ს. მუქო). კაცი რომ წამოიწევა, ტანს მაღლა აზიდავს და უთვალთვალებს, იმაზეც იტყვიან, – **იყაყვბაო** (არაგვის ხ., ფშ.) || **იყინტებაო, იყინწებაო** (ივრის ხ., ფშ.) **ამაყაყვრაო**, – იტყვიან აგრეთვე კაცზე, რომელსაც ელიან და იგი შორიდან (დაღმართიდან) ამოჩნდება. **ყაყვა** ტანის სხეულის ულამაზოდ მაღლა აზიდვა, აწევა, გაზნექა (155, 294). **ბერიყაყვი** გურულად ღრმად მოხუცებულს ნიშნავს (159, 69). ფშაურში მოხუცი კაცის ეპითეტებია **ჩრუხი, დახანჩოტავებული** (არაგვის ხ., ფშ.), **ყრანტი** (ივრის ხ., ფშ.).

ყელი (ყელს ამოსვლა) – 1. სხეულის ნაწილი, 2. ზევით წისქვილის ნახვრეტი, რომელშიც მარცვალი ჩადის. როცა „ზეით წისქვილი“ ველარ აუდის ნაჭლიკადან ჩასულ მარცვალს, იგი ავსებს წისქვილის ყელს და იფანტება. ამას **ყელს ამოსვლას** უწოდებენ.

ყელგადაგდებული – 1. დასაკლავად წამოქცეული საკლავი, რომელსაც ყელი გამოსაჭრელად აქვს გამზადებული; 2. გაჭირვებაში ჩავარდნილი და ვინმეს მინდობილი ადამიანი (შდრ. 191, 259).

ყელი – 1. გადასასვლელი, უღელტეხილი, მთებს შორის ჩაწეული ადგილი; 2. წისქვილის ზედა დოლაბის ნახვრეტი, სადაც დასაფქვავე მარცვლები ცვივა ნაჭლიკიდან.

ყელჭრელი – 1. შიბითა და მძივით ყელდამშვენებული ლამაზი ქალი; 2. ქართული თოფის ეპითეტი მოსევადებული კონდახის ყელის აღსანიშნავად.

#171#

ყორე მშრალად ნაგები კედელია, უბრალოდ ნაგებ ქვის ღობესაც ეწოდება.

ყოტი – 1. ბაყაყი, განსაკუთრებით გომბიო (რაზიკ.-ჭყონ.). **ბაყოტი** – გომბიო (ა. შან.); 2. გადმოკარკლულთვალეზიანი ადამიანის ზედმეტი სახელია.

ყრანტი – 1. ყანყრატო (ა. შან.); 2. ძალზე მოხუცი, გადაბერებული ადამიანი.

ყროლობა ცუდი საქმის კეთება, სიავე, სიმყრალე, ცუდი ხასიათია. ამავე დროს ცუდი სუნის გამოცემა რაიმესაგან, რაც ყარს.

ყუნჭი დაფუტუროებული კუნძია; ხის გამხმარ ნაჭერსაც ეწოდება.

შებერნება შებერვაა, ამავე დროს აქვს დამატებითი მნიშვნელობაც: აღმართის სწრაფად ავლას, მთის ფერდობის სწრაფად გათიბვას აღნიშნავს.

შაბოწიწება რაიმესათვის საყრდენის შედგმა, მსხმოიარე ხეხილის ტოტებისათვის ბოძკინტის შედგმაზე იტყვიან; ამავე დროს, ტანად დიდთან სუსტის შებმა, გაძლიერება (191, 263).

შათოთქროვება – 1. მოუსვენრობა, აფორიაქება, აწრიალება; 2. წამით შეჩერება-შეყოვნება, ანაზად შეკრთომა.

შამანი სუსტი გამონახადია არაყისა, იგივე **ნაბოლავარი**, ნაბოლავარა შვილსაც **შამანი** ჰქვია; ასევე ითქმის სუსტ, უფხო, ჟინმოკლებულ კაცზე, რომელიც თვითდინებით მოქმედებს, უინიციატივოა.

შამბა მოზვრის, ხვნას უჩვევი ახალგაზრდა ხარის უღელში გამოქნა, გამოწვრთნა; გუთნის გამართვას, ხვნის დაწყებასაც აღნიშნავს. ამ დროს ფშაველი იტყვის: „შავაბიო“.

შამდგარი ის არის, წამალა (იგივე **კვეთი**, – გ.გ.), რომ „შაუგდებს“ რძეს და შეყველდება, „შეიკრვის“; რაიმე საქმის წამომწყებს, საქმის დამწყებსაც **შამდგარი** ეწოდება; **დიდობაზე შამდგარი** ის პირია, ვინც ყოყლოჩინობს და ამპარტავნობს, სხვებს ამეტებს თავის თავს.

შამჯდარი, ჩვეულებრივ მაღლა ასული რაიმეზე შემდგარი პირია. რაიმე მორგებულზე, შეფერებულ-შეხამებულზე იტყვიან.

#172#

შაპატივება – 1. კარგი საქმის ჩადენისა და კარგი დამსახურებისათვის საპატიო სასმისის მირთმევაა წვეულების დროს; ხარისთვის ხვნის დრო, ხოლო ძროხისავის ხბოს მოგების შემდეგ კარგი ხარისხის თივის დიდი ულუფის დაყრაა. კარისპირულ (სახლის ახლომდებარე) სახნავ-სათესებში ნაკვთის შეტანაც **შაპატივებაა**.

შართვა – იხ. დართვა.

შასაყარი, საყარი – 1. მდინარეების, გზების, ბილიკების შესართავი; 2. გადამდები ავადმყოფობა.

შასმა ის არის, ცხენზე ან ვირზე რომ აამხედრებენ ვინმეს; სასმლის ბოლომდე დაღევა, გამოცლაა. **შასმული** ნასვამი, მთვრალი პიროვნებაა. **ვირზე შასმული** კი გაბრიყვებული, წაქეზებულია.

შასხლეტა სისხლის დენის შეჩერებაა; თოვლ-ყინულზე მოცურება, გადაჩეხვაა; აგრეთვე ფარიდან ერთი ან რამდენიმე ცხვრის ჩამოცილება-გამოცალკეევაზე, მოპარვა-მოტაცებაზე იტყვიან.

შატანება – 1. შეჭედვა, შეჩურთვა, დატანება, შერჭობა; 2. ვინმესთვის შინ შევარდნა; პურისათვის ყველის ან რაიმეს შეყოლება.

შატაცება ხელის გავლება, ხელის ტაცებაა; **სულის შატაცება** სულის შეხუთვა, ვეღარ ამოსუნთქვაა.

შაყრა შეხვედრა, შეჩეხება, შეერთებაა; რაიმე ავადმყოფობის გადადებაზე იტყვიან: „ავადობა შამეყარაო“.

შაჩხვლეტა რაიმეს შერჭობა, ჩხვლეტაა; (გადატ.) საწყენი სიტყვის თქმა, წყენინებაა.

შაწყენა რაიმეს წყენინება, რამეზე გაბრაზება, გულდაწყვეტაა; მოზებურება მოყირჭებაცაა ერთი და იმავე საჭმლისა; საქმის კეთებისა.

შაკდენა ვინმეს აყვანა მალა, რაიმეზე; შეზავება, მორგება, მისადაგება – შეფერებაცაა.

შელხევა (არაგვისხ. ფშ.) შეხვედრა, შეხეჩება; სქესობრივი კავშირის დამყარებასაც ნიშნავს.

შვილი ვაჟი, ვაჟიშვილი, ბიჭია. მნიშვნელობის გაფართოების შედეგად, ზოგადად, ჩამომავლობასაც აღნიშნავს: „ემანდ ფშავლიდ შვილები კახეთებით არიან“ (ს. ჯოშარა).

შიბი – 1. ქალების სამკაული, ყელსაბამი: ვერცხლის ძეწკვზე ასხმული ვერცხლისავე ფულის მონეტები და პატარა გამოსახულებანი; 2. კლდეზე გავლებული ისეთი ზოლი, რომელზეც ფეხის მოკიდება შეიძლება; 3. ერთმანეთზე გადაბმული მთები, მთის მასივი, ქედი.

#173#

შლარტუნი მაღალ ბალახში, შამბნარში შლიგინით, მოურიდებლად სიარულია; გრძელკალთებიანი საწეიმრის ან ტანსაცმლის ხმინობაა სწრაფი სიარულის დროს (შდრ. 191, 272).

შოლტი – 1. კოჭი, თავზე გაწყობილი დირეები; 2. საქალმე ტყავი (ა. შან.); საქალმეს უნდა ჰქონდეს ერთი ციდა სიგანე, სიგრძე – მტკაველი და ორი გოჯი (იხ. პირუტყვის ტყავის და ტყავის ნაწარმი). ტყავის საქალმედ დაჭრას დაშოლტვა ჰქვია; 3. თასმისაგან დაწული გრძელი მათრახი, რომელიც ბოლოში გამობმული აქვს საწყვეტი – წვრილი თასმის ბაწარი. მათრახის დაქნევისას **საწყვეტი** ტყლაშუნობს, ტყვრება.

შიშლიგი ერთ სემანტიკურ ბუდეში მოქცეული პოლისემიური ლექსიკური ერთეულია: 1. მწყემსებს შორის მორიგეობით დაკლული ცხვარი ან ღორია; 2. ცხვრის გაყიდვის დროს ყოველ ოცზე (ან სხვა ოდენობაზე, – გ.გ.) ზედმეტად მიცემული ცხვარი; 3. ოცი ცხვრის მატყლზე ერთი უფასოდ მისაცემი (როცა მატყლს ყიდულობენ თვლით (გასაპარსს, და არა: გაპარსულს) (ა. შან.).

შრეტა მდინარის ტოტის გადაკეტვა, წყლის დინების შეწყვეტა, სხვა კალაპოტში გადანაცვლება „გადაგდება“. „დავშრიტეო“, – იტყვიან ამ დროს. მისი ივრისხეური ფშაური სინონიმია „დაწურვა“, „წყლის დაწურვა“, „ტოტის დაწურვა“; **შრეტა** აგრეთვე დალუპვა, მოსპობა-განადგურება, საქმეში ხელის შეშლა, მოცდენაა.

შუშხი – 1. ჭინჭრის თვისება – სუსხვა; 2. მსგავსი ხასიათი ადამიანისა; სიმკაცრე, შიში და ხათრი.

შხაპანი სახრის შემორტყმის ხმა. ერთი მოქნევით საკლავისათვის თავის მოკვეთაა აგრეთვე.

ჩამოფხოჭვილი – 1. ჩამოკრეფილი, დაკრეფილი ხილის ხეები; 2. საფოცხვლით თივაჩამოხვეტილი გადათიბული მთის ფერდობი.

ჩამოჯდომა – იხ. (IX თავი).

ჩამჯიღვა – 1. მუჭში დაჭერა, ჩამუჭვა; 2. მკერდში მუშტის (მჯიღის) ცემა, ქადილი, ფიცილი.

ჩანგალი – იხ. (IX თავი)

ჩაფარება – 1. სახლის, ქობის, საბძლის გადახურვა; 2. ქვევით მიმავალი, დაგორებული ან დაცურებული დაღმართში რომ თვალს მიეფარება.

ჩაფეხვა – ხმელი ტოტის ლეწვა-მტვრევით ჩამოვარდნა-დაცემა; კაცს რომ ფეხი ორმოში ჩაუვარდება, იმაზეც იტყვიან (ამავე მნიშვნელობით დასტურდება კახურშიც; ა. ლლ.) #174#

ჩაქცევა მძიმე ბარგის ან სახნავისაგან ცხენის, სახედრის, ხარის ჩაწოლა; კაცის ლოგინად ჩავარდნაზეც იტყვიან; **ჩაქცევა** აგრეთვე კაცის ან დიდი ნადირის მოკვლა; სახლის ჩაშლა-ჩანგრევა დიდი თოვლის, ან უპატრონობისაგან; მაღალი ბალახის, ან ყანის ჩათელვა.

ჩაჭიჭმახურება – 1. თამაშობაში ფეხების ხლართვა (რაზიკ.-ჭყონ.); ხმის გრეხა სიმღერაში, სტვირის კოხტად დაკვრა (ა. შან.). 2. საქმის ჩახლართვა. **მოჭიჭმახურება** კი, ყინვა რომ მოუჭერს, ის არის; „მოუჭიჭმახურაო“, – იტყვიან ამ დროს.

ჩაჭურვილა – 1. ჭიმბური, ცხელი პური ერბოში ჩაყრილი (რაზიკ.-ჭყონ.). თბილი პური ერბოში ჩაყრილი (ა შან.); 2. ასევე მთელ-მთელად შემწვარი კარტოფილია ერბოში, ან კარაქში ჩაფშვნილი, შეიძლება დავუმატოთ ნიორიც.

ჩიჩმაგი მამლის ბიბილა, ბიჭის ქოჩორზეც იტყვიან.

ჩრაქვი არყის ხის ქერქია, გარედან აყრილი; სიცივე რომ კაცს ყინავს, „გააჩრაქვაო“, – იტყვიან.

ჩურგნა, ჩურგვა ხბოსა და ბატკნის მიერ დედის ცურისათვის დრუნჩის არტყაა წოვის დროს; ასევე ჩუმ-ჩუმად, ფარულად მუჯღუგუნების კვრა, წარტყმა.

ჩხვლეკა – 1. ჩხვლეტა; 2. საწყენი სიტყვის თქმა, გაკენწვლა, წყენინება.

ცანდი, ცანდლი – 1. თუ უღელში შებმულ ხართაგან ერთ-ერთი სუსტია და არ ეწევა, ან **საჯნაური** უსწორმასწორო ზედაპირისაა, მაშინ **საუღლეს**, რომლითაც გუთანი უღლის შუა წელთანაა დაკავშირებული, ადგილს გადაუნაცვლებენ ხოლმე. ამას არაგვის ხეობის ფშავში **ცანდის მიგდებას** || **ცანდლივ შაბმას** უწოდებენ. ივრის ხეობის ფშავში ამ დროს კორადან ჯამბარა გადააქვთ გამწევი ხარისაკენ. ამაზე იტყვიან **ტოლ დაუდეო (ტოლის დადება)**. იხ. ხვნა-თესვის ლექსიკა“; 2. რაიმე მიზეზის გამო ფეხებზე სხვადასხვაგვარად ჩაცმაზეც იტყვიან.

ცეხვა ტაროიანი სიმინდისათვის მარცვ თის გაცლა; უხეშად ჭამაზეც იტყვიან „ცეცხვავსო“.

ციკვერა – 1. ცივად, გაუხურებლად რკინის მკვერავი, ე. ი. ვერაფრის გამომჭედელი, ცუდი მჭედელი; 2. ჩხირკედელა, უსაქმური (191, 283). #175#

წაგდება – 1. გაყრა, გაკეთება (ურდულისა, ჭინჭილაქისა); 2. მომწყვდევა, მოგდება, გამოუვალ მდგომარეობაში მოქცევა რაიმესი ან ვინმესი: „ბასარას წევედო გამიათ შალვა“ (ს აჯადი).

წამოხორხორება – 1. ბევრი ერთად რომ წამოდგება და წამოიშლება; 2. დაუპატიჟებლად ბევრის ერთად თავმოყრა.

წარახუნება – 1. ცოტა ხნით ახმაურება, ოდნავ ხმაურის ატეხა; 2. (ირონ.) უაზროდ რაიმეს თქმა, წამოროშვა.

წახვევა – 1. საქონლის მიერრქების ამოკვრა, რქებით დატაკება; 2. ცივი იარაღის ოდნავ წაკვრა, წვერით კვრა.

წაწლეჩა – პურის პატარა ნაწილის წატეხვა; 2. ცოტაოდენი ხილის მოკრეფა. ვაშლის მოწყვეტაზე იტყვიან: **ვაშლ წაწლიჩეო**“.

წერა – 1. ოთხფეხა დადგმული ძნა (რაზიკ.-ჭყონ.), შეიძლება იყოს „სამფეკაის წერა“-ც (გ.გ. იხ. მემინდვრეობისა და პურეულის ლექსიკა). 2. ბედისწერა: „წერას ხომ არ აუტანიხარ“ (ა. შან.).

წილება ნაწილის მიცემა, რგებაა. **წილება** წილის გაცლას, ქერქვასაც ნიშნავს.

წილობა იგივე წილ-ბოლო, შთამომავლობა, მონაგრობაა. ამ მნიშვნელობით იგი მოხეურშიც დასტურდება (159, 702). იგივე ლექსემა გვხვდება ვაჟა-ფშაველასთანაც და შვილიანობას, ჩამომავლობას აღნიშნავს. **წილობა გასაწყვეტო, წილობამც ამოგივარდება!** – წყევლაა ფშავში. **უწილო** უშვილოა; 2. ქორწილის დროს **მრიგე** გაშლილ სუფრას ხელში დიდი ხონჩით ჩამოუვლის და ყველას მოხარშულ ხორცს ჩამოურიგებს, რასაც ფშაურად **წილობა** ეწოდება. ასევე სახატო ნამცხვრებისა (ხმიადის, ქადის...) ან ხორცის ნაჭერი, რომელსაც **მრიგე** ურიგებდა მლოცავებს ხატობის დროს. შდრ.: **წილობა** – მოხარშული ხორცის (პურის, ჭადის) პატარა ნაჭერი (თ. რაზიკ., ქართული ენის საუნჯის მასალად, „ივერია“, № 56, 1900).

წინწელი ცეცხლის ნაპერწკალია. „დაგაწიწლაგო“, – მაშინაც იტყვიან, როცა „სილას გაარტყმენ“ (ს. წიფრანი).

წისქვილი – 1. წისქვილის შენობა მთლიანად. 2. წისქვილის მუშა მანქანა (მფქველი ქვები). ორი მფქველი ქვიდან ერთი **ძირის წისქვილია** (შდრ. ხევს.: **საქვეო წისქვილი**), მეორე – **ზეითა წისქვილი**. წისქვილა საბავშვო თამაშობაა ფშავში.

#176#

წიტა – 1. გოჭის ჭირია, ბატკანსაც ეყრება, საქონელს საზოგადოდ, ქათამსაც, სისხლზე გადის (ა. შან.); 2. პატარა, ჩვილი ბავშვის განავალი.

წიტანი – 1. ფაღარათიანი ხბო, ბატკანი და სხვ. 2. ჩასვრილი ბავშვი.

წკეპა – 1. ცელის პირის გათხელება გრდემლ-კვერით; 2. ხანჯლებისა და დაშნების ერთმანეთზე მირტყმის შედეგად გამოცემული ხმაური.

წუა – 1. ხილის გამოწურული წვენი (რაზიკ.-ჭყონ.); 2. ასკილის, შვინდის კერკის და სხვ. კურკოვანთა ფქვილმოკიდებული შაჭამანდი. „სიტყვა, ალბათ, კნინობითია წო-საგან“ (ა. შან.).

ჭაკურა დედალი ცხენია; მხდალ, ლაჩარ გაუბედავ „დადედებულ“ ადამიანსაც უწოდებენ.

ჭიტა – 1. ვარსკვლავია (იგივე კუდიან ვარსკვლავი); 2. ტარიდან წამომძვრალი ნართი, როდესაც მისი ამოხვევა ვერ მოასწრეს ან დასართველად ტარები არ ჰყოფნით; „ძველად ტარს რო გაავსებდენ, წაყრიდენ ნასოსა და იმას ემახდენ ჭიტას“ (მ. წელაური, ს. გომბორი).

ჭიჭა ზოგადად სიმცირის გამომხატველი სიტყვაა; პატარა ტანის კაცზეც ითქმის.

ჭრიანტელი უმწიფარი ტყემლის სახელდახელოდ მოხარშული საწებელა, ისრიძია.

ჭრიანტელია აგრეთვე მომწვანო ჭრელი თვალები.

ხანება დაგვიანება, დაყოვნება; რაიმეს შოვნას და ხელში მოგდებასაც აღნიშნავს: „მე უნდა მაუგს წავიდე, ეგებ ფულეები ვიხანო“ (155, 109).

ხალაპუნა, ფოხლუნა – 1. კალტი და ფქვილი ერთმანეთში არეულ-აზელილი და იმის ფაფა ან ანტრია; 2. არეული, დაულაგებელი და გაუგებარი კაცის ზედმეტი სახელი, მისი ეპითეტი.

ხვივილი ქარის ანუ მდინარის ხმაურია; ცხენის ხვიხვინზეც იტყვიან.

ხიბლიხვანჯარა – 1. ბავშვების თამაში; 2. ჩახლანჯულ-ჩახლართული საქმე.

ხილება – 1. მოსწრება, ნახვა: „კიდენ ვიხილებთ, კულავ ემ დროსა“ (ს. არტანი); 2.

ხილება უარყოფით ნაწილაკებთან და ნაცვალსახელებთან: **არ ეხილება** – ეჯავრება, დასანახავად არ უნდა: „ქმრეულნი არ მეხილებიან“ (ს. ვაკისოფელი).

#177#

ხირება – ყოფნა, დგომა, გადატ. ყუდილია. „დღე-ღამ ფეკზედა ჰხირია“ (ს. გომეწარი); იგივე ლექსიკური ერთეული აგრეთვე მიბჯენას, მიწოლას, მიდგმას აღნიშნავს: „ცამდი ჰხირებდა წვერსა“ (ს. სხლოვანი).

ხირხილაობა ხიხინია. კაცს რომ ახიხინებს, „ხირხილაობსო“, – იციან; ამას მომაკვდავზეც ამბობენ: „რას დახირხილაობსო“, – იტყვიან კაცზე, ვინც დაეხეტება. **ამოხირხილაება** ძლივს ამოსუნთქვია (იხ. ავადმყოფობის ლექსიკა).

ხიჭი – 1. წვრილი ქვა, ღორღი, რომელსაც კედლის მშენებლობის დროს იყენებენ: კედლის მშენებარე პირებს შორის წვრილ ქვას **ჩახიჭვენ** და მერე დულაბს ასხამენ; 2. სამკურნალო ბალახი შარდის ხუთვის საწინააღმდეგოდ. წამლად გამოიყენება მისი ფეტვის მარცვლის მსგავსი პრიალა თესლები.

ხობერგა – 1. დიდი ტომარა; 2. გაუმადარი, ღორმუცელა; 3. ძროხის სახელია.

ხუხულა – 1. ქოსა, უჯაგრო ბურვაკი, გოჭი; 2. თმაწვერგაცვივნილი, ქოსა და მელოტი კაცი.

ჯელი – იხ. (IX თავი).

ჯელისახოცი – 1. მანდილზე, ჩიქილაზე წასაკრავი უბრალო ფერადი ან ძვირფასი ქსოვილის ნაჭერი; 2. მორწმუნეთაგან ხატისთვის შეწირული ქსოვილის ნაჭერი.

ჯეკერა – 1. უდედო ბატკანი, ობლად გაზრდილი (ა. შან.). მისი ან (მათი) გაზრდის გადაწყვეტილების მიღების დროს იტყვიან: „მოვახერხოთ, დავაკერკოთო“; 2. ობლად გაზრდილი ბავშვი, ზოგს დიდობაშიც შერჩება სახელად (ჩარგალში არის ოჯახი – **ჯეკერანი**). იხ. აგრეთვე მესაქონლეობის ლექსიკა.

ჯვიმური – 1. ძაბრისმაგვარი, ამობრუნებული პირამიდისებური ხის ყუთი, რომელშიც დაფქვის წინ მარცვალი იყრება; 2. ტყავის საზელი ხის დიდი ნაჭერი, რომელსაც გული ამოღებული აქვს.

ჯლა – 1. თოფის სროლა, დაშენა (ა. შან.); 2. დაჯახება, შეხეთქება, ცემა, შეჭიდება.

ჯლეჩა – 1. პურის მოტეხვა; 2. ხილის კრეფა.

ჯჯვარი – 1. თავისთავად დაჭვრეთილი (ხე, რკინა), ღარებივით რო აჩნია და აჭრელებულია (მაგ. ნიგვზის ხე, ნეკერჩხალი და სხვ.) (ა. შან.); 2. საკეცი ჯიბის დანა; 3. ლამაზი, მოხდენილი.

#178#

ჯალაფი, ჯალაფნი, ჯალაფობა ოჯახის წევრებია: ოჯახი, ცოლ-შვილი; ცოლი; ძმადგანაყრები. კაცი ცოლზედაც იტყვის: „ჩემ ჯალაფიო“. მთელ „ჯალაფობიანად წამოხვიდიო“, – ეტყვიან ქმარს მთელი ოჯახის შემადგენლობაზე. ძმად განაყრებსაც **ჯალაფთ** ეძახიან: „ჯალაფთ შაუყრავ ღორები ჩვენ საღორეშიაო“ (ს. ლიშო). ამრიგად, **ჯალაფი** პოლისემანტური სიტყვაა და ტრადიციული „დიდი ოჯახის“ გაგებითაც დასტურდება ფშავში (შდრ. საბა: **ჯალაბი** – დედაწული, **ჯალაბობა** – დედაწულიანობა). **ჯალაფნა** მეზობლად მდგომი ნათესავი, მეზობელია (188).

ჯანჯღი – 1. ძნელად დასაღეჭი ძარღვიანი ხორცი; 2. გაჭირვებით დასაპობი, ნაცხრიანი ხე; 3. (გადატ.) ძალზე შეუპოვარი, ჯიუტი ადამიანი.

ჯინჯიბაჯი – 1. დიდი დონყაზია, საყრდენი ბოძი. (**დონყაზი** ორტოტა საღობი მარგილია, საყრდენი ხეა, შიგ ლატნებს უდებენ, **დონყაზს** ივრისხეობის ფშავლები **ორყაბაზს** უწოდებენ); 2. „შაკონვილ შემასაც **ჯინჯიბაჯს** ეძახიან“ (ს. ჯოშარა); 3. **ჯინჯიბაჯს** (ფიგურ.) სქელფეხება კაცსაც უწოდებენ. დაბერებულ-გადაყრუებული **გადაყამყრუებული** || **დაჯინჯიბაჯებული, ყრანტი, გონდაკარგული, სიტყვადაკარგულია**.

ჯიჯიტა – 1. გახვრეტილი გამომცხვარი პური; 2. დაგრეხილი წნელისაგან ამოწნული პატარა რგოლი. **დაჯიჯიტავებული** – რკალისებურად რქებდაგრეხილი (მაგ. ჭედილა).

ჯურუმი, ჯურუმა – 1. ჯარიმა რაიმე ადათ-წესის დარღვევის გამო; 2. დაჯარიმება ზედმეტი სასმისით, ან დიდი სასმისით დაღვეინება.

#179#

XII თავი – ფშაური ლექსიკის დარგობრივად შესწავლის მნიშვნელობისათვის

დიალექტური ლექსიკა სალიტერატურო ენის მასაზრდოებელი, მისი ლექსიკური შედგენილობის დახვეწისა და განვითარება-გამდიდრების ძირითადი წყაროა. სპეციალურ ლექსიკასთან ერთად იგი საერთო-სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

დიალექტური ლექსიკის და, საერთოდ, დიალექტთა მონაცემებს განუზომელი მნიშვნელობა აქვს სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიის შესასწავლად. ისტორიისათვის კი, ცხადია, ფასეულია როგორც ძველი ქართული ენის ლექსიკური ფორმები და ენობრივი მოვლენები, ასევე ახალი, განსხვავებული ლექსიკური ერთეულები და ენობრივი ფაქტები, რომელთა თავშესაფარიც მეტ-ნაკლები ოდენობით დიალექტებია.

ენის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს, რომ კილო-თქმათა მდიდარი ენობრივი საგანძური გამოვავლინოთ და შევისწავლოთ. შევისწავლოთ ადგილებზე, რეგიონული ექსპედიციების საშუალებით და მწერალთა თხზულებებში აღბეჭდილი მასალების მიხედვითაც.

დღეისათვის ძალზე აქტუალურია მოსაზრება, რომ „ქართული ენის დიალექტების გარმატიკული წყობისა და ლექსიკური შედგენილობის საფუძველიანი შესწავლა წარმოადგენს ქართული დიალექტოლოგიის მნიშვნელოვან და პირველხარისხოვან ამოცანას, რომლის განხორციელების გარეშე შეუძლებელია ქართული ენის რიგი საკითხების წარმატებით კვლევა“ (119, 12).

თვით დიალექტური ლექსიკის სრულად წარმოჩენისა და საფუძველიანი ანალიზის მიზნით მისი დარგობრივად შესწავლისა და სემანტიკური ბუდეების მიხედვით გამოვლენის უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით უკვე დადგენილია (179, 193). ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მეურნეობის ამა თუ იმ დარგთა და ხალხის ყოფის ამსახველ მოვლენებთან დაკავშირებული რიტუალების თანმიმდევრული შესწავლა და აღწერა. ასეთი აღწერის საშუალებით გამოვლენილი მასალა უფრო მისაწვდომი და გასაგებია, ამავე დროს, ეთნოგრაფიულადაც ფასეულია, და, რაც მთავარია, სხვადასხვა დიალექტური წრიდან მომდინარე ლექსიკური მარაგის ურთიერთობაზე, მათ შორის იდენტურისა და განსხვავებულის ხარისხის შესახებ დამაჯერებელი მოსაზრებების გამოთქმის საფუძველს გვაძლევს.

#180#

რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, ე.ი. დიფერენცირებულია იგი, მით უფრო საგრძნობია დარგობრივისა და საერთოენობრივის განსხვავება ლექსიკაში. ამავე დროს, საზოგადოებრივი განვითარება ინტეგრაციას, ე.ი. სხვადასხვა ენობრივ ჯგუფთა ურთიერთობასაც, გულისხმობს. ამიტომ დარგობრივი ლექსიკის საერთო ენასთან დამოკიდებულებას მხოლოდ ცალმხრივი მიმართულებით ვერ განვსაზღვრავთ. მხედველობაში უნდა მივიღოთ უკუკავშირი, ინტერდიალექტიზმს რომ განაპირობებს (145, 130).

ცნობილია, რომ ისტორიული დიალექტოლოგია წარმოუდგენელია დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიის მიერ ამჟამად მოპოვებულ დიალექტურ ლექსიკურ მონაცემთა ქრონოლოგიური კორექტირებისა და სემანტიკური მრავალფეროვნების გათვალისწინების გარეშე (198, 34), რაც ლექსიკური ღირებულების სრულყოფილი დადგენისა და დეტერმინაციის საშუალებას იძლევა. ამდენად, საშური, რომ დროულად და სრულად იქნეს გამოვლენილი ქართული ენის ყველა დიალექტის ლექსიკური მონაცემები, რაც ამა თუ იმ დიალექტურ არეალში მცხოვრებთა ყოველდღიურ სამეურნეო საქმიანობასა და ყოფასთან არის დაკავშირებული.

საერთოენობრივ ლექსიკაში დარგობრივი დიალექტური ლექსიკიდან შედის მოცემული დარგის პროდუქტი – ის, რაც საერთო მოხმარებისაა, და, ამდენად, საინტერესოა მთელი ენობრივი კოლექტივისათვის. რაც შეეხება ამ პროდუქტთა დასამზადებლად სამეურნეო საქმეში ჩაბმულ პირთა მეტყველებას, მათ მიერ სათანადო სიტყვა-გამოთქმების გამოყენებას, ჩვეულებრივ მხოლოდ მოსაქმეთა ვიწრო წრეს არ სცილდება და მათი მეტყველების ენობრივ თავისებურებებს განსაზღვრავს ენათმეცნიერული თვალსაზრისით კი სწორედ ეს დიალექტური გარემოა საშური შესასწავლი, რათა საერთო ლექსიკურ ფონდში დიალექტური ლექსიკის ჩართვა დროულად მოხდეს. ამას ემატება ისიც, რომ

საერთოებრივ ლექსიკურ ფონდში შედის დიალექტური ლექსიკის ის ელემენტები, რაც ასახულია ამა თუ იმ კუთხის ხალხის ყოფით მოვლენებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სარიტუალო ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში, ზღაპრებსა თუ ლეგენდა-თქმებში (შდრ: 146, 234).

#181#

ამ მხრივ საყურადღებოა ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემები, რაც კუთხური ლექსიკის აუწყველ საუნჯეს შეადგენს და ბევრი მათგანი ჯერხნობით სრულყოფილად არ არის შესწავლილი და კვალიფიცირებული რეგიონულ მონაცემთა გაუთვალისწინებლობის გამო. ფშაური დარგობრივი ლექსიკის გამოწვლილვითი აღნუსხვა, განსხვავებული ლექსიკური ერთეულებისა და მნიშვნელობების სრულად გამოვლენა – კლასიფიცირება და მათი ლოკალიზაცია კი ხელს შეუწყობს ქართული ენის კილო-თქმების არეალურ შესწავლას, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიალექტოლოგიური ატლასის შექმნისათვის. დაბოლოს, აღსანიშნავია, ისიც, რომ ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ დიალექტურ მოვლენათა გავრცელების მასშტაბები, წარმოვაჩინოთ ლექსიკურ ერთეულთა რეგიონული და დიაქრონული დახასიათება, განვსაზღვროთ ენის ისტორიის ცალკეული საკითხები და შუქი მოვფინოთ ქართველი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის მნიშვნელოვან საკითხებს.

ფშავში მეურნეობრივი წარმოების მრავალფეროვნებამ განსაზღვრა ამ კუთხისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ფონდის სიმდიდრე, რაც, ბუნებრივია, ძირითადად დარგობრივ ლექსიკაში აისახება. ფშაური ლექსიკის ფასეული ნიმუშები შემონახულია ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაში, სამეურნეო ურთიერთობების ამსახველ ხალხურ ქმნილებებში, საკულტო რიტუალებისა და ჩვეულება-რწმენისადმი მიძღვნილ ლეგენდა-გადმოცემებში.

დღეისათვის ფშაური დიალექტის ლექსიკური დიფერენციაციის უარყოფა ფშაურის გავრცელების სხვადასხვა რეგიონს შორის ბოლომდე გასაზიარებელი არ ჩანს, ეს კი საყურადღებოა აღნიშნული დიალექტური ერთეულის სინქრონიული შესწავლის თვალსაზრისით, რაც ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის ანალიზით დასტურდება (იხ.: ფშაური ლექსიკის რეგიონული დახასიათების პრობლემა).

ზემოთქმულის თანახმად გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დიალექტურ თავისებურებათა დროულ შესწავლას და გამოვლენას, განსაკუთრებით დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა შეკრება-ფიქსაციას და მათ ლოკალიზაციას ცალკეულ რეგიონთა მიხედვით, რაც გულისხმობს ადგილობრივი მეტყველების თავისებურებათა რეგიონულ, სოფელ-სოფელ გამოკვლევას, ტექსტების ჩაწერას და დარგობრივი ლექსიკური მასალის შეგროვებას.

#182#

ზემოაღნიშნული აუცილებელი წინაპირობაა დიალექტოლოგიური ატლასის შედგენისათვის. ყოველივე ეს კი ქართული დიალექტოლოგიის უპირველესი ამოცანაა დღევანდელ ეტაპზე (95, 184; 119, 17; 198, 32).

ცნობილია, რომ სიტყვა ყველაზე ცვალებადი ერთეულია ენისა. ცვლილება ეხება სიტყვის როგორც გარეგან, ფორმოზრივ, ასევე შინაგან – შინაარსოზრივ, სემანტიკურ, მხარეს. ამიტომ სიტყვის შესწავლა საინტერესოა როგორც ფორმათა საწარმოებელ სტრუქტურულ ელემენტთა შესწავლის, ასევე სემანტიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

ლინგვისტური ანალიზის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად საკუთრივ სემანტიკურ კლასიფიკაციად მიიჩნევა საერთო-ენოზრივი ლექსიკური ფონდისა თუ დიალექტური ლექსიკის დანაწილება სემანტიკურად შემოფარგლულ ჯგუფებად. აღსანიშნავია, რომ სადღეისოდ სხვადასხვა ენისა და დიალექტის მასალაზე ამგვარი დაჯგუფების ცდები სულ უფრო და უფრო იზრდება, თუმცა ჯერ კიდევ შემუშავებული არ არის სიტყვათა თემატური დაჯგუფების საყოველთაოდ გაზიარებული პრინციპები, დიდია სუბიექტური ფაქტორის როლი.

ცნობილია, რომ სემანტიკურ კლასიფიკაციას თემატიკურად დაჯგუფებული სიტყვების სახით ძვ. ბერძნები იდეოლოგიურ (იდეოგრაფიულ) ლექსიკონს, „ონომასტიკონს“ უწოდებდნენ, რაც ლექსიკური კლასიფიკაციის ამ პრინციპის არქაულობაზე მიგვანიშნებს. თუმცა, სემანტიკური კლასიფიკაციის ამგვარი სქემაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სრულფასოვნად აღიწეროს ენის ლექსიკური ფონდი: „თითოეული სიტყვა, თუნდაც მონოსემიური, სულ სხვადასხვა ცნების ფარდი შეიძლება აღმოჩნდეს, ისევე როგორც თითოეული ცნება შეიძლება ნაირნაირი სიტყვებით გადმოიცეს“ (147, 152-153).

ყველა შემთხვევისათვის ამოსავალი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ სიტყვის მნიშვნელობა საგანთა მიმართებაა და, ამდენად, თუ გავითვალისწინებთ ცნებისა და სიტყვის მნიშვნელობის ურთიერთმიმართების საფუძველს, შეიძლება ითქვას, რომ თავისთავად სიტყვის მნიშვნელობასა და ხალხში შემუშავებულ ცნებასაც საგანი განსაზღვრავს.

რ. ჰალიგისა და ვ. ვარტბურგის მიერ შემუშავებული სიტყვათა თემატიკური დაჯგუფების პრინციპის, ანუ „ცნებათა სისტემის სქემის“ მიხედვით, პიროვნული „მე“-სა და „საგნოზრივი სამყაროს“ დაპირისპირების საფუძველზე (სამყაროსადმია მიმართული ჩემი, „პიროვნებისეული“ აღქმა, წარმოდგენა, აზრი, მისწრაფებები და გრძნობები) შეიძლება ცნებები განლაგდეს ისე, რომ ყველაფერი გაერთიანდეს სტრუქტურულ მთელში „ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ლოგიკის“ შესაბამისად ისე, რომ გაადვილდეს ენის სტრუქტურაში გარკვევა (შდრ: 147, 154; 229).

რ. ჰალიგისა და ვ. ვარტბურგის ნაღვაწის გარდა, ამ მიმართებით ასევე აღსანიშნავია როჟეს „ინგლისური სიტყვებისა და ფრაზების საუნჯე (თეზაურუსი)“ (230), რომელიც სიტყვათა თემატიკური დაჯგუფების პირველი ცდაა და ეს ნაშრომი შემდგომ რამდენიმე ენის ლექსიკონისათვის იქნა გამოყენებული.

ასევე უნდა ითქვას შარლ ბალის (227), ფ. დორნზაიფის (228) შემოქმედებითი მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებაც.

ზემოაღნიშნულს თუ განვიხილავთ საზოგადოებრივი და ენოზრივი ერთიერთობის საფუძველზე. შემაჯამებელი თეზისის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლექსიკის უძველესი ფენის მიმოხილვა, ჩვეულებრივ, სემანტიკურ ჯგუფებად ხდება. ეს სემანტიკური ჯგუფები გადმოსცემენ იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც სავარაუდოდ, აუცილებელია ყოველი

საზოგადოების არსებობისათვის. თვით სემანტიკური ჯგუფების გამოყოფა კი, ცხადია, ემყარება სიტყვათა მნიშვნელობებს საგნობრივი მიმართების მიხედვით.

ქართულ ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში ამ თვალსაზრისის მიხედვით აღსანიშნავია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“. ლექსემათა ანალიზის დროს ლექსიკოგრაფი არ დალატობს ლოგიკურ პრინციპს – „სახეობით ცნებებს გვარობითის ბუდეში აჯგუფებს და ბუდის გარეთაც განმარტავს მათ ლოგიკური განსაზღვრის ანალოგიურად, ე.ი. შეძლებისდაგვარად იძლევა ლექსიკური ფონდის საკუთრივ – სემანტიკურ კლასიფიკაციას“ (147, 161).

დავძენთ, რომ ამ მხრივ მუშაობის გაგრძელება აუცილებელი და საჭიროა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბას ნაღვაწი არ მოიცავს ენის მთელ ლექსიკურ ფონდს (რამდენადაც შეიძლება განვსაზღვროთ მისი სისრულე, რასაკვირველია, პირობითად).

#184#

ლექსიკის შეძლებისდაგვარად სრული თემატიკური ჯგუფების შექმნა და შემდგომ მათი შესწავლა-ანალიზი მომავლის საქმეა. ამ მიმართებით მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს დარგობრივი აღწერა ქართული ენის დიალექტების ლექსიკისა. კუთხური ლექსიკის სწორედ ამგვარი აღწერის მიხედვით მოგვეცემა საშუალება ენისა და საზოგადოების მჭიდრო ურთიერთობის სრულფასოვანი გამოვლენა-დახასიათებისა. ეს კი თავისთავად გულისხმობს ქართული ენის ლექსიკის საფუძვლიან შესწავლას, ლექსიკური ფონდის აგებულების გამოვლენა-ანალიზს ქართულ ენობრივ საზოგადოებაში შემავალ ცალკე ჯგუფთა მოსაქმეობის გათვალისწინებით.

სპეციალური და საერთო ლექსიკის ურთიერთობაში ასახულია მწარმოებლისა და მომხმარებლის ენობრივი დამოკიდებულება სათანადო საგნებთან (მოხმარების პროდუქტებთან) და მოვლენებთან (მოხმარების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო და მის თანმდევ ქმედებებთან). სწორედ ამ მოსაქმეობასა და სამეურნეო ყოფის ამსახველ სხვადასხვა პროცესთან დაკავშირებულ სიტყვა-გამოთქმებში (ტერმინებში) ვლინდება კუთხური და პროფესიული ლექსიკის ის თავისებურებანი, რაც შემდგომ საერთოენობრივი ლექსიკური ფონდის მახასიათებლებადაც შეიძლება იქცეს.

თავის მხრივ სპეციალური ლექსიკა ვერ გაუტოლდება საერთო სასაუბრო ენის ბირთვს, იგი არ ქმნის სპეციფიკურ სრულ ლექსიკურ სისტემას, განსხვავებულს საერთო ენისაგან. სპეციალური ლექსიკის სიტყვები საერთო ენის სპეციფიკურ დანართს წარმოადგენენ... სპეციალური ლექსიკა საერთოენობრივი ლექსიკის ნაწილია (შდრ.: 147, 218).

ქართული ენის ლექსიკურ ფონდში სპეციალური ლექსიკიდან მრავლად არის შესული სამეურნეო ყოფის ამსახველი სხვადასხვა დარგის სიტყვები, რომლებიც უპირველესად დარგობრივი ლექსიკის კუთვნილებას წარმოადგენენ. თუ ქართული ენის ლექსიკას ამ თვალსაზრისით გულდასმით შევისწავლით, ამგვარ სპეციალურ სიტყვებს თავს მოვუყრით, დარგობრივად დავაჯგუფებთ და ასევე გამოვავლინებთ დარგობრივად შესწავლილი კუთხური ლექსიკის ნიმუშებს, მაშინ ხელშესახები გახდება მონაცემი სპეციალური და დიალექტური

#185#

დარგობრივი ლექსიკის მონაწილეობისა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ქართული ენის პოლივალენტოვნებას (173^b, 264). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული ენა მრავალმხრივი ღირებულების მქონეა მოხმარების თვალსაზრისით. სწორედ ეს ფაქტია უკუფენილი ქართული ენის ლექსიკურ ფონდში, რომელსაც მოეპოვება უაღრესად მდიდარი მასალა საზოგადოებრივი ყოფის შესაბამისი დარგებისა თუ ისტორიული პირობების ამსახველი მოვლენების გამომხატველი ცნებების სახელწოდებათა სახით (შდრ.: 147, 230-233).

ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ „ყველაზე ჩამოყალიბებულ ლექსიკურ ჯგუფებს პროფესიული ლექსიკა ქმნის, მაგრამ მოსაქმეობის ამა თუ იმ სახეობასთან დაკავშირებითაც ვლინდება რიგი ლექსიკური თავისებურებებისა, რომელთა შესწავლას ლექსიკოლოგია გვერდს ვერ აუვლის“ (147, 210).

უნდა ითქვას, რომ ენობრივი კოლექტივის სამეურნეო ყოფასა და მის გამომხატველ საქმიანობასთან დაკავშირებული ლექსიკის დაჯგუფება-შესწავლა, შეიძლება ითქვას, დამახასიათებელი ხდება ქართული ლექსიკოლოგიისათვის და, ვფიქრობთ, რომ უაღრესად აქტუალურია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების დღევანდელ ეტაპზე. მუშაობა ამ მხრივ დაწყებულია, თუმცა გასაკეთებელი ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრია. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში აღწერილ-დახასიათებულია სამეურნეო ყოფის ამსახველი ზოგი დარგის ლექსიკა (ო. კახ., 108; ლ. ასათ. – 197^b). რამდენიმე ნაშრომი ეძღვნება დიალექტური ლექსიკის მთლიან მიმოხილვას დარგობრივად. ამ მხრივ აღსანიშნავია ხევსურულის (ალ. ჭინჭარ. – 179), მთიულურის (ლ. კაიშ. – 106), ქართლის ცალკეული კუთხეებისა (თ. სალარ. – 137; ნ. სააკ. – 136^a, 136^b) და სხვა კერძობითი ხასიათის მრავალი სამეცნიერო ნარკვევი (121, 111, 182, 184, 185 და სხვ.), მათ შორის ფშაურის შესახებაც (44; 47; 48; 50; 51; 53; 54; 55; 56; 57; 62; 63; 68; 69; 73; 74; 76; 83...).

ამგვარი ნაშრომების შექმნა აუცილებლად გვესახება იმ თვალსაზრისით, რომ თანდათან გავარკვიოთ თანამედროვე საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდთან დიალექტური წარმომავლობის ლექსიკის ურთიერთმიმართების საკითხი, განვსაზღვროთ, თუ რა ადგილი #186#

უჭირავს რაოდენობრივად საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდში დიალექტურ ლექსიკას. ამა თუ იმ კუთხიდან გამოსული მწერლების თხზულებათა ენის შესწავლასთან ერთად ამგვარ ნაშრომებს გადამწყვეტი როლი ეკისრებათ ზემოაღნიშნული საკითხის გადაჭრაში, რამდენადაც ისინი წარმოგვიდგენენ როგორ საკუთრივ ლექსიკურ, ასევე სემანტიკურ დიალექტებს (სიტყვებს, რომლებიც საერთო ენაშიც არსებობენ, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ) მათი გამოვლინების ორივე სახით, როგორცაა: შენაცვლებადნი (დიალექტური დუბლეტები, შენაცვლებადი მონოსემიური ნაწარმოები სიტყვები) და შეუნაცვლებელნი (დუბლეტის არმქონენი საერთო ენაში, ანუ შეუნაცვლებელი ნაწარმოები მონოსემიური სიტყვები, რომლებიც საერთო ქართული ელემენტებითა და საერთო ქართული წესით არიან შექმნილნი დიალექტებში).

ისტორიულ-შედარებითი დიალექტოლოგიის და ენის ისტორიის თვალსაზრისით სწორედ დარგობრივი წესით მოპოვებული დიალექტური ლექსიკური მასალაა საინტერესო,

რადგან ჩვენი ეპოქის ნიშანდობლივი პროცესი – ურბანიზაციის მოძალემა მთას დღეს განსაკუთრებით დაეტყო და მთის კილოთა ფასეული, მათ შორის ფშაური, ლექსიკური ერთეულების სემანტიკური მრავალფეროვნების გამოკვეთა რეგიონული მონაცემების გათვალისწინებით ამჟამად ძალზე ჭირს, რადგან, ჯერ ერთი, თვით ფშავლები ცხოვრობენ ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებულ ადგილებში და, მეორეც, ბარისა და მთის მომიჯნავე დიალექტებთან გაძლიერებულმა კონტაქტმა უხვად განავითარა ფშაურში როგორც მორფოლოგიურ თუ ფონოლოგიურ, ასევე ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ურთიერთმონაცვლე ვარიანტები, რაც უმეტესად დარგობრივ ლექსიკაში აისახება და ამა თუ იმ დარგთან დაკავშირებულ მოსაქმეთა ვიწრო წრის მეტყველებაში იჩენს თავს.

დღევანდელი ფშავის მეურმეობრივი წარმოების მრავალფეროვნებამ განაპირობა ის, რომ მდიდარი ფშაური ლექსიკა სიტყვების მნიშველობათა დადგენის მაქსიმალური სიზუსტის სემანტიკური მრავალფეროვნების გამოვლენისა და საერთოდ, ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთმიმართების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღება იქცევს #187#

მეურნეობის ისეთი დარგების თანამიმდევრულად აღწერით, როგორცაა: მიწათმოქმედება, მესაქონლეობა-მეცხოველეობა, მემინდვრობა, თიბვა. მრავალფეროვანია აგრეთვე სოციალურ ურთიერთობათა ამსახველი, ნათესაობისა და ადამიანის თვისებების, ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი და დაავადება-ავადმყოფობისა და სამკურნალო მცენარეთა ლექსიკა, ასევე საწესჩვეულებო ყოფიერების ლექსიკა, სამეურნეო და საოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინები, შრომის იარაღებისა და საქმელ-სასმელთა სახელები და სხვ., რომელთაც დიდი მნიშველობა აქვთ ქართული ენის ლექსიკის გამდიდრებისა და მისი ისტორიის სრულფასოვანი შესწავლის თვალსაზრისითი. ბევრი მათგანი თავისებური შედგენილობით იქცევს ყურადღებას და, ამასთანავე პირვანდელ სახეს ამჟღავნებს. ამიტომაც ფშაური ლექსიკა ჩვენ დარგობრივად შვისწავლეთ და შევეცადეთ, რაც შეიძლება სრულად აგვეწერა ფშავისთვის დამახასიათებელი მეურნეობის ყველა დარგი. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეთა სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული საქმიანობა საქართველოს მთიანეთში მეტ-ნაკლებად ჰგავს ერთმანეთს და, ამდენად, მეურნეობის ძირითად დარგებთან დაკავშირებული ლექსიკის მიმართება მთის სხვა დიალექტების ამავე დარგების ლექსიკასთან დაგვეხმარება გავარკვიოთ, რა არის მათ შორის საერთო და რაა საკუთარი ჩვენთვის საინტერესო დიალექტისა.

რამდენიმე წლის მანძილზე სისტემურად, თითქმის ყოველ წელიწადს ვაგროვებდით ტექსტობრივ მასალას და აღვწუსხავდით ფასეულ ლექსიკურ ნიმუშებს. მოვიარეთ ფშავლებით დასახლებული თითქმის ყველა რეგიონი და მასალა მოვიპოვეთ სხვადასხვა სახის ჩანაწერების სახით, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ლექსიკურ ერთეულთა ლოკალიზაცია – კვალიფიცირება რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით. ლექსიკურ-სემანტიკურ ურთიერთმიმართებათა გამოსაკვეთად, რამდენადაც ამის საშუალებას ნაშრომის მოცულობა იძლევა, მოპოვებული მასალა შედარებული გვაქვს ქართული ენის სხვა დიალექტთა (უფრო ინტენსიურად მთის დიალექტთა) ლექსიკურ მონაცემებთან.

რა თქმა უნდა, ამგვარ ნაშრომს სისრულის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს და არცა

#188#

აქვს, რამდენადაც ლექსიკა ჩაკეტილი სისტემა არ არის: „იგი განუწყვეტლივ იცვლება დროში, განუწყვეტლივ იცვლება მისი კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულება“ (146, 234). ამიტომ, ენობრივი საუნჯის – კილოური მეტყველების აუწყავი მარაგის აბსოლუტური გამოვლენა-აღნუსხვა პრაქტიკულად მიუწვდომელია, ჯერ ერთი, სიტყვათა მნიშვნელობის და საერთოდ დიალექტური თუ საერთოენობრივი ლექსიკური ფონდის მუდმივი ევოლუციის გამო და, მეორეც, საველე მუშაობის დროს ყოველთვის როდია შესაძლებელი თითოეული სიტყვის ყოველი ნიუანსის გათვალისწინება, ლექსიკური ერთეულების შეკრება-ფიქსაციის რამდენადმე ხელოვნური პროცესის, ბუნებრივ, სასაუბრო გარემოდ გარდაქმნა და აღქმა. ამდენად, შესაძლებლობა განსაზღვრავს შედეგს: ის, რაც უშუალოდ ბუნებრივი კონსიტუაციისათვის არის დამახასიათებელი და ბუნებრივ გარემოში ითქმის, საგანგებო დაკვირვებისა და კვლევის დროს ყოველთვის როდი მოიხელთება და აღიქმება იმავე სახით. ფიქსაციისა და შემდგომ შესაბამისი ანალიზის გარეშე კი ლექსიკურ-სემანტიკურ ურთიერთობათა განსაზღვრა, ბუნებრივია, შეუძლებელია (მდრ.: 146, 234). ამრიგად, მდიდარი ენობრივი საუნჯე – დიალექტური ლექსიკა მუდმივი დაკვირვებისა და საფუძვლიანი კვლევა-ძიების საგანი არის და იქნება თავისი ევოლუციური ბუნების გამო. ფშაური დარგობრივი ლექსიკის ნიმუშებისადმი ყურადღება და გულმოდგინება კი არ დაგვიკლია წლების მანძილზე არაგვისა თუ ივრის ხეობის ფშავის ცალკეულ სოფლებში უბან-უბან, ხევ-ხევ, თუ შარა-შარა წელიწადის სხვადასხვა დროს ნებისმიერ ამინდში ჩატარებული გამოწვლილვითი მუშაობის დროს, იქნებოდა ეს მეცხვარეთა ბინები, „სამთოები“, „კარისპირულები“, „სამწვრები“, სათიბები, კალოები, ხატობები თუ სხვადასხვა საწესჩვეულებო რიტუალები.

ფშაური დარგობრივი ლექსიკის არეალურ შესწავლას ჩვენ მრავალი წელი მოვანდომეთ. საკითხის კვლევასა და საველე მუშაობას შევუდექით 1972 წლიდან. რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით განხილული გვაქვს მიწათმოქმედების, მემინდვრეობის, პურეულის, მარცვლოვან-პარკოსან მცენარეთა და პურეული პროდუქტების; თიბვისა და ბალახეულ მცენარეთა; მესაქონლეობა-მეცხოველეობის; ბუნების მოვლენების; სოციალურ ურთიერთობათა და ადამიანის ხასიათ-თვისებების; დაავადება-ავადმყოფობისა და

#189#

სამკურნალო მცენარეთა აღმნიშვნელი; საწესჩვეულებო (სულიერი კულტურა, რწმენა-წარმოდგენები, საკულტო რიტუალი და მაგიური ქმედებანი); მშენებლობის, შეშისა და ცეცხლის; მეფრინველეობის; მეფუტკრეობის, მებოსტნეობა-მებაღეობისა და მეხილეობის, აბჯრის ლექსიკა.

მოპოვებული მდიდარი დიალექტური დარგობრივი ლექსიკური მასალის ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება გამოვავლინოთ:

1. სიტყვათა ექსტენსიონალზე დამოკიდებული ჰიპონიმია, ჰიპონიმის პრინციპი – ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვის მიერ უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვის დაქვემდებარება, რომლის დროსაც ცალმხრივ იმპლიკაციასთან გვაქვს საქმე: წვერი (მაგალითად, „იაზო“) გულისხმობს იმ მნიშვნელობას,

რომელიც კლასისათვის („ცხენი“) არის დამახასიათებელი და სწორედ ამიტომ არის იგი გაერთიანებული მოცემულ კლასში, მაგრამ „კლასი არ გულისხმობს თავისი წევრის მნიშვნელობას“ (125, 224).

კუთხური ლექსიკის დარგობრივად ასახვის დროს ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ბუდეების მიხედვით ასახვა-წარმოდგენისას მყარდება ჰიპონიმიური მიმართება: ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა იქვემდებარებს კერძო მნიშვნელობის მქონე სიტყვებს და ამ გზით წარმოიქმნება სუბორდინაციული მიმართება კლასსა (სემანტიკური ველი) და მის წევრებს შორის (ლექსიკური ერთეულები). მაგალითად, შდრ., ერთი მხრით, „ცხენი“ (კლასი) და, მეორე მხრით, ფშაურ დარგობრივ ლექსიკაში დადასტურებული ჰიპონიმიური მიმართებანი (წევრები): კვიცი, იაბო, და მისი სახეები: **გამქცევი || მორბოლი || მედოლე, გულიანი || ხანიერი, გულფთიანი; ულაყი, აჯილდა, ფაშატი || დედა ცხენი; საფერკე** და მისი სახეები: სრული, მატარებელი, ჩაქჩაქა; იორდა და მისი სახეები: **მატარებელი || ნაბიჯის იორდაი, გამალეზული; ჯაგლაგი || ლაჯლაჯა, უმანძილო, გაუხანო, რბილი ცხენი; საპალნე** და მისი სახეები: **ნაბიჯიანი ან ჩქარანაბიჯიანი** (იხ.: საჯდომი და საბარგე პირუტყვი).

ან კიდევ: **ძნა** (ძნების გროვა) – სემანტიკური ველი ფშაურში დადასტურებული მისი ჰიპონიმიური მიმართებანი: **ხადურა || ჯადურა || ჯანდოურა, რეულა, წერა, (ორფეკაის წერა, სამფეკაის წერა), მელეური, ხუთულა, || ჯუთულა** (იხ.: პურეულისა და მარცვლოვან-პარკოსან კულტურათა მოყვანა) და ა. შ.

#190#

„თუ ენის ლექსიკა მოწესრიგებული სიმრავლის შთაბეჭდილებას ტოვებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სემანტიკურ ველებსა და მის წევრებს შორის, ან თვითონ სემანტიკურ ველებს შორის სუბორდინაციის მიმართება გვაქვს“ (125, 225). ამ თვალსაზრისით დიალექტური ლექსიკის დარგობრივად შესწავლა გვეხმარება, რომ კუთხურ სიტყვათა მნიშვნელობების ინტერპრეტაცია მოვახდინოთ არა მხოლოდ სემანტიკური ველის დონეზე (რაც უფრო ზოგადია), არამედ საკუთრივ წევრების დონეზე (გამოწვლილვით, დამატებით მნიშვნელობათა გამოვლენა – ზუსტი კლასიფიკაციით). „ხშირად ჩვენ გვიჭირს არა მარტო ნასესხები, არამედ მშობლიური ენის სიტყვების ინტერპრეტაციაც კი კლასის წევრების დონეზე და ვკმაყოფილდებით მხოლოდ მათი ინტერპრეტაციით სემანტიკური ველების დონეზე ალბათ, ბევრმა ქართველმა არ იცის, თუ რა განსხვავებაა „ჰუნე“, „ტაიჭი“, „მერანი“, „რაში“ სიტყვებს შორის სემანტიკური თვალსაზრისით. მაგრამ, რადგანაც ყველა მათგანი „ცხენის“ მნიშვნელობას შეიცავს, ჩვენც ვკმაყოფილდებით მხოლოდ იმ საერთო ცოდნით, რაც ამ სიტყვებს აქვთ სემანტიკის დონეზე“ (125, 225).

სწორედ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას ითვალისწინებს დიალექტური ლექსიკის დარგობრივი შესწავლა არეალური თვალსაზრისით, რამდენადაც თვითონ „სემანტიკური ველის ექსტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე ამ ველში შემავალი სიტყვებისა, მაგრამ ერთ სემანტიკურ ველში შემავალი სიტყვების ინტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე თვითონ სემანტიკური ველისა“ (125, 224). ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ გამოწვლილვითი სემანტიკური ანალიზი ჰიპონიმიურ მიმართებას, ნაკლები ექსტენსიონალის მქონე

დიალექტური ლექსიკური ერთეულების გამოვლენას გულისხმობს ერთი (მოცემული) სემანტიკური ველის ფარგლებში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად, დიფერენცირებული საზოგადოების დროს, როდესაც უფრო საგრძნობია დარგობრივისა და საერთო ენობრივის განსხვავება ლექსიკაში. სამეურნეო თუ ყოფით საქმიანობაში ჩაბმულ მოსაქმეთა მიერ შემდგარი ნებისმიერი ენობრივი ჯგუფისათვის დამახასიათებელ სპეციალურ ლექსიკაში გამოიყოფა მძლავრი ფენა მოცემული საქმიანობის ამსახველი სემანტიკური ველის ფარგლებში სუბორდინაციული მიმართებით ერთმანეთთან დაკავშირებული ლექსემებისა. მაგალითად:

#191#

1. **თივა** – ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა, იგივე კლასი (სემანტიკური ველი) და მისი სუბორდინაციული მიმართებანი – კერძო მნიშვნელობის მქონე სიტყვები (წევრები, ერთეულები): **ხაწირი, ქოლა, ტვირთი, კირჩხა, სარი, ზვინი || საგორე || ჯავლი** (იხ. თიბვის ლექსიკა);

2. **ტუმი** – უქვო, ნოყიერი, კარგი მიწა – სემანტიკური ველი (იგივე კლასი) და მისი ჰიპონიმიური წევრები: **ნამსუქნი, მადლიანი, ნაზროხალი** (< ნამროხალი), **კელნაქნარი, ნამპლიანი, დედიან მიწა, გულის მამული || გულის მიწა, შამღებული მამული** (იხ. მიწათმოქმედების ლექსიკა) და სხვ.

შდრ. ასევე შეშისა და ცეცხლის ლექსიკიდან: **ხე** – კლასი (სემანტიკური ველი) და მისი სუბორდინაციული მიმართებანი (წევრები, ერთეულები): **ბოჯოლა, ბოჯოჯლი || ბოჯიჯლა, გამოკოკრვილი, გამოჩირთული, დაჭრებილი, ზეხმელი, კორჩხლიანი, მდგმოიარე, ნაყვერი, ჯიჯგი, ჯღანჯლი;**

3. **შეშა** – სემანტიკური ველი (კლასი) და მისი ჰიპონიმიური მიმართებანი: **მორი, მჭკნარი, ნათოსი, ნაკოდალა, ნარიყი, ნაწვერალა, ნაჭეჩი, ნიგზური, სათაურა || სათაურაჲ, საჯარე შეშა, პლახი || ნაჭევი, ძელა, ყუნჭი, ჩირები...**

ამავე დროს, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ საზოგადოებრივი განვითარება სხვადასხვა ენობრივ ჯგუფთა ურთიერთობის გაცხოველებასაც გულისხმობს,

2. ლექსიკურ ერთეულთა გავრცელების ძირითადი და ლატერალური არეალები: არაგვისა და ივრის ხეობის ფშაველთა მეტყველებისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულთა კლასიფიკაცია და მათი ლოკალიზაცია რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით, რაც გამოკვლევაში გზადაგზა, დარგობრივი ლექსიკის ამსახველ პარაგრაფებშია მოცემული და ამომწურავად ცალკე თავადაც არის წარმოდგენილი (იხ. ფშავური ლექსიკის რეგიონული დახასიათების პრობლემა). დარგობრივი ლექსიკის ამგვარი სახით შესწავლა და განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულთა გამოვლენა კი მნიშვნელოვანია, რამდენადაც ამ ამოცანის გადაჭრა ხელს შეუწყობს ქართული ენის კილო-თქმათა არეალურ შესწავლას.

3. დიალექტურ სხვაობათა ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურა: სიტყვათა პოლისემანტურობა, რაც სხვადასხვა შინაგანი თუ გარეგანი (ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური) ფაქტორის ზემოქმედების შედეგად სემანტიკური მოცულობის ცვალებადობას ითვალისწინებს.

#192#

ფშაური დარგობრივი ლექსიკის ამგვარი წარმოდგენა-განხილვის დროს ყოველ ცალკეულ პარაგრაფსა თუ თავში ასახულია არალინგვისტური ფაქტორები: რეგიონული მონაცემები – სიტყვის მნიშვნელობაში რეგიონული მომენტის გათვალისწინება (რაც სიტყვათა გეოგრაფიულ პროექციას ითვალისწინებს); ეთნოგრაფიული არეალები და, რა თქმა უნდა, ლინგვისტური ფაქტორებიც, როგორცაა: ა) სიტყვათა მნიშვნელობის ქრონოლოგიური კორექტირება; ბ) კონოტაცია; გ) სემანტიკური ძვრები; დ) რეინტერპრეტაცია.

ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინება ლექსიკური თვალსაზრისით მოცემული არეალის სრულყოფილი დიალექტოლოგიური დახასიათების წინაპირობაა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ზემოხსენებულ მოვლენათა გათვალისწინებით აღნუსხული ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემები, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ლექსიკური ღირებულების სრულყოფილი დადგენა და დეტერმინაცია, ამომწურავად განვმარტოთ მრავალი იშვიათი სიტყვა და იდიომური ერთეული, რაც კუთხური ლექსიკის საგანძურს შეადგენს; ბევრი მათგანის სემანტიკური მრავალფეროვნება კი ჯერ კიდევ სრულად არ არის დადგენილი და, ამდენადვე, არც სათანადოდ არის კვალიფიცირებული.

ამ მხრივ საინტერესოა დარგობრივ ლექსიკაში ასასული:

ა) ლექსიკონში შეტანილი და დახასიათებული სიტყვები, რომელთა დამატებითი, განსხვავებული ფშაური მნიშვნელობანი გათვალისწინებული არ არის და ამდენადვე, არც სიტყვის ლექსიკური ღირებულება და სემანტიკური პარალელებია სრულყოფილად წარმოდგენილი;

ბ) ლექსიკური სინონიმია, სინონიმურად მონაცვლე ლექსიკური ვარიანტების არსებობა თვით ფშაურში;

გ) ფშაურსა და სხვა დიალექტებში ერთი და იმავე მნიშვნელობით დადასტურებული ლექსიკური ერთეულები, რომელთა ფშაურში გავრცელებულობაზე დღემდე არ არის მითითებული;

დ) პოლისემანტური ლექსიკური ერთეულები მათი დამატებით, განსხვავებულ მნიშვნელობათა (სემანტიკური პარალელების) გავრცელების განმსაზღვრელი ტერიტორიის (დიალექტური არეალის) დადგენით;

#193#

ე) პოლისემანტური ლექსიკური ერთეულები რეგიონულ დაყოფას დაუქვემდებარებელი, თავისუფლად მონაცვლე დამატებითი, განსხვავებული მნიშვნელობებით (სემანტიკური პარალელებით);

ვ) დღემდე აღუნუსხავი სიტყვები და იდიომური გამოთქმები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს კილო-თქმათა მდიდარი ენობრივი საგანძურისა და ენის ისტორიის შესწავლისათვის.

საველე მუშაობის დროს მოპოვებული, დარგობრივ ლექსიკაში ასახული და აღნიშნული ფაქტორების მიხედვით კვალიფიცირებული ფშაური ლექსიკის საინტერესო

ნიმუშებს ამჯერად წარმოვაჩინოთ წყლით მბრუნავი წისქვილისა და მეწისქვილეობის ლექსიკის ანალიზის მიხედვით.

წყლით მბრუნავი წისქვილის ფშაურ ლექსიკაში შემონახულია ბევრი სიტყვა, რომელიც დღესაც დამახასიათებელია ადგილობრივი მეტყველებისათვის და მრავალი მათგანი სპეციალურ ლექსიკონებშიც არის შეტანილი: **ალატი** (ქართლ., ფშ., ხევს, მოხ., თუშ.) – ხის ყუთი, რომელშიც ფქვილი ჩადის; **ბუჭულა** || **ბუჭურა**, იგივე **ჭურულა** – პატარა წისქვილი; **დაკვლი** (ხევს., ფშ.) – ნამწვრის ფერფლი; ფირფლი; **ნაჭლიკა** – ხის ღარი, საიდანაც საფქვავე წისქვილის ყელში ჩადის. ამავე მნიშვნელობით დასტურდება ხევსურულშიც. მისი მთიულური შესატყვისია **ნავი**, მოხეური – **ნაველა**; **სარუე** – არხი, რომელშიც წყალი მიედინება (შდრ. ასევე: .მოხ.), **საჟური** – ერთი წყლის რუს შემდეგ გაკეთებული მცირე რუ, იმ წყლის წასაყვანად, რაც პირველ რუს გასდის; **სადორე** (ხევს., ქართლ., მთიან., მთიულ.) || **სადვარე** – ქვედა სართული წისქვილისა; **ფირქლი** – ძალიან მცირე, ერთი ბეწო; **ფშანტალა** – ძალიან რბილი ქვა; **ქრიჯა** || **ქრიჯაი** (ფშ., ხევს., თუშ.) – ალატიდან ფქვილის ამოსაღები ნიჩაბი, ჩამჩა.

მრავალი ლექსიკური ერთეული მნიშვნელობის მხრივ საერთოა სხვა დიალექტებთან, სპეციალურ ლიტერატურაში ზოგი მათგანი ფონეტიკური სახესხვაობით არის დამოწმებული და მიჩნეულია სხვა კუთხის კუთვნილებად, სინამდვილეში ფშაურშიც გვხვდება. ასევე არ არის ფიქსირებული სხვა დიალექტებთან ფორმით ერთნაირი, ხოლო შინაარსით განსხვავებული ლექსიკური ერთეულები, მათი სრული გამოვლენა-აღნუსხვა კი შესაძლებლობას მოგვცემს ეთნოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით ზუსტად #194#

განვსაზღვროთ დიალექტების გავრცელების არეალები და შესაბამისად მოვახდინოთ დიალექტური ლექსიკის კლასიფიცირება და ლოკალიზაცია.

ალატი (მთ., მოხ., თუშ., ხევს.) – საფქვილე ხის ყუთი, რომელშიც ახლად დაფქული ფქვილი ჩადის. ამავე მნიშვნელობით დასტურდება იგი ფშაურშიც.

კოდის წისქვილი. ფიქსირებულია ამ ლექსიკური ერთეულის (გურ. და იმერ.) მნიშვნელობანი: ერთთვლიანი პატარა წისქვილი. ღარის ქვემოთ ჩადგმული აქვს ხის კოდი, სადაც წყალი ღარიდანვე ეცემა ბორბალს და ატრიალებს; ღარის ნაცვლად ძალზე დაქანებული ქვის ან ხის მილი აქვს, წყალი ცოტა უნდება. **კოდის წისქვილი** ფშავშიც ყოფილა გავრცელებული. ეს არის წისქვილი, რომლის საღვარეშიც წყალი კოდით (ან კოდებით) მიედინება. იგი იყო ორნაირი: კოდის სათავე ჰქონდა ფართო, ბოლო კი – ვიწრო. ეს იყო **ღარის კოდი**. მეორენაირი კოდი იყო როგორც კასრი, მოკლე. რამდენიმეს გადააბამდნენ ხოლმე ერთმანეთს. „**კოდის წისქვილი** იქ იციან, საცა ბატარა წყალ მიდის. წინა ფშავში იცის, ვანჭვეშიაც არის, ძველად აქაც ყოფილა“ (ს. მუქო, პ. კუწაშვილი).

სამაქნენი (< სამანქნენი), იგივე მანქანანი (მთ., ხევს.) – წისქვილის ამწევ-დამწვევი მოწყობილობა.

სარეკელა (ხევს, იმერ., ზ. აჭარ.) – ხის პატარა, თავკომბალის ფორმის პალო, რომელიც ერთი ნაპირით (თავით) დოლაბზე ძევს, ხოლო მეორეთი ნაჭლიკასთან არის შეერთებული. წისქვილის ტრიალისას **სარეკელა** ხტუნაობს, არხევს ნაჭლიკას და ეს იწვევს მარცვლის

თანაზომიერ დენას წისქვილისაკენ. ეს ლექსიკური ერთეული ფშაურშიც ამავე მნიშვნელობით დასტურდება, ოღონდ, აღსანიშნავია, რომ ნაჭლიკას უკავშირდება **სარეკელას ხმალი**, რაც სპეციალურ ლიტერატურაში ჯერხნობით აღნიშნული არ არის, ბაჩანასთან სარეკელას სინონიმად **კუკნი** გვხვდება: „ზოგი ბუჭულა დამდგარა, **კუკნს** აღარ აკაკუნებსა“.

სარუე (ხევს.) – წისქვილის წყლის არხი. ასევეა ფშაურშიც: სარუე არხია, რომელშიც წისქვილის მამოძრავებელი **წისქვილის წყალი** მოედინება.

ყივილი (ხევს.) – როცა წისქვილს საფეკავი შემოაკლდება და ქვა ცარიელი ბრუნავს, იმაზე იტყვიან. ასევეა ფშაურში. ამ დროს წისქვილი შეიძლება „გახურდეს, გასქდეს“ და სხვ. #195#

ბაქანი – სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული მნიშვნელობის გარდა, აქვს განსხვავებულიც: საჩეჩლის ხის რკალი (ქსნის ხეობ.). აღნიშნული ლექსემა ფშაურში წისქვილის ბორბლის **ფთის** (< ფრთის) შემადგენელი ნაწილია: **ფთას** აქვს **ბაქანი** და **ყბა**, ხოლო ზურგის მხარეს სიმაგრისათვის აქვს **გვერდი**, წყალმა რომ არ გატეხოს და მალე არ დაილიოს.

გულთაცვევნა, გულის გამაგრება – ძირის წისქვილში ღერძის ირგვლივ ადგილი – **საღერძე** ამოვსებულია ხის ორი ნახევარრკალისებური სოლით, რათა მარცვალი არ ჩაცვივდეს წყალში, „წისქვილს გულთ არ გეედიწოს“. როცა ღერძსა და გულთ შორის თანდათან ადგილი მაინც რჩება და მარცვალი იპნევა საღვარეში ამას **გულთ გაცვევნას** ეძახიან. ასეთი წისქვილი გულგაცვივნილია. გულის ზომაზე დაყენებას, რომ შიგ ღერძი თავისუფლად მოძრაობდეს და არც მარცვალი გაატაროს, **გულის გამაგრება** ეწოდება.

დაფარებული – „მიწით აფარებდნენ წისქვილებს ბანურად წინათა, – **დაფარებულს** ვიტყვით, ეხლა კი საზმლურად აკეთებენ, კავებ გაუკეთებენ“ (ს. ელიაგზა, ს. მუქო).

თავანკარი სუფთა, გარჩეული ხორბლისაგან დაფქული ყველაზე კარგი ხარისხის ფქვილია; მისი სინონიმია **წმინდა. თავანკარა** (ლექხ.) – კარგი, არაჩვეულებრივი.

კალოს სანაპირო ფიცრები || წისქვილის ნაპირები || წისქვილის გარემურგვლობა – ორი მორკალული ხე, რომელიც შემოწყობილი აქვს წისქვილს კალოს ირგვლივ, რათა ფქვილი არ გადაიყაროს (ს. აჯადი, ს. შუაფხო) (შდრ. ხევს.: სანაგრამოე; აჭარ.: **საგვერდულევი**; მთიულ.: **საგარემო**).

მოგდება სარუეში წისქვილის წყლის გამოყვანა-მიშვებაა. ამგვარი წყალი **მოგდება** სპეც. ლიტერატურაში დადასტურებულია ამ სიტყვის გურ., იმერ., ლექხ. მნიშვნელობანი: 1. მოხურვა კარისა; 2. პირუტყვისაგან ვადაზე ადრე მოგება ნაშიერისა; მკვდარი ან ცოცხალ-მკვდარი პირუტყვის (ხბო, კვიცი, ბატკანი, თიკანი) შობა დროზე ან ნაადრევად; მკვდრად ან ცოცხალ-მკვდრად შობილი.

საწისქვილო. 1. ადგილია, სადაც წისქვილი უნდა აიგოს. ამ მნიშვნელობით ეს ლექსიკური ერთეული არაგვის ხეობის ფშაურში დასტურდება. „**საწისქვილო**“ იმ ადგილზე უნდა იყოს, საითაც წყალი მოაღის“ (ს. შუაფხო). „**საწისქვილო** ის არი, რომა წყალი საით #196#

მოალის“ (ს. მუქო). ისეთი **საწისქვილო**, სადაც წისქვილის წყალი საკმარისი რაოდენობით უდგება და თავლადად მიმდინარეა, **ღონიარ საწისქვილოა**. 2. **საწისქვილო** წისქვილში წასაღებად გამზადებული მარცვლეულის სახელიცაა.

წყლის სხმა. ღარში მომდინარე წისქვილის წყლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ღარის გამოთლას: ღარის უსწორ-მასწორო ზედაპირი სათქამურიდან წამოსულ წყალს ააჩქარებს, მაღლა სტყორცნის. ამ დროს იტყვიან, – წყალს ასხამსო“.

დაბოლოს, ჯერხნობით აღუნუსხავი და გამოუვლენელია და, ამდენად, არც სათანადოდ არის კვალიფიცირებული წყლით მზრუნავი წისქვილისა და მეწისქვილეობასთან დაკავშირებული სიტყვებისა და იდიომურ გამოთქმათა დიდი ნაწილი, რაც კუთხური ლექსის მდიდარ ფონდს შეადგენს და განუზომელი მნიშვნელობა აქვს კილო-თქმათა ენობრივი საგანძურისა და ენის ისტორიის შესწავლისათვის.

ათქამება ღარში წყლის აჩქარებაა. ღარის თავში, სათქამურში, დაგროვილი წყალი ღარში გადადის, საიდანაც აჩქარდება, **ათქამებას იწყებს**.

ალატ მკლავები || წისქვილის მკლავები წისქვილის საბუდრის შემადგენელი ნაწილია, კუთხად გათლილ ორ ხის მორს აერთებს ერთმანეთთან. მათზე დასახლებულია (უძრავად გაჭედილი) **ძირის წისქვილი**.

ბუნაგშით გამთბარი ეწოდება შესანახად დაბინავებულ მარცვლეულს, რომელიც გათბა.

გადასაგდები ფიცარი – ფიცარი, რომლის საშუალებით წისქვილის არხის ბოლოში, ღარის თავთან, სათქამურთან, ხდება წყლის რეგულაცია. ამ ფიცრით წყალს გადაუგდებენ. იქვეა **წყლის მოსაგდები ფიცარიც**.

გამართული წისქვილი კარგად მფქვავი წისქვილია.

გულამოსმული – ძირის წისქვილის შუა გულის აწეულობა.

გულგამეცდნებული – შუაგულდადაბლებული ძირის წისქვილი, რომლის ნაპირა მხარე საკოდელათი უნდა მოიჭრას, დადაბლდეს. ასეთ ქვას **ნაპირთმოსაჭრელი**-ც ეწოდება.

გულთსამაგრი ხის სოლებია, რომლებითაც წისქვილის **დაფოფრაქებულ** (მოფონებულ) გულს მოჭედავენ (გამაგრებენ) ხოლმე იმ მიზნით, რომ ღერძსა და გულს შორის ადგილი არ დარჩეს.

#197#

გულმოსაჭრელი – წისქვილის ქვა, რომელსაც გული ზომაზე მეტად აწეული აქვს და საკოდელათი უნდა მოიჭრას“, დადაბლდეს.

დალიშკვა – დანაყვა, დაფხვნა.

დაფოფრაქება წისქვილის გულის მოფონებაა. ამ დროს ღერძსა და გულს შორის ადგილი რჩება და მას **გულთსამაგრით** – ხის სოლებით მოჭედვა უნდა.

დაჭოჭნა – დაკენკვა რაიმესი.

დაჯაჯვა – მსხვილად მოკოდვა, დაჯაჯული – მსხვილად მოკოდილი.

დაკრიალება – წისქვილის ქვის მფქვავი პირების ერთმანეთთან ცუდი შეხება და ცუდად ფქვა, რაც გამოწვეულია მათზე ზედმეტად ამობურცული ადგილების, **ლოჯების** გაჩენით.

ზომის დაგება – საფქვავის ზომიერად მიდინების რეგულაცია საჭირო ხარისხიანი ფქვილის მისაღებად.

თავლად მომდინარე || ღონიარი საწისქვილო – ადგილი, სადაც სარუმში წყალი საკმარისი ოდენობით მოედინება; საკმარისი წყალი სარუმში.

კალოს სანაპირო ფიცრები იგივე წისქვილის ნაპირები || წისქვილის გარემურგვლობა.

კაჭკაჭი || კაჭკაჭა, კაჭკაჭის ჩაგდება – საღვარის ნიადაგზე გამაგრებული ჰორიზონტულად გადებული მუხის ბრტყელი ღერძი (ძელი), რომელზეც **ბორბალი ტრიალებს და ეყრდნობა მას. ფარცხის ხეს რკინის ან ქვის კაჭკაჭი || კაჭკაჭა** აქვს, რაზედაც ეყრდნობა **ბორბალი თავისი კოჭით. კაჭკაჭის ჩაგდება** იციან ფარცხის ხეში ამოჭრილ ბუდეში. კაჭკაჭს შუაფხომი **თვალს** ეძახიან. ხევესურეთში – **სადბის ხეს**.

კოჭი || კოჭა – წისქვილის ბორბლის შემადგენელი ნაწილი.

მანქანათგალი || სამა(ნ)ქნეთგალი – წისქვილის ამწევ-დამწევი მოწყობილობის – სამანქნის შემადგენელი ნაწილი ფარცხის ხესა და სამანქნე ხესთან ერთად.

მბილად ფქვა კარგად ფქვაა, ხოლო **მბილად დაფქული** კარგი ნაფქვაა, ქატო არა აქვს.

მესაფქვე წისქვილში დასაფქველად მიტანილი საფქვავის პატრონია.

მფქავი ქვა. „ზეით წისქვილი“ უფრო მაგარია, **მუშა ქვაა**, მას **მფქავ ქვას** უწოდებენ.

#198#

ნაპირმოსაჭრელი – იგივე გულგამეიდნებული წისქვილის ქვა, რომლის ნაპირი საკოდელათი უნდა მოიჭრას.

ნატიტყვლი „ზომაზე მეტად მბილად დაფქულია. წისქვილ დასჯდომიყო და ეტიტყლა. **ნატიტყვლი** კარაქივით არი, ხელს ეკრვის“ (ს. ელიაგზა).

ნაჭლიკაის ლაშბი. ბაწარია, რომლითაც ნაჭლიკა ჯვიმურზეა მიბმული.

რაჭუნი წისქვილის გამრუდების შედეგად გამოცემული ხმაურია.

რიოში ფშაურში უსუფთაო ქატოიანი ფქვილია. შდრ. საბა – შერყვნილი.

საბუდარი – წისქვილის შენობის იატაკი, იგივე ნიადაგი.

სათბე. წისქვილის ბორბალს აქვს **სათბე** (< საბთე < საფთე < საფრთე), **სათბე ალაგი**, სადაც ჩასმული აქვს **ფთეები**, რომლებიც გვერდზე გადახრით, **გურგვალთ** არის ასხმული, რომ წყალი ერთდროულად რამდენიმეს მოხვდეს (ნ. კიდევ ბაქანი).

სამალობი (< სამაღლობი?) ღარში გამომდინარი წისქვილის წყალი ზამთარში ბორბლის მთებს ველარ მიუწვდება და მაშინ ღარში **სამალობს** უყენებენ. ამ დროს **წყალი ამოიწვეს** და ფრთებს **გასაშუალებით** დაეჯახება.

სამბილობი || სამბილობელი ადგილია ძირის წისქვილის მფქვავ პირზე, იგივე **საწმინდები**, რომელიც **სანახორხლეს** (იგივე საღერღელის) შემდეგ იწყება და **საპირობემდე**, წისქვილის პირის კიდემდე ვრცელდება. ამ ნაწილში წისქვილის პირი წმინდად არის მოკოდელი **თევზიფხურად** (თევზის ფხასავით და მსხვილად ნაფქვავი (ნაღერღალა) **წმინდად იფქება, მბილად დაფქულად, ფირფლად ან დაკვლად** გადაიქცევა და გადადის წისქვილის ქვის კიდეზე, **საპირობეში**. ლექსიკონებში ფიქსირებულია **სამბილო** – **ბამბის ქსოვილი**, რომელსაც დანიშნულს ნიშნად აძლევდნენ.

სანახორხლე || სანაჯორჯლე || საღერღელი – წისქვილის მფქვაჱ პირის (კალოს) ადგილი წისქვილის ყელის ირგვლივ **სამბილობელამდე**, რომელიც რკინის კვერითაა დაჯატული, მსხვილად მოკოდილი. მისი დაჭოჭნაც და (დაკენჯვა) იციან. ამ ადგილას წისქვილი მარცვალს გლეჯს და მიიღება **მარცვლის ნაკუწები**, მალზე მსხვილად ნაფქვაჱ, #199#

იგივე **ნახორხალი || სანაჯორჯლე || საღერღელი**.

სარეკელას ხმალი – იხ. ზემოთ.

საფქავთ დაკეთება მარცვლეულის დასაფქვაჱდ მომზადებაა, საფქვაჱს მომზადებაა წისქვილზე დასაყრელად.

საფქავთ ჩაკეთება – საფქვაჱ მარცვლეულის დამატებითი დაცხრილვა, ცხრილში გატარება.

საფქავთ საფენელა – რაზედაც ახმობენ მარცვალს წისქვილში წაღებამდე 2-3 დლით ადრე.

საფქვის ნაკეთები ტაბაკზე პურის მარცვლის განარჩევი იგივე ნაკმაზია.

საფქვის სარეკელა საფქავთ საფენელაზე გასახმოზად გაფენილი მარცვლეულის გასასწორებელია

საღარე – ღარისათვის განკუთვნილი, ღარის ჩასადგმელი, დამრეცი ადგილი.

საღვარეთ ხეები საღვარის თავზე გადებული ხის ძელებია, რომლებზეც დაგებულია სიპები ან ფიჩხი და მოწყობილია წისქვილის იატაკი – **ნიადაგი**, ანუ **საბუდარი**.

საღვარის თავი წისქვილის ქვედა სართულის საღვარის ჭერია.

საწისქვილო – იხ. ზემოთ.

საწმინდარი – პოლისემანტური ლექსიკური ერთეულია. მთიულურში იგი ხატობა-დღეობებისა და ქორწილისათვის შემონახულ ხორბალს აღნიშნავს. ფშაურში სატანსაცმლე ქსოვილის მოსაქსოვად დართული ძაფია მატყლისა, იგივე **სატოლე ნართი** (დიალექტ., 594). გ. ხორნაულის მიერ შედგენილი „ფშაური ლექსიკონისა“ და განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ფშაურში იგი წმინდად დაფქული ფქვილის მნიშვნელობის გამომხატველიცაა, რაც არამართებულია: ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემების მიხედვით, კარგი ხარისხის ხორბალს (დოლის პურს) ან მის ფქვილს ფშავეში წმინდა ეწოდება, **საწმინდარი** კი კარგი ხარისხის ხორბლის – **წმინდისათვის** განკუთვნილი სათესი ტერიტორია, ცხრილი ან ადგილია, სადაც წმინდას (ხორბალს) ან ფქვილს ინახავენ. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშიც:

„ფოთოლათ მერცხალაი ვარ, ურძნის ჯოხივით ლიტაო⁶,
მითხარი, ჩემო ძმობილო, რაის ამზავსა მკითხაო?“

#200#

ორმოციანში⁷ ქერ მიყრავ, სამოციანში – წმინდაო,
კარზე წისქვილა მიბრუნავს, დავფქვაჱ, რომენიც მინდაო!“

⁶ უტოტო; გადატ: მარტოხელა, უმწეო და გამხდარი ადამიანი.

⁷ ორმოცკოდიანი გოდორი.

მარცვლეულის დასამუშავებლად ფშავში იყენებენ სხვადასხვანაირ ცხრილს. მაგალითად, **სასვილე ცხრილი** განსხვავდება **საქერე ცხრილისა** და **საწმინდარი**, (ანუ სახორხლე) ცხრილისაგან: სვილს ტკიცე ცხრილი უნდა, ქერს და წმინდას – **ფხალა** (ხალვათად ნაქსოვი), ასევეა ცხავიც.

საწმინდები – იხ. სამბილობი.

ღანტიელაობა. წისქვილი როდესაც გადად-გადმოდის, გვერდს იქნევს უსწორმასწოროდ, არათანაბრად, ძლივს ბრუნავს, მაშინ იტყვიან, **ღანტიელაობსო**. ამას იწვევს წყლის არასაკმარისი რაოდენობა ან ალატის მკლავებსა და წისქვილს შორის **სოლის გამოვარდნა**.

ღარბერა ღარის ხიდია ხევზე გადადებული, სარუეში წყლის გამოსაყვანად. ქვეშ **ბოწკინტს** (< ბოძკინტს) ბოძად გამოყენებულ ხის ძელს ან ყორეს უკეთებენ.

ღარის კოდი კოდის სახეობაა, რომელსაც კოდის წისქვილისათვის ღარის დანიშნულებით იყენებენ. მისი თავი შედარებით განიერია, ბოლო კი ვიწრო, სადაც **წყალი** ვიწროდ **იკრიფება**.

ღარის ჩადგმა. საღარეზე დამრეცად დაგებული ხის არხი არის **ღარი**, რომლითაც წყალი საღვარისაკენ ეშვება. ღარი საღარეზე – წინასწარ მომზადებულ დამრეც ადგილზე უნდა ჩაეგდოს. ღარის მოწყობას **ღარის ჩადგმა** ჰქვია. ღარს აქვს **ზაფხულის პირი** და **ზამთრის პირი**.

ღარის წისქვილი – წისქვილი, რომლის საღვარეში წყალი ღარით მიედინება.

ღოჯი – იხ. ზემოთ.

ყელი „ზეით წისქვილის“ ნახვრეტია, რომელშიც ფქვის დროს მარცვალი ჩადის. **ყელს ამოსვლა** ის არის, როდესაც „ზეით წისქვილი“ ვედარ აუდის ნაჭლიკადან წასულ მარცვალს, იგი ავსებს წისქვილის ყელს და იფანტება. შდრ.: ხევს. **გულთ ავსება**.

ყიელაობა გაუმართავი წისქვილის ბრუნვაა როდესაც „ზეით წისქვილი“ ხან გადასცდება ძირის წისქვილს, ხან შიგნით დარჩება. ეს მაშინ ხდება როდესაც **სათოჯე** ზევითა წისქვილის ცენტრში არ არის ამოჭრილი.

#201#

შუაგულ წისქვილი – წისქვილის ქვის შუა ნაწილი.

ჩაფიშვა ჩაფენაა. სარუეში „ბორტეს ჩაფიშვენ, რო წყალ არ გაუიდეს“.

ძირის პირები წისქვილის ურთიერთშემხები, მფქვავე პირებია, შდრ: ჯავახ. **ქვის კალო**, აჭარ. **საფქვილე თერეფი**, კახ., იმერ. **პირი**.

წისქვილის გულთ გადენა, წისქვილის გულთ გაცვევნა – ნ. გულთგაცვევნა, გულის გამაგრება.

წისქვილის დაჯდომა – იხ. ზემოთ.

წისქვილის მოგლეჯა. ბროლა ქვით (კაჟით) საფქვავე ქვის პირის მოკენკვა, კვალის დამჩნევა, მოკოდვაა.

წისქვილის ჯერის აღება. ვისაც წისქვილი არა ჰქონდა და სხვის წისქვილში უნდა დაეფქვა, იტყოდა: „ჯერი მაქვ აღებული წისქვილისი“. „სამაგიეროდ, პატრონ უშველდა ან მკას, ან თიბას ერთი-ორი დღე“ (ს. აფშო).

#202#

II ნაწილი
ფშაური დარგობრივი ლექსიკა
I თავი - საწესჩვეულებო ლექსიკა

„საცა გაძხედნავ ქედებსა, სუყველგან ხატის ნიშია“

(ს. კუჭეჭა).

„დასიცილს დაუწყებენ ძველ ნაუბარსა, არაად არი გამოსადეგი“

(ს. მიგრიულთა).

§ 1(6). საკულტო რიტუალი და მასთან დაკავშირებული
რწმენა-წარმოდგენები

ფშავლები ქრისტიანები არიან, ამ მოძღვრებიდან მათ ბევრი რამ შეითვისეს და იწამეს: აღიარებენ და დღესასწაულობენ აღდგომას, ინახავენ დიდმარხვას, სწამთ ნათელმბრონობა და ზიარება. მაგრამ, ამავე დროს, წარმართული პანთეონის რწმენა-წარმოდგენები ძალზე ღრმად აქვთ გათავისებული. ისინი აღიარებენ და ადიდებენ ღვთის შვილებად შერაცხულ წარმართულ გმირებს, რომელთა სალოცავები, ხატები, გაბნეულია მთელს ფშავში, ხოლო შემორჩენილი ქრისტიანული ეკლესიები გაუქმებულია. სამაგიეროდ, დაცულია წარმართული დროის ხატების საბრძანისები, რაც წმინდა და შეუვალ ადგილად ითვლება და სადაც ხალხი წინათ ლოცულობდა და ახლაც იხდის ხატობა-დღეობებს. ფშაველთა რწმენით, მათი ხატები ღვთისშვილები არიან, ოდესღაც ისინი ჯორციელნი ყოფილან და ფშავში უცხოვრიათ, შემდეგ დახოცილან და ანგელოზებად ქცეულან. ზოგ მათგანს: კოპალას, იავსარსა და პირქუშს ღვთისა და ადამიანის მტრები, დევ-კერპები, უხოცია, ღმერთს ამისათვის ისინი სულწმინდებად უქცევია და ყმად ფშავის ხევი უბოძებია. ამიტომ ფშავლები თავიანთ თავს ამ სულიწმინდად ქცეული ხატების ყმებად თვლიან (114, 176). მათ სადიდებლად ყოველწლიურად რამდენიმე დღეობაა დაწესებული (იხ. სერობა-ათენგენობა, თიბვისა და ბალახეულ მცენარეთა ლექსიკა).

#203#

ფშაურ ხატებს ღირსებისა და ძლიერების მიხედვით განსაზღვრული აქვთ ღვთაებრივი ფუნქცია და სამოღვაწეო არე. მაგალითად, დარ-ავდართ ბატონად ფშავლებს მათურის შესახვევთან მდებარე დამასტეს ხატი მიაჩნიათ. ადგილობრივ დღესასწაულობენ ელიაობას და სანთლებს მის სახელზე ანთებენ სეტყვის თავიდან ასაცილებლად. ფშაური ხატები იყოფა: სასოფლო, სათემო და საერთო ხატებად.

სასოფლო ხატი ყველაზე პატარაა, იგი ერთი სოფლის მფარველია და მას მისი მეკომურები ლოცულობენ. რამდენადაც, ფშაველთა რწმენით, ყოველ ადგილს თავისი

მფარველ-პატრონი ჰყავს, ამგვარი სასოფლო ხატები ყველგან მოიპოვება და ადგილის დედა ეწოდება. მას ღვთისმშობლის სახელით ლოცულობენ. მხვეწარი **საწირ-საკლავით** თავს იყრის ამაღლებას და მარიაშობას და მათ ხევისბერი **ამწყალობნებს**. ადგილის დედაში საკლავთან ერთად მიაქვთ ორი პირი **ქადა-პური: ოჯახის სამხვეწრო და ფურთ სამხვეწრო**. ამასთანავე, ადგილის დედასთან სოფელი იხდიდა გუთნის სამღვთოს, რომელსაც მხოლოდ მუშები და მხვენელ-მთესველები ესწრებოდნენ. აქვე აწესებდნენ და ახსნიდნენ ხოლმე სოფლისათვის დამატებით უქმე – **ნაკვეთ დღეს**.

ადგილის დედაზე ძლიერია **სათემო ხატი**, რომელსაც თაყვანს სცემენ ერთი თემისა და გვარის ძმათაშვილი მეკომურები. ამიტომაც, ფშაველი ხშირად იხსენიებს **მამის სალოცავს ან დედის სალოცავს**. ახალდაბადებულ ბავშვს პირველად თავის სათემო ხატში **ამწყალობნებენ**. სათემო ხატის საბრძანისი ფშავის ხევშია მოთავსებული და ხატობას ფშავის ყველა კუთხიდან იქ მიემგზავრებიან. სათემო ხატს ფშავში ორი საბრძანისი აქვს. ერთი საბრძანისი (**ნიში**) სოფელშია მოთავსებული, მეორე კი რომელიმე მთის წვერზეა მოქცეული, სადაც მიდის ხატობის დროს **მხვეწარი**. სათემო ხატს აქვს თავისი მამული, ჰყავს კულტის მსახურნი: **დეკანოზი, დასტური და მოწმინდრები**.

ყველაზე დიდი და ძლიერია **საერთო ხატი**, რომელსაც მთელი ფშავის ხევი ლოცულობს. ფშავლებს თავი ამ **ხატების ყმებად** მიაჩნიათ, ხატები კი ფშავლებს **ოქროს ღილებად** თვლიან.

ფშაველთა საერთო ხატებია: **ლაშარის ჯვარი, საკვირაო, თამარ-ღელე, დამასტური**. სათემო ხატი ფშავის ხევში სულ თერთმეტია:

#204#

ქისტაურთა თემი – იაცსარი – შუაფხოში.

უძილაურთა თემი – კოპალა – უძილაურთაში.

გოგოჭურთა თემი – მთაწმინდის მთავარანგელოზი – ცაბაურთაში.

გოგოლაურთა თემი – მთავარმოწამე || ქმოდის წმ. გიორგი – გოგოლაურთაში.

წონჭურაულთა თემი – მოკარნადე – ღვთისმშობლის – მუქოში.

ზურაბაულთა თემი – მთავარანგელოზი – მათურაში.

გაბიდაურთა თემი – სახუთმეტო ძელის ანგელოზი – ჯოშარაში.

ჭაჩიოელთა თემი – პირცეცხლის ხატი – ჭიჩოში.

გოდერძაულთა თემი – პირქუში – აჯადში.

წითელაურთა თემი – კოტიას წმინდა გიორგი – წითელაურთაში.

უკანაფშაველთა თემი – წყაროსთაველი || წყაროსთავის წმ. გიორგი – უკანა ფშავში.

სათემო ხატების გარდა, თითოეულ სოფელში იყო სასოფლო ხატი, ასე, მაგალითად:

მთავარანგელოზის ხატი – ადგილის დედა, საჯვარიანთ გორის ანგელოზი

(მიგრიაულთაში).

ღვთისმშობლის, ლაშარის ჯერის, თამარ მეფის ნიში – სოფ. ჩარგალში.

იაცსარისა და იაცსარ-კარატეს ნიში – სოფ. ვანჯევში.

კარატეს ხატი და იაცსარ-კარატეს ნიში – სოფ. არახიჯაში.

ფშარაოს წმინდა გიორგის ხატი, ლაშარისა და თამარ მეფის ნიშები აფშოში.

ღვთისმშობლის ხატი – ქუთხში.

კოპალის ხატი – სოფ. ხომში

მაღაწლის წმინდა გიორგი და ადგილის დედა ღვთისმშობელი – სოფ. გომეწარში.

ადგილის დედა და საყდართ წმინდა გიორგის ხატი – სოფ. ყოფჩაში.

ბზიანასი და ადგილის დედა ღვთისმშობლის ხატი – სოფ. მადაროსკარში.

#205#

კუჭეჭისწვერის წმინდა გიორგი, აკამათის ღვთისმშობლის, ადგილის დედა ღვთისმშობლის, კვირიანი, ადგილის დედა საყდარანი და ჯვარნი – სოფ. კუჭეჭა, სოფ. შარახევში.

ადგილის დედა ღვთისმშობელი – საშავარდნეში.

ადგილის დედა ღვთისმშობელი – სოფ. წიფრანში და სხვ.

წვერის სალოცავები. ფშავლებს მიაჩნდათ, რომ მთის მწვერვალები ყველაზე წმინდა ადგილებია და ადგილსამყოფელი ღვთის შვილთათვის აქ მიუჩენია.

ცაბაურის მთის წვერზე, მთაწმინდაზე, იყო სალოცავი წვერის მთავარანგელოზი.

კუჭეჭის მთის წვერზე – წვერის წმინდა გიორგი.

გომეწარის მთის – მაღაწლის წვერზე – მაღაწლის წმინდა გიორგი.

აფშოს მთის – ფშარაოს წვერზე ფშარაოს წმინდა გიორგი.

წითელაურთის მთაზე – ღვთისმშობლის ხატი.

ქინოში – ქინო-ვაკის ჯვარი.

ჭიჩოს მთაზე – პირცეცხლის ხატი.

საყორნის მთის წვერზე – მოკარნადე ღვთისმშობლის ხატი.

გოგოლაურთში – ხეთანის მთავარი მოწმის.

უძილაურთ მთაზე – კოპალობა.

არახიჯის მთაზე – კარატის წმინდა გიორგის ჯვარი და სხვ.

ფშაველთა რწმენით, ხატებს ჰყავთ მსახურ-შიკრიკნი, მხავანნი, ანუ დობილები, წვრილმანი ავადმყოფობის გამავრცელებელი ანგელოზები, რომელთაც ხატი ურჩის ყმების დასასჯელად იყენებს. მათ მოსამადლიერებლად ფშაველი ქალები სადობილო კვერებს აცხობენ.

ხატის შუა მოედანზე არის ნიშ-საბრძანისი. საერთო და სათემო ხატებში იქვე აგებულია ხატის მკვრივი – ხატის საგანძურის სამალევი. ხატშივეა ხატის ბედელი, სადაც ინახება ხატის მამულებიდან აღებული ჭირნახული. იქვეა საჯარბაკე – ბოსლის მაგვარი ქვითკირის გრძელი შენობა შეწირული ხარ-კურატებისათვის. გალავანთან გამართულია სალუდე, ხოლო გალავნის გარეთ საჯარეა მეხატობეებისათვის.

#206#

კულტის მსახურთა შორის ხატის მიერ რჩეული მოწმინდარია ჯევისბერი || ხევისბერი. ახლად არჩეული ხევისბერი ხატში მიდის, ზვარაკად კურატს სწირავს და მისი სისხლით ჯელ-მჯარი უნდა გაინათლოს.

ხევისბერებში პირველია თავჯევისბერი, რომელიც უხუცესია და უფლებამოსილი. მას ყველა ხევისბერი ემორჩილება.

დასტური ხევისბერის თანაშემწეა. მას ერთი წლით ირჩევენ. წლიური სამსახურის დასასრულს დასტური **საყეინოს** – სახატე ლუდს დაამზადებს, რომ ამით ხატს მადლობა გადაუხადოს. **მიზეზის მიდგომა** სალოცავის მიერ დამიზეზებაა, სათანადო სამსახურის მოთხოვნაა.

გასერვა ხევისბერის მიერ ქადის ჯვარედინად გაჭრაა ხატში, მეოთხედს (ნაოთხალს) ხევისბერი იტოვებს.

მოწმინდარი ხატის ნებით დაჭერილი მსახური ქალი ან კაცია, რომელსაც შეიძლება ოჯახიც ჰყავდეს. ხატში გასვლის წინ მოწმინდარი საკლავს კლავს, რათა ხევისბერმა **ველ-მჯარი** გაუნათლოს.

მოწმინდარ ქალებს შორის ისეთებიც არიან, რომელიც ხატს სიყრმიდანვე „დაუჭერია“, რომ მას ქალწულად ემსახურონ; ესენია ხატის ქალები. ხატის ქალი ქალწულად რჩება.

თამარისადმი ქალობა, გარდა ღელისა, სადაც თამარ მეფის ხატის ძირითადი საბრძანისია, სხვადასხვა ადგილას არსებობდა მისი ნიშები. ერთ-ერთი ასეთი ნიში იყო ს. ხატკევეში. აქ მოდიოდნენ ფშაველი ქალები და მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდნენ. ამას ეძახდნენ თამარისადმი ქალობას (შდრ. 155, 63).

ხატის წვერი ხატის საბრძანისია მთის წვერზე.

ბავშვის მიბარება ბავშვის ხისაგან შობის სიმულაცია, შიშველი ყრმის შეგორებაა **საბძან-კოშკთან** დადგმულ დროშის ქვეშ, რომელიც **ხატის ხეს** წარმოსახავდა და მასში, ხალხის რწმენით, ღვთისშვილი სუფევდა. ეს გამოხატავდა ღვთისშვილის მიერ თავისი მეთემის ბავშვის შვილად აყვანის მისტერიას. სადაც ეს წესი შესრულდებოდა, ბავშვიც იმ ხატის საყმოს მიეკუთვნებოდა. ხატის ხედ ფშაველები მუხას მიიჩნევენ. დღემდე დაცულია მუხის **სადიდებულო** საგალობელი, რომელსაც ხევისბერი ქორწილში წარმოსთქვამს.

#207#

ხატში გაყვანა სათემო ხატში ბავშვის პირველად წაყვანაა შესაწირი საკლავით (კურატი ან ჭედილა), რაც მის **სამხვეწროდ** დაიკვლებოდა. **სააკვანე** ვაჟისათვის პირველ შესაწირავს, ცხვარს ან ბატკანს ჰქვია (ს. უძილაურთა).

სამწყალობელი ხატისაგან წყალობის, ბედ-იღბლის, სულის ცხონების და მისთ. გამოსათხოვია.

სამხვეწრო ვისიმე სულის მოსახსენებლად ან წყალობის გამოსათხოვად ხატისთვის მიტანილი ძღვენია, იგივე სამსახური.

სადიდებულო ხატის სახსენებელი, სადიდებელი ლოცვაა. ხევისბერი დგება პირით აღმოსავლეთისაკენ, მარჯვენა ხელში უჭირავს მლოცველის მიერ მიტანილი ანთებული სანთელი და ადიდებს ხატ-სალოცავებს. იქვე, მარცხნივ, დგას მლოცველი, რომელსაც რქით ჭედილა ან თოკით კურატი უჭერია.

სადიდებულოს მოსდევს **ფერჯისა** – სიმღერა წრიული ცეკვის თანხლებით, რასაც მებატობები ასრულებენ და შემდეგ **ხატის წვერიდან** მის საბრძანისში ეშვებიან.

დანუკვება შევედრებაა რისამე. **მხვეწარი** მლოცველია, რომელიც ხატისაგან რაიმეს გამოეღის.

უყმო ყმა ხატში მისული ისეთი მლოცავია, ვინც ამ ხატის ყმა არ არის, სტუმარია; თემს შემოხიზნული, ამანათი.

უფლის დამწონი უფლისად შემხვეწნელი, სანთლის ამნთები, საკლავის დამკვლელია, როცა მას არა აქვს ამის უფლება.

ხატის მამული ხატის კუთვნილი სანადო მამულებია ჭირნახულის მოსაყვანად. ხატის მამული თუ დასამუშავებლად ვინმეს გადაეცემა, იმას სადები **აძე** – ხატს საკლავს შესწირავს და ზედაშეს.

სამკადრეო ფშაური დროშის შემადგენელი ასტრალური სიმბოლო – ოთხკუთხა ფერადი **კელისახოცებია**.

სახლის ანგელოზი. „ოჯახი ფშავლის წარმოდგენით სადგურია არა მარტო იმათი, ვინც ოჯახში ცხოვრობს, არამედ მას სხვა პატრონიცა ჰყავს, იმ სხვა პატრონს **სახლის ანგელოზი** ეწოდება“ (91, ტ. V, გვ. 305).

დადობილება დამეგობრება, დად გაფიცვაა.

ფიც-ვერცხლის ჭამა ძმად გაფიცვაა (შდრ. 93, 331)..

ფიც-ვერცხლნაჭამი ძმადნაფიცია.

#208#

ჯვარობა იგივე დღეობა, ხატის დღესასწაული, ხატობაა.

ჯვართ ენა საკრალური ენა, ხატის ენაა.

§ 2 (7). წელწადი (რწმენა-წარმოდგენები, უქმე დღეები, მარხვანი, მიცვალებულთან დაკავშირებული ჩვეულებანი).

კელ(თ)უძრავი უქმე ძლიერი უქმეა. „ახალწელწად წინა დღეს **ლიტონიაობა** || **ლიტანია** დღეა. საამისოდ **სალიტანიო** || **სალიტონიაო ძვლებ** მოვხარშავთ. იმ ღამეს იმას შავდებთ სახელსა, დავკვიდებთ, გავაჯმობთ, **ჯარის ენა-პურებ** ვეძახით, გამოაცხოვთ, **სახელშესადებლად** (მიცვალებულთა მოსახსენიებლად) ვიცით, ლაოშებზე დიდია, სქელიც არი, იმას მოიტანთ, თუ რამე გვაქვს კიდევ: შაქარ-კანფეტკი, თხილ-კაკალი, იმასაც მოიტანთ, ყველას: წყალსა, სასმელსა და **შავდებთ სახელსა**:

დიდება ღმერთსაო, მადლობა ღმერთსაო,
კვდარიც შენ გაჩენილია, ცოცხალიცაო!
ღმერთის დიდებითაო, ლატანიეს წესითაო,
ღმერთმა ალალ უყვას ჩვენ მკვდართაო:
ძველთა, ახალთა, დიდთა, ბატარათაო!
იმათიმც კელთ-დებას იქნება,
იმათამც მეეკმარებაო!
ცოტაი დიდად მეეჩვენება
რიოშიანი⁸ – წმინდადაო.

⁸ უსუფთაო, ქატოიანი.

ცის ნამი ვითამც გადაუწვდება,
დედამიწის მწვანევილივითაო,
როგორც წესი და რიგი – ძჰქონდესო
ისემც მაიჭმარებთო!
თუ საღირსალო არ იყოსო,
ძალად ნურამც რა დაგაღონებსთო;
ვინც თქვენ გინდოდესთ და გებროდეთ,
იმასამც დაიწევთო და დაისწრობთო.
– ღმერთმა ალალ გიყვას!

ახლა ვილაც ოჯახიდან იქნება და იტყვის, მაგალითად მენა: დედამთილო, შენ იციო, შენ მიეც ანგარიშიო, ყველასამც შენ გაუმასპინძლდიო, ამ პურითაო, ამ ხორციტაო;
#209#

ე წყალი პირსამც გიღობსთო,
ეს ბაღების საღაღობოდაც გამოგადგებათო,
ეს ტკბილეული და ხილეულიო
თქვენსამც კელთ-ნებად იქნება,
ჯვარს გიწერდეს სულ-წმინდანო
ნაქონსა წყალსაო, ბარაქას გიდევენბდესო!

მეორე დილით დედაკაც ადგებოდა ძალიან ადრე, **ქათამყიულისად** პურის **ნახლეზ** და ყველი უნდა წეელო წყალზე და ეტყოდა წყალს: „წყალო, ნაყრი მოგართვიო, ნაფუარი საფუარიო, ამაფუე კაციტა და საქონითაო, მრავალ ახალ წელს დამასწარიო სუ კარგა ყოფნითა და ბედნიერთაო“.

პურ იმ წყალში ჩავგდებთ, წყალს წამოიღებთ, მოვზელდით პურსა, საწელიწლოდ გამოაცხოზდით **ბედისკვერებსა** და **გოგასა**¹⁰. ბედისკვერებსა და გოგას სავარცხლით დავაჭრელებდით.

ოჯახში რამდენი სულიცა ვართ, იმდენ ბედისკვერას გავაკეთებთ, გოგასაც დავაჭრელებთ: ეს **კარებისაო, ძროხებისაო, ფუტკრებისა** და **წლის მოსავალი**, თუ რა იქნება და როგორ იქნება და ვიკსომებთ იმ დაჭრელებულებზე, რა რისთვის დავაჭრელებთ. **კარის გოგა** უფულო საფუვრიანი კვერია, ჯვარგამოსახული. ტკბილია. მას ინახავენ და ხვნის დაწყების დროს ხარს ქედზე (კისერზე) გადაატეხენ, მეოთხედ ნაწილს (ნაოთხალს) ხარს შეაჭმევენ,

⁹ ღირსი, საკადრი.

¹⁰ **ბედისკვერებს** ყელსა და თავს უკეთებენ ადამიანის მსგავსად. **გოგა** დიდი საოჯახო კვერია, რომელზეც გამოსახულია სამეურნეო საქმიანობის ამსახველი სურათები: საქონელი, ხვნა-თესვა, მეფუტკრეობა და სხვ. ოჯახის წევრები ახალ წელს თავის სახელზე გამოცხოზდით ბედისკვერას თვითონვე შეექცეოდნენ, მას სხვა არ შეჭამდა; **კარის გოგას** კი ინახავდნენ და გაზაფხულზე, გუთნის შებმის დროს ხარის ქედთან, უღელზე გადატეხდნენ.

დანარჩენს კი თვითონ შეექცევიან. რო გამოაცხოვრებ, რომენ ბედისკვერაც გასივდება და დიდი იქნება, ვითომ ის ოჯახის წევრი გასუქდება, კარგა იქნება, ი გოგაზედ რაც გვაქვ დაჭრელებული, რომენ დაჭრელებულთანაც ამიწვეს ადგილი, ის იქნება ყველაზე კარგად იმ წელში. ან მოსავალი მოვა კარგი, ან ძროხები იქნებიან კარგადა...

მერე ვილაცისთვისა გვაქვთ ნათქომი წინა დღესა; იმ ლიტანია დღესვე ვეტყვით ვისმე, რავი, ან ბიჭი იქნება, ან ქალი, რო დილაზედაო მოდის მეკვლელა ჩემთანაო. დილით მოალის #210#

ისი, ყველაზე დილით მოა მეკვლე. კარებზე რო მოალის, გავიგებთ იმის მოსვლასა, გოგას გამაუტანთ. ეს არი **სამეკველეო გოგა || მეკვლისგოგა || შასაგორებ გოგა**. კარებიდან ის ჩამააგორებს შინ, კერაჩი უნდა შამააგოროს გოგა. სამჯერ უნდა შამააგოროს. თუ წაღმა დადგა, ის წელი გვექნება ბედნიერი წელი. ორჯელაც რო დადგეს წაღმა, უკვე საკმარისია. შამააგორებს გოგასა, მემრე მოა კარებშია, ჩვენ მოეგებებით კარებში, თაფლ-ერბოიანი ჯამ გვიჭერავ კელშია და შავაჭმევო სამჯერ კოვზითა. მემრე შამოა ის სახშია და დაილოცება: „შამოვდგი ფეკი, გწყალობდესთ ღმერთი, ფეკი ჩემი, კვალი ანგელოზისაო, დიდი გიმატებით, გიმატოსთ ახალმა, ძველმაო, ახალი წლის გამოცვლამაო, მრავალს დეესწრენითო, ბედნიერებითაო, კარგა ყოფნითაო“.

ჯიბეში ამას ეყრება კანფეტი, შაქარი. ამიღებს, ჩავვიყრის და გვეტყვის რო ესე ტკბილადამც დამიბერდებითო. „შენც შენიანითაო“, – ჩვენ ვეტყვით. ჩვენც შაუხვევთ, ჩაუყრით კანფეტს, შაქრსა, ამას **ღაბერება** ჰქვია: „ეგრემც თეთრად და ტკბილად დამიბერდი, მემრე მოვიწვევთ: სუფრა გვაქვ გაშლილი იქა. ყველაფერია, თუ კი რამე შეიძლება ტკბილეული გვექონდეს. მოალის, დაჯდება, სასმელ გვექნება, დააღვვენ და წავა მემრე ის სახში“.

„უფრო ადრე, იმ ღამეს, იმ ლიტანია საღამოს, წელწად წინა საღამოს აემ სოფლელები, ყველა შაიყრება ხატში და ღამე იქ უნდა გაათეონ, თევას ვეძახით. ამას **სათეოდ წასვლას** ვიტყვით. **თევანიაო**, ეგრე იტყვიან. წაიღებენ სანთელს, მაგალითად, ჩვენი დავითო წაიღებს სანთლებს სახლიდანა, მიიტანს იქ და აი, ქოჩათ საგვარეულოში რამდენიც მამაკაცია, ყველას სახელზედა უნდა დაანთოს თითო ფეკ სანთელი. და ეძახიან ამ სანთელს **საწულადო სანთელსა**. ყველა ესე აკეთებს, ელიზბარაშვილები, ბადრიშვილები... თავისთვის...“

„იმ ღამეს იქ იქნებიან, საკლავს დააძკვლენ. ამას ეძახიან **სათეო საკლავსა**. მეორე დილითაც ცისკრის ამოსვლისას დააძკვლენ საკლავსა, ამას ეძახიან **სამეკველეოსა** (სათეოდ და სამეკველედ ცხვრებს ხოცავენ: „თოხლებ იქნება, მამალ თოხლები“). მემრე იქ სუფრას გააკეთებენ, ხატშიაც სანთელს მანათებენ იმ დილითაცა, მემრე ჰევისბერი აძკვრეფს ქუდებსა, შადპყრის ნაბდის ძირში, დაამალავს ამ ქუდებსა, აურევს იქ ერთიმეორეში და გამაიღებს #211#

ქუდსა ისე, რო ვერა-აძხედავს ისი, და ვისიც ქუდს გამაიღებს, ის არი **ხატის მეკვლე**. მეორე ქუდს გამაიღებს კიდე, ამას ეძახიან **ჯარის** (იქ ვინც არის, იმ ხალხის) **დედასა**. ეს მეკვლე წავა წინა და გაუძღვება და ის მაინც მეკვლეა, – ყველას ოჯახში უნდა მივიდეს, ის არი **ხატის მეკვლე, მთავარ მეკვლე არი**“.

„წამოვლენ იქიდან ის ხალხი, ვინც არი ხატში. ყველა მამაკაცი იქ არი, სახში არავინ არ გაჩერდება და ოჯახიდან საიღამღაც დაიწყებენ ქეიფსა. მე უკვე ვიცი, ისინი რო მოვლენ ჩემთანა და თუკი რამე გვეშუება, ყველაფერს გავაკეთებთ სასმელ-საჭმელსა. შუაფხო-თხილიანაში ილის ჩვენი ხატის, იაქსრის მეკვლე, უძილაურთას თავის მეკვლე ჰყავდა აეგრე, სხვადასხვა თემსა. ილიან ეგრე ყველასთან – ყველასთანა და ოთხი-ხუთი დღე უნდა იარონ ეგრე, ყველგან მივლენ“. „ახალწლის მეორე დღე **კუმატია** და მას უქმობენ. **კუმატ** დღეს არ საქმობენ და მისი გატეხაც არ შეიძლება. ამ დღეს ზოგი ჩხირსაც არ გატეხს და საქონლის ნეხვსაც არ გადაყრის“ (114, 163). ეს უქმე ახლაც იციან: „ახალწლის მეორე დღეს **კუმეტი** დღეა. ისეთი დღეა, რო ჯოხის გატეხაც არ შეიძლება, ცხვარ-ძროხას ფეჯ მოგვიტყდება. გომურს რო გამოვხვეტთ, იმ დღის ნაგავი სხვა ნაგავში არ უნდა გავრიოთ, შეიდან ადგილზე უნდა დაჰყაროთ, არ უნდა დაგორდას, თორო ძროხა გადაგვივარდება კლდეზე. ნათქომია: მიდიოდა წელწადი, მიტიროდა ქალივითა, მოდიოდა **კუმეტი**, მოვიდოდა ჯარივითა: ვინაც დღეს მე არ მიუქმოს, ავატირებ ქალივითა“ (ს. უძილაურთა).

წელწად შემდეგ მეხუთე დღე არი **წყალკურთხევა**. „ახალწელთანითა ხუთი დღის შემდეგ მოდის **წყალკურთხევა**. მაშინ უნდა დამთავრდეს ქეიფი“.

ა. მაკალათიას მიხედვით, **„განცხადება** დღეს (წყალკურთხევას) დილა ადრიან დიასახლისი ნაყრით წყალზე წავა, ჭურჭელს სამჯერ აავსებს და დაღვრის, მიცვალებულებს მოიხსენიებს, რომ წყალი მიცვალებულებს მიუვაო. შემდეგ წყალში ყველსა და პურს ჩააგდებს და იტყვის: „წყალო ნაყრი მოგიტანე, ბედი გამომაყოლო საქონ-ცხვრისა და ცხენ ვირისაო“. ამ წყალს დიასახლისი სახლში მოიტანს, სუფრას გამლიან და მას მიცვალებულის სახელს შესდებენ. **ხარის გოგას** გუთნის დედა ან მეხრე ბოსელში წაიღებს და იქ მას ხარის კისერზე გადატეხენ, **ნაოთხალს** (მეოთხედ ნაწილს – გ.გ.) ხარებს შეაჭმევენ, დანარჩენს კი #212#

ოჯახის წევრები ჭამენ“ (114, 163). „წყალკურთხევით ემახდენ იმიტო, რო წყალკურთხევას ადრე აქა ეკლესია ყოფილა. თურმენ ღვდელი ეკლესიიდანა როცა იასოქრისტეს ჯუარს გადაიტანდა, ჰევია, იქ იმას გააბანდა, ვითომ იმ ჯვარსა და **წყალკურთხევით** ემახიან და ი ჯუარის ნაბანსა ყველა აძკრეფდა და წამაიღებდა სახში. ადრე ამას **იაზმას** ემახდენ. სახში რო იქნებოდა, საწმინდე იყო. ეხლა კი აღარ არი. წყალკურთხევით დაამთავრებდენ ქეიფსა. წყალკურთხევას ხინკალ უნდა მოვხარშოთ, სუფრას სახელ შავდგათ. წყალკურთხევის წინა დღეს ჯორცი არ იჭმის, **წუნკლაობას** ვიტყვით. ნათქომია:

„წყალკურთხევის წინა დღესა, ენკენიის უკანაო,
ჯორცი მის მეტ არ იჭმევა, როორც ძალლი წუნკალაო“.
ჩვენა ვთვლით თვეზედა და მთვარეზედა.

წელწადს ერთი კვირის წინ არი **ქრისტენი**, იქიდან ვითვლით ჩვენა. ძველით ოცდახუთ ქრისტემობისთვის დაბადებულა იასო ქრისტე და ვემახით **ქრისტეთ**, ქრისტეს დაბადების დღეს. იქიდან ვითვლით მარხვათა. გამოვთვლით მემრე და ვიტყვით, რო ან **მოალის ხუთად**, ან **შვიდად**, ან **ცხრად**. აემ წელში ცხრად არი. ხან არი შემთხვევა, რო ხუთ კვირის შემდეგ მოდის მარხვა და ვიტყვით, **ხუთად არიო**, **ხუთად მოდიან მარხვანიო**. იმითა ვგებულობთ რო, აი, მთვარე როგორ მოა. „ერთ მთვარე ორსაც არ შაძკრავსო“, – ვიტყვით.

მარხვის დადგომაზე ვიტყვით, **დამარხვდაო**. ვიცით **ჯორჯის მარხვა და ყველის მარხვა**. ჯორჯის მარხვა დგება წინა კვირას და ყველის მარხვა დგება მეორე კვირასა და ამ ჯორჯის მარხვა რო დგება, შაბათი რო იქნება, **ჯორჯის შაბათს** ვეძახით. ამ ჯორჯის შაბათიდანა **ყველის შაბათამდენ** უნდა ახალი მთვარე გამოიდეს და **ერთ მთვარე ორსავ არ შაიჰკრამსო**, – ის მთვარე უნდა ჩავარდეს და ეგრე. ან ცხრა კვირაში მოხდება ეგე, ან ხუთი კვირის შემდეგ და ან შვიდ კვირაში და აემაგით არი განსხვავება მაგათ შორის.

მემრე, **ჯორჯის შაბათს**, ნიადაგ, რო ჯორჯის ხინკალს გავაკეთებთ, იმას შავდებთ სახელსა, მემრე აღარ შეიძლება, **ჯორჯს სახელ-დართვა**, ჯორჯი აღარ უნდა ჭამო.

გაზაფხულის პირზე, ბუნების გაღვიძებასთან ერთად, აქტიურდებიან მღრღნელები #213#

და სხვადასხვა მტაცებელი ცხოველ-ფრინველნი, რომელთა დაოკებისა და მათგან თავდაცვის მიზნით ფშაველ გლეხს წესად მოსდგამს სხვადასხვა სახის რიტუალის შესრულება, როგორცაა: **თაგვ-ჩიტო-უქმე || ჩიტფაფაობა, პაპა-ბერაკანი, მგელთუქმე, ჩირჩილთუქმე, გამოთაგვობა, კუდიანთდღელამენი || დიდოთხშაბათი**. ბუნების ძალებისაგან თავდაცვის მიზნით უქმობენ **ელიაობას, მექარობასა და მეღვარობას**.

ჯორჯის შაბათ რო იქნება, იმის მერე კვირას არაფერი, მესამე დღეს, ორშაბათს, არი **ჩიტფაფაობა, თაგვ-ჩიტო ფაფობა**. ფაფა უნდა ვადულოთ და ადრე რო იცოდენ საკომი, საკომიდან უნდა აგვეტანა, საბძელში დაგვედგა ნაფოტზე გაცხებული ერბოიან ფაფა. ამ დღესა ვუქმობთ კიდეცა, რო **თაგვ-ჩიტო-უქმე** ეს ორშაბათი, რო თაგვებმა და ჩიტებმა არაფერი გაგვიფუჭონ. მემრე ვიცით კიდენა **გამოთაგვობა – აღებიღ ღამე**. გამოთაგვობის დროს დაიჭერდენ ასკილის ჯოხებს, სახლს მიატარ-მოატარებდენ, შემდეგ შემოუვლიდენ ლოცვით:

„გამო, თაგვო, გამო, რწყილო,
შინ შემოდი, ანგელოზო!“
ან კიდევ: „ანგელოზო, შინ შემოდი,
თაგვო, ჩიტო, კარში გადი!“

და ვისი ჟინიც ჰქონდათ, იმ ბოროტი კაცის ეზოში ჩაასობდენ და ზედ ჩამოაცვამდენ ხინკალს ან ხაბიძგინს, ან სოფლის სამზღვარს იქით გაიტანდენ, რასაც **თაგვ-ჩიტო გალაღვა** და **გაშეება** ჰქვია.

სამშაბათს არაფერი და ოთხშაბათს ვეძახით **ჩირჩილთუქმეს**.

ქალები უქმობენ, რო ჩირჩილმა ნასთი არ დასჭრასო, დიასახლისი დილით ცოტა ნასთს კედელში ჩადებს და იტყვის: „ჩირჩილო, ესა ჭამეო!“

„ჯორჯის შაბათის შემდეგა, ყველიერის დროს, შიოობას ვეძახით, ის მოდის. მაშინაც შეიძლება ხორცი იჭამოს და მერე კი აღარა. სუფრა ვიცით, **შიოს ხსენიობენ**. ხუთშაბათსა მოდის ეს **შიოობა**. შიოობა დღეს ერბოიან საჭმელ რამ უნდა გავაკეთოთ, კეცეულ უნდა გამოვაცხვათ (ორივეთ ვეძახით, კეცეულებსაც და ხაბიძგინებსაც) და სახელს რო შავდებთ, #214#

ცეცხლის ნიგვზურებს წყალ უნდა დავასხათ, შიოს ძვალთამც დააღობოსო. ეს შიო სადღაც მაუკლავ და იმის ძვლებია სადღაც ჩაყრილიო და ეს ძვლები ამ დღესაო გამორაკრავდებაო, – იციან, რავი. ემაგაზე ვიცით ჩვენ სახელისდება ხუთშაბათ დღესა. უქმეა ამ დღესა“.

„მემრე არის ყველის შაბათი. იმაშიადა უქმობთ. ყველის კეცეულებ უნდა გამოვაცხვათ. ყველაფერი ყველისა და ერბოსა უნდა იყვას“. ყველის შაბათი ძლიერი უქმეა. ამ დღეს სახლში ატარებენ და საქმისათვის ხელსაც არ გაანძრევენ. ამზადებენ საღირსალ საჭმელებს: ხინკალს, კეცეულებს და სახელს შასდებდენ, მკვდრებს მოიხსენიებენ. ამ დროს აცხობენ ანგელოზთ ქადას, ანთებენ სანთლებს და ანგელოზებს შეუთქვამენ. ამ შაბათს მუშაობის მიზნით კვირამლისათვის პატიების გამოთხოვაც არ შეიძლებოდა, ვინაიდან შემდეგ, კვირა საღამოს, ალების ღამე, დიდმარხვის დაწყების, დამარხვების საღამო მოდიოდა. „ამ შაბათ საღამოს ილიან პაპა-ბერაკანი. შაკვერვენ ნაბდისასა, სახეზე აიფარებენ სულა, მატყლის წვერებ დაიკეთებენ, თეთრ მატყლისასა. ბურაკას კურდღლის ტყავ აქე დაკიდებული, აქ კიდევ ყურები აქვ. ისენი ორნი არიან, პაპა-ბერაკანი, უკან მთელი ახალგაზრდობა დააძყვება, დადიან, ათენებენ, მაილიან სულა:

„ბერიკაა კარასაო, აბჭყვიანებს თვალასაო,
ჩქარა, თუ რას გამოგვიტანთ, თორე ვამტვრევთ კარასაო,
შამოალ და გამოიყვან ჩემი სწორა ქალასაო“.

შავლენ პირდაპირ სახში, სადაც გინდა, ვისთანაც გინდა, შავლენ, რაც გინდა თოვლიანებ იყვნენ, ჭუჭყიანებ იყვნენ, იმათ ვერც ვინ ვერ გამაძყურის; დაიწყებენ თამაშობასა და მემრე სუ ყველაფერი უნდა მიეცათ ცოტ-ცოტად. იმათ თავის გულები აქვთ სასმელისთვინა: არყისთვინ, ღვინისთვინ და თავად ამირჩევენ, რომენ ოჯახშიც უნდა დადგებიან და ის არი იმათ მასპინძელი. მეორე დილას იმათ უნდა ხინკალ მაუხარშონ, ცალკე ხორცისი, ცალკე ხაჭოსი. კვირა დილასა იქეიფებენ იმ ოჯახშია. სუყველა მივალთ, მთელ სოფლის ქალ-დედაკაცობა თუ კაცები, ყველა მივალთ. ი ბერიკანიც ხო იქ არიან: იქვე ლხინს, თამაშობას ჩაატარებენ, ძალიან კარგ ქეიფ ჩატარდება და დამთავრდება მაგით“.

ამის შემდეგ იწყება დიდმარხვა, „ჯორცი არ იქმოდა“. დიდმარხვის დადგომის წინა კვირას ჯერ ხორცი იკრძალებოდა, შემდეგ კი ყველა ცხიმიანი საჭმელი.

#215#

მარხვათგამომთვლელს შეშლია, დამარხვებამდე კიდევ ერთი კვირა ჰგონებია და ცხიმიან საჭმელებს დაჰხარბებია. შემდეგ შეცდომა შეუტყვია და შემდგომი ერთი კვირის განმავლობაში გამოზოგვით, ნელ-ნელა, ნებაზე უჭამია. ამიტომ, გადმოცემით, დიდმარხვის დადგომას წინ უძღვის შურისა და ნების კვირები.

დიდმარხვა ყველის შაბათის შემდეგ, კვირა საღამოს იწყება. იმ საღამოს ალების ღამე, ე.ი. დამარხვების საღამო ეწოდება. იმ დღეს უკანასკნელად აკეთებდნენ სახსნილო საჭმელებს და მკვდრებსაც სახსნილო საჭმელებზე შასდებდნენ სახელს. ფშაველთა რწმენით, ამის შემდეგ მკვდრებიც მარხულობდნენ. იმ ღამეს სასმელ-საჭმელს არ ზოგავდნენ, ყველაფერი უხვად იყო. ალების ღამეს იცოდნენ გამოთავგობა (იხ. წინ).

დიდმარხვის დადგომის მეორე დღეს არი, ურწყის ორშაბათს ეძახიან და თან პოვნილობა იციან იმ დღესა. პოვნილას დაიჭერენ აი ახალგაზრდა ბიჭები, გოგოები. დაჭერას

ვეძახით: იმ დღეს პურს არა-მსჭამენ. დასანიშნ ბიჭი იქნება, უცოლშვილო, თუ ქალი, გასათხოვარი, და თავის ბედისასა-მნახვენ იმ ღამეს, იმას ვეძახით **პოვნილას**. ისე ძალიან უქმეა, ზოგს ისე აქვს ნაკვეთი (= აკვეთილი) შვილების გულისთვინა, შვილიან დედაკაცებსა, რო არც ისენი-მსჭამენ პურსა იმ ურწყის ორშაბათსა. ქალ-ვაჟები ამით არა-მსჭამენ პურსა, რო იმ საღამოსა მარილთკვერეები უნდა გამაუცხვას **სიყმიშვილსა** (პირველ შვილს). სამ კვერს გამაუცხობს, ბატარებსა კი ჯარისთვალისოდენი უნდა იყოს. **წყე** მარილ იყოს, **წყე** – ფქვილი. ისენ უნდა შეჭამოს სამი, დაწვეს და იმ ღამეს ნახავს საბედოსა, სიზმარში წყალს შეასმევდა ისი.

იმის მომყოლე შაბათს, დიდმარხვის დადგომის სწორზე არი, მგელთუქმეს ვეძახით. ჩვეულებრივ ცომს მოვზელთ, **მგელთკვერებს** || **სასრაველებს** გამოაცხობთ, გაუკეთებთ სიმინდის ან ლებიოს თვალებსა. მემრე იმისად ბალღებმა იციან, შვილდ-ისარს გაუკეთებთ, სროლა იციან, ესრიან იმასა, მითამ მგელს კლავდენ. ჩვენც უქმობთ იმ დღესა, იმ ღამეს, **მგელუთქმ საღამოსა**, აემ ბომზედა სალესველსა და დანას მივაკრავთ ბაწრითა, რო მითომ **მგელთპირშაკვრას** ეძახიან, მგელი ველარაფერს შაგვიჭამსო.

ჩამაილის ეგ საქმე, მემრე მადჰყვება იმასა, **სულთაკრეფას** აკეთებს, ვინცა ლაპარაკობს. ის ვერაფერს ვერ გააკეთებს, იმან უნდა მაშინვე როგორც **აძსჩქამდება**, მაშინვე უნდა იუქმოს. #216#

ვეძახით. დიდმარხვის ორი კვირა რო გამოიდოდა, მეორე შაბათს მოდის **სულთაკრეფა**, მკვდართ დღეა. სულთაკრეფას უნდა მოვხარშოთ წანდილი და ლებიო. ლებიოსაც ურევთ წმინდას, საფქავს, ვამზადებთ **ლებიოს დობანს**, **სასულთაკრეფო დობანს** და **შავდებთ სახელსა**. მაშინაც გამუაცხობთ პურებს. ვაცხობთ მურგვალ პურებსა, დავაჭრელებთ იმასა, **სასრაველებს** ვეძახით, იმათ უნდა შავდგათ სახელი. და თუ ვისმე ახალ მკვდარი-მჰყავ, ან **სულთაკრეფასა შვრება**, ისი **ხარჯსა შვრება**, პურსაც გამააცხობს ბევრსა, დედაკაცებ მივალთ, ჯმიადებს მივიტანთ იმ ოჯახშია. სამარხვო სუფრას, მარხვაა, მაშინ აი, სახსნილო არაფერ არ არი იქა, ცხიმის არაფერ არ არსებობს. და იქ ისენი **სახელს შადებენ**. **მკვდართად სახელის შადება** მკვდარისათვის ტაბლის (სუფრის) დადგმაა. სასმელად ლუდი და არაყია. მემრე **რიგი** ვიცით. დაგვირიგებენ მიცვალებულის ოჯახიდან პურებს, ჯმიადებს...

სულთაკრეფის შემდეგ, მერე, მეორე კვირა რო მოდის, ის არაფერ იქნება და იმ კვირას რო ოთხშაბათი მადჰყვება, იმას ვეძახით **შუამარხვასა**. ისე რო, სამ კვირა და ოთხი დღე გავა და დარჩება სამ კვირა და სამი დღელა-რა. ვეძახით ამიტო შუა მარხვასა. იმიტო რო, შვიდ კვირა არი ე მარხვა. ამ შუამარხვასაც ისევ უქმობა ვიცით, არაფერს არ ვაკეთებთ აქა. ნათქომია, ჯერ აი, ფჩხილს არ მოიჭრით რო: **შუა მარხვას ნაკეთები შუა გაიყოფაო**.

მემრე გაილის ის ერთი კვირაცა, ორი კვირა რო გაილის, მესამე კვირა რო მიდის, აღდგომის წინა კვირა არი, ვეძახით **ბზობასა**. იმ ბზობას ისევ მარხვა არი, მაგრამ ვისაც ახალ მიცვალებული-მ ჰყავ, ისევ ხარჯსა-მშვრება. ის მაიტანს თევზსა, სხვა რამეს, სამარხვო სუფრას გააკეთებს. თევზისად ჩვენ ყველამაც ვიცით მოტანა თევზისა ოჯახში, **სახელს შავდებთ**. კარტობილს მოვხარშავთ, შეიძლება ლებიო, წანდილი, აეგეთი რამე გავაკეთოთ, ხოლო ცხიმს არ გაუკეთებთ არაფერს.

ამ ბზობის შემდეგა ოთხშაბათი რო მოალის, ვეძახით **კუდიან დღე-ღამეთა**, **დიდოთხშაბათს** ვეძახით თანა. დადიან ვითომ კუდიანები, ეშმაკები ამ დღესა, ეს ოთხშაბათი იმათია. ი იმ ღამესა, გომურის კარების თავზე, აე სახლის კარები-ღ თავზე ესკალიან ჯოხებს დავატანებთ. ეს აშინებს ვითომ ამ ეშმაკებსა. ტყემლის ჯაგებს კიდე ტოტებს დავტეხთ და იმეებს გაუკეთებთ, ეკლიანია და ერიდება. იმ ღამეს დავანთებთ დიდ ცეცხლსა კარებზედა, **ჭიაკოკონას** ვეძახით.

#217#

მეორე დღეს დილით, ხუთშაბათი რო გათენდება, ამ ხუთშაბათს ვეძახით **დიდხუთშაბათსა**, **უმძრახობის დღესაც** იტყვიან. და დილით რომენი ავდგებით დედაკაცი, სახლის დიასახლისი და მოიტანთ დილით **უმსნელ წყალს** ვეძახით, რო არავინ არ მისულა ჯერ წყალზე და არავის დაუღევა, **ხელუხლებელია**, **უსმელი**, რაღა! უნდა მივასწრათ სუ ყველას. ეხლა ყველა მაგას ვცდილობთ, რო დილით მივიდეთ წყალზე. მოიტანთ ამ წყალსა, დავანთებთ ცეცხლსა, გინდა ვისმე გეღვიძოს ოჯახში, იმ დღეს უმძრახები ვართ, არ ველაპარაკებით ერთიმეორესა. უკეთესია, რო მოიტან იმ წყალსა, დავანთებ ცეცხსა, იმ ტყემლის ტოტებს შავაწყობ ცეცხში, და ის რო დანალვერდლდება იმ წყალში – **ნაშრეტას** ვეძახით – იმ ნაკვერჩხლებს ჩავჰყრით იმ წყალში, **წყალ ჩავშრიტეო**, ვიტყვით. მანამ გეღვიძება, მენ დედა ვარ, ჩემ შვილებს უნდა ჰვლზე ესენ გაუკეთო. აი, **ურძანაა** (ხეა) ერთი, იმის მძივებს გავაკეთებთ. აემხელა ხეებს მოვსჭრით, ბატარეებსა, გადაუჭდევთ შუაზედა, ამას **ჩილას** შავაბამთ და იმას შავაბამთ კლავებზე. **ჩილას** ვეძახით აი, თეთრ ძაფი როა, სანთლის გულად რო ვაკეთებთ, სანთელს რაზედაც ვასხამთ, იმას ვეძახით **ჩილასა**, ბამბისია. იმას გაუკეთებთ მკლავზე, მძინარეებს, ლოგინში. კაცი ადგება ამ დღეს, ეს გაზაფხულია უკვე, ხშირად იციან, კაცნი ადგებიან დილით უმძრახები, წავლენ ტყეში ან შემას მამსჭრიან, ან დამზადებენ ან გუთან, გუთნის იარაღებს, რაღაცას გამმართავენ. მემრე რო მოვლენ უკეთესია, ქალებმა ვიცით – ვინც ადრე თმთან ქალებ იყვნენ, – კარგია თმისადაო, ადგებოდენ დილითა. ამ დღეს ამ ჩაშრეტელ წყალით თავს დაიბანდენ. მანამ უმძრახები ვართ, შეგვიძლიან ყველაფერ ვაკეთოთ: კიდეც დავქსოვოთ, კიდეც ვიმუშაოთ და როცა ავჩქამდებით ვისმე, მემრე უქმობთ, მემრე აღარას არ ვაკეთებთ, ვართ უქმადა იმ დღესა, დიდ ხუთშაბათსა. შეიძლება რაღაცა დაილაპარაკო, მაგრამ ერთიმეორეს არ ველაპარაკებით: არ უნდა ავჩქამდეთ. რა, სუც არ უნდა ავჩქამდეთ. არი ისეთი შემთხვევა, რო სასაცილოდა ხშირად იცის, მაგალითად, ნიკომ ჩემთვის რო, ადგება, რო იცის ამანა, რო მე უმძრახი ვარ, ძალოო, – დამიძახებს რაღაცაზე, უნდა, რო დამალაპარაკოს და მე ჩუმად მეცინება და ვითომ არ მესმის. ის არაფერს არ აკეთებს, ვინცა ლაპარაკობს. ის ვერაფერს ვერ გააკეთებს, იმან უნდა მაშინვე, როგორც **აღჩქამდება**, მაშინვე უნდა იუქმოს.

#218#

მეორე დღესა თენდება **წითელი პარასკევი**. ეს წითელ პარასკევია, როცა მოკლეს იასო ქრისტე. ამ დღესა უქმობთ ჩვენ ძალიანა, რო არაფერი არ გავაკეთოთ; აი, მაგალითად, მარილსაც არაფერს დავაყრით, რო ეს იასო ქრისტეს წყრულებს ეყრებაო, ნემსს არაფერს წაუგდებთ, რო ეს იმის ხორცთ ეჩხვლიტება; ცუდს არაფერ დავარტყამთ, რო ეს იმას

ერთყმებაო. ამ დღეს მოვხარშავთ კვერცხებსა და ვლებავთ წითლადა, ფერ გვაქვის, ფერში. იმასა ვკრეფთ აი, მინდორშია ენდრო დგა და იმაშიცა ვხარშავთ, ისიც აწითლებს.

მერე გათენდება, ვეძახით **შავ შაბათსა**. ამ დღეს არი – **ურიათ ჩხვლეტისას** ვეძახით ამ დღესა. ამ შაბათს ვხმარობთ ძალიან დიდხანა, ვკერავთ კიდეცა, ვქსოვთ კიდეცა. **ურიათ ჩხვლეკისაო**, ვითომ მაშინ ურიებს ეჩხვლიკება. სამაგიეროს უხდით, იასო ქრისტე რო იმათ მოკლეს. ჰოდა, იასო ქრისტეს ვითომ ასაფლავებენ ამ დღესა.

მერე გათენდება კვირას **აღდგომა** და რო დავინახავთ ერთურთს კვირა დილასა, ვიტყვით – „ქრისტე აღდგაო“ – „ჭემმარიტად“ და – „მადლი მახარობელსაო“. ჰოდა ამ დღეს ყველა დღესასწაულობს, ხატში წავალთ, ქადებს გამოვაცხოთ, საკლავი ვისაც რამე გვყავ და **გაიხსნება მარხვა**. ვისაც მარხვა უჭერავ, დილით იმანა პირველ უნდა შეჭამოს ყველი, მემრე ხორცი, ხორციით უნდა გაიხსნას პირი.

ორშაბათს კიდე სასაფლაოზე ვიციტ წასვლა. **სულთშაკრეფის დღეაო** ამ დღესო, ამ ორშაბათსაო, – იციან. და კვირას ხატშია სულთათვინა, თუ რაღაც, საერთოდ ეგრე კი არი: თუ ახალ მიცვალებულთა სოფელში, მაგალითად, აქა, კვირას, ვიდრე იმას სულს **არ აუხსნიან**, ჩვენ მარხვაში საკლავის დაკლა არ ვიციტ, სულის ახსნა არ ვიციტ, **სულის ახსნა** არ ვიციტ კვდრისთვინა აი, მარხვაში. და ი კვდრის პატრონი, როცა **სულაუხსნელი კვდარი** ჰყავ, არცა-მსჭამს ის ხორცსა მისდღემჩი, მანამ სულს არ აუხსნიან და არც ხატში სანთელ ეენტება, ვიდრე კვდარს სულ არ ეეხსნება. აი, მაგალითად, კვირა დილასა, მანამ ხატში სანთელს ვერ მანთებენ, ვიდრე კვდარს სულს არ აუხსნიან. კვირას, თუ ახალ მიცვალებულია, კვირას არაფერ არ არი, მარტო სულს აუხსნიან და საკლავს დადკვლვენ და მემრე ხატობა იციან და ხარჯი კიდე ორშაბათს არი, **მკვდართღეა** ორშაბათი. კვირას ხატობა არი.

#219#

იმის მომყოლე კვირა **ახალკვირენია**, **ახალკვირეთ** ძახიან. ვიციტ აქ ხატში მისვლა ჩვენ **იაქსარში** მივიღვართ ყველანი ორშაბათსაც ვიციტ ჩვენ აექ, **ადგილისდედათ** ვეძახით – ჩვენ სოფლის ბოლოზე რო ხატია, აღდგომის ორშაბათს აუცილებლივ უნდა მივიდეთ მანდ. ყველა სოფელს თავის **ადგილის დედა-მჰყავ**.

იმის მამყოლე, აღდგომის მეორე კვირას არი, **კვირისძილობას** ვეძახით, მივიღვართ **ლაშარ-ღელესა** საკვირაობით. **მათურკეობა** იციან, იქაც მიდიან.

ხუთაი კვირა რო გახდება აღდგომის შემდეგა და მამჰყვება იმას ხუთშაბათი, მაშინ ვეძახით **ამაღლებასა**. **ამაღლებას** ვეძახით იმიტო რო, აღდგომას რო ამდგარა ეს იასო ქრისტე, უვლავ და **ამაღლებას** წასულა ცაში. **ამაღლებასაც** ვიციტ; ხატობა, უქმეა.

ამაღლების შემდეგ მოდის **ხალარჯობა**. **ხალარჯობა** მკვდართ მოგონების დღეა და მას მხოლოდ ფშავლები აღნიშნვენ. „ახალ მკვდარ ვისაცა-მჰყავ, ერთ წელში რაც მომავალი (= მოსასვლელი) მოდის, ან სულთაკრეფა მოდის, ან ბზობა მოდის, ან ხორცის შაბათ მოდის, ყოველთვის რაღაც ხარჯები აქვ; **ხალარჯობას** იხდის ყველა, ვისაც ახალ მიცვალებული ჰყავ და ერთ წელ არ არი ჯერ გასული, ჯერ **წელთაობა** || **წელთავება** (წლისთავი) არ აქვ ნაქნარი. **წელთაობას** || **წელთავებას** ვეძახით, კვდარს რო წელ გაუხდება და ხარჯს გადაუხდით.

ხალარჯობა მოდის აღდგომიდან მე-7 კვირას ხალარჯობის დღეებში ყველა მიცვალებულის პატრონი ვალდებული იყო გამოეცხო ქადა-პურები და მისულიყო თავის მიცვალებულის

საფლავზე. ახალი მკვდრის პატრონთან ნათესაობა დაუპატიჟებლად მიდიოდა. ნათესავთაგან მკვდრის პატრონთან ჯერ არ ნამყოფნი მიდიოდნენ, ქადა-პურებით, საკლავითა და სასმელით.

სამშაბათს **კოპალის ქვაზე** ვიცით ხატობა, მაღაროს აქათ არი. ეგ კოპალის ქვა **ციხე-გორით** (ხატია) არი მოტაცებული. დევებს გაუტაცებავ და იქ დადსწევია, ლახტი დაუკრავ. ი ქვა იქ არი დადებული და ამით არი **კოპალის ნიში** ეგა. ეგ როგორც არი ისტორია, იაცსარს უსროლავ ლახტი, დამეშველეო, – კალთებ დავიჭრიო, კოპალას უთქომ. ვემახით #220#

ძლიერი უქმეა **დაღამების ოთხშაბათი – ლომისობის დღე**. ლომისობა, მართალია, ფშავლების სალოცავი არ არის, მაგრამ ძალზე ძლიერ უქმედ მიაჩნიათ, არ საქმიანობენ, ხელსაც არ გაანძრევენ.

„სამშაბათს მოყოლება ოთხშაბათს ვემახით **დაღამების ოთხშაბათსა**. ამ დღეს უქმობთ ჩვენ ძალიანა. არავინ არაფერს არ ვაკეთებთ. ნათქომია, რაღაც ძველ ნატირალია რო:

„დაღამებისა ოთხშაბათსა
შვილსა საკინძი გამაუბიო,
ღმერთო, ისეთა რა გაწყენინე,
რო პირსისხლიან მამივიდაო“, ან:
„გავგზავნე სალხინებელჩია,
პირსისხლიანი მამივიდაო!“.

იმასა – ძველია შვილი, მამავალი. ეხლა დედაკაც იქნებოდა თუ მამაკაცი, იმ დღეს რაღაც ტანსაცმლის შასაკრავი გაუკეთა, **საკინძას** ვემახით. რა ვიცი, ეხლა რა იქნებოდა და ამ დღეს დააბრალა, რო მაშინ არ შეიძლებოდა, ალბათ არ შეიძლებოდა, რო გვეკეთა, მაგრამ გაუკეთებავ.

მერე დგება მარხვა და იხსნება **პეტრეპავლობასა**, ძველით 29 თიბათვეს. ეს პეტრეპავლობა თუ მოალის ისე, რო შაბათ დღეს ან კვირა დღეს, იწყება ჩვენ **გოგოლაურთას ხატობა**. ვემახით **საღმერთობას**. კვირას იქ არიან, ორშაბათს. სამშაბათს იქ დაამთავრებენ, წავლენ **ღელეს**, ხატობაა **ღელეობა**. ღელედან წამოვლენ ოთხშაბათსა და მერე ხუთშაბათს არი მანდ **მთავარმოწამე** – ხატი. თან ხუთშაბათს აქაც იწყება, ჩვენთან, **იაცსარშიაც**. **იაცსრობას** ვიტყვით. **ავის გორს** ვემახით, მაგასა. ავის გორს იწყობა ხატობა, **სერობა**. პარასკევსაც იქავ არიან. შაბათს საღამოზე დამთავრდება აქა დღეობა და **ხატიონი** (ხატის მსახურ-მლოცველნი) წავა **კარატეს**. ავლენ იქ, ხატიონი დროშას იქ წააბრძანებენ, იქ არი ხატობა. კარატეს დამთავრდება და კვირას ჩამოვლენ, ორშაბათს კიდე მივლენ აქა, **იაცსრის ხატში**, სანთელს მანთებენ და მთავრდება აქა ხატობა.

სამშაბათს არაფერი, ოთხშაბათს დაიწყებს მოდენას **ციხე-გორის** მლოცავი და ხუთშაბათს იქ იწყება დღეობა. პარასკევს წამოვლენ იქიდან, შაბათს არი **ირემთ-კალოობა**. #221#

მერე **მთაწმინდას** იწყება **მთაწმინდობა**. კვირას შაჯდებიან (= ავლენ) **მთაწმინდის ველზე**. მთაწმინდობადან მემრე ჩამოვლენ **ცაბაურთას**. ამავე დროსა ხდება აქ ხატობები. მაგალითად,

გოგოლაურთას რო არი, მაშინ არი ჯომარაშიაც; **ირემთ-კალოობა** როცა არი, მაშინ იწყება **წყაროსთაობაც**; **მთაწმინდობა** როცა არი, მაშინ არი **მათურობა** (მათურის მთავარანგელოზი).

გოგოლაურთობა როცა არი, საერთოდა – ძველიან მანდ **საღმრთობა**. ჩვენ ხატებს ეძახიან **სერობასა**. მართალია, ციხე-გორსაცა და აქათაცა ლოცულობენ ყველგან კოპალასა, მაგრამ იქა-ძველიან **ციხე-გორობა**, მანდა-ძველიან **ირემთ-კალოობა**. ეს ხატობები მთავრდება აქა. **მთაწმინდა-ცაბაურთობა** სამშაბათ დამთავრდება.

მერე დგება ისევ მარხვა. მარხვა დგება ორი კვირითა მარიანობის თვეში. ძველით ხუთმეტში იხსნება. მაშინ არი **მარიანობა**. ხატობა ვიცით მაშინაცა. ყველა თავ-თავის ხატში გავა. უკანაფშავლები **წყაროსთავს** მივლენ, აჯადლები შიგავე აჯადში ლოცულობენ. მაგათ აქვთ **პირქუში**. მაგათ ხატობაში არა ყოფილვარ. სხვაგან სამაც მიდიან ეგენი, აი, მაღალ მთაზე ადიან, **ბელელას** ეძახიან. რაღაცა-ძველიან, შარშან აი, მიშიაც იყო, იონით, თუ რაღაცა, კაცო. ჰო, **აონი, აონი!** აჯადლები კი არა, ეს საერთოდ არი, ეს აონი, თამარო, მთელ საფშავლო რაც არი, ჟინვან ზემოთ საქონისთვი ლოცულობენ. ეს არი **აონის დედა ღვთიშობელი**. ძან უქმეა მარიანობა: „**მარიანობა** დღესაო ქარი არ დადსრავს ხესაო“, – ნათქომია. ერთ დღეს არი, 15 მარიანობის თვეს მოდის ეგ ხატობა, მემრე უქმეები მაიჰყვება. მერე მოდის ენკენისთვე.

„მკათათვეში, ელიაობის წინ, **ივანეს თავისკვეთა** მოდის. თურმე ძმას უნდა ძმის ცოლი შეერთო ცოლად. ივანე დამდგარა უარზე და მოუჭრავთ თავი, როგორ თუ მაგას ამბობო. მასჭრეს თავი და ისივ ამბობდა: თავმაუჭრელი ამას ვამბობდი და თავმოჭრილიც ამას ვამბობო: „ძმას ძმის ცოლი არ ერგებაო“ (ს. თხილიანა).

ოც მკათათვეს, მარიანობის წინ-წინ არი **ელიაობა**. **სამსხვერპლო** იციან. ეს ელიაობა არი იმაზედა, რო ეს ელვა, რწმენა არი, რო მითომ იმაზედა ხდება, რო ეს ელვა ავი სულეზია და იმაზედა. აქ ელიაობის დროს ვინ იმუშავებს, ელვა დაძკრავს. ელვა ისე არი წარმოდგენილი, როგორც ავი სულეზი და ვინმე მუშათ თუ შაძყრის, სულეზის საწინააღმდეგოდა ციკნის დაკლვა იციან:

#222#

„ელია და ზაქარია შვილებია იობისაო,
მეხს ესრიან ეშმაკებსა, იმათ ჯავრი ძან შჭირსო“.

შემდეგ, მარიანობის წინ-წინ, მარიანობისთვის ექვსში არი **ფერისცვალი** || **ფერისცვალობა**. უქმობთ მაშინაცა ერთ დღე გამაილის შუაზედა და მემრე არი **მელვარობა**. უქმობთ ამ დღესა, რო ღვარ-წყალ წაიღებს თურმე ყველაფერსა. აი, მერე მოდის **მარიანობა**. მარიანობის მარხვა რო დადგება ორ კვირისა, მაშინ მოდის ეს **ფერისცვალობა** და **მელვარობა**. მემრე, ენკენისთვის რვაში არი **მექარობა**. ფერისცვალობას ძალიან უქმეა თურმე, არ ინათლვება, **უნათლავს** ვეძახით. მელვარობასა და მექარობასა **ნათლვენ**. **ნათლვას** ვეძახით იმასა, რო საკლავს დავკლავთ და პატიებასა ვთხოვთ. რაკი მარხვაში მოდის ეს მელვარობა, **ფუტკრითა ვნათლავთ**. გავტეხთ ფუტკრის ძირს – ფუტკარს, აი, თაფლს ამოიღებთ კოდებშიითა, წყალს დავასხამდით, ფუტკარს დავკოცდით, თაფლს ამოიღებდით და ვეხვეწებოდით, რო: გვაპატიეთ, იმ დღეს თუ ვიმუშავეთ რამე (იხ. აგრეთვე თიბვის ლექსიკა). **მექარობას საკლავითა – მნათლვენ**, საკლავ დაიკლვის. იმ დღეს რო ან მუშათა შაყრა იცოდენ,

ან სამკალ იქნებოდა, ან სათიბი, ნათლვის დროს ვიტყვით: **უქმი უნდა ვნათლოო**. ამით ვეხვეწებოდით, რო გვაპატიე ეს უქმიო.

მემრე **მექარობა** წავა (ენკენისთვის რვაში). მემრე **გიორგობა** მუა. **გიორგობან** მოდიან ათ გიორგობის თვეში. ვკლავთ საზამთროდა სახორცე კურეტებსა, ძროხებსა, რავი, ჭედილებსა... ვისაც რა გვინდა, ზამთრის მარაგად. გიორგობის სწორზე **დამარხვდება** (დაიწყება მარხვა) და ძალიან დიდხან არი ეს მარხვა, **ქრისტემდე** და იხსნება იმ **ქრისტე დღესა**, ქრისტის დაბადების დღე რო არი, ოცდახუთ ქრისტიშობის თვესა და აქიდან იწყება ი სათვალავი, წელან რო გითხარ, რო ან **ცხრად მოვლენ მარხვანი**, ან შვიდადაო...

თუ ახალ მიცვალებული სოფელშია, კვირას, ვიდრე **იმას სულს არ აუხსნიან**, ჩვენ მარხვაში საკლავის დაკვლა არ ვიცით“.

#223#

ვინმე რომ დაიღუპება, იმის ამბის მომტანი **მოხმე, მოხმედ მოსულია**. „შვილიშვილ **მოხმედ მამივიდა**“ (ს. გომეწარი).

რა სიტუაციაც არ უნდა ყოფილიყო სიკვდილიანობის დროს, მიცვალებული ერთი ღამე მანც უნდა დარჩენილიყო თავის სახლში. მას აფარებდნენ ნაყიდ თეთრ ან ჭრელ ქსოვილს, ან სახლში მოქსოვილ შალს, რასაც **გასახურავი** ეწოდებოდა. **გასახურავი** ოჯახისა უნდა ყოფილიყო. **ჭირის წყენა** გარდაცვალებულის ოჯახის წევრების მიმართ გამოცხადებული სამძიმარია.

მიცვალებულის გასვენებამდე წრიულად დამსხდარმა ქალებმა გამდნარ სანთელში ამოვლებული ჩილისა და საკმევლის ანთებით **მიცვალებულის გზის განათლვა** იცოდნენ. დასაფლავების შემდეგ ოჯახი იხდის ქელეხს, რასაც **რიგი** ან **ხარჯი** ჰქვია. მკვდრის პატრონი დასაფლავების დღეს (თუ მარხვაა, როცა გაიხსნება, მაშინ), მკვდრის **სულის სახსარს**, ცხვარს კლავს, **რიგისათვის** აცხობენ ქადა-პურებს, თხელ ლავაშებს; საჭმელად ამზადებენ **ჯორწვენს** – (< ჯორცწვენს), **ბრინჯის ფლავს**. ამ დროს იციან **სახდურიც** – ჭამისას შესაყოლებელი, შესატანებელი, აგრეთვე **რიგ-წესის-დასაყენებელი**, ე.ი. ღვინო-არაყი და ლუდი. **სატირლად** || **სატირელზე** წასვლა მიცვალებულის დასატირებლად წასვლაა. იციან **ხმით** || **წმით ტირილი**: შემონახულია ხმით დატირების მრავალი საინტერესო ნიმუში. **წმითნატირალე** ჩვენც უხვად მოვიძიეთ და აღვწუხებთ.

დასაფლავების მეორე დღეს ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები გადიან საფლავზე და ამას **გასვლა** ეწოდება. ერთი კვირის შემდეგ მკვდრის პატრონი მეზობელ-ნათესავებისათვის იხდის ხარჯს, რასაც **შვიდი** ჰქვია. შვიდის შემდეგ მოდის **ორმოცი**. მეოთხე ხარჯის გადახდა – **წელთავება** ხდება ერთი წლის თავზე. მკვდრის დღეებია აგრეთვე **ხალარჯობა** (იხ. წინ). მკვდრის პატრონი მძიმე გლოვის ნიშნად თმა-წვერს უშვებს, რაც ერთ წლამდეა განსაზღვრული. ხშირად თმა-წვერს უშვებს ახლო ნათესავიც. ისინი ხშირად შლიან მკვდრის სულის მოსახსენიებელ სუფრას – **თავმოსაპარსიოს** და შემდეგ წვერს იპარსავენ.

#224#

მკვდრის ლოგინი || **სატირელი** მიცვალებულის ტანისამოსი და იარაღია, რომელსაც წლისთავამდე გამოიტანენ, ფარდაზე ან ნაბადზე გაშლიან ხოლმე და დასტირიან. ხშირად ამ მიზნით მკვდრის სახელზე ახალ ტანსაცმელს კერავენ. წელთავების დროს ამ ტანსაცმელს

უფასოდ აძლევენ მიცვალებულის ახლო ნათესავს ან კარგ მეგობარს მკვდრის სულის საცხონებლად.

სახელის შადება მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი სუფრის (ტაბლის) დადგმაა.

წელთავების დროს მკვდრის პატრონი მის (მკვდრის) სახელზე დგამს **ღაბახს**. **ღაბახი** სამიზნეა. ღაბახად დგამდნენ ხარს, ძროხას, ჭედილას, თოფ-იარაღს, ხმალს, ქალმან-წინდებს. ვინც სამიზნეს მოარტყამდა, ღაბახად დადგმულ ნივთს ან პირუტყვს იღებდა ჯილდოდ. ღაბახი თუ დიდხანს რჩებოდა აუღებელი, მკვდრისათვის უფრო სახელი იყო.

მოსახელე მოტირალი და ჭირვეული ბავშვია, რომელსაც ამა თუ იმ მიცვალებულის სული ენუკვის, რომ მისი სახელი დაარქვან. მიცვალებულის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით ბავშვს მის სახელს არქმევენ, რასაც **სულის სახელი** ეწოდება. სწამთ, რომ ეს სახელი ბავშვს მფარველობას გაუწევს. მიცვა თებულის სახელის შერქმევით **მოსახელე** მკვდრის ფეხზე ჩაყენებას ნიშნავდა, ამიტომ მას **ფეკას** ან **ფეკზე ჩაყენებულს** უწოდებდნენ. როდესაც მშობლები ვერ იგებენ სულის სახელს, მაშინ ისინი **სულის მკითხავთან** მიდიან. ფშავში არსებობს ორი სახის მკითხავი: **ხატის მკითხავი** და **სულის მკითხავი**. **ხატის მკითხავი** უფრო გავლენიანია. იგი როგორც ხატის, ასევე სხვა საიდუმლოებათა გამომცნობელია.

სულის ყოფნა, ფშავლის აზრით, კაცის გარდაცვალების შემდეგ სულის უჩინარი ცხოვრებაა. მას ცოცხალი ადამიანის მსგავსად ყველაფერი სჭირდება.

ათენგენობა, ნაკვეთი **დღე**, **უქმის ნათლვა**, **კელთ-უძრავი უქმეები**, **უქმის ფუტკრით ნათლვა**, **უქმის სანათლავი საკლავი**, **სამხთო**, **საუქმოდ სიარული**, **შაბათის მუშანი**, **კელნაცვლივ შველა** (იხ. თიბვისა და ბალახეულ მცენარეთა ლექსიკა).

გვირგვინის მოხდა, **სახლის პატივი**, **სახლის ნიშანი**, **საწადმართო**, **კვეთილში ჩასმა**, **მუცლად დაქორწინება**, **სანაწეო**, **საკიდლის ჩამოგლეჯა**, **საკიდლის საკსარი**, **მაშხალის #225#**

გამართვა || **შაკმაზვა**, **საღილედ ქალის მოტაცება**, **გვირგვინის მოხდა**, **სამაყრო**, **სამდადო**, **გიდლის წაღება**, **გასამყვანო ქადა**, **სამწუნობრო**, **საქვრივო** (იხ. სოციალურ ურთიერთობათა და ადამიანის ხასიათ-თვისებების აღმნიშვნელი ლექსიკა).

დამარხვება, **სამარხვო**, **სახსნილო** (იხ. სასმელ-საჭმლის ლექსიკა).

§ 3 (8). მაგიური ქმედებანი.

სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენათა საფუძველზე ფშავლის ცნობიერებაში ჩამოყალიბდა მაგიური ქმედებებისადმი გარკვეული მიდრეკილება. ფშაველს ძალიან სწამს სიზმარი. იცოდნენ **სიზმრის დაცდა** და ახლაც სჯერათ მისი. იყვნენ და არიან ისეთებიც, რომლებიც **სიზმრით მარჩიელობენ**. **ბეჭის მცნობარია** ის, ვინც ბეჭით მარჩიელობს.

ფშავში ბევრგან ჯერ კიდევ სწამთ **ფუძის გველის** არსებობაც, რომელიც, მათი აზრით, მუდამ სახლის ახლო-მახლო ტრიალებს და მისი მოკვლა დიდ ცოდვად ითვლება.

გველის თვალი იგივე ნატურისთვალა. ფშაველთ რწმენით, ზოგ გველს აქვს ძვირფასი თვალი, რომელსაც იშვიათად გამოიტანს ხერელიდან და ათამაშებს. ვინც ამ დროს თვალს წაართმევს გველს და შეინახავს, იგი დიდ ბედნიერებას და სიმდიდრეს ეწევა.

მგლის პირის შეკვრა მაგიური რიტუალია, რითაც პატრონი, ცხვარი და ძროხა თუ გარეთ დარჩებოდა და დაეკარგებოდა, მის გადარჩენას ცდილობდა.

ოჯახის წევრთა დასაცავად და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად იცოდნენ ერთგვარი გრძელი და ჭრელბუსუსებიანი ჭიის – **მიწლიკონას დასაფლავება**, რომლის ნახვაც ცუდის მომასწავებელი იყო.

გუგული და მისი ძლევა. მძლევარნი ფრინველებია, ზამთრობით რომ თბილ ქვეყნებში მიფრინავენ (გადატ. **მძლევარი** ამბის მიმტანია). გაზაფხულზე, გუგულის მოსვლის დროს, ყველა ცდილობდა, გუგულს არ დაეძლია – უნაყროს არ გაეგონა მისი ხმა, თორემ იმ ზაფხულს ადამიანი დასუსტდებოდა. ამიტომ ადგომისთანავე ლუკმას ჩაიდებდნენ პირში და თუ ჭამის შემდეგ გაიგონებდნენ გუგულის ძახილს, იტყოდნენ: „გუგულო, მიძლევიხარო“. რაზეც გუგული იჯდა, იმ ხეს მიეპარებოდნენ და მალულად მის პატარა ტოტს კბილით #226#

მოკვნეტავდნენ: „გუგულო, ღალა მოგპარე, დო სქელი, ერბო მრავალიო“, – შემდეგ ამ სიტყვებს სამჯერ გაიმეორებდნენ, ტოტის მოკვნეტილ ნაწილს კი რძის სადღვებელს შეაბამდნენ. ეს იყო სიმბოლო ბარაქიანობისა.

მთვარის რევანი სამდღიანი პერიოდია, ძველი მთვარე რომ ილევა და ახალი მთვარე უნდა გამოვიდეს. **მთვარის რევანი** ავდრიანობის მომასწავებლად ითვლება. **მთვარის ახალი** ახალი მთვარის გამოსვლაა. თუ ამ დროს იგი ყვითლად არის ჩანისლოლი, **საავდროა**; ხოლო თუ მოკრიალებულია და ქიმი მალა აქვს აშვერილი, **სადაროა**. ფშაველთა რწმენით, მთვარესთან ერთად დაბადებული ბავშვი არ გაიზრდება და **მთვარის ახალზე** დაბადებული არ იხარებს.

ბუნების მოვლენებთან (**დაქუხება** და **სეტყვა**) დაკავშირებით დამკვიდრებულია რწმენა, რომ პირველად დაქუხების დროს, ვინც სად გაიგონებს, იქვე ქვა უნდა აიღოს და წელზე სამჯერ დაირტყას: „წელი მაგარი, კუჭი მამღარიო“. სეტყვის საწინააღმდეგოდ უქმობდნენ **ელაობას** და სანთლებს ანთებდნენ მის სახელზე. თუ სეტყვა მოვიდოდა, ქვებს, ზედადგარს, ან ზარფუმს გამოიტანდნენ და გარეთ პირქვე დგამდნენ. მათი რწმენით, ქვების ძირი სეტყვას აჩერებდა. საერთოდ, დარ-ავდართ ბატონად ფშაველებს მიაჩნიათ **დამასტეს ხატი**, რომელიც უკანა ფშავეში, ს. მათურის შესახვევთან მდებარეობს

ჭაშნიკი რაიმეს დაცდა, რაიმე ამბის მომასწავებელი ნიშანია. ყველას თავთავადი ჭაშნიკი აქვ (ს. ჯოშარა). ჭაშნიკი იგივე **ასოთსამღერელია**. **ჭაშნიკებით** საზღვრავენ ადამიანის ყოფის სხვადასხვა მოვლენას. მაგ., **ბეჭის სხრაპნვა** (= შეტოკება) ან **ყურის გაწვივება** ზოგისათვის ცუდის მომასწავებელია, **საულვაშის ქავილი** სტუმრის მოსვლას ნიშნავს, **მარჯვენა ყურის ქავილი** ავდრის მომასწავებელია, **მარცხენა ყურისა** – დარის და ა.შ.

მოხიბლვა გათვალვავა. ფშაველთა რწმენით, **მოხიბლული** შეიძლება იყოს ადამიანი და ცხოველებიც, აგრეთვე ძროხის რძეც (თუ იგი კარგად არ იდღვიბება და კარაქი ძნელად ამოდის). მოხიბლვა შეიძლება ადამიანთა თვალთ, ხატის მიზეზით და შეშინებით.

ბატონები ფაქიზად მოსაპყრობი ავადობებია (წითელა, ყვავილი, ბედნიერი...), რასაც ლოცვებითა და მოფერება-მხიარულებით მკურნალობენ.

#227#

ბატონების გარდა ფშავლებმა იციან **თვალის ლოცვა, თიაქრის ლოცვა, სენცეცხლის, სურდოს, შაკიკის, ქარის, ბედნიერის ლოცვები.**

§ 4 (9) მიმართვები.

ფშაველი სიტყვაწყლიანი მოსაუბრეა, აქვს ალერსისა და წყევლა-ლანძღვის გამომუშავებული ფორმები. ასეთებია:

საწყენ-საალერსონი. გენაცვალე, ძმაო, ან დაო, ჭირი მოგპარე, შენი ჭირიმე, მოგიკვდი; მიტირე; შენ თვალნიმც დამიტირებენ; აგრემც გენაცვლები; თავსამც შემოგვევლები; ვაჟა-ფშაველა ამბობს: ფშაველი რომ არაყს დაღევს, დააყოლებს „შენსამც ჭირს დავლიევ“. ხევსურებმა დღესაც იციან, თასს რომ გამოსცლიან, „შენ ჭირ დავლიევ“, მასპინძელი პასუხობს, „თავისიც ლხინად მაგექცასო“. ფშაველისაგან ეს საალერსო სიტყვები ლამაზად არის წარმოთქმული.

ქალის მოფერება. თავს შემოგვევლე; გენაცვალე; ძმაო ან დაო, მოგიკვდი აგრიადია; გენაცვალოს დაია; გენაცვალოს დედაი; აგრემც დას დამარხავ; აგრემც დედას დამარხავ; მიწასამც დამაყრი; აგრემც მიწას დამაყრი ძმაო; ან დაო; ღმერთმა ჯვარ დამიწეროს შენს თავსა; შენ თავ მიცოცხლოს ღმერთმა.

ქალის და კაცის ხვეწნა. აგრემც გენაცვლები, ჩემო დაო ან ძმაო; აგრემც ღმერთ გიშველს, აგრემც შაგეწევა სასწორი ლაშარის ჯვარი; შენის ცოლ-შვილის, ან ქმარ-შვილის მზესა, აგრემც გაიხარებ; აგრემც დამმარხავ; აგრემც შემოგვევლები, გაიმართე ხელი, დღეს ცხენ მამეც;

ქალისა და კაცის დანანება. ვაიმე, ჩამოგიწყალდი; ჩამოგიდნი, შე ბეჩაო; საწყალო; მოგიკვდი; მოგიკვდეს ჩემი თავი; მოგიკვდი, რა საქმე დაგებედვათ; ღმერთმა ხო იცის, რარიგ დამნანდი.

კაცის დაფიცება. ღმერთს გეფიცები; ძმობას გეფიცები; **ძმაილამ** ფიცილის ფორმულაა (= ძმობას გეფიცები. შდრ: **ქალილამ, დედილამ**). ღვთის მადლმა; ლაშარის ჯვრის მადლმა; ვინ თავმკვდარ გატყუებდეს; ვინ მამამაღლ გატყუებდეს; დედ-მამის სულსა ვფიცავ; მამის სულს გეფიცები; ჩემა მზემ; უფლის მადლმა; ღვთის მშობლის მადლმა; არ გამიწყრეს ჩემ სალოცავი.

ქალის დაფიცება. **ქალილამ, დედილამ** (= ჩემს ქალობას გეფიცები); ჩემ ძმათ მზემა; #228#

ჩემი შვილების მზემა; ძმას გეფიცები; თუ ორი ძმა ჰყავს: ჩემ უღელთ ძმათ მზემა; ჩემ მამის სახლის გამრავლებამ; ჩემ ძმათ გამრავლებამა; შამრჩენ ძმანი; შამრჩეს შვილები და სხვა.

კაცის დალოცვა. ღმერთმა გიცოცხლოს ცოლ-შვილი; ან ქმარ-შვილი, ღმერთმა შვილებ გაგიზარდოს; ღმერთმა გიშველოს და-ძმობის გამჩენმა; შაგეწიოს ფშავ-ჰევსურეთის ნალოც

ხატები; ჯვარ დაგიწეროს ე ადგილის დედამ კაცსა და საქონსა; ღმერთმა დედ-მამის სულ გიცხონოს; ღმერთმა გაგახაროს და სხვა.

ქალის დალოცვა. შენამც გიშველს ღმერთი; შენამც შაგეწევა ჩემის მამის სალოცავი; ღმერთმა გიცოცხლოს ცოლ-შვილი; შენი ამჯობინოს შენი მტრისასა, ჩემო ძმაო; ღმერთიმც შეეწევა შენს ჯანსა; შენამც შარჩები და გაეზრდები დედასა; გენაცვალე; ჭირი მოგპარე; თავს შამოგეველე, ჩემო შვილო; ბარაქა-გახანება (მკის დროს); ბარაქა თქვენ საქმესა (კალოობის დროს); ვარ-გუთანს გაუმარჯოს (ხენის დროს).

ქალის მუდარა. აგრემც შეგეწევა ღმერთი; აგრემც გიშველის ფშაველთ სალოცავები; შენი ჭირიმე; შენი კვნესამე; აგრემც გიცხონდება ლამაზ დედ-მამის სული; თუ გწამს მეზობლობისა და ძმობისგამჩენი; ი შენის ლამაზის დღეგრძელობასა; თუ გწამ ცნობა-ნდობის გამჩენი; აგრემც დამიტირებ, აგრემც დამმარხავ; აგრემც შერჩები დედაშენსა; აგრემც შეეწევა ღმერთი შენს ჯანსა;

კაცის გაკვირვება. უჰ, კაცო, რას ამბობ! საკვირველია ღმერთის მაღლმა; ოხ, რა მასვლია ი ბეჩავსა! ეს რაღა მითხარ! რადრა ნეტარა! და სხვა.

ქალის გაკვირვება. უიმე, ღმერთო, დამწერე ჯვარი! ვაიმე, ე რაღა უქნავ! რაღა გავიგონე; რამ-რა გადარია ნეტარა! რამ გააუგონთა! რამ გააბეჩავა! ესეთა კი არა დამხედვებია! ესეთა კი არა გამიგონავ! და სხვა.

§ 5 (10). წყევლა.

წყემნა || წყევა-კრულვა წყევლაა. ვინმეს დაწყევლაზე იტყვიან, დაწყვივნეს ისეებო. აზუნდოებსო, იტყვიან იმაზე, ვინც იწყევლება. დარიშხვნა ზოგადად დაწყევლა, გაწყრომა, გალანძღვა, დატუქსვაა.

ქალშავა, ქალკუპრო, ბალაბნელო, – ეტყვიან გაჯავრებით ქალსა და ბალს. **სად დაიხაფრაო?** – იტყვიან დაკარგვაზე. **თვალები დაგემრიტოსო, დაგებზაროსო,** ე.ი. დაგიბრმავდესო. **დაილიენითო, დადნელდითო, გადსთავდითო, გაიბრაშტენითო,** ე.ი. გაწყდითო. **ნარ-ეკალიმც ამოა მაგის სახლკარზედაო || ჭინჭარ-წენგარიც ამოალის მაგათ სახლ-კარშიო || ოჯრადამც დარჩება, ტივლადო, ცითამც მეს დადსცაო,** ე.ი. სახლ-კარი დაექცესო. **მწივანსამც (= გველი, უსურმაგი) ჩაყოლებო || ჭირ-მამკლავითამც ამივისებო || ცეცხლთამც გექცევაო, ჭირადო,** ე.ი. შხამად შეგერგოსო. **სახლის კარიმც გამეეჯრებაო,** ე.ი. გამოეკეტოს კარიო. **რასა-მგველავ, რასა-მცეცხლავ!** – იტყვიან, როცა სმას უშლიან. **შე ამოდაგულოო,** ე.ი. ამოწყვეტილოო. **შე უკლო-უბედოო,** ე.ი. შე უპატრონოო. **წილ-ბოლო-გათაულო, წილ-ბოლო-ამოწყვეტილოო,** ე.ი. შე ჯიშგაწყვეტილოო. – **შენ უბე-კალთას დაუბრუნდეს, ღმერთმა ნუ გამოგაცილოს შენ შვილებს დეებვისო,** – უპასუხებს მეორე, ვინმეს რომ აგდებენ, დაითხიე || **დაიკარგე || დაილუპე აქედანო,** იციან. **შე შავის მიწის ჩამოფანტულო, შავის მიწის დაშლილო, შავის მიწის ჩამოფარჩობულო,** ე.ი. შე დაგლეჯილოო. **შენიმც მოჯმე მამივალის – შენი დალუპვაც გამაგებინაო შე შვილბოლო ამოწყვეტილოო,** ე.ი. ნაშიერგათავებულოო. **დაგიუმტრდენ თვალნიო, დაუმტრდიო,** ე.ი. დაბრმავდიო.

ერთმანეთს წყევლიან აგრეთვე:

- შავს მიწაშიმც ჩაიტიტებო;
- საყდართ გორის ძირსამც დაიმარხებო;
- შე კარგუნახაო, არგასაზდელიო, მამკლავსამც შასჭამო;
- იუდის გაბღღეძილი, რა ყოფილა ე კაცი, დალახტოს იუდამაო, დაძკრას სამავნეო,

სამავნეო ლახტო;

- რამდენ სიკეთე მე შენთვი მიქნავ, იმთვენ დოტკო გამოგებასო.
- მოდფსვრები ძირიანადა (ე.ი. ამოვარდები), დასანელებო. დაკნელება და დანელება

გაწყვეტა, გაქრობაა.

- ღვთისა და ბატონის ქარ-ცეცხლი შენს თავსა; მოუსავლეთშიამც წახვალ!
- დაგაბრმავს ჩემის მამის სალოცავმა დაგლახტოს გმირმა კოპალამა,

თვალდასათხრელო!

#230#

- დანელდი, შე დანელებულო; სწორთ მოსასხლეტო, ამოწყვეტილო!
- ისიმც ამოსწყდება; დანელდეს შენი სულსაიქიო; სულელო, სულით დაკარგულო!
- უკლო-უბედომც დაიკარგები; ვირზედამც შასჯდები!

იწყევლებოდა კაციც: წმინდამ გიორგიმ დაგწყიოს; გაუწყრეს || გამიწყრეს ფშავ-
კვესურეთის ნალოც ხატები; დაგწყიოს || დასწყიოს ჩემმა სალოცავმა; გაუწყრეს ლაშარის
ჯვარი; ჩემ დროითამც ნუ მოიყრები და სხვ.

#231#

II თავი – ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა § 1 (11). ლექსემათა რეგიონულ-სემანტიკური კლასიფიკაცია.

ცნობილია, რომ დიალექტური ლექსიკის ლოკალიზაცია სიტყვათა გეოგრაფიულ პროექციას უკავშირდება. ისტორიული ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიული მუშაობის უმთავრეს ასპექტად ამჟამად სიტყვის ისტორიაში და მის ლექსიკურ დახასიათებაში რეგიონული მომენტის ასახვა-გათვალისწინებაა მიჩნეული. ლექსიკურ ერთეულთა რეგიონულ-დიაქრონიულ დახასიათებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით დიალექტოლოგიის მრავალი საკითხის გადაჭრაში, კერძოდ, ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური მოდელის წარმოჩენაში, საწარმოქმნო აფიქსთა ფუნქციური სემანტიკის გამოკვეთასა და, საერთოდ, იზოგლოსათა არელების დადგენაში, რაც ძალზე აქტუალურია, რამდენადაც ისტორიული დიალექტოლოგია წარმოუდგენელი დიალექტური ლექსიკოგრაფიის მიერ ამჟამად მოპოვებულ დიალექტურ ლექსიკურ მონაცემთა ქრონოლოგიური კორექტირებისა და სემანტიკური მრავალფეროვნების გათვალისწინების გარეშე.

გამოკვლევის მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა, რაც ისევე, როგორც ამ დიალექტის დარგობრივი ლექსიკა მთლიანად,

ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი და ასახული. მისი სრულად აღნუსხვა და განსხვავებული ლექსიკური ერთეულების გამოვლენა კი, უდავოა, ხელს შეუწყობს მთლიანად ქართული ენის კილოთქმების ლექსიკის არეალურ შესწავლას. ლექსიკური საგანძურის რეგიონულად აღწერას, რაც დიალექტოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხად არის მიჩნეული.

ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ დიალექტურ ლექსიკაში შემონახულია მრავალი სიტყვა, რომელიც დღესაც დამახასიათებელია ადგილობრივი მეტყველებისათვის და სპეციალურ ლექსიკონებშიც არის შეტანილი. ასეთი ლექსიკური ერთეულებია: **ადეგება** – ბევრი წყლის მოვარდნა, **ბურკვა** – თოვლის დაგუნდავება, **ბუქვი** – კორიანტელი მტვრის, **გაბობება** – ბობღვით, ხელ-ფეხის დახმარებით გავლა, **დაბწკნა** – გაქცევა, გაწევა, **დალდე** – #232#

კლდეში შეხნიეილი ადგილი, **დათხევა** – უცხად გაუჩინარება, **დეღგმა** – უცხად მოვარდნილი დიდი წვიმა, **ლიჭყი** – ცოტათი ატალახებული, **მომზღვევა** – ჩამოზავება, ადგილის მოხეთქვა, **ნაზოვარი** – ნაზავი ადგილი, **ნამცვრევი** – ცვარად ჩამოსული. **ონჩიორი**, **ონჩორი** – რაიმე ორთქლი ან სიცივისაგან ნიადაგს რომ ორთქლი ასდის, ის არის, **პირტუქსი** – ცივი, სუსხიანი, **ტატანი** – ცის პირი, ტატნობი, **უმსნელი** || **უმსენელი** – შეურყვნელი, თავანკარა წყალი, **უემური** – გვიანი ღამე, უდროო დრო, **ქათამყიული** – ძალიან ადრიანი დილა, **ცისქცევა** – დიდი წვიმა, **ცუფქარა** – გაყინული, მშრალი ფხვიერი თოვლი და სხვ.

მრავალი ლექსიკური ერთეული მნიშვნელობის მხრივ საერთოა სხვა დიალექტებთან: **ანდი**, **ანდე** – ქართლშია გავრცელებული და ვარაუდს, ეგებისობას ნიშნავს, როგორც ივრისხეურ, ასევე არაგვისხეურ ფშავშიც ეს სიტყვა იმავე მნიშვნელობისაა. (შდრ. საბა: ანდე – მცირედ რამ ხედვა).

არზანი (ქართლ., ქიზიყ., მთიულ.), ზოგადად ცუდ ამინდს, ქარიშხალს აღნიშნავს. ფშავურში იგი „დიდი, ზომაზე კიდე დიდი თოვლია“ (ს. აკადი). დიდი თოვლი რომ მოვა, იტყვიან: „**არზან ჩამოყარაო**“. (შდრ. ძვ. ქართული **არზანიგი** – ღირსი, ღირსეული, ჯეროვანი. „არა არზანიგ ყოფილ იყო იგი ამას“ – იოანე მოსხი, ლიმონარი).

არხილი – (მოხ., ქსნის ხეობა, მთიულ.) გაყინული თოვლი, რომელზედაც სიარული შეუძლებია: „არხილ ის არი, მარტო თოვლს რო გაახმობს“. ამ დროს იტყვიან, თოვლი გააარხილაო, ე.ი. თოვლი ზემოდან მოყინაო (შდრ. საბა: **არხილი** – თხელი ბზარი).

აჭროლებული მთიულურშია გავრცელებული, ასევე დადასტურდა ფშავშიც: ალაგ-ალაგ გამშრალ თოვლს ნიშნავს. ასეთ დროს იტყვიან: **თოვლი აჭროლდაო**.

ბორბოწია – ხევსურულში ქარბორბალას ნიშნავს. ამავე მნიშვნელობით დასტურდება იგი ფშავშიც. **ბორბოწიობა** კი ერთ ადგილზე ტრიალს ნიშნავს.

გარევა – (მთიულ., ფშ.) – წყალში ფეხით გაღმა გასვლაა. **გაურიანო**, იტყვიან ამ დროს.

დაროქვა ფშავურად და დალექვაა, **დაროქვილი** კი დანალექია. **როქვი** თუშურშიც ასევე დანალექს აღნიშნავს.

#233#

დაქანება, **ქანაობა** (მთიულ., ფშ.) ყინულზე სრიალი და დასხლტომაა. ყინულზე დასხლტომას **მოცქრომას** არ უწოდებენ: „მოცქრომა ის არი ფეჯ რო გადაგიცდება“.

ეხი (ხევს., თუმ., ფშ.) – გამოქვაბული კლდეში: „წამოხურვილ კლდეზე ვიტყვით: (შდრ. საბა: ეხი - კლდე გამონახეთქი ქვაბივით).

ზოგი (მთიულ., გუდამაყრ., ფშ.) – ზვავი.

კაკდები (მთიულ., ფშ.) - შინ ნაკეთები ხის ციგურები.

ლაჩქიმი (ქსნის ხეობა, მთიულ.) ფშაურშიც დასტურდება და ციგას აღნიშნავს. მისი ივრისხეური ვარიანტია **გელმანა**.

ქარაშოთი (ფშ., გურ.) – უცბად ამოვარდნილი ქარი, წვიმანარევი ქარი.

ქარაფი (ხევს., ფშ.) – დიდი ლოდი, დიდი ციცაბო კლდე (შდრ, საბა: **ქარაფი** – დიდი კლდე). ქარაფი იმერულში თხელი მეჩხერი ტყე, ვენახი, ნათესია.

პირტუქსი || ყაიათი || ყაიმათი || ყიმიათი || ყინიათი, ყინიათობაა ძალიან რომ ცივა (შდრ: **ყაიმეთი** (გურ., იმერ., ქიზიყ.) – სიცივე, ყინვიანი ამინდი. **ყაიმეთი** (იმერხეული.) – მეორედ მოსვლა, აღდგომა, გადატანით დიდ ამბავს ნიშნავს.

ყული ქიზიყურში (გადატ.) ძვლების ტკივილია.

ყულია ფშავშიც დასტურდება ოდნავ განსხვავებული სემანტიკური ელფერით: გაყინული ხელები სითბოში რომ მოხვდება, იტყვიან, **ყულიად შამივიდა || ყულიაი** ან ტკივილაი შამივიდაო ჰელჩია. „**ყულიაი ყუოდაო**, დაათირებენ ამ დროს ბალღსა“. (შდრ საბა: ყუვილი – ძვალთ ნელად ტკივილი). ეს ლექსიკური ერთეული ზოგადქართული უნდა იყოს.

ჭიუხი წვეტიანი მაღალი კლდე, კლდოვანი მთაა. ხევსურულში, ფშაურში, მოხეურსა და თუშურ დიალექტებში დასტურდება.

ხორდი მთიულურში ისეთ ყინვაზე ითქმის, რომელიც წყალს ყინავს. **ხვარდი** ფშაურში კი წყალში არეულ ყინულის ნაჭრებს, ე.ი. **თოშს**, ეწოდება. ხორდი საბასთან იგივე **ხორგია** – წყალთ ყინული, დიდი მონატეხი.

მართალია, ლექსიკონებში შეტანილი სიტყვები სათანადოდაა დახასიათებული, მაგრამ არცთუ იშვიათად არ არის გათვალისწინებული დამატებითი, განსხვავებული მნიშვნელობანი და არც სიტყვის ლექსიკური ღირებულება და სემანტიკური პარალელებია სრულყოფილად წარმოდგენილი.

#234#

ბოტიტანა – ფშაურად დიდს, ზორბას, ღონიერს ნიშნავს, რაც სპეციალურ ლიტერატურაშიც არის დადასტურებული. ამას გარდა, **ბოტიტანები** ის ხეებია, ხიდი რაზედაც დგას. ვინც სხვის საქმეში ერევა და ყოყობს, იმ კაცზეც იტყვიან: „რასა-მ ბოტიტანობო“.

გადამლიავება მთიულურში რაიმეს გაფლანგვას ან დაკარგვას ნიშნავს. ფშაურში მას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს **გადამლიავედაო**, იტყვიან, ღობეს ან რაიმე დაბრკოლებას რომ გადაეველება კაცი. **მლივი** საბას მიხედვით გალეულს ნიშნავს.

დიალექტურ ლექსიკურ მონაცემთა სემანტიკური მრავალფეროვნების გათვალისწინების თვალსაზრისით საინტერესო ერთეულია **გუგუმი**, რომლის ფშაური მნიშვნელობა დღემდე აღუწესხავია; **გუგუმი** წყლის მსხვილი წვეთია, რაიმეზე დაკიდებული; „სიპდაყრილი სახლი გუგუმს იკეთებს“ (ს. აჯადი). შდრ. საბა: **გუგუმა** – დიდრონი ღილები. „გუგუმს მსხვიკ ნამსაც ეძახიან“ (მაწელაური, ს. გომბორი). ამ მხრივ

საინტერესოა ა. შანიძის მიერ დადასტურებული მნიშვნელობა ამ სიტყვისა: **გუგუმი** – ბალახის ფოთლებზე დაკიდებული ცვარი. თუმურში **გუგუმი** ლითონის მსხვილ მძივს აღნიშნავს, აჭარულად წყლის ჭურჭელია სპილენძისა, სურის მსგავსი. მოხეურში მცენარის – ნემსიწვერას სახელია. პროფ. ალ. ლლონტს მითითებული აქვს მისი თურქული წარმომავლობა. ბუნებრივია, ჩვენთვის საინტერესო დიალექტურ არეალში დადასტურებული მნიშვნელობა ამ ლექსიკური ერთეულისა კიდევ უფრო მეტი სემანტიკური ნაირფეროვნების გამომხატველია.

დაჩვენება მოხეურში დასაკუთრებას აღნიშნავს. განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მთიულურსა და ფშაურში: გზის ჩვენებას ნიშნავს.

დაყუდებული პოლისემანტიკური სიტყვაა და ფშაურში გადატ. ძალიან დაცერებულ ადგილს აღნიშნავს.

მზორე, ფონეტიკ. იგივე **მზვარე**, მთიულურში – მზის გულზე მდებარე ადგილი, მზისპირი (შდრ. ძვ. ქართული **მზუარე** – მზის პირი, მზიანი ადგილი). ამ ლექსიკურ ერთეულს ფშაურში განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: **მზორეს** ფშავლბი **აყროლებულზე** #235#

იტყვიან (ფუნაზეც ამბობენ). მთიულურ მზვარე-ს კი შეესატყვისება ფშაური **პირზითი** || **პირმზითი** და არა **მზორე** (იხ. ქვემოთ).

მოფთილავება მატყლის ჩეჩმის დროს ხელის გულისოდენა ფთი თების გაკეთებაა, დამატებითი მნიშვნელობაც აქვს: „დიდი მტყელ-მტყელი თოვლი რო ჩამოდის, მოუფთილავაო, იტყვიან“.

ნაჩხატი (იხ. აგრეთვე: მიწათმოქმედების ლექსიკა) როგორც სიტყვა, საზოგადო სახელი, ფშავში ფიქსირებულია: იგი ნაყამირალ, უხნავ მამულს ნიშნავს. ჩვენ იგი განსხვავებული მნიშვნელობითაც დავადასტურეთ: „ნაჩხატს ისეთ ადგილზე ვიტყვით, სადაც გუთანნი არ გაილის“ (ს. შუაფხო); „ნაჩხატია ერთი-ორი წელი რო არ მოხნულა“ (ს. ლიშო). ეს სიტყვა განსხვავებული სემანტიკური ელფერიტაც გვხვდება: „ნაჩხატს ნაღვარევს ვეძახით, წყლები რო-ღ განავს, ჭამს მიწასა, რუვად და რუვად მოდის“ (უძილაურთა). „ნაჩხატს წვრილმან ჩაჭრილ ტყეზეც ვიტყვით“ (მართა წელაური, გომბორი). აღნიშნული ლექსიკური ერთეული შემოგვინახა გგეოგრაფიულმა სახელმაც: **ნაჩხატი** (< აჩხატი ტოპონიმი): სამოვარი, ძველი სახნავია ს. თვალივთან. საზოგადო სახელად ხმარებულობა ამ სიტყვისა ხევსურულში თითქოს არ ჩანს: დადასტურებულია მხოლოდ ტოპონიმი **აჩხატა**. აღ ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ საილუსტრაციოდ მოხმობილია ალ. ყაზბეგის თხზულებათა ტექსტი და აღნიშნული ერთეული თავისი ლექსიკური მნიშვნელობით მიჩნეულია ჩანჩქერის სინონიმად: „არც იმ ამაყ აყუდებულ მთებს ხედავდა, არც მშვენივრად გადაფენილ ტყეებს, არც ნაჩხატებს, არც მწვანედ მოდებულ ველებს“. კონტექსტის მიხედვით მოცემული ლექსიკური მნიშვნელობის უეჭველობის დადგენა შეუძლებელია, იგი შეიძლება ნაღვარევსაც აღნიშნავდეს. მართალია, ნაჩხატი ჩანჩქერის მნიშვნელობით მოხეურ დიალექტში დადასტურებულია, მაგრამ საილუსტრაციო მასალის მოხმობის გარეშე.

აღნიშნული ლექსიკური ერთეული მოხეურში, ფშაურის მსგავსად, პოლისემანტიკურია: 1. წყალ-ღვარისაგან ჩამორეცხილი ნიადაგი; 2. ჩამონადენი წყალი –

კლდეზე მდინარე ან სახლის სახურავიდან; 3. ხევი, რომელზეც წინათ წყალი დიოდა, ახლა კი ბალახითაა დაფარული; 4. წყლის ნაშხევი; 5. იგივეა, რაც **ნაბეჩხარი**, ნამეჩხარი, ე.ი. უნაყოფო, მოუსავლიანი, სინოყივრედაკარგული და გამოფიტული მიწა.

#236#

ფარტენა – მეორედ გადაჩენილი მატყლის ქულაა, დასართავად გამზადებული. **ფარტენისო**, **დაფარტენაო**, მაშინაც იტყვიან, ბევრი თოვლი რომ მოდის და ხშირი და მსხვილი ფიფქი ცვივა.

სურნელი სუფთა, წმინდა წყალსაც აღნიშნავს (საბა: სურნელი – მხალნი სუნნელნი შენაყილნი).

მიგლა თავისა ფშაურის გარდა ქიზიყურშიც დასტურდება და რაზედმე თავის მირტყმა, მიხლევინებაა. ფშაურში მას გადატანითი მნიშვნელობაც აქვს და საქმეზე თავის შეკვდომას ნიშნავს.

წვივისაკრავი ფშაურში მოსული თოვლის რაოდენობას აღნიშნავს, სიდიდის მიხედვით წვივებამდე რომ სწვდება კაცს; მოსული თოვლი შეიძლება იყოს აგრეთვე ფეკსგადმამავალი – ფეხის ტერფს რომ ფარავს. მუხლს ზემოთ თუ არის თოვლი, იტყვიან, „მუტლს ამოყრიდა, იმხელა თოვლ მოიდაო“.

ბური ზოგადად ბურუსი, ნისლია. **ჯანდი** და **ბურუსი** ლექსიკონებში კვალიფიცირებულია როგორც ნისლი. ფშაურში **ჯანდი** ტენიან, შეკრულ ნისლს ეწოდება, „არაფერი იხედება“, **ბურუსი** მშრალი ნისლია, ხოლო „**წიწამური** ის არი, რო დარია, მაგრამ ნისლივით მოჩანს არემარეზე. წიწამური დარში იცის, არსად ღურბელი არ არი და ბოლივითა სჩან“. შდრ. საბა: „**წირი** არს ვაკოვანთა შინა არა რად მყოფსავით რამე ჩენა მხედვარეობასა შინა“. „წარ მცირედ რამ წაზიდული“. ე.ი. **წიწამური** < **წირწამული** < **წირწარმური**. ი. ჭყონიას დამოწმებით, იმერულში **წიწამური** წრიაპის, მთებში სასიარულო რკინის ფეხსაცმლის, აღმნიშვნელია.

ა. შანიძის განმარტებით, ხევეს. **წირწამული**, ფშაური **წიწამური**, მოხეური **სიბინი**, თუმ. **ტკვიფი** ბურია, ნისლივით რომ დადგება ჰაერში.

ფშაური ლექსიკის ნიმუშები ლექსიკონებში უპირატესად ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა (ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, თ. რაზიკაშვილი) თხზულებათა მიხედვით არის წარმოდგენილი. მასალის ახლო შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მისი ძირითადი ნაწილი საცხებით სწორად არის გაგებული, (ხოგიერთი სიტყვის განმარტება კი შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს. ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკიდან ამ მხრივ აღსანიშნავია **კინჭუხი** და **კირჩხალი**.

#237#

კინჭუხი, პროფ. ა. შანიძის განმარტებით, არის „ფხვიერი კლდე (იშლება), სადაც კაცს გავლა შეუძლია; სადაც ფეხი მოეკიდება (მოსხმული აქვს ქვები და არ არის მთლიანი)“ (167, 341). ა. ჭინჭარაული ამ ლექსიკურ ერთეულს ასე განმარტავს: „შიშველი კლდის წვეტი, შვერილი; ნაშალ-ნუშალი კლდე“ და საილუსტრაციო მასალად წარმოდგენილი აქვს ციტატა ვაჟა-ფშაველას თხზულებიდან: „მგელი დასჯაჯგურებია ამ ჭედელას დუმაზე, ეზიდება პირთავევე, ის ფიქრი ჰქონდა, ამ **კინჭუხებში** ჩავითრევთ“ (93, 161). დამოწმებული

ტექსტობრივი მასალის სემანტიკური მხარე არ გვავარაუდებინებს, რომ კინჟუხი მივიჩნიოთ „შიშველი კლდის წვეტად“, როგორც ეს განმარტების ერთ-ერთ ნაწილშია მოცემული. კლდიან ფერდობში გამოშვერილი დიდი ქვებისა და ლოდების მნიშვნელობით აქვს გამოყენებული აღნიშნული დიალექტური ერთეული თ. რაზიკაშვილსაც (155, 68). ქეგლ-ში იგივე ერთეული კი განმარტებულია, როგორც „წვერო ან წვერი“ და საილუსტრაციოდ მითითებულია სწორედ თ. რაზიკაშვილის თხზულება: „კინჟუხის თავზე (ე.ი. წვერის თავზე?! – გ.გ.) შემხტარი პატარა ვაცუნა...“ ამიტომ, ბუნებრივია, კინჟუხის განმარტებისას, კონტექსტის გათვალისწინებითა და ამ ლექსიკური ერთეულის სემანტიკური მხარის გააზრებით, ჩვენი აზრით, უნდა გამოირიცხოს „წვერო“, „წვერი“ და ასევე „წვეტი“. ამ გაგებით კინჟუხი ჩატარებული სავლე მუშაობის დროს ამჟამადაც არ დასტურება. პირიქით, მოვიძიეთ ამ სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობა, რაც მის ძირითად სემანტიკურ მხარეს ავსებს. წარმოჩენილი უზუსტობა კი, ცხადია, გამოწვეულია რეგიონული მონაცემისა და აღნიშნული დიალექტური ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ნაირგვარობის გაუთვალისწინებლობის გამო.

კირჩხლი || **კირჩხალი** ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ჭირხლის** სინონიმად არის მიჩნეული და საილუსტრაციოდ სწორედ ბაჩანას თხზულებებიდან ამოწერილი მასალაა გამოყენებული: „ბანის და საბძლის პირები კირჩხლებით მოზიკულაო“ (ბაჩ., 76, 9); „ზამთარმა წამწამებად **კირჩხლები** ჩეხა, უდგა ყინულის სელები“ (ბაჩ., 245, 4). დამოწმებული მასალა ამგვარი განმარტების მიღების საფუძველს არ გვადლევს და, მართლაც, ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ ფშაურ დარგობრივ ლექსიკაში ამჟამადაც დასტურდება **კირჩხალი**, რაც გრძლად ჩურჩხლისებურად დაკიდებულ **ყინულის ლოლუას** ნიშნავს და არა **ჭირხლს**. დამოწმებული წინადადებებიც ამ მოსაზრებას უჭერს მხარს, რაც სავსებით მართებულად არის შენიშნული (155, 68).

#238#

დაბოლოს, აღუნუსხავი და გამოუვლენელია და, ამდენად, არც სათანადოდ არის კვალიფიცირებული ბუნების მოვლენების ამსახველ სიტყვათა და იდიომურ გამოთქმათა დიდი ნაწილი, რაც კუთხური ლექსიკის მდიდარ ფონდს შეადგენს და განუზომელი მნიშვნელობა აქვს კილო-თქმათა ენობრივი საგანძურისა და ენის ისტორიის შესწავლისათვის; **ანთლაში**, **ატლეზილი** || **გატლეზილი**, **აქერაჭნება**, **ბამბღვლა**, **გამოთველხმელობა**, **გამხვალი**, **გაზეკილი**, **გაზერქნილი**, **განამშრალფეებული**, **გასირკნილი**, **გაფინჩიკება**, **გაფხროკვილი** || **გაფხროკებული**, **გაჩრაქება**, **გახრიაკება**, **გლინვა** (მიგლინვა, მოგლინვა), **გრილი**, **გუგუმი** (ფშ. ლექსიკური ვარიანტი), **დაბუდებული** || **მოზუდებული** (შდრ. მთიულ. **დაბუდვილი**), **დაელნება**, **დაუშქურება**, **დაუჩინება**, **დაროქვა** (შდრ. თუმ.: **როქვი**), **დაჩვენება**, **დაცალგვერდება**, **დაცალგვერდებული** || **დაცალგვერდული**, **დაყუდებული**, **დგანდგარი**, **დილის** || **თენების სისკარი**, **ელდაუცი**, **ზამთრის გაბერწება**, **თახთახი**, **თქარუნი**, **კოკობურად დასხმა**, **კოლიხე**, **მიბღუნვა**, **მიდებულ ადგილი**, **მოსაბრუნი**, **მოსიპული**, **მოჭიჭმახურება**, **მრავალანი**, **ბურღვა**, **მჩქვლევა**, **ნაურღვენი**, **ნამთხვერევი**, **ნამზვლევი** || **ნამჟვლევი**, **ნების წვიმა**, **ორახული**, **პირზითი**, **ჟიჟრიბანდი**, **ჟღმურტლვა**, **სადილობანი**, **სამზრობანი** || **სამცხრობანი**, **სასწორ-ჩარექანი**, **საწელდაპიროს** || **ხელდაპირას**

ყოფნა, საფარხნი, ცულ-თოხის ტარანი, სურნელი, ტლოპი, ფაფხი, ფხანწალი, ფმოფშება, ფეკსგადმამავალი, ყიათი || ყინიათი || ყინიათობა, ყიმიათი, შანაქრვა, შატეხილ წყალი, შენაქროლი, ჩაწკინტოლებული, ჩაციელავება, წელთჭარბი, წვივისაკრავი, ცუფქაი, ჭარის ბოლო, ჭიჭმახი, ხიდის ყური, ჯარ-ირემთ ნაფრენი, ჯასრი, ჯასრვა.

§2 (12) ბუნების მოვლენები.

ტატანი ცის ტატნობი, ჰორიზონტია (შდრ. საბა: „ვასკვლავ მორბედი“). **ქვეცა** დედამიწაა. ჰორიზონტს **ცისძირიც** ეწოდება. **ცარგვალიო** იტყვიან ზეცაზე **ცისგნისი** – ცისიერი, ციური, ცაში მყოფია, **ცა-მყარი** ცა და დედამიწაა. **ცაზეით** არის ციდან ნისლები რომ #239#

აირევა, აიყრება და ამინდი შეცვლას დაიწყებს, იტყვიან, **იმოფშება** || **იფმოფშებაო**: „იფმოფშება, რას ამბობ, კი რაით გაიავდრებსო“. **ღრუბლების** არევაზე იტყვიან: „**იღრუბლება, ცა-ღურბელ ირევაო**“. ნისლი რომ მთებს დაფარავს და „ტყეებზე რო ჩამოვა ჭალამდინა, ვიტყვით: **დაბუდებული** || **მობუდებულიაო**. **მობუდებული, მობუდვილი** თავშეხვეულ ადამიანზეც ითქმის. **მოდრუბლვაზე** იტყვიან, **მოიბურაო**. **დაბურვილი** მაშინ არის, ღრუბელი რომ მთებსა და ტყეებს დაფარავს და ჭალაში ნისლი ჩამოწვება.

გრილი, ნაგრილი, ჩირდილი ჩრდილია. **გრილი** ოდნავ ცივსაც ნიშნავს, ამინდზე ითქმის. **ცივი** სიცივეა: „ჯერ ნუ ახსდგები, ცივია“ (ს. შუაფხო). **ბური** ზოგადად ბურუსი, ჯანღია. **ჯანღი** ტენიანი სქელი ნისლია, **ბურუსი** მშრალია და თხელი. „**წიწამური** ის არის, რო დარია, მაგრამ ნისლივით მოსჩანს არემარეზე. წიწამური დარში იცის, არსად ღურბელი არ არის და ბოლივითა სჩან“. შდრ. საბა: წირწამური > წირწამული > წირწამური: **წირი** არს ვაკოვანთა შინა არა რად მყოფსავით რამე ჩენა მხედველობასა შინა; **წარ-მცირედ** რამ წაზიდული (127, 443-451). **კოტორი** ნისლის ან ღრუბლის ქულა, გროვია. **კოტორი** ფშაურში პურის ნატებს, ყუასაც აღნიშნავს. **ნემტი** ნესტია: „ფარან არა გვაქვის, **დაინემტა** თამაქო“ (ს. წიფრანი). **მოტირალ-ჩაშავებული** (გადატ.) წვიმიანი, ღრუბლიანი, ბურუსიანი დღეა.

ცუდ ამინდზე იტყვიან: **გარეკილ არ გაილალებაო**. **ავ დრო დაიჭირაო**, იტყვიან, როცა წვიმა ხშირად მოდის. მარაგანი მოღრუბლული, საავდროდ მომზადებული ცაა (155, 71). **დეღმა** უცბად მოვარდნილი დიდი წვიმა, თავსხმაა. ასეთ ძლიერ წვიმაზე ამბობენ: **კოკობურად დაასხაო**. დიდი წვიმის ეპითეტია აგრეთვე ცისქცევა ამ დროს იცის **დგანდგარი** და **ნთქრევა** – დამდგარი ზანზარი, რყევა. ასეთი წვიმა კარგა სანს რომ არ გადაიღებს, გადაუღებელზე იტყვიან, არ დაუკლო, ე.ი. **არ იშეთაო** || **არ იშიათაო** (ივრისხ. ფშ.). ამ სიტყვას საერთოდ რაიმეს დაუმთავრებლობის აღსანიშნავად იყენებენ. **ნარღვენი** || **ნაორღვენი** უცბად მოვარდნილი დიდი წვიმის წყალია, „გზებს რო ჩაფლარავს“. **რღვნა** წყლის ან წვიმის ძლიერი დენაა.

წკინტოლი წვეთია, ხოლო **ჩაწკინტოლებული** – ჩაწვეთებული.

#240#

როცა ძალზე წვრილად წვიმს ან თოვს, **ქირსლავსო**, იტყვიან; უფრო მსხვილ წვიმაზე ამბობენ, **ჟინჟლავსო**. **ჟინჟლი წვიმა** პატარა წვიმაა. ასეთი წვიმის დროს იტყვიან, **მოჟინჟლა**, **მტვერ მძლივ აკრიფაო**. როცა წვიმა ცრის და ძალზე მოღრუბლული ამინდია, **იჟღმურტლებაო**, იტყვიან. **ნამცვრევი** – ნაცვრევი, ცვარად ჩამოსულია, მონამული. **მომცვრევა** რაიმეს (მაგ. მარილის მოყრას ნიშნავს). ხშირ-ხშირად წვიმა ნების წვიმაა. ელვა-დაქუხებაზე იტყვიან, **დაიელნაო**. **ჭეხა** ჭეჟაა. **დაჭეხნება** მკვეთრი, ძლიერი ხმის გამოცემაა. ზამთარში რომ დაიქუხებს, ამბობენ, **ზამთარი გაბერწდაო**. ამას **ზამთრის გაბერწებას** ეძახიან (ს. არტანი). **ხორხოშა** წვრილი სეტყვაა. **გუგუმი** წყლის მსხვილი წვეთია, რაიმეზე დაკიდებული: „სიპდაყრილი სახლი გუგუმს იკეთებს“ (ს. აჯადი). შდრ. საბა: **გუგუმა** – დიდრონი ღილები.

ჩქრო ჩქამი, ხმიანობაა. დიდ ხმაურს **დგანდგარი** ჰქვია. **ბირდგნალი** ძლიერი გრიალი და გრუხუნია. **ბაგვანი** საგნის საგანზე მირტყმით გამოღებული ან რაიმეს მოხვედრით გამოწვეული ხმა, ხმაურია. **ბაგვანი მაილო**, **ბაგვანი გადვარდაო**, იტყვიან ამ დროს (ს.ს. გომეწარი, ჩაბანო). **ბრაგვანი** ძირს დაცემით გამოცემული ხმაურია. **ბრახვა**, **ბრახვის მოდენა**, **ბრაგვანის მოდენა** ხმაურით დაგდება, დაცემაა. **ბრახვა**, **ბრაგვანი მოადინაო**, იტყვიან ამ დროს. „**ჭკვა** ფშაურსა და ხევსურულში ჩქამს აღნიშნავს. **ხმა-ჭკვა** ისეთივე კომპოზიტია, როგორც ჭეჟა-ქუხილი, წივილ-კივილი“ (93, 154). **ადევება** ბევრი წყლის მოვარდნაა. ძალიან დასველებული **ჭახჭახია**. **გაჟენტება**, **გაჟინთვა** გაჟენთვა, კარგად დასველება (გადატ.:) ძალიან დათრობაა, ხოლო **გაჟინთული** ზომაზე მეტად დასველებული, გაჟენთილია. **გალუსკვა** გალუმპვაა, **გალუსკვილი** გალუმპულია. **დაზუზვა** გაწუწვა, დასველება. წყალში ჩაგდებული სიპი ქვა **ლოპრიანია** || **ლორწოიანია** (შდრ: 122). **ლოპო** სველი, ლორწოა (ლოპო წვენიცაა, გაზაფხულზე რომ ჩაუდგება ხოლმე გაღვიძებულ მცენარეს).

შემოდგომაზე მშრალი ამინდების, დარის დადგომაზე იტყვიან: **გამაისთველხმელა** || **გამაითველხმელა** || **გაითველხმელაო** || **გაისთველხმელაო**. ამას უთოვლო ზამთარზეც იტყვიან, როცა გიორგობის თვეში თოვლი არ მოვა და ქრისტემობაც **დართ** წავა, „დიდი ხანი რო მშრალობა არი და თოვლი არ მოა“ (მ. წიკლაური, ს. გომბორი). „არაგვზე რო თოვლი ჩამოდგება, გაისთველხმელებსო, იციან“ (ს. კუდო).

#241#

ალაფება ატალახებაა. **ლაფი** ტალახს ეწოდება. **ლიჭყი** ცოტათი ატალახებული სველი ადგილია, „საცა ფევი სხლტება“, და არა „ნახევრად, არამთლიანად გამდნარგი თოვლი, თოვლჭყაპი, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული (283, 70). შდრ. საბა: **ლიჭყი მიწა** – ძირ გაყინული, პირ მომხუალი. ამავე მნიშვნელობით დასტურდება ეს ლექსიკური ერთეული ქართლურში, მოხეურში, მთიულურში. გაზაფხულზე წყლიანი თოვლი რომ მოდის, **თოვლ-ჭყობიაო**, იტყვიან. ლაფ-ჭყაპი თხელი, წყლიანი ტალახია. ტალახი რომ იზიდება, იტყვიან **იტლიზებაო**. ახელილი ტალახი **ატლეზილია**, **ტლიზია** (ს. ჩაბანო). **გატლეზილი** ხშირი, არეული ტალახია. **ამოთხევილი** ლიჭყში, ლაფში გასვრილ-გათხუნვილია (ს. კუდო).

გაქშუტუნება || **დაქშუტუნება** ადამიანი რომ რაიმეს (მაგ., ცეცხლს) დაუბერავს ან შეუბერავს. (**დაქშუტუნება** აგრეთვე თონეს გასადვივებლად რომ დაუბერავენ (ივრისხ. ფშ.). **საქაროვნე** ქარიანი ადგილია. ქარის დაბერვაზე იტყვიან, **დაძქროლ(ნ)აო**. ძლიერ ქარზე

იტყვიან: **ხვიოდაო, გვიგვი გააძქონდაო. გვიგვინი გუგუნია. ხვივილი, ფხვრიალი** ქარბუქის ხმაურია. ზემოდან მონაბერი ქარი **ზენაურია. ქვენა, ქვენაური** კი ქვემოდან მონაბერი ქარია. **ქარაშოთი** უცებ ამოვარდნილი, წვიმანარევი ქარია. **ქარ-ბუქვი** თოვნა-ქარი თოვლიანი ქარია. ცვალებადი მიმართულების ქარი ან ქარბორბალა **ბორბოწიაა, ქარმჭვალი** გამჭოლი ქარია. **ქარის ამოლება** გადატ. მცირე ხანს შესვენებაა. **მოფხვრილი** ქარის მიერ მოგლეჯილი, ძირფესვიანად მოთხრილ-ამოგდებულია (მაგ. ვაშლის ხე).

მზვლევა, მზღვლევა თოვლის ან მიწის დიდი მასის ერთდროულად ჩამოწოლა, დაცურება, ჩამოშლაა. **ზოვი, ნამჟვლევი || ნამზღვლევი** მეწყერია. „**ნამზვლევის** იმას ვეძახით, ხე-მიწა რო მოდის (ს. კუჭეჭა, ს. მიგრიაულთა). **ნამზვლევი** ის ადგილია, „საიდანაც მეწყერი მომსწყდება“ (ს. ჩაბანო). **მომზვლევა** ჩამოზვავება, ადგილის მოხექთაა. ამ დროს ფლატე, მიწა **იმზვლევა. ნამზღვლავი** მთიულურში ავდრისაგან გამსკდარ მიწას ეწოდება (106, 222). ადგილი, საიდანაც შეიძლება ზვავი წამოვიდეს, **საზოგვა**. ზვავმა გამოქანება იცის. შეიძლება #242#

იყოს **მიწის ზოვი, თოვლის ზოვი. მიწის ზოვ** მოქანავდაო, იტყვიან. ზვავის გამოქანების შემდეგ დარჩენილ ადგილს **ნამთხრევი || ნამჟვლევი || ნამზღვლევი** (ივრისხ. ფშ.) ჰქვია. **ნამზვლევიანი || ნამზღვლევიანი || ნამჟვლევიანი** ნამეწყრალი, „მიწის ნაზვავი ადგილია“ (ს. ჩაბანო). **ნაზოვარი** ნაზვავი ადგილია, „სადაც აშრება ი ზოვი“ (ს. გომბორი). **ნაზოვარი** ადგილია, სადაც ზვავი ჩამოწოლილა და ამშრალა (თ. რაზიკ., „ივერია“, №, 134, 1900, ი. ჭყონ.).

ნამთხრევი მეწყერიცაა, ავდრის ან ღვარისაგან ჩამოშლილ-ჩამორეცხილი მიწა ან ბექობია. **ნალი** ნაპრალია. წყალი რომ მიწას გახრამავს, **წყლის ნაჭამიაო**, იცინ. **ნალვარევი || ღრანტი || ნალრანტი** წყლისაგან ჩაღრმავებული, ჩანათხარ-ჩახრამულია. დიდი წყალი რო გამადთხრის და არა ჩანს, ისევ წყლითაა დაფარული, ის ნაღელია (ს. მუქო). **ნარევი** წყლის ფსკერზე ამოღრმავებული ადგილია. „**ნარევი**, რო გადფართხნის, რო გამამსჭამს წყალი“ (ს. თხილიანა). ნალვარევს **ნაჩხატსაც** უწოდებენ: „**ნაჩხატს** ნალვარევს ვეძახით, წყლები რო განავს, ჭამს მიწასა, რუვად და რუვად მოდის“ (ს. უძილაურთა). (ამ ლექსიკური ერთეულის შესახებ იხ. აგრეთვე მიწათმოქმედების ლექსიკა, გ.გ.). **ნაჩხატი**, როგორც მოხეურში, ფშაურშიც პოლისემანტიკური ელფერის მქონე სიტყვაა: **ნაჩხატი** ისეთი ადგილია, „სადაც გუთანი არ გაილის: (ს. შუაფხო). **ნაჩხატია** ერთი-ორი წელი რო არ მოხნულა“ (ს. ლიშო). **ნაჩხატს** წვრილმან ჩაჭრილ ტყეზეც ვიტყვით (მ. წელაური, ს. გომბორი). ნაჩხატი, როგორც საზოგადო სახელი, ფიქსირებულია ქართლურ, კახურ, ქიზიყურ დიალექტებში, სადაც იგი აღნიშნავს გამოფიტულ, ერთ-ორ წელიწადს დასასვენებლად გაშვებულ მიწას, რომელზედაც წინა წელს არაფერი ეთესა. აღნიშნული ლექსიკური ერთეული მოხეურში ჩამონადენ წყალსა და წყლის ნაშხეფსაც აღნიშნავს (შდრ.: 151, 293). ამასთან, ხევსურულსა და ფშაურში დასტურდება, როგორც ტოპონიმი **აჩხატი** (< ნაჩხატი?). (შდრ.: 179, 196). **ბექი** ჩამოხრამული ადგილია მდინარის პირზე **ბექურა** პატარა ბექია.

კვრანცი – ამოთხრილი მიწა ან ბუნებრივად ჩაღრმავებულ-ჩათხრილი ადგილი. შდრ. საბა: **კნარცვ** არს მთხრელი მიწისა, მსგავსად მღვიმისა. **კნარცვი** – კენარცი (116, 191).

პირზითი || პირმზითი მზის გულზე მდებარე ადგილია. შდრ. მთიულ. და მოხ. **მზორე**

#243#

(106, 215; 151, 278) და თიან.: **მზვარე** (159, 361). ძველ ქართულში **მზუარე** მზის პირს, მზიან ადგილს აღნიშნავდა (102), საპირისპიროდ ჩრდილისა (შდრ. საბა: **მზვარე** – ადგილი მზის მდგეი). მთის სხვა დია ოქეტებისაგან განსხვავებით მზუარე, როგორც საზოგადო სახელი, ამ მნიშვნელობით ფშაურ დიალექტში არ დასტურდება, თუმცა, ზოგიერთ ტოპონიმს (**სამზვარიო**, **წყაროთამზვარისპირზითი**) ეს სიტყვა შემოუნახავს. მისი შინაარსი აქ მიჩქმალული და გაბუნდოვნებული კი არ არის, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული (116, 169), არამედ, ჩვენი აზრით, ამ სიტყვის მნიშვნელობა დასახელებულ ტოპონიმებში იგივეა, რასაც აღნიშნავს ფშ. **მზორე**. **მზორეს** ფშავლები აყროლებულზე იტყვიან, ფუნაზეც ამბობენ, ამიტომ „წყაროთა მზვარე“ ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ იგი „წყაროების მზიან ადგილს“ აღნიშნავდა, შემდეგ კი „მზვარეს“ შინაარსის გაბუნდოვნების გამო დაემატა მას „პირზითი“ და მივიღეთ „წყაროთამზვარისპირზითი“ (ე.ი. წყაროების მზიანი ადგილის მზისპირი?!), არამედ, ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ **მზუარე** > **მზორე**; მაშინ, (**სამზუარიო** –) სამზვარიო იქნება ადგილი, სადაც ფუნა გროვდებოდა, ხოლო **წყაროთამზუარისპირზითის** სემანტიკური გაგება ამგვარი იქნება: მზიანი ადგილი წყაროების პირზე, სადაც ასევე ფუნა იყრებოდა ან გროვდებოდა შუადღეზე საქონლის დაწყლულებისა და დაყრის დროს. **ყუდრო** ქარისაგან დაცული მზიანი ადგილია. მზე რომ ძალიან აცხუნებს, უგარია.

ქარაფი დიდი ლოდი, მაღალი ციცაბო და ძნელად მისადგომი, მიუვალი კლდეა.

კინჭუხი (დამატ. იხ. წინ.) შიშველი კლდის შვერილი, კლდიან ფერდობში გამოშვერილი ქვა-ლოდები; ფხვიერი, ნაშალ-ნუშალი, ძნელად ასავალ-ჩასავალი მაღალი კლდეა, და არა: „წვერო“ ან „წვერი“, როგორც ეს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია კვალიფიცირებული: „ლდე რო არი ფინთ ასაჯედ-ჩასაჯედი, იმას ვეძახით **კინჭუხსა**“ (მ. მასაშვილი, ს. ლულელები); „**კინჭუხი** არი, რო ასაჯედ-ჩასაჯედი ძნელადა“ (მ. ჭყრუნიშვილი, ს. აჯადი). „**კინჭუხი** ცათამდე აყუდებულნი მთანია“ (ს. შუაფხო).

ჭიუხი კლდოვანი მთა, მაღალი წვეტიანი კლდეა. ამავე მნიშვნელობით დასტურდება იგი მოხეურში (153). **ჭიუხი** და **ჩხერი** მაღალი კლდიანი მთის, კლდის აღმნიშვნელი

#244#

საზოგადო სახელებია, ისევე როგორც **ბორბალი** || **ბორბალო**, რომელიც **ბორ** ფუძის რედუპლიკაციით მიღებული ჩანს (< ბორბარ). ხევსურეთში დადასტურებულ ხალხურ ლექსში ჭიუხისა და ჩხერის გვერდით **ბორბალი**-ც არის დასახელებული: „**ჭიუხნი, ჩხერნი, ბორბალნი**. მართლაც სრუ მავიარია“ (ა. ჭინჭარ.). **ბორბალ** რომ საზოგადო სახელი ჩანს წარმომავლობით, ამას ადასტურებს ფ. მაკალათიას მიერ ს. ბულალაურთასთან დაფიქსირებული ტოპონიმი **ბორბლოვანი** (116, 153). რაჭულში **ბორო** დიდ მიყრუებულ მთას აღნიშნავს (31).

ქანჩახი || **ქენჩახი** ძნელად სავალთ მაღალი ოღრო-ჩოღრო და უსუსწორმასწორო კლდიანი დაფერდებული ადგილია, ბუჩქებით ან ტყით დაფარული. „ქენჩასს სავალ არა აქვ, **გაუკვერავია**“ (ს. ჩალაქევი). **გაუკვერავი** გაუკვალავი, გზადაუდებელია.

ბუთქვი (შდრ. მოხ. **ბუთქი** 153). ხშირი, დაბურული, ხშირბეწვიანია. **ბუთქვი** ხე დაბურული სეა, ხოლო **ბუთქვანი** – ხშირფოთლიანი, დაბურული ტყე. **აყრილი** ტყე ახალგაზრდა ტყეა. **შიმელა** ახალგაზრდა ხეა. **ლულუტი** სწორი ხეა. **ლიტა**, **ლიტოკი** უტოტო (მარტოხელა კაცზეც იტყვიან) გაჯღლიბარდული დახლართული ხეა. ფოთოლი რომ გამოუდის ხეს, იტყვიან, **იჩირთებაო**. გაფოთვლილი ხე **გაჩირთულია**. ხეს ფოთლები ძალიან რომ გადაეშლება, იტყვიან, გაიბურაო. **დენგარი** წვრილმანი ტყე, გაუვალი ჯაგმაგია. **ნალეწიანი** || **ნალეწიანი ადგილი** – ცეცხლის ან ქარისაგან მოტეხილ-დალეწილ ხეების ადგილია., სახნავ-სათესად უვარგისი. **ნამწვარობები** ხეების დაწვის შედეგად დარჩენილი ადგილებია ტყეში. **ყათლადი** (< **ყალთადი**) ისეთი პატარა ტაფობი და ველია ტყეში, სადაც მზის სხივები თავისუფლად აღწევს და საიდანაც ცის კამარა თავისუფლად ჩანს. **ყათლადი** ქიზიყურში ცარიელ უხეივნო ადგილს ნიშნავს (123).

ალესილი ძალზე ფრიალო ადგილი ან კლდეა, რომელიც მიუდგომელია. **ლიპი** ყინულზე ითქმის და ასევე სალ კლდეზეც. **სალევი** საქონლის გადასავარდნი, დასალუპი, ციცაბო კლდის პირია. მაღალი დიდი მთის, მთის მაღალი წვერის აღმნიშვნელია ზოგადად. **კუჭი** || **კუჭულა** მთის დიალექტებში ზოგადად რაიმეს წვერს, მათ შორის მთის წვერსაც (თავს) აღნიშნავს. შდრ. ხევს. **კუჭული** – თავი, **კუჭი** – მთის წვერი (179, 239); თუმ. კუჭი – #245#

ბორცვი, გორაკი (143, 202). **საკუჭულე** ფშაურსა და **კუჭულა** ხევსურულში პირუტყვის თავზე რქებს შორის ადგილსაც აღნიშნავს; ფშავში ხინკლის თავსაც კუჭს უწოდებენ. **ბოკვი** წვერმომრგვალებული, ბლაგვია.

ფაფხი, **ფხანწალი** ძალიან გვერდალი, მიუვალი ადგილები, ძემვნარ-კლდეებია. იქ ვერსაით გადსთიბს კაცი, არ გამოდის, კლდენია. ალაგ-ალაგ თუ სადმე ეკვრის ბატატარა ბორტვაები“. **ბორტვი** – პატარა ამწვანებული ადგილი (ს. გოგოლაურთა). ივრისხეურ ფშაურში **ფხანწალის**, ე.ი. მიუვალი ადგილის, სინონიმია **ჩამოღვარწყლული** – ჩამორეცხილი, მიუვალი ადგილი.

კოტი ძლიერ დაქანებული ფერდობი ან დაყუდებული გორია. „აქისას **კოტ** გორი გვაქვ ჩასაჯედი“ (ს. გოგოლაურთა).

კლდეს გვერდალზე შეიძლება ჰქონდეს **სრელი** – ზოლი, სიგრძეზე გავლებული სწორი და ბრტყელი ხაზი. **ნალადრი** დანასერი, ჩამოშლილი, ჩამოდარული კლდეა.

საგორავიანი ადგილი დაფერდებული, ქვა-ღორღიანი ადგილია, საიდანაც ქვა-ღორღი ცვივა.

კვარიხი || **კვერისი** გამოქვაბულია. „წამოხურვილ კლდეზე ვიტყვიტ, **ეხიაო**“ (ს. აჯადი). შდრ: **ეხი** – კლდე, გამონახეთქი ქვაბივით (127, 114).

დალდე კლდეში შეზნექილი ადგილია, სადაც ნადირი დაწვება ან თოვლი შერჩება (134, № 162, 1900). „**დალდე** გორებსა და ბორცვებს შუა მოთავსებული დაბლობი, მოხერხებული ადგილია“ (ს. გომბორი).

სამალევი დასამალი ადგილია მიწაში, კლდეში და სხვაგან.

საყუჩი შესაფარი ან ჩასასაფრებელი, სამზერი ადგილია. **სარიდვალი** (შდრ. ქიზიყ.: სარიდვალო. 159, 474) მოსარიდებელი ადგილია ან რამე. **უხვედრი** ძნელად მისასვლელი ადგილია, სადაც ადამიანი არ მოხვდება, ან ვერ მოხვდება.

ნაზირზელი კლდის პატარა ნატეხია.

ლები „კლდიდან გამონადული შაბის მსგავსი რამეა (შრება, მლაშეა). ჯიხვი და ფსიტი ეტანება და ლოკავს. მონადირეებმა იციან ეს ადგილები. კლდიდან გადმოდის. შაბის გემო აქვს. საღებავად ხმარობენ (წითლადაც, შავადაც და სხვ., ყოველგვარია)“. **ლებვა, დალებვა, ლებით შელებვა**, „შესაღებავათ გამზადებული ნართის მჭავეში გავლებვა“ (167, 349).

#246#

კორჯი კლდიანი, ქვიანი ადგილია, ხოლო **ბარდო** გაუვალი ეკლიანი ჯაგი, ეკალ-ბარდებია. **ღადე-ღუდენი** ღრე-კლდე, ოდროზოდრო, სათიბად გამოუსადეგარი ადგილია. **ხრუწუნი** ხვრელი, სორია. **ყელი** უღელტეხილი, გადასასვლელია მთაზე. **ნაყვრიანი** – ერთ დროს ტყიანი, შემდგომ გავლებული ადგილი. **კენწერი** ხმელია. **კორ-ტაბახა** გვალვისაგან გაკენწრებული ადგილი, მიწაა. **გაკენწრებული** გამხმარ-გამომშრალია.

ტრამა ვრცელი, უდაბური, დაუსახლებელი ადგილია. **ღელო** გაშლილი ხეობა, ხეობის გავაკებაა. ამ მნიშვნელობით დასტურდება იგი ბაჩანას თხზულებებში (155, 95).

უკუნეთნიაო, იტყვიან ძალიან ბნელ ღამეზე. **დაუშკურება** (ს. აჯადი), **დაუჩინება** დაბნელება: „ჩვენ მართლა არ **დაგვიუჩინდეს**“ (ს. უძილაურთა). შდრ. საბა: **ჩინი** – თვალის ჩენა (127, 425). **უშენარი** ძალიან ბნელი, უკუნია. ი. ბაიდაურის მითითებით (ს. ევჟენტი), ეს ლექსიკური ერთეული ხევესურული წარმომავლობისაა. **ზავთი** მრისხანე, შემადრწუნებელი სანახავი რამეა. (გადატ. ადამიანზეც იტყვიან). დილის მოახლოება **ჟიჟრიბანდია**. **უჟ(ა)მური** გვიანი ღამე, უდროო დროა. **მამლის აჩქამება** გათენების ხანი, მამლის ყივილის დროა. ძალიან ადრინა დილა **ქათამყიულია**. შეიძლება იყოს პირველი ქათამყიული, მეორე და მესამე. თენების დროს, მესამე ყივილისას, იტყვიან: **ქათამმა მოუხშირაო**. ძოღან ნიშნავს: ამას წინათ, რამდენიმე დღის წინ. შვიდი-რვა დღის წინათ მომხდარ ამბავზე იტყვიან: **ძოღანის სადამაო, ძოღან სადამაო**. დროის მიხედვით უფრო ახლო, რამდენიმე წუთის წინ მომხდარია **წელან, წელანის ნელისხანს** მოგვიანებით, ცოტა ხნის შემდეგაა. მომავალ, შემდეგი კვირის ამბავზე კი ამბობენ: **ზეით კვირიაო**. მომავალ წელზე იტყვიან: **სხვას ემ დროსა, ემ დროჩიაო** (არაგვისხ. ფშ.). ივრის ხეობის ფშავში იციან: **კულავ ემ დროსა, სხვას წელო**. შემდგომ მომავლისათვის განუსაზღვრელ დროზე იტყვიან: **კულავო || კულავო. წინავ, უწინის დიდი ხნის წინათ გასული დროა. წინწინდელი** ადრინდელია. **სხვა ზაფხულ** – მომავალ ზაფხულში. **ჟამი** დრო, ხანია: სათავითური რავი რა **ჟმის, რა ხნისია**“ (ს. აჯადი). **ჟამის დაცემა** დროის გამონახვაა. **ჟამი დაიცაო**, იტყვიან, კაცი რომ იდროვებს, დროს გამონახავს.: **ჟამუჟამო** უდროო დროა. **დღის ჩამოლევა** დღის დასრულება, ბინდის დადგომაა. **მკვდარი მზე** „ამას იტყვიან

#247#

მზის ჩასვლის დროს მთებს რომ ალიონის მოყვითანო ნათლი დაადგება“ (ბაჩანა). **მიჯარება** ჩასასვლელად მთებს რომ მიუახლოვდება მზე, ისაა. **მოკლე ვახშობა** შებინდების ჟამია. ციცაგი მოწმენდილი, უღრუბლო ამინდია. მზე რომ ამოდის, იტყვიან: **მზემ მთა-წვერთ მაჰკრაო**. მზის ამოსვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ არის სადილობანი. „მემრე გძელ

სადილობანია, შუადღეში იქნება გველ სადილობა. სამხრობანია მზეს რო ცოტაილა უკლავ ჩასვლა. ვიტყვით: საფარცხნიაო, ორ საბელილა ჩაუდიოდაო მზესა“. **მელემო** თ. რაზიკაშვილისა და ი. ჭყონიას მიხედვით „სამხრის სამხარია“ (სამხრის კუდი?) (167, 358). მზეს **საბლითაც** ზომავენ, ივრის ხეობის ფშავში – **შუბისტრით**. საბელს მიწის საზომად (იხ. მიწათმოქმედების ლექსიკა) და თივის საწყაოდაც (იხ. თიბვის ლექსიკა) იყენებენ. **ნელსხივნი** ჩამავალი მზის სხივები, მკრთალი სხივებია. მზე რომ ჩადის, **ნელსხივობს** – მკრთალად ანათებს. **მზექცევა** მზის ბუდიდან გამოსვლაა. ფშავში თიბათვის თორმეტამდე იხვნოდა, რადგან მერმე, **მზექცევიდგე** (მზის საზაფხულო ბუდიდან გამოსვლის შემდეგ), სახნაგ-ნათესი შემოსვლას ვეღარ მოასწრებდა. მზე **საზაფხულო ბუდეში** თიბათვის ცხრაში მიდის, რომ დღეს ერთ ადგილზე დგას, თორმეტში **საზამთრო ბუდისაკენ** მობრუნდება. **არდადეგის მზე** ზაფხულის მზეა (ი. ქეშიკ.). შდრ. საბა: **არდადეგი** – მზე რა ლომში შევა, გასვლამდის. სიცივეების დადგომა რომ იწყება, **მზებუდობაა**, „ზეით ადის, სითბო არ აქვის“. ქრისტიშობის ცხრაში მზე **საზამთრო ბუდეში** შედის: „**მზე ბუდეში მიდის** ქრისტიშობის თვეში თებერვლის ნახევრამდე და **მზებუდობაა**. ამ დროს დათვიც ბუნავში შედის და იმას ლოგინს ვეძახით: დათვი ჯვრელსა, **მზე ბუდესა**, შუა ქრისტიშობის თვესა“ (ს. ელიაგზა).

ჟიკჟიკი ციმციმი, ბრწყინვაა. ვარსკვლავი **ჟიკჟივებს**. **აჟიკჟივება** აციმციმება, აფერადება, მორთვაა. მოციმციმე ვარსკვლავებით დაფარული, მოჭედილი ცა **მოჟიკჟიკებულია**. მთვარიანი ღამე **კაშკაშა** || **სინათლიან ღამეა**. მთვარე რომ გაივსება, **მცხრალია**.

ვარსკვლავებია: **მრავალანი** || **მრავალა** (ექვსი ვარსკვლავია აღმოსავლეთით, განთიადისას ჩნდება), **ცულ-თოხის ტარანი** || **სულ-თოხის ტარანი** || **სვილ-თოხის ტარანი** || #248#

სვილ-თოხის ტარანი (ათი ვარსკვლავია აღმოსავლეთით, თოხს ჰგავს. დიდი დათვის თანავარსკვლავედი), **სასწორ-ჩარექანი**, **თენების სისკარი** || **დილის სისკარი**, **შუალამის სისკარი**. ღამით ცაზე ეტყობა რაღაცა ღურბელივითა, ამას ეძახიან **ჯარ-ირემთ ნაფრენს** || **ირემთ ნაფრენს** (ს. ჩაბანო). ვარსკვლავია აგრეთვე **ჭიტა**, **კუდიან ვასკვლავი**: „მეორე ერგოს მთვარსა, მესამე – **ჭიტა** ვარსკვლავსა“ (ვაჟა, 11, 124).

თვირთვილი თრთვილია, „ძველად **ორახული** ქვივინებულა: „მთას **ორახული** მოდჰიდა, მწყემსო, აძჰყარე ცხვარია; არ მოგწყინდაა მთას ყოფნა, არ მოგ(გ)ონდაა ბარია? კარგა ქალასთან ყუდილი, ხმატკბილად საუბარია!“

სთველი შემოდგომაა. დიდ და მკაცრ ზამთარს **მძიმე ზამთარი** ჰქვია. პატარა ზამთარი **მზუბუქი** ზამთარია. **ყაპყა**, **ყაპყაი** პატარა და ახალმოსული თოვლია. **ნაყაპყი** ცოტათი ნათოვანია. **არზანი** || **არზნალი** „ზომაზე კიდევ დიდ თოვლია“ (ს. აჯადი). შდრ. ძვ. ქართ.: **არზანიგი**. დიდი თოვლი რომ მოვა, იტყვიან: **არზან ჩამოყარაო**, ძალზე უხვთოვლიანი ზამთარი **წელთჭარბია**. მოსული თოვლი სიდიდე-ზომის, ანუ რაოდენობის, მიხედვით შეიძლება იყოს აგრეთვე **ფეკსგადმამავალი** – ფეხის ტერფს რომ ფარავს, **წინდის ყელამდე**, **წვივისაკრავი** – წვივებამდე რომ სწვდება კაცს. მუხლებამდე ან მუხლებზემთოთ თუ არის თოვლი, იტყვიან, **მუკლს ამაყრიდა**, იმხელა თოვლ მოიდაო. **კვალის შეჩენა** კვალის

დატყობაა. გაუკვალავ თოვლზე რომ გაივლის კაცი, იტყვიან, **თოვლს მაძლავდაო. თოვლი მოვლელიო**, იტყვის ამ დროს კაცი.

წვიმარო თოვლი სპეტაკი თოვლია (155, 106).

ბევრი თოვლი რომ მოდის და ხშირი და მსხვილი ფიფქი ცვივა, იტყვიან, **ფარტნისო, დაფარტნაო**. „დიდი მტყელ-მტყელი თოვლი რო ჩამოდის, **მოუფთილავაო**, ვიცით“. წვრილად რომ თოვს, **საავდროა**. როცა თოვლი სწრაფად დებს, **გაახანაო**, იტყვიან. ამ დროს იტყვიან, **თოვლის გულ** ჩამოდისო. დიდი თოვის შემდეგ „მურგვალ, მძივის სიმსხო, წყლოვან მძივივით¹¹ რო ჩამოდის, **თოვლის გულაია**. ამ დროს ვიცით, გაიდარებსო“ (ს. თხილიანა). **ბარდი** დადებული თოვლი, თოვლის საფარია. „**ბარდანი** ხის ტოტზე დადებული თოვლია“ (ს. აკადი). „ხე თოვლით გაიბარდნება“ (ს. წიფრანი). **ბურკვა** თოვლის გუნდა, თოვლის #249#

დაგუნდავება. გადატანით **ბურკვა, შაბურკული** – დაბალი და მსუქანი ადამიანია. ივრისხეურ ფშაურში თოვლის გუნდას **კომიჭას** || **კუმშვას** უწოდებენ (ს. ჩაბანო).

ახალმოსული „სუმბუქი“ გაუტკეპნავი ფხვიერი თოვლი **ცუფქაია. ცუფქარა** მშრალი, ფხვიერი თოვლია. როცა ძალზე წვრილად თოვს და თან უბერავს, იტყვიან, **ქირსლავსო**. ამ დროს რომ ცოტათი თოვლს დადებს, **მოქირსლაო**, იტყვიან. ქარი რომ თოვლს მიდებს და მოაქუჩებს ერთად, ის **შენაქროლია**. გაკვალულ გზას რომ ქარი თოვლს მიაყრის, იტყვიან, **შანაქრაო** || **მინაქრაო**. ასეთი გზა **მინაქრულია**. ნაქარი ქარის მიერ მოტანილი თოვლია ზოგადად.

გაძეკვა || **გაზეკვა** დატკეპნაა. გატკეპნილ-დატკეპნილ თოვს **გაზერქნილი, დაზერქნილი** || **გაზეკილი** (ს ჩაბანო) ჰქვია. ასეთ დროს იქნება **თოვლჭყაპი** || **თოვლ-ჭყოპი**. ადგილ-ადგილ (ალაგ-ალაგ) შემშრალი თოვლი **აჭროლებულია**. ასეთ დროს იტყვიან, თოვლი **აჭროლდაო, თოვლ-ჭროლიაო**.

გაზაფხულზე ყველაზე გვიან მოსულ თოვლს **საგუგულო თოვლი** ეწოდება. იგი სამხრეთიდან გუგულის მოფრენას უკავშირდება. საერთოდ გაზაფხულზე მოფრენილ ფრინველებს **მძლევარი** ჰქვია. არსებობს **ხმის გამტეხი**, ანუ **ენიანი**, და **უენო მძლევერები**. ენიანია გუგული და წერო, უენო კი – ბორა, სვაგი, ორბი, ძერა და სხვ. მთავარი ფრინველი დაიძვრის და მთაში გამოჩნდება თორმეტის კვირას, ცამეტის კვირას **დახშირდება**, თხუთმეტის თუ თექვსმეტის კვირას გუნდ-გუნდად მოფრინდება, **ბოინი გაიშლება**. ამ დროს გამოჩნდება საჯვენელა (იხ. მიწათმოქმ. ლექსიკა), შემდეგ მერცხალი. მძლევართაგან ყველაზე გვიან გუგული მოდის, როცა **გულჯვნანია** და მუხა **იჩირთება**, იფოთლება. სწორედ ამ დროს შეიძლება მოვიდეს **საგუგულო თოვლი**.

როდესაც მზეა და თან თოვს ან წვიმს, ამის შესახებ ნათქვამია:

„მზითა წვიმს, ქსოვენ გოდორნიო,
მზითა თოვს, ლესენ დანანი“.

¹¹ წყლოვანმძივი თეთრი, წვრილი მძივია, პერლამუტის მსგავსი.

მოყინული თოვლი, რომელზეც სიარული შეიძლება, არხილია. მოყინვას გაარხილება ეწოდება. არხილ ის არი, მარტო თოვლს რო გაახმობს“. ამ დროს იტყვიან თოვლი გაარხილაო, #250#

ე.ი. მოყინაო. ასეთი თოვლი გაარხილულია, გამაგრებულია. უფრო ძლიერი ყინვის დროს იტყვიან, გაყინაო. მოყინულ ზედაპირს მოსიპული || გალიპული ჰქვია. გასირკნილი მოლიპული თოვლია. პირტუქსი ცივი და სუსხიანი ამინდია, სიცივე და სუსხია. გამხვალი – გალხობილი, გალლობილია. გალხობა თოვლის ან ყინულის დნობა-გალლობაა. მდნარი, ე.ი. გალხობილ-გალლობილი ყინული ან თოვლი მხვალია.

წყალში არეულ ყინულის ნაჭრებს, ე.ი. თომს, ხვარდი ეწოდება. შდრ. მთ.: ხორდი (106, 250). წყალს შეიძლება მოჰყვეს კოლიხეები – ნაჭერ-ნაჭერ შეკრული თოვლ-ყინული. ასეთი ყინულიანი თოვლ-წყალი, „მხვალი და წყალი რო აირევა“ (ს. ევქენტი), ანთლაშია. „ყინული რო გალხვება წყალში, ანთლაშია“ (ს. გომბორი). ლიპი ყინულია ზოგადად, სალ კლდეზეც ითქმის.

ძალიან რომ ცივა, ყიათი || ყიამათი || ყინიათი, ყინიათობაა. სიცივეში ადამიანი გაჩრაქდება. იტყვიან: სიცივეს გაუფინჩიკებავ, გაფინჩიკებულიაო. ფხროკვი (< ფხროკი) სიცივისაგან გამხმარ-გაფინჩებულია. უსულო საგანი სიცივის დროს გაფხროკებულ-გამხმარია, გაფხროკვილია. გაფხროკებულს გამხმარ ადამიანზეც იტყვიან. ტკივილამდე რომ აზრება, ის ადამიანი გათოშვილია. სიცივე და ძლიერი ყინვა რომ ჩამოდგება, იტყვიან: სიცივეს გაუკრიახებავ, არ დეეკარებოდა ყორანიო. გაკრიახებული დამზრალია. სიცივისაგან გათოშვილ ცხოველზე ან მცენარეზე იტყვიან, დაზრაო. მოშუშავსო, იტყვიან აგრეთვე დაზრობაზე.

ჭიჭმახი სუსხია, ხეებს რომ ათეთრებს, მოუჭიჭმახურაო, იტყვიან, გვარიანად რომ აცივდება: „შემა არა გვაქვ. – მერე ნახე ამ ზამთარსა, მოგიჭიჭმახურებს“.

გაყინული ხელები სითბოში რომ მოხვდება, იტყვიან: ყულიად შამივიდა || უილაი ან ტკივილაი შამივიდაო კელჩია. „ყულიაი ყუიდაო, დაათირებენ ამ დროს ბალღსა“.

ქარხალაობა ზამთარში მსუბუქად ჩაცმა და გაუფრთხილებლად სიარულია. ქარსალა თხლად ჩაცმულია.

სიცივისაგან კანი რომ აეწვება, აეტკრიცაო, იციან. ტუსვა ძლიერი ყინვისაგან კანის მოყინვა¹². „სიცივე სახეს წვავს. ამ დროს სახემ აქერაჭნება || ატკრეცვა || აქერცნა (ს. ჩაბანო) იცის: „ამიქერაჭნდა სახე, სვირსვილ არ გადამაჩნდენო“ (ს. ვაკისოფელი).

#251#

ყინულზე დასხლტომას მოცქრომას არ უწოდებენ. „მოცქრომა ის არი, ფეკ რო გადაგიცდება“. ყინულზე სრიალსა და დასხლტომას დაქანება, ქანაობა ჰქვია (შდრ.: 106, 128). დაქანება ზვავმა და თივის სათრულაებმაც იციან (იხ. თიბვის ლექსიკა).

კანკალს ცხრუებას, ბაგბაგს უწოდებენ: „ცხრუება შამიჯდა, სუ მბაგბაგებდა“ (ს. შუაფხო). მოშრეტა ძალიან დაზარალება, დაქცევა, დავსებაა.

¹² ტუსვა წმინდად ნათიბის ეპითეტიცაა.

როდესაც ნიადაგს ან წყალს სიცივისაგან ორთქლი ასდის, იტყვიან **ონჩიორი** || **ონჩიორი** (ს. ჩაბანო), ბოლი ასდის. ონჩიორი შეიძლება ცხელ კერძსაც (მაგ. ხინკალს) ასდიოდეს.

ლაჩქიმი || **გელმა** || **გელმანა** (ივრისხ. ფშ.) ციგაა. ლაჩქიმით ბავშვები ქანაობენ. გარდა ლაჩქიმისა, ბავშვები ხის ერთგვარი ციგურებით, **კაკდებითაც** ქანაობენ.

სუფთა წყალი **წმინდა წყალია, ანკარაა, სურნელი. უმს(ე)ნელი წყალი** თავანკარა, ხელუხლებელი, შეუბღალავი, შეურყვნელი, არავის მიერ ნასვამი წყალია. **დურდო** ბინძური წყალია, ხოლო **მურღვა** მღვრიე, ჭუჭყიანი წყალია. ამღვრევაზე იტყვიან, **ამურღვაო**. „ნუ **ამჩქვალავ** წყალსაო“, ეტყვიან მას, ვინც წყალს ამღვრევს. რაიმე დანალექს **დაროქვილი** ეწოდება. „აბა, ი ფქვილ არ **დაიროქვა**? ერბო გადავწუროთ ბუნაგშიო“, – იტყვიან. **დაილიკაო**, დანალექზე ამასაც იტყვიან (ს. გომბორი). ძალზე ჭუჭყიან, ლაფიან წყალზე იტყვიან, **ტლოპი** მოდისო. **კუდი** წყლის, მდინარის ან ხეობის სათავეა. **ჩქლაფა-ჩქლუფი** წყლის მდინარეების ან წყალში სიარულის დროს გამოცემული ხმაა. **ჟრინვა** წყაროს, ხევის წყლის ან რუს ჩუხჩუხი, რაკრაკია.

ცოტათი თბილი წყალი **პურის წყალივით თბილია**, უფრო თბილი კი – **რძესავით თბილი**. მზეზე რომ წყალი გათბება, იმაზეც იტყვიან, **პურის წყალივით გამთბარიაო**. „ცოტაად რო შათბება, ისი **შატეხილ წყალია**“.

წყლის გადაქცევაზე იტყვიან, **გადამენჩქლიაო. ინჩქლევაო**, იტყვიან, რომ ღელავს წყალი და გადმოდის. სითხე რომ უცბად გადმოხეთქავს და გადმოვა, **თქერნებაა. თქერანი მაილოო**, იტყვიან ამ დროს. **გაიჟინთაო**, ამბობენ წყლით გაჟღენთილზე. მშრალი და გაფიცხებული რაც არის, ის **განამშრალავებულია** || **გამონამშრალავებულია. წკლეტა, ამოწკლეტა** ამოხაპვა, ამოღვრა-ამოშრობა, ამოცარიელებაა. **ამოქრობა** თავისით ამოშრობა, აორთქლებაა. მჟავე წყალს **ვეძა** ჰქვია.

#252#

მატალა კირქვიან ადგილებში გამონაჟონი მომლაშო-მომჟაო წყალია. შდრ. ხევს: **მიტალა** – მლაშე, მომჟავო წყალი, სასმელად არ ვარგა (179). **მუჯა** – მლაშე წყარო, მინერალური წყალია, რომელსაც ნადირი ეტანება. **დუდურა** მილივით მცენარეა, რომლითაც წყალს სვამენ ხოლმე. წყალი რომ ადიდდება, აზღვაულია. ადევდაო, იმასაც იტყვიან „კაც ლოლოფქრობს, რო აჩიჩქავდება, ჩქარ-ჩქარა რო ლაპარაკობს. წყალზეც ვიტყვით, რო ისე მოდიოდა რო ლაშშია სუ აი **ლოლოფქარ** მამაყარაო. **ალოლოფქრდა მდინარეო** – ძალიან ადიდდაო“ (ს. თხილიანა). **დაწარწული** გაფანტული, გაშლილი, დატოტვილწყლიანი მდინარეა. **დაწარწული** დაფლეთილს, დახეულსაც აღნიშნავს: „**დაწარწულ** სეტკა უჭერავ ე ბალღსა“ (ს. გომბორი). **შხივილი** მდინარის წყლის დინების ხმაურია. **შხივილი** შიშხინიც არის. წყალი რო ქვეიდან დაბლა გადადის და დულდება, იტყვიან: **იჯასრებაო**. ასეთ ადგილს **ჯასრი** ჰქვია: „**ჯასრში** ნუ შეერევი, ფილიპე!“ (ს. მუქუ). ჯასრი მორეგია, რომლის ზედაპირი დულს, შფოთს, არასოდეს მოსვენებაში არ არის, ხან შეიკვრის და ხან გაიშლება (ბაჩანა, „ივერია“, № 207, 1887). გამოსვლა **გამორევაა**. წყალში გასვლას **გარევას** ეძახიან. ამ დროს იტყვიან, გაურიაო. **გაკდენა** წყალში გაყვანაა. **ჩამოჯდომა** ადიდებული მდინარის დაპატარავებაა. **გურაბი** მორევი, გუბეა, აღნუსხული აქვს თ. რაზიკაშვილსა და ი. ჭყონიას

(134, N 142, 1900). (რაზიკ. - ჭყონ.). აღნიშნული ლექსიკური ერთეული წინა ფშავში გვირახის მნიშვნელობითაც არის დადასტურებული (167, 307).

ღურღუმელი მორევია, სადაც წყალი ტრიალებს და ღურღურით უფსკრულში ინთქება. **ღურღური** იმ მორევის ხმაურობაა, სადაც წყალი ტრიალებს. წყალზე შეიძლება იყოს ხიდად გადებული მორი, რომელსაც **საცალფეკიო** ან **საცალფეკიო ხიდი** ეწოდება. პატარა ქვიტვირის ან ხის ხიდი ბოგირია. ხიდს ნაპირში აქვს **ხიდის ყური**. არსებობს **გაღმა ხიდის ყური** და **გამოღმა ხიდის ყური**. ხიდი რაზედაც დგას, იმ ხეებს **ბოტიტანეები** ანუ **ხიდის ბოტიტანეები** ჰქვია. **ბოტიტანა** სახლის სახურავსაც აქვს (იხ. მშენებლობის ლექსიკა). ვინც სხვის საქმეში. ერევა და ყოყოჩობს, იმ კაცზეც იტყვიან, რასა – **ბოტიტანობო**. **ბოტიტანა** დიდი, ზორბა და ღონიერია აგრეთვე **გაბოტიტნებული** განზე გაწეულ ფეხებზე მდგარი, გაბოტილია (155, 45).

ვარაუდით გზის განგებაზე იტყვიან, **ანდით მიდიოდაო**. **მოიანდევაო**, იტყვიან, როდესაც გზას ან სხვა რაიმეს გაიგნებენ ან მიაგებენ. რომელზეო? თუ იკითხეს, ნიშნავს რომელი გზით მოხვედით: **იქითაზე** || **იქისას** (იმ გზით), **აქათაზე** || **აქისას** (ამ მხარეს, აქეთკენ, ამ გზაზე, ამ გზით), **უგზოთას** (უგზო-უკვლოდ), **ახლუაზე** || **სამოკლეოზე** (არაგვისხ. ფშ.). || **მოკლეზე** (ივრისხ. ფშ.). – მოკლე გზაზე, **ზემოთაზე** – ზემო გზაზე; **სამოკლეოზე** უნდა გადავიდეთ (არაგვისხ.), იტყვის ის, ვინც მოკლე გზას აირჩევს. ვინც უგზო-უკვლოდ დადის, **არე-არედ მავალია**. **იქისაისაკ** იქითკენაა, ხოლო **აქისაისაკ** – აქეთკენ: „**იქისაისაკ** (ე.ი. უკანა ფშავში) ძველ ნაშენებია, აქისაისაკ (წინა ფშავში) ახლად არი აგებული“ (ს. კუდო). **ყელთავექვე** თავდაღმაა და **ყელთავექვეზე** – თავდაღმართზე სვლა. **არე-არე** უგზო-უკვლოდაა.

დაჩვენება, ისევე როგორც მთიულურში, გზის ჩვენებაა. მოსახვევს **მოსაბრუნნი** ეწოდება. დადასტურდა ასევე **პარავოტი** (< რუს. поворот). აღმართზე მიხვეულ-მოხვეული გზა **ნოქვაა**. **ნოქვა** ხვეული, ტეხილი ნაქსოვის სახეობაც არის. **ნოქვი** – ძნელსავალი გზაა საბას მიხედვით. მიხვეულ-მოხვეული ბილიკი **მინოქვებულ-მონოქვებულია** (საბასთან: იკანკელი).

თუ რაიმე გზის ქვემოთაა, იტყვიან: **გზისძირზეა** || **გზისძირშიაო**, გზის ზევით როცაა, **გზისთავზე** || **გზითავზეაო**. თუ რაიმე ახლოს არის, იტყვიან, **ახლოშიაო**. ძალიან შორ ადგილზე ამბობენ: **ჭარის ბოლოსააო**. მარჯვედ როცა რამე დევს, **ველთაპირას** || **ველდაპირას** || **საკველდაპიროს** არიო, იციან.

ნაგზაური მიტოვებული გზაა. **ნაშარობი** ადგილია, სადაც ძველად შარა, გზა იყო. იგი წინავითარების აღმნიშვნელი სახელია (შდრ.: ნადედობი, ნამამობი, ნაველობი). **კიბირჭი** || **კიპირჭი** (**კიბურჭი** || **კიპურჭი**) კლდის პირზე გაყვანილი ვიწრო, კიბისებურად განლაგებული ქვიანი და ჭყორ-ღორღიანი ძნელად გასავლელი დაკბილული გზაა. „გადავლო **კიბირჭის** ბოლო, ჭალას ელოდა მერანი“ (ს. უძილაურთა); **დიდკიბირჭნი** ტოპონიმია ფშავში. წვრილი ქვა-ღორღით მოფენილი გზა **ჭყორ-ღორღიანია**. **მაღატლიანი** ქვიანი და მაგარი ზედაპირის #254#

მქონე ადგილია, რომელიც კვალს არ იჩნევს. დაცერებულ გზას **გვერდალი** || **დაგვერდებული** ეწოდება. სავალის დაცერებას **დაცალგვერდავებას** ეძახიან. ასეთი გზა **დაცალგვერდულია**. ძალიან დაცერებული ადგილი **გვერდალია**, **დაყუდებულია**. ცოტათი დაცერებული კი – **ფერდო**: „ფერდო ის არი. ცოტად რო მიღებულ ადგილია“ (ს. შუაფხო). **მიდებულ ადგილი**

ოდნავ დაცერებული ადგილია. აკე-ბაკე ცუდი, ოღროჩოღრო გზაა: „ქვენაისაკ ნუ მიხვალ, აკ-მაკე გზა არი იქითა“ (ს. ჯომარა). კოტი ძლიერ დაქანებული ფერდობი ან დაყუდებული გორია. ძლიერ გვერდალი და მიუვალი ადგილია ფახვი, ფხანწალი. ნაშე სველი, ნესტიანი ადგილია გვერდალზე ან ფერდოზე, საიდანაც წყალი იჟონება.

მეედანი სწორი ადგილია. გლუვი ეწოდება ძალზე მოსწორებულ, ვაკე ადგილს. დალაუგი ჩადაბლებულ ადგილს ჰქვია. ფშაქევი ხეცია, რომელშიც გამომდინარე წყალიც არ იყინება ზამთრობით. საჩქმეფი ადგილია, სადაც მუდმივად არის ცოტა წყალი, ან სადაც წვიმის წყალი გუბდება და დიდხანს დგას. ასეთ ადგილში კაცი ან საქონელი რომ გაივლის და ბალახს ჩატკეპნის, ის ჩაჭლეწვა, ჩაჭლიწვა (არაგვისხ. ფშ.) || ჩაჭლეხა (ივრისხ. ფშ).

ჭანჭახი დაჭაობებული, ნოტიო ადგილია (წარმომდგარი უნდა იყოს „ჭანჭ“ ძირისაგან, რაც ნოტიო, ჭაობიან ადგილს აღნიშნავს (92, 414). შდრ.: ჭანჭრობი – კორდი წყლიანი, ნოტიო (127, 457). ჭყანტი პატარა ჭაობია. საბას მიხედვით, „ჭანჭრობზე მეტი“. ჭაობი „ჭალობიდან“ უნდა მომდინარეობდეს და ჭალაში მდებარე ნოტიო სათიბ ადგილს ნიშნავს (შდრ. საბა; იხ. თიბვის ლექსიკა). ასეთ ადგილებში ყოტი (ბაყაყი) იცის.

ნალაჯი || ნალახი უწმინდური ადგილია, სადაც დედათწესიან ქალებს უხდებოდათ ყოფნა ან სიარული. ამ ადგილებში ხატის მსახურებმა არ უნდა გაიარონ, სარიდვალია (მოსარიდებელი ადგილი ან რამე). ნალაჯი აგრეთვე მებოსლე ქალის ნადგომი, ნავალი ან მისი ხელმონაკიდი პირადი ნივთებია. საქონლისაგან გათელილი ბალახს საქონლის ნალაჯი, საქონლის გაჭიჭყნილია (ს. ჩაბანო). ართული შერეული, არეული, გარეულია. შერთვა შეფენა, შერევა, ე.ი. ჭვავის ნამჯის, შერთმევა შეცვლა, აცლაა (მაგ. ტოტებისა). შლარტუნი შამბიან ან ბუჩქნარ ადგილზე გავლისას გამოცემული ფეხის ხმაა.

#255#

ადგილი შეიძლება შეიცვალოს, გადასხვარიგდეს. შეცვლილი ადგილი გადასხვარიგებული, გადასხვაფერებულია: „სუ გადასხვარიგებულიაა ე ადგილი“ (ს. გომეწარი). გადასხვაფერებული შეცვლილ ადამიანზეც ითქმის.

ნატარი სადმე ნავალი ან ნამყოფი კაცია: „ფშავის ჳევს უწინ ნატარი ხარა?“ (ს. მალარო). სხვა მხრიდან მოსული კაცი სხვაკნური, სხვაკნიურია. თუ კაცი ვინმეს ახლავს, სტანავო, იტყვიან: „თან შვილი სტანებიყო“ (ს. მიგრიაულთა). „ერთი მე ვიყავ და ორნი სხვანი მეტანნეს“ (ს. მუქო), „გოგიას ბაღლ სტანებიყო კუჭეჭაშია“ (ს. მალარო). გაღმელის მოლოდინზე იტყვიან გამოელითო (გამოელითო, რაიმე გამოსავალზეც იტყვიან). უცაბედად რომ ვინმე (გოგო) ჩაირბენს, ჩაციელავდაო, იტყვიან. აკდომა ასვლაა: აკდენა აყვანაა. ასავედი – ასასვლელია, მიმღეობაა აკდომა ზმნისა, ის, რაზედაც უნდა ავიდეს, აკდეს. მაღლა ასავედ არ იყო (ს. მუქო). შევმაკება ფორთხვით, გაჭირვებით აღმა სვლაა. რაიმეს ატარება, წაყვანა (მაგ. ცხენისა) შევლევია: „შევკლევ საღირსა“, გავავლიოთ-ო, იტყვიან, როცა გარეკვა ან გაყვანა უნდათ. ჩამოვლევ ჩამოტარებაა: „კუჭუნა ჩამაველიეს, დასანელები“ (ს. შუაფხო). „წადი, გოგო, ცხენი ჩამაველიე“. ჩამოყრა ჩამორეკვა, ჩამოდენაა (მაგ. ცხენის ჯოგისა, ძროხებისა). რომ ვერ ავლენ, ვერ ავკეო, იტყვიან. ამოხედნება დაბლიდან მაღლა ამოხედვაა. ჩამოკდომა – ჩამოსვლაა: „ჩამოკე, ბაღლო!“ გადმოკდომა გადმოსვლაა. გადაკდომა || გარდაკდომა – გადასვლა. გაღმიდან ხიდზე გადმოსვლა გამოკდომაა. რამეზე რომ გადმოიყვანენ ვინმეს,

გადმოაჯდინეო, იტყვიან. **გადასაჯელი** – გადასასვლელია (მთაზე ან უღელტეხილზე). მისი სინონიმია **ყელი**, რომელიც რთულფუძიანი ტოპონიმის კომპონენტია ჩვეულებრივად (შდრ.: კოჭაყელა, დიყელა < დიდყელა). ხოლო მთაზე რომ ვინმეს გადმოატარებენ – **გადმოავლიეო, გადამლიავდაო**, იტყვიან. უცბად თვალს რომ მიეფარება, **მლიავებაა**: მეღია **ამლიავებს** კუდსა“ (რაზიკ.). **გადამლიავება** ისაა, ღობეს ან რაიმე დაბრკოლებას რომ გადაევლება კაცი. **გადამლიავება** მთიულურში რაიმეს გაფლანგვა ან დაკარგვაა (შდრ. 106, 189). **მლივი**, საბას მიხედვით, გალეულს ნიშნავს.

ზემოდან რომ ვინმე გამოჩნდება, **ზენაით ჩამოჩნდაო**, იტყვიან. **წარჩენა** კლდეზე #256#

გადადგომა, გამოჩენაა. ქვემოდან რომ ვინმე ამოჩნდება, **ამაიყავაო** || **ამაიყავაო**, ამბობენ. **მაიყავებაო**, იტყვიან უშნოდ მავალ მაღალ კაცზედ. **ყავვა** ტანის, სხეულის ულამაზოდ მაღლა აწევა, აზიდვაა. **ყავვა** მუწუკის ამოწევა, ამოზიდვაცაა (იხ: დაავადების ლექსიკა). **აყაყული** (< აყაყული) უშნოდ ამართული, ულამაზოდ აყუდებულია. რაიმეს მოვლაზე იტყვიან, **მურგვალთ უნდა მაუაროო. ჩაჩუგვა** დახრით ჩამალვაა. **ჩაფარება** ჩამალვა, გაუჩინარებაა. რომ მოუვლიან და მივლენ, იტყვიან: **სიმურგვალ შამაუარეო** || **მურგვლივ შამაუარეო** (ს. ჩაბანო). **წამოჭვინტება** დასანახად გამოჩენაა. ახლო-მახლო თუ ვინმე ან რამე გაივლის, იტყვიან: **ემაგაზე გამაიარაო**: „ემაგაზე გამაიარა ი ცხენმა და ჩამამაგდო“ (ს. ჩარგალი). **სარიდვალი** მოსარიდებელი ადგილია ან რამე. **ბლოტება** – ფოფხვაა, **საბლოტი** ფოფხვით ასასვლელია. ის, რაც მიწაშია ან მიწისეულია, **მიწრიელია**. **ქვეცრული** იმქვეყნიურია (116, 120).

ნელ სიარულზე იტყვიან, უნდა **ვიცოცვოო**. ნელ-ნელა ვინც მიდის, ამბობენ, **მიიბამბლ(ლ)ვება, მიცოცავსო**. „ნელა-ნელა რასამ მიიბმლამბლებოდაო, იცოდენ“. სწრაფად წასვლა **გზათ გაღება** (იხ. ქვემოთ). **წასხმა** წაყვანაა ბევრისა. **წატანინება** – წაღებინებაა.

გაბობება ბობღვით, ხელ-ფეხის დახმარებით გავლავა, ოთხით სიარულს **მიბღუნვასაც** უწოდებენ. **გლა** ჩერქვა, ხეთქებაა აქეთ-იქით. **ზაყება** რხევაა. **ჩაზაყება** ორმოში ფეხის ჩადგმაა. კაცი რომ მიპარვით, ნელა და ჩუმად დადის, **მიგლინავსო**, ამბობენ გაბრაზებით: „სად რა იყო აქამდე, ეხლალა **მოგლინავდაო**“ (შდრ. საბა: **გლინვა** – გველივით გაცორვება (127, 75). **მიგლინავსო**, საერთოდ იტყვიან ჭიაზე, მწერზე. საქონელზეც იტყვიან, ტყიან ადგილში რომ თვალს მოკრავენ და გაუჩინარდება, **გაგლინდაო. მიმოლანდვა** დაფარვა, სიბნელეში გაუჩინარებაა. **ყელვა** გზის გადაჭრა, წინ დახვედრაა. **ქარის ამოღება** (გადატ.) მცირე ხანს შესვენებაა, **ქარი ამოიღეო**, იტყვიან ამ დროს. **ყელთავქვე** თავდაღმაა. **ყელჭუნი** ზვერვა, თვალთვალაია.

დათქარუნობს, დათქრიალებს, დათახთახებსო: იმაზე იტყვიან, ვინც სწრაფად და ჩქარა დადის. **ტლიკინი** გადაბოტებით, დიდი ნაბიჯით სიარულია, უშედეგოდ სიარულზეც იტყვიან.

შქრინვა ქოშინი, ქშინვაა დაღლილისა. **შქენა** გაბრაზებით, მუქარით ქშენაა. **შქუნვა** #257#

ქშენაა დარდისაგან შეწუხებულისა. **ამოშქუნვა** ამოხზვრაა. სწრაფად, ქოშინით მოსიარულეზე ამბობენ, **შქრინვით მიდიოდაო**. შვრინვა ღრმა და ნელი სუნთქვა, ფშვინვაა.

ახალმოსულზე ანუ დაგვიანებულზე იტყვიან: **ნელად || ნელადლა მოიდაო. მოძუბვა || მოფხუჭვა || მოფოცხვა || მოწყდომა** მოკურცხვლაა. ამავე მნიშვნელობით აქვს გამოყენებული თ. რაზიკაშვილს **დაცოცხვა** და **მოცხრილვა**. ისევე, როგორც **მოფოცხვა**, ეს ლექსიკური ერთეულებიც პოლისემანტიკური ელფერისაა. ფშაურად **მოცხრილვა** ნიშნავს მარცვლეულის ცხრილში გატარებას, ხოლო **დაცოცხვა** – ცოცხით რაიმეს დაგვას (155, 28). უცბად გაქცევაზე იტყვიან, **მაისწყდაო. დასხლეტილი** ადგილიდან უცბად მოწყვეტილი, გაქცეულია (მაგ. ცხენი).

დაბწყნა || გაბწყნა || გაქცევა, გაწევა: „დაიბწყნა მელა“. ზოგადად **ბწყნა** გაწევა, ზიდილი, ჭიდილია გაშვებისათვის. **ბწყლევა || შეკმაკება** ფორთხვა, ხელ-ფეხის დახმარებით გაჭირვებით ასვლაა. **ნუ ებწყლევო**, ეტყვიან ამ დროს. **ბლოტება** ფოფხვაა. **საბლოტო** ფოფხვით ასასვლეელია. **აბლატება, აბლოტება** აფორთხება, მაღალ, ძნელად ასასვლეელ ადგილზე ძლივს ასვლაა. შდრ. **ბწყლევა – ფხოჭიალი** – ფორთხვა, გაჭირვებით, ხელ-ფეხის მოხმარებით სვლა (155, 44). **დაგანება** დასარტყმელად, საჩხუბრად, საბრძოლველად მიწევაა. **დაგანება** დამიზნებასაც ნიშნავს (ს. ევჟენტი). კაცი ან რაიმე რომ გაუჩინარდება, **დაიგანძაო || მიაგანძაო**, იტყვიან. **დათხევა** გადაკარგვადა გაუჩინარებაა. **გზათ გაღება** იდიომატური გამოთქმაა და სწრაფად გავლას, წასვლას ნიშნავს: „ქედელებმ გაიღონ გზანია“ (ს. კომარა).

ჩქარი მოსიარულე და სწრაფი ადამიანი **ელდაუცი** და მგლის **მუჭლაია**. **ბორბოწიაობა** ერთ ადგილზე ტრიალია.

გნიასი გლოვის ხმაურია, ქათმების აკრიახებაზეც იტყვიან. **როტოტო** ბაყაყის ხმიანობაა. **ბოინი** სიმრავლე, გროვია სულიერთა ან უსულოთა. მაგ., ბორცვების, გორების, ნისლის, სერების, ფრინველების, შვლების და სხვ. გაზაფხულზე სამხრეთიდან მოფრენილი ფრინველების გუნდზე იტყვიან, **ბოინი გაიშალაო**.

#258#

III თავი – დაავადება – ავადმყოფობისა და სამკურნალო მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკა

§ 1 (13). ლექსემათა რეგიონულ-სემანტიკური კლასიფიკაცია.

დიალექტური ერთეულის ცხადად და მეტი სისრულით გამოვლენისათვის უპირატესობა მეურნეობის ამა თუ იმ დარგისა და ხალხის ყოფით მოვლენებთან დაკავშირებული რიტუალების თანმიმდევრულად აღწერას, ლექსიკის დარგობრივად და არეალურად შესწავლის მეთოდს ენიჭება, რამდენადაც სიტყვის ისტორიაში და მის ლექსიკურ დახასიათებაში რეგიონული მომენტის ასახვა-გათვალისწინება ისტორიული ლექსიკოლოგიის უმთავრეს ასპექტად არის მიჩნეული თანამედროვე ეტაპზე (198, 32). ამ მხრივ საინტერესოა დაავადება-ავადმყოფობისა და სამკურნალო მცენარეთა ლექსიკა ფშაურში, რაც, ისევე როგორც ამ დიალექტის დარგობრივი ლექსიკა მთლიანად, ჯერ კიდევ არასაკმარისადაა ასახული სპეციალურ ლიტერატურაში. მისი სრულად აღწერა და

განსხვავებული ლექსიკური ერთეულების გამოვლენა კი ხელს შეუწყობს ქართული ენის კილო-თქმების არეალურ შესწავლას, რასაც განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიალექტოლოგიური ატლასის შექმნისათვის. და ბოლოს აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ დიალექტურ მოვლენათა გავრცელების მასშტაბები, წარმოვაჩინოთ ლექსიკურ ერთეულთა რეგიონულ-დიაქრონიული დახასიათება, განვსაზღვროთ ენის ისტორიის ცალკეული საკითხები და შუქი მოვფინოთ ქართველი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის მნიშვნელოვან საკითხებს.

ა) დაავადება-ავადმყოფობისა და სამკურნალო მცენარეთა ლექსიკაში შემონახული ბევრი სიტყვა დღესაც დამახასიათებელია ადგილობრივი მეტყველებისათვის და ზოგი მათგანი სპეციალურ ლექსიკონებშიც არის შეტანილი: **არქატი, ასესება, ბაზანი || ბაგბაგი, გადახრეშილი, დაბლეთა, დათვისტერფა, დასულწუხება, დატყვრევა, დაქინთლუშავება || დათინთლუშავება** (შდრ. მთიულ. დაქანთელავება), **დოყვი, ზარწყალი, თარყაუშობა, კელობა, კილოს მიდგომა || კილოს მისვლა, კლდისვაშლა, მარკე, მოწყლვა, ნასერი, ნაშაშრი, პირიშხე, ურჩოდ ყოფნა, უშტარი, ქინთლუშა** (შდრ. თუშ.: ქინთელაყი), **შქუნვა, (და)ცინტავება, ხამანდი || ხამაზდი** (შდრ. მთ.: ხამარდი), **ხუზარა**.

ბ) დაავადება-ავადმყოფობის აღმნიშვნელი მრავალი ლექსიკური ერთეული მნიშვნელობის მხრივ საერთოა სხვა დიალექტებთან. სპეციალურ ლიტერატურაში ზოგი მათგანი ფონეტიკური სახესხვაობით არის დამოწმებული და მიჩნეულია სხვა კუთხის კუთვნილებად, სინამდვილეში ფშაურშიც გვხვდება. მათი სრული გამოვლენა-აღწერა შესაძლებლობას მოგვცემს ეთნოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით ზუსტად განვსაზღვროთ დიალექტიზმების გავრცელების არეალები და შესაბამისად მოვახდინოთ დიალექტური ლექსიკის კლასიფიცირება და ლოკალიზაცია:

ავადობა (მთიულ.) – დაავადება, ფშაურშიც ავადმყოფობას ნიშნავს.

დამბრმალი (მთიულ., გუდამაყრ.) – დაბრმავებულია. **დაბრმაო**, ფშაურში იტყვიან, კაცი რომ დაბრმავდება ასეთი ადამიანი **დამბრმალია** (შდრ. საბა: დაბრმობილი – ბრმაქმნილი).

ზნევა ქიზიყურსა და მთიულურში ვნების, ზარალის, ზიანის მიყენებას ნიშნავს. „არც რას არა ზნევს“-ო, იციან ფშაურში ამა თუ იმ სამკურნალო მცენარეზე. **უზნევარიო**, იტყვიან, როცა მაწყინარი არ არის (შდრ. მთიულ.: მაზნევარი - მაწყინარი).

თართი (მთიულ., მოხ.) სუსტი, შეუძლო, უღონოა (159, 403). ასევეა ფშაურშიც.

კელობა (ფშ) – ოდნავ კოჭლობაა, იმავე მნიშვნელობით დადასტურება მთიულურსა და მოხეურში (106, 143; 153, 406); ასევეა ფიქსირებული „სიტყვის კონაშიც“ (127, 164).

კლდისვაშლა (იმერ., გურ.) – სამკურნალო მცენარეა, იგივე კლდისდუმა, ფშაურშიც ამავე სახელწოდებით დასტურდება.

საკეკი (მთიულ.) – შაკიკი. ფშაურში იმავე მნიშვნელობით გვხვდება **საკეკის ქარი**.

სახიჩრიანი (მთიულ.) – ასევეა ფშაურშიც იმის აღსანიშნავად, კაცი რომ დამახინჯდება.

სისხა (არაგვისხ. ფშ) || **წიტა** (ივრისხ. ფშ.) – სისხა დიზინტერიაა, სისხლზე გასვლაა (ასევეა თუშურსა და ქიზიყურში). **წიტა** – (ფშ, ქიზიყ., მთიულ.) – ცხვრის სენი, ფაღარათობაა.

ღანცა || **ღანცალა** (მთიულ.) – გამხდარი, გაყვითლებულია, ფშავშიც დასტურდება. ღაცა – ივრისხეურ ფშაურში დაჩიავებულ დაგვალულს ნიშნავს. ცხოველზე, მაგ., გოჭზეც ითქმის.

#260#

ცხრო (თუშ.) – კანკალი, ცახცახია; **ცხრო**, **ცხროება** || **ცხრუება** ფშავშიც ამავე მნიშვნელობით დასტურდება. **ცხროება შამიჯდაო**, იტყვიან კანკალის ავარდნის დროს.

გ) დაავადების აღმნიშვნელი ლექსიკიდან ლექსიკონებში სათანადოდ არ არის კვალიფიცირებული და არ არის გათვალისწინებული ცალკეული ლექსიკური ერთეულების დამატებითი, განსხვავებული მნიშვნელობანი, რაც ფშაურ დიალექტში დასტურდება და საინტერესოა დიალექტურ ლექსიკურ მონაცემთა სემანტიკური მრავალფეროვნების გათვალისწინების თვალსაზრისით. ამ მხრივ აღსანიშნავია **ამოვლა**, რომლის ფშაური მნიშვნელობა აღუნუსხავია: **ამაიარაო**, იტყვიან, კაცს რომ სული ამოუვა, ე. ი. საიქიოს გაემგზავრაო: **ამაძდენ სულნი**, სული დალია, ამოხირხიელავდა და ამაიარაო.

პოლისემანტიკური სიტყვაა **ბანდი**. ამ ლექსიკური ერთეულის ფშაური მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტი სემანტიკური ნაირფეროვნების გამომხატველია:

ბანდი: (ქართლ. მთიულ.) – საქონლის სენია, ფეხის გაკავება იცის.

ბანდი: (მთიულ.) – ნახველი.

ბანდი: (ზ. იმერ.) – ჩვარი, რომლითაც თიხის გამოუწვავ ნედლ ჭურჭელს ასწორებენ.

ბანდი: (გურ.) – ცუდი, უვარგისი.

ბანდი: (ფშ.) – **ბანდები** მარღვებია, ადამიანი რომ დაიხუთება, იტყვის: „დამხუთა, ბანდებ მტკივაო“.

ბუკუკა (ფშ.) – კოლო **ბუკუკას** მუმლსაც ეძახიან.

გაავება: ავადობის ან ჭრილობის გამიზეზებაზე იტყვიან, **გაუავდაო**.

გადაწყვეტა. ამ ლექსიკურ ერთეულს ფშაურში განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: კაცი რომ გადაბმით ახველებს, იტყვიან: **გადაუწყვეტა** ხველამაო, გადაცივდაო.

სინონიმური მონაცვლე ვარიანტების სახით საინტერესოა **გადაწყვეტილი** – ავადმყოფობისაგან დაუძლურებული ადამიანი, იგივე **მოღებული**.

დალადრვა (ლადრვა) – ფხაჭვა და კაწრვაა. დაკაწრული – **დაფხაჭული**, **დალადრულია**. **დალადრვა** გურულში კეცზე ნაღვერდლის დაყრაა მჭადის გამოსაცხობად.

#261#

მარჯე: მძიმედ, ცუდად. ავადმყოფობის მდგომარეობის ან ჭრილობის გაუარესების დროს ამბობენ: **გაუმარჯედა**, **გაუმარჯდა**, **უფრო მარჯედ** (უარესად) არიო.

მარჯე თუშურში, მოხეურსა და მთიულურში – ავს, ანჩხლს, კაპასს აღნიშნავს. იგივე ლექსიკური ერთეული ხევსურულსა და მთიულურში მარცხი, ცუდი საქმეა.

მაჭაჭა – მეჭეჭი (იმერ. – ცხენის ფეხის ავადმყოფობა, რაჭ. ვირისტერფა, მცენარე).

მოხედვა: მომაკვდავის, ან მძიმე ავადმყოფის მომჯობინებაზე ამბობენ, **მაიხედაო**.

მტკივანი: ძირდიდა, იგივე **პირქვეთი**.

მჭამელი || **მჭამელა** – ავადმყოფობაა, იგივე კანის კიბო, რომელიც თანდათან ფართოვდება, საღ უჯრედებს აზიანებს და შეიძლება ადამიანს სხეულის ის ნაწილიც

„მოაჭამოს“, რაზედაც არის გაჩენილი. „შაძხვდებოდა კაცსა, სუ დაიგლეჯდა, სუ შესჭამდა ხორცსა“).

რუხრუხი (რაჭ.) – მუცლის გვრემა, (ქიზიყ.) – ღრუტუნის, ღორების ხმაური; ფშაურად იგივე სიტყვა გულიდან ამომავალი, ღრმა ხველის აღმნიშვნელია.

ყრანტი – მოხუცებული კაცის მნიშვნელობით იხმარება ივრისხეურ ფშაურში. **ყრანტი** იგივე ყანყრატო, ყრანჭია და ასევე არის კვალიფიცირებული ლექსიკონებში.

ჩოყვა || **დაჩოყვა** – ფეხმტკივანის სიარულია. ლექსიკონებში ეს ლექსიკური ერთეული იმერეთში დადასტურებული მნიშვნელობითაა ფიქსირებული: **ჩოყვა** (იმერ.) – ხარბად ჭამა, ძალზე გაძლომა.

დ) ფშაური ლექსიკის რეგიონული დახასიათებისა და კლასიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია ვერ კიდევ გამოუვლენელი, აღუწესხავი სინონიმური ერთეულები:

ჯანგატეხილ ავადმყოფზე, რომელიც ვერ გადმოდის საწოლიდან, არაგვის ხეობის ფშავში იტყვიან: **სანატერედ არი გახდილიო**. ივრის ხეობის ფშავში ამავე მნიშვნელობით იხმარება **მისრინებული**.

დასუსხვაზე იტყვიან, **დამშუმხაო** (ივრის ხეობის ფშავი) || **დამტყრუმაო, დამხუხაო** (არაგვის ხეობის ფშ.).

#262#

გაცმულა (არაგვის ხეობა) || **მოგლილა** (ივრის ხეობა) – დაავადებაა, თითზე ჩნდება, ფრჩხილსაც წააგდებინებს კაცს.

სამზო მუწუკია ჩირქოვანი, რომელშიც ზარწყალი (სისხლნარევი სითხე) დგება. „ამოყაყვას იმას ვეძახით, რო ამუალის სამზო. **სამზოს** ეტყვიან, **ამაიყაყვრაო** (დაუყაყვრაო), **სამზო** გამაუიდაო. სამზო ეს არი, კანუწა რო გამუა, მუწუკებივით, ავადობის სახელია“ (ს. უკანა ფშავი). მოხეურში **სამზო** ძირმაგარა (153, 423). ფშავში **სამზოს** უწოდებენ კავია ჯოხს, რომელზეც ქვაბებს ან სათლს კიდებენ. ჩირქს **მდინარი** ეწოდება. **მტკივანი** იგივე **ძირდიდა**, **პირქვეითია**.

ამოყაყვრა; ყაყვრა – მუწუკის ამოწევა, მომწიფება, ჩირქოვანი თავის გაკეთებაა, რომელშიც ზარწყალია ჩამდგარი. კაცი რომ წამოიწევა და უთვალთვალეებს, იმაზეც იტყვიან, **იყაყვრაო** (არაგვისხ. ფშ.) || **იყინტებაო** || **იყინწებაო** (ივრისხ. ფშ.). **ამაიყაყვრაო**, იტყვიან კაცზე, რომელსაც ელიან და იგი შორიდან (დაღმართიდან) ამოჩნდება. **ბერიყაყვი** გურულად ღრმა მოხუცებულს ნიშნავს (159, 69); ფშაურში მოხუცი კაცის ეპითეტებია **ჩრუხი**, **დახანჩოტავებული**, **ყრანტი**. **ყრანტი**, **ყრანჭო** ყანყრატოსაც ნიშნავს.

ნაყვავილარი სახე **ყოილის მოჭვრეთილია**, მისი ივრისხეური სინონიმია **გაკენკილი** || **მოკენკილი** (ს. ლიშო).

გადაწვერწადმართება თავით გადავარდნაა, ხასიათი რომ შეეცვლება ადამიანს, მაშინაც იტყვიან.

ე) მრავალი ფასეული სიტყვა და იდიომური გამოთქმა კი, რაც კუთხური ლექსიკის აუწყავ საუნჯეს შეადგენს, ჯერხნობით არ არის გამოვლენილი და კვალიფიცირებული, და, ამდენად, არც მათი ლექსიკური ღირებულებაა სრულყოფილად წარმოდგენილი. დაავადება-ავადმყოფობის ლექსიკიდან ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია:

ამოყაყვ(რ)ა, ამოხირხილავება, აქერაჭნება, აჯასჯასება, ბოსტანთ ია, გადაცივება. გაკრულა || გაკრულაი. გამოპირვა, გამოსაპირი, გამარცება || გამარცეება, გაჟრუანტლება, გაფუშება, გაშეშვა, გემოზე ძინი, გულის ლოცვა, დაბანგული, დაბრუნვილი, დაბრმობა, დაგველილი, დაგუდლებული, დაიამნული, დაკუნკვილი, დამდინდრება-დამდინარება, დატყვეშა, (შდრ. მოხ.: დატყუეშა) დაზანგული, დაფხაჭული, დალადრული, დაშაული, #263#

დაშეშხილი, დაცლინჯვა, დახუხვა, დოტკო, დოყვების სხმა, თათრის ყოილი, იოშთმაოშთ ძინი, კანუწა, ლოშქრვა, მდინარი, მოგონწრება, მოდოყვება, მოღებული, მტკივანი, მწუხვიარე, ნავთ-მარილი, ნახევრობის მოდნობა, პირმოხუთვილი, პირის მოხუთვა, პირქვეთი, სამზნელი || დაბაჯული, სანატხერედ გახდილი, საფუარ-კარაქი, სვირსვილა, სისხლიანა ბალახა, საკადი, სულთა ქცევა, სულნის გუბვა, სულის ქცევის დაკეტვა, სუნთვა, ტაშტი, უზნევარი, უქმერებლის დაკარგვა, ყაყვარი, ყაყვარის გაკეთება, ყოილის მოჭვრეთილი, შასვრინტვა, შესასვრენტი, შინვა, შქრინვა, ჩაბუგული, ჩამრჩვალი, ჩამრჩობა, ჩამხალვა, ჩამხალული, ჩაფუხვა, ჩაფუხვებული, ჩაყოლებით მოწამლული, ჩახუნა, ჩიტის ნაწყლა (შდრ. თუშ.: ჩიტინაცა), ყიტყოილა, ცლინჯი, ცხვით მოდენა, ძილფუშა || ძილფუშვა, ძირდიდა || მტკივანი, წელთ გადარჩენა, წითელქარი, ხავის მოკრევა, ხირხილავება, ჯვრის დაჭერა, ჯასჯასი.

§ 2 (44). დაავადება-ავადმყოფობანი.

ავადობა ავადმყოფობაა, ხოლო დაავადებას დასწეულებას ეძახიან. გასენვა სენის მოდება, ავად გახდომა. **სარიდი** გადამდები, მოსარიდებელი ავადმყოფობაა. **დასულწუხება** კაცი რომ შეწუხდება, გაუჭირდება. ჯანსაღი კაცი **უჭირველ-უტკივარია**. **სიმთელე** ჯანმრთელობაა. დასუნვაზე იტყვიან, **სუნთავსო**. ყნოსვაზე ამბობენ, **სულთ იყრისო**, „ძალ რასამ სულთ იყრიდაო“ (**სულთა ყრა**). კაცი რომ ყველაფერს სუნავს, იმასაც გამოაჯავრებენ: „ძალივით სულთ იყრისო“. **სულისღება**ც ყნოსვით შეგრძნებაა.

კილოს არი მიმდგარიო, იტყვიან ავადობისაგან დასუსტებულ ადამიანზე. ავადმყოფობისაგან დაუძლურებულ ადამიანს კი **გადაწყვეტილი, მოღებული** ჰქვია. გასათხოვარ ან დასანიშნზე, ე.ი. დრომოსულზეც იტყვიან ივრის ხეობის ფშავში: **კილოს არი მიმდგარიო || მისულიო**.

სანატხერედ არი გახდილიო, მიხრინებულიაო, იტყვიან ჯანგატეხილ ავადმყოფზე, რომელიც ვერ გადმოდის ლოგინიდან. **სანატხერე** დაზიანებული, გატეხილ-გაბზარული ჭურჭელია, რომლითაც აჭმევენ ძალს ან ღორს. როცა ავადმყოფი კარგად გახდება, #264#

მომჯობინდაო, იტყვიან. **ურჩოდ** არიო, იტყვიან მოურჩენელ, განუკურნებელ ავადმყოფზე. ასეთი ადამიანი **ურჩომელია**. მომაკვდავის მომჯობინებაზე ამბობენ, **მაიხედაო**.

ავადმყოფი რომ ფეხზე დადგება, **ეესესა კიაო** (ასესება), იტყვიან. **მოგონწრება** ავადმყოფის მორჩენაა. როდესაც მორჩენას იწყებს, **მოგონწრდაო**, იტყვიან ავადმყოფზე.

ხამაზდი (უკანა ფშ.) || **ხამადი** (წინა ფშ.) || **ხამანდი** (ივრისხ. ფშ.) სურდოა (დაწვრ. იხ.: ფშაური ლექსიკის რეგიონული დახასიათების პრობლემა). კაცს რომ სურდო დაემართება, იტყვის: **ცხვირნ მამდიანო. დაცინტავება** (ცინტავება) დაცემინებაა. **დამაცინტავაო**, დაცემინებაზე იციან. სურდოს დროს ძნელად სუნთქვა **შმინვაა**. ამ დროს იტყვიან, **შმინავსო, ცხვირში ხრუტუნებსო. შქუნვა || ამოშქუნვა, ამოქშენა, ამოოხვრაა. შქენა** გაბრაზებით, მუქარით ქშენაა.

სულის ხუთვაა **სულნის გუბვა. სულნი მეგუბებიანო**, იტყვიან ამ დროს. ამოსუნთქვა **სულთა ქცევაა. სულს იქცევსო**, იტყვიან იმაზე, ვინც სუნთქავს, მსუნთქავია. **შქრინვა** ჩქარ-ჩქარა სუნთქვაა. სუნთქვის დარღვევაზე იტყვიან: **სულის ქცევა მეკეტებაო**. კაცი რომ ძალზე სწრაფად და ხშირ-ხშირად სუნთქავს, სულს ძლივს იბრუნებს, **ლოშქრავსო (ლოშქრვა)**, იტყვიან. „**ცოფიანს დეელოშქრაო**, ვიცით, რო მიაყრის ლორწოს, დორბლსა“ (ს. ქუმსევი). **დორდლეებსა-ი** ჰყრისო, იტყვიან ამ დროს **ამოხირხიელავდაო || ამოხირხიელავდაო** (**ამოხირხიელავება**), იტყვიან მომაკვდავის ამოსუნთქვაზე ან როდესაც სუნთქვაშეკრული ადამიანი საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ გაჭირვებით კვლავ ამოუსუნთქავს. **შასვრინტვა** შესუნთქვაა.

კაცი რომ ძლიერ ახველებს, იტყვიან აჯასჯასაო, ჯასჯასებსო. გულიდან ამომავალი ხველა **რუხრუხია. არუხრუსებსო**, იტყვიან ამ დროს. კაცი რომ გადაბმით ახველებს, იტყვიან: **გადაუწყვიტა ხველამაო, გადაცივდაო**. ამონახველი **ხირხვლია**. კაცი ამონახველს რომ ამოატანს, **ხირხლავდაო**, იტყვიან. **ხირხვლა** ბინძური ამონახველია. ნათხევი გულამორეულია. გაჟრჟოლებაზე იციან თქმა: **ჟრუანტელ მილისო, გამაჟრუანტლაო** (გაჟრუანტება). შეშინებულზეც იტყვიან: **ჟრუანტელ მილისო**. ბაბანი, ბაგბაგი თრთოლა, ცახცახი, სიცივისაგან კბილის კბილზე ცემინებაა. შეცივებულ კაცზე იტყვიან, **აბაგბაგებსო. #265#**

ნაცივარი ციებით ნაავადმყოფარია. **ცხროება || ცხრუება** კანკალია. **ცხრო, ცხრუება** შამიჯდაო, იტყვიან კანკალის ავარდნის დროს:

„გაგვიცვდა ჯევისბერებსაო
ქადისკვერების გროებაო,
გვიბარებს მკერვალიშვილი:
მუკლჩი შამიჯდა ცხრუებაო,
აღარც ის ვიცი, რა ვუთხრა,
დავსწვი ჩემ გადაყრუებაო“.

არქატი ფერმკრთალია. ძალიან ფერმკრთალი, ფერდაკარგული კაცი **ნაცრისფერაია**; გამხდარ-გაყვითლებული **ღანცალაა, || ღანცა || ღაცაა** (ივრისხ. ფშ.). **თართი** უღონო, სუსტი ადამიანია.

გაფუშება ფეხის დაბუჟებაა. **ფეჯ გამიფუშდაო**, იციან. ჭინჭრით დასუსხვაზე იტყვიან, **დამტყრუშაო, დამუხუხაო** (არაგვისხ. ფშ.), **დამშუშაო** (ივრისხ. ფშ).

ნაცხერი ხიწვია. ეკალი, ეკლოვანი მცენარე **ძაძვია. დახევა** ის არის, ადამიანს ფეხში ან ხელში ეკალი, ხიწვი ან სხვა რაიმე რომ შეერჭობა: „ნათიბზე ფეჯშიშველა სიარული არ ვარგა, კაცს ფეჯი დეეხევა, ჩეეგლიჯება“ (ს. მუქო). წიწვის შერჭობაზე იტყვიან: **ნაცხერ წამივიდაო**,

ნაცხერ დამეხიაო, ნაცხერს დავეც ხელიო. ასევე იციან ეკალზე: ეკალ წამივიდა, ეკალ დამესია, ეკალს დავეც ხელიო, ან: ნართით ამევსნეს ხელნიო. ანდაზაა: ვირმა ნარი მაიტანა, სუ თავადავ შაჰამაო. ნაშაშრი დაშაშრული, დამსკდარი, დაკაწრულია.

მაჭაჭა მეჭეჭია (ს მუქო). ყიყვი ჩიყვია.

„წინავ, რასაც ეხლა წნევას ეძახიან, მაგას საკვეის ქარს ეძახდენ“ (ს. შუაფხო). საკვეის ქარი თავის ტკივილია. ამ დროს იტყვიან: ჯერ დაიჭირაო (ჯერის დაჭერა). კარგა ხნის განმავლობაში კაცს ერთსა და იმავე დროს უმეორდება თავის ტკივილი და ამ გამოთქმას იმიტომ იყენებენ. ავადმყოფი მტკივან თავზე საკვეის ქარის ლოცვას იდებს ერთი დღე-ღამის მანძილზე, „მემრე წავა, მდინარე წყალში გადააგდებს ი ქალაღსა და ეტყვის:ნუ მალვიძებ მდინარესაო, გადჰყევ წყალსა, მდინარესაო...“ (ს. შუაფხო).

პატარა მუწუკს, ძიძიბს, ჩიტის ნაწყლა ეწოდება. ჩიტის ნაწყლა გამამივიდაო, იტყვიან ძირმაგარას ძირდიდა || ძირდიდაი || მტკივანი ჰქვია. ადრე პირქვეთს ეძახდნენ. ძირმაგარას ასე ულოცავდნენ: „პირქვეითი ხარ, პირქვე სწუხარ, თვითვი-თვემდე არ იცნობიო“.

#267#

მუწუკი რომ დაჩირქდება, ან კიდევ ჭირილობაზე რომ სისხლი შეხმება, იციან: მაუდოყვდა, დოყვებ ასხავო. უკანა ფშავში მუწუკის დაჩირქების დროს იტყვიან: თინთლუმა || ქინთლუმა, ყაყვარი გაკეთდა, დაქინთლუმავდა || დაუქინთლუმავდაო. დამწვარზე ან დათუთქულზე რომ კანი აებურცება და წყლულები გააჩნდება ადამიანს, მაშინაც იტყვიან: დაუქინთლუმავდა || დაუქუნთლუმავდაო. შდრ. მთიულ.: დაუქანთელავდაო (106, 142). დაჩირქების დროს იტყვიან: თინთლუმა || ქინთლუმა, ყაყვარი გაკეთდა (ს. მუქო), დამითინთქელავდაო (ს. ლიშო). ყაყვარს ამას ვეძახით, რო დათინთლუმადება, მემრე დასქდება, ზარწყალი გამოდის იქიდანა, რაც მიზეზია. „ზარწყალი ეს არის, რაც გაფუჭებული სისხლია, ცოტა ურევავ სისხლი, მურღვა არი. ქინთლუმა ის არი, რო ამაიყაყვებაო¹³, (< ამაიყაყვება < ამაიყაყვრება), იმაში დადგება წყალი, მიზეზი რაღაცა. ამოყაყვას იმას ვეძახით, რო ამოალის სამზო. სამზოს ეტყვიან, ამაიყაყვრაო¹⁴, დაუყაყვრდაო, სამზო გამოიდაო. სამზო წინავ იცოდენ, რო გამოუა რაღაცა. სამზოდ რაღაცა აქვ და რავი, რა არიო“ (ს. ქუმსევი). სამზო ეს არი, კანუწა რო გამუა მუწუკებივით, ავადობის სახელია. სამზო გამოუიდა ჯელზედაო, მუკლზედაო, ძველ ქართულია. სამზო¹⁵ ეხლა ათასნაირია: აქა ტაშტს იტყვიან ერთსა. ტაშტი გამაუიდა, დახავდა, გაუსქდა, ჯელი ან მუკლი დაუპირაო || გამაუპირაო. წყრული რო დაუსივდება, დახავება, ხავის მოკრეფა ეგ არი, მემრე დათინთლუმავდება და გამაიპირება“, ე.ი. გამოირწყვება. გამორწყვას გამოპირვას ეძახიან. გამოსაპირი გამოსარწყავია. „ხავის წამალ ბალახი არი, ჩადანდრი, აცხრობს; დათვის ტერფა ბუერაი იციან. სიცხის ხავისთვინ არი კარგი, გავპოხთ

¹³ კაცი რომ წამოიწევა და უთვალთვალეებს, იმაზეც იტყვიან, იყაყვებაო (არაგვისხ, ფშ.) || იყინტებაო || იყინწებაო (ივრისხ, ფშ).

¹⁴ ამაიყაყვრაო, იტყვიან აგრეთვე კაცზე, რომელსაც ელიან და იგი შორიდან (დაღმართიდან) ამოჩნდება.

¹⁵ სამზოს ივრის ხეობის ფშავში უწოდებენ კავიან ჯოხს, რომელზეც ქვაბებს ან სათლებს კიდებენ. მოხეურში სამზო ძირმაგარას მნიშვნელობით დასტურდება.

#267#

ნაღბითა და დავადებთ წყრულზედა. იციან **ცხრაძარღვა, ძაღლისენა ბალახი, მარგალიტა ბალახი, შალარი, შალრის ძირი** ამოსაპირავად არი კარგი, **ჯარისძირაც** კარგია“ (ს.ს. თხილიანა, მუქუ).

ჩირქს **მდინარი** ეწოდება. მუწუკი ან ჭრილობა რომ პირს შეიკრავს და მასში ჩირქი იწყებს ჩადგომას, იტყვიან: **დაუმდინდრდაო, პირ მაიხუთა, პირმოხუთვილი**, ე.ი. პირშეკრულიაო.

„გამოსაპირ რაიმ რო იყოს, წამლობა იციან: ცხელ ფუფქარში უნდა ჩაყვას ჯელიო. ცხელი ნაცარ-ნალვერდალი არი ფუფქარი¹⁶. ასე წამლობენ **გაცმულას** (არაგვისხ. ფშ.) || **მოგლილას** (ივრისხ. ფშ.). **გაცმულა** || **მოგლილა** დაავადებაა, თითზე ჩნდება, ფრჩხილსაც წააგდებინებს ხოლმე ადამიანს.

მუწუკის მოსამწიფებლად იციან **საფუარ-კარაქი** (საფუარი და კარაქია ერთმანეთში აზელილი) ან ცხვრის ძველი უმარილო დუმა, კურდღლის ან მწყრის ქონი წვრილად დაჭრილი ტყვიით.

ფიზიკური მუშაობის დროს კანქვეშ წყალი რომ ჩაუდგებათ, კანი ეწოდება: „**კანებით** ამევსო ჯელიო“, – იტყვიან ამ დროს.

დაჟეჟვის შედეგად ადამიანს უჩნდება „როგორც ძირდიდაი, მოწითალო-ლურჯადა, საშინელ ტკივილ იცის, **დოტკოს** (არაგვისხ. ფშ.) || **დუტკოს** (ივრისხ. ფშ.) ვეძახით. წყევამიაც იციან: რამდენ სიკეთე მე შენთვი მიქნავ, იმთვენ დოტკო გამოგებასო“ (ს. მუქო). **წითელქარიც** „დაჟეჟილობაზე იცის, დაუწითლდება, გაუმაგრდება ის ადგილი. წითელქარისთვი **ბოსტანთ** ია (ბალახია) და **კვიცის პერანგიც** კარგია“.

ნაღრძენი ნაღრძობია. „ფეკ **იღრძნო**, ვიცით“. დაზიანებული მხარი, ფეხი ან ხელი **დაშაულია**. **დაშაულს**, **გაშაულს** გაშავებულზეც იტყვიან.

რაიმეს გაჭრაზე იტყვიან, **გავისხიპე, გავიმეშხე** (არაგვისხ. ფშ.) || **გადავიშაშრეო** (ივრისხ. ფშ.). გაჭრილს **დაშეშხილს** უწოდებენ. **მოწყლვა** დაჭრა, დაკოდვაა. **ნაშაშრი** ნაჩხვლეტია. **გადახრეშილი** გადახეხილია. თაგვი ან ჩრჩილი რაიმეს რომ დაჭრის, იტყვიან: **ჩამხალაო, ჩეემხალაო**. ასეთი დაჭრილი ნივთი **ჩამხალულია**. **ღადრვა, დაღადრვა** და **ფხაჭვა** კაწრვაა. დაკაწრული **დაფხაჭული, დაღადრულია**. ცხელი წყალი რომ .გადაესხმება, იტყვიან, **ჩაიზუგა, ჩაიფუფქაო**. ცხელწყალგადასხმული **ჩაზუგული, ჩაფუფქულია**.

#268#

ავადობის ან ჭრილობის გამიზეზეებაზე იტყვიან, **გაუავდაო**. ავადმყოფის მდგომარეობის ან ჭრილობის გაუარესების დროს ამბობენ: **გაუმარჯდა, გაუმარჯვედა, უფრო მარჯედ** (უარესად) არიო. **მწუხვიარე** ძლიერ დაავადებული, მძიმე ავადმყოფია.

„წყრული რო გაღიზიანდება ძალიან, ვიტყვიან: **დაიამნა, მჭამლად გადეექცა**, გაუავდაო. **დაიამნული** საქონსაც აქვ: ან მგელ, ან ნადირ დაგლეჯს, ან კლდეზე გადავარდება, ან ცხენს კმაზვისაგან ზურგ გაუფუჭდება და იტყვიან, **დაიამნულიაო**. შველის იფნის ქერქის

¹⁶ კაცი რომ გაჯავრდება, იმაზეც იტყვიან, დაფუფქრდა, ფუფქარ შეეყარაო.

ნახარშით ბანა. წყრულისად კიდე **სისხლიანა ბალახა და კლდის დუმა** || **კლდის ვაშლა** იციან, მუწუკებისადაც იციან“ (ს თხილიანა).

მჭამელი || **მჭამელა** დაავადებაა (იგივე კანის კიბო), რომელიც თანდათან ფართოვდება, საღ უჯრედებს აზიანებს და შეიძლება ადამიანს სხეულის ის ნაწილიც „მოაჭამოს“, რაზედაც არის გაჩენილი. „შაძხედებოდა კაცსა; სუ დადგლეჯდა, სუ შესჭამდა ხორცსა“ (ს. შუაფხო). ჭამას კანის გაღიზიანებაზეც იტყვიან, რასაც ქავილის შეგრძნება ახლავს. ამ დროს ამბობენ, **ჭამა დამიწყო**.

ბედნიერი || **ბედნიერა** (არაგვისხ. ფშ.) || **ხუზარა** (ივრისხ. ფშ.) ციმბირის წყლულია, **პირიმზით** (ყვავილოვანი ბალახია) კურნავენ.

საჯადი ტიფია. „წითელა კიდენ სხვა არი, გადამაყრის სრულა ტანზედა, წვრილები“ (ს. გოგოლაურთა).

სისხამ (არაგვისხ. ფშ.) || **წიტამ** (ივრისხ. ფშ.) ძლიერი ფაღარათი იცის. „სისხას ვეტყვით ჩვენა, ფაღარათი რო აქვ მეტისმეტი. სისხა ღმერთმა დაიფაროს, ხალხსაჲ ჰხოცავს. შავ ჭირს ეძახის ზოგი. ეგ როცა გაჩნდება, მაგას ნიორი და ძმარიჲ შველის. დიდი ხალხი (ბევრი ხალხი) აზარალა ჩემ ბაღლობისას“ (ს. მუქო). **წიტა** ცხვრის სენი, ფაღარათია.

სვირსვილა „ის არი, რო აექერაჭნება (აექერცლება) სახე: **დათვის ბჯღალაის** (ბალახია) ნახარშით ბანა შველის. თმასაც იბანენ, კარგა ზდის“ (ს. თხილიანა). აქერაჭნება ივრისხეურ ფშაურში **აქერცნაა** (ჩაბანო). კანის ავადმყოფობაა **სენცეცხლა**. მისგან განკურნებისათვის შელოცვა იციან. სენცეცხლა კანს აწყლულებს.

ციებ-ცხელება რომ კაცს დაემართება, იტყვიან: სიცხემ **დასცადა, დაცდილიაო**. „აე ზაფხულში დასცხებოდა, არ ევლებოდა ხალხსა და სიცხით მადიოდა კაცსა ციებ-ცხელება (ს. შუაფხო).

#269#

შეშუპებული თვალები **დაგუდლებულია**: „მძლივ ახილებს **დაგუდლებულ თვალებსა**“ (ს. ჩაბანო). კაცი რომ დაბრმავდება, იტყვიან, **დაბრმაო**. ასეთი ადამიანი დაბრმავებულია, **დამბრმალია** (< დაბრმალია) და ანდით (ვარაუდით) დადის. **უშტარი** დაბადებით უსინათლო, ბრმა ადამიანია. **დაბლეტა** თვალების დაბრეცა, გადმოკარკლვაა, თვალებსა-ჲ ჰბლეტსო, იტყვიან. **დატყვერცა** თვალების დაჭყეტაა. შეშინებაზე იტყვიან: „გაძსცრაო, **ნახევრობა მაძზდნა, ნახევრობა მაიძნოო**“ (ს. შუაფხო).

ყრუვი ყრუ ადამიანია. **ყრულა** ყრუ ან გადაყრუებული ადამიანის ეპითეტია. კაცი რომ დაყრუვდება, იტყვიან, არ **მიადისო**. **ბურბური** ყურის ხმაური, **ყურის ჟივილია**. „ბურბური გააქვ ჩემ ყურებსა. აი, რო არ მიადის და ჟივის“ (ს. ცაბაურთა).

ჭვალზე იციან: **მსჭვალ** || **მშჭვალ** მადგაო. წელის ტკივილზე იტყვიან: **წელნ გადამერჩივნესო**; დახრილ ვიყავი, **დაკუნკვილი** მთელი დღე, **გადამერჩივნეს წელნიო**. **დაკუნკვილი** წელში მოხრილი ადამიანია.

ტკივილისაგან მანჭვა-გრეხაზე იტყვიან, რას **იმჭადები**, რასა **სჭიაგლინაობო** (ჭიაგლინაობა).

გულის წასვლაზე იტყვიან **გულ დაუსუსტდაო**. **გულ მიწკერნაო**, იტყვის ძლიერ შეშინებული ადამიანი, ე.ი. გული შემიქანდა, გული ჩამწყდაო: „მოიდა მილიციაიცა, ჩემ გულ მიწკერნა რო გავედი“ (ს. გომეწარი).

შეშინებულის გამოლოცვა **გულის ლოცვაა**. „თავჩითაის ტოტს გამანასკვენ, გამონასკულთანითა ერთ მტკაველს გადამტკავლიან, იქ „გულაბკას“ გაუგდებენ, მემრე დაახვევენ მურგვლადა, გულზე მიადებენ და დაუწყებენ ლოცვასა“ (ს. თხილიანა).

ნაყვავილარი სახე **ყოილის მოჭვრეთილი** (არაგვისხ. ფშ.) || **ყოილის გაკენკილი** || **მოკენკილია** (ივრისხ. ფშ.). „ყოილი ორნაირ ყოფილა: **თათრის ყოილს** ძახნილან, ძნელი იყო. კიდეცა-მ ჰკლავდა ადამიანსა. გადარჩებოდა – **სახე ეჭვ(რ)ითებოდა**. მეორე **ჩიტყოილაა**“ (ს. გოგოლაურთა).

ღრმა და საკმაო ხანს ძილზე იტყვიან, **დავიბანგეო**. ასე ნამძინარევი ადამიანი დაბანგულია. დიდხანს გაბმით რომ სძინავს ადამიანს, იტყვიან: **ძილფუშა** || **ძილფუშვა** #270#

გააჩნდაო. კარგად ძილზე იციან: **გემოზე სძინაო**. კაცს რომ მშვიდი ძილი არა აქვს, „რალაცად რო გელვიძება, იძინებ და ისრივ გელვიძება, **იომ-მაოშთ ძილია**. ამ დროს იტყვიან: **იომ-მაოშთ მეძინაო** (ს. გოგოლაურთა).

გაკრულა¹⁷ (შდრ. მთიულ.: **გაკრული** 106, 143). გიჟი, ჭკუნაკლები კაცია. ასეთ კაცზე იტყვიან, **უტრიკინებენო**. „უჭკოდ მთარულ ძროხისადაც ვიცით ეგ სახელადა, **გაკრულაი**“ (ს. მუქო).

გულისცმა მახსოვრობა, მეხსიერებაა. როდესაც კაცს მახსოვრობა ღალატობს, იტყვიან: **ცუდ გულისცმა მაქვის, გულისცმა აღარ მაქვისო**.

გადაწვერწალმართება თავით გადავარდნაა. ხასიათი რომ შეეცვლება ადამიანს, მაშინაც იტყვიან, **გადაწვერწალმართდაო**.

კოჭლი კაცი **ცლინკია**. **დაცლინკავს, დაცლინკავდა, მოთარყაუშობდაო**, იტყვიან ერთი ფეხით კოჭლი ადამიანის სიარულზე. **ჩახუნა** კოჭლი ადამიანის ეპითეტია. ფეხმტკივანის სიარულზე იტყვიან **დაჩოყავსო** (ჩოყვა, დაჩოყვა). **კელობა** ოდნავ კოჭლობაა. **მიტინკილაობს** || **დატინკილაობს**-ო, იტყვიან კაცზე, ძალიან რომ კოჭლობს.

ჩაფუხვებული || **ჩაბუხებული** დაკუტებული ადამიანია რომელზეც იტყვიან: **ჩაფუკვდა** ლოგინშიაო.

კაცი რომ დამახინჯდება, დაინვალიდდება, **დასახირდება**, იგი **სახირიანია**. **გახაიბრდა, ხაიბერიაო**, იტყვიან ასეთ ადამიანზე. დაბადებით მახინჯი და უშნო **სამზნელია, დაბაჯულია**. „ვაიმე, რა სამზნელ რაიმე იყოო“, იციან უშნო რაიმეს დანახვაზე. **დაბაჯვას** იმასაც უწოდებენ, საქონელს, შინაურ ფრინველს ან ადამიანს რაიმეს რომ ააჭრის დაინტერესებული პირი და საზიანოდ შეულოცავს. ამ დროს დაზარალებული იტყვის, **დამბაჯესო**.

გაჯულურება, ჯულურება – სახის დასახირება, დამახინჯებაა. **გაჯულურავებული** სახეზე დასახირებულია. **ჯულურა, გაჯულურებული** თ. რაზიკაშვილისა (გაზ. „ივერია“, №

¹⁷ თიკუნიცაა.

157, 1900) და ი. ჭყონიას მიხედვით ყურებდაჭრილს, ცხვირმოჭრილს ნიშნავს. **ჯულურა** თიკუნიცაა.

ჩაჩანაგი უმწეო, ძაბუნია. კაცი რომ დაბერდება, **დახანჩოტდაო**, იტყვიან (შდრ. მთიულ.: დაჩრუხდა. 106, 143). ამ დროს იგი მოეშვება, **დაფოფრაქდება**, იგი **დაფოფრაქებულია**. მოხუცებული კაცის ეპითეტებია: **ჩრუხი**, **დახანჩოტავებული**, **ყრანტი**¹⁸, #271#

დაბრუნვილი. **დაბრუნვილს** ასაკოვან ადამიანზე იტყვიან, სიბერეს, უძლურობას და ბავშვივით უმწეობას რომ დაუბრუნდება, „აღარავინ იბადება“¹⁹ მაგის სწორი, მაგის დროთა ქვაც აღარა გორავსო“, იტყვიან ძალიან მოხუც ადამიანზე. კაცს რომ ჭალარა გამოერევა, ამბობენ: **ნასერ გამეერიაო**.

ახალგაზრდა კაცის სიკვდილზე იტყვიან, **უქმერებელ დაიკარგაო**. **უქმერებელი** გაუმეტებელია.

ხირხელი ნახველიანი ფურთხი, ბინძური ნახველია. **ხირხიელობა** ხიხინია. კაცს რომ ახიხინებს, ხირხიელობსო, იციან. ამას მომაკვდავზეც ამბობენ; რას **დახირხიელობსო**, იტყვიან კაცზე, ვინც დაეხეტება. კაცს რომ სული ამოუვა, იტყვიან: „**ამაიხდენ სულნი, სული დალია, ამაიარაო** (ე.ი. საიქიოს გაემგზავრაო), ან კიდევ: **ამოხირხიელავდა** (= ძლივს ამოისუნთქა) და ამაიარაო.

ჩაძაღვებული **ჩამრჩვალაო**. ჩაძაღვებაზე იტყვიან: **ჩაიმრჩვა, ჩამრჩვალაო**. ამას ისეთ კაცზე იტყვიან, ცუდად, ზიზლით რომ იხსენიებენ.

ყნოსვაზე იტყვიან, **სულთ იყრისო**. „ძაღლ რასამ სულთ იყრიდაო“. კაცი რომ ყველაფერს სუნავს, იმასაც გამოაჯავრებენ, „ძაღლსავით სულთ იყრისო“.

ბანდები მარღვებია, ადამიანი რომ დაიხუთება, იტყვის: **დამხუთა, ბანდები მტკივაო**. წამალი შეიძლება იყოს **შესასვრენტი** (შესასუნთქი), **დასალევი**, **დასაპოხი** და **დასაზელი**. **სუტყვა** (ვსუტავ) წუწნავა. წამლად ფშავლები მცენარეებსა და ბალახებს იყენებენ, **უზნევარია**, ე.ი. მაწყინარი არ არის, არც რას არა **ზნევს** (არ ავნებს).

ნაკბენით მოწამლულს **დაგველილს** უწოდებენ. „მოწამლულისად, ნაკბენზედა **გოგილდ** და **ქურცინაის** ტყავ (= კვერნის ტყავი) ვიცით“. საკვებს რომ რაიმე მაწყინარს შეაყოლებს, ის **ჩაყოლებით მოწამლულია**. „**ჩაყოლებით მოწამლულისად** ნავთმარილის ან რძის ჩასხმა ვიცით. **ხოხნოტას დაგვჩქავთ** და **ჩავათქმევინებთ**“. **ჩათქმა** ჩაყლაპვაა (იხ. ასევე #272#

ბალახეულ მცენარეთა ლექსიკა). **ბალღამი** სენი, საწამლავია. ადამიანი რაიმეს რომ შეჭამს და აწყენს, იტყვიან, „**ბალღამად გადაექცაო**“. **ბალღამა** (თუშ.) რძიანა ბალახია.

კაჩავსლიანი არის ის, ვისაც შარდის შეუკავებლობა ჭირს; ძალზე მშიშარა, გაუბედავ, ლაჩარ კაცზეც იტყვიან.

¹⁸ ყრანტი, ყრანჭი ყანყრატოსაც ნიშნავს.

¹⁹ **იბადება** ზმნა „ყოფნა“-ს მნიშვნელობით ხშირად იხმარება: „ვეძახენ, ვეძახენ და შინ კაციშვილი არ იბადებაო“.

§ 3 (15). სამკურნალო მცენარეები.

ფშავლებმა კარგად იციან ბალახების სამკურნალო თვისებები და დიდად აფასებენ კიდევ, რაც ხალხურ პოეზიაშიც არის ასახული. მაგ.:

„ჭინჭარი ჭირის ჭირია, **არჯაკალი** ბალღამია,
სვინტრი მოდის, მოიძახის: მე ვარ ყველას წამალი!“

სამკურნალო მიზნით გამოიყენება სხვადასხვა ბალახისაგან დამზადებული ნაყენი. ჩაისათვის გამოსადეგია **ყამირის ბულულა** (ს. ჯოშარა) || **ჩაის ყოილი** || **ჩაის ყვაილი** (ს. უშილაურთა). **მინდვრის პიტნაი**, **ბაღის პიტნაი** (მინდვრის პიტნას ამჯობინებენ „მუცლის ტკივილისადა“), **თავშავაი** და **დეკის ყოილი** „ხველას, გაციებას შველს“; **ესკალაის ყოილის** ნაყენი კარგია სიცხიანისათვის „ესკალა თავად თირკმლეებისთვი არი კარგი“; **დუდგულაის ყოილის** ჩაი მიზანშეწონილია სიცხიანისა და ციებ-ცხელებიანისათვის ოფლის მოსადენად (ამ დროს ავადმყოფს ფეხებს ცხელ წყალში ჩააყოფინებენ); გაციებულისათვის იციან ასევე დუცის ნაღვერაის (კანის), ან **ცაცხვის ყოილის** ჩაი; **შალშვის ფეცის** ჩაი კარგია „კუჭში აშლილობითვინ“, **ჟოლის ფეცის** ჩაიც კარგია.

წამლად გამოიყენება აგრეთვე:

ბალბა ბალახი || **ბალბა** და აგრეთვე **ბოსტანთ ია** „წითელ ქარისთვი არი კარგი. დადსჩეჩვენ, თიკვზე დააწვენენ, წითელ ფურის რძით გადჰპოხენ, წაუსმენ და დაადებენ შესიებულ დაწითლებულ ადგილზე და დალოცვენ. კვიცის პერანგიც კარგია. ისიც წითელ ფურის რძეში უნდა დაღბეს და ისე დაედვას“.

ბულულა ბალახი „ხავის წამალია, ამას დადჩიჩქვავენ და იდებენ. რო დასივდება, დახავდება, გამადჰყავ გარეთ ამას“.

გოგრის ყვავილსა და **ხავსს** წითელი ფურის რძეში მოადულებენ და ისე ადებენ, „ბედნიერსა შველს“.

გუგულის ბულულა || **ფურისულა** „წყრულისად არი კარგი“.

#273#

გუგულის კაბა || **გუგულთ კაბა** „აი, ვისაც შვილ არ უნდა, ქალია თუ კაცია, ის რომ მოიხარშოს, იმის წვენ დალიოს, იმას შვილ აღარ ეყოლება. მხოლოდ დროებით არი: ერთ წელსა აქვ ვადა მემრე თუ აღარა წამლობს, ეყოლება; უნდა კიდე დალიოს. აეგრე სინანდვილეა. წელ ვადა გაუდის. ძირი უნდა ამაითხაროს, ძირ უნდა მაიხარშოს“.

გულბანდი || **გულბანდის ბალახი** „ყარაოს არჩენს“.

დათვის ბჯღალაი²⁰ „ლურჯ ყრილს. იკეთებს; ტყეში იცის, თმას იბანენ, კარგა ზდის“.

დათვის ტერფა ბუერაი „სიცხის ხავისთვინ არი კარგი, გავპოხთ ნაღბითა და დავადებთ წყრულზედა, შველს იმასა“.

²⁰ ბრჭყალები – ბჯღალნი.

ვარდკაჭკაჭის „ძირი რო მაიხარშოს, სმენ წყლადა და ფილტვებს როგორც ახლად ამინორჩოს, ეგრე შველს“.

თავშავა და კრაზანა ბალახის წვენი და აგრეთვე **ცაცხვისა და დუდგულას ყვავილის ჩაი** ხველებას კურნავს; **თამბაქოს** ღეჭენ გულის რევსას. თუ კაცს გული სასმლისაგან ერევა, მას დადალულ არაყს შეასმევენ. წინწანაქარ (არაყს) დადალავენ შიგ ჩაშვებული ცხელი რკინით და ავადმყოფს ცხლად შეასმევენ.

იესო ქრისტეს კაბა || **ჯარისძირა** „კბილის წამალია“.

იფნის ქერქის ნახარშით ბანა „შველს **დაიამნულს**, წყრული რო გალიზიანდება ძალიან, იმას ვიტყვით“.

კლდის დუმა || **კლდის ვაშლა** „წყრულისად იციან, ხელს ეკრვის, მუწუკებისად იციან.

კულმუხო „ღვიძლის წამალია, ლურჯად ყოის, სქელი ტარი აქვ. ემაგიძ ძირი მაიხარშება და წვენსა სმენ“ ... ცხენსაც არჩენენ კულმუხო ბალახის ძირით. „როგორც ზარავანდი, ეგეთია“ (ს. მუქო).

მაჟალოს ცეცხლში შეწვავენ და ადებენ ძირდიდაზე, შველის.

მარგალიტა ბალახი „უებარია წყრულისად, ზამთარშიაც ვინახავთ. გამხმარსა ვვშენეტ“.

მელისკუდა || **მელიკუდა** მისი ფოთლის წვენი ჭრილობაზე სისხლს ადებებს და ხელად „მამკურნავს“. „მელისკუდა და ცხრამარღვა კარგია ახალ წყრულისად“.

მწყერთიფქლა || **დედჟოლაი** ხმელასა და სიცხეს შველის.

პიტნის ნახარში, კაკლისა და მუხის ყვავილი კარგია აშლილობის დროს.

#274#

პირიმზე „მთებში, პირზით ადგილებში იცის. ლამაზი წითელი ყვავილი აქვ. გულში აქვის ძალიან ყვითელი გული. სულ ფერსა და ფერს იცვლის. **ბედნიერისთვი** არი კარგი“.

სვინტრი. სვინტრის ძირი „რო დაჟეჟილი ჰქონდეს ან ნალრძენი ჰქონდეს, გამოარდნილი, დაადებენ და დააცხრობს ისი“.

სვე იციან წელის ტკივილის დროს. მის წვენს შესვამენ, ნახარშს კი წელზე დაიდებენ.

სისხლიანა ბალახა „ყვითლად რაიმ ამადდის, წყრულისად არი კარგი“.

ტუხტის ძირი „კარგია სიცხისად. ამოვთხრით, დავნაყთ, დავასხამთ წყალს და დავიზელთ თავ-შუბლსა, გულმკერდსა...“

ფაფანაგა – გაციებულს შველის, მოდუღება უნდა.

ქისტურ ბალახი „წითელ ბალახია, წყრულის წამალი“ (ს. მუქო).

ღვია ბალახის ნადუღის ორთქლს ასუნთქებენ შეციებულს, ამასთანავე **დუდგულას ყვავილის ჩაის** ასმევენ.

შალარი, შალრის ძირი „ამოსაპირავად არი კარგი. ამოსაპირავად **ჯარისძირაც** კარგია. **შალარ ბალახის ძირს** მოწვავენ, დანაყავენ, რძეში მოშუშავენ და ისე დაადებენ.

ჩადანდრის ბალახს კეცზე მოშუშავენ და გასიებულზე დაადებენ. წაუსვამენ აგრეთვე საქონლის ნალველს და ქონის, სანთლის, საკმევლისა და კვერცხის ცილისაგან დამზადებულ ნარევს.

ცხრადარღვა „წყრულისთვი, ღვიძლისთვისაც კარგია, მოხარშული“. ამ მიზნით გამოიყენება აგრეთვე **ძაღლისენა ბალახი**.

წყრულიანა ბალახა „ტყეში იცის, თითქო წყრულებივითა აქვს დაჭრილ-დაჭრილი. წყრულზე დასადები“.

ჭინჭარი (თესლიანი) უნდა მოდულდეს და მისი აბაზანა კურნავს ქარებთან ავადმყოფს.

ხონხოტა „რაითაც გინდა მოწამლულ იყოს, შველს. ძირიც იჭმის და ტარიც: დავჩეჩქავთ და ჩავათქმეინებთ“.

აღსანიშნავია, რომ სამკურნალოდ მიმართავდნენ და მიმართავენ აგრეთვე სხვა საშუალებებსაც, რაც საინტერესოა ხალხური მედიცინის მონაპოვართა წარმოჩენის თვალსაზრისიდან

სიცხიანი ავადმყოფისათვის იციან შუბლზე **ძმარ-არაყში ამოვლებული ტილოს** #275#

დადება; ამ მიზნით ასევე იყენებენ **მოხარშულ სვინტრს**, რომელსაც გულსა და ნეკნებზე შემოაფენენ ხოლმე ავადმყოფს; კბილის ტკივილის დროს იციან **გაცხელებული მარილის** მიღება ყბაზე; იღებენ ასევე **ნიშადურს**. აგრეთვე ცხენის კბილს დაფქვავენ და პაპიროსივით მოსწევენ. პირში ჩაიყენებენ **მარილს** და **წინწანაქარს**. ახალ ჭრილობაზე სისხლის შეჩერების მიზნით **აბლაბუდას** ადებენ; ადებენ ასევე **ქაღალდის ნამწვსა** და **ხაჭოს**. სისხლის შესაშრობად იყენებენ **მელისკუდა ბალახსა** და **გველის ენას**. თუ ჭრილობა გასივდა, მაშინ ადებენ **ძაღლის ენა ბალახს**, **ცხრადარღვას** და ან **კლდისდუმას**. დაწვარს **კვერცხის ცილას** ასხამენ ან **დანაყულ კართოფილს** ადებენ; დაჟეჟილს ნავთს ასხამენ ან ნავთის საფენს უკეთებენ; მოტეხილს ხის **არტახებში** სვამენ და ისე ახვევენ მჭიდროდ; შარდშეკრულს დანაყულ კანაფის თესლს ასმევენ წყალთან ერთად; ხველების საწინააღმდეგოდ შემწვარი ხახვი და თაფლი იციან ერთად; ასევე შეასმევენ **თავშავა ბალახის** ან **კრაზანა ბალახის** წვენს და აგრეთვე **ცაცხვისა** და **დუდგულას ყვავილის** ჩაის ასმევენ. მუცლის ტკივილის დროს იყენებენ **ნიორწყალსა** და **მაგარ არაყს**.

თუ ავადმყოფს ილთერი თავისტკივილი აწუხებს, თავთან ახლოს (გამღებამდე) უჩერებენ **გახურებულ რკინის** ქვაბს; კუჭის ტკივილის დროს კი **მუცელზე კოტოშის მსგავსად დიდ ქილას მოჰკიდებდნენ**, – „კუჭს თავის ადგილას ჩააგდებსო“. კუჭის ტკივილის დროს ადუღებენ აგრეთვე **ქერის ქატოს** და მუცელზე ცხლად იღებენ; ასევე სვამენ **ჩარგლის მჟავე წყალს**. იგი შველის აგრეთვე ქარებიან და რევმატიზმით დაავადებულთ. ამ მინერალურ წყალს აცხელებენ ქვაბებში და აბაზანებს იღებენ; ფაღარათის დროს იციან **ნაცრის ნადულარში (ნაცარტუტაში) ქერის ფქვილის მოკიდება** და ამგვარად მომზადებული ფაფის მიღება. სამკურნალოდ იყენებენ ასევე **პანტის ჩირს**, **ნიორს**, **ანწლს**, **ტყემალს**, **ფუტკრის დინდგელსა** და **წინწანაქარს**.

ავადმყოფის განკურნების მიზნით მიმართავდნენ შელოცვებსაც: მაგ.: ცნობილია **ბედნიერის** (ციმბირის წყლულის), **ბატონების**, **მოხიბლვის** (მოჯადოების), **შაკიკის**, **წითელი ქარის**, **სენცეცხლასი** და **თიაქარის** შელოცვა და სხვ.

#276#

IV თავი - სოციალურ ურთიერთობათა და ადამიანის ხასიათ-თვისებების აღმნიშვნელი ლექსიკა

§ 1. (16) ლექსემათა რეგიონულ-სემანტიკური კლასიფიკაცია

ფშაური ლექსიკის საგანძური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც განსაკუთრებით სოციალური ურთიერთობის ამსახველი მოვლენებისა თუ ადამიანის ხასიათ-თვისებების ასახვის დროს იჩენს თავს. რამდენადაც ენის ლექსიკა მოწესრიგებულ სიმრავლეთა ერთობლიობად აღიქმება. ცხადია, მისთვის ფასეულია როგორც ძველი ქართული ენის კუთხური ფორმები, ასევე ახალი, განსხვავებული ლექსიკური ერთეულები, რაც კუთხური ლექსიკის საუნჯეს შეადგენს. სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ფასეულია კუთხური ლექსიკისა და საერთო ენობრივი ლექსიკის მიმართება-სუბორდინაციის საკითხი. ამ მხრივ საინტერესოა დიალექტური ლექსიკის ის ელემენტები, რაც ასახულია ამა თუ იმ კუთხის ხალხის სამეურნეო საქმიანობის, ყოფითი მოვლენების, სოციალური ურთიერთობისა თუ ადამიანის ხასიათ-თვისებების ამსახველ დიალექტურ სალექსიკონო მასალაში. ამ თვალსაზრისით დიალექტური ლექსიკის დარგობრივად შესწავლა იძლევა იმის საშუალებას, რომ კუთხური ლექსიკის აუწყველი საუნჯის – კუთხურ სიტყვათა მნიშვნელობების ინტერპრეტაცია მოვახდინოთ სემანტიკური ბუდეების მიხედვით არა მხოლოდ სემანტიკური ველის დონეზე, არამედ ამ ველში შემავალი საკუთრივ წევრების დონეზე გამოწვლილვითი ანალიზის შედეგად დამატებითი მნიშვნელობების გამოვლენა-ფიქსაციისა და კლასიფიკაციის საშუალებით იმდენად, რამდენადაც „ერთ სემანტიკურ ველში შემავალი სიტყვების ინტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე თვითონ სემანტიკური ველისა“ (12, 224). ყოველივე ეს კი ჰიპონიმიური მიმართების ნაკლები ექტენსიონალის მქონე დიალექტური ლექსიკური ერთეულების გამოვლენას გულისხმობს მოცემული სემანტიკური ველის ფარგლებში, რასაც განსაკუთრებით ფასეული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როდესაც, ერთი მხრით, სულ უფრო და უფრო იგრძნობა დარგობრივისა და საერთო ენობრივის განსხვავება ლექსიკაში და, მეორე მხრით, ფართოვდება ურთიერთობა სხვადასხვა ენობრივ ჯგუფთა წარმომადგენლებს შორის, რაც ინტერდიალექტიზმს განაპირობებს (13, 130).

#277#

ამა თუ იმ ლექსიკური მოვლენის სხვადასხვაგვარად გამოხატვის მიზეზად დიალექტის შიგნით მისი დიფერენციაცია, რეგიონული მომენტი, თაობათა მეტყველების განსხვავებულობა, ინდივიდუალური მოვლენები ან სხვა ფაქტორების მოქმედება უნდა მივიჩნიოთ. ტიპობრივ თავისებურებათა გამოსაკვეთად მთავარია მათი სისტემატიზაცია, რაც განზოგადების საშუალებას მოგვცემს და არა ერთეული თავისებურებანი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც გრამატიკულ თავისებურებათა დადგენის თვალსაზრისით, ასევე დიალექტური ლექსიკის რეგიონული კლასიფიკაციისა და სიტყვათა სემანტიკური მრავალფეროვნების გამოვლენისას მათი არეალური შესწავლის დროს.

რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით კილოურ ლექსემათა კლასიფიკაციისა და ლოკალიზაციის პრობლემა სიტყვათა გეოგრაფიულ პროექციას უკავშირდება (27, 31-33) და მისი გადაჭრა ემყარება: 1) იზოგლოსათა გავრცელების ძირითადი და ლატერალური არელების დადგენას და 2) მასთან დაკავშირებულ ლექსიკურ-სემანტიკური დონის დიალექტურ სხვაობათა გამოვლენა-ანალიზს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა როგორც დიალექტის შიგნით, საკუთრივ მოცემული დიალექტისეული, ასევე დიალექტთაშორისი საზიარო ლექსიკური მასალის სემანტიკური სტრუქტურა, რაც, საერთოდ, მრავალფეროვანია (27, 214-230).

საზიარო მასალის სემანტიკური სტრუქტურის კვლევა საგულისხმო მასალას იძლევა ისტორიული დიალექტოლოგიისა და ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით ლექსიკურ-სემანტიკური დონის დიალექტური სხვაობანი ნაშრომში გზადაგზა, თავ-თავის ადგილას არის განხილული დარგობრივი ლექსიკის აღწერის დროს.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით ავტორის მიერ მრავალი წლის მანძილზე ჩატარებული სავსე მუშაობის შედეგად ნაშრომის მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია ცდა არაგვისა და ივრის ხეობის ფშაველთა მეტყველებისათვის დამახასიათებელ სოციალურ ურთიერთობათა და ადამიანის ხასიათ-თვისებების აღმნიშვნელ დიალექტურ ლექსიკურ ერთეულთა დაწვრილებითი ანალიზის, კლასიფიკაციისა და მათი ლოკალიზაციისა რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით. ამ მხრივ აღსანიშნავია:

ა) ლექსიკური სინონიმია, სინონიმურად მონაცვლე ლექსიკური ვარიანტების

#278#

არსებობა თვით ფშავურში: აკავანთ გადასაკრავი || გადასაკრავთ წკებლაი, არე-არედ მავალი || საქმისაგონ დალეული || არჯალა || გულარჯალა, ამტყვერცილი || გამოტყრუშული, არხიმი || აზუხარი || გულანჯახი, ბაძუძნობა (ივრისხ.) || ბუჯბუჯი || ცუხცუხი (არაგვისხ.), ბაძუძუნა || დოდინა, ბაძუძუნობა || დოდინაობა, ბაჯიჯგანა (არაგვისხ.) || ბაჯოჯღანა, ბედ-ბოლო || ყისმათი || დავლათი, ბედმწარე || უდავლათო, ბენტერი || ბუნდე || უცოდარი, ბეჩავი || აბდალაი || დარეტილი, ბეჩავ-საბრალო || ძალღუნებური, ბლექა || უწყლო ყაურმის ჭამა, გაბორგოვებული || გახუდუგებული || გაფრანგებული || გაცოფებული, გადაწყვეტილი || მოღებული, გალუნგვილი || ტურტლიანი || დაბღარული || გაჭუჭყნილი || გაზანგული, გამტყვრალი || გაჟივჟივებული, გაუნამუსოებული || დამრახული || გაუკლოვებული || კმასახელგატეხილი || გაღეჯეჯება || გაჯუღერება || გაჯუღურება || გაჯულურავება, გახიდვა || ჟიაობა, გონთგადაგდება || გონთით გადავარდნა, დაბორიანებული || დაბუნდუებული || ნასასმლარი, დაბნედა || დაჟეჟვა || გატყეპვა, დათქარუნობა || დათქრიალება || დათათხება, დამდვრიალება || თვალთა ტორღალი, დატიკვა || მოსნიკვა, დატიკ(ვ)ული || მოსნიკ(ვ)ული, დაყუნთული || დაჩოლბოტება || მასხარად დაჭერა || დაკეშვვა || დაჩეგრვა || დაჭკვავება || დაკმინება, დახორუნჭება, დაკეშვილი || დახამლული || დაკამლული || ჩამოჩეგრილი, დახორხორება || მოხორხორება || ქუჩობა || ქურულაობა, დაჯინჯიბაჯებული (არაგვისხ.) || გადაჟამყრუებული (ივრისხ.), დედეულნი || დედიძმანი, დეიდაშვილი || შინში, დღეჟამის ლევა || დღეჟამლეულობა, ეშმაკთ გაკრული || მავნე || მაცილი, იზიდება || იბწენევა ||

იბლიძება, ლაქარდი || ლაქარდაი || თილისმა, ლიქვნა-პირგება || მოქასურება, ლუთლუთა ||
ლუყი, ლღვევა || სალახანაობა, მამულნი || მოგვარები (არაგვისხ.) || ბიძაშვილები (ივრისხ.),
მამაის ქალი || ჩემ ქალი, მამხალა (არაგვისხ.) || ჩირადდანი (ივრისხ.), მოდუმებული ||
უსულჯანო, მოკაული || ცხვირმუკლზედადებული, მოჯეჯგვა || გულის მოკორკოტება,
მტრუკვა || მტრუჩკვა || გაბუ(ვ)ება || გაწყრომა, მწერელჩვილი (< მწერელთშვილი) ||
#279#

მწერელთტყვე || დაკამლული || უხერხო, ნათელმირონი || მირვნის (< მირონის) მომღები,
ნეფის დაი || თავმოთავე, პრუნწიაი || ძალიან კეკურაზი, საკოდე || საკოდის გამოტანა ||
საკოდის დადგმა, საუბრის გასაკრავება || საუბრის გაფიავება, საქმი-საგონ-დალეული ||
უსაქმისაგონო || სალახანა, სუნგალის გაწყვეტა || სულ-ტყავის განაზება || სუნგალის განაზება,
ტატლაშა || ბოდოშავი || ბოდოშალი, უგონთური || გაუგონთებული || უგონთმყოფი || ტეტეჩი ||
რეტანი, უდუმალაი || ქვემძრომელა, ქალბნელი || ქალკუპრი, ქოთობა || ქათქათი || თათქთაქი,
ლოდო-ნოშო || ჩონდო, ღონწიალობა || ღონღიალობა, ყურის გდება || კელის დადება,
შავგვრემალაი || გაზანგულა, შამოწინწელავება || დატყლიშნვა || დალაფათება ||
დაკელუკულმართება || დასილაქება, შმიკ-შმიკი || შლოკინი, ჩალახე || ჩალაჯე (არაგვისხ.) ||
საჩალახე (ივრისხ.), ჩარჩელი || გაძვალტყაული || გახმეხილი || ჩონჩხატი || ჩაფეხვა || ჩაფეცვა
|| ჩაზაყება, ჩუბჩუბი || ჩუფჩუფ-ყურყური, ჩუჩუნი || მუკლთ არ მოხრა, ჩხივილი || ყყივილი ||
წკრტიალი, ცეცხლ-ნავთი || ღვთის პირის მკაწრავი, წვერდაწამებული || წვერშამამავალი ||
წვერშემომდინარი, წუწვი || ჩავენეშილ კაცი || თავისთვინა || წაწარაქი || ქვახარშიაი, ჭუჭუნი ||
დაჭუჭუნება || დაჭუჭუჭება, ჭორიკა || ჭორტიკა || ჭორტიკანაი || ენაკაჭალა, კელგულგაშლილი
|| სხვათა ბარაქალაზე მოარული, კელკეკელაობა || ბლანძულაობა, ჯალაფნი (1) || ჯალაფობა ||
მჭამელი || შესანახი, ჯალაფნი (2) (არაგვისხ.) || ძმათ განაყრები (ივრისხ.), ჯლუგნვა || პირში
გაჩრა, ჯულერა || ჯულურაი || ღეჯეჯი, ჯუყუყუყი || ჯუმჯუმი.

ბ) სოციალური ურთიერთობისა და ადამიანის ხასიათ-თვისებების აღმნიშვნელ
ფშაურ ლექსიკაში შემონახულია მრავალი სიტყვა, რომელიც დღესაც დამახასიათებელია
ადგილობრივი მეტყველებისათვის და სპეციალურ ლექსიკონებშიც არის შეტანილი: აგრეობა,
აღმანია, აღმანიაყისტი, ბებო, გახუდუგებული, გიდლის წაღება, დავლათიანი, დათირება,
დაკამოტებული || დაკანჩოტავებული, თავსისხლი, მამის ქალი || მამაის ქალი, მამიძ სახლი,
მარჯკალი, მოყვარე, მყეფარი, მძული, საკიდელი, სანაწეო, საწაღმართო, ფახლახი, ქეცხა,
ჯალაფნა...

სოციალური ურთიერთობისა და ადამიანის ხასიათ-თვისებების ფშაური ლექსიკის
სემანტიკური სტრუქტურიდან სხვა დიალექტებთან (ხევსურული, მთიულური, მოხეური,
ქართლური, კახური) მიმართებით ასევე აღსანიშნავია:

1. ფორმითა და შინაარსით იგივეობრივი სიტყვები და გამოთქმები;
2. ფორმით იდენტური, მნიშვნელობით სახეცვლილი;
3. ფორმითა და შინაარსით განსხვავებული.

მოცემული დიალექტური გარემოს ლექსიკურ თავისებურებათა განმსაზღვრელ
ფაქტორებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აგრეთვე ენობრივი არქაიზმი, რაც
გულისხმობს დიალექტურ ლექსიკაში მეტ-ნაკლებად შემონახული ძველი ქართულის

ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა რეფლექსებს, უძველეს ლექსემებს რომლებიც საერთო ენაში სხვადასხვა გარეგანი თუ შინაგანი ფაქტორების გავლენის შედეგად დაკარგულია.

1. სხვა დიალექტებთან ფორმითა და შინაარსით იგივეობრივი სიტყვები და გამოთქმები სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ ფონეტიკური სახესხვაობით არის დამოწმებული და მიჩნეულია სხვა კუთხის კუთვნილებად, სინამდვილეში კი იმავე მნიშვნელობით ფშაურშიც გვხვდება. მათი გამოვლენა-აღნუსხვა შესაძლებლობას მოგვცემს ეთნოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით ზუსტად განვსაზღვროთ გავრცელების არეალები და შესაბამისად მოვახდინოთ ლექსემათა კლასიფიცირება და ლოკალიზაცია:

გადაგონებული მოხეურში გამოჩერჩეტებული, გამოყრუებულია, ასევეა ფშაურშიც.

გარევა მთიულურის გარდა ფშაურშიც გვხვდება და წყალში ფეხით გასვლაა. **გაურიაო**, იტყვიან ამ დროს.

დაიამლა (< **ამლა**) – აფხაზურისა და ხევსურულის გარდა, ფშაურშიც გვხვდება და დამშვეას ნიშნავს.

ზნევა ქიზიყურსა და მთიულურში ვნების, ზარალის, ზიანის მიყენებას ნიშნავს; „არც-რას არა ზნევს“-ო, იციან ფშავში ამა თუ იმ სამკურნალო მცენარეზე. **უზნევარიო**, იტყვიან, როცა მაწყინარი არ არის. (შდრ. მთიულ: **მაზნევარი** – მაწყინარი).

კელობა ფშაურად ოდნავ კოჭლობაა, იმავე მნიშვნელობით დასტურდება მთიულურსა #281#

და მოხეურში. ასევეა ფიქსირებული „სიტყვის კონაში“-ც. თუ გავითვალისწინებთ მის მეგრულ (**კილი**, **კილობუა** – „ნაკლი“, ი. ყიფშ.) და სვანურ (**ლიკლი** – „კლება“; **იკლი** – „კოჭლობს“; **მგკლი** – „კოჭლი“) ვარიანტებს, **კელ** || **კილ** ფუძე საერთო ქართველურ ოდენობად ივარაუდება.

სახიჩრიანი (მთიულ.) – ასევეა ფშაურშიც იმის აღსანიშნავად, კაცი რომ დამახინჯდება.

ცხრო (თუშ.) – კანკალი, ცახცახია; **ცხრო**, **ცროება** || **ცხრუება** ფშავშიც ამავე მნიშვნელობით დასტურდება **ცხროება შამიჯდაო**, იტყვიან კანკალის ავარდნის დროს და სხვ. მრავალი.

სხვა დიალექტებთან ფორმითა და შინაარსით იგივეობრივი სიტყვებისა და გამოთქმების სემანტიკური ანალიზი გვამღევეს საშუალებას დავასკვნათ, რომ ისინი ძირითადად არქაული ხასიათისანი არიან და ძველი ქართულიდან მომდინარეობენ, მათი ნაწილი კი დაკავშირებულია უცხოურენოვან ლექსიკასთან. ძირითადად ჭარბობს შეხვედრები ნახურ-დაღესტნურ, არაბულ-სპარსულ და თურქულ ლექსიკასთან. ამ თვალსაზრისით სოციალურ ურთიერთობათა და ადამიანის ხასიათ-თვისებების ამსახველი ფშაური ლექსიკიდან აღსანიშნავია:

აბრუ (გურ., იმერ, ფშ.) – აბრუს არ იტებს, სახელს არ იტებს, ნამუსს არ ირცხვენს (21); სახელი, ღირსება ავტორიტეტი (18; 6). შდრ: სპ.-თურქ.: *âbiru*.

ადი (ფშ.) – სახელი, ხასიათი,თვისება (18). შდრ. თურქ.: *ad*.

აზიზ-მაზიზი (ფშ.) – ნაზი, სუსტი, სათუთი. არაბ.-თურქ.: *asis*.

არამი (თუმ., ფშ.) – 1. ტყუილი, უწესო, ურიგო; 2. უსამართლო, რაც კაცს არ ერგება. შდრ. არაბ.-თურქ.: haram.

არიაქათი (ფშ.) – არაქათი, განძრევის საშუალება არაბ.-თურქ.: harket.

ბეზერგანი || **ბეზირგანი** ცუდი ყოფაქცევის ქალია. შდრ. თურქ.: bezingân.

დავლაფ, დავლათი (ფშ., თუმ.) – ქონება, ნადავლი, ნაალაფარი, ომში ნაშოვარი. შდრ. არაბ.-თურქ.: davlat.

დოსტოდრივ (ფშ., თუმ.) – პირდაპირ მისვლა გაბედულად და შეუპოვრად, შეუჩერებლივ. შდრ თურქ.: dosdoğru; აზერბ. „დოს დოდრგ“.

#282#

ეჯიბი (ფშ.) – თავმაცარი. არაბ.: ჰაჯიბ – „მეფის მეკარე“, „კარისკაცი“.

ზავთი (მესხ., ფშ.) – რიხი, ძალა; მრისხანე, შემამძრწუნებელი, შემამინებელი სანახავი რამ. შდრ. არაბ.-თურქ.: zapt.

ლაქარდი (მოხ., ფშ.) – პირფერი, მლიქვნელი, ტკბილმოუბარი, ლაქუცა ადამიანი. შდრ. თურქ.: lakirdi.

ლიშანი (ხევს., ფშ., თუმ.) – ნიშანი, წინდი, შარნა, საპატარძლოს დასანიშნი (დალიშვნა – დანიშვნაა, გ.გ.). შდრ. სპარს.-თურქ.: nisan.

მურაზი (ქართლ., ქიზიყ., ფშ.) – სურვილი, წადილი, გულით სანდომი, ნატვრა. შდრ.: არაბ.-თურქ. muraat.

ნასიბი (ფშ., ქიზიყ., მთიულ.) – ბედი, იღბალი, ბედნიერება. შდრ. არაბ. nasib – ხვედრი, წილი.

ულური (ფშ.) – რწმენა, იმედი. შდრ. თურქ: uqur – ბედნიერება.

ქულფათი, ქულფეთი (ქიზიყ., ფშ., ზ. აჭარ.) – ოჯახი, ცოლ-შვილი; წვრილშვილი, წვრილფეხობა; ოჯახში ბავშვების სიმრავლე, ჯალაბობა. შდრ არაბ.-თურქ.: külfet.

ყავლი (ქართლ., ქიზიყ., ფშ., ხევს., მოხ., მთიულ., თუმ., გუდამაყ.) – ვადა, პირობა, დათქმული დრო. შდრ. არაბ.-თურქ.: kavil.

შეშმიში (ფშ.) – დაბნეული, შეშინებული, გადარეულივით; ვინც ხშირად გრძნობას კარგავს, არეულად ლაპარაკობს. შდრ. თურქ.: semis.

ძალო, ძალუა (ფშ.) – რძალი. შდრ. ძვ. ქართ.: სძალო > ზძალო.

ხათა (ფშ.) – ცოდვა, ბრალი, ხათაბალა. არაბ.: ხათა.

წარმოდგენილ უცხოურენოვან საზიარო ლექსიკას და ლექსიკურ-სემანტიკურ მიმართებებს თუ განვიხილავთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და გენეტიკური კანონზომიერებების მოთხოვნათა მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ აბსტრაქციისა და განზოგადებისათვის საჭიროა გამოკვეთა ტიპობრივი თავისებურებებისა. სამტკიცებელმა სავარაუდებლის მნიშვნელობაც რომ არ დაკარგოს, ამ მხრივ საფუძველთა საფუძველი უნდა იყოს კანონზომიერ ფარდობათა გამოვლენა ფონოლოგიის დონეზე, რაც ბგერათშესატყვისობების სახელით არის ცნობილი. დღეისთვის კი, ჩვენი აზრით, უნდა დაკვამყოფილდეთ იმის აღნიშვნით, რომ ქართველურ

#283#

და არაბულ-სპარსულ-თურქულ-ნახური ლექსიკური შეხვედრების სახით საქმე გვაქვს ხალხთა მჭიდრო და მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების შედეგად ჩამოყალიბებულ სიტყვათა ჩვეულებრივ სესხებასა და უკუსესხებასთან, ვიდრე ტიპოლოგიურ მსგავსებასთან.

II. ფორმით იდენტური, მნიშვნელობით სახეცვლილი სიტყვები და გამოთქმები გულისხმობს ლექსიკონებში შეტანილ სიტყვებს, რომლებიც სათანადოდაა დახასიათებული, მაგრამ ზოგჯერ არ არის გათვალისწინებული მათი დამატებითი, განსხვავებული ფშაური მნიშვნელობანი და ამდენად, არც სიტყვის ლექსიკური ღირებულება და სემანტიკური პარალელებია სრულყოფილად წარმოდგენილი. დიალექტურ ლექსიკურ მონაცემთა სემანტიკური მრავალფეროვნების გათვალისწინების თვალსაზრისით კი სწორედ ამ სიტყვების აღნუსხავი ფშაური მნიშვნელობანია ფასეული. ამ მხრივ საინტერესოა: **ბანდი**, **ბიჭია** (შდრ. მოხ.: ბიჭად), **გაგდება**, **გადაფრენა**, **გადაწყვეტა**, **გაზიდვა**, **გაკრული**, **გამომავალი**, **გამოსეული**, **გაქრეშილი**, **გვირგვინის მოხდა**, **გიდელი**, **ეჯიბი** || **ეჯიფი** (და არა: ნეფიონი), **კაწარა** (კაწარი), **ლღვევა**, **მეზღვნე** || **მემღვნე**, **მეთვეური**, **მორჩი**, **ნეფიონი**, **საღილე**, **საკოდე**, **ფერება**, **ჯალაფნი**...

ბანდი პოლისემანტიკური ლექსიკური დიალექტიზმია. აღნუსხულია მისი ქართლ., მთიულ., ზ. იმერ. და გურ. მნიშვნელობანი. ფშაურში **ბანდი**, **ბანდები** ძარღვებს ნიშნავს; ასევე აღნიშნავს ისეთ ადამიანს, **საქმეს რომ ვერ ახანებს**, საქმეს რომ აბრკოლებს. **დაბანდება** საქმის გაჭიანურება. „აბანდებსო“, – იტყვიან ამ დროს. **ბანდი** ამავე დროს ქალამნის ამოსახმელი, ანუ „ამოსახლართი“ წვრილად დაჭრილი თასმებია, ანუ **კოპები**, იგივე **საბანდი**.

ბიჭია მოხეურში პატარა ბიჭია მოფერებით (19), ფშაურში კი, ჩვეულებრივ, ვაჟია ან ვაჟიშვილი.

გაგდება 1. იძულებით (გარეთ) გაყვანა, – გაძევება, განდევნა (შიგნიდან გარეთ). || გაძევება, დათხოვნა, გარიცხვა; 2. გასროლა (თოფისა და სხვ.). 3. ხელის გაშვება, დაგდება. ამ სიტყვის მრავალფეროვნების გამოვლენას კიდევ უფრო უწყობს ხელს რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინება. ფშაურში **გაგდება** აღნიშნავს: 1. გაჩენას, დაბადებას, შობას; 2. გაყრას, შერჭობას.

#284#

გადამლიავება მთიულურში რაიმეს გაფლანგვას ან დაკარგვას ნიშნავს. ფშაურში მას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, **გადამლიავდაო**, იტყვიან, ღობეს ან რაიმე დაბრკოლებას რომ გადაევლება კაცი. **მლივი** საბას მიხედვით. გაღეულს ნიშნავს.

გადაფარებული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (ქეგლ-ის) მიხედვით, ზევიდან გაშლით დაფარებული, გადაფენილი, გადახურულია. ამავე დროს ეს ლექსიკური ერთეული იმასაც აღნიშნავს, რასაც ან ვისაც გადააფარეს, – გადახურული. საინტერესოა ამ სიტყვის ფაკულტატური მნიშვნელობა, რაც ფშაურ დიალექტში დასტურდება:

გადაფარებული გადავლის, გადალახვის შემდეგ რაიმესადმი მოფარებულია.

გადაფრენა ფრენა-ფრენით გადაადგილება – გადასვლაა. ფშაურში ამ ერთეულს დამატებითი მნიშვნელობაც აქვს. **გადაფრენა** გადახტომას აღნიშნავს, რაიმე დაბრკოლებას რომ გადაევლება კაცი და გადალახავს, მაშინ იტყვიან, **გადაფრინდაო**.

გადაწყვეტა. ამ ლექსიკურ ერთეულს ფშაურში განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: კაცი რომ გადაბმით ახველებს, იტყვიან: **გადაწყვეტა ხველამაო**, გადაცივდაო. სინონიმური მონაცვლე ვარიანტების სახით საინტერესოა **გადაწყვეტილი** – ავადმყოფობისაგან დაუძლურებული ადამიანი, იგივე **მოღებული**.

გაზიდვა ზოგადად სახელია **გაზიდავს** ზმნის მოქმედებისა. **საქმის გაზიდვა** ფშაურში ჩხირკედელაობას, მუდმივ საქმიანობას ნიშნავს. **გაზიდება, ზიდილი** კი გაწევაა, დაკავებულის მცდელობაა გაშვებისათვის. იმავე ძირისეული სიტყვაა **გაზიდულობა** – ფშაური მნიშვნელობით, საქმიანობით დატვირთვა, ფუსფუსი, გაწამაწიაა. ეს სიტყვა პოლისემანტიკურია და წეწვა-გლეჯას, გაწევ-გამოწევასაც აღნიშნავს: „იყო დიდი **გაზიდულობა**, თვალების ტრეხა“ (ს. გოგოლაურთა).

გამოგნება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კვალიფიცირებულია, როგორც სახელი „გამოგნებს“ ზმნის მოქმედებისა, – გზის გამოკვლევაა. ფშაურში **გამოგნება** გონზე მოსვლაა, გამორკვევაა.

გამოზ(რ)და გაწვრთნა, გაწაფვაა. ეს სიტყვა ფშაურში რამდენადმე აბსტრაგირებულია, მნიშვნელობა აქვს გაფართოებული და მისი თანდებულებიანი მიცემითის ფორმა დროის გარემოების გამომხატველია: „ჩემ გამოზრდაში კარგადიადა ყოფილან“ (ს. გოგოლაურთა); „მაგიდ გამოზრდაში იცოდინან ესეები“ (ს. აჯადი).

#285#

გაკრული სალიტერატურო ქართულში დადასტურებული მნიშვნელობის გარდა მთიულურში გიჟს ნიშნავს. ცნობილია მისი ფშაური სემანტიკაც, თუმცა არასრულად. გარდა იმისა, რომ ფშაურში იგი გატყორცნილს, გასროლილს აღნიშნავს, რაც სპეციალურ ლიტერატურაში აღნუსხულია, ამავე დროს **გაკრულა** ჭკუათხელი, ჭკუანაკლები ადამიანია. „უჭკოდ მოარულ ძროხისადაც ვიცით ეგ სახელადა, გაკრულია“ (ს. ცაბაურთა).

გამომავალი, ქეგლ-ის მიხედვით, შიგნიდან გარეთ მომავალი || გამომდინარეა. ფასეულია ამ ლექსემის რეგიონული მნიშვნელობა, რაც ფშაურში დასტურდება. **გამომავალი** ფშაურში ღირსეული, იმედის მომცემი, ყოჩაღი და მარჯვე ადამიანი, ბავშვია. **კელგამამავილი** ის არის, ვისაც ხელის გამოღება, მარჯვე შრომა შეუძლია.

გამოსეული ვნ. გვარის მიმღეობაა წარსული დროისა და ნიშნავს, ვინც ან რაც გამოუსიეს ან გამოესია, გამოსული და მისეული, ვინც ხშირად შემოესევა ხოლმე. აღნიშნული ლექსიკური ერთეულის უფრო ნათელი სემანტიკური გააზრების საშუალებას გვამღვეს საილუსტრაციოდ დართული მასალა თვით ვაჟა-ფშაველას თხზულებიდან: „იცი კი, რომელია ჩვენთვის უფრო **გამოსეული** და უფრო საშიში მტერი და ან რა ჰქვია?“ ცხადია, **გამოსეული** აქ, ისევე როგორც ბაჩანას შემოქმედებაში და ფშაურში საერთოდ, გადაკიდებულს ნიშნავს: „გამოსეული მყავ ქოჩათ პავლეს მონაგრობა“ (ს. თხილიანა).

გაღება განმარტებით ლექსიკონში ორი სემანტიკური ბუდით არის წარმოდგენილი. **გაღება¹** – 1. დახურულის, დაკეტილის გახსნა; 2. გადატ.: გახსნა, გამართვა, მოწყობა (სახელოსნოსი და მისთ.); **გაღება²** – გადახდა, მიცემა, გაცემა; **გემოს გაღება** – ძვ. გემოს გაგება, გასინჯვაა. ფშაურში გვაქვს ასევე **გზის გაღება**, რაც სწრაფად წასვლას, გზის გაგნებას, გზის პოვნას ნიშნავს.

გაჩოფურავება ფშაურში გახდომას, დაპატარავებას ნიშნავს. განმარტებით ლექსიკონში კი ამ სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრისას არ არის გათვალისწინებული რეგიონული მონაცემი და აღნუსხულია მისი ზოგადი, საერთოენობრივი მნიშვნელობა: **გაჩოფურავდება – ჩოფურა**, ნაყვავილარი გახდება. ნაყვავილარი სახე, ანუ გაჩოფურავებული, ფშაურად **ყვავილის მოჭკრეთილია**.

#286#

გახიდვა სალიტერატურო ქართულის მიხედვით რაიმეს გარდიგარდმო გადებაა; ამავე მნიშვნელობით არის ფიქსირებული განმარტებით ლექსიკონში. სემანტიკური მრავალფეროვნება ამ სიტყვისა ფშაურ დიალექტს შემოუნახავს. აღნიშნული მნიშვნელობის გარდა **გახიდვა** ფშაურში გაჯიუტებას, თავისი ნათქვამის არგადათქმას ნიშნავს. ამავე გაგებით გვხვდება ეს სიტყვა რაზიკაშილების შემოქმედებაშიც.

გვირგვინის მოხდა; საკოდე || საკოდის გამოტანა || საკოდის დადგმა. წასვლის დროს, მაყრების გაცილებისას, „გამაიტანენ კოდსა, ჩაასხმენ ღვინოსა ან ლუდსა, ჩაჰყრიან ერბოსა, დაადგმენ გამოსავალ კარებში და ყველა შესვამს **მუხის წვერანგელოზისა და ლაშარის ჯვრის პიროფლიანი სადიდებულს** (ს. ჯოშარა). ამას **საკოდე || საკოდის გამოტანა || საკოდის დადგმა** ეწოდება. შუადღისას ნეფიონი ნეფე-დედოფალს ადღეგრძელებს და იწყება **გვირგვინის მოხდა**. მეჯვარეს მარჯვენა ხელში ხმალი უჭირავს, მარცხენაში – ხანჯალი და მათი წვერით გვირგვინს ჯერ ნეფეს მოხდის, შემდეგ – დედოფალს. ამ დროს ქალის მაყრებმა თუ ნეფე დაიჭირეს, მან მაყრებს ერთი ხელადა სასმელი უნდა მოუტანოს და თავი დაიხსნას.

გულჩავარდნილი იგივეა, ვისაც (ან რასაც) გულმკერდი აქვს ჩავარდნილი, ჩაწეული, შეზნექილი (ქეგლ), ფშაურ დიალექტს შემონახული აქვს ამ სიტყვის დამატებითი, განსხვავებული მნიშვნელობა: გულჩათხრობილი, დაღონებული: „**გულჩავარდნილი** რასამ ვიყავ“ (ს. აჯადი). იმავე მნიშვნელობით გვხვდება ეს ლექსემა ბაჩანას პოეზიაშიც: „მემრე აღარც – ვის უნახავს ნანება... გაცინებული. იყო სულ **გულჩავარდნილი**, მუხლებში გაცივებული“ (1, 16).

დაბრუნვილი ვნებითი გვარის მიმღებობაა ნამყო დროისა. ქეგლ-ის მიხედვით, ფშაურია და იგივეა, რაც დაბრუნებული. ასევეა ბაჩანასთან: (სადირი) „დაბრუნვილ ბიჭებს ეტყოდა სიტყვასა აღერსიანსა“ (1, 19). ამ მნიშვნელობის გარდა **დაბრუნვილი** ფშაურში ეპითეტია უმწეო, ძლიერ ხანდაზმული ასაკოვანი ადამიანისა, სიბერისაკენ, უძლურებისაკენ რომ დაბრუნდება, როგორც ბავშვობაში.

დადვენა განმარტებით ლექსიკონში კვალიფიცირებულია, როგორც დევნით გაყოლება (დასაწევად), უკან გაყოლა, გა(მო)კიდება, გამოდგომა. ფშაურში იგი ჩნევა-ს, ქონება-ს ნიშნავს: „ჯანით და ღონით სავსე ხარ, **დაგდევე** ვაჟკაცის იერი“ (1, 24); „**დაგდევე** მგლის ფერი, ბუთლაო“ (ს. კანატია).

დაძალვა დამღევა, მორევა, ჯობნაა. ფშაურად ენერგიის ჭარბად გაღების გამო შრომის უნარის დაკარგვა, დასუსტება, დაუძლურებაა. ადამიანთან ერთად შეიძლება **დაიძალოს** ხარი, კამეჩი, ცხენი, ზაქი, კურატი და ა. შ.

ეჯიბი (არაბ.: **ჰაჯიბ** „მეფის მეკარე“, „კარისკაცი“). 1. ისტ. ერთ-ერთი დიდ მოხელეთაგანი ქართველი მეფის (დიდებულის) სასახლეში, – მეკარე, „მეფისადმი

მთხოვნელთა სურვილის მომხსენებელი“ (ივ. ჯავახიშვილი). 2. ძვ. ეთნ. ქორწილში მეფის (ნეფის) პირველი, თავი მაყარი, – მეჯვარე (მეფეს სულ თან ახლავს, მისი სურვილის ამსრულებელია). ამრიგად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ეჯიბი** და **მეჯვარე** მნიშვნელობის მიხედვით გაიგივებულ, სინონიმურად მონაცვლე ლექსებებად არის მიჩნეული.

ეჯიბი რაზიკაშვილების შემოქმედებით მემკვიდრეობაში დასტურდება და დღესაც აქტიური ლექსიკური ერთეულია ფშაურ დიალექტურ გარემოში. უკანა ფშავის საკრებულოში შემავალ სოფლებში: აჯადში, ელიაგზაში, ჯოშარაში, გოგოლაურთაში, შუაფხოსა და თხილიანაში მოპოვებულ და მადაროსკარის საკრებულოს სოფლებში შემოწმებულ ნათესაობისა და ადამიანის თვისებების აღმნიშვნელი დარგობრივი ლექსიკის ნიმუშებში დღესაც თვალნათლივ ჩანს ეჯიბისა და მეჯვარის შინაარსის გაგების განმასხვავებელი ელემენტები: „ქორწილში ნეფეს მიჰყვება ბიძაშვილი ან ბიძა, ან დედიძეშვილი – **ეჯიბი**, **ეჯიბ-მეჯვარენი**“. ეჯიბი უფრო ნეფეს აქცევდა ყურადღებას „**დედუფალს** გააჰყვებოდა ძმის ცოლი ან ბიძაშვილის ცოლი – **მდადი**, ვინმე რძალი, ყისმათიან ქალი. ისითას აარჩევენ, რო მითამ იმის ყისმათზე იქნება ქალიცაო; და **ქალის ძმა** – დეიდაშვილი ან ბიძაშვილი, ახლო ნათესავი“. **ქალის ძმა** ქორწილის დროს პატარძალს პატრონობს, მის ინტერესებს იცავს. „ქალის მაყრებ რო არავის დეეჩაგრა, იმათთვინ ყურის მიმგდებელ **ქალის ძმა** იყო. **ქალის ძმად** დედუფლის ნათესავ უნდა ყოფილიყო, ახალგაზრდაი. ნეფე აირჩევდა თავის ძმაკაცს ნათესავადა, **მეჯვარედა**. ის გააკეთებდა პატარა ხის ჯვარსა და გამაუძღვებოდა ნეფე-დედოფალსა. მემრე ბალღს (ძირითადად ვაჟიშვილს, – გ.გ.) ანათლვინებდენ მეჯვარესა“.

#288#

„**ეჯიბი**, **მეჯვარე** და **ქალის ძმა** ყველაზე მეტსა ხარჯავდენ“.

ამრიგად, დამოწმებული რეგიონული მასალით ირკვევა, რომ **ეჯიბი** და **მეჯვარე** ფაქტიურად სხვადასხვა ადამიანები და საქორწილო რიტუალის დროს ფუნქციური თვალსაზრისითაც განსხვავებული პირები არიან. ამასთან, **მეჯვარეს** ნეფე ირჩევს თავის ძმაკაცებისა და მეგობრების წრიდან, ხოლო **ეჯიბი** ნეფის ახლო ნათესავი, მისი ბიძაშვილი, ბიძა ან დეიდაშვილია. ამასვე ადასტურებს ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ამოწერილი ტექსტობრივი მასალაც: „დედუფალს **მდადი** და მეფეს **ეჯიბი** ახლავ გვერდითა“ (1, 475, 24), „უკან მისდევდეთ ეჯიბი, გვირგვინთ ტოტების ჭერითა“ (ვაჟა, ქეგლ). და ბოლოს: „**ეჯიბთანა** ზის **მეჯვარე**, ქალის ძმა – კიდევ **მდადსთანა** (1, 145, 26).

ი. ქეშიკაშვილი მართებულად შენიშნავს, რომ ეჯიბი მეჯვარე არაა: „**ეჯიბი** მექორწინე ვაჟის ახლო ნათესავი, თავმაყარია, რომლის მოვალეობაც ის არის, რომ მაყრებსაც და საერთო ქორწილსაც ყურადღება მიაქციოს“ (20).

როგორც ვნახეთ, აღნიშნული ლექსიკური ერთეული ამ გაგებით ნათესაობის აღმნიშვნელ ფშაურ დარგობრივ ლექსიკაში ამჟამადაც დასტურდება არაგვის ხეობის რეგიონში. ცხადია, ამ შემთხვევაში სწორედ რეგიონული მონაცემების გაუთვალისწინებლობის შედეგი უნდა იყოს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამ სიტყვის სემანტიკური გაბუნდოვნება.

თავწყალი: თავწყალს გაადენს – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით – გააწყობს, მოახერხებს, გახდება რასმე; **თავწყალს გაართმევს** იგივეა, რაც თავწყალს გაადენს: „დაწყებულნი გრძნობებსა ველარ ვართმევდი თავწყალსა (1, 101, 5). დამოწმებული ტექსტობრივი მასალით ჩვენთვის საინტერესო ლექსიკური ერთეული განმარტებით ლექსიკონში კვალიფიცირებული მნიშვნელობით ვერ გაიაზრება, მოცემული წინადადება აზრობრივად გაუმართავი გამოდის. მართებული წაკითხვა გვექნება, თუ თავწყალს მივიჩნევთ თავგზად, რაც სოციალური ურთიერთობისა და ადამიანის თვისებების აღმნიშვნელი ფშაური ლექსიკის მიხედვით დასტურდება და ჩანს, ამავე გაგებით აქვს გამოყენებული ბაჩანასაც. შდრ.: „თავგზიან კაცებ ვინც იყვნენ და თავწყალი ჰქონდათ, იმას აირჩევდნენ ვაჟის დედამამანი (მაცრადა)“.

#289#

ინჩი განმარტებით ლექსიკონში არის კვალიფიცირებული: **ინჩი** (სომხ. ინჩ) ძვ. საუბრ.: რამე, ამავე დროს ფშაური ლექსიკის აქტიურ ფონდში შემავალი ლექსიკური ერთეულიცაა, ვარიანტული სახით დადასტურებული: **ინჩი** || **ენჩი** და გვხვდება ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა თხზულებებშიც. საქმე ის არის, რომ აღნიშნული ლექსიკური ერთეული რაზიკაშვილების თხზულებებში, ისევე როგორც ფშაურში საერთოდ, განსხვავებული სემანტიკური ელფერის მქონეა და, ამდენად, სხვა მნიშვნელობის გამომხატველია: გაგების უნარს, შეგნებას ნიშნავს, რასაც ადასტურებს თვით განმარტებით ლექსიკონში დამოწმებული ვაჟა-ფშაველას თხზულებიდან ამოწერილი საილუსტრაციო მასალა: „მუცელა მდუმარებდა, არ ეწადა თავის სახელის გამომჟღავნება, და აღარც იმდენი **ინჩი** (გაგების უნარი, შეგნება, და არა – **რამე** – გ.გ.) ჰქონდა თავში, მოეგონა რამ სხვა სახელი“.

თუ აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს განმარტებითი ლექსიკონისეული კვალიფიკაციით გავიზიარებთ, მაშინ წინადადება სტილურად (და ასევე აზრობრივადაც) საკმაოდ გაუმართავი იქნება, ორი „რამე“-ს უმართებულო სიხშირით გამოყენების გამო, რაც სიტყვის ისეთ მესაიდუმლეს, როგორც ლ. რაზიკაშვილი იყო, ბუნებრივია, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. ეს რომ ასეა, ამას ბაჩანას შემოქმედებითი მემკვიდრეობაც ადასტურებს: „ვისაც რომ **ინჩიც** არა აქვს ერთურთის სამსახურისა“ (1, 219, 30). ცხადია, **ინჩი** აქ გაგების უნარს, შეგნებას აღნიშნავს, რაც მართებულად არის შენიშნული (20, 66).

აღნიშნული ლექსიკური ერთეულის ამგვარ გააზრებას მხარს უჭერს რეგიონული მონაცემები. უფრო მეტიც, ფშაურში **ინჩი** || **ენჩი** არა მარტო გაგების უნარი და შეგნებაა, არამედ კაცს რომ თავი აღარა აქვს, იმასაც ნიშნავს. ჩანს, აქ სიტყვის მნიშვნელობის ერთგვარ გაფართოებასთან უნდა გვექონდეს საქმე, რასაც ადასტურებს ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემები. მაგალითად, **ენჩი** ფშაურში საერთოდ გაუგებარ ადამიანს ეწოდება, ხოლო **უინჩო** მოუქნელ-მოუხერხებელი და გაუგებარი კაცია (იხ. ადამიანის თვისებების ლექსიკა). შდრ. ასევე ჩვენ მიერ მოპოვებული ფშაური მასალა „მაგის **ინჩი** აღარა მაქვ“ (ს. გოგოლაურთა); „აღარ შამიძლავ, **ენჩი** არა მაქვ“ (ს. აჯადი); „ეგებ აღარ მაქსონ, ჩემ დროთას **ენჩი** აღარა აქვ“ (ს. ელიაგზა); „გოძია გადაუგონთებულადა, **ენჩ** აღარ აქვის“ (ს. ლიშო).

#290#

კაწარი დიდი ფრჩხილია ადამიანისა, და არა: ბრჭყალი, როგორც ეს ქეგლ-შია მითითებული. **ბწკილები** ფრჩხილებია, **ბწკალები** კი – ბრჭყალები. გრძელ ფრჩხილებს ფშაურად **კაწარანი**, **ემშაკის კაწარანი** ეწოდება.

მაშხალა || **ჩირაღდანი**. **მაშხალა** თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში იგივეა, რაც ჩირაღდანი, შუშხუნაა. ამავე მნიშვნელობით არის კვალიფიცირებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც. არ არის გათვალისწინებული მისი დამატებითი, ფშაურში დადასტურებული მნიშვნელობა: **მაშხალა** სადგამიანი ხის ჯვრისებური ნაკეთობაა, რომელსაც საქორწილო სუფრაზე ნეფე-დედოფლის წინ დგამენ და მასზე ჩამოკიდებული ან ასხმულია სხვადასხვა ტკბილეული. მისი სინონიმური ვარიანტია **ჩირაღდანი**, რომელიც ივრის ხეობის ფშავში დასტურდება: „ერთ-ერთი ახალგაზრდა, ბიჭის ნათესავი ქალი, რომელიც თავ-მოთავე იქნებოდა ნეფის მჭრიდანა, გააკეთებდა **მაშხალას**, იმაზე დაძკიდებდა რავი, რაღას არა, და იმას მიართომდა ნეფე-დედოფალსა“. (ს. გოგოლაურთა, ს. მუქო).

მეძღვნე || **მეზღვნე** სპეციალურ ლიტერატურაში მოცემული განმარტების მიხედვით, ძღვენის მიმრთმევი (ქეგლ), ის პირია, ვინც აჩუქა, გადაულოცა რამე ქორწილის დროს (20, 72). ამდენად, **მეძღვნე** თავისი მნიშვნელობით **მონაწევებთან** არის გაიგივებული, რაც არამართებულია. ამას ადასტურებს ნათესაობის აღმნიშვნელი ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემები. ქორწილის დროს იმართება **სანაწეო**. **სანაწეო** ქორწილში მირთმეული საჩუქარია, ხოლო **მონაწევე** ის არის, ვინც საჩუქარს აძლევს ქორწილში ნეფე-დედოფალს.

მეძღვნე || **მეზღვნე** კი საქორწილო რიტუალის დროს მონაწევებსაგან რამდენადმე განსხვავებული ფუნქციური დანიშნულებისაა: **ზღვენი მაიტანაო**, იტყვიან იმაზე, ვინც ქორწილის დროს სანაწეოსთან ერთად მიიტანს ახლადდაღებული ნათესავის მოსაგონრად ხორცის ქადა-კეცეულსა და თხილ-კაკალ-ხილეულს სასმელითურთ. ასეთი პირი **მეძღვნე**, **მეზღვნეა**.

მიგლა თავისა. დადასტურებულია ამ ლექსემის ქიზიყური მნიშვნელობა (20, 362). იმავე მნიშვნელობით გვხვდება ფშაურში: რაზედმე თავის მირტყმა, მიხლევინებაა. აქვს გადატანითი მნიშვნელობაც და საქმეზე თავის შეკვდომას ნიშნავს.

#291#

მიდგომა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით იქით ან გვერდზე დადგომა, მიწევია; იქით, რამესთან ახლოს დადგომაა. ფშაურში ამ ლექსიკურ ერთეულს დამატებითი მნიშვნელობაც აქვს: **მიდგომა** საქმიანობის დაწყება, საქმის შედგომაა: „საციქველთ უნდა მივუდგე“ (ს. გოგოლაურთა). ამავე მნიშვნელობით გვხვდება ბაჩანასთანაც: „ძროხას რომ გავშლი განეე, ქობ-საქმეს უნდა მივუდგე“ (1, 500, 7). ფშაველი არ იტყვის საქმეს უნდა შევუდგეო, ვინაიდან პრიორიტეტულობას ანიჭებს ზმნისწინის მიერ მიმართულების გამოხატვის ფუნქციას.

მიჩენა სახელია მიუჩენს ზმნის მოქმედებისა (ქეგლ). ფშაურში განსხვავებული გაგება აქვს: **მიჩენა** ფშაურად მისვლა, გამოცხადებაა. ამავე მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა ბაჩანას შემოქმედებით მემკვიდრეობაშიც: „და თავის ნანდაურ ქალსა მალ-მალ მიუჩნდა სახლშია“ (1, 420, 4). ჩამოჩნდაო, იტყვიან, ზემოდან რომ რამე გამოჩნდება,

მორჩი (ლექს., აჭარ.) მეორადი თიბვაა (22, 231-259), მეორედ მონათიბავია (23, 223-334); ფშაურში ეს ლექსიკური ერთეული დანატოვარს, შთამომავალს ნიშნავს.

ნეფიონი; ვაჟის მაყარნი. ნეფე-დედუფალი ნეფე-დედოფალია. ნეფე-დედოფალი მაყრებითურთ **ნეფიონია**. „ნეფის დედ-მამანი გააგზავნიდენ ნეფიონის წინა კაცებს, სასმელ-საჭმელ მოჰქონდა „ზაპასი“, ქალის მზითვსაც ის კაცებ გაიყოლებდენ და ამას ექვივნა **ვაჟის მაყარნი**“. სიტყვა-პასუხიანი, სანდო და ყოჩალი, ე. ი. „**თავგზიან კაცებ** ვინც იყვნენ და თავწყალი ჰქონდათ, იმას აირჩევდენ ვაჟის დედ-მამანი“. **ნეფიონი** არ არის იგივე **ვაჟის მაყარნი**.

სამუკლე ჩაღმა თუშურში შარვალია, ფშაურში კი სასმელია, რომელსაც ცეკვის შემდეგ ასმევენ მოცეკვავეს.

სახსენებელი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მიხედვით: 1. ვინც ან რაც უნდა ახსენონ, მოსახსენებელი, მოსაგონებელია; 2. სახელი; ხსოვნა, მოგონებაა. ფშაურში ამ სიტყვას დამატებითი სემანტიკური ელფერი აქვს: შთამომავლობას, ჯიშს აღნიშნავს და ამ გაგებით აქვს გამოყენებული ბაჩანასაც: „და დალოცვილ ღმერთს მითომა კიდეც არ გაუხარდება, თუ მაგათ **სახსენებელი** ერთიან ამოვარდება“ (1, 235, 1).

#292#

სვილისფერი || **სვილისფერა** პირდაპირი გაგების გარდა, რაც მკრთალს, შავგვრემანს ნიშნავს, ფშავში ვაჟკაცის გულადობის, ვაჟკაცობის დამადასტურებელი ეპითეტია, მამაცი გმირის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. ეს ლექსემა ამ მნიშვნელობით აქვთ გამოყენებული ამ კუთხიდან გამოსულ მწერლებს: ბაჩანას, თედო და ლუკა რაზიკაშვილებს (23, 246; 21, 87).

ფერება ჩვეულებრივ აღერსს, მოფერებას აღნიშნავს და აგრეთვე „შეფერის“ ზმნის სახელადი ფორმაა ქართულში (ქეგლ). ამას გარდა **ფერება** || **დაფერება** ფშაურში დამსგავსებას აღნიშნავს: „ემაგის ფერაია ჩემ ჩობარკანაიცა“ (ს. ვერხველი) და სხვ.

III ფორმითა და მიმართ განსხვავებული ლექსემები გულისხმობს სოციალურ ურთიერთობათა და ადამიანის ხასიათ-თვისებათა აღმნიშვნელ, სიტყვათა და იდიომურ გამოთქმათა აღუნუსხავ ნაწილს, რაც კუთხური ლექსიკის მდიდარ ფონდს შეადგენს და განუზომელი მნიშვნელობა აქვს კილო-თქმათა მდიდარი ენობრივი საგანძურისა და ენის ისტორიის შესწავლისათვის. ესენია: **აკავნის თავი, აკავანთ გადასაკრავი** || **გადასაკრავთ წკეპლაი, აკავნის გვერდის ფიცრები, აკავნის ლახტი, აკავნის ყელი, აკავნის ჯელი, არე-არედ მავალი, აშოშოფინავებული, აჩიჩქავება** || **აჩიჩქავება, ბატარძლის ყიდება, ბაჯიჯგანა, ბიჭის მეპატრონე, ბლექა** || **უწყლო ყაურმის ჭამა, ბჟღლითვა, ბუჯ-ბუჯი, გაბუჩებული, გადაწინტვა, გადაწყვეტილი, გამამავალი, გამომალღვა, გაწარამარავებული, გახაციცება, გახმეხილი** || **ჩარჩეული, გონ-გამადი, გორნიგობა, გულდანდობილი, გულით უღონო, დაბრუნვილი, დაბღარული, დაკუსკურება, დამდვრიალება, დამოკეთეება, დაჭმეხილი, დაჯამლული, დაკეშვილი, დედუღნი** || **დედიძმანი, დედის ზედანაჯლეჩი, დღეჟამლეულოზობა, ეშმაკის კაწარნი, ეჯიბი, ეჯიბ-მეჯვარენი, ზღვენის მიტანა, თავგამოშვებული, თავისა, თავისობა, თავმუცელჩამოცმული, თვალის დაყენება, თვალის გამოძგვლენა, მამეულნი** || **მოგვარენი** || **მამიძმანი, მამის ზედანაჯლეჩი, მაშხლის გაცვარცვა, მეზღენე** || **მემღენე, მეთვეური, მზითავი,**

მკლავის ზღვენი, მოკრინტვა, მოსაკითხი, მოღებული, მოშიში, მოჭარბევა, მოხორხორება, მტრუჩკება, მძოვარა, მწყრომელა, ნაბიცურაი, ნაწლევი გახირება, ნეფის და || თავმოთავე, #293#

ნეფის ჯარი, ნეფის ჯარზედ დასხდომა, პირში მოთქომი, პირში მდგომელა, ჟღირტლა (წუწის დენა), როტვა, საკიდლის საჯსარი, საკოდე || კოდის გამოტანა || საკოდის დადგმა, სანაწყევო საქმე, სამარჯეკლო, სამაყრო ქათამი, სამზნელე, სამსჭვალავის კვრა, სანეფე, საროტელა, საუბრის გაფიავება, სადილე, სადილეს გატაცება, საცნობლად წასვლა, საქმარშვილოდ მოყრილი, სახლის პატივი, სახლის ნიშანი, სიცილის ქადის გასქდომა, ტმუკვა, უდბადი, უკეთებელი, უპირკარო, უსაჯური, უცოდარი, უკელთური, ქალის მაყრების ქორწილი, ქალის მეპატრონე, ქალის ძმა, ქვახარშია, ქრისტეს თიხისი, ქურულაობა, ღალით გაზდილი, ღვედის ხევა, ღვთის პირის მკაწრავი, ღოდო-ნოშო, ღონწიალობა || ღონდიალობა, შაბაშობა, ჩონდო, ცალგულა-ცალაკანაი, ცოდვის კითხვაი, ცხვირმუკლდადებული, ჩაწენეშილი, წავალ-წავალა, წლოწინი, წლოწინის ქორწილი, ჭაჭან-ღივდაურჩომელი, ხამუხი, ხიბალკუდიანი, ჯაჩი-ჩოჩია, ჯელის დადება, ჯელის მოყრა, ჯმასახელგატეხილი, ჯალაფნი (1) || ჯალაფობა, ჯალაფანი (2), ჯალალაი, ჯიმჯიმი, ჯუმჯუმი...

§ 2 (17). შთამომავლობა, ნათესაობა და ქორწილი.

მონაგარი შრომითი ნაშოვნი და შექმნილია, შვილზე და შთამომავალზე იტყვიან. მონაგარი, მონაგრობა (შდრ. საბა: მონაგარი – გარჯილობით ნაშოვნი) შთამომავლობაა. შთამომავლობაა აგრეთვე მოსადევარი || წილბოლო, წილობა. მოსადევარი პოლისემანტიკური ერთეულია და, თუშურის მსგავსად, ყველაფერ იმასაც აღნიშნავს, რაც ცხენის შეკაზმვას სჭირდება. ვისაც შთამომავლობა არა ჰყავს და უძეოა, ის წილბოლოდალეული, უწილო, წილბედდალეულია. სარჩო-საყოლი ცხოვრებ-ქონება და შთამომავლობაა. ნაშიერს საერთოდ მორჩი ეწოდება, მორჩი, საბას მიხედვით, ნორჩი, ახალმოზარდია (16). ბედბოლო ბედისაგან ნარგები, ერთადერთი შვილის აღმნიშვნელი ეპითეტია. ნათესავს და ნათესაობას ზოგადად თავისა, თავისობა ჰქვია. ნათქვამია: თავი ვინ მოგჭრა და – თავისამაო! – კიდევ იმიტომ მოუჭრია ეგრე ძირშითაო“. გარმიანელი უცხო, გარეშე, შორეული, არაღვიძლი, #294#

გადამთიელია. ცხრაუცხო – მთლად უცხო, ცხრამთას იქითელია. ანდი ნამდვილია. მოწილე ის არის, ვისაც საერთო ქონებიდან წილი ეკუთვნის. მისამპირი ზოგადად თავისიანი, მახლობელია. საყოლი თვისტომი, ახლობელია.

ნათესავები მამის მხრივ მამეულნია. ბიჭი (ვაჟიშვილი) მამის მხრივ ნათესავებზე იტყვის: ჩემ მოგვარები, ჩემ ბიძაშვილები არიანო. გოგოსათვის (ქალიშვილისათვის) მამის ნათესავები მამიმძანი || მამისძმანი არიან. დედის ნათესავები ბიჭისა და გოგოსთვისაც დედიძმანი არიან ან დედულნი თქვიან“ (ს. ქალილო). შორეულ ნათესავებზე, ნათესავის ნათესავზე იტყვიან; ნაშალაის ძაფით მობმულიაო (ს. არტანი). მამისცოლი დედინაცვალია, გერ-მამის-ცოლნი კი გერი და დედინაცვალია (მამი სახლი > მამიდსახლი >) მამისახლი

გათხოვილი ქალისათვის მშობლების სახლობა, სამშობლოა. **სკამ-კერა** ოჯახის ფუძეა. **კარგაფარჩებული** უკაცო, მტრისაგან დაუცველი, გავერანებული ოჯახია. **კარის გამოჯრა** (გადატ.) ოჯახის ამოწყვეტაა. **გამომჯრელი** ოჯახის ამომგდები, დამღუპველი ადამიანია.

ბებო ბებიაა, **პაპა** – ბაბუა. **ბიჭაი** ვაჟია ან ვაჟიშვილი. ქალიშვილს, გასათხოვარ მანდილოსანს **ქალი, ქალა, ქალაი** ეწოდება. ქალიშვილზე მამა იტყვის: **მამაის ქალი, ჩემ ქალიო**. ასევე დედაც იტყვის: **დიდაის ქალი, ჩემ ქალიო**. საერთოდ, **მამის ქალი || მამაის ქალი** მამისათვის საყვარელი ქალიშვილი, დედისერთაა, **ქალობა** ქალიშვილობაა. „ჩემ ქალობაშიო“, იტყვიან ქალიშვილობის დროზე, ხანაზე. **ქალბნელი** საალერსო მიმართვაა ახალგაზრდა ქალისადმი. **ქალილამ** ასევე მიმართვაა ქალისადმი და ნიშნავს – „შენს ქალობას ვფიცავ“ (1, 128). **ქუდოსანი** მამაკაცის ეპითეტია.

მამის ძმა **ბიძაა**, დედის ძმა – **დედიძმა**. დედის დას **დედიდა, დედიდაი** ეწოდება: „დედიდა ჰყავის კუჭკუჭაშია“ (ს. შუაფხო). **დისწული** დიშვილია, **ძმისწული** – ძმისშვილი (ქალიშვილი და ვაჟიშვილიც).

ჯალაფნი, ჯალაფობა ოჯახის წევრებია. კაცი ცოლზედაც იტყვის: **ჩემ ჯალაფიო. მთელ ჯალაფობიანად** წამოხვიდიო, ეტყვიან ქმარს მთელი ოჯახის შემადგენლობაზე. ძმათ განაყრებსაც **ჯალაფთ** უწოდებენ: „**ჯალაფთ** შაუყრავ ღორები ჩვენ საღორეშია“ (ს. ლიშო). ამრიგად, **ჯალაფი** ტრადიციული „დიდი ოჯახის“ გაგებით დასტურდება ფშავში. ოჯახის თითოეული წევრი აგრეთვე **მჭამელად** ან **შესანახად** იხსენიება ოჯახის უფროსის მიერ. **ქულფათი** ოჯახში მცირეწლოვანი ბავშვების სიმრავლე, **ჯალაბობაა**“ (20, 94).

#295#

ბიძაშვილები ძმათა შვილებია. **დედიდაშვილი** ანუ **შინში** დედის დის შვილია: „ღურბელაშვილი იოსები დედიდაშვილია ჩემი, **შინშები** ვართ ჩვენა“ (ს. გომეწარი). მამიდაშვილს შინშს არ უწოდებენ. თუმცა, ბაჩანას განმარტებით, შინშობა „ბიძაშვილობაა დედით და მამით“ (1, 529). **დედიძიშვილები** დედის ძმის შვილებია. ერთი ოჯახიდან გასულ ძმას ან ბიძაშვილს **განაყარი** ჰქვია.

„ძმისწულის ცოლ რო იყოს, არ იტყვის ოჯახის უფროსის სახელს“. იგი მას უფროსი ვაჟიშვილის სახელით მოიხსენიებს: „ამირანის მამაო“. თუ უფროსი შვილის ცოლია, მაშინ მეორე, **მოყოლება** ბიჭის სახელით მოიხსენიებს“ (ს. თხილიანა). **მოყოლება** ყოველი შემდგომი, ასაკით უმცროსი ვაჟიშვილია.

რძალი დედამთილს სხვა ვაჟის, ე. ი. მაზლის, და თუ მაზლი არა ჰყავს, მულის სახელით იხსენიებს: „პეტრეს დედაო“ ან „მარიამის დედაო“ (თუ მულს მარიამი ჰქვია).

ხშირად არც ცოლ-ქმარი მიმართავს სახელით ერთმანეთს (განსაკუთრებით არაგვის ხეობის ფშავში). ცოლი ქმარზე ამბობს: **ჩემ კაცი, ჩემ ხაზინი**; ქმარი ცოლზე იტყვის: **ჩემ დედაკაცი**.

ქმარეულნი || ქმრეულნი ქმრის ნათესავეებია, ხოლო **ქმარ-ყოფა** ქმარშვილობა, ქმრის ხელში ყოფნაა. „ვერა ჯდინობენ ერთურთსაო“, – იტყვიან, როცა ნათესავეებს ვერ ეგუებიან. **მოჯდენა** შეგუებაა.

ცოლ-ქმარი, როცა ერთმანეთს ვერ ეთვისებოდა, ამას ერთი ან მეორე მხრისაგან **დაწუნება** მოჰყვებოდა. დაწუნების დროს ქმარი ცოლს ხუთ ძროხას – **სამწუნობროს** აძლევდა.

ხოლო დალატის დროს **დაასახიჩრებდა** – ფიზიკურ სილამაზეს დაუკარგავდა და სახლიდან გააგდებდა. თუ გაქცეულ ცოლს ქმარი დააბრუნებდა და ქალი კვლავ გაიქცეოდა. მაშინ ქმარი მას **ასახიჩრებდა** და ისე უშვებდა. ამას **გახეიბრება** ეწოდებოდა. თუ ქალი ქმარს წუნობდა და ხატისადმი მორჩილების მომიზეზებით მასთან წოლას ერიდებოდა, მაშინ ქმარი მას ნებას რთავდა სახლიდან წასულიყო, მაგრამ ქალს არ შეეძლო სხვა ქმარს გაჰყოლოდა, რასაც **კვეთილში ჩასმა** ეწოდებოდა. ზოგჯერ ქალმა თვითონ იცოდა **კვეთილში ჩასმა**: იგი თავის თავს ხატს სწირავდა: აღთქმას დებდა, რომ ხელს ვიღებ გათხოვებაზე და ქალწულად #296#

ვრჩებიო. ამის შემდეგ იგი ხელუხლებელი იყო, ხატის **მოწმინდარი** ხდებოდა. **სამწუნობრო** ქმრისაგან უმიზეზოდ (არა ცოლის მიზეზით) დათხოვილი ცოლისათვის მისაცემი საზღაურია, ხუთი ძროხის ღირებულება (9), ხოლო **საქვრივო** გათხოვილი ქვრივის მისვლაა საკლავითა და პურ-მარილით პირველი ქმრის ოჯახში მისი სულის მოსახსენებლად. ამ დროს ქვრივის შემრთველს ქვრივის პირველი ქმრის ოჯახის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ხუთი ძროხა.

„ქალისა და ვაჟის შვილი, ორთავ **შვილიშვილია**. ძმათა ცოლები ერთურთზე იტყვიან, ჩემ რძალიო“ (ს. თხილიანა).

მოყრა გარკვეულ ასაკამდე მისვლაა: „ბეწინა ჩემ დროთა მაიყარა“ (ს მუქო). ასაკით უფროს-უმცროსობას **წელჭარბობით** არკვევენ: „უფროს ძმა სამი წლით **მეჭარბა**“. პირველი შვილი **სიყმიშვილია**; მომდევნო, რიგით შემდეგ შვილს **მოყოლება** ჰქვია, ბოლო შვილს კი **უმცროაი** || **უნცრუაი** ეწოდება. „ქალი მყავ, იოსების **მოყოლება** არი. ისეზ ორნიე იქ არიან, – და-ძმანი“ (ს. ქალილო). შთამომავლობას შვილების სახით **შვილბოლო** ეწოდება. **კარგუნახავი** გაუთხოვარი ან დასაქორწინებელი, ცხოვრებისათვის ჯერ კიდევ მოუმზადებელი პირია.

სიყმიშვილი პირველი შვილია. **ნაშვილობი** შვილობილია, **ნადობი** – დობილი. **ნამამობი** იგივე მამობილია, აგრეთვე მეგობრულად იტყვიან ხოლმე უფროს კაცზეც; **ნადედობი** დედობილია; მეგობრობის, პატივისცემისა და სიყვარულის გამოსახატავად მიმართავს ხოლმე ასე უფროსი ასაკის ქალს ახალგაზრდა **ქალობილი** – შვილად მიღებული, ნაშვილობია.

ნათელმირონი || **მირვნის** (< მირონის) **მომღები** ნათლიაა.

ცოლისძმაზე ფშავლები მოყვარეს არ იტყვიან. **მოყვარე** ის არის, ვინც უყვართ. **მომსწვრე** მოსწრებული, მხარში ამომდგარი წამოზრდილ შვილიანი ოჯახის სხვა წევრია.

ქორწილი

ქალს რომ გათხოვების დრო მოუვა, იტყვიან: **საქმარშვილოდ მაიყარაო**. გასათხოვარი ქალი **საქმარშვილოდ** მოყრილია. კაცს რომ ვინმე მოეწონება, იტყვის: **ჰკვაში მიჯდებაო**. თუ ასეთი ქალი მისი ცოლი გახდა, ის **ნანდაური ცოლი** იქნება. **ნანდაური** სასურველი, #297#

საყვარელია. **უნდაური** არასასურველია, რომ არ უნდა: „და **უნდაურად** ის ქალი მას ცოლად წაუყვანია“ (1, 304, 19). **უნანდაურო** ის არის, ვისაც სასურველი თანატოლი, წაწალი არა ჰყავს.

უკაცუსწორფრო უკაცოდ, მიჯნურის გარეშე მყოფი ან დარჩენილი ქალია. **დამრჩალი**, **დამჩალი** დარჩენილია. **დალუჭება** დაწყვილებაა.

საფერი შესაფერისია, **უზად-კავატო** უზადო და უნაკლოა. „**საცოლე** ეხლავ იშოვნე, თავის საფერი, ფარსაგი, **უზად-კავატო** გვარ-საქცით, ოქრო-ვერცხლივით ხალასი“ (1, 509, 8).

ქალის სანახავად წასვლა **საცნობლად წასვლა**, **ქალის საცნობლად წასვლაა**. ქალიშვილი როდესაც მოეწონებათ, **მარჯეკალს** მიუგზავნიან, ან „თავის ნათესავ-მოკეთეს უგზავნიან **შასატყოდა**“ (ს. ქალილო) „წინავ ფასის ძლევაგა-ე ცოდნიათ მარჯეკლისად, **სამარჯეკლოს** მახნილან“ (ს. თხილიანა). პირველად როდესაც მივიდოდნენ ქალის სათხოვრად, ვაჟის „დედა, ან მამაც ეტანებოდა მარჯეკალს მაშინა“. **მთხოვარი**, **მთხოვრები** ქალის ხელის სათხოვნელად მისულნი არიან (**მთხოვარა** მათხოვარია). თუ **ქალის მეპატრონე** თანხმობას, ანუ **აგრეობას** იტყოდა, მაშინ **ბიჭთანები** დატოვებდნენ ფულს, **სახლის პატივს**: „აგრეობის თქმისას **სახლის პატივს დასწირავენ** ბიჭიანები“. ქალის სათხოვნელად რომ მივიდნენ და ქალმა უარი უთხრას, იტყვიან: **თავს გვამეტებსო, დაგვაჭარბაო. საუკმიახოდ შადგომა** უკადრისობა, უარის თქმაა. მჯობნზეც იტყვიან: **სჭარბობსო, დაგვაჭარბაო. უარესზე იტყვიან, ბეჩაენიო**. „სულ **უცოდარი** (= უცოდინარი) ქალს არად უნდა“ (ს. ქალილო).

სახლის პატივის დატოვების შემდეგ, როცა ვაჟისა და ქალის ოჯახები შეთანხმდებიან, ქალის ოჯახის ნათესაობის კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით ვაჟის ოჯახის წევრები 10-15 ახლობელთან ერთად საკლავითა და სასმელ-საჭმლით მიდიან სტუმრად. ამ დროს ქალის ოჯახიც პურ-მარილით ხვდება მათ, ღამეს მეზობლებთან ერთად ქეიფში ატარებენ, მეორე დილით კი ვაჟის ოჯახის ახლობლები საპატარძლოს ასაჩუქრებენ: კაცები – ფულით, ქალები კი – ქსოვილებით. ეს არის **სახლის ნიშანი**. ამ დროს სანეფოს სტუმრობა სავალდებულო არ არის.

მომავალი სასიძო **სანეფეა**. „მემრე **სანეფე** წავიდოდა ნათესავებითურთ, სუყველას შადყრიდენ, მეზობელ-ნათესავსა, მისასვლელადა, სახლის **სანახავს** მიუტანდნენ – ეხლა #298#

ლიშნობად ვიტყვით. ლიშნადაც ფულ მიჰქონდათ. ამ დროს შეთანხმებოდნენ, **შამაიპირებდნენ** ერთი ან ნახევარი წლის შემდეგ შეხვედრაზე. ამ დროს, შაბათს, ქალის მხარე კლავდა საკლავს, კვირა დილით კი – ვაჟისა. მამაკაცები საპატარძლოს ფულს აჩუქებდნენ, „**სანაწეოს** დაახარჯავდენ. ბატარძალს იმდენ წინდა-საფუჯარ უნდა-ე ჰქონიყო, რო ყველაისთვის ეჩუქა, ვინც სანაწეოს დაახარჯავდა“. ახლა ქორწილზე შეთანხმდებოდნენ. „თუ ლიშნობას არ გადაიხდიდენ“, მაშინ ქორწილში **ლიშნის** ფულს **ბიჭის მეპატრონე** და ბიჭი გადაიხდიდა. **სამბილო** დანიშნულისათვის ნიშნად მისაცემი ფართლის ნაჭერია.

ხელდადებული დანიშნული, საცოლეა. **საგძლის დაგორება** მიზნის ვერ მიღწევა, საქმის ჩაშლაა.

წინათ ფშავში მშობლების შეთანხმებით პატარა ბავშვების ხატში დანიშვნა სცოდნიათ: „ხატ იყოს თავდები, ერთურთს არ გავყაროთო“, რასაც **მუცლად დაქორწინება** ეწოდებოდა.

ურბეთი || **ურვადი** ვაჟის მიერ ცოლის თხოვისას ქალის მშობლებისათვის მიცემული გარკვეული ღირებულება, გამოსასყიდა (20, 90). **ურბეთი** სახსარი, ტყავის გამოსახსნელი სასყიდელიცაა (2, 594).

ქორწილი სამ დღეს გრძელდებოდა. პატარძალი თან „წინდათაც წამაიკომდა (წამოიღებდა) სტუმართ სანაწეოს სანაცვლოდა“.

მზითავი მზითევია. „**მზითავის** ფულს ქალს დედ-მამა აძლევს ან ლოშნის ფულითაცა-ღ ჰყიდულობს. წინავ თითონ იკეთებდა, **სათავნო** ექნებოდა. დედ-მამა კიდობანსაც აყოლებდა, რო ჩეელაგა. **შიბს** უყიდდა კიდე დედ-მამა, ქამარსა. შეიძლებდა ქმარსაც ეყიდა. დედაჩემისთვი მამასჩემს უყვიდავ **შიბი**. მზითავი მით უფრო დიდია, რაც უფრო **ქეცხაი** (მდიდარი) და მქონიარეა ქალის ოჯახი“. **ნაზადი** სამკაულია. მზითევში ატანდნენ აგრეთვე **ხურჯინებს** – **საბარგეს** და **სასაგძლეს**, სუფრას, ფარდაგებს – უბრალოს და **ხაოიანს** – ხალიჩას, რომელსაც **საგორავი** ეწოდებოდა. თუ შეძლებული ოჯახი იყო, ატანდნენ ცხვარ-ძროხას და ცხენსაც. **სათავნო** ქალის პირადი საკუთრებაა, რომელსაც ჯერ კიდევ გათხოვებამდე იძენს ან საკუთარი შრომით მოიპოვებს ანდა ნაჩუქარს გაამრავლებს. ქალი საკუთრების სრულ უფლებას გათხოვების შემდეგაც ინარჩუნებს **ნაზადი** მზითევი, სამკაულია (20).

ქორწილში ნეფეს მიჰყვება ბიძაშვილი ან ბიძა, ან დედიძეშვილი – **ეჯიბი**. **ეჯიბი**-#299#

მეჯვარენი. ეჯიბი უფრო ნეფეს აქცევდა ყურადღებას. „**დედოფალს** გააძყვებოდა ძმისცოლი ან ბიძაშვილის ცოლი – **მდადი**, ვინმე რძალი, ყისმათიან ქალი – ისითას აარჩევენ, რომ მითამ იმის ყისმათზე იქნება ქალიცაო – და **ქალის ძმა** – დედიდაშვილი ან ბიძაშვილი, ახლო ნათესავი“. ქალის ძმა საქორწილო ცერემონიალის დროს პატარძალს პატრონობს, მის ინტერესებს იცავს.

ნეფე-დედოფალი ნეფე-დედოფალია. ნეფე-დედოფალი მაყრებითურთ **ნეფიონია**. „ნეფის დედ-მამანი გააგზავნიდენ ნეფიონის წინა კაცებს, სასმელ-საჭმელ მიჰქონდა „ზაპასი“, ქალის მზითევსაც ის კაცები გაიყოლებდენ და ამას ექვივნა **ვაჟის მაყარნი**“. სიტყვაპასუხიანი, სანდო და ყოჩალი, ე. ი. „**თავგზიან კაცებ** ვინც იყვნენ და **თავწყალი** ჰქონდათ, იმას აირჩევდენ ვაჟის დედ-მამანი. ერთ-ერთი ახალგაზდა ბიჭის ნათესავი ქალი, რომელიც **თავმოთავე** იქნებოდა ნეფის მჭრიდანა, გააკეთებდა **მაშხალას** (არაგვისხ.) ჩირაღდანს (ივრისხ.), იმაზე დააძკიდებდა, რავი, რაღას არა და იმას მიაართომდა ნეფე-დედუფალსა. **თავმოთავეს** ყველაისად ყურადღება უნდა მიექცია. სხვა დიასახლისებსაც ის არიგებდა; **ნეფის დაი** ექვივნა ამასა; ან სასმელ არავის დააკლდეს, ან საჭმელიო, ან ჩხუბ არ გახდესო, – ყველას ყურადღებას აქცევდა“.

„ნეფე აირჩევდა თავის ძმაკაცს ნათესავადა, **მეჯვარედა**. ის გააკეთებდა ბატარა ხის ჯვარსა და გამაუძღვებოდა ნეფე-დედუფალსა. მემრე ბაღლს (ძირითადად ვაჟიშვილს, – გ.გ.) ანათლვინებდნენ მეჯვარესა. ქალის მაყრებ რო არავის დეეჩაგრა, იმათთვინ ყურის მიმგდებელ **ქალის ძმა** იყო. ქალის ძმად დედოფლის ნათესავ უნდა ყოფილიყო, ახალგაზდაი“. ვაჟის სახლში ნეფიონს სახლის კარებში ეგებება მორთული **ნეფის დედა**, რომელსაც ხელში თაფლ-ერბოთი და ტკბილეულებით სავსე ხონჩა უჭირავს. **ნეფის დად** ირჩევენ ნეფის ნათესავ ხანშიშესულ მანდილოსანს, რომელიც არ უნდა იყოს ქვრივი და უშვილო.

„**ეჯიბი, მეჯვარე და ქალის ძმა** ყველაზე მეტსა ხარჯავდენ“. **ეჯიბი** და მეჯვარე სხვადასხვა პირია და მათი გაიგივება, როგორც ეს განმარტებით ლექსიკონშია

წარმოდგენილი, მცდარია. (იხ: 3). **ეჯიბი**, რომელიც გამგებელი და ქორწილში წესისა და რიგის წარმმართავია, ნეფეს ახლავს და მისი ნათესავთაგანია:

„ეჯიბთანა ზის მეჯვარე,
ქალის ძმა – კიდევ მდადსთანა“ (1, 475, 26).

#300#

ჯარზედ დასმა ნეფე-დედოფლისათვის ქორწილში ადგილის მიჩენაა. **ბატარძალი** პატარძალია. „ქორწილი შაბათ საღამოს იწყება. შაბათ საღამოს ნეფე-დედოფალი **ჯარზედ** არ დაჯდება, კვირა დილით **დადსმენ ჯარზედა**. ბიჭის მჯაროზე სხედან ეჯიბ-მეჯვარენი. **ბატარძალს** უსხედან მდადი და ქალის ძმა. რო ადგებიან **ჯარზეითა**, მდადი ბატარძალს გადააჯდენს, ოთახში დააპურებს. ქალის მაყრები სახლში არიან, ვაჟებისა – გარეთ. ამ დროს აყიდებენ ბატარძალსა. ეჯიბ-მეჯვარეთ უნდა გადაიხადონ ფული“.

ვაჟის სახლში მოყვანისას, ქორწილის პირველ ღამესვე, სურთ რომ ნეფე-დედოფალი ერთად დააწვინონ, თორემ იტყვიან: **ემმაკ გაულის შუაზედაო**. მაგრამ ქალის ძმა და მდადი ცდილობენ, რომ პირველსავე ღამეს ნეფე და პატარძალი ერთად არ აღმოჩნდნენ.

ქორწილის დროს იმართება **სანაწეო** - ნეფე-დედოფლისათვის საჩუქრების გადაცემის ცერემონია. **სანაწეო** ქორწილში მირთმეული საჩუქარიცაა; ხარჯში მირთმეულ საჩუქარს **შესაწიერი** ჰქვია. **მონაწევე** ის არის, ვინც საჩუქარს აძლევს ქორწილში ნეფე-დედოფალს. მნიშვნელობის მიხედვით მისი გაიგივება **მეძღვნე**, **მეზღვნესთან** მცდარი უნდა იყოს (20, 7). **ზღვენი მაიტანაო**, იტყვიან იმაზე, ვინც ქორწილის დროს სანაწეოსთან ერთად მიიტანს ახლადდაღუპული ნათესავის მოსაგონრად ხორცის ქადა-კეცეულსა და თხილ-კაკალ-ხილეულს, სასმელითურთ. ასეთი პირი არაგვის ხეობის ფშავში **მეძღვნე**, **მეზღვნეა** და არა **მონაწევე**.

ქორწილის დროს ოჯახის უფროსი იწვევს **მყეფარს**. იგი კარგი მოლაპარაკე და ხუმარა უნდა ყოფილიყო. სანაწეოს დროს **მყეფარი** იძახის: „მავან-მავან კაცმა გაახლათ ჩემი თავიო, რო აემთვენ მამირთმევიო“. მყეფარის ხუმრობა და სიმღერით კაფიაობა ქორწილში მთავარი გასართობი იყო. მას ნეფე-დედოფლის წინ ჰქონდა მიჩენილი ადგილი. გვერდით ერთ კაცსაც დაუსვამდნენ, რომ სანაწეოს დროს საჩუქრის მიმტანის ვინაობა გაეცნო.

პირველი საჩუქარია **ნეფის დისა**. იგი მთლიანად **მაშხალას** (იხ. ქვემოთ) ულოცავს ნეფე-დედოფალს, შემდეგ ჯერი ნეფის დედაზე მიდგება. მან ოჯახიდან უნდა აჩუქოს რძალს ძვირფასი საჩუქარი (ძროხა, ცხვრები და სხვ.), რაც შემდეგ პატარძლის საკუთრება ხდება **სათავნოს** სახით. **სათავნო** გათხოვილი ქალის პირადი საკუთრებაა, გათხოვებამდე შეძენილი

#301#

ან ქორწილში **სანაწეოს** დროს საჩუქრად მიღებული (ცოლ-ქმრის გაყრის დროს ქალის სათავნო არ გაიყოფა). სანაწეოს დროს პატარძალი თავისი მხრით ყველა მონაწევეს ასაჩუქრებს **მდადეს** ხელით მირთმეული წინდა-საფუჯრით.

„ბატარძალს რომ მიიყვანენ ნეფის ოჯახში, ვაჟისას, საცა საკიდელნია ჩამობმული, საკიდელის გარშემო მიდიან **სიმურგვალას** (წრიულად) და იძახებენ **ჯვარიწინას** || **ჯვარიწინათ**²¹.

„ჯვარიწინასა, ჯვარიწინასაო, შენ, ქრისტე ღმერთოო,
დადსწერე ჯვარი ჩვენ ნეფიონთა, დადევ ბეჭედი ახალ ყოილთაო...“

ამ სიტყვებს იმეორებენ სამჯერ და მთელი მაცრიონი სიმღერით ბანს აძლევს. ამ დროს ქალის მაცრები დაკიდებულ ჯვარს ხანჯლებს ურტყამდნენ. შემდეგ ქალის მაცრები ცდილობენ, რომ როგორმე გაჭრან, ჩამოგლიჯონ გრეხილი ჯაჭვისაგან დამზადებული **საკიდელი** და იძახიან: „**ხიდქვეშ ქალის მაცრებით**“ (ს. ლიშო). საკიდლის ჩამოწყვეტას თან ახლდა მყარობა შეძახილი: „**ნეფე-დედუფალს გაუმარჯოს**“.

ვაჟისას „**ნეფე-დედუფალს** რო დასმენ და ხალხ რო მიუსხდება გარე-მურგვალადა, ნეფის ჯარს ვიტყვით²², ქორწილის დროს ქეიფის დაწყება **ნეფის ჯარზედ დასხდომია**.

ნეფიონს ქორწილში შემდეგი სიტყვებით ლოცავენ:

„**ნეფე-დედუფალს გაუმარჯოს**, ქნეს ეტლიან-ბეტლიანნი,
წულა – აკავნიანნი, ვაჟით-ვაჟიანნი,
ქალით-ვაჟიანნი, ცხრაჯერ-ვაჟიანნი, სამჯერ-ქალიანნი,
მდადო, დედუფალ გაგიხაროს!...“

ეჯიბო, შენ **ნეფეს** გაუმარჯო-ო-ო-ს!

წაღმართს გაუმარჯოს, წაღმართი წაღმედ წაღგვაროს ღმერთმა!“

წაღმართი სწორი საქმე, ბედნიერებაა, **მეკოდე** ის არის, ვისაც სასმელი აზარია და მისატან ჭურჭელში ასხამს მას. **მერიდე** გაშლილ სუფრას ხელში დიდი ხონჩით ჩამოუვლის და ყველას მოხარშულ ხორცს ჩამოურიგებს, რასაც **წილობა** ეწოდება.

ორშაბათს, ჯარზე დასხდომისას, ნეფის და ნეფე-დედოფალს მყეფარის ხელით

#302#

მაშხალას (არაგვისხ. ფშ.) || **ჩირაღდანს** (ივრისხ. ფშ.) დაუდგამს. „**მაშხალას გამმართვენ, შადკმაზვენ** კარგადა“ (ს. ქალილო). **მაშხალა** ხის პატარა სუფრაზე, ხონჩაზე, დამაგრებული ხის ჯვარია, რომლის ტოტებზეც წამოცმულია ან ასხმულია საფუჯრები ან ჭრელი წინდები, ხილი, წითელი კვერცხები, ფერად-ფერადი კანფეტები, ხოლო მის ხონჩაზე (სუფრაზე) ალაგია თხილ-კაკალი, საკაბე ფართალი, სხვა საჩუქრები და სურსათი, ძირითადად ხინკალი. ამ ჯვრის წვერზე ჩამოცმული იყო მოხარშული ქათამი, რომელსაც ნისკარტში გადასალოცი ფული ჰქონდა ჩადებული. ჯვრის წვერს ხშირად წამოაცვამდნენ ხოლმე თოფის წამლით გატენი თ პაპიროსიან ქათმის თავს. პაპიროსს როდესაც ცეცხლს მოუკიდებდნენ, მოულოდნელად თოფის წამალიც ფეთქდებოდა, რაც ერთგვარ მხიარულებას იწვევდა (10, 138). ამავე დღეს ქალის მაცრები თითო ოჯახიდან თითო **სამაცრო ქათამს** წამოიღებენ. „ქალის მაცრები ამ ქათმებს დააკეთებენ, მაძხარშვენ და დამძალვენ საკიდელთან ერთად“:

²¹ სიმღერაა.

²² ირონიითაც იტყვიან: „რად-რა უნდა კარგად ჩაცმა, მანდ რა ნეფის ჯარზედ დასმენო“.

„თათარაშვილს ქორწილი აქვ,
სიდედრი ჰყავ მასპინძელი,
კვირა დილას ჩამადგლიჯნეს
მაგის სახში საკიდელნი“.

საკიდელი რომ ქალის მაყარმა წაიღოს, **სანაწყეო** (გათვალული, დაწყევლილი) საქმეა. ქალის ძმა საკიდლის **საცსარს** ითხოვს. ამისათვის მას ხელადა არაყი უნდა მიართვან.

შაბათს დაწყებული ქორწილი სამშაბათს ან ოთხშაბათს მთავრდებოდა. ხანდახან კი მეორე შაბათამდე გრძელდებოდა. ეს დამოკიდებული იყო ოჯახის სიძლიერეზე. სამშაბათს, ქორწილის ბოლო დღეს, დამთავრებისას კლავენ საწაღმართოს (ჭედილას)²³. ამავე დღეს, დილით, პატარძალს მოაზეღინებენ **ხინკლის ქერქს**, გაიშლება სუფრა. სამშაბათი ქალის მაყრების პატივისცემის დღეა. ამ დღეს **ქალის მაყრების ქორწილი** ეწოდება.

წასვლის დროს, მაყრების გაცილებისას „გამაიტანენ კოდსა, ჩაახხმენ ღვინოსა ან ლუდსა, ჩაჰყრიან ერბოსა, დაადგმენ გამოსავალ კარებში და ყველა შესვამს **მუხის წვერანგილოზისა და ლაშარის ჯვრის პიროფლიანი სადიდებელს**“. ამას **საკოდე || საკოდის გამოტანა || საკოდის დადგმა** ეწოდება. შუადღისას ნეფიონი ნეფე-დედოფალს ადღეგრძელებს #303#

და იწყება **გვირგვინის მოხდა**. მეჯვარეს მარჯვენა ხელში ხმალი უჭირავს, მარცხენაში ხანჯალი და მათი წვერით გვირგვინს ჯერ ნეფეს მოხდის, შემდეგ – დედოფალს. ამ დროს ქალის მაყრებმა თუ ნეფე დაიჭირეს, მან მაყრებს ერთი ხელადა სასმელი უნდა მიუტანოს და თავი დაიხსნას.

გვირგვინის მოხდის შემდეგ ქალის მაყრები ითხოვენ **სამაყროს და სამდადოს**. სახლის პატრონი ურიგებს მათ ქათმებს, საგზალს და ფულს. აღებულ ფულს მაყრები სანახევროდ უნაწილებენ მდადსა და პატარძალს. ამის შემდეგ ქორწილი დამთავრებული იყო და ქალის მაყრებიც უკან ბრუნდებოდნენ. მოპოვებული საგზლით კი ქეიფს ქალის ოჯახში აგრძელებდნენ.

სამაყრო საკლავია, რომელიც ვაჟმა უნდა დაკლას თავის ხატში (ან ხატის ნიშთანაც) ცოლის მოყვანის ან სალოცავად ხატში გაყვანის დროს.

თამაში ცეკვაა. ვიდრე საკოდეს გამოიტანენ, „ქალის ძმა ითამაშებს და ყველას ათამაშებს. ქუდი უჭირავ კელშია და ყველამ ფულ უნდა ჩაუყაროს. ეს არი **შაბაშობა**“. შდრ. **შაბაში, შაბაშის ფული** (21, 431). იქვე დგას **ნეფის და**, რომელიც ყველა მოცეკვავე ვაჟს თითო ყანწ არაყს, სამუხლეს, ასმევს. **სამუხლე || სამუკლე** სასმელია, რომელსაც ცეკვის შემდეგ ასმევენ მოცეკვავეს. **კოჭურში ამოსვლა** კარგად ცეკვაა. **კოჭურში ამოიდაო**, იტყვიან იმაზე, ვინც კარგად იცეკვა.

ქათამ-პროდუქტი ქალის მაყრებს მოაქვთ, **მამხალას გადსცვარცვენ**. ისინი წასვლისას ბიჭის ნათესავთაგან ერთ-ერთ გოგოს – **საღილეს** გაიტაცებენ, რომელიც უნდა გამოსყიდონ არყიანი ხელადით. **წაწიალება** მოტაცებით წაყვანა ან წაღება რაიმესი.

²³ საწაღმართო, საერთოდ ხატისათვის შეწირული ძღვენია.

ქორწილში **სრევა** (სროლა) იციან. **სრეული** გატყორცნილი, გასროლილია.

ცუდ ქორწილზე იტყვიან: **წლოწინის ქორწილი ქნესო, სუყველა წლოწინით იყოო, ხიშიშიაობით ნაზიდნი, სამთხოვარაო ქორწილ იყოო.** „წლოწინ ის არი, ნაკლებ რო აქვ სუყველაი კაცსა. ნათქომია: ბეჩაობითა, **წლოწინითა** რიგიც დავწვი, ქორწითიცაო“. **ახალ-ყოილნი** ახლად დაქორწინებულები არიან.

ქორწილიდან ერთი-ორი კვირის შემდეგ პატარძლის მამის სახლში ქმარი რომ პირველად მივა, იტყვიან: **გიდეულ წაიღესო. გიდლის წაღება** საქორწილო წესია: სიძე-
#304#

პატარძლის მისვლაა ქალის მშობლების სახლში ძღვნით (აცხოზენ ერთ დიდ ქადასა და თორმეტ კვერს). ამ დროს „ერბოს ქადებს დაუცხოზდენ, კვერებსა“. მიაქვთ **გიდელის ქადა და გიდელის კვერები**. ამგვარად დანათესავებაზე იტყვიან, **დავმძახლითო**. გამობრუნებისას ნეფე-პატარძალს ქალის ოჯახიც გამოატანს მსგავს ქადა-კვერებს ვაჟის ოჯახის მეზობელ-მოკეთეებისათვის. მეზობლის ბავშვებს დაურიგებენ **გიდელის კვერებს**.

ახალჯვარდაწერილ ნეფე-პატარძალს საწირ-სანთლით პირველად ქმრის სალოცავ ხატში გაიყვანენ, ხევისბერი **დაამწყალობნებს**, შემდეგ კი ქალის მამის სალოცავში წავლენ და წაიღებენ **გასამყვანო ქადას** საწირ-სანთლებით. აქაც ხევისბერი დალოცავს.

ზედსიძე ზესიძეა. **შეგმანვა** შეერთება, შეუღლებაა. **მამისახლი** (< მამის სახლი) გათხოვილი ქალისათვის მშობლების სახლი, სამშობლოა.

თუ ოჯახი ბავშვს ელოდება, ეკითხებიან: რა გექნათო? ე. ი. რა გეყოლათო? პატარა გოგო **ბატარა ქალაია**, პატარა ბიჭი – ბატარა ვაჟაი, **ბაცქინტურელა** ზოგადად პაწანწკინტელაა (შდრ. 8), **ბაციკა** – პატარა. ცხრა-ათი წთის შემდეგ ბიჭი **ბალღია**.

როდესაც ბავშვი ძალიან ჰგავს მშობელს, იტყვიან: მამის (ან დედის) **ზედანაჯლეჩიაო**. **ბღორი** უკანონო შვილი, ბუშია (20).

სახელოვანი ქალი **კაი ჯმასახელიანია**. სახელგატეხილი ქალი **გაუნამუსოებული** || **დაძრახული** || **გაუკლოვებული** || **ჯმასახელგატეხილია...** **სამწუნობრო** ქმრისაგან უმიზეზოდ (არა ცოლის მიზეზით) დათხოვილი ცოლისათვის მისაცემი საზღაურია (ხუთი ძროხის ღირებულება. 8, 236).

პირველ შვილზე ოჯახს ახლო ნათესავები **მოსაკითხს** – პურ-მარილს და სასმელს მოუტანენ.

მეზობლების საჩუქარს ბავშვის ნათლისათვის **მკლავის ზღვენი** ეწოდება, ბავშვის მონათვლისას იციან, **დავმოკეთავდითო**.

ფეკითგაუვალი ჩვილია, გავლა რომ არ იცის. ჩვილ ბავშვს ზრდიან **აკავანში**, რომელსაც აქვს **აკავნის თავი**, მასში მაღლა გადებულია ხე – **აკავნის კელი**; აკავნის თავს ქვემოთ არის **აკავნის ყელი**, **აკავნის თავ-ბოლოს** ფიცრები, **აკავნის გვერდის ფიცრები**. ძირს უგია **აკავნის ლასტი**, ძირის ლეიბი – **ჩალახე**, **ჩალაჯე** (არაგვისხ.) || **საჩალახე** (ივრის ხეობა),
#305#

რითაც აკვანი ირწევა, ის **საგოგავია**. აკვანს აგრეთვე აქვს ორი **აკავანთ გადასაკრავი**, **გადასაკრავ წკეპლაი**, **ხელების გასაკრავი**. ბავშვს მუხლები რომ მჭიდროდ ჰქონდეს, ზედ

ადებენ მუცთბალიშს (< მუცლთბალიშს). აკვანში ბავშვის ჩასასმელად ხმარობენ **მცართბალიშს** || **მხართბალიშს**.

ბავშვის ხელ-ფეხის ქნევაზე იტყვიან, **იფხლაკნებაო**. ბავშვი რომ ტირილის დროს გაიფშიკება, იტყვიან, **გადაცივდაო**. ტირილის დროს ატეხილ სლოკინს **შმიკმიკი** || **შლოკინი** ჰქვია. ბავშვი ტირილს რომ აპირებს – იბჟღლითებაო. **დათირება** ატირებული ბავშვის დაწყნარებაა. დაათირაო, იტყვიან ამ დროს. ბავშვი რომ **დათირდება** (დაწყნარდება), იტყვიან: **გაიტურნაო** (< გაიტრუნაო), ე. ი. გაისუსაო. ბავშვი რომ ვინმეს გაუმხიარულდება, **ეფოფინებაო**, იციან. **ბოზვა** პატარა ბავშვის ცოცვია. რაიმე მიზეზით კაცი რომ მიცოცავდეს, იტყვიან: **ოთხითლა მიბლუნავდაო**. **ჭროლება** ზმორება, ჭიმვა, გრეხაა. გაჭირვებით შესანახი და მოსავლელი (ბავშვი ან, მაგალითად, ხბო) **ჭირად გახდილი**, **ჭირად დახდილია** (ბევრი). **კაწიბანა** მოჩხუბარი, მოუსვენარი, ანჩხლი ბავშვია (თ. რაზიკ., „ივერია“, № 132, 1900; 26). ბაღლის გათამამებაზე იტყვიან, **ალოლიავებსო**. **ლოლია**, **ლოლია** (ქიზიყ.) ბავშვთა თამაშობაა ერთგვარი (11). **მოსახელე** მტირალა და ჭირვეული ბავშვია, რომელსაც ამა თუ იმ მიცვალებულის სული **ენუკვის**, რომ მისი სახელი დაარქვან. მიცვალებულის ხსოვნის უკვდავეყოფის მიზნით ბავშვს მის სახელს არქმევენ. ასეთ სახელს **სულის სახელი** ეწოდება. სწამთ, რომ ეს სახელი ბავშვს მფარველობას გაუწევს (იხ. საწესჩვეულებო ლექსიკა).

მეთვეური || **მეთვეურნი** ერთ თვეში დაბადებული ორი მეზობელი ბავშვის მშობლების (დედების) სახელწოდებაა. **მეთვეურმა გამილახაო**, იტყვიან მაშინ, როდესაც ერთ-ერთ მეთვეურს ბავშვი ავად გაუხდება და დაეჩაგრება. ასევე, ამავე მნიშვნელობით აქვს გამოყენებული ეს ლექსიკური ერთეული ვაჟა-ფშაველასაც (24, 177).

მოშიში ქალია, რომელიც მშობიარობას ან მენსტრუაციას მოელის. ასეთი ქალი იტყვის, **მემოშიშებაო**. ერთი მეორეს კი შეეკითხებიან: **როდის გემოშიშებაო? წიდოვანი** დედათწესის მქონე, თვიურიანი ქალია. შდრ.: **წიდა** – სიბილწე და ფინთი რამე (16, 449). **გარეთმყოფნი** ის ქალებია, რომლებსაც მენსტრუაცია აქვთ და ხატობის დროს ხატთან ახლოს #306#

ვერ მიდიან, სუფრასაც ცალკე მოშორებით შლიან. დედათწესიანი ქალები მეთვეურობის დროს ოჯახს უნდა გამოვებოდნენ და ცალკე ქოხში, **ბოსელში** ეცხოვრათ, განსაკუთრებით მშობიარობის დროს. ამას **ბოსლობა** ეწოდებოდა, ხოლო მშობიარობის ან დედათწესიანი ქალების ნამყოფ ადგილს **ნალახი** ჰქვია. ასეთ ადგილებს ერიდებიან ხატის მსახურნი და მათი ოჯახის წევრები.

ბავშვის ნელ სიარულს **დაცოცვას** ეძახიან. **დაბაჰბაჰებსო**, ამასაც იტყვიან. წამდაუწუმ მორბენალზე ამბობენ: **დალახლახებს, დასტმუკაობსო**. ჩამოჯდომაზე იტყვიან, **ჩამოკუსდაო**; მუხლებზე ჩაჯდომაზე – **ჩამუჭლისკვერავდაო**. რას **იწრებ-იგრიხებაო**, იტყვიან მოუსვენარ ადამიანზე.

ცელქ ბავშვზე, რომელიც იმედის მომცემია, რომ გაიზრდება და ოჯახიშვილი დადგება, იტყვიან: **კაცად მაიქცევაო**. ყოჩაღ და მარჯვე ბავშვზე ამბობენ, **გამამავალიაო**, ან: **სახარაიას სასკორიაში შეეტყობაო**. **ღალით დაზარდაო**. იტყვიან დედაზე, რომელიც საწოვარათი ზრდის ბავშვებს. **ღალით გაზდილი** || **გაიდილი** საწოვარათი გაზრდილი ბავშვია.

ცოდვილი უმწეო, საცოდავია. **მოჩრიხვებული** მომაგრებული, მოკეთებული ბაღლია, (ვარიკაზეც ითქმის).

გუდაბერ, ბუაი, ყოყიჭალა, გუდარახუნი მოდისო, აშინებენ ხოლმე პატარა ბავშვს. ცემით რომ ბავშვს ემუქრებიან, იტყვიან: **დაგზნედო**.

კიჭები პატარა ბავშვის კბილებია. კბილების ამოსვლა **კიჭების ამოჩენაა**. **კაწარი** დიდი ფრჩხილია ადამიანისა. **ბწკილები** ფრჩხილებია; კატას ბწკალები აქვს, **ბწკალები** ბრჭყალებია. გრძელ ფრჩხილებს **კაწარანი** || **ემშაკის კაწარანი** ეწოდება. **ფახახი** ღაბაბია, **ქური** – ლოყა. **მქანი** ორი ხელისგულის შეერთებით მიღებული მუჭაა. **ქერცლი** ქერტლია. ქერტლი რომ გასდის კაცს, **იქერცლებო**, იტყვიან. ბოლოში რომ თმა ორად იყოფა, **მმოვარას** უწოდებენ. ამ მნიშვნელობით ეს ლექსიკური ერთეული ქართულურშია დადასტურებული (21). **სულხან-საბას, ნიკო** და დავით ჩუბინაშვილების მიხედვით კი, „**მუწუკია**, თმათ მაცვენებელი“. **ნაჭაპნი** ნაწნავია. გაწეწილი თმა **გაბუდებულია**. დიდთმა და დიდწვერა კაცი გაბუჩებულია. თუ მიზეზის გამო არის ასე, იტყვიან, თავაგამომშვებულიაო. **სვილისფერაი** შავგვრემანი კაცია; #307#

შავგვრემალაი და **გაზანგული** აგრეთვე მისი ეპითეტებია. მზეზე გაშავებული ადამიანი **შავად შამწვარი, გაშაულია**. ქერა კაცი **ქერაია**. **სახვინტლენი** ცხვირია. **ხვინტლი** წვინტლია, ჯვინდლი – ჟღვინტს ეწოდება. **ხვინტლიანი, ჯვინდლიანი** წვინტლიანი, ჟღვინტლიანია. **წუწი** წირპლია, წირპლიანი **წუწიანია**. წუწის დენაზე იტყვიან, **მეჟღირტლებო**. **ჟღირტლვა** წუწის დენაა.

ბურძგალი ღინდლი, აშლილი ბეწვია.

ფშავში ბავშვები შრომით საქმიანობას პატარაობიდანვე ეჩვევიან, გართობა და გასართობი საშუალებანიც არცთუ მრავალგვარი აქვთ. გავრცელებული გართობა-თამაშობანია: **დანაობა, ჩილიკაობა, ქანაობა** (ციგაობა), **ბურკაობა** (გუნდაობა), **ქუდმაურაობა** (ქუდის გატაცება), **ფრინაობა** (ჯოხზე ან თოკზე გადახტომა), **შვილდისრობა, გუგუსტიანობა** || **გუგუსტიაობა** (თოკზე ქანაობა), **ჭიდაობა, თოფიკაობა, ნიკბიქაქიაობა**. გავრცელებულია აგრეთვე: **გაქცევა, ქერიჭამობა, შიგჭიდილა** (შდრ.: 11, 149), **მგელობა, ბახაობა** || **ბახობანა, დაჭირობა, მალულაობა** || **კეკემალულაობა** || **კუკუმალულაობა** || **დახუჭობანობა, კენჭაობა, კაკლაობა, ლაფაობა, ძერაობა, ქალაქობანა**.

მასხარაობა თამაშობაა. **ვიმასხარაოთო**, ეუბნებიან ბავშვები ერთმანეთს, როცა თამაშს დააპირებენ. **სამასხარაო** სათამაშოა. **კელკეკელობა** || **ბღანძულაობა** ხელით თამაშია: „**ნუ მეკელკეკეკეკელები**, შენი სწორი კი არა ვარ!“ **ლულაი** არის ბრჭყვიალა სათამაშო. **კუკუნა** დედოფალაა. ძაფზე ასხმული კაკალი ან თხილი, რომელსაც ბავშვს სათამაშოდ აძლევენ, **ღარადელანია**. იციან ჩირის **ღარადელანიც**. შვიდი-რვა კაცი რომ დადის კარდაკარ, იმაზეც იტყვიან, ეგენ რაღას **დაღარადელაობენო**. ბავშვის ზურგზე მოკიდებას გართობის მიზნით **ბაჭიკუდას** ეძახიან. ამ დროს ბავშვს ათირებენ, აწყნარებენ:

„**ბაჭიკუდა, ბაჭიკუდა,**
ზურგს რა გვიდავ? – **ჭრელი გუდა,**
შიგ რა გიძე? – **ჭრელი კვერი,**
ვის მიუტან? – **შიოლასა!**“

ბახაობა || **ბახობანას** თამაშის დროს „ხეები გვეჭირება და ისე დავაბახებთ – ბახ! ბახ!“
(ს. თხილიანა).

#308#

დაჭირობანას დროს ვინც იჭერს, **მჭრელია**.

მალულაობის || **კუკუმალულაობის** || **კუკუმალულაობის** დროს დასამალი ადგილი **სამალულაოა**. თუ ვინ უნდა დაიხუჭოს, გათვლიან: „ესა, მესა, გადის ესა“, ან: „ილილ ბილილ, ზესტა ზუნენ, დამკოხე და ვარდა ქის“. გასათვლელად იციან ეშმაკის ქალის ფიციც“

„არა ისე შამჩენ ძმანი,
სიპრიპიტომ სირაზდანი,
ხიმშიტა, ხომშიტა,
რიბიტა, რობიტა
ასპი, გულო, გულის ხაზი
ისპანი და ჩანახაზი“.

დამალული პირის პოვნაზე იტყვიან, **მოგკელო**.

ფირაობა კოჭის აგდება, კოჭის თამაშია. კოჭის მხარეებია: **ალალი, კელმწიფე, ქურდი, კარგი, ვირი, ჯვრამფი**.

ჩილიკაობა ორნაირია. უფრო გავრცელებულია **კუდიან ჩილიკაობა**, რომლის თამაშის დროს „შამოვხაზავდით დიდ წრეს მურგვალთ“. ჩილიკაობას თამაშობენ **ჩილიკათი** და **ჩილიკაის ჯოხით**.

ბზრიალა გადაჭრილი ხის კოჭია, ხის ტოტზე წამოცმული, რაზედაც აბზრიალებენ.

ნიჯბიქაქიობა გავრცელებულია ივრის ხეობის ფშავში.

საქანელა **საგუგუსტიაოა**, ხოლო **გუგუსტიაობა** ქანაობაა. **საფრინაო** გადმოსახტომია, **გადაფრენა** გადახტომაა, **გადალივლივება** კი – უცბად გადახტომა.

ცეკვისა და ჭიდაობის დროს ხალხი **მურგვალთ** (მრგვლად) დგება. იტყვიან:

„**სიმურგვლივ** შამეეხვია ხალხიო“. **თამაშობა** ცეკვაა. **ფუნდრუკობა, ფუნდრუკაობა** ცუდი ცეკვაა. ცეკვის ან ჭიდაობის დროს **გაწვევა** გადაყვანაა. საჭიდაოდ ან სათამაშოდ (საცეკვაოდ) გადასვლისას იციან, გადაჯეო. „**ხრინკულ მამსდვაო**, იციან ფეჯის მოდებაზე“ (ს. უძილაურთა). ჩხუბის დროს ხმარობენ **ლაჯიას** და ბოქსს.

ჩიტებს **სასხიპურაით** იჭერენ. რაც მყარი არ არის, იტყვიან: „რა **სასხიპურათავით** გაგიკეთებავო“. სცოდნიათ აგრეთვე **დემფა** – ზედადგარივით სამფეხა სათამაშო ხისა, ბავშვები დადგებიან და მერმე შორიდან რიკებს ესვრიან (თ. რაზიკ., „ივერია“, № 130, 1900; 26).

#309#

§ 3. ადამიანის გარეგნობა და ხასიათ-თვისებები.

წვერდაწამებული || **წვერშამამავალი** || **წვერშემომდინარი** ის არის, ვისაც წვერ-ულვაში ამოსდის. **წვერგაშვებული** წვერმოშვებულია. **წვერ-პირი** ულვაში და წვერი, მოშვებული წვერ-

ულვაშია. **წვერჯიყა** გაცვეთილი ცოცხივით გაფშევილულვაშიან კაცს ეწოდება. **ბილი** მსხვილი ულვაშია. **ჯიელი** ჯეილი, ახალგაზრდა კაცია. **ახალ-უხალი**, **ახალ-უხლები** ახალგაზრდებს ეწოდება.

ულუდი || **ურუდი** ზოგადად გარეგნობა და შეხედულებაა. **ულური** სახელი, სიკარგე, დიდება, რწმენა, იმედია (შდრ თურქ.: ugar). **ულურის გატეხა** სახელის გატეხა, შერცხვენა, ძველი დიდების დაკარგვაა. **ურულიანი** (< ულურიანი), ზრდილი და კარგი გარეგნობის ეშხიანი, იმედის მომცემი კაცის ეპითეტია: „გამოჩნდა სუმელჯიანი, ეტლიან-ურულიანი (ს. ჯოშარა), ი. ჭყონიას ამავე მნიშვნელობით აღწესებული აქვს ორღვიანი (< ურულიანი? შდრ.: 25, 429). **ნიაზი** დიდი სურვილია. **ნიაზობა** საჭიროება, სურვილია. ა. შანიძეს აღნიშნული აქვს ამ სიტყვის სპარსული წარმომავლობა (22). **მონიაზე** მოიძედე, მოწადინე. მომავლის რწმენა რომ აქვს, ისეთი ადამიანია. ასეთ კაცზე იმასაც იტყვიან, **ულურიანი**აო. გამხიარულებული კაცი **გახალბათებულია** (ს. უმილაურთა).

ბედბოლო ბედ-ილბალია; ბედისაგან ნარგები, ერთადერთი შვილის აღმნიშვნელი ეპითეტიაა. **ყისმათი** || **დავლათი** ბედია. **ილეთი** მოხერხება, უნარია. **იერზე შეგდება** გარეგნობით, შეხედულებით ცნობაა. **აბრუ** სახელი, ღირსება, ავტორიტეტია. ვინც ნამუსს ინახავს და სახელს არ იტეხს, მასზე იტყვიან: **აბრუს არ იტეხსო** (შდრ: **სახელის ქნევა** – სახელის მოხვეჭა, სახელოვნად გახდომა). **არსილი** შნობა, გერგილი, უნარი, მოსაზრებაა (20). **კავატი** ნაკლია. **უზად-კავატო** უნაკლოა. **ადი**, ა შანიძის მიხედვით, პრესტიჟია, ხოლო **ადის გულისთვინ** იგივეა, რაც ღირსების, პრესტიჟის გულისთვის (22, 277).

ლამაზ ქალზე იტყვიან: **რძე-ერბოსავით პირი აქვო**. ცისფერთვალეა ქალი **თვალჭრელია**. **თვალშურთხი** შურთხივით ლამაზთვალეიანი ჭრელთვალა ქალია. ლამაზი კაცის ეპითეტებია: **ჟინჩი**, **პირწმიდაი**. საერთოდ ლამაზ ადამიანზე იტყვიან, **ილეთიანი**აო. **ამოსხარტული** ტანწერწეტა, კოხტაა. **მწყაზარი**, **დამწყაზარული** ზოგადად ლამაზი, კოხტა, მოხდენილია. ლამაზი წარბები ვისაც აქვს, იტყვიან: **დამწყაზარულ თვალ-წარბი აქვსო**.

#310#

ლამაზი თვალ-წარბის ეპითეტია აგრეთვე **ყორნის ბოლოსავით შავ თვალ-წარბი**. **დაჭრეხილი** დახუჭუჭებულია, უსწორმასწოროს, დაგრეხილსაც აღნიშნავს. **ქალისპირა** ქალური სილამაზისა და ხასიათის ვაჟკაცია, მისი ანტონიმია **სვილისფერაი** (იხ. ქვემოთ).

მაღალ, წელში გამართულ ქალზე იტყვიან, **საროსტანაი**, **სეროსტანაი**აო. **კანჭახი** წვივმაღალია. პრანჭია ქალზე იტყვიან, **იპრუნწებაო**, **პრუნწიაი**აო, ძალიან **კიკურაზიაო**. **იწრიხებაო**, იტყვიან ქალზე, ზედმეტად რომ იპრანჭება. **ბეზერგანი** || **ბეზირგანი** ცუდი ყოფაქცევის დედაკაცია (შდრ.: სპარს., თურქ.) **მომყამკრებელი** ოჯახის ქალის ეპითეტია, ნიშნავს (სახლის) მომწესრიგებელს, ყურის მიმგდებს. **გაწლიკვლული**, **წლიკვი** (გადატ.) ძალიან გამხდარ ადამიანზე (უფრო ქალზე) ითქმის²⁴. **ქალბნელი**, **ქალკუპრი** საალერსო მიმართვაა.

გამხდარ-გაყვითლებული და სუსტი ადამიანი (ან ცხოველი) **ღანცალა**, **ღანცა** || **ღაცაა** (ივრისხ. ფშ.). **ლუბ-მჭლე** ზოგადად გამხდარს, დამკლევებულს ნიშნავს. **ჩარჩეული** ||

²⁴ **წლიკვი** ფეხების ნაწილია კოჭებს ზემოთ და წვივს ქვემოთ (გუდ.: წიკვი).

გაძვალტყაული || გახმეხილი || ჩონჩხატი ძალიან გამხდარი კაცია. „გახმეხილ რაიმ იყო, გალურჯებული, გველის გალოვილ ქვათა-მ გვანდაო“, იტყვიან ასეთ კაცზე. ჩხინთა ძალიან გამხდარი, სიქაგაცლილი კაცია. ლიტა²⁵, ლიტოკი მარტოხელა, გახმდარი კაცის ეპითეტია:

„ფოთოლათ მერცხალაი ვარ,
ურძნის ჯოხივით ლიტაო“.

სანსალად²⁶ გაზრდილი წვრილი და მაღალია (1, 302). აწურწუტებული წოწლოკინა, აწოწილი, წვრილად აზრდილია. ეს ლექსიკური ერთეული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც გვხვდება (9) წვრილყელა კაცზე იტყვიან, გაყინწულიაო, ბაწარივით ყინწი აქვო. „ყელ-კისერს ყინწს ვიტყვით“. გრძელ სახეს პირმაღალს ეძახიან. მრგვალი სახის კაცი პირმურგვალია. წვივტაგანა მსხვილწვივებიანია, ვისაც ტაგანივით მსხვილი წვივები აქვს. ჯინჯიბაჯივით წვივ აქვსო (აყრაგო), იტყვიან დაცინვით ასეთ ადამიანზე. ცხვირჯინა დიდი და ბრტყელი ცხვირის მქონეა.

#311#

ბაციკა მომცრო, პატარა, მორჩილია. დაბალი კაცი ნაბიცურაია: „იმაზე მაქსონ, რო დაბალი იყო, ნაბიცურაი (ს. თხილიანა). ჩაბარკანა, ჩაბარკანაი, პატარა, ჩადგმული კაცია. ჭივჭავი ბელურაა. ჭივჭავა პატარა ტანის ჩიაკაცია. ჭიჭაი აგრეთვე პატარა ტანის კაცია. ჭიჭა ზოგადად სიმცირის გამომხატველი სიტყვაა. ამავე მნიშვნელობით გამოიყოფა ჭიჭ ძირი სიტყვებში: ჭიჭმატა – მეტად მცირე მძივი (16); ცოტმატა – მცირე რამ; ჭიჭმაკევა – პატარა ხევი; მოჭიჭავება (გურ.) – მომჭირნეობა, დაზოგვა, ეკონომიის გაწევა (12^ა). ბაჯიჯგანა (არაგვისხ. ფშ.) || ბაჯოჯღანა (ივრისხ. ფშ). დაბალი და მსხვილი ადამიანია. ბაჯიჯგანაია, ბაჯოჯღანაიაო, იტყვიან ასეთ კაცზე. „შეუძლო, სუსტ, ბატარა კაცი ბუკუკოა, ბუკუკოსავით²⁷ არი“ (ს. თხილიანა). ნაგალა ასევე პატარა ტანის, ჩია, სუსტ ადამიანზე ან ცხოველზე ითქმის. ნაღინტალი, თ. რაზიკაშვილის შემოქმედების მიხედვით, ზრდადაუსრულებელი, დაჩაგრული, დაბეჩავებულია (21). საღირსალი ღირსეულია, საცოდ(ვ)ო საზრალო ადამიანია.

ჯაღალაი უშნო ადამიანია. რუმხიანი დაბღვერილი, მრისხანე შეხედულების ადამიანია. გაღეჯეჯებული ულამაზო, დამახინჯებული ადამიანია. სამზნელეაო, იტყვიან ძალიან უშნოზე. გონჯი სულხან-საბას მიხედვით, „ჯორც დარღვეულია“ (16, 121). აღნიშნული ლექსიკური ერთეული მოხეურისა და გურულის მსგავსად ივრისხეურ ფშაურშიც გვხვდება და შეუხედავს, ულამაზოს, უცხვირპიროს, მახინჯსა და ცუდს აღნიშნავს. ამავე მნიშვნელობით დასტურდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც (8, 97). სახეზე დამახინჯებულზე ან სახით უშნოზე იტყვიან, ჯულღრა, ჯულღრაიაო²⁸ ღეჯეჯაო. სახეზე დამახინჯება გაღეჯეჯება || გაჯულღრება || გაჯულღრება || გაჯულღრება: „ნეტაი ისეთი რამ

²⁵ ლიტა უტოტო ჯოხის სახელია.

²⁶ სანსალა წყლის მრავალფეხა წვრილი ჭიაა.

²⁷ მუმლივით

²⁸ ჯულღრა კაცის სახელიცაა.

შემყარაო, რო გამაღეჯეჯაოსო სულა, – პირქუმს უთქომ“ (ს. არტანი); „ვაიმე, რად გამაჯულერე, ჩემსამც ცოდვასა-ღ ზიდავო“ (ს. თხილიანა). **მურკლი || ფაფიმურკლი**²⁹ (გადატ.)

სალანძლავი სიტყვაა: ცუდი აღნაგობის, ფორმადარღვეული და კუმშა, ჩია ტანის ადამიანის ეპითეტია. მისი სინონიმია **კუკბალია**.

ზაპზაპა ძალზე მსუქანი ადამიანია, სიარულისას რბილი ნაწილები რომ უთამთამებს. **ფახახიანი** ღაბაზიანი ადამიანია, ხოლო **ჩამოცმული || თავმუცელჩამოცმული** ჭამა-სმას გადაყოლილი კაცია. **გაქოსმანებუელი** ძალიან მსუქანია, ხოლო **პირმსუბუქი** ცოტას მჭამელია, **უნაწილო** კი უზომო კაცია... **მონეკრება** ადამიანის დანაყრება, ოდნავ გაძლომა. საქონლის ადრე გაზაფხულზე კვებაცაა.

დაბადებით მახინჯი და უშნო **სამზნელია, დაბაჯულია**: „ვაიმე, რა **სამზნელ** რაიმ იყო“, იციან უშნო რაიმეს დანახვაზე ინვალიდი ადამიანი **სახიჩრიანია. გახაიბრდა, ხაიბერიაო** (< ხეიბარი), იტყვიან ასეთ ადამიანზე.

დაღრეჯვაზე იტყვიან, **იჭმიხებაო**. დაღრეჯილი ადამიანი **დაჭმეხილია. დაჭუნი** კბილების კრაჭუნი, ღრჭიალია. **ჭკემა** – ჩხვლეტაა, **დაჭკემა** – დაჩხვლეტა. შეიძლება ადამიანი **დახრუნჭდეს** – დაიკრუნჩხოს. **დახრუნჭება** დაკრუნჩხვაა. **დაბლუნძვა** მხრებში მოხრაა, **დაიბლუნძაო**, იტყვიან მხარ-კისერში ან მუხლებში მოხრილ კაცზე. ასეთი ადამიანი **დაბლუნძვილია**. წელში მოხრილი ადამიანი **მოკაული, ცხვირმუკლდადებულია. დაკუნკვილი** ძალზე მოხრილი ადამიანია. **დაბრუნვილი** ეპითეტია უმწეო, ძლიერ ხანდაზმული, ასაკოვანი ადამიანისა, სიბერისაკენ, უძღურობისაკენ რომ დაბრუნდება, როგორც ბავშვობაში იყო. მოხუცებული კაცი **ჩრუხი, დახანჩოტავებულია** (არაგვისხ.) || **ყრანტი** (ივრისხ.). **ნასერი** თეთრი თმაა. **ნასერიანი, ნასერგამორეული** კაცს რომ თეთრი გამოერევა, ჭალარაშერეული, ასაკში შესული კაცია. **მოხნიანებული** ხანშიშესულია. **ბეხი** სიბერისაგან დაუძღურებულია³⁰. „მაგის დროთა ქვაც აღარა გორავსო“, – იტყვიან ძალიან მოხუც ადამიანზე.

დაჯინჯიბაჯებული (არაგვისხ. ფშ.) || **გადაჟამყრებული** (ივრისხ. ფშ.) დაბერებულ-გადაყრუებულია. მოხუცებული და გადაყრუებული კაცის ეპითეტებია აგრეთვე: **ჩამომრჩალი მოხუცი, სიტყვადაკარგული, გონდაკარგული, ჩრუხი, დახანჩოტავებული**. მათი ივრისხეური სინონიმია **ყრანტი** (კახურის მსგავსად). ადამიანი რომ შეიცვლება, **გადასხვაფერდაო**, იციან. შეცვლილი ადამიანი **გადასხვაფერებულია**.

უკილო უქუთუთოა. **სიბრმო** სიბრმოა. **უმტარი || უსტარი** უსინათლო, ბრმაა. **დამბრმალი** (< დაბრმალი) დაბრმავებულია. კაცი რომ დაბრმავდება, იტყვიან **დაბრმაო. კილოს არი მიმდგარიო**, იტყვიან ავადობისაგან დასუსტებულ ადამიანზე. ავადმყოფობისაგან რომ დაუძღურდება, ასეთ ადამიანს კი **გადაწყვეტილი** || მოღებული ჰქვია. **ლაჯვანა** ცალხელა ან ცაცია ადამიანია (მისთვის შექმეული ზედმეტი სახელიცაა).

#313#

²⁹ **მურკლი** გაუქნელი ფქვილის პატარა კუმშებია.

³⁰ პირუტყვზე უფრო იტყვიან.

კილო, საერთოდ, რაიმე თვალსაზრისით ხელსაყრელი დროა. ამა თუ იმ პირისათვის რაიმე კილოს ყოფნა ხასიათზე, გუნებაზე ყოფნაა. კაი კილო შექმნა კარგ ხასიათზე დადგომა, მოღონიერებაა. კილოიანი მოხერხებული, ყოველგვარი საქმის მომგვარებელი ადამიანია. ჯელჩქარი მარჯვე მოხერხებული ადამიანია. მოჭარიხვება მოხერხებაა. კაცი რაიმეს რომ მოახერხებს, მოაჭარიხვაო. იტყვიან. მოჭარიხვებული მოხერხებულია. აღმათი ყოჩაღზე ითქმის. ჯელგამამავალი ის არის, ვისაც სელის გამოღება, მარჯვე შრომა შეუძლია. ასეთი ადამიანი საქმეს ახანებს, ბევრს ასწრებს. იგი საქმის გამხანებელია. დახანება დაგვიანებაა, გახანება კი დროის გახანგრძლივებაა. საქმის გახანება ბევრის მოსწრებაა. გამიხანდა საქმეო, სწრაფად გაკეთებაზე იტყვიან. გახანება თქვენს საქმესაო, – იციან. საქმის გაკეთებას ჩქარა რომ ცდილობენ, ვეშურეო, იტყვიან.

დაბანდება საქმის გაჭიანურებაა. ბანდი ისეთი ადამიანია, საქმეს რომ ვერ ახანებს, ვერ ასწრებს. „აბანდებსო“, – იტყვიან ამ დროს. ბანდი, ბანდები, პოლისემანტიკური ლექსემაა და ამავე დროს აღნიშნავს: 1. ძარღვებს; 2. წვრილად დაჭრილ საქალამნე თასმებს, ანუ კოპებს, რომლითაც ქალამანს „ამოასხამენ“.

მოცადობა მონდომება, მცდელობაა. მოცადი, მოწადინებული, ვინც ცდილობს, მცდელი, მონდომებული ადამიანია. საამო და კარგი საქმის ჩამდენი მამურია. ამო-გემო წყნარი, დინჯი და ტკბილი ადამიანია. სახელოვან კაცს ესტიბრიანი კაცი ეწოდება. სახელის ქნევა სახელიანად გახდომა, სახელის მოხვეჭაა.

ყოჩაღი და დაუღალავის ეპითეტები: ტალ-კვესი, მგლის მუკლა, მუხლადი || მუკლმგელი. მუკლადი მარდი და ცოცხალი, სწრაფი კაცია, ნაღალური გარჯით, შრომით შექმნილი დოვლათი, ბარაქაა. კარგი, პატიოსანი, კეთილსინდისიერი ადამიანი ქსრისტეს თიჯისია. კარგს საერთოდ ყინჩი ეწოდება. რა ყინჩად უქნავ, ყინჩად გაუკეთებავ, – იტყვიან, კარგად რომ გააკეთებს რამეს კაცი. წარზე, წარზედ ნიშნავს კარგად, რიგიანად. რიგიანად გაკეთებული წარზედ გაკეთებულია. უფრო კარგზე, უკეთესზე იტყვიან: მეტაო, მეტად ჭარბიაო. სვილიისფერაი ვაჟკაცური ბუნების კაცის, საერთოდ ვაჟკაცის, ერთ-ერთი #314#

ეპითეტია, დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა (მისი ანტონიმია ქალისპირა. იხ. ზემოთ).

მანძილა ძლიერი და შეუდრეკელი კაცია. მჯარ-კვერიანი კი გულადი და გაბედული ვაჟკაცის ეპითეტია.

სიყმის მოღლა || სიყმის მოღალვა შრომაში, გარჯაში დაბერებაა. მოჯაბრე – მეტოქე, ჯიბრში მდგომი ადამიანია. მუავე (< მოავე) კი ავის მსურველია. უღბად არის უიღბლოდ, ტყუილად. უღბი (რაზ.-ჟყ.) აუგია. უღბის მოთქომი აუგის მთქმელია.

ნაჭირმაგარი ვინც ღირსეულად იღვაწა, ღვაწლმოსილია, ხოლო ნაჭირმაგევი ნაშრომი, ნაღვაწი, ნაოფლარ-ნაამაგარია.

აღროფება აღელვება, გაბრაზება, აღფრთოვანებაა. გაბენდგრებული ძლიერი, აღელვებული, აღმურმოდებული ადამიანია. გამაცილებული გაემმაკებული ადამიანია. მიწრიელი ქვეშ-ქვეშა, ფლიდი და გაიძვერაა: კუდიხრილა ემმაკი და ცელქი, გაიძვერა და ქვეშ-ქვეშა ადამიანია (კაუჭებიანი ორნამენტიცაა ქსოვისა). კოჭუკულმართი ცუდი, ემმაკი და ბოროტი ადამიანია. კირკინა კი სუსტი და ბეჩავი, უვარგისი და უმწეო კაცის ეპითეტია.

დაბუსუნებული ნაწყენი, წყენით დამუნჯებული, გაბუტული ადამიანია. **გამსივარი** გაბერილი, გაბღენძილია. **უუბარი** უთქმელია. **ურჯუკი** ბოროტი. დაუნდობელი, ჯიუტი, ურჩი ადამიანია. **ხიბალკუდიანი** კი ეშმაკი, კუდიანი ადამიანის ეპითეტია. **უფერი** ბოროტი, ცუდია. **უტი** ჯიუტი, შეუპოვარი ადამიანია. **უსერდალო** უჯიშო, უჯილაგო, უვარგისი ადამიანია. **ცხვირგაჭერილი** ამპარტავანი კაცია. **ბალინჯი** ცუდი, უვარგისი, ეშმაკი კაცია. **უსაჯი** გაურჯელი, ზარმაცია; **ტანტრე** ზარმაცი, უსაქმური კაცია. **უქნელი** ზარმაცი, არაფრის გამკეთებელი, განძრევა რომ ეზარება და ხელიდან არაფერი გამოსდის, ისეთი ადამიანია; **კაჩაფსლიანი** ლაჩარი, ძალზე მშიშარა და გაუბედავი კაცია. ხოლო **უსამფრო** უსულგულო, უვარგისია. რო აღარაის თავი აქვის, აეგეთა კაც **კანჯალია** (ს. კუდო). იგი, ნაწილობრივ, უჭკუოდ არის. **უდუმალაი** || **ქვემძრომელა** ქვემქვემა, მლიქვნელია. **მარღვიელი** ცუდი ენის პატრონი, გესლიანი ენის მიმტან-მომტანი კაცია. **ლაშთ რთხმევა** ბევრი ლაპარაკია. **ლაშთ ირთხამს-ო**. იტყვიან უზომოდ მოლაპარაკე, ყბედ ადამიანზე. **ემშიში** სულელს ნიშნავს, ხოლო **გაკრულა**³¹ ჭკუათხელი, ჭკუანაკლები ადამიანია. უჭკუოდ მოარულ ძროხისადაც ვიცით ეგ სახელადა. **გაკრულაი** (ს. ცაბაურთა). **ტაშფანდურა** მხიარულთ და დროს ტარების #315#

მოყვარული, უდარდელი ადამიანია; ხოლო **ტაშკულია** არასერიოზული, ცერცეტი, ატაცებული და თავქარიანია. უჭკუოზე ან გაგიჟებულზე იტყვიან, **დახელთილილი** || **დაკელთილი** (წინა ფშ.) || **დაკელთულიაო** (უკანა ფშ). კაცი რომ ჭკუას დაკარგავს, იტყვიან: **წარზე** || **წარზედ არ არიო**, ე. ი. ჭკუაზე არ არის, კარგად არ არისო. **ენჩი** || **ინჩი** გაგება, აზრი, უნარია: „მაგის **ენჩი** აღარა მაქვ, აღარ მაქსონ“ (ს. ჯოშარა) (დაწვრილებით იხ. წინ). **უენჩო** || **უინჩო** || **ენჩი** (< ლენჩი) აზროვნებისუნარდაკარგული, გაუგებარი, მოუქნელ-მოუხერხებელი კაცია. **ნარდიშობა** თარეში, პარპაშია, გვხვდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც (8). **განარდიშება** გაპარპაშება, თავის გასვლაა, დაჩვევა, გახალისებაა ვიზედმე (თ. რაზიკ., „ივერია“, № 129, 1900; 26). დასტურდება ქიზიყურშიც და გავარჯიშებას, დაჩვევას, საქმის დასწავლას ნიშნავს. **ბამზარუზი** ფაფხური, ტრაბახი, ჯგიმვაა. **ბუმზარეზი** უტიფარი, თავაშვებულია; **ბუმზარეზობა** უტიფრობა, თავაშვებულობაა:

„...აიკლეს მთელი კახეთი

ბუმბერაზობით დადიან“ (ვაჟა-ფშაველა, „ბახტრიონი“).

აბუეტი || **აბოეტი** გაუგებარი, მიუმხვდარი, ყეყეჩია. **უბაშარო** უმარიფათო, უუნარო ადამიანია. **არჯალა** უქნარა, საწყალი, მაგრამ ამასთან ავი ბუნების გულბოროტი ადამიანია (20). **ბაითალმანი** ოხერ-ტიალი, უპატრონოა (საწყევარი სიტყვაა). **ბუანდე** შტერი, გონებაშეზღუდული და ლენჩი ადამიანის ეპითეტია. **მწერელჩვილი** (< მწერელთმვილი) უჭკუო, სულელი, საწყალია, „**მწერელთტყვესაც** იტყვიან“ (ს. ჯოშარა). **აკარაკი** ჭკუათხელი, ცერცეტი და აჯამია. **ცალაკანა** ჭკუანაკლები და ბეჩავი ადამიანია. არასერიოზულად რომ იქცევა, არასერიოზულ ადამიანზე იტყვიან, **წარა-უგონთაობსო**. ხშირად, უშნოდ და უაზროდ, „**წარა-უგონთ** რო იცინის, ეტყვიან: **რა სიცილის ქადა გაგიქდაო, რა ითრიკებიო**“ (ს.

³¹ თიკუნისაა.

თხილიანა). **ჟამყრუვი** გამოყრუებული და უცოდინარი ადამიანია. **გაბენტრებლი** გამობეცებულს ნიშნავს, **ბენტერი**, ლენჩი, შტერია, მისი სინონიმია **ბუნდე**. **დარდაკი** თავცარიელი, ყვეყჩი, სულელია. გამოჩერჩეტებას **გაუგონთება** ეწოდება. **თავწყალი** თავგზა, უნარია. კაცს რომ რაიმეს გაკეთება აღარ შეუძლია, იტყვის: **თავწყალი || თავგზა აღარა მაქვსო**. თავგზის აბნევაზე იტყვიან, **გადაუგონთდაო**. ბრუტდასეული || დარეტთანებული, ბრუდახვეულია. კაცს რომ თავბრუ დაეხვევა, **თავ-გონ ამკდაო**, იტყვის. **დაბორიალებული || #316#**

დაბუნდებული || ნასასმლარი ნამთვრალევი, გამობრუებული, გონიდან გამოსული კაცია. **გონთგადაგდება || გონთით გადავარდნა** ჭკუიდან გადაცდენა, შეშლა, გონიერების დაკარგვაა. **მოგონება** გრძნობაზე, გონზე მოსვლაა. **დაკელთვა || დახელთვა** გაგიჟებაა. **დაკელთილი || დახელთილი** გაგიჟებულია. უაზრო და ჩერჩეტი ადამიანი **უგონთური || გაუგონთებული || უგონთყოფი || ტეტეჩი || რეტანია**. **გადაჟამყრება** (< გადაჟამყრება), გადაყრება, გონებისა და მეხსიერების დაკარგვაა; **გადაჟამყრ(ე)ბული || გადაჟამყრებული** გადაყრებულ-გადაბერებული ადამიანის ეპითეტია. **გადაოგნება || გადაორგება** დაჩლუნგებაა (იარაღისა) ან გონებისა და მეხსიერებისა. კაცი, რომელიც დაღლილობის ან სიბერის გამო მეხსიერების უნარს კარგავს, **გადაო(რ)გნებულია** (ივრისხ. ფშ.). ადამიანი, „სუყველა რო გულით დეეჯერება“ და გულუბრყვილოა, **ხებემტარია**. გულუბრყვილო, მიამიტი და გამოუცდელი კაცის ეპითეტია აგრეთვე **ბილანი** (შდრ. 20). მნიშვნელობით მასთან ახლოს მდგომია **უბირი**, რომელიც გამოუცდელს, უვიცს, უცოდინარს, ბრიყვს აღნიშნავს და აგრეთვე ღარიბის, უბადრუკის მნიშვნელობაც აქვს. აღნიშნული ლექსემა აგრეთვე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით მემკვიდრეობაში დასტურდება. **უბირი** გონჯის მნიშვნელობითაც გვხვდება. კაცს რომ არაფერი ესმის, ვერაფერს გააგებინებენ და არც არაფერი იცის, **უცოდარი, ბენტერი** ეწოდება. **უცოდარი** გამოჩერჩეტებული, უგონო და ბეჩავი კაცის ეპითეტია შეუგნებელი და გაუგებარი კაცი **უტაბაა**. შეუგნებელ ადამიანს როცა ვერაფერს შეაგონებენ, იტყვიან: **ხითი ქვაზე მაგან არაფერი იცისო**. ანდაზაა: „როცა არ უნდა მინდისაო, ყურებში მნელად მისდისაო“, ან: „დათვს თავშია სცემდიან და – „რას რახარუხ მოდისო?“ **ჩოკი**³² (გადატ.) ბრიყვი კაცია. **წუნტი || წუტი**³³ ცუდი, უხეირო, წუნკალი, სამაგელი, ვერაგი ადამიანია; **სიწუნტე || სიწუტე** სივერაგე, სისამაგლეა. **აწუნტება** არევ-დარევა, ამყრალებაა. კაცი რომ ვინმეს უემმაკებს, **აზნიაო**, იტყვიან: „**ხიბალკუდიანიაო**, ვიტყვით, კაცი რო ვილაცას აზნევს“ (ს. ჯოშარა). „ნათელო, აქ არა მაზნიაო!“ (ს. თხილიანა). **უპირკარო** სიტყვის გამტეხია, მცდენელი მავნე წამხდენი, გამფუჭებულია. **კულა** ჯირკვა, ჩადგმული, ძლიერი და ამტანი ადამიანია.

#317#

გატრიზაგება არაფრად ჩაგდებაა. **გატრუჩვილი, გამტრუჩვილი** ტუჩებ და ცხვირაბზუებული, გაბუტულია. **გაუკმიახება** უკადრისობა, უბრალოსგანა ცხვირის

³² ვირი, სახედარია.

³³ ცხენზეც იტყვიან.

აბზუებაა. **გაუკლოვება** გაუბედურება, გაუჭკოვება, გაცეცრეტიებაა. **ულმად გავლა** – უბარაქოდ ჩავლაა რაიმესი. **გაქმერება** გამეტებაა, **გაქმერებული** გამეტებულია.

ალალ-მართლობის დასამტკიცებლად სიმართლის ნაცვლად **სიალნე** იხმარება. **სიალნე** იხმარება. **სიალნე** ალალმართლობა, გულწრფელობა, სიმართლეა: „მე მაგასთან ალალ-მართალ ვარ, ისე მიშველოს ჩემ **სიალნემაო**, მე მაგასთან ალალ-მართალ ვიყო. ვინ რას დაიჯერებს, მაგით არი ნათქომი, რო: „**ალალ-გულა დაკარგულაო**“. სხვები ჩემზე უარესის გამკეთებია, მაგრამაო, აბა, ნათქომიაო: „ძალს **არიაობა** დეერქვა, **არია**ს ეძახდიანო. წყევაც არი: ჩემ სიალნემა და ლალმა იანსარმა გაუთაოს სუყველაიო“ (ს. გოგოლაურთა).

მიდეგ-მოდეგაია კაცი, ხან ერთს რომ მიემხრობა და ხან მეორეს. შეჩვეულზე იტყვიან, **შაკვეთილი ჰყავისო**. ვისაც შეეჩვია – **შეეკვეთაო**. **მოყენებული** გადმოზირებული, მომხრობილია.

ვინმეს ან რაიმეს პატრონობაზე **ყურის გდება** იციან, **კელის დადება**საც იტყვიან: „**კელ არ დასდვა ექიმმაო**, **კელის დაწობა** რაიმეზე (ნივთზე) ხელის დადება, შეხებაა. **კელ არ დააწო**, – უკრძალავენ ბავშვს შეხებას. **დაუზაკველი** წრფელი, მართალი პიროვნებაა. **გამტრუკვა || მტრუკვა || მტრუჩკვა** გაბუსხვა, განაწყენება, გაბუტვაა. **ჩვინჩვირდაკიდებული** (გადატ.) გაბუტული, დაღონებული ადამიანის ეპითეტია (**ჩვინჩვირი** სახედრისა და ჯორის ტუჩია). გაბუტვაზე იტყვიან, **იმტრუჩკებაო**, **გაბუვდაო** (ბუვდებაო), **გაუწყრაო**. ვინც ადვილად იბუტება, ის **მწყრომელაა**. ანდაზაა: „შაუჭამეთ **მწყრომელასაო**, შაუნახეთ მძინარასაო“. ბავშვები ასე აბრაზებენ ბუტიას: „**მწყრომელაო**, **მწყრომელაო**, ღორებ ჩამამილაღავო“. **აზვაგება**, გაბრაზება, გაგულისებაა. **შუბლკოპიანი** (გადატ.) მრისხანე და ბრაზიანი კაცის ეპითეტია (უფრო ბუნების მოვლენებზე, სტიქიაზე იტყვიან). **ზავთი** მრისხანე, შემაშინებელი და შემამძრუნებელია. შეუზავთავად – შეუშინებლად, თავზარდაუცემლად ყოფნაა.

დოხჭირობა || დოღჭირობა სიდუხჭირე, გაჭირვება, შეწუხება-წვალებაა. **ადოხჭირებო**, იტყვიან, კაცი რომ ვინმეს აწვალებს და აწუხებს. **იოხსნული**, **გატლეკილი** უქონელი, ღარიბი, #318#

ლატაკია. **აინოინი** დარდი, წუხილი, ფიქრია (20, 36). **საჯავრო** სანაღველო, საწუხარი რამეა, ხოლო **საჯაყი** სასირცხვილო, სააუგო. **ურვილი** შეწუხებული, მოწყენილი, დაღონებული კაცია, სახე რომ ჩამოსტირის. **სიცოცხლეგაარმებული** სიცოცხლეგამწარებული, ტანჯულია. **სიცოცხლით სიკვდილიანი** სიცოცხლეშივე მკვდარია (დასტურდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც). **ქოღვილი** დიდი უბედურებით დაჩაგრულია. **ბედნავსი** ცუდი ბედის, ბედდაწყევლილი, მარცხიანი ბედის ადამიანია. **მოდუმებული** ბეჩავი, გაუბედავი კაცია. უმწეო კაცი, რაიმეს გაკეთების შნო რომ არა აქვს, **საჯეკლებია**. ასეთ კაცს დააყვედრიან ხოლმე: როდემდე უნდა **გაჯეკლო** და **გაწეწროო!** **საჯეკლებიაო**, იმ ბატკნისად იციან, რო ვერა-მ სწოვს და ძალისძალათ აწუებენ“ (ს. კუდო). **ჩაჩანაგი** უმწეო, ძაბუნია. **ჩორჩოტი** წვალება, ჩალიჩია. კაცი რომ წვალობს, იტყვის, **ეჩორჩოტობო**.

მალალი || შიშიბელა მფრთხალი, შშიშარაა. „დაგდებულს სუ ბეჩავ კაცზე ვიტყვიო“ (ს. აჯადი). უპატრონოდ და უყურადღებოდ მიტოვებული **ბეჩავ-საბრალო || ძალღუნებურია**. **ქამკარარეული** ბინადრობამოშლილი, მყუდროებადარღვეული ადამიანია; ცუდ გზას რომ

დაადგება ადამიანი, იმაზეც იტყვიან. **მომჟამკრებელი** ყურის მიმგდები, მხარში ამომდგომია. **მიჟამკრაო**, იტყვის ადამიანი, როცა მას ვინმე ამოუდგება მხარში და დახმარებას აღმოუჩენს (**ჟამკრობა**). **ჟამკარი** მყუდროება, სიმშვიდე, გზაკვალია. მყუდროების დაკარგვა კი **ჟამკარის არევაა**. მისი ივრისხეური ფშაური სინონიმია **უკ(ვ)ლო**, რაც გზააბნეულ, უგზოუკვლოდ მავალ კაცზე ითქმის, რომელსაც არაფერი გამოუდის. უშნო, უუნარო და უბედო, უქორწინებელ და უძეოდ გარდაცვალებულ კაცზეც იტყვიან. **გარესამხრობა** გარეთ უსახლკაროდ ცხოვრებაა, ძროხაში, ლაშქრობისას ან მგზავრობისას (შდრ.: 13; 26). **აფრასებული** კაცია, თავად რომ ტყუის და სხვას ადანაშაულებს. უქნელი ზარმაცი, არაფრის გამკვეთებელი ადამიანია.

კვანტიანი ჩამომავლობით უჯიშო, ბეჩავი, დასნეულებული გვარის მემკვიდრეობაა. სუსტი, დაუძლურებული ნაზი და უღონო ადამიანი **უსულჯანოა**. გლახაკი და საცოდავი ადამიანი **დაკამლული**, **ბეჩავ ჭკვისია**. მოუხერხებელი ადამიანი **უხერხო** || **დაკამლული** || **მწერელთშვილია**. **ნაუა** საკუთარი ინიციატივის არმქონე, უინიციატივო, ინდიფერენტული ადამიანია.

#319#

მოშამშული თავისი თავისთვის უხეირო ადამიანია, რომელსაც ქონება აქვს და ვერ იყენებს, ჩაცმა-დახურვის შნო არა აქვს, ვერც ჭამს და ვერც სვამს შნოზე (21, 365). მთიულურ-გუდამაყრულში უსუფთაო, დაუგველი სახლია. **ქოშიმანი** ყოყმანი, მოუსვენრობაა. კაცი რომ ვერ ისვენებს და ყოყმანობს, **ქოშიმანშიაო**, იტყვიან. **ძალდამდნარი** ძალაგამოლეული, ხოლო **თართი** უღონო ადამიანი **გამორჩეული** საზოგადოებისაგან გარიყული, უარყოფითი თვისებების მქონე, ნაძირალა ადამიანია. დასტურდება ამ სიტყვის დამატებითი მნიშვნელობაც. იგი მკვდრის, მიცვალებულის აღსანიშნავადაც გამოიყენება და ტოლებს მოცილებულს, დაღუპულს ნიშნავს: „ძმაო, უდროოდ გამორჩეულო“ (ს. გომეწარი).

გაბლანტვა მოდუნებაა, ხოლო **გაბლანტული** || **გაბლანტებული** მოდუნებულია: „ხაჭო-ერხო **გაბლანტავს** კაცსა“. **გატლუებული** სიმსუქნისაგან მოდუნებულია. **მილუშვილი** სიცხისაგან გარგნებული, მოთენთილ-მიძინებულია. **უჩოქნებსო**, იტყვიან, კაცი რომ ყვინთავს. **მძინარმშუმარა** ძილფხიზლობაში მყოფი, მთვლემარე, ნახევრად მძინარეა. მიუდგომელ, მოუქნელ კაცზე, რომელიც ძნელად ამყარებს კონტაქტს ადამიანთან, იტყვიან: **არაფრის ღვედ არ ეხევაო**. ასეთი ქალი **ხექალია**. ზოზინა კაცზე იტყვიან: **ბაძუბუნობს**, **დოდინაობსო**. ასეთი კაცი **ბაძუბუნა**, **დოდინაა** (შდრ. მთიულ: **ბაძუძაობა** – ზოზინი; **ბაძუძაობს** – ზოზინობს (9, 185). ასეთი კაცი საქმეს სწრაფად ვერ აკეთებს, **ბანდია**, **ვერ ახანებს**. **ყოვთ ამალღება** განუსაზღვრელი დროის მიმანიშნებელია, ეპითეტია საქმის ძალზე გაჭიანურება-დაგვიანებისა: – როდის გააკეთებთ და: ყოვთ ამალღებასაო, – ე. ი. კაცი რომ განუსაზღვრელი დროით გადადებს საქმის დაწყებას ან მის კეთებას აჭიანურებს, იმაზე იტყვიან. **ბუჯახირა** ზანტი, მოუხერხებელი ადამიანის ეპითეტია. (8, 64). **ბაშტიანი** მუცელგაბერილი, ღიპიანი ადამიანია.

გულჩვილი კაცი **საწყალ გულისია**. **გულჩავარდნილი** გულჩათხრობილი, დაღონებულია (შდრ. ზემოთ: ურვილი). დარდიან კაცზე იტყვიან, **გულზე ცეცხლ გადადისო**. გულის მოფონება, გულის გადაყოლება, მოჯერება, **გულის მოფოხებაა**:

„წაწლები მყვანდის, ვიფოხვებდი გულსა“ (ს. შუაფხო). **სალონისი** ის არის, რაც კაცისათვის აუცილებლად საჭიროა, რაც მას ესაჭიროება:

„იმით მიყვარს ცაბაურთა, ქალებ დადის, საცა უნდა,
საწყალ კაცის სალონისი სულ თანა აქვს, რაც-რა უნდა“.

#320#

დარდის მოფონება დარდის შემსუბუქებაა. **ცალგულა** და **ცალაკანაი** ის კაცია, თხოვნაზე უარით რომ არავის ისტუმრებს და მთხოვნელს არაფერს დაუჭერს. **დამჯეროზი**, ვაჟა-ფშაველას მიხედვით, მორჩილი, უფროსების ბრძანების ამსრულებელია (7, 116). **გულით უღონო** მოწიწებული კაცია. ასეთი ადამიანი „ვერც რას დადსწონს (ვერ შეჰკადრებს) ვერავისა“ (ს. ქალილო). **მოჭირვებული** ის არის, ვინც მოითმინა. **ნაწვენცია** ის, ვინც იწვნია გასაჭირი. საცოდავ კაცზე იტყვიან, **ცოდვის კითხვიაო**: „თორმეტ საათზე რაით ჩახვალ დუშეთში, შე ცოდვის კითხვავ? (ს. შუაფხო). **სასულიეროდ** არის სამადლოდ, სულის საცხოვრებლად. **სიფრთხე** სიფრთხილე, მფრთხალობაა, ხოლო **მფრთხალი** ფრთხილი ადამიანია (ან პირუტყვია), შემცბარ-შემშინებულზეც იტყვიან. მისი სინონიმია **შიშიბელა** (მხოლოდ ადამიანზე იტყვიან).

გულისწმა მეხსიერება, მახსოვრობაა. თუ კაცს მახსოვრობა დალატობს, **გულისწმა აღარ მაქვსო**, იტყვის, როცა რაიმე დაავიწყდება კაცს, ფიქრი, საგონებელი წაიღებს, **გულისყურ გამეკაფრაო**, იტყვის: „გულისყურ რაიმ **გამეკაფრვიყო**, სუ გამეკარგვიყო ცხვარ-ძროხები“ (ს. მუქო). **გულიგულში თქმა** გაფიქრებაა თავისთვის.

გულისწასვლაზე იტყვიან, გულ დაუსუსტდაო. **წკერნება** გულის შექანებაა: „**გულმ მიწკერნაო**, იტყვიან შეშინების დროს.

გლა, **გაგლა** თუშურსა და ფშაურში გათელვა, გარეგვა, გათქერვა, ჩეჩქვა, ხეთქებაა; ამავე მნიშვნელობით დასტურდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც. **გაგლილი** გათელილი, დალეწილი, დამსხვრეული, დანაყილი, გარეგვილ-დაჩეჩქილია (შდრ.: 8, 68). მოხეურსა და ქართლურში დანაყვა, დაცეხვა (21). **დაგლა** (მთ., მოხ., ხევს.) დაჟეჟვა, დანარცხებაა. **გლა გულისა**, **გულის გაგლა** ფშაურში დარდისაგან გულის შეწუხება, გულის გათელვაა. **დარდმა გამიგალა გულიო**, იტყვის შეწუხებული ადამიანი (გლა აქეთ-იქით ხეთქება, სიარულიცაა, იხ. ქვემოთ).

სულგასუნთქული სუნთქვა-შეკრული, სულგანაბულია. სულ-ტყავის განაბვა სუნთქვისა და მოძრაობის შეწყვეტაა. **გულგაწყვეტილი** სუნთქვაშეკრულია. **სუნგალის გაწყვეტა** სულის განაბვა, სუნთქვის შეკვრაა (20, 88). ამავე მნიშვნელობით დასტურდება სუნგალის განაბვა: „იმედამ დიდხანს სუნგალი განაბა“ (1, 368, 2).

#321#

სულთაქცევა || **სულისქცევა** სუნთქვაა. **შვრინვა** ღრმა და ნელი სუნთქვაა, ფშვინვაა. **შქუნვა** ქშენაა დარდისაგან შეწუხებულისა. **ამოშქუნვა** ამოქშენა, ამოოხვრაა, დამწუხრებულისა. **შქენა** გაბრაზებით, მუქარით ქშენაა. **ქშუვილი**, **აქშუვილება** სულის ბერვის დროს გამოცემული ხმაურია. **შქრინვა** ჩქარ-ჩქარა სუნთქვა, ქოშინი, ქშინვაა დაღლილისა. **შქრინვით მიდიოდაო**, ამბობენ სწრაფად, ქოშინით მოსიარულეზე. **აშქრინებული**

აქშინებულია, ხოლო აფოთრქლებული დადლილ-აქოშინობულია. კაცი რომ ძალიან ხშირ-ხშირად სუნთქავს, სუნთქვას ძლივს იბრუნებს, იტყვიან: **ლოშქრავსო, ღმუთუნი** ღმუილია.

დათქარუნობს || დათქრიალებს || დათახთახებსო, იმაზე იტყვიან, ვინც სწრაფად და ჩქარა დადის. **ამლათიანი** ფიცხი, ჩქარი, დაფეთებულია. **ამლათი, ამლათზე, ამლათად** ნიშნავს უცბად, სწრაფად, მყისვე. ვაჟა-ფშაველასთან წამის მნიშვნელობითაც დასტურდება: „შვიდთავ მარჯვენა ააჭრა ერთის **ალმათის ხანზედა**“ (8, 38). „**ალმათზე** მივიდა და **ამლათზე** მოვიდაო“ – იტყვიან კაცზე, რომელიც უცბად, სწრაფად მივა და მოვა. მოხეურსა და მთიულურში **ალმათიანი** ფიცხი, ჩქარია, **ცხენი** ან **კაცი** (22, 280). **ნელადმოსული** ახალმოსული, დაგვიანებულია. ასეთ ადამიანზე იტყვიან: **ნელადლა მოიდაო. ნელად** არის გვიან, დიდი ხნის შემდეგ. **ტლიკინი** გადაბოტებით, დიდი ნაბიჯით სიარულია. **ფრატუნი** სწრაფად, მაგრამ ფეხარევით სიარულია. **ნუ გაფრატუნდიო**, ეტყვიან კაცს, რომელიც სწრაფად, მაგრამ ფეხარევით გავა. მაღალი კაცი რომ მიდის, იხლართებაო, იტყვიან. დაბალი კაცის სვლაზე კი ამბობენ, **დაკუსკუსებსო**. ხრაწუკობსო, იტყვიან კაცზე, უშნოდ რომ მიდგება-მოდგება. **ფაჯფაჯი** უხეირო სიარულია. **ცლინჯი** კოჭლი ადამიანია. **კელობა** ოდნავ კოჭლობაა, ხოლო **თარყაუშობა** მეტისმეტად, ძალიან კოჭლობაა. **დაცლინჯავს, დაცლინჯავდა. მითარყაუშობს || დათარყაუშობსო**, იტყვიან, როცა ადამიანი სიარულისას მეტისმეტად კოჭლობს. „**ზლაცუნტაობსო**, ვიტყვით კაც რო უფონთ გადად-გადმოდის“ (ს. მუქო). ოდნავ კოჭლობით მოსიარულეზე კი იტყვიან, **კელობს || მიკელაობსო**. „საქონელზეც ამას ვიტყვით“ (ს. ქალილო). **ჩახუნა** კოჭლი ადამიანის ეპითეტია. **დაჩოყვა** ფეხმტკივანის სიარულია. ასეთ ადამიანზე იტყვიან, დაჩოყავსო.

#322#

გაუკვალავ თოვლზე რომ გაივლის კაცი, იტყვიან, **თოვლს მაძალავდაო. თოვლი მოვლელეო**, იტყვის ამ დროს კაცი. **გაჭლეკვა** კი კვალდაჩნევით გავლაა. **ჭლიკი** (დაცინვ.) ფეხია, აღნუსხული აქვს ვაჟა-ფშაველასაც (8, 332). **განაჭლეკვი** ნაფეხურია; ის არის, სადაც ახლახან გაიარეს და კვალი, ნაფეხური, დატოვეს. **ნავალი** ადგილია, სადაც ადრე გაუვლიათ: „**ნავალ** მაუკვლიეო და არ იყო იქ განაჭლეკვიო“ (ს. თხილიანა). „მაღალ კაც რომ მიდ-მოდის, მაღალ კაჩნ რო აქვის, **დაიჭლიკებაო**, იტყვიან“ (ს. ჯოშარა). ვინც ბევრს დადის, მიუსვლელი ადგილი რომ არ რჩება და ყველგან კვალს, ნაფეხურს ტოვებს, ის **ჭილიკია. ჭლიკაზე წამდგარი || ფხად კარგად მდგარი**, მოკობტავეებულია. ამავე მნიშვნელობით გვხვდება ვაჟა-ფშაველასთან (8). **გაკობტავეებულ-გამოპრანჭული აგრეთვე პეწენიკი || გაპეწენიკებულია.**

გლინვა || გაგლინვა, მიგლინვა ნელა, შეუმჩნეველად წასვლა, გაცოცებაა. კაცი რომ მიპარვით, ჩუმად და ნელა დადის, **მიგლინავსო**, იტყვიან. (შდრ. საბა: **გლინვა** – გველივით გაცოცრება). მიგლინავსო, საერთოდ იტყვიან ჭიაზე ან მწერზე. საქონელზეც იტყვიან, ტყიან ადგილში რომ თვალს მოკრავენ, **გაგლინდაო. გამელუზნება** ნაბვით, ქურდულად გაპარვაა; **გახვეწა || გახვეწება** კი გაცლა, გასხლტომა, გაქცევაა. **გაიხვეწაო**, იტყვიან, როცა კაცი გაიქცევა. **თვალის მოცხება** თვალის მოკვრაა: „სადამ გადაეფარა, თვალიმ ძლივ **მოცხებე**“ (ს. ჩარგალი). **გადამლიავდაო**, იტყვიან, როცა კაცი ღობეს ან რაიმეს გადაეველება თავს.

გადამლიავება მთიულურში რაიმეს გაფლანგვა ან დაკარგვაა (8). უცბად თვალს რომ მიეფარება, **მლიავებაა**: მელია **ამლიავებს** კუდსა (15). **მლივი**, საბას მიხედვით, გალეულს

ნიშნავს (16). **ნატარი** სადმე ნავალი ან ნამყოფი კაცია. **დაწყემსება** ის არის, კაცი რომ კაცს აეკიდება, ან გამოუდგება. **ამოტოლება** გვერდზე ამოდგომაა. **ამოტყვრომა** უეცრად, მოულოდნელად გამოჩენა, თავზე დატყდომაა. **ამოქაქანება** მცირე ხნით შესვენებაა. **დაწირვა**, **გაწირვა** მიტოვება, დატოვებაა (ოჯახის, ცოლის, მეგობრების და ა. შ.). **გადაფრენა** გადახტომაა, **გადარევა** – უცხად გადავარდნა. **დათხევა** პირღებინებაა. **თხევა**, **დათხევა**, **მითხევა**, **გადათხევა** დამალვას, გაუჩინარებას, დაკარგვასაც ნიშნავს. კაცი (ან საქონელი) რომ დაიკარგება, გადაითხიაო, იტყვიან. დაითხიე, ე. ი. წაეთრიე აქედანო, იტყვიან გაბრაზებით. #323#

დაჯაფრვა დალუპვა, გადაკარგვაა. ადამიანსაც ეტყვიან გაბრაზებით: დაიჯაფრე, ე. ი. დაიკარგე, დაილუპე, გადაშენდიო. საიდანმე გამოგდებაზე იტყვიან, **გამოძალღესო**. **აწუხება** ამოძუებაა კულისა. **მამსთხმუზაო**, იტყვიან, ადამიანი რომ ძალიან სწრაფად მოსწყდება ადგილს და გაქანდება. **მოგანძვა** || **დაგანძვა** გადაკარგვა, გაუჩინარებაა. ადამიანის გადაკარგვა – გაუჩინარებაზე იციან, **მაიგანძა**, **დაიგანძაო**. **გაკერება** || **გახერება** უძრავად დგომა, გაშემება (იტყვიან ადამიანზე და საქონელზეც). **გაკერებული** გაშემებულია. **გაკინჯვლა** გზაში უშნოდ, მოუხერხებლად ჩადგომა, გაჩხირვაა. **გახიდვა** გარდი-გარდმოდ დგომაა, გაჯიუტებაზეც იტყვიან. **აკდენა** ასვლა, აყვანაა. **გაკდომა** რაიმეზე გასვლაა (ბოგირზე, ფიცარზე...). **გაკდენა** გაყვანაა, ხოლო **გახედნება** – გახედვა, ცქერა (ნუ მიხედნებ! – ნუ მიცქერი). **ასერის**, იტყვიან, როცა მოუბრისაკენ მიემართება პირი; **ჩასერის**, ამბობენ მაშინ, როცა პირი მოუბრის საწინააღმდეგო მხარეს მიდის. **გლა** ჩეჩქვა, აქეთ-იქით ხეთქებაა. **მოწვეტება** შეხვედრა, თავს წადგომაა. კაცი რომ ბევრს მოძრაობს აქეთ-იქით, ეტყვიან, **ნუ ეგლებიო**. **რაად ეგლები ხე-ქვათაო?! ბწკლევა** || **შეკმაკება** ფორთხვით, ხელ-ფეხის დახმარებით, გაჭირვებით აღმასვლაა. **ბლოტება** ფოფხვაა, **აბლატება** – აფორთხება. **მოფოცხვა** || **დაცოცხვა** || **მოძუძვა** || **მოფხუჭვა** || **მოწყდომა** მოკურცხლვაა. **აყაყული** (< აყაყული) უშნოდ ამართული, ულამაზოდ აყუდებულია. **ყაყვა** ტანის, სხეულის ულამაზოდ მაღლა აწევა, აზიდვაა, მუწუკის ამოზიდვაზეც იტყვიან (იხ. ავადმყოფობის ლექსიკა). ქვემოდან მომავალი კაცი რომ გამოჩნდება, **ამაიყაყვა** || **ამაიყაყაო**, ამბობენ. **წარჩენა** კლდეზე გადადგომა, გამოჩენაა. **ზენაით ჩამოჩნდაო**, იტყვიან ზემოდან ვინმეს გამოჩენაზე. **ჩააჩუგვა** დახრით ჩამალვაა; **ჩაფარება** ჩამალვა, გაუჩინარებაა. **მიმოლანდვა** სიბნელეში გაუჩინარებაა. **ქარის ამოღება** (გადატ.) შესვენებაა მცირე ხნით. **ქარი ამოიღეო**, იტყვიან ამ დროს. **ყელვა** გზის გადაჭრა, წინ დახვედრაა. **ყელუჭნება**, **ყელუჭნაობა** შორიდან, საფარიდან დროდადრო თავ-კისრის გამოყოფით, წამოგრძელებით, ინტერესით თვალთვალი. **მიყელუჭნებსო**, იტყვიან ამ დროს. **კირჯვალა** ერთმანეთის ახირებაა. **კირჯალი** ახირებული კაცია, **ზვერა** თვალთვალია.

მინაბრება || **მიქადლება** || **მირქმევა** მიყრდნობაა. **ზაყება** რხევაა სიარულისას. **ჩაფეცვა** ||

#324#

ჩაფეცვა || **ჩაზაყება** ის არის, კაცს რომ ორმოში ფეხი ჩაუვარდება და გადაიხრება. **ჩაიფეცვაო** || **ჩეუზაყაო**, იტყვიან ამ დროს. ამ მნიშვნელობით **ჩაფეხვა** კახურშიც დასტურდება (21). **ჩაფეხვა** ხმელი ხის ტოტის ლეწა-მტვრევით ჩამოვარდნა-დაცემაცაა. **სკიაობა** სკუპით სვლაა. **სკაპ-სკუპი** ხტომა, **ხტუნვა** - ხტუნვაა. **ბრაცუნობა** ხტუნაობაა. **ცინკილაობსო**, იყვიან კაცზე ცუდად, ზედმეტი ხტუნვა-ხტუნვით რომ ცეკვავს. **ლღვევა** რხევა, ბარბაცი ან ტოკვაა რაიმეზე

დაყრდნობისას. **ამოჭერა** წაქცევისას ფეხების მაღლა აშვერაა. **წამოყუნჭულავება** წამოყირავება, წამოკოტრიალება. გამხლართული კაცი **გამაბულია**. **დაყუნთული** || **დაყუნთებული** ჩაცუცქული ადამიანია; წამომჯდარი, დასკუპებული ძაღლი, ტურა ან ბაყაყი და მისთ. **დაკუსება** ჩაკუზვა, ჩამოჯდომა. **დაკუსებული** ჩაკუზულ-ჩამომჯდარი ადამიანია; **წამოკუსებული** წამომჯდარია. **ასესება** დასუსტებულის ფეხზე წამოდგომა, მომაგრებაა. **ბოწიწკობა** ფეხების მაგრად დადგმა (შდრ. თ. რაზიკ., „ივერია“, № 128, 1900; ი. ჭყონ.): „აპარეკა და იობა წამოსულიყვენ თიობა, აპარეკ თივას მიეგდო, იობა ჩამაჰკიოდა, **უბოწიწკებდა** ვაჟკაცი – ვერაფერ გაუდიოდა“ (ს. გომბორი). **ცუცუნი** ცუნცულია.

პოწოლიკება. **წამოპოწოლიკება** უსაქმოდ, გულარხეინად და მოხერხებულად ჯდომა, წამოჯდომა. **ტრუჭვა** მარტოდმარტო დგომა, ყოფნაა. **ალა-ბალა** ცუდი, უვარგისი, უთავბოლოდ მთარული და დავიდარობის მოყვარული ადამიანია. ადამიანს, რომელსაც კარდაკარ სიარული უყვარს, **მეზობლიაა**. მასზე იტყვიან, **ურიგდებაო**. **კუზუნზურაია** ქალი, რომელიც აღმა-დაღმა სიარულში აღამებს და ერთი მეზობლიდან მეორეში გადადის (ს. მუქო). **დატუნტურობსო** || **ტუნტურობსო**. იტყვიან კაცზე, ბევრს რომ დახეტილობს. **ტუნტური** ხეტიალი, წანწალია. **სოფელა** მოხეტიალე კაცია: **მოჭრიახე** – დაუდგრომელი (25), უგზო-უკვლოდ მოსიარულე, მოხეტიალეა (20). ისეთ კაცზე, რომელიც ერთ ადგილს ვერა თმობს, **გაიბოტიტა**, **ბოტიტობს**, **არა ჩუჩონობსო**, იტყვიან. **გამაემცხევრაო**, იტყვიან კაცზე, რომელიც დიდხანს შემორჩება ერთ ადგილს და აღარ მიდის. ვიწრო ტანსაცმელი რომ აცვია კაცს, მაშინ იტყვიან; **შამომცხევრებულია**, ზედ **შამომცხევრებულ** რაიმე კი ეცვა, ზედ **შამაემცხევრაო**“ (ს. თხილიანა). სულ შინ ვინც არის, ნაცარში ფუტკულაობსო, იტყვიან.

#325#

მოშინარე ის ადამიანია, ვისაც შინ ყოფნა უყვარს, ვინც გარეთ ხშირად არ გადის. მოხეტიალე კაცზე იტყვიან, **მოარულია**. **დაკანკალებსო**, **დეედეტებაო**. ვისაც გარე-გარე სიარული უყვარს, **გაწარამარავებულია**. უსაგნოდ მოსიარულე კაცი **საქმისაგონ დალეული** || **არე-არედ მავალია**. რას **დეედლევეა**, რას **დასალახანაობსო**. იტყვიან უსაქმოდ მოხეტიალეზე.

ტყუილად რომ ატარებენ კაცს, **ტყუილად ავლიაო**, იტყვიან. თუ ვინმეს მოათრევენ, ძალით მიიყვანენ, **ეგ რაისთვინლა მოთარეს აქაო**, იტყვიან. თუ **რადაცა მოათრიეს – ეგ რადა დაგთრავთ**, რას **ითრევთო**. როდესაც კაცი მიდის და თან წასლვა არა სწადია, **წავალ-წავალაა**. **ყელს მიზიდნაო**, იტყვიან, ყელგამოწევით ძალიან რომ ეხვეწებიან.

ფაცი-ფუცი, აქეთ-იქით გაუთავებლად სიარული ფათი-ფუთია. სახლში მრავალი ადამიანის, ბევრი ხალხის შესვლა-შექუჩებაზე იტყვიან, **მოხორხორდენო**, **დახორხორდენო**, **ქუჩობდენო**. **დაჯარება** || **ქუჩობა** შეკრება, ერთად თავმოყრაა ძალზე ბევრისა. ხალხის კრებული და შეკრების ადგილი **ფიხონია**, **საფიხ(ვ)ო**. ხალხის შეკრება და საუბრის გაჩაღება **ფიხონის** გაბმაა. ამ დროს იტყვიან, **ფიხონი** გააბაო. ხალხის შეყრაზე, შეჯგუფებაზე, იტყვიან, **ქურულან მოდიოდენო**, **ქურულან იყენენო**. რომ ქუჩდებიან, ქურულაობენო: იქ რანიმა **ქურულაობდენ**“ (ს. თხილიანა), ე. ი. გროვდებოდენო. **ქურულა** ხალხის ჯგუფია.

ყროლი ზოგადად ცუდია. **სიყროლე** სიზარმაცე, გაურჯელობა, სიცუდე, წამხდრობაა. **სასაცილნო**, **სიცილიანი** აუგი, სასაცილოა. და სიცილი დაცინვაა. **მოსაზმანავი** წინასწარ ნაგრძნობი, მოსალოდნელია (ზმანება). **ზმანება** მოლანდება მოჩვენებაა, ხოლო **ზმანვა** ზომვაა

რაიმესი. **არჯალა** || **გულარჯალა** არის უქნარა, საწყალი, მაგრამ ავი ბუნებისა და გულბოროტი ადამიანი. **არხიმი** ავი, მოჩხუბარი კაცია. **გულანჯახი** გულკერპი, ბრაზიანია. **აბეზარი** ავგული, ბრაზიანია. **ტოტნაჩია** უსაქმური, უქნარა, არაფრის გამკეთებელია, გასაკვილი სიტყვაა. **მარღვიელი** ყროლი, ყიამყრალი კაცია. **მახუხის მოდუღება** გუნების გაფუჭებაა. მახუხი მოუდუღაო, იტყვიან კაცზე, სხვას გუნება რომ გაუფუჭა.

გორნიგობა რაიმეს ატეხვა, დაჟინებაა. **გორნიგობსო**, იტყვიან კაცზე, რომელსაც #327#

ატეხილი აქვს სადმე წასვლა და არ იშლის. **აგორნიგება** აღელვება, შეგულიანებაა.

ააგორნიგესო, იტყვიან იმაზე, ვინც შეაგულიანეს რაიმეს ახირებულად მნდომი კაცი **მუჭუჭია**: „ე კაცი არყის მუჭუჭია“ (ს. გოგოლაურთა). **მუჭუჭი** იგივე მუსუსია. გაჯიუტებაზე იტყვიან, გაინიჟა, ან **ჟიაობსო**, **გაიხიდაო**. **გახიდვა** გაჯიუტებაა, გარდი-გარდმო დგომასაც ნიშნავს. ჯიუტი კაცი, რომელსაც არავისი არ ეყურება, **თავისწვერია**. ჯიბრში ჩადგომაზე იტყვიან, **აიჯიბრდაო**, ხოლო კაცს რომ ვინმე ეჯავრება, გადაეკიდება მას და აითვალწუნებს ან შეიძულეებს, იტყვიან, **ამშუოდა**, **ჰშურობსო**. **აშურება**, ათვალწუნება, შეძულებაა. **მემურნე** არის ის, ვისაც სხვისი სიკეთე შურს. **სიმბულვარე** სიბულვილია. **ყველჯივ** არის ყოველთვის, მუდამ. „უნჯი **ყველჯივ** საჭიროა“ (ს. ქალილო).

ადამიანი ადამიანს რომ ჩაგრავს, იტყვიან: **დაიროლბოტა** || **მასხარად დაიჭირაო**. ვინც დაჩაგრეს, იმაზე იტყვიან, **დაკემჭილი ჰყავთო**, **დაკემჭესო**, **დაიჩეგრა**, **დაიროლბოტესო**. დაჩაგრული კაცი **დახამლული** || **დაკამლული**, **დაკემეცილი** || **ჩამოჩეგრილ კაცია**. **დაკემეცილს** დაბალ, სიგანეზე წასულ კაცზეც იტყვიან. **სიხნეშე** გულმძვირობა, შურიანობაა. ერთი პირი მეორეს რომ არ დაინდობს, იტყვიან: **სჯაათობსო**. **გაფოთებული** რაიმეზე გაჯავრებული, გაბრაზებულია. დარდისა და გაჯავრებისაგან სახეაშლილ ადამიანზე იტყვიან, **აირიაო**, **სინისფერ დეედვაო**. **გახუღუგებული** გაავებული და გაბოროტებული ადამიანია. **გაბორგოგებული** ძალიან გაბრაზებული ადამიანია. **გაფრანგდაო**, იტყვიან მასზე. მეტად რომ გაგულისდება კაცი, გაცოფდაო. ამბობენ. **ცეცხლს-ნავთის ყრა** (გადატ.) ძალიან გაბრაზება, განრისხებაა. ძალიან ავ კაცზე იტყვიან, **ცეცხლ-ნავთია**, **ღვთისპირის მკაწრავიაო**. **მომუშტავე** მოჩხუბარი კაცის ეპითეტია. **დამცარავი** ამრევ-დამრევი, წამხდენია (შდრ: 9). ცუდ კაცზე საერთოდ იტყვიან: **ემმაკთ გაკრული** || **მავენე** და **მაცილიაო**. **ჩიჩხაოტი** საქმის გამომკვიდეები კაცია, კაპიკსაც რომ არ შეარჩენს ვინმეს (20). **მაიჯენჯა** || **გული მაიკორკოტაო**, იტყვიან კაცზე, წადილს რომ შეისრულებს. ერთმანეთის ამყოლ-დამყოლებს **ტოლუმბაშებს** ეძახიან. **მიმდგრები** ერთმანეთის მხარდამჭერებია. ძალიან კარგ ურთიერთობაში ვინც არის, ისინი **მიმყოლ-მიმყოლნი** არიან.

გაბერძალღებული არასერიოზული, თავქარიანი, გარყვნილი, ყველაფერს რომ იკადრებს, ისეთი კაცია. **მაბრმაყრუებელი** სხვისი გამბიაბრუებელი, გამაბრიყვებელი, სხვისი #327#

გაცურების მოყვარული ადამიანია. **შაიცდაო**, იტყვიან მოტყუებულზე, როცა პირდება და არ შეუსრულებს, იტყვიან, გაუმტყუენდაო. კაცი რომ მოიტყუილებს, იტყვიან: **უტყუენავო**. კაცი რომ რაიმეს წაიღებს და აღარ მოიტანს, იტყვიან: **ნაწლეფჩი გაიჭირაო**. **თავისთვის წკავისო**, იტყვიან იმ ადამიანზე, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავისთვის, თავისი ოჯახისათვის

ზრუნავს. მუნწ კაცზე იტყვიან, წუწკიაო, წაწვენშილ კაციაო, თავისთვინაიაო. წაწარაქი ძალიან მუნწი ადამიანია, კაცს, რომელსაც არასდროს არაფერი ემეტება, ქვახარშიაი ეწოდება.

რამეს მითვისება-განადგურება გახაციცებაა. „სხვათ რო რას წაართმევ და გაიყოფენ, იტყვიან, რარიგა გაიხაციცესო“ (ს. უძილაურთა). **ბაჯვა** მალვა-პარსვით გაუბარაქოვება რაიმესი (25). **აშოშება** მოტყუებით რაიმეს მითვისება გამოძალვაა. **კანტალა, ჯრუწი და ქურდკანტალა** ქურდბაცაცა ადამიანია. სახლი რომ ვინმემ გატეხოს, პატრონი იტყვის: **სახლ გამიწრუწაო. ხრუწვა || ჯრუწვა || დაწრუწვა** ქურდობა, პარვაა (თ. რაზიკ., ქართული ენის საუნჯის მასალად, „ივერია“, № 157, 1900). **გახარსვლა** გაფცქენა-გამარცვაა. **გაქურდვილი** გამარცვულია: „გაქურდვილილა არი ეკლესია“ (ს. ჯოშარა). **ციცა** ეპითეტია ქურდი და ცბიერი კაცისა. **თავარიდებული** ფირალად გავარდნილი დეზერტირია. **დაცქერენა** დასხლტომა, დამპრენაა. **დაქყვენვა, ჭყვენვა. გადაქყვენვა** გულდასმით ძებნა ჩხრეკა, გადაქოთებაა. კაცი რომ გაფაციცებით რაიმეს ეძებს, **ეჭყვენებაო**. იტყვიან. **მოძებარი** მძებნელია ზოგადად. **დაჯელვა || მოხელვა** მონახვა, პოვნაა ერთზე მეტისა. დასტურდება ფშაურში, თუშურსა და გუდამაყრულში. **დაჯელვა** ქიზიყურში ბალ-ვენახის მოვლა, დახელვაა; ცომის ან ლაფის ხელით მოხელაა (21, 201). **კაპარჭის მიკრვა** გამორჩენა, გამოძალვით გამდიდრება, გასუქებაა. **კაპარჭს იკრავსო**, იტყვიან კაცზე, სხვისგან გამორჩენით, გამოძალვით რომ მდიდრდება (შდრ. საბა: კაპარჭი – ისართ ქარქაში). **კაპარჭი** ფუტკრის საშოვარია, ფეხებით რომ მოაქვს (თ. რაზიკ., ქართული ენის საუნჯის მასალად, „ივერია“, № 132, 1900). ვინმეს მუშაობაზე, ვინმესგან სარგებლობის მიღებაზე იტყვიან, **კარგა ჯელ მაძყარაო**. ვისაც ამუშავენ, ის **ჯელ-ბიჭაია**.

ქევხა მდიდარი, შემღებული ადამიანია. ასეთ ადამიანს **გამხვივნებულები** ეწოდება. **ჭაჭან-ღივ-დაურჩომელი** არის კაცი, რომელსაც არა აბადია-რა, **ჭაჭან-ღივ** არა იზადებაო, ე.ი. #328#

აღარაფერიაო, იციან. **შაწყლები** (< საწყლები?) იმ ოჯახის წევრებია, არაფერი რომ არ აბადიათ (ს. საკობიანო). **სიქევხავე** სიმდიდრე, შემღებულად ცხოვრებაა. **ჯელგულგამილილი** ხეგამილილი კაცია, **სხვათა ბარაქალაზე მორაულია**. ასეთ კაცზე იტყვიან, **სხვათა ბარაქალაზე დადისო. დარუყება** კეთილი ცხოვრების მოშლაა (შდრ.: 13, 25). **სხეპვა** თავდაუზოგავად სმანა: „დავითოსას სხეპვენ“ (ს. შუაფხო). **ამტყვერცილი, გამორტყრუშული** გამოწითლებული ან გამომთვრალი ადამიანია. **გამტყვერალი** ზომაზე მეტად ნაქეიფარი და კარგად გამომთვრალია. **გაჟიფივიებული** კარგა მთვრალია. **ხვრემა, დახვრემა** ხარბად ჭამა, შეხრამუნებაა. **მხვრემელი** ხარბად, ხრამუნით მჭამელია. **დატიკვა || მოსნიკვა** გაძლომა, ბევრი ჭამისაგან გაბერვაა, ხოლო **დატიკული || მოსნიკული** ბევრი ჭამისაგან გაბერილი ადამიანი ან საქონელია. **ჭუჭუნი || დაჭუჭუნება || დაჭუჭუნება** დაწაფება, დაწაფებით სმანა³⁴. კაცი რომ უცბად და ხშირ-ხშირად სვამს, **წყალს ბლექსო**, იტყვიან; **უწყლო ყაურმა ჭამაო**, – ესეც იციან. **შხვლემა** ბევრის ჭამაა ხმაურით. **რასა-მ წხვლემ მანდაო**, იტყვიან კაცზე, რომელიც ბევრს ჭამს ხმაურით. **შხლამუნი** ხრამუნია ხილის ჭამის დროს. **თავმუცელჩამოცმული** გაბმით მჭამელია. **გამობურთვა** ზომაზე

³⁴ **ჭუჭუნა** თიკუნიცაა ბევრის მსმელისა.

მეტად ჭამაა. კაცი რომ ბევრსა ჭამს, ეტყვიან: რა **თავ-მუცელ ჩამაიციო. ახალაწნება** დანაგვიანება, მონაგვიანებაა. **ახალაშნაო**, იტყვიან კაცზე, როცა რაიმეს მონაგვიანებს. „რარიგა **ავახალშნე** აქაურობა“, – იტყვის ამ დროს კაცი. **ცქლეფა** ის არის, ძალიან ან კატა რომ ჭამს ან სვამს რძეს. **იშტა** მადაა. **სარგო** სასარგებლოა. **უნაყროა** კაცი, რომელსაც დილიდანვე არაფერი უჭამია. **უნაყრო** კაცი **უნაწილოა**. **მშიერა** მშიერია.

კაცი, რომელიც ისე იქცევა, თითქოს ბუზიც არ აუფრენია, **თავი დაიყენაო**, იტყვიან, **დიდად აყენებს თავსაო**. ნებივრობაში და განსაკუთრებული ყურადღებით გაზრდილი ადამიანი **გასასანატებული, სასანატოვ გაზდილია**: „**სასანატოდ** გაზდილია ჩემ მმა“ (ს. გოგოლაურთა). კაცზე, რომელსაც განსაკუთრებით პატივს სცემენ, იტყვიან: **აბედენავებენ, გააბედენესო**. რა ბედენააო, იტყვიან ადამიანზე ან საქმეზე, რომლის განსაკუთრებით გამოყოფა არ უნდათ.

#329#

გზიანი გონივრული, გამოსადეგია, ხოლო **თავგზიანი** კაცი გონიერი, უნარიანი, გამოსადეგი კაცია. **გავედა** გავლენაა. **გავედიანი** გავლენიანი კაცია, რომლის სიტყვასაც ფასი აქვს. **ველშეუქცევი**, **ხელშეუბრუნებელი**, **საპატიო პიროვნებაა**. **დამრიგები** დამრიგებელია. კაცი რომ ვინმეს არიგებს და არ უჯერებენ, იტყვის: მე ვიყო უვალოო, ე. ი. ჩემი ბრალი არ იყოს, რომ გარიგებ და არ მიჯერებო. **მაცოდარი** განათლებული, მცოდნეა. **მაცოდრობა** განათლებულობაა: „**მად გამოჩნდება ამის ნასწავლობა, მაცოდრობა**“ (ს. ქალილო). **ბედ-ბოლო** ბედ-იღბალია. ყისმათი ბედია. ბედიღბლიან კაცი **ყისმათიანია**. ბედს **დავლათსაც** უწოდებენ **დავლათიანიაო**, იტყვიან ბედნიერ კაცზე ბედ-იღბლიანი კაცის ეპითეტია აგრეთვე **ეტლიან-დავლათიანი**. უბედური ადამიანი **უდავლათო, უყისმათოა**. „წყევაც არი: „შე უდავლათოო“ (ს. თხილიანა). **მოხიბლვა** დანავსვა, მოჯადოება, საქმის გაუკუღმართებაა. **მოხიბლული** მოჯადოებული, დანავსულია. კაცს რომ შვილ-ბოლო ამოუწყდება და აღარავინ დარჩება, მასზე სიბრალულით იტყვიან, **შე უდავლათოო**. **ახალგაზრდა ცოლ-შვილ მიცვალებულ ვაჟზეც** იტყვიან, **უდავლათოო**. **ბედმწარე** ბედშავი, ბედუკუღმართი, უბედურია. **ალაღებული** || **გალაღებული** ლაღი, გათამამებული, გაამაყებული ადამიანია (მდრ. საბა: ალაღება – ლაღად შექმნა). **თავმამწონარა** თავმომწონე, ამაყია.

სურვილი სიყვარულია. **მოყვარე** შეყვარებულია. **ნასურვილევი** სიყვარულით გამოწვეული, ნასიყვარულევი. ძლიერ გადამეტებით სიყვარულზე **ფეთა-საც** იტყვიან: „**დედის ფეთა** სჭირსო“; ისე უყვარს, რო **ფეთავა** სჭირსო“. **წერის მოხდა** თავს შემოვლებაა. **წერა მოგხადეო**, ნიშნავს: გენაცვალე, თავს შემოგვევლეო. **სურვილება**, **მოსურვილება** ალერსი, სიყვარულობა, მოსიყვარულეობაა. **დატოლება** მიხუტება, მიაღერებაა. **მიჩუგვილი** მიხუტებული, მიყუჩებულია (20). **გამტლოშვა**, **ტლოშვა** მეტისმეტი კოცნაა. **ნიაზი** დიდი სურვილია. **ნიაზობა** საჭიროება, სურვილია. ა. შანიძეს მითითებული აქვს ამ სიტყვის სპარსული წარმომავლობა (22, 392). **სახარო** სასიხარულო, გასახარებელი; ხოლო **სანიაზო** სასურველი, სანატრელია. **მონიაზე** მოიძედე, მოწადინე, მომავლის რწმენის მქონე ადამიანია. **უსურგ-მდომელი** რაიმე სურვილის უქონელია. **ლიდარი** სურვილი, ნდომა, წადილია.

აბირებული სურვილადმრული, მონდომებულია. ხოლო **ამეგზნარი** აგზნებული, ანთებულია
#330#

არშიცი შეყვარებულია. ქალების მოყვარული, ქალებს გადაყოლილი კაცი მექალთანეა. დაწუხება მონატრება, ნახვის, შეხვედრის ძლიერი მოსურნეაა. დაწუხებული მონატრებული, ნდომადრულია. მოსაკლისება ის არის, ვინც რომ დააკლდებათ თვალში. „სოფელი რო კაც მოიკვეთავს, უკუთვნილო ქალთან ან ხატთან რო ექნება დანაშაული, სამანის ჩაგდება ჰქვია“ (ს. შუაფხო). სამანი ყანებს შორის საზღვარიცაა (იხ. მიწათმოქმედების, მემინდვრეობისა და პურეულის ლექსიკა). დანასაკლისი ზარალი, დანაკლისია. მოშრეტა ძალიან დაზარალება – დავსება-დაქცევაა. კონტი მოფიქრებული საპირისპირო ხერხი, ქცევაა (20, 68), კუნკური ქნევაა რაიმე ჩამოკიდებულისა. გაქინძურავება გაქნევა-გაქანავებაა. კურცხლვა ღაპა-ღუპით ცრემლის ღვრაა. (კურცხალი || კურხალი || კოწოლი || წკინტოლი ფშაურში ზოგადად წვეთს აღნიშნავს). ახასტად არის უცბად, უეცრად, ხოლო წარზე || წარზედ – კარგად, რიგიანად: „გაუკეთებავ წარზედა“ (ს. გომეწარი). ახად არის ჯეროვნად, სამართლიანად, შესაფერისად; ახში ნიშნავს: როგორც იქნა, ბოლოს, დასასრულ, უკანასკნელად. ბერყაბულად არის დანდობით, მოულოდნელად (20). ამავე მნიშვნელობით ქიზიყურსა და ქართლურში დასტურდება ბერყაფულად (21).

მოხილება ხილვა, ნახვაა. მოხილებული ნანახია. სინჯვა || შინჯვა, ნახვა, ყურება, ხედვაა. სინჯავს || შინჯავსო, იტყვიან, კაცი რომ რაიმეს (მაგ. სიზმარს) ხედავს, უყურებს, ნახულობს. მშინჯავი არის მაყურებელი, მხედველი, მხილველი. სასინჯად || შაშინჯად არის საყურებლად, სანახავად.

ციცაობა თვალების ციმციმი, დაკვესებაა (პირუტყვზე და ნადირზე უფრო ითქმის). დაჭუხვა თვალის დახუჭვაა. ქვეშიდან მალულად გახედვაზე იტყვიან, გამაძაგვლინა თვალნიო. როდესაც თვალს განგებ აირიდებენ და არ უნდათ დანახვა, იტყვიან, თვალთ არ უყრისო, არ გაუყარნა თვალნიო. შორს მხედველი კაცი და ღამემხედველი მარღია (ცხენის ღირსების შესაფასებლადაც იციან, მარღიაო). ბინდურაა ის კაცი, რომელიც შორს ვერა ხედავს და ვერც მობინდებისას. ტყვრეცა, დატყვრეცა თვალების დაჭყეტა, ფართოდ გახელაა, რას მეტყვრიცებო. იტყვიან ამ დროს. დამდერიალება || თვალთა ტორღალი თვალის დაბრიალებაა. მიმდერიალებსო, იტყვიან, როცა უბღვერენ. დაჯერება თვალების დაშტერებაა. ტრება ბრიალია. თვალების ტრება თვალების ბრიალია. „ნუ მიტრებ ემაგ თვალებსა“ (ს. გოგოლაურთა).

#331#

თვალის მოკილვა თვალის ჩაკვრაა: „თვალს მიკილავდა, თვალ ჩამიკილაო“. თუ არ ესიამოვნებათ, იტყვიან: რა თვალთა-ჲ ჰკრინტავო, გალანძღავენ. თვალის მოჭუტვაზე იტყვიან: მოჭუტლა, მოკრინტაო. „მოკრინტვას იმაზე ვიტყვით, კაც რო თვალს მოჭუხავს. ცალ თვალ მოკრინტაო, ვიცით“ (ს. თხილიანა). დაბლეტა თვალების გადმოკარკვლა, დაბრეცაა. კაცს რომ თვალები შეშუპდება, დაგუდლებულიაო, იტყვიან. დაგუდლება თვალების შეშუპებაა, თრთიალი თრთოლა, კანკალი, უნებური თამაშია თვალისა. დასტურდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში (8, 144).

დაბურვა შექმუხვნაა შუბლისა ან წარბებისა. დარიშხვნა, ჩაწირვა დაწყევლაა. წყევლაზე იტყვიან, აბუნდოებსო. დარისხება ხვეისბრის წყევლა, შერისხვაა. შიშვა დაშინებაა. დაგშიშეო, იტყვიან ამ დროს. დატუნტურება დაქნევაა. ლეჩაქის მოხდა შერცხვენა,

სირცხვილის ჭმევა, სააუგო საქმის დამართებაა. **ლეჩაქი მამხადაო**, იტყვიან ამ დროს. **დაზურტუხება**, **ზურტუხი** საცემრად დატევება, დამუქრებაა: „ი ქალამ ჯოხით **ზურტუხვა**“ (ს. აჯადი). **მუქარის დათხოვნა** დამუქრებაა სიტყვიერად. **მუქარა დამთხოა**, ე. ი. დამემუქრაო, იტყვიან. **მემუღლარი** შუღლის ჩამომგდები, ჩხუბის ამტეხია.

სიგრიგელა ჩხუბი, ორომტრიალია (თ. რაზიკ., „ივერია“ № 168, 1900; 26). **სიგრიგელას მოსვლა** ჩხუბში, ორომტრიალში ჩარევაა; ცეკვის დროს ორომტრიალში ჩართვასაც ნიშნავს. **დამსხიტურება** ჩასაფრება, მიპარებაა შესაპრობად ან მოსატაცებლად. დაგანება დაღირება; **დამიზნება** დასარტყმელად, საჩხუბრად გაწევაა. **გადარევა** უცბად გადავარდნა, გადაშვებაა. **მიტორვა** მიტყეპაა, **ტორი** მუშტია, **ტორვა** ხარბად ჭამა, ყლაპვაა. **ჩხუბის გახდომა** ჩხუბის დაწყებაა. ჩხუბის დაწყებაზე იტყვიან, **ჩხუბ გაუხდაო**, **ჩხუბად გახადესო**, საჩხუბრად ვინც იწევს, **იზიდება** || **იზწვენება** || **იზლიძება**. **იზლიძებაო**, იმაზეც იტყვიან: ვინც ხმამალა ყვირის. გააფთრებით მოჩხუბრებზე იტყვიან: **მაძხვდენ ერთურთსაო**. ხელით მოჩხუბარი დედაკაცი **კაწარაა**; **დააყენე კაწარებიო**, ეტყვიან მას. მაგრად ცემაზე იტყვიან, **დაბნიდაო** || **დაჟეჟაო** || **დატყიპაო**. სილის გარტყმაზე იტყვიან, **შამაწინწელაო**³⁵, დაწინწლაო, #332#

დამსტყლიშნაო, **დაალაფათაო**, **დაუკელუკუდმართაო**, **დაუსილაქაო**. **ზუბნა** დამღეულის, დამორჩილების ცემით დაქცევაა. **დამალვა** || **მომალვა** მორევა, დამღევაა. **ბღანძულაობა**, **გაბღანძულავება** ხუმრობით ჩხუბია ბალღებისა, ერთმანეთის დატორვაა. **გამუშტვა** მუშტით ცემაა. **აზარი**, **აზარის ათავება** სიკვდილის მოწევაა: „დაზარალდება რითიმე, მოუკვდება ვინმე, დაიცარება, დავარდება უკენ, მაშინ ვიტყვი: **აზარი აუთავდაო** (22). „**აზარს** შეადგენს ასი წმინდა, ჩლიქგაპობილი ნადირი. კურდღელი, მელი, მგელი, და დათვი არ ითვლებიან (ვაჟა-ფშაველა). „**აზარს ათავებს** – ას წმინდა ნადირს მოკლავს (ყოველი აზარის ათავების შემდეგ მონადირემ თოფი მიწაში უნდა დაფლას სამი დღით)“ (24, 27-33). შდრ. საბა: **აზარია** – შემეწია უფალი.

სხვა მთიელთა მსგავსად **მოსისხლეობა** ფშაველებსაც ჰქონდათ ჩვეულებად. „სისხლი სისხლითვე იზღვისო, იცოდინა“ (ს. მუქო). **თავსისხლი** მოკლული ადამიანის სისხლია, რომელიც ან ისევ მკვლელის მკვლელობით უნდა ანაზღაურებულიყო, ან გარკვეული მატერიალურ-ნივთიერი საზღაურით, რასაც საამისოდ გამოყოფილი პირები გადაწყვეტდნენ. ასეთივე ანგარიშსწორება იცოდნენ დაჭრის დროსაც. ჩამომავლობისა და გვაროვნების მიუხედავად ჭრილობით მოკლული შეფასებული იყო 80 ძროხად ან 360 ცხვრად; მთელი ხელი დაფასებული იყო 15 ძროხად. **ნეკი** ღირდა ერთი ძროხა, იმის მოყოლება თითი – ორი ძროხა, შუათითი – სამი ძროხა, საჩვენებელი – 4 ძროხა, ცერი – 5 ძროხა. პირისახეზე ჭრილობა ნაზღაურდებოდა იმდენი ძროხით, რამდენი მარცვლეულიც დაეტეოდა ჭრილობაზე (შდრ.: 4; 5; 6; 7; 8). ეს იყო **თავსისხლის ღირებულება**. ამას გარდა, როგორც ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, შერიგების შემთხვევაში მოკლულის ნათესავები მკვლელს ართმევდნენ იმ ნივთებს, რაც მოეწონებოდათ. ეს იყო **ყისტი** || **ალმანია ყიშტი**. **ყისტად მოდება** რაიმე

³⁵ წინწელი || წინწალი, წინწკლი || წინწალი ცეცხლის ნაპერწკალია.

მიზეზის გამოძებნა და აშარებაა. **ყისტად მოუდებსო**, იტყვიან ამ დროს. **ალმანიაში წართმევა** და **ყისტად მოდება** სინონიმებია. **ალმანი** დაჭრასა ან მოკვლაში შესარიგებლად აღებული **საზღაურია**. მაგ.: კარგი იარაღი, ცხენი, მამული და სხვ. „ფშავლების ძველის სამართლის ძალით, ვისი იარაღითაც კაცი მოკვდებოდა, სისხლი იარაღის პატრონს უნდა ეზლო, თუნდ იარაღი სხვას ეხმარა“ (7, 36). ამ საზღაურს **ალმანი** ერქვა. ალმანიას არ ექვემდებარებოდა #333#

სახელოვანი და ხევისბრის მიერ დალოცვილი იარაღი. ვინც ასეთ იარაღს ყისტად წაიღებდა, **ყისტს მოუდებდა**, მას ხევისბერი დაარისხებდა.

სერიოზული და ჩამოყალიბებული ადამიანი **დაბრძნილია**. **გუნებამძიმე** დინჯი, წყნარი, აუღელვებელი ადამიანია. გონიერი და ბევრის მცოდნე ადამიანი **მაცოდარია**. ძალიან გონიერ ბავშვზე იტყვიან: **ერთხელ გაზდილ-დაბერებულსა-მ გავო**. კაცი, რომელსაც **საჯაფო** (სატანჯი) საქმის გაკეთება არ ეზარება, **გულდანდობილია**. კაცი რომ რაიმეს ჩაჰკირკიტებს, **ჩაჩმუისო || ჩაფჩმუისო || ჩაჩმუვისო**, იტყვიან. ასეთ კაცს მიმართავენ: „**რა ჩაფჩმუვი**, რას ჩაფჩკირკიტებ“-ო. კაცი, რომელიც არ ისვენებს, არ **დაცოტდებაო**, იტყვიან. **ბაძუძნობა** (ივრისხ.) || **ბუჯბუჯი, ცუხცუხი** (არაგვისხ.) ფუსფუსია: „**დღეს სუ შინ ვიბუჯბუჯეო**“ (ს. თხილიანა). „**კაცი სულ რო ფუსფუსებს, იტყვიან ბაძუძნობსო**“ (ს. არტანი). **მუჭლთ არ მაიჭრის, ჩუჩუნებსო**, იტყვიან ადამიანზე, სულ რომ ფუსფუსებს და საქმეს აკეთებს. **ცუხცუხი** მუდმივი ფუსფუსი და სიარულია. „**ვინც დაფუსფუსებს, დადის, ცუხცუხას ვიტყვით**“ (ს. უძილაურთა). წვალობაზე იტყვიან, **ღონწიალობსო, ღონღიალობსო**. თუ რამე შეერგებათ, იტყვიან: **ისე მივითვალეო, ე. ი. ისე მივიღე, მითომ დამაჩნდაო**. „ორივეთ საქმე რომ არი ოჯახშია და ერთს რო აჰკიდებენ, **დამწყრალებაა**: მე რას **მამწყრალებ**, ორთავ შამოიტანოთო“ (ს. თხილიანა). საჩუქრის უკან დაბრუნებაზე იტყვიან, **პატივ უპატიოდ გამიხადაო**.

აშომოფინებული || აშომფინავებული ატაცებული ადამიანია. „**აშომოფინავებულს** იმაზე ვიტყვით, თავის ჭკუაზედ ყველაის მოსწრება რო უნდა. რო არა სიამოფინებდეს კაცსა და იმ საქმეს აკეთებდეს, იტყვის: **რას-რა გავზიდავ, ნეტა რად-რა მინდაო?**“ (ს. კუდო). **რამეს გაზიდვა** საქმის იძულებით კეთებაა. **დახალისება** საქმის ხალისით კეთებაა. **დახალისებული** კარგი საქმის ეპითეტია. კაცს რომ საქმე არ უფასდება, იტყვიან: **დახედვა არა აქვო**.

დღეჟამი დროა. **დღეჟამის ლევა** დროის კვლაა. კაცი, რომელიც დროს აცდენს, **დღეჟამლეულაობს**, ეტყვიან: **ნუ დღეჟამლეულაობო**. **გაქირი, გაქირი გასწიაო**, იტყვიან ცუდლულტ ადამიანზე ან საქონელზე, რომელიც ჯიუტობს და არაფერს აკეთებს (ივრისხ.).

ყუდება უსაქმოდ დგომაა. **ყუდია** დროის მფლანგავი, უსაქმოდ მდგომი ადამიანის ეპითეტია, თიკუნიც არის, ხოლო **ცივოფლა** და **უოფლო** ზოგადად ზარმაცი, უქნარა #334#

ადამიანის ეპითეტია. **გაურჯელი** უსაქმო კაცი ან ქალია. **გააზაქრებული** გათამამებული, გაზულუქებული, გაზარმაცებულია (უფრო ცხოველზე ითქმის).

უსაქმო კაცი **საქმი-საგონ-დალეულია**. **უსაქმისაგონოა, უსაქმ-უსაგონოა, სალახანაა**. რას დეელღვევაო, რას დასალახანაობსო, იტყვიან უსაქმოდ მოხეტიალეზე. არაფრის მაქნისი ქალი **უკვლთურია**; კაცი კი, რომელსაც არაფრის გაკეთება არ ემარჯვება, **უკეთებელია**. **უსაჯური** გაურჯელი კაცია.

„ატუტრუცანავებულია თავმომწონე რო არი და არფერ კი არი“ (ს. კუჭეჭა). **სარაკუნაი** არამკითხე მოამბეა, რომ არ ეკითხებიან და მანინც ლაპარაკობს, **დასარაკუნაობს**. სიტყვას რომ არავის უთმობს ასეთ ადამიანზე იტყვიან: ლაშჩი ჩაუვარდება კაცსაო. კაცი მომეტებულად რომ ალაპარაკდება, **აჩიჩქავდაო**, იციან. ის, ვინც ბევრს და ამასთანავე სწრაფად, ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობს, – ლოლოფქრობს: „**კაც ლოლოფქრობს, რო აჩიჩქავდება**, ჩქარ-ჩქარა რო ლაპარაკობს. წყალზეც ვიტყვით, რო ისე მოდიოდა, რო ლაშშია სუ აი, ლოლოფქარ მამაყარაო. **ალოლოფქრდა** მდინარეო – ძალიან ადიდდაო“ (ს. თხილიანა). **ენაპირიანი** კარგი მოლაპარაკე, მარჯვე სიტყვა-პასუხის პატრონია.

აძრახება, (აძრახდომა) || **აზრახება** || **აჩქარება** (მთიულ., მოხ., ხევს.) და თუშურის მსგავსად, ხმის გაცემა, დალაპარაკება, შესიტყვება, შეხმინებაა. **ასძრახდაო**, იტყვიან, კაცი რომ ვინმეს დაელაპარაკება. ხმის გაცემაზე იტყვიან, **ამჩქამდაო**, **ამძრახდაო**. **არა ვძრახო**, იტყვის, ვინც ხმას არა სცემს, ე.ი. ხმას არა ვცემო. **არა მძრახსო**, – ხმას არა მცემსო. კარებიდან რომ ვიღაც შემოიძახებს, **შამამიძრახნაო**, იტყვიან. „**მოსძრახვენ** || **მაძრახვენო**“, იტყვიან, როდესაც რაიმე მოსალოდნელ ამბავზე წინასწარ საუბრობენ. ლაპარაკზე იტყვიან, **იუბნაო**; მაგრამ დღეს (აწმყოში) – ამბობსო; მომავალ დროში ე. ი. ხვალ – **იუბნებსო**. **ჩუბჩუბი** || **ჩუფჩუფ-ყურყური** ჩურჩულია. „**ჩუფჩუფ-ყურყურსა** ქვეყანა ამაუგდავო, – ნათქომია“ (ს. შუაფხო).

ქოთი ბევრი ლაპარაკის მოყვარული ადამიანია. **ქოთობა** || **ქათქათი** || **თაქთაქი** უზომოდ ბევრი ლაპარაკი, ხმაურია. **ქოთობს** || **თაქთაქებს** || **ქათქათებსო**, იტყვიან ადამიანზე, ბევრს რომ ლაპარაკობს და ხმაურობს. **მომახური** ის არის, ვინც იძახის. მოტირალი ის ადამიანია, ვინც მიცვალებულს დასტირის.

#336#

ვისაც ბევრი ლაპარაკი, **როტვა** უყვარს (**ბევრს როტავს**), საროტელას (< საროტველა) უწოდებენ (ს. თხილიანა). ლაქლაქა და ყბედი ადამიანის ეპითეტია აგრეთვე **ენაკვესია**. ძალიან მოლაპარაკეზე იმასაც იტყვიან, **ჭიჭინებსო**. **ჭიჭინი** გაუთავებელი ლაპარაკია. მოლაყბე ადამიანზე იტყვიან: გადადსც-გადმადსცემს, **ქათქათებსო**. **აწი-ოწი** წივილ-კივილია. **ჩხივილი** || **ჭყივილი** წიოკი და ხმაურია. წიოკობას **წკრტალიც** ეწოდება. ქიზიყურში იგი შუშეულის გაბზარვის ხმაა (11). **ყვიტყვიტი** ზედმეტი ლაპარაკი, ტრახხი, თავმომწონე ხმაურია კაცისა. **ბუქვი** ბაქია კაცია. რომ ბაქიაობს, იტყვიან, **დააბუქვაო**. „მეტს რომ ლაპარაკობს კაცი ან ვიღაცას წყევის, ბაქვას ვიტყვით“ (ს. უძილაურთა). **ჭორიკა** || **ჭორტიკა** || **ჭორტიკანაი** || **ენაკაჭალა** ჭორიკანა ადამიანის ეპითეტებია. ასეთ კაცზე იტყვიან, **ატანტალებს ენასაო**. რაიმე სალაპარაკოდ რომ გახდება, იტყვიან, **სასაუბროდ გარდაო**. სიტყვით **ჯლუგნვა** ჭორაობაა. **პირში გაჩრა** სალაპარაკოდ გახდომა, დამრახვა, გაჭორებაა. **პირში გამიჩარესო**, იტყვის დამრახული ადამიანი.

დამცრობა დამცირებაა. **პირის დაყოფა** კაცის ლანძღვის დაწყება, პირის წაკიდებაა. კაცის ლანძღვას რომ შეუდგებიან, იტყვიან, **დაყვა პირიო**: „დავჰყოფ პირსა და გავლანძღავ“ (ს. გოგოლაურთა). სულ რომ ილანძღება, იმ კაცზე იტყვიან: **უპირკარაო**. **მცვრევა** (გადატ.) უჭკუოდ, უთავბოლოდ ლაპარაკი, მიდებ-მოდებაა. **ნამცვრევი** უჭკუოდ, უთავბოლოდ ნალაპარაკებია. **პირს დარჩენა** სიტყვის მოულოდნელად შეწყვეტა, სიტყვის პირზე შეყინვა.

კაცი რომ გაისუსება, **გაიცქნაფაო**, იტყვიან. აჭკვავება ის არის, კაცი რომ ახმაურდება. **აჭკვავდაო**, იტყვიან ამ დროს. **დაჭკვავება || დაკმინება** დადუმებაა. **დაკმინდა || დაჭკვავდაო**, იტყვიან, კაცი რომ გაჩუმდება, დადუმდება. **ბოხვი** ბოხია.

ჯუყჯუყი || ჯუმჯუმი უცხო, გაუგებარ ენაზე ლაპარაკი, საერთოდ გაუგებრად ლაპარაკია. კაცი რომ ენას უკიდებს ან კბილები არა აქვს და ამის გამო უჭირს ლაპარაკი, **ლუთლუთებსო**, იტყვიან. **ლუთლუთა** ენამოჩლექილი, გაურკვეველად მოლაპარაკე ადამიანია. მას **ლუყსაც** უწოდებენ. კარგად რომ ვერ ლაპარაკობს, ასეთი კაცი **ჯუმჯუმებს**, ენას უთრევს. ცხვირში გამოთქმას **ჯიმჯიმი** ჰქვია.

შაცხავება ის არის, კაცი სიტყვებს ქარს რომ გაატანს. მატყუარა კაცი **მტყუან-დოსმასია**.
#336#

დოსმასი ცრუ მოლაპარაკე ადამიანია (შდრ.: 24, 233). კაცი რომ ხუმრობს და მასხარაობს, მიედ-მოედება, **დაბარილობს || დაბარელობსო**, იტყვიან. ხუმრობას რომ კაცი სერიოზულად მიიღებს, იტყვიან: **გულისა გამაურიანო**.

გაკირცვა || დაკირცება ლაპარაკის გამოჯავრება, დაცინვით ვისიმე სიტყვის გამეორებაა. ასევეა თუშურსა და გუდამაყრულში (შდრ. მოხ.: გაკირცხლვა). **რას მეკირცებო**, ეტყვიან იმას, ვინც აჯავრებს: „ეგებ **დაგკირცებიან**, ჩქარა გამაიაროდი! (ს. გოგოლაურთა). **მოქილიკე** დამცინავი, გამომჯავრებელი ადამიანია (შდრ: 9). ვინმეს ან რამეს სასაცილოდ აგდებს **დასაცილი || დასიცილი** ჰქვია: „**დასიცილს** დაუწყებენ ძველ ნაუბარსა, არაად არი გამოსადეგი“ (ს. მიგრიულთა). **სასაცილნოდ აიგდოო**, იტყვიან აგრეთვე. დაცინვაზე **გაქირჯვასაც** იტყვიან. დამცინავი კაცი **მქირჯავია**. **ყურება** მოსმენა, მიყურადებაა, ხოლო **მოყურადე** მოთვალთვალე, ენის მიმტანი, მახეზღარი, დამსმენია. **მოშლა** (რაიმესი) გადაჩვევაა. **ღვარძლა || ღვარძლიანი** მწარე ენიანი კაცია.

სიტყვით მოფერებაზე იტყვიან, **მამიფოლიარცაო**, **ლაქარდი**, პირმოთნეობა, ლაქუცი, პირფერობაა და არა ტკბილი სიტყვა, როგორც ეს ქეგლ-შია აღნიშნული. **ლაქარდი || ლაქარდაი || თილისმა** პირმოთნე, პირფერი, ალერსიანი ადამიანია, ხოლო **ლაქარდიანი** მოპირფერე, მოლაქუცეა. ტკბილი სიტყვით მოლობობა-მოფერება. **მოქოლებაა**. **პირში მდგომელი** პირფერი, ფლიდი ადამიანია **ლიქენა-პირგება** მლიქენელობა-პირფერობაა (შდრ. საბა: **ლიქნა** – დაყუავება). ამავე მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე **მოქასურება**. ქვეშეკვეშა კაცი **უდუმალაია**. **პირში მოთქომი** პირდაპირი, პირში მთქმელია. კაცს რომ ძალიან აწყენინებენ, პირში მიახლიან რამეს, იტყვიან: **სამსჭვალავ ჰკრაო**, **ისენებოდაო**, **გამსჭვალაო**. ძალიან როცა აწყენინებენ, იტყვიან: **ისეთ სამსჭვალავი ჰკრა, ერთ გვერდშით მეორეში გაფვარდებაო**. შეხვეწება-თხოვნაზე იტყვიან, **ვენუკვი**, **დავენუკვეო**. **გონ-გამამლი** ადამიანია, რომელმაც ჩაცემა იცის. მასზე იტყვიან: **რა გონ-გამამლიაო**. ვინმე რომ მოუბარს ყურადღებას არ აქცევს, „**არც კი დაიყურა, სუ გაისაურავა, გამიფავა ჩემ საუბარიო**“, – იტყვიან. ამას **საუბრის გასაურავება || საუბრის გაფიავება** ჰქვია. **არაკატა** კაცია, რომელიც სულ უარზეა, უარობს რასმე. ამ დროს მას ეტყვიან: **სუ არაკატას ნუ აძლევეო** (ს. ლახატო).

#337#

სწრაპნვა კრთომა, ტოკვა, შეტოკებაა ნაკვთისა ან სხეულის ნაწილისა. „თუ ბეჭი მესწრაპნება, ან უნდა ფული მამცას ვინმემ, ან მივცა“ (ს. შუაფხო). კანკალი **ცხრუება ||**

ცხროება || **ზაგზაგა:** „**ცხროება** შამიჯდა, სუ **მაზაგზაგებდა**“ (ს. შუაფხო). **წკენტვა** ჩუმად, ყრუდ ტკივილია, (**ჩამოწკენტვა** ძროხის ჩამოწკელაა). **ყურის გაწკივება** ყურის წივილია. „მარცხენა ყურის გაწკივებაზე იციან, **ყროლად ვინამ მაცსენებსო**“. ამ დროს იტყვიან: „ია მამცსენებელთაო, ვარდი – მამგონებელთაო, შვიდი წლის ციებ-ცხელება – ჩემ ავად მამცსენებელსა, ლოფოჩქინაი (= ლოკოკინა) ჭამადა, გველი – კოზადაო (= კოვზადაო). მარჯვენა ყური რო **გაწკივის**, კარგად ვინამ მაცსენებსო“ (ს. თხილიანა). **ყურება** მიყურადება, მოსმენაა: „მიყვარს იმათ ლაპარაკის ყურება“ (ს. ქუშხევი). **ბურბური** ყურის ჟივილია: „**ბურბური** გააქვ ჩემ ყურებსა. აი, რო არ მიდდის და ჟივის“ (ს. ცაბაურთა).

ენის წლაპვა ენის გამოყოფაა. ამ დროს იტყვიან: **ენასა-ი წლაპავსო**. თუშურში **წლაპვა-ი** ენის ან კისრის წაგრძელებაა (თ. უთურგ.) **ჟრინტელი** ჟრუნტელია. კბილებში გაფურთხება **გადაწინტვა**, **გადაწრინტვა**. **დორდლი** დორბლია. „**დორდლ** მაიწმინდე, ნათელო!“ (ს. გოგოლაურთა). **დუჟი** ფურთხია, ხოლო **გადადუჟვა** – გადაფურთხება. **გადავდუჟენ**. იტყვის ამ დროს კაცი. გულზე რომ რაღაც უჭერს, იტყვიან: ბალღამ **მაწვეს გულზედაო**. ამ დროს **ხირხვლი** იცის. „ბალღამ მამშორდა ე გულზეითა, **გადმოვხირხვლიო**“ (ს. თხილიანა). **ხირხვლი** ღრმა ნახველია.

საფარველი ტანისამოსია. ქარსალა თხლად ჩაცმული ადამიანია. **ქარსალოზა** ზამთარში მსუბუქად ჩაცმა და გაუფრთხილებლად სიარულია. სიცივე რომ კაცს ძალიან გაყინავს, **გაჩრაქვაო**, იციან. კაცი რომ ბევრს იცვამს, **იბურკვება**, **იბუნჩებაო**, იტყვიან (შდრ.: **ბურკვა** – თოვლის გუნდა, თოვლის დაგუნდავება). გადატანით, **ბურკვა**, **შაბურკული** დაბალი და მსუქანი ადამიანია. ტანსაცმლის ჩატანებაზე იტყვიან, **ჩაუყარეო**. **კაჩი-ჩოჩია** მიჩეჩილ-მოჩეჩილად ჩაცმული ადამიანია. კაცს რომ რაღაც აცვია და „ვერ იწდენს“, **ეხამუშებაო**, იტყვიან. ცუდი ნაკერი რომ აქვს ტანსაცმელზე, ასეთი კაცი და ტანსაცმელიც **დაჯონჯვილია**. **ხოზზარი** ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილია. დახეულ ტანსაცმლიანი კაცი **ბეჩავი**, **აბდალაი**, **დარეტილია**. **ტიტველი** შიშველი ადამიანია. **გატლეზილი** გათხუპნული, მოსვრილი ადამიანი, ტანსაცმელი ან სხვა რაიმეა. გახრეშილი, გაცვეთილი, გახეხილია. ჭუჭყიანი #338#

